ქართველი ხალხის ისტორია

ოსეთიდან თავშეფარებული
მერაბ ცხოვრებოვის

გამომცემლობა „ირისთონი“
ცხინვალი 1988

82.3 осет. — 6.
С 42

შესავალი წერილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის,
პროფესორის, სსრკ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის

ვ. ი. აბაევისა

ილუსტრაციები საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული
მოღვაწის, ჩრდ. ოსეთის ასსრ სახალხო მხატვრის

ვ. ს. თუღანოვისა

Н $\frac{470\ 3000\ 000}{М\ 622\ (06)\ 88}$ —21—1988

© ქართული თარგმანი, გამომცემლობა „ირისთონი", ცხინვალი, 1988



ოსთა ნართული ეპოსი

I. ციკლები, სიუჟეტები, გმირები

მეცნიერებაში დადგენილია, რომ ეპოსი ჩამოყალიბებამდე რამდენიმე ფაზას გადის. თავიდან ჩვენ გვაქვს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ცენტრებში განსხვავებული მიზეზების გამო შექმნილი თქმულებები, რომლებსაც ერთმანეთთან არაფერი აკავშირებთ. ესაა ეპოსის ჩამოყალიბების პირველი ფაზა. ეპოსზე საკუთრივ ჯერ ლაპარაკი არც არის, მაგრამ მისთვის უკვე მზადდება მასალა, რომელიც ხელსაყრელ პირობებში ეპოსის ნაკეთების შეძენას იწყებს. გმირებისა და სიუჟეტების მასიდან რამდენიმე გამორჩეული სახელი, გამორჩეული მოვლენა და მოტივი გამოიყოფა და მის ირგვლივ, როგორც მაზიდულობის ცენტრის ირგვლივ, თქმულებები იწყებენ კრისტალიზებას. წარმოიქმნება რამდენიმე ეპიკური კვანძი ანუ ციკლი. ეპოსი გადადის ციკლიზაციის ფაზაში.

არც თუ ისე ხშირად, ზოგ შემთხვევაში, ეპოსს შეუძლია მიაღწიოს მესამე ფაზას. მანამდე ერთმანეთთან დაუკავშირებელი ციკლები შესაძლოა იყვნენ ცოტად თუ ბევრად ერთი სიუჟეტური ქსელით ოსტატურად შეერთებული, ერთ თანმიმდევრულ მოთხრობაში, ერთ ეპიკურ ეპოსში თავმოყრილნი. ხდება, თუ შეიძლება ითქვას, ჰიპერციკლიზაცია. იგი შეიძლება მოხდეს არა მარტო რამდენიმე ციკლის შეერთების შედეგად, არამედ ერთი გამორჩეული ციკლის სხვების, ნაკლებად პოპულარულების გაბერვის ხარჯზე. აი, ეს არის დამამთავრებელი ფაზა, ეპოპეის ფაზა

ამ ფაზაში გადასვლა ხშირად ინდივიდუალური შემოქმედი ძალის რეზულტატია. ასე მიაწერს ბერძნული ტრადიცია ბრმა ჰომეროსს მანამდე ცალკეული ეპიკური ციკლებიდან ილიადასა და ოდისეას შექმნას. კარელო-ფინურ რუნებს წაწყდნენ მეორე, მონოციკლურ ფაზაში და მხოლოდ ლენროტმა მისცა მათ მთლიანი პოემის „კალევალას“ სახე.

წარსულ საუკუნეებში ნართული თქმულებების შეგროვების გარიერაჟზე თავდაპირველად ისე ჩანდა, თითქოს ხალხის მეხსიერება მხოლოდ ცალკეულ მოთხრობებს ინახავდა. მაგრამ მასალის დაგროვებისამებრ ისახებოდა მონუმენტალური მრავალსიუჟეტიანი, მაგრამ მთლიანი ეპოპეის კონტურები მკაფიო გენეალოგიური ციკლიზაციის ნაკვთებით. აღმოჩნდა, რომ მთავარი გმირები ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში არიან და ქმნიან ოთხ თანმიმდევრულ თაობას, რომ ისინი გაერთიანებულნი არიან სამ გვარში, ატარებენ საერთო სახელს „ნართებს“ და ტერმინი „ნართები“ („нартæ“) წარმომდგარია — ეს

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — ოსური გვაროვნული სახელის ტიპის მიხედვით და მაშასადამე მთავარ გმირებს ერთი გვარის, ერთი დეგმირული შთამომავლობის წევრთა ურთიერთობაში აყენებს.

ნართული თქმულებების ციკლებად დაყოფა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. იგი თავისთავად გვებადება. თქმულებები ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ადვილად ჯგუფდებიან რამდენიმე მთავარი გმირის და მოვლენის ირგვლივ.

თუმცა, თუ ერთი მხრივ ნართულ ეპოსში გვაქვს ციკლური ფაზის ნათელი მაგალითი, ეპოპეის ნაკვთებით, მეორე მხრივ, მასში არის ეპოსის ჩამოყალიბების საწყისი სტადიის ბევრი გადმონაშთი; სიუჟეტის განვითარება ყოველ ცალკეულ ციკლში არაა თავისუფალი წინააღმდეგობებისა და არათანმიმდევრულობისაგან, ნათლად იგრძნობა, რომ ერთმანეთზე ასხმულ ეპიზოდებსა და მოტივებს, რომლებიც ერთი გმირის ანუ მოვლენის ირგვლივ ჯგუფდებიან, მანამდე ცალკეული და დამოუკიდებელი არსებობა გააჩნდათ, რომ მთქმელებს ამ წინააღმდეგობათა მოცილებისა და მკაცრი სიუჟეტური ხაზის დაცვის ისეთი მბრძანებლური მოთხოვნილება უკვე აღარ ჰქონდათ.

ნართულ ეპოსში ისახება ოთხი ცენტრალური ციკლი:

1. ნართების საწყისი (ვარხაგი და მისი შვილები — ახსარი და ახსართაგი);
2. ურუზმაგი (ურიზმაგი) და სათანა;
3. სოსლანი (სოსრუყო);
4. ბათრაძი (ბათრაძი).

თუ მოცულობით არა, მნიშვნელობით საყურადღებოა აგრეთვე ეშმაკი სირდონისა და მშვენიერი აცამაზის ციკლები.

მაგრამ გარდა ამ მთავარი ციკლებისა, გვაქვს ათობით დამოუკიდებელი სიუჟეტური კვანძი დამოუკიდებელი გმირებით: თოთრაძე, არახძავი, სავაი, სიბალცი, აბსანა და სხვ. ყოველთვის ვერ ხერხდება იმის დადგენა, ეს „მცირე ციკლები“ ოდესღაც არსებულ გრცელთა ნამსხვრევებია, თუ პირიქით, ჩვენს წინაშეა ციკლის ჩამოყალიბების გზაზე მყოფი ცალკეული თქმულებები.

ნართული ეპოსი მთლიანობაში გვაოცებს სიუჟეტური მასალის სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით. თუ არ ჩავთვლით ანტიკურ მითოლოგიასა და ეპოსს, საეჭვოა ასეთი სიმდიდრე კიდევ მოინახოს სადმე.

თქმულებათა სიუჟეტები ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ ზოგიერთი შეიძლება ჩაითვალოს ტიპურად: ბრძოლა გოლიათებთან, ნადავლისათვის ლაშქრობა, თავგადასავალები ნადირობისას; ბრძოლა ნართულ გვარებსა და ცალკეულ გმირებს შორის ჩვეულებრივ სისხლის შურისძიების ნიადაგზე; გმირთა შეჯიბრი ჭალის გამო და მეუღლის მოპოვება; მოგზაურობა საიქიოში (სოსლანის ციკლში); ბრძოლა ზეციერებთან (ბათრაძის ციკლში).

საუკეთესო მთქმელთაგან ჩაწერილი ვარიანტების თანახმად ნართების გვარის ფუძემდებელი იყო ვარხაგი. მას ჰყავდა ორი ვაჟი — ტყუპები, ახსარი და ახსართაგი.

სტატიაში „ნართებისა და რომაელების წარმოშობაზე ლეგენდების შედარებითი ანალიზის ცდა“ ჩვენ ვცდილობდით გვეჩვენებინა, რომ ახსარსა და ახსართაგზე თქმულებას საფუძვლად უდევს ტოტემური მითი მგლისაგან ტომების წარმოშობის შესახებ, სრულიად ანალოგიური ლეგენდისა რემზე და რომულზე.

ნართების წინაპრის სახელი Уæрхæр (ვარხაგი) სხვა არა არის რა, თუ არ ძველი ოსური სიტყვა, რომელიც ნიშნავს „მგელს“ (ძველირანული varka). ლეგენდა ნართების წარმოშობაზე სწორედ ამითაა შესული გავრცელებული ტოტემური მითების წრეში, რომლებიც საზოგადოების განვითარების ყველაზე ადრინდელ საფეხურს ახასიათებდა.

ნართები წარმოიშვნენ წყლის ღვთაების ასულის ძერასასაგან. ეს კავშირი ნართები-

სი წყლის სტიქიასა და მის მეუფე დონბედთირებთან, დაჟინებით გასდევს მთელ ეპოსს. ბათრაძე დედის მხრივ და სირდონი კი მამის მხრივ — ასევე წყლის შვილებია. უეჭველია, ეპოსის შექმნის ეპოქაში ოს-ალანები ზღვის ან დიდი მდინარეების მეზობლად ცხოვრობდნენ, ვინაიდან თანამედროვე ოსეთის პატარა და მთის სწრაფ მდინარეში სრულიად არ მოიპოვება ადგილი დონბედთირებისათვის თავიანთი ერცელი სამეფოთი და საუცხოო სასახლეებით. ამაზევე მეტყველებს თქმულებებში ზღვის გამუდმებული ხსენება (денджыз, фурд — ზღვა, მდინარე).

უმრავლესი ვარიანტების მიხედვით ნართების სამი გვარი არსებობდა: ახსართაგათა, ბორათა და ალაგათა. ცალკეული გმირების ამა თუ ამ გვარისათვის მიკუთვნებაში მთქმელთა დიდი გაურკვეველობა იგრძნობა, მაგრამ ვარიანტების შედარებით ანალიზის საფუძველზე შეიძლება დადგინდეს, რომ ძალზე სახელგანთქმული გმირები: ურუზმაგი, სათანა, ხამიცი, სოსლანი, ბათრაძი იყვნენ ახსართაგის შთამომავლები და, მაშასადამე, ახსართაგათების გვარს ეკუთვნოდნენ. ბორათების გვარის წარმომადგენელი არის ბურაფარნიგი თავისი შვილი ვაჟით. ალაგათების გვარის გმირებზე ეპოსში მტკიცე ტრადიცია არ არის. ნართების დაყოფა ცალკეულ და ხშირად ერთმანეთისადმი მტრულ გვარებად აშკარა მითითებაა გვაროვნულ წყობილებაზე და ცოცხლად გვაგონებს ძველ სკანდინავიური ეპიკური გმირების დაყოფას სამ სახელგანთქმულ გვარად, რომლებიც განწირულნი არიან მოდგმის უდიდესი სახელისა და უდიდესი ტანჯვებისათვის: ვოლზუნგები, ნიფლუნგები და ბუდლინგები.

ტყუპების მოტივი, რომელიც ამ ციკლში ორჯერაა გამეორებული (ახსარი — ახსართაგი, ურუზმაგი — ხამიცი) ძალზე ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიო ფოლკლორში. რომელი ტყუპები რემი და რომული, ასევე ბერძენი დიოსკურები და ინდოელი ასკინები, რომელნიც ეს. მილერის[1] სპეცძალური გამოკვლევის საგნად იქცნენ, ამ მოტივის ყველაზე უფრო ცნობილი გმირები არიან.

ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით ძერასა თავისსავე მამამთილზე — ვარხაგზე თხოვდება. ამ ეპიზოდიდან ღრმა არქაიკა მოქრის. ესაა უეჭველი გამოძახილი ჯგუფური ქორწინებისა, რომლის დროსაც ერთი ჯგუფის ყველა მამაკაცს მეორე ჯგუფის ყველა ქალზე აქვს უფლება. ცოლქმრული ურთიერთობების ადრინდელი ფორმების გადმონაშთებს ჩვენ შევხვდებით ნართების ეპოსის სხვა ციკლებშიც, პირველ რიგში სათანასა და ურუზმაგის ციკლში, რომელზეც ჩვენ ახლა გადავდივართ.

ჩვენთვის რომ ეკითხათ, რა არის ნართების ეპოსში ყველაზე შესანიშნავი, დაუფიქრებლად ვუპასუხებდით: სათანას სახე. ქალები ბევრ ეპოპეებში ფიგურირებენ, მაგრამ ჩვენ რომელიმე სხვა ეპოსში ამაოდ დავეწაყებოდით ძებნას ისეთი სიძლიერის, ისეთი მნიშვნელობის, ისეთი გაჭანების და ისეთი სიცხოველის ქალის სახეს, როგორიც ნართა სათანაა. ბევრ ეპოსში ქალებს ძალზე დიდი როლი აქვს მიკუთვნებული, მაგრამ ისინი ყოველივე ამასთან ერთად უმრავლეს შემთხვევაში მაინც წმინდა ქალური ან ოჯახური საწყისის მატარებლად რჩებიან, რითაც საბოლოო ანგარიშში განისაზღვრება მათი აქტიურობის სფერო. ამიტომ სხვა ეპოსებში ფსიქოლოგიური და მხატვრული სიმართლის დანაკარგის გარეშე ერთი გმირი ქალი შეიძლება ადვილად შეიცვალოს მეორეთი. ნართების სათანა კი არასოდეს და არავისით არ შეიძლება შეიცვალოს, ისევე როგორც არ შეიძლება ეპოსიდან მისი მოცილება ისე, რომ პირდაღებული სიცარიელე არ იგრძნობოდეს.

მისი აქტიურობის სფერო სამეჯნურო და ოჯახური ურთიერთობების ვიწრო რგოლი როდია, არამედ ხალხის მთელი ცხოვრება ერთიანად აღებული. შეიძლება გავიაზროთ

---

1 Очерки арийской мифология, I. Асвины — Диоскуры.

ნართები მისი ნებისმიერი გმირის გარეშე, თვით უმთავრესის გარეშეც კი, მაგრამ უსათნოდ ეს არ შეიძლება. ამით ხომ არ აიხსნება ის, რომ ეპოსში ვერსად ვერ ვპოულობთ რაიმე მინიშნებას, რაიმე ნართაულს სათანას სიკვდილის შესახებ? იგი უკვდავია, უფრო ზუსტად, იგი ცოცხალია მანამდე, სანამ ცოცხლობს მთელი ნართელი ხალხი.

სათანა ხალხის ჭეშმარიტი დედაა, საყრდენი და დედაბოძი ნართული სამყაროსი. მასთან ახლოს თავს ყველა ძაფი, მისი მონაწილეობისა და რჩევის გარეშე არც ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა არ ჩაივლის. მან გაუზარდა ორი სახელოვანი გმირი — სოსლანი და ბათრაძი — ნართებს, ისე რომ მათი სისხლისმიერი დედა არ ყოფილა. იგი — ბრძენი და გულთმისანი — იხსნის ნართებს ძნელ წუთებში. იგი უღებს მათ თავის სტუმართმოყვარე სახლის კარს, როცა შიმშილობა დაატყდათ თავს. სათანას გულუხვობა და მისი სუფრის ბარაქა ანდაზურ თქმად იქცა: Не 'фсин Сатана — „ჩვენი დასახლების სათანა“ — ოსისაგან ქალის მიმართ ეს უმაღლესი საქებარი სიტყვაა.

სათანა ძლევამოსილი ჯადოქარია. მას ძალუძს გამოიხმოს თოლი და ქარიშხალი, მიხვდეს ფრინველთა ენას, შეუძლია ნებისმიერად მიიღოს მოხუცი ან ახალგაზრდა ქალის მაცდუნებელი სახე, თავისი „ციური არკით“ (арвы аидæн) იგი ყველაფერს ხედავს, რაც ქვეყნად ხდება, და ა. შ.

მტკიცება, რომ სათანას სახე მატრიარქატიდან მოდის — ღია კარის მტვრევას უდრის. მატრიარქატის თვისებები ყველა უძველეს ეპოსში უხვადაა გაფანტული: კალევალაში, ისლანდიურ საგებში, უდდეში. მაგრამ ისეთი მონუმენტალური ქალის ფიგურის არსებობას სწორედ ოსურ ეპოსში, როგორიც სათანაა, განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს. საქმე იმაშია, რომ ოსთა წინაპრები — ალანები იყვნენ სარმატთა ერთ-ერთი ტომის წარმომადგენლები. სარმატები კი, ანტიკური ავტორების დადასტურებით, სხვა ხალხთაგან გამოირჩეოდნენ მატრიარქატის ნათელი თვისებებით და ქალის მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობით.[2] ფსევდო-სკილაკი მათ უწოდებს gunäikokratumenoi „ქალებით მართულნი“. ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სოციალური ტიპოლოგიის თვალსაზრისით ალანთა სათანა ღვიძლი დაა სარმატთა დედოფლის ამაგასი (პოლიენი), სკვითთა ტომირისის (ჰეროდოტე), მასაგეტთა ზარინასი (ქტესიოსი).

გონიერება, თავდაჭერილობა, საზრიანობა საფრთხის წუთებში — ეს განმასხვავებელი თვისებები ახასიათებს ნართებიდან უფროსს — ურუზმაგს. გულუხვობითა და პურმარილიანობით იგი სავსებით შეეფერება თავის მეუღლეს. მათი ურთიერთდამოკიდებულება გამსჭვალულია ერთგული სიყვარულითა და მზრუნველობით.

როგორც ურუზმაგი, ასევე განსაკუთრებით სათანა, ეპიზოდურად ყველა ციკლებში გამოდიან. ყოველ ასეთ ეპიზოდს მათს დახასიათებაში ახალი შტრიხი შეაქვს და ერთობლიობაში ისინი ქმნიან მაღალმხატვრული ძალის, მთლიანობისა და სისავსის სახეებს. რიგ სიუჟეტებში სათანა და ურუზმაგი ცენტრალური ფიგურები არიან და ეს უფლებას გვაძლევს ვილაპარაკოთ ამ ცნობილი ცოლქმრული წყვილის განსაკუთრებულ ციკლზე.

თქმულება ურუზმაგსა და სათანაზე ესაა ძალზე გაბუნდოვნებული, უძველესი დანაშრევებით დაფარული მითი პირველ ადამიანურ ან ღვთაებრივ წყვილზე.

მითს ურუზმაგსა და სათანაზე ჩვენ შევყავართ თაედაპირველი თეოგონური, ანთროპოგენური და ეთნოგენიკური მითების წრეში. ეს დასტურდება იმით, რომ სათანას დაბადებას უკავშირდება აგრეთვე პირველი ცხენისა და პირველი ძაღლის დაბადება. სინამდვილეში, გამოთქმები „ცხენებიდან უფროსი“ (бæхты хистæр) და „ძაღლებიდან უფ-

2 იხ: К. Ф. Смирнов, Сарматы. М., 1964, с. 201; Б. Граков, Пережитки матриархата у сарматов. Вестник древней истории, 1947, № 3, с. 100—121.

როსი" (куыйты хистæр) არ შეიძლება გავიგოთ სხვანაირად, თუ არა „ცხენის წინაპარი" და „ჭოფაკის წინაპარი". მითოლოგიური წარმოდგენებისათვის სრულიად ჩვეულებრივი და ბუნებრივია, რომ პირველი მიწიერი ცხენი წარმოიშვა ზეციური ცხენისაგან, პირველი მიწიერი ძაღლი კი — ზეციური ძაღლისაგან. ხალხს — მწყემსს, მეცხენეს, მონადირეს — როგორებადაც ჩვენ ვიცნობთ ძველ ალანებს და ნართებს, შინაური ცხოველებიდან ყველაზე მეტად უნდა ჰყვარებოდა და დაეფასებინა ცხენი და ძაღლი. არაა გასაკვირი, რომ მან სწორედ ესენი შეიყვანა თავის ანთროპოგენურ მითში.

ჭალთა შორის უპირველესის და უკეთესის — სათანას პიროგნებასთანაა დაკავშირებული სასმელებს შორის ასევე პირველი და საუკეთესო, ოს-ალანების საყვარელი სასმელის ლუდის გაჩენა. ეთნოგრაფიული და ლინგვისტური მონაცემები მოწმობენ ლუდის კულტურის სიძველესა და განსაკუთრებულ გავრცელებულობაზე ოსებში. ოსური ælутон „ზღაპრული საკვები ან სასმელი" თავდაპირველად ნიშნავდა „გახარებულ ხარშვის ლუდს" და ენათესავება ლუდის ჩრდილო გერმანულ დასახელებას alut (შდრ. ინგლისური ale, ფინური olut).

ამიტომ, თითქმის არ შეცდებით, თუ გამოვთქვამთ რწმენას, რომ სათანას და ურუზმაგის ციკლში ყოფითი სიუჟეტის მიღმა ძალება ძველი მითოლოგიური ძარღვები — ძველი ეთნოგენური და თეოგონური ლეგენდა. ამასთან სათანას სახე და როლი, რომელსაც იგი მთელ ეპოსში თამაშობს, ნებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ეს ლეგენდა წარმოიშვა ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი მატრიარქალური მსოფლმხედველობის პირობებში. უკანასკნელი გარემოება გამოგვადგება ზოგ ამოსავალ პუნქტად მოცემული ციკლის დათარიღებისათვის. ბევრი მკვლევარი აღნიშნავს ტოტემიზმსა და მატრიარქატს შორის უეჭველი კავშირის არსებობას. ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი პირველზე ახალგაზრდა არ არის. და თუ ჩვენ ვარხაგის ციკლს თავის ტოტემურ ბირთვთან ერთად მივაკუთვნებთ პირველი ათასწლეულის პირველ ნახევარს ჩვ. წ. აღ., მაშინ სათანასა და ურუზმაგის ციკლის თავდაპირველი მითოლოგიური ბირთვი ბევრად თუ ჩაითვლება უფრო ადრე.

არსებობდა თუ არა რაიმე მკვიდრი კავშირი პირველ და მეორე ციკლს შორის? ეს ჩვენთვის ცნობილი არაა. თამბათა მემკვიდრეობითობა ვარხაგი—ახსართაგი—ურუზმაგი თითქოს მიგვითითებს კავშირზე, მაგრამ ეს მემკვიდრეობითობა შეიძლება შემდეგაა შეთხზული „გენეალოგიური ციკლიზაციის" წესით.

ხალხის ზეპირსიტყვიერებაში თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე ნართულმა სიუჟეტებმა, რა თქმა უნდა, საკმაო ცვლილებები და ვარიაციები განიცადეს, რომელთაგან ბევრი ჩვენთვის სამუდამოდაა დაკარგული. ოს-ალანებს რომ ძველი დამწერლობა ჰქონოდათ, რომელიც ნართულ თქმულებებს მათი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე იაი-ნიშნავდა, ჩვენ ეპიკური მოტივებისა და სიუჟეტების ევოლუციაზე მსჯელობისათვის ძალზე საინტერესო მასალა გვექნებოდა, ახლა ეს მასალა ჩვენ არ გვაქვს.

---

3 მთელ ნართულ ეპოსში, თაეიდან ბოლომდე, ცხენი ფრიად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ზოგიერთი ცხენები, როგორიცაა, მაგალითად, ურუზმაგის ცხენი არფანი, არანაკლები სახელით სარგებლობენ, ვიდრე თვითონ გმირები. ბევრ თქმულებაში ცხენი დაჯილდოებულია ადამიანური მეტყველებით და თავისი პატრონის მეგობრად და მრჩევლად გამოდის. სხვათა ცხენების რემის გატაცება ნართების „ბალცების" (ექსპედიციების) მთავარ მიზანს შეადგენს. ეს თვისებები, ისე როგორც ბევრი სხვაც, ნართულ ეპოსს ალანურ ყოფა-ცხოვრებასთან აახლოებს. ამიან მარცელინი (XXX, 2, 19-20) ალანებზე წერს: „ისინი წინ მიერეკებიან მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ნაბიჭს და მწყემსავენ; მაგრამ მათი მთავარი საზრუნავი ცხენებია".

მაინც ხდება ხოლმე, როცა ვერსიები, რომელნიც ამ ხალხში არაა შემონახული, ძველ მეზობელ ხალხთან აღმოჩენილან, სადაც ისინი თავის დროზე ფოლკლორული სიუჟეტების ჩვეულებრივი მიგრაციის წესით მოხვედრილან. სათანას ციკლისათვის, სავედნიეროდ, ჩვენ ზუსტად ასეთი შემთხვევა გვაქვს. მსგავსად იმისა, როგორც ჰეროდოტემ შემოგვინახა ნართების ეპოსის ბევრი სიუჟეტი ჩვ. წ. აღრიცხვამდე V საუკუნის სკვითურ ჩვეულებებსა და თქმულებებში, სომეხმა ისტორიკოსმა მოსე ხორენსკიმ თავის მიერ ფიქსირებულ ლეგენდებში ალანთა დედოფალ სათენიკზე ჩაინიშნა რამდენიმე სიუჟეტი, რომლებშიც შეიძლება ნართული სიუჟეტების სახეცვლილების ცნობა სათანას ციკლიდან.

სათანასა და ურუზმაგის ციკლში არის კიდევ რამდენიმე სიუჟეტი და მოტივი, რომელთაც ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გაკრთით შევეხოთ.

სიუჟეტი გმირზე, რომელშიც ყმაწვილი იღუპება და საიქიოდან ბრუნდება მამასთან, რათა მასთან ერთად სასწაულებრივი გმირობები ჩაიდინოს და კვლავ დაბრუნდეს სიკვდილის სამეფოში, ეკუთვნის საკმაოდ პოპულარულთა რიცხვს ჩვენს ეპოსში. იგი გვხვდება აგრეთვე თოთრაძის ციკლში.

ურუზმაგის თავგადასავალი გამოქვაბულში ციკლოპთან ეკუთვნის უფართოესი გავრცელების შორული სიუჟეტების ჯგუფს. ამ სიუჟეტის სიძველე დამოწმებულია ჰომეროსის მოთხრობით ოდისევსსა და პოლიფემზე (ოდისეა, IX კარი). პრომეთეზე და არგონაუტებზე მითების მსგავსად ეს სიუჟეტი იმათ რიცხვს ეკუთვნის, რომელნიც საგანგებოდ მჭიდროდ აკავშირებდნენ ანტიკურ ელადას კავკასიასთან.

თქმულებები ციკლოპზე ოსების გარდა დამოწმებულია მეგრელებთან[4], ყაბარდოელებთან[5], დაღესტნელებთან[6], ჩეჩნებთან[7]. ამას გარდა „პოლიფემის მოტივი“ ცნობილია ბევრ ევროპულ ხალხებში. კავკასიური ვარიანტები შეუდარებლად ახლოს დგანან ბერძნულთან, ვიდრე ევროპულები. ამ თქმულებების შედარებითი გარჩევისადმია მიძღვნილი ვს. მილერის შრომა „კავკასიური თქმულებები ციკლოპებზე“[8].

ლუდის გამოგონება ეპიკური სიმღერის სიუჟეტად მხოლოდ ოსებისთვის როდი გამხდარა. ამ შესანიშნავ ამბავს მიეძღვნა თითქმის მთლიანად კალევალას მე-20-ე რუნა[9]. კაპო (ანუ ოსმოთარი), ფინელ გმირთა წინაპრის კალევალას ასული პირველი ქალია, რომელმაც მოადუღა ლუდი ქერისა და თაფლნარევი ალაოსაგან.

ერთი შეხედვით რაც გინდა მცირე იყოს მსგავსება ნართ სათანას ღრმად ადამიანურ, რეალურ სახესა და ფინურ კაპოს ბუნდოვან-მითიურ სახეს შორის, ისინი ორივე უეჭველად ერთ წყაროდან მოდიან — უძველესი მითებიდან სტიქიების, ღმერთების და ადამიანების წარმოშობაზე. ასეთია სათანასა და ურუზმაგის ციკლის მასალა.

სათანა გვეელინება დედად და დიასახლისად არა მარტო ვიწრო ოჯახური წრისა, არამედ მთელი ტომისათვის. როდესაც ნართებს შიმშილობა დაატყდათ თავს, სათანა სტუმართმოყვარულად უღებს კარს და შემონახული მარაგით ხალხს დიდიდან პატარამდე უმასპინძლდება. აქ გამოკვეთილი ყაირათიანი ქალის როლი, როგორც ტომის მარაგის დამცველისა და მისი გამანაწილებლისა, უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტე-

4 СМОМПК, V, 2, с. 97 сл.
5 Сказка о Хагоре, СМОМПК, I, с. 80 сл.
6 Изв. Русск. геогр. О-ва, XX (1884), с. 40.
7 Св. свед. о кавк. горцах, IV, Отд. II, с. 12 сл.
8 Этнограф. Обозрен. IV (1890), Отд. II, с. 12 сл.
9 ლუდის კულტურა ფინელებისთვისაც ძალზე ძველია და ლუდის ფინურ სახელწოდებას olut, როგორც ოსურ alutон მივყავართ ძველ გერმანულ alut—თან.

ბგსოა მატრიარქალური ტაპის იდრინდელი სოზოგადოებრივი ფორმების დასახასიათებლად.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს სათანას სახესა და მასთან დაკავშირებულ სიუჟეტებსა და მოტივებში დავინახოთ ერთ-ერთი ყველაზე თავისებური მოვლენა არა მარტო ოსურ, არამედ მსოფლიო ხალხურ-ეპიკურ ტრადიციაშიც.

სიუჟეტების სიმდიდრითა და ცენტრალური გმირის პოპულარობით გამოირჩევა სოსლანის (სოზირიყო) ციკლი. სახელი სოსლანი, როგორც ჩანს, თურქული წარმოშობისაა. შდრ. ნოღაიური სუსლან (მრისხანე სახის მიღება) суслы — საგან (მოღუშული, მკაცრი, მრისხანე) (суслы адем—„მრისხანე ადამიანი"). ფორმა სოზრუკო წარმოადგენს ხოსლან სახელის „ადიღიზაციას". ძველ ადიღურში არ იყო ფონემა ლ, ამიტომ სახელს „სოსლანი" უნდა მიეღო ფორმა სოსრანი. ამ ფორმას შემდგომში დაერთო საკუთარი სახელებისათვის ჩვეული ელემენტი—კო (ადიღ. дwа „ვაჟი"). მიღებული სოსრანუკო (დაცულია აბაზგურში) შემდეგ გამარტივდა სოსრუკოდ და ამ ფორმით იქნა ნასესხები ადიღეურიდან (უაბარდოულიდან) კვლავ ოსურში. ასეთი „მაქოსებრი" გადასვლები სიტყვებისა და სახელებისა ერთი ენიდან მეორეში და პირიქით, არაიშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

ოსურ ნიადაგზე სახელი სოსლანი დასტურდება XIII საუკუნიდან: ოსი ბელადი დავით სოსლანი იყო ცნობილი ქართველი დედოფლის თამარის მეუღლე.

დიგორულ ვარიანტებში სოზრუკო არ არის. ისინი მხოლოდ სოსლანს იცნობენ. ეპოსში სოსლანს თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი ერთ-ერთი საყვარელი გმირია არა მარტო ოსურ, არამედ ასევე ყაბარდოულ, ბალყარულ, ჩეჩნურ და სხვა ვარიანტებში. სოსლანისა და ბათრაძის ციკლებში უფრო მეტად, ვიდრე დანარჩენებში, ჰეროიკული, ზეადამიანური, დევგმირული მოტივებია წარმოდგენილი, მაგრამ პატიოსანი, პირდაპირი, უძლეველი ძალის ბათრაძისაგან განსხვავებით სოსლანი უძლიერეს გმირთან ბრძოლის დროს ხალისით მიმართავს ვერაგულ და ეშმაკურ ხერხებს, მაშინ როცა სუსტისა და დამარცხებულის მიმართ იგი სასტიკი და ულმობელია. განსაკუთრებით სძარახის სამყაროში გვესახება იგი ალიმბეგის ვაჟთან თოთრაძთან შეტაკების ეპიზოდში.

დიგორულ ვარიანტებში მისი ჩვეულებრივი ეპითეტია нæрæмон „შმაგი", „დაუცხრომელი".

ამ გმირის პოპულარობასა და ღრმა ნაციონალურ ხასიათს მოწმობს თვით თქმულებათა გარდა, ბევრი ადგილობრივი გადმოცემა, რომელნიც დაკავშირებულია მის სახელთან, განსაკუთრებით დიგორიაში. დიგორიაში ბევრი ძველი სამარხი სოსლანის საფლავად ითვლება. გვიჩვენებენ აგრეთვე ქვებს, რომლებზეც იგი მჯდარა. ზიფხულის დღესასწაულთაგან ერთ-ერთს „სოსლანის დღეობა" ერქვა. (იხ. ქვემოთ). ცისარტყელას დიგორულად ეწოდება „Сослан æндурæ" — „სოსლანის მშვილდი", როგორც სპარსული „რუსტემის მშვილდი" (каман — i Rustám). ერთ თქმულებაში რეკომენდებულია ყველამ იზრუნოს იმაზე, რომ მისი მიცვალებული საიქიოში უფრო მოხერხებულ ადგილზე მოხვედეს, რომ იქიდან თვალი ადევნოს სოსლანის და თოთრაძის შეტაკებას, რომელიც სულეთში გაიმართება.

სოსლანის სახე ე. დიუმეზილს გამოადგა სპეციალური მითოლოგიური ეტიუდის დასაწერად, რომლის სათაურიცაა „მზიური მითები"[10].

„რა თქმა უნდა, — ამბობს დიუმეზილი, — სოსლანის ყოველი თვისება, მისი ყოველი გმირობა როდი ატარებს მზიურ ხასიათს. როგორც ყოველმა ღმერთმა, რომელიც შემდეგში მოთხრობის გმირად იქცა, მან თავისი პიროვნების ირგვლივ შემოიკრიბა სხვა-

[10] Осетинский эпос и мифология, М., 1976, стр. 68—78.

დასხვა წარმოშობის ბევრი ლეგენდა. მაგრამ მისი ციკლი, ერთადერთი ნართულ თქმულებათა წრეში, გვაძლევს მთელ რიგ სიუჟეტებს — თანაც ძირითად სიუჟეტებს, რომლებშიც გმირის მზიური ხასიათი კიდევ უფრო სავსებითაა გამჟვირვალე".

ჯერ ერთი — დაბადება. ქვიდან დაბადება ის თვისებაა, რომელიც ხალისით მიეწერება მზიურ ღმერთებს. კლდისაგან იშვა განთქმული მცირეაზიური ღმერთი მიტრა. მას ბერძნულად უწოდებენ: „ქვისაგან შობილი".

სოსლანის მზიურ ბუნებაზე მიგვითითებს ასევე მისი ქორწინება მზის ასულზე.

რიგ სიუჟეტებში, რომლებიც მოგვითხრობენ სოსლანის ბრძოლაზე მტრებთან, ხაზგასმულია, რომ მან გაიმარჯვა შუადღისას. კვლავ მზიური ღვთაების თვისება, ვინაიდან ზუსტად შუადღე არის მზის ძლიერების აპოგეა.

ურის ვაჟ მუქარასთან ბრძოლის სიუჟეტი, განსაკუთრებით მისი ზოგიერთი ვარიანტები, განსაცვიფრებლად გვაგონებს ფართოდ გავრცელებულ მითებს „მზის მოტაცებაზე".

ბოროტი არსება, რომელიც ყინულის ქვეშაა დამალული, თვალსაჩინო სიმბოლოა ზამთრისა და სიცივისა. გმირი, რომელიც ებრძვის ამ ბოროტ არსებას, მზის სიმბოლოა. ნართულ თქმულებებში — ესაა სოსლანი და მუქარა.

მზიური მითების წრეში უფრო თვალსაჩინოდ და უშუალოდ შევხვდებით „ბალსაგის ბორბალს". იგი თავის აღსასრულს პოულობს წყალში, ზოგიერთი ვარიანტების მიხედვით — შავ ზღვაში, ე. ი. დასავლეთში. არსებობს ვარიანტები, სადაც ბალსაგის ბორბალი სოსლანის მიერ შეურაცხყოფილი მზის ქალიშვილის წაქეზებით მოქმედებს.

დიგორულ ვარიანტებში ბორბალს, რომელმაც სოსლანი მოკლა „ოინონის ბორბალი" ჰქვია. სახელი ოინონი არის დამახინჯებული იოანე, წმინდა იოანე კი თანამიმდევრობით დაკავშირებულია მზის კულტთან და მისი დღესასწაული მზის მოძღვრის ემთხვევა.[11]

დიგორიაში, სოსლანის სავარაუდო საფლავის ადგილას, სოფელ ნარის გვერდით ყოველწლიურად ზაფხულობით იოანე ნათლისცემის („фыд Иуаане") დღესთან ახლოს მმართებოდა „სოსლანის დღესასწაული", გმირის საპატივსაცემოდ. იკვლებოდა ცხვრები და აღუვლენდნენ ლოცვა-ვედრებას, რათა კარგი ამინდი გარდმოეცათ[12]. ამ დღესასწაულში მზის კულტთან ჩვენი გმირის კავშირი გადამწყვეტ დადასტურებას ღებულობს.

ამ კონცეფციაში მშვენივრად თავსდება ცისარტყელის დიგორული სახელწოდება „Сослан æндурæ" — „სოსლანის მშვილდი".

ის, რომ მზიური გმირი ბორბალთან, მზის სიმბოლოსთან ბრძოლაში იღუპება, არ გააკვირვებს არავის, ვინც იცის, როგორი დახლართული და მოულოდნელი გზებით მიმდინარეობს სიუჟეტების განვითარება ხალხურ პოეზიაში და რა ხშირად დასტურდება წინააღმდეგობათა ერთიანობის დიალექტიკური კანონი.

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლებოდა, რადგან ხალხურ მითოლოგიურ შემოქმედებას წინააღმდეგობებისა ყველაზე ნაკლებად ეშინია. სოსლანის რთულ სახეში მრავალგვარი თვისებებია თავმოყრილი და ხშირად, შესაძლოა, წინააღმდეგობრივი. მაგრამ თუ ამ სახეში არის ნათელი მითოლოგიური აზრის შემცველი თვისებები, ეს უეჭველად მზიური გმირის თვისებებია.

---

11 ვ. მილერი (Осетин. этюды II, 285) აღნიშნავს, რომ ბორბალს, რომელმაც სოსლანი მოკლა, ასევე ჰქვია იოანეს ბორბალი ანუ იოანე ნათლისმცემლის ბორბალი.

12 В. Миллер (Осетин. этюды, II, 261, 285).

სოსლანი, ძველი წარმართული მზიური ღმერთი, ებრძვის ოინონის ბორბალს, ე. ი. ოინეს, ახალ, გაქრისტიანებულ მზიურ „ღმერთს“ და იღუპება ამ ბრძოლაში“13.

სწორედ ასევე წარმართული ჭექა-ქუხილის ღმერთი ბათრაძი ებრძვის გაქრისტიანებულ ქუხილის ღმერთებს, ვაციღებს და ისიც იღუპება. ორივე შემთხვევაში გაჩენილა ახალი, ქრისტიანი ღვთაებების მხარეს რჩება და როცა სოსლანი აიძულებს ბორბალს, უწოდოს თავს სოსლანის ბორბალი და არა ოინონის (ანუ ბალსაგისა), ჩვენ ამ გამშვირვალე სიმბოლიკის მიღმა ვხედავთ, რომ ლაპარაკია ორი სხვადასხვა ეპოქის ღმერთებზე, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, თუ რომელი მათგანი იყოს მზის მფლობელი.

სოსლანის ციკლის საინტერესო ეპიზოდებს მიეკუთვნება ჩვენი გმირის მოგზაურობა საიქიოში, მიცვალებულთა სამეფოში. როგორც ცნობილია, ეს არის ერთ-ერთი უძველესი ეპიკური სიუჟეტთაგანი, როგორებიც საერთოდ დადასტურებულია მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებში.

ოზირისი ეგვიპტეში, გილგამეში ბაბილონში, ოდისევსი, ჰერაკლე და ორფესორი ბერძნებთან, ოდინი სკანდინავიურ მითოლოგიაში — აი გმირების ყველაზე უფრო ცნობილი სახელები, რომლებსაც ნართ სოსლანის მსგავსად სულეთში უმოგზაურიათ.

ნართული აღწერა განირჩევა დიდი კონკრეტულობითა და სიცხოველით ამ ადამიანთა ბედის ასახვაში, რომლებმაც სიცოცხლის პერიოდში ესა თუ ის ავი ან კარგი ქმედობა ჩაიდინეს. ამასთან, როგორც ყოველთვისაა ხოლმე, წამების და გაჭირვების სცენები უფრო მრავალფეროვანი და გამოკვეთილნი გამოვიდნენ ვიდრე ნეტარების სცენები. თუ ბერძნულ მითებში ჩვენ ვხვდებით ორი-სამი ცოდვილის (ტანტალე, სიზიფე, დანაიდი) წამების აღწერას, აქ ჩვენს წინაშე სურათების მთელი მწკრივი გაიელის, რომლებიც ასახავენ სამაგიეროს ზღვევას კეთილი და განსაკუთრებით ბოროტი საქმის გამო. ზნეობრივი ტენდენციით განმსჭვალული ეს სურათები შეგვძრავენ თავიანთი გულუბრყვილობით. ჩვენ აქ ვხედავთ როგორი ზნეობა ითვლებოდა განსაკუთრებით საქებრად და როგორი მანკიერება იყო საძრახისი. გულუხვობა, სტუმართმოყვარეობა, სიმართლე, ცოლქმრული და შშობლიური სიყვარული უზრუნველყოფენ ნეტარებას საიქიოში. სამაგიეროდ მძიმე ხვედრი მოელით ძუნწებს, ანჩხლებს, ქურდებს, მრუშებს.

საიქიოს აღწერა თავისი სასწაულებით ზუსტად იგივე სახით მეორდება მიცვალებულისათვის ცხენის შეწირვის (бæхфæлдисын)14 საწესჩვეულებო ფორმულაში.

სოსლანის ურვაძი („калым“) მზის ასულის გამო წარმოადგენს ქორწინების შესახებ საკმაოდ გავრცელებული მოტივის ვარიაციას, სასიძოს მიერ ძნელი დავალების შესრულებით გაპირობებულს.

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს სკალპებისაგან შეკერილი სოსლანის ჭურჭლე ვს. მილერს15 უკვე მითითებული აქვს, რომ ეს მოტივი მომდინარეობს სკვითური დროიდან და სკვითურ ადათ-წესს ასახავს, რაც აღწერილი აქვს ჰეროდოტეს: „სკვითები ბრძოლაში მოკლულ მტერს თავს ჰკვეთენ და მეფესთან მიაქვთ. მხოლოდ იმ მეო-

---

13 სახელი ბალსაგი შესაძლოა მიღებული იყოს ჩეჩნურ-ინგუშურ, მალხსაგიდან. სიტყვა-სიტყვით „მზე-ადამიანი“. თუ ასეა, მაშინ ესეც უკავშირდება უფრო ახლ კავკასიაში შეთვისებული ალანური მითოლოგიის ელემენტებს და, მაშასადამე, არ ეწინააღმდეგება ბალსაგის ბორბალთან სოსლანის ბრძოლის, როგორც ძველი კულტების ახლებთან ბრძოლის ჩვენს ინტერპრეტაციას.

14 იხ. კ. ხეთაგუროვის ლექსი „სასაფლაოზე“.

15 Черты старины в преданиях и быте осетин. (Журн. Мин. Нар. Просв., август, 1882), с. 196—197.

შარს აქვს ნადავლიდან წვლის მიღების უფლება, რომელიც მტრის თავს მოიტანს. მერე თავებს სკალპს აძრობენ შემდეგი წესით: ყურებს ზემოთ წრიულად შემოსერავენ კანს და ნჯღრევით აგლეჯენ. კანზე გაყოლილ ხორცს ხარის ნეკნით ფხეკენ, კანს ხელებით სრესენ, როცა დარბილდება, ხელსაწმენდად ხმარობენ, რომელსაც თავისი ცხენის სადავეზე ჰკიდებენ, შემდეგ ამით თავი მოაქვთ, რადგან რაც მეტი ხელსაწმენდი აქვს სკვითსა, მით მეტ პატივს და დიდებას იმსახურებს. ისეთებიც ბევრია, რომლებიც ადამიანის ასეთი სკალპებით ლაბადას აკერავენ მწყემსების ლაბადის მსგავსად".[16]

ალანები სკვითების ტრადიციას აგრძელებენ. „ისინი (ალანები) ისე არაფრით ტრაბახობენ, როგორც რომელიმე ადამიანის მოკვლით და დიდებული ნადავლის სახით თავის საომარ ცხენებს დახოცილთა თავებიდან აგლეჯილ კანებს სამკაულების მაგვარად ჰკიდებენ".[17]

ამ მაგალითით ჩვენ ვხედავთ, რომ ის, რაც ოდესღაც ცოცხალ ჩვეულებად, ყოფაცხოვრებით მოვლენად ითვლებოდა, ბოლოს ფოლკლორში გადადის და შემოინახება როგორც ფოლკლორული მოტივი.

სოსლანის ციკლში შეიძლება ასეთივე ტრანსფორმაციის კიდევ ერთი ნათელი მაგალითის მითითება: სკვითებთან — ცოცხალი ადათი, ოსებთან ნართული ეპიკური მოტივი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს თავით გატენილი სოსლანის ცხენი. ე. დიუმეზილ მიგვითითებს ოსებსა და სკვითებში დაკრძალვის ადათების დიდ მსგავსებაზე. კერძოდ, ადარებს სკვითების მიერ ცხენის მსხვერპლად შეწირვის და ოსების მიერ მიცვალებულისათვის ცხენის შეწირვის („ӕхфæлдисын"), მოყავს ჰეროდოტეს მოთხრობა, (IV 72) იმის შესახებ, თუ როგორ შემოულაგებენ სკვითი მეფის საფლავს ირგვლივ დახოცილ ცხენებს, რომლებიც განკუთვნილებია თან გაყოლონ საიქიოში. დახოცილ ცხენებს. გამოფაშავდნენ, გამოტენდნენ თივით და გკერავდნენ. ამ სახით „ცხენები" საფლავის ირგვლივ იდგნენ საბრჯენებზე. შეიძლება თუ არა, კითხულობს დიუმეზილი, ეს „სამგლოვიარო ცხენები", რომლებითაც სკვითების მეფე საიქიოში მიემგზავრება, გამოვყოთ სოსლანის „სამგლოვიარო ცხენისაგან", რომლითაც იგი საიქიოდან ბრუნდება?

ასე გადაეწერებიან ხმარებიდან დიდი ხნის წინ გამოსული ძველი ადათები ფოლკლორულ სიუჟეტებსა და მოტივებს და ათას წლობით ცოცხლობენ.

პარალელები სოსლანის ციკლსა და სკვითურ ყოფას შორის თქმულებებში სხვა მონაცემების უქონლობისას, შეიძლება დაგვეხმარონ ამ ციკლის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწილის მიახლოებით დათარიღებაში. როგორც ჩანს, ამ ნაწილების წარმოშობა უნდა მიეკუთვნოს არა უგვიანეს V საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

რკინის მეტალურგიის განვითარება ადამიანს ხელთ აძლევს შრომის ახალ ინვენტარს და ახალ საბრძოლო იარაღს. იგი იმსუბუქებს რწმენით საკუთარი ძალებისადმი, იარაღის სიძლიერისადმი, მხედრული გმირობის შარავანდედში ეხვევა და მაშინ გმირგრძნეულის და ჯადოქრის ნაცვლად მოდის გმირი-მეომარი, დევგმირი.

მაგრამ ჯადოქრობისა და მაგიის ძველი იდეოლოგია ერთბაშად არ კვდება. იგი ცდილობს ახალ პირობებშიც შეინარჩუნოს თავისი პოზიცია. შედეგად წარმოიშობა გმირის ტიპი, რომელშიც დევგმირული თვისებები ეხამება „ეშმაკობას". „ეშმაკობა" კი ძველების შეგნებაში იგივე ჯადოქრობაა. ოსურში სიტყვა ხინ („хин") ნიშნავს „ჯადოქრობასაც" და „ეშმაკობასაც". აქედანა მყარი სიტყვათშეერთება хин æмæ кæлæн — „ეშმაკი და ჯადოქარი".

---

[16] Геродот, IV. 64.
[17] Аммиан Марцеллин, 31, 2, 22.

სოსლანი სწორედ ამ გარდამავალ სტადიას განასახიერებს. იგი უკვე დაჯილდოებულია გმირი მეომრის თვისებებით, მაგრამ ამასთან ერთად მის სახეში გარკვეულად ვლინდება გმირი-ჯადოქარის თვისებები. ეს თვისებები მთელ მის ცხოვრებას გასდევენ. სოსლანი და ბათრაძი ორიენი გადიან წრთობის პროცედურას, მაგრამ ბათრაძი იწრთობა შვედლის ქურაში — რკინის საუკუნის ნორმალური „ტექნოლოგია". სოსლანი კი მგლის რძეში იწრთობა — ეს აშკარა ტომეტური მაგიაა. სოსლანის უმნიშვნელოვანესი საგმირო საქმეები ერთი სქემის მიხედვით სრულდება: იწყებს როგორც გმირი-მეომარი, მაგრამ ამთავრებს როგორც გმირი-გრძნეული.

გმირი-მეომარი გმირი-გრძნეულის გადმონაშთებით წარმოადგენს როგორღაც სუფთა შამანური სახიდან სუფთა დევგმირულზე გარდამავალ ეტაპს. ფ. ენგელსის თქმით, როცა ომი საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალურ ფუნქციად იქცევა და მეომარი ზელადები იძლევიან ტონს საზოგადოებრივი იდეოლოგიის ფორმირებაში, იბადება ახალი ტიპის ეპიკური გმირი, რომელიც ეშმაკობისა და ჯადოქრული ხერხების გარეშე დევგმირული ძალით მუსრავს მტერს. ასეთი გმირი ოსურ ეპოსში არის ბათრაძი, ხამიცის ვაჟი.

ამასთან ერთად მისი პიროვნებისა და გმირობების აღწერისას მეტისმეტ ჰაპერბოლიზმს იგი ხშირად მიწიერი, ადამიანური ფარგლებიდან გამოჰყავს და ნართულ სამყაროზე მაღლა აჰყავს, როგორც განსაკუთრებული წესრიგის არსება, როგორც ზეკაცი, როგორც ნახევრად ღმერთი. სოსლანთან ერთად და უფრო მეტად, ვიდრე ეს უკანასკნელი, ბათრაძი ატარებს მითოლოგიური სახის თვისებებს, სადაც ჯერ კიდევ ბობოქრობენ მშფოთვარე პირველქმნილი კოსმოსური ძალები, რომელთათვისაც ჩვეულებრივის გარისი, თუნდაც ეპიკური გმირისა, ძალზე ნაზია და ეფემერული. საუცხოოს, ზეადამიანურის დაღითაა აღბეჭდილი მთელი მისი ცხოვრება: დაბადება, გმირობები, სიკვდილი; ბათრაძის უკანასკნელი ბრძოლა ზეციურ ძალებთან მას აერთიანებს ღმერთებთან მებრძოლი ტიტანების დასთან, ბერძენ პრომეთესა და კავკასიელ ამირანთან.

როგორია ბათრაძის ციკლის წარმოშობა? ჩვენ თავის დროზე დავადგინეთ, რომ სახელები ხამიცი და ბათრაძი მონღოლური წარმოშობისაა და რომ ნართული წყვილი ხამიცი და ბათრაძი, როგორც ჩანს, მონღოლური სახელის ხაბიჩი-ბათირის ორად გაყოფის შედეგადაა წარმოშობილი. შეიძლება თუ არა, ამის საფუძველზე ვამტკიცოთ, რომ ბათრაძის მთლიანი ციკლიც მონღოლურიდან მოდის? რასაკვირველია, არ შეიძლება. ეპიკური თქმულებების ციკლიზაციის პროცესს იქამდე მივყავართ, რომ ერთი სახელის ირგვლივ ერთიანდებიან სულ სხვადასხვაგვარი წარმოშობის სიუჟეტები და მოტივები, ბათრაძის ციკლში თითქოს მართლაც შეიძლება ერთი ან ორი სიუჟეტის პოვნა, რომელთაც აქვთ პარალელები მონღოლურ ეპოსში; მაგრამ მეორე მხრივ, მასში არის თვისებები, რომლებიც ბევრად უფრო ძველია, ვიდრე ალან-მონღოლთა ყველაზე ადრინდელი შესაძლო ურთიერთობა. როგორც დავინახეთ, მასში არის თვისებები, რომლებიც სკვითური ეპოქიდან მომდინარეობენ, ე. ი. სულ ცოტა, V საუკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ამრიგად, მონღოლურ ნიადაგზე თუ არსებობდა კიდეც „ხაბიჩი-ბათირის" ციკლი, ხამიცისა და ბათრაძის ალანური ციკლი მისგან მხოლოდ საკუთარი სახელებითაა დავალებული და შესაძლოა, მოტივების წყვილით. დანარჩენში იგი სავსებით დამოუკიდებელი და ორიგინალურია.

ამრიგად, ბათრაძის ციკლში, ისე როგორც სხვა ციკლებში, შეგვიწევს გამოვყოთ რამდენიმე დამოუკიდებელი სიუჟეტური ხაზი, რომლებიც ციკლიზაციის წესით ბათრაძის სახელთანაა თავმოყრილი. ციკლიზაციის უძველეს ელემენტებს უნდა მივაკუთვნოთ მითოლოგიური ელემენტები. ციკლის მითოლოგიურ ბირთვს შეადგენს, როგორც ეს წარმო-

ტებით გვიჩვენა ჟ. დიუმეზილმა, ჰეკა-ქუხილის ღვთაების სახე. ბათრაძის სახეში ზედა-მოანური, მითიური თვისებები ისე ნათლად ჩანს, რომ მის მითოლოგიურ საფუძველში დაეჭვება არ გვეხდება. ამ მითოლოგიური ბირთვის არგველივ აღმოცენდა რიგი სხვა წარმოშობის ეპიკურ-ჰეროიკული სიუჟეტები და მოტივები, რომელთაგან ყველაზე პოპულარული გახდა გვაროვნული ყოფის დამახასიათებელი მოტივი — სისხლის შურისძიება

მძვინვარება ჰეკა-ქუხილის ღვთაების დამახასიათებელი ნიშანია და იგი ბათრაძის უაღრესი თავისებურებაცაა. მას გააჩნია არა მარტო ელვის თვისებები, არამედ ქარიშხლისაც. გავიხსენოთ როგორ გაფანტა მან ნართი ქალების დამწყვარი ტანსაცმლის ფერფლი, ანდა მისი უკვე მკვდარი სხეულის „სუნთქვით“ როგორ იღუპებიან ათეულობით ზეციური ძალები.

შეიძლება წინააღმდეგობრივად მოგვეჩვენოს, რომ ქუხილის ღმერთი ბათრაძე, ქრისტიანი ეპოქის ქუხილის ღვთაებებს, ვაცილებს (წმ. ელია), ებრძვის, მაგრამ ეს წინააღმდეგობრიობა იმავე რიგისაა, როგორიც მზიური გმირის სოსლანის ბრძოლა მზის სიმბოლო ბალსაგის ბორბალთან. იგი კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს ბათრაძის მითოლოგიურ ბუნებას, ვინაიდან ლაპარაკია, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, ორი ეპოქის ერთგვარ ღვთაებას შორის ბრძოლაზე: წარმართულისა, რომელიც ბათრაძითაა წარმოდგენილი და ქრისტიანულისა, რომელიც ვაცილებითაა წარმოდგენილი.

ქრისტიანობის ბრძოლამ ქრისტიანობამდელ კულტურებთან ქრისტიანული ხალხების მრავალ ხალხურ-ეპიკურ ნაწარმოებს დააჩნია დაღი: რუსულ ბილინებს (დობრინიას და გველი და სხვ.), გერმანულ საგებს (ღმერთების მწუხრი და სხვ.), ისლანდიურ საგებს.

ნართული ეპოსი ძირითადად ქრისტიანობამდელია. მაგრამ ბათრაძისა და სოსლანის დაღუპვის დრამატულ ეპიზოდებში ისახა, როგორც ჩვენ გვგონია, ძველი წარმართობის ბრძოლა ქრისტიანობასთან. წარმართული გმირი ნახევრადღმერთი ბათრაძი იღუპება ქრისტიანულ ღმერთებთან, ქრისტიანულ ანგელოზებთან და ვაცილებთან ბრძოლაში. განსაკუთრებით საინტერესოა „სოფიოს აკლდამაში“, ე. ი. ბიზანტიის მთავარ ტაძარში, საიდანაც მოვიდა ქრისტიანობა ალანებთან, ბათრაძის ცხედრის დაბინავებასთან დაკავშირებული ეპიზოდი. საეჭვოა, რაიმე გავიგოთ ამ ეპიზოდიდან, თუ არ დავუშვებთ, რომ იგი სიმბოლურად გამოხატავს წარმართული სამყაროს კაპიტულაციას ახალი რელიგიის წინაშე, წინააღმდეგობა კი, რომელიც უკვე მიცვალებულმა ბათრაძმა გაუწია ამ დაბინავებას რომ უძღვოდა წინ, ამ ბრძოლის შეუპოვრობაა.

ბათრაძის სახის კავშირი სკვითებისა და ძველი არიელების წარმართულ კულტებთან დასტურდება პირდაპირი პარალელებით, რომლებიც აღნიშნული აქვს ჟ. დიუმეზილს. ბათრაძის მახვილის ზღაპარი ჩაშვების ცერემონია უპირისპირდება მახვილის კულტს სკვითებთან და ალანებთან.[18] „ასი ურემი ნახშირისაგან“ გაჩიჩებული კოცონი, რომელსაც წრთობის მიზნით გადააჯდება ბათრაძი, მოგვაგონებს „ასორმოცდაათი ურემი შეშის“ ყოველწლიურ გრანდიოზულ ნაგებობას, რომელიც სკვითებს კვარცხლბეკად ემსახურებოდათ ღმერთ-მახვილისათვის და რომლის ირგვლივაც ხოცავდნენ ტყვეებს.[19]

ერთ თქმულებაში, რომელიც ჩაწერილია გ. შანაევის[20] მიერ, ბათრაძის მახვილი თვითონაა გამოყვანილი როგორც ქუხილის ღმერთი. „თქმულება, — ამბობს გ. შანაევი, —

---

18 ალანებზე ამიან მარცელინი წერს, რომ ალანები მარსის გარდა სხვა ღმერთს არ სცნობენ, მას თაყვანს სცემენ ამოწვდილი მახვილის სახით, რომელიც მიწაშია ჩასობილი (XXXI, 2,23).

19 დიუმეზილს მიაჩნია, რომ თავდაპირველად სკვითებთანაც კოცონის შესახებ იყო ლაპარაკი, თუმცა ჰეროდოტე (IV, 62) ამაზე არაფერს გვეუბნება.

20 Сб. свед. о кавк. горцах, IX (1876), II, с. 21.

გვარწმუნებს, რომ ბათრაძის მახვილი ჩაგდებულია შავ ზღვაში... როცა დასავლეთიდან ელავს, ოსები ამ ელვარებას ბათრაძის მახვილის ბრწყინვას მიაკუთვნებენ, რომელიც ზღვიდან ზეცაში ავარდება ხოლმე უწმინდური სულებისა და ეშმაკების გასაქრობად".

იმ თვისებათა გამოკლებით, რაც ბათრაძს ახასიათებს, როგორც ჭუბინის ღმერთის მითოლოგიურ სახეს, მის ციკლში რჩება აგრეთვე რიგი მოტივებისა, რომელთაც თავის მხრივ, ფართო პარალელები გააჩნიათ მსოფლიო ფოლკლორში.

ნართების ეპოსში სასწაულებრივი თასის წარმოშობის მოტივის განსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს აშკარა პარალელს სკვითური ყოფიდან, რომელსაც ჯერ კიდევ ვს. მილერმა მიაქცია ყურადღება.[21] სასწაულებრივი თასი ვაკამონგა განსაზღვრული სახით რეაგირებდა ნართების მონაყოლზე თავიანთი გმირობის შესახებ და ამით საშუალებას აძლევდა მათ გაერჩიათ ნამდვილი გმირები.

აი რას გვიამბობს ჰეროდოტე (IV, 66) სკვითებზე: „წელიწადში ერთხელ ოქრის უველა უფროსი ბრძანებდა თასში ჩაესხათ წყალნარევი ღვინო. უველა სკვითი, რომელსაც მტერი მოეკლა, ამ თასიდან სვამდა. ხოლო რომელთაც ეს დამსახურება არ ჰქონდათ, არ შეეძლოთ თასს მიკარებოდნენ. ისინი სირცხვილნაჭამნი ისხდნენ მოშორებით. ეს თვის ეს უდიდესი შეურაცხყოფა იყო. რაც შეეხება მათ, ვისაც მრავლად დაეხოცა ტერი, ისინი ერთად შეერთებული ორი თასიდან სვამდნენ ერთდროულად".

სკვითების ამ ადათზე მიგვითითებს არისტოტელეც თავის „პოლიტიკაში": „სკვითების ერთ-ერთი დღესასწაულის დროს მას, ვისაც ჯერ ერთი მტერიც არ ჰყავდა ძოკლული, ნება არ ჰქონდა ჩამოტარებული თასი დაელია" („პოლიტიკა", VII, 2, § 6).

განსაკუთრებით ნართულ და ჰეროდოტესეულ მოთხრობებს შორის სიახლოვეს ნართებთანაც და სკვითებთანაც თასი „გმირობის განმსაზღვრელად" და გმირობისათვის ჯილდოდ გამოიყენებოდა. ამასთან დაკავშირებით ე. დიუმეზილი[22] აღნიშნავს იმ როლს, რომელსაც თასი სკვითების მითოლოგიაში ასრულებდა. ოთხი ოქროს ნივთი, რომლებიც სკვითების რწმენით, ციდან ჩამოცვივდა. იყო გუთანი, უღელი, ჩეგლუგი და თასი[23] ცნობილია, აგრეთვე, თუ რა როლს ასრულებდნენ ძველ ინდო-ირანულ კულტებში სადღეთო სასმელები და თასები.

ბათრაძის ციკლის ერთ-ერთი ცენტრალური ეპიზოდია ბათრაძის შურისძიება მამის სისხლისათვის. პატრიარქალურ-გვაროვნული ყოფის კლასიკურ მოტივს — სისხლის აღებას — შემთხვევით არ დაუკავებია ასეთი თვალსაჩინო ადგილი ოსურ ეპოსში.

ნართული ეპოსის განსაკუთრებულ სიცოცხლისუნარიანობაზე ლაპარაკისას ზემოთ ჩვენ მიეუთითებდით, რომ ამ სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთ მიზეზს უნდა ვეძებდეთ იმაში, რომ საზოგადოებრივი პირობები, რომლებმაც შვეს ეს ეპოსი, აგრძელებდნენ მის არსებობასა და კვებას კიდევ დიდხანს, თითქმის უახლეს დრომდე და აძხიერად იცავდნენ მას გაძვალების, დეერადაციის და დავიწყებისაგან. სისხლის აღების მოტივი ეპოსში შეეიდა გვაროვნულ-პატრიარქალური ურთიერთობების პირობებში და ბათრაძის ციკლის სხვა ელემენტების მიხედვით მსჯელობით, საკმაოდ შორეულ დროში. მაგრამ ეს პატრიარქალურ-გვაროვნული ურთიერთობები და ძასთან ერთად სისხლის აღებაც აგრძელებდნენ არსებობას და აყვავებას ოსურ ყოფაში მრავალი ასწლეულების მანძილზე. აი რატომ იყო და რჩებოდა ნართების ეპოსში ერთ-ერთ პოპულარულ და საყვარელ მოტივად მოთხრობა ბათრაძის მიერ მამის სისხლის აღების შესახებ. აი რატომ გამოდიან ეპოსში ბათრაძის გარდა სხვა გმირებიც, როგორც მამის სისხლის ამ-

---

21 Черты старины в сказаниях и быте осетин, с. 197.
22 Осетинский эпос и мифология, стр. 46.
23 იხ. ჰეროდოტე, IV, 5.

ლებნი: ასეთებია ალიმბეგის ვაჟი თოთრაძი, აცას ვაჟი აცამაზი, სოზრუყოს ვაჟები: ჯითარი და ბითარი. შემთხვევით არ წარმოადგენს სისხლის აღება აგრეთვე შედარებით უფრო ახალი წარმოშობის ცნობილი ხალხური ეპოსის „ავხარდთი ხასანას“ ძირითად შინაარსს.

სასტიკი და ულმობელი თანმიმდევრობა, როგორითაც ბათრაძი შურისმგებლის გალს ასრულებს, თანამედროვე მკითხველს შეიძლება საზიზღრობად მოეჩვენოს. მაგრამ ანგარიშის გაწევა გვიხდება ამასთან, რომ ეპოსი იქმნებოდა მკაცრი ზნე-ჩვეულებებისა და მკაცრი დროის პირობებში. ბათრაძის მოქმედება ნაკარნახეია არა ახირებით, არამედ მოვალეობის იდეით. მისი შურისძიება ეს სამართლიანობის ზეიმია, როგორც იგი გვაროვნული წყობილების დროს გაიგება. იგი თვითნებობისა და გაუმართლებელი სასტიკის ნაკლებ ელემენტებს შეიცავს, ვიდრე, ვთქვათ, კრიმჰილდეს შურისძიება „სიმღერაში ნიბელუნგებზე“. უფრო მეტი, მასში არის ცალკეული თვისებები რაინდული კეთილშობილებისა და დიდსულოვნებისა. ასე, მაგალითად, როცა ბათრაძი მის მიერ მოკლული საინგ-ალდარის მარჯვენას სათანას მიუტანს, სათანა ურჩევს მტრის მკლავი მის მახლობლებს დაუბრუნოს, რომ მიცვალებული პატივით მიაბარონ მიწას, რადგან ასონაკლული მიცვალებულის დამარხვა წესად არ იყო. და ბათრაძი უხმოდ ემორჩილება სათანას.

ხამიცის. სისხლისათვის ბათრაძის შურისძიების შესახებ მოთხრობის ცალკეული ეპიზოდებიდან განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ერთი: ბათრაძის მიერ საინგ-ალდარის მარჯვენის მოკვეთა და სათანასათვის მისი ნადავლად მიტანა. ამჟამად ეპოსმა ხომ არ შეინარჩუნა რომელიღაც ძველი ადათის გამოძახილი? ე. დიუშეზნილი შემდეგ პარალელზე მიუთითებს ჰეროდოტედან: ომის ღმერთს სკვითები მსხვერპლად არა მარტო ცხოველებს სწირავენ, არამედ ადამიანებსაც. ადამიანთა მსხვერპლშეწირვა შემდეგი წესით ხდება: ტყვეთა რიცხვიდან გამოარჩევენ ყოველ მესამეს და ჰკვეთენ მარჯვენა მკლავს მხარში. მკლავს შეისერიან ჰაერში და სადაც დაეცემა, იქვე ტოვებენ. ტანი სხვა ადგილზე რჩება.[24] როგორც ჩანს, სკვითებში, ისევე როგორც ნართებში, მარჯვენა ხელის მოკვეთა ითვლებოდა სირცხვილად, რაც მკვდარს პატივით დაკრძალვის უფლებას ართმევდა. ოსების ახლო მეზობლების ხევსურების მთის ქართველურ ტომებთან ცნობილია დამარცხებული მტრისათვის მარჯვენის, როგორც ნადავლის მოკვეთის ადათი. კედელზე დაკიდული მკლავების რიცხვი ხევსური მეომრის გმირობის საზომად ითვლებოდა.

მრავალრიცხოვანი პარალელები ბათრაძის ციკლისა და სკვითურ-ალანური რეალიებისა და ისევე ძველ ოსურ ყოფას შორის, უფლებას გვაძლევენ ვთქვათ, რომ ეს ციკლი თავის საფუძველში არის საკმაოდ ორიგინალური და ფრიად ძველი. ამასთან, მეორე მხრივ, უეჭველია, რომ სახელები „ხამიცი“ და „ბათრაძი“ არ არიან ორიგინალური, ოსური სახელები. ისინი აშკარა მონღოლური ხასიათისანი არიან და ზოგ სხვა ფაქტებთან ერთად მოწმობენ იმას, რომ ალანურმა ეპოსმა ნართებზე რომელიღაც ეპოქაში მონღოლური გავლენა განიცადა. საეჭვოა, რომ ეს გავლენა მხოლოდ რამდენიმე საკუთარი სახელით ამოიწურებოდეს. სახელებთან ერთად შესაძლოა ნასესხები იყოს სიუჟეტები და მოტივები. ნართულ ეპოსში მონღოლურ-თურქული ელემენტების გამოვლენის საქმეში ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გველის.

---

24 იხ. ჰეროდოტე, IV. 62.

ბათრაძის ციკლის მოტივებისა და სიუჟეტების ანალიზს მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ ეს ციკლი ყალიბდებოდა ფრიად დიდხანს. თავისი უძველესი ელემენტებით იგი მიდის ძველი დროის სიღრმეში. საუკუნეთა გრძელი რიგის მანძილზე მას ჩვენამდე მოაქვს სკვითურ-სარმატული ყოფისა და ირანული მითოლოგიის მოტივები. მეორე მხრივ, მასში მონღოლური გავლენის არსებობა ნებას გვაძლევს მისი საბოლოო ფორმირება დავთარიღოთ XIII—XIV საუკუნეებით. ამ ორ კიდურ თარიღს შუა: ერთი მხრივ, სკვითურ-სარმატული ეპოქის და მეორე მხრივ, მონღოლური პერიოდისა, მიმდინარეობდა, როგორც ჩანს, არა მარტო ბათრაძის ციკლის განვითარება, არამედ საერთოდ მთელი ნართული ეპოსისა.

ახლა გადავიდეთ ბათრაძისაგან სრულიად სხვა ტიპის გმირთან, სირდონთან.

სირდონი ეპოსის გმირებიდან ერთ-ერთ საყვარელ გმირს წარმოადგენს. მისი პოპულარობა ყველაზე სახელოვანი ნართების: სათანას, ურუზმაგის, ბათრაძის, სოსლანის პოპულარობას არ ჩამოუვარდება. მისი სახელი იქცა ეშმაკი და მოხერხებული. გაქნილი კაცის გამომსახველ საზოგადო სახელად, რომელსაც უნარი აქვს ყოველგვარ მბაკვიობის ჩადენისა, მაგრამ მას თავისი გამჭრიახობით შეუძლია მძიმე წუთებში იხსნას თავი და სხვებიც.

ნართული ეპოსი, სხვათა შორის, შესანიშნავია იმითაც, რომ მასში დიდი ადგილი უკავია იუმორს.[25] იუმორისტული საწყისის მატარებლად ეპოსში უპირატესად სწორედ სირდონი გამოდის.

იგი ეპოსის ყველა ციკლებში ფიგურირებს და ყოველთვის ინარჩუნებს თავის განუმეორებელ ინდივიდუალურობას. მასში არაფერია სოსლანისა და ბათრაზის ჰეროიკული სულისა და ძლიერებისა. მისი მთავარი იარაღია ენა — ბასრი, შხამიანი და ულმობელი, რომელსაც ყველგან განსხეთქილება და შუღლი შეჰქონდა. ეს იარაღი ხშირად უფრო საშიში და გამანადგურებელი იყო, ვიდრე მახვილი და ისარი უძლიერესი ნართებისა. მას ნართებისათვის მნიშვნელოვანი სამსახურის გაწევა უხდებოდა. მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მისი esperit mal tourne კარნახობდა მას ყოველგვარ მწარე ხუმრობას, რითაც საკმაოდ ატანჯებოდნენ ნართები. ტყუილად როდი მიეკერა მას თქმულებებში მუდმივი ეპითეტი „Нарты фыдбылыз“ — „ნართების ბოროტი ვნიად“.

სირდონი მაქციაა. მას შეუძლია სურვილის მიხედვით მიიღოს ბერიკაცის, მოხუცი ქალის, ქალიშვილის სახე. ერთ შემთხვევაში იგი ქუდადაც კი გადაიქცა.

მთელ ეპოსს წითელ ზოლად გასდევს სირდონისა და სოსლანის (სოზრუკოს) ურთიერთმტრობა.

სირდონის მამა წყლის სული ბათაგი ანუ გათაგი იყო. წყალთა მეპატრონის უფლების ბოროტად გამოყენებით გათაგმა აიძულა წყალზე წასული ნართი მზეთუნახავი თანაცხოვრებისათვის და ამ იძულებითი კავშირის შედეგად დაიბადა სირდონი. ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით ნართები კაი ხანს არ ღებულობდნენ სირდონს თავიანთ ალაგში. მხოლოდ მის შემდეგ, როცა მან თორმეტსიმიანი არფა გააკეთა და აჩუქა ნართებს, ამ უკანასკნელებმა — დატყვევებულებმა საოცარი ინსტრუმენტით, მიიღეს იგი თავიანთ წრეში.

სირდონმა პირველმა შეიტყო სათანას დაბადება მიცვალებულ ძერასასაგან და ისარგებლა ამით, რომ შეერცხვინა ურუზმაგი და ხამიცი. ეს მან დაიწყო მთელი ნარაინების თანდასწრებით ხამიცის ზრახვა, რომ მას ნართების ნადიმზე ცოლი ჯიბით დაჰყავდა.

---

25 ოსური ეპოსის ეს განმასხვავებელი თვისება თვალში გვხვდება განსაკუთრებით ისეთი ერთფეროვანი და ბუნდოვანი ნაწარმოებების შედარებისას, როგორიცაა სკანდინავიური ედა, ნიბელუნგები, ირლანდიური საგები.

შედეგად შეურაცხყოფილმა ბიცენთების ასულმა ქმარი მიატოვა და ბათრაძი იძულებული დარჩა უდედოდ გაზრდილიყო.

მკლის რჩეში სოსლანის წრთობისას სირდონმა დაარწმუნა, დაემოკლებინათ ვაკლი და შედეგად გმირს მუხლები უწრთობი დარჩა, რაც ბოლოს მისი სიკვდილის მიზეზად იქცა.

როდესაც ნართები თავიანთ ჯოგებს უძლიერეს მუქარას სამფლობელოში აზავნიდნენ, სირდონმა ისე მოაწყო, რომ კუნძისყრისას ჯოგის გარეკვა სოსლანს რგებოდა წილად, რათა ამ გზით დაეღუპა თავისი მტერი. ბერიკაკად, ბერიჭალად და ა. შ. გადაქცეული სირდონი გადაათქმევინებს სოსლანს გადაარჩინოს თავისი მეგობარი ძეხი, რომელიც ხიზის ციხის ალყის დროს სასიკვდილოდ დაიჭრა.

ჭუდად გადაქცეულმა სირდონმა მოუსმინა სოსლანის ლაპარაკს თავის ცხენიან და გაიგო რისგან ელოდათ სიკვდილი სოსლანსა და მის ცხენს. მოპოვებული ცნობებიც მან გამოიყენა იმისათვის, რომ დაეღუპა ერთიცა და მეორეც.

ბალსავის ბორბალმა, რომელიც დამარცხდა სოსლანთან პირველ შეტაკებაში, გადაწყვიტა უარი ეთქვა შემდგომ შებრძოლებაზე და მოეკლა კიდეც თავისი პატრონი. მაგრამ იგი მაშინვე იქ გაჩნდა ბერიკაკის, ბერიჭალის, ქალიშვილის სახეების თანმიმდევრული მოღებით. სირდონი დაეჭინებით ურჩევს ბორბალს თავისი პატრონი ბალსავი არ მოკლას, არამედ ხელმეორედ შეებრძოლოს სოსლანს. შედეგად სოსლანი იღუპება ბორბალის მიერ და სირდონს არ შეუძლია უარი თქვას მომაკვდავი მტრის ამბუჩად აგდების სიამოვნებაზე.

ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით, სხვა არავინ, თუ არა სირდონმა წააქეზა ასეთ ბათრაძი მისთვის საბედისწერო ბრძოლაზე ზეციურ ძალებთან.

ბორაგებისა და ახსართაგათების გვარების ბრძოლაშიც, ზოგი ვარიანტის მიხედვით, ასევე სირდონი თამაშობს წამქეზებელ როლს.

შიმშილისაგან გატანჯული ნართები როცა სრულ ღონემიხდილობამდე მიდიან, ქარგალ გამომძღარი სირდონი განსაკუთრებული სიამოვნებით დააბიჯებს მათ შორის და ორივე ულვაშზე ცხერის შიგნეულის მსუქანი მწვადის ნაჭერი ჰკიდია.

შინაური ცხოველებიდან სირდონს ჰყავს განთქმული ძეკნა, ცხოველი ზნით ღა ჩვეულებით საესებით ღირსი თავისი პატრონისა.

სირდონი ცხოვრობს სადღაც საიდუმლო ადგილას, სადაც ძალზე ძნელია შეღწევა. მის სადგომთან მისასვლელი დახლართული ღაბირინთია. მხოლოდ სირდონის ძაღლის ფეხზე ძაფის გამობმითა და ამ „არიადნას ძაფის" კვალზე მიდევნებით შეძლო ხამიცმა სირდონის სადგომში შეღწევა.

დიდტანიანი თქმულებები, რომლებშიც სირდონი მთავარ როლს თამაშობდეს, ბევრი არაა.

ფართოდაა ცნობილი მოთხრობა სირდონის მიერ ხამიცის ძროხის მოპარვაზე. შიმშილობის წელიწადს, როცა ნართები იძულებული გახდნენ შეეჭამათ უკანასკნელი სული საქონელი, სირდონმა ხამიცს ნასუქი ძროხა მოპარა. იმ დროს, როცა მის სახლში ძროხის ხორცი ქვაბში იხარშებოდა სირდონი „ნიხასში" გამოცხადდა და ხამიცი გააჭილიკა. ხამიცს გულში ეჭვმა გაკ ა. გადაწყვიტა, შეპარულიყო მის სახლში, იქ ხომ არ იყო მისი ძროხა? დიდი გაპირვებით, სირდონის ძაღლის ფეხზე გამობმულ ძაფზე მიყოლით შეაღწია მის ბინაში ხამიცმა. ქვაბში ხორცი იხარშებოდა. ცერას ირგვლივ უსხდნენ სირდონის ბიჭები (შვიდნი ან სამნი). იქვე იდვა ხამიცის ძროხის თავი. გამძვინვარებულმა ხამიცმა სტაცა ხელი სირდონის ბიჭებს, დაჩეხა და ჩაყარა ქვაბში. ხამიცის წამოსელის შემდეგ სირდონი შინ დაბრუნდა. ქვაბიდან ხორცს რომ იღებდა,

შეძრწუნებულმა იცნო თავისი ვაჟების სხეულის ნაწილები. უსაზღვრო იყო მისი მწუხარება.

მწუხარება ბოროტმოქმედსაც კი ამაღლებს და აკეთილშობილებს და ჩვენ ვხედავთ, რომ ამ უბედურების წუთებში სირდონი ჩვენს წინაშე იზრდება ნათელ, ტრაგიკულ ფიგურად და უნებლიე პატივისცემას შთაგვაგონებს. იგი აკეთებს არფას, ჰიმავს ზედ თორმეტ სიმს და მოთქმით გადმოაფრქვევს თავის მწუხარებას. ასე ჩნდება პირველ-ნართებში თორმეტსიმიანი არფა.

მუსიკა იბადება ტრაგედიიდან — ასეთია, როგორც ჩანს, აზრი, რომელიც ამ საუცხოო ეპიზოდშია ჩადებული. სირდონის გადებამ და მისმა არფაზე დაკვრამ მკაცრი ნართებიც კი შესძრა. მათ ამატიეს მას ყველა ადრინდელი ნამოქმედარი და მიიღეს თავიანთ წრეში, როგორც თანასწორუფლებიანი წევრი.

დანარჩენი მოთხრობები სირდონზე, უმთავრესად ანეგდოტების ხასიათს ატარებენ. რომლებიც ვეკონებენ ყაყასიური და თერქული ხალხების პოპულარულ ანეგდოტებს ზოჯა ნასრედინზე, ხშირად სიტყვა-სიტყვითაც ემთხვევიან მათ.

როდესაც ჩვენ ვცდილობთ თვალყური ვადევნოთ სირდონის სახის გენეზისს, უეჭველია, გვახსენდება მითოლოგიაში ცნობილი ბევრი ხალხის თაღლით-გმირთა ტიპები, ანუ ტრიკსტერების ტიპები (ინგლ. tricstér — „გაიძვერა", „მატყუარა"). ტრიკსტერი ეს თავისებური „ანტიგმირია". მისი საქციელი ხშირად ასოციალურია, ე. ი. შიძართულია მთლიანად კოლექტივის საზიანოდ. როგორც დავინახეთ ეს სირდონის ზევრი ქცევისთვისაცაა დამახასიათებელი. ამასთან ერთად, ტრიკსტერს შეიძლება გააჩნდეს კულტურული გმირის ზოგიერთი თვისებაც, რაც სირდონისთვისაც არაა უცხო ნართებისათვის ხომ მან პირველმა შექმნა არფა.

სირდონს ევროპული ხალხების ეპოსში ჰყავს თანამოძმეები: ისლანდიელი ბრიკრიუ, სკანდინაველი ლოკი.

გმირ-ტრიკსტერიდან სასიამოვნოა გადასვლა ისეთ სხვიმფინარ გმირზე, როგორიცაა აცამაზი.

აცამაზის სახელთან ეპოსში რამდენიმე სიუჟეტია დაკავშირებული.

მათში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს თქმულება აცამაზის მიერ აგუნდას დანიშვნასა და მათ ქორწილზე. ამ თქმულებაში აცამაზი გამოდის როგორც საოცარი მომღერალი და მუსიკოსი, სალამურზე დაკვრით მთელი ბუნების მომხიბვლელი.

თქმულება შემონახულია რამდენიმე ვარიანტად. ამათგან ერთი, რომელიც მახარებელ თუღანოვის მიერაა ჩაწერილი, მაღალმხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს. ზუსტად ეს ვარიანტი გვქონდა მხედველობაში, როდესაც ვწერდით: „სიმღერას აცამაზზე ეპოსში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მასში არ არის სცენები სისასტიკისა და სისხლისღვრისა, რომლებიც გვხვდება სხვა თქმულებებში. იგი უცხოა განგების ავბედით იდეათვის, რომელიც თავის ბნელ ჩრდილს აყენებს ნართების ისტორიის მნიშვნელოვან ეპიზოდებს. თავიდან ბოლომდე მზით, სიხარულითა და სიმღერით განმსჭვალულ ამ „სიმღერას", რომელიც, თავისი მითოლოგიური ხასიათის მიუხედავად, გამოირჩევა ღრმა ფოლოგიური დახასიათებების გამოკვეთილობითა და რელიეფურობით, ყოფიერი სცენების სიცოცხლიანობით, სავსეს ხატოვნებით, რომელიც შერწყმულია ზომიერების უტყუარ გრძნობასთან, სიტყვაკაზმულად უბრალოს შინაარსის მიხედვით და სრულს ფორმის მიხედვით, სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ ოსური ხალხური პოეზიის მარგალიტებიდან ერთ-ერთის სახელი"[26].

განხილული თქმულება აცამაზს აყენებს სახელგანთქმულ გრძნეულ-მომღერალთა

---

[26] «Из осетинского эпоса». 1939, с. 91.

რიგებში: ორფეოსის (ბერძნულ მითოლოგიაში, ვეფხისტყაოსნის კალევალაში, ჰორნტოსა „სიმღერაში გუდრუნზე". სიდკოსი რუსულ ბილინებში).[27] თუმცა არის ამ თქმულებაში რიგი ნიშან-თვისება, რაც საშუალებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ოსი ორფეოსი ტიპოლოგიურად განსხვავდება თავისი ევროპული თანამოძმეებისაგან და შესაძლოა, მათზე უფრო ძველიცაა. თუ ჩავუღრმავდებით მოქმედებათა აღწერას, რომელსაც იცამაზის დაკვრა ახდენს გარემომცველ ბუნებაზე, დავინახავთ, რომ ლაპარაკია არა უბრალოდ საუცხოო, მაგიურ, გრძნეულ სიმღერაზე, რომელსაც აქვს მზის ბუნება. მართლაც, ამ სიმღერაზე დნობას იწყებენ მარადი მყინვარები; მდინარეები ნაპირებიდან გადმოდიან; შიშველი ფერდობები მწვანე ხალიჩით იმოსებიან, მდელოებზე იშლება ყვავილები და ფუტკრები და პეპლები დაჰფარფატებენ; დათვები ზამთრის ძილისაგან იღვიძებენ და ბუნაგებიდან გამოდიან და ა. შ. მოკლედ, ჩვენს წინაშეა ოსტატურად დახატული გაზაფხულის სურათი. გაზაფხული მოჰყავს გმირის სიმღერას. გმირის სიმღერას აქვს მზის ძალა და მოქმედება.

ასეთი ნათელი ერთიანობა მიკრო და მაკროკოსმოსური ელემენტებისა საკარი მომღერლის მოტივში, რამდენადაც ვიცით, არ გვხვდება ევროპულ სიუჟეტებში. აცამაზი აქ გამოდის როგორც მზიური გმირი, მისი ქორწინება აგუნდასთან კი სხვა არაფერია, გარდა გაზაფხულის მითისა.

აქ ჩამოთვლილი მთავარი გმირების გარდა ნართულ თქმულებებში ეპიზოდურად მოქმედებენ კიდევ რიგი ბევრი რამით საყურადღებო სახელები, მაგრამ ისინი ეპიკური ციკლიზაციის ცენტრებად არ ქცეულან. ასეთებია: ალბეგის ვაჟი თოთრაძი, ბეძენაგის ვაჟი არახძავი, კანძის ვაჟი საკაი, სიბალცი, მარღუძი და სხვ.

არის რამდენიმე თქმულება, რომელნიც არ შეიძლება ერთ განსაკუთრებულ ციკლს მივაკუთვნოთ, რადგან მათში თანაბარი უფლებებით მონაწილეობენ ყველა გამოჩენილი ნართები. ასეთებია თქმულებები ახსართაგათებისა და ბორათების ბრძოლაზე და შავ (ანუ ოქროს) მელაზე.

ნართული ეპოპეა მთავრდება საინტერესო თქმულებით ნართების დაღუპვაზე.

ნართები გაშორდნენ სიცოცხლეს, რომ მარადიულად ცოცხლობდნენ სიმღერებში. მარადიული სიცოცხლის დათმობა მარადიული სახელისათვის — ნართების ეპოსის ძირითადი ეთიკური იდეა.

ღმერთთან ბრძოლის მოტივი, რომლითაც განმსჭვალულია ნართების დაღუპვის ეპიზოდი, ეპოსში არა ერთხელ გვხვდება. ეს მოტივი უდიდესი ძალთაა გამოსახული ბათრაძის ციკლში, მის ბოლო შეტაკებაში ზეციერებთან. სოსლანის ბრძოლა ბალსაგის ბორბალთან, არსებითად ასევე ზეციურ ძალებთან ბრძოლაა. ღმერთებთან ბრძოლის ამ მოტივების ფესვების შეუძლიათ გამომდინარეობდნენ უძველესი პრომეთე-ამირანის კომპლექსიდან, რომელშიც აისახა ადამიანის პირველი გაძალიანება ბუნების ტყეობისაგან თავის დაღწევისა და მისი დამორჩილების მიზნით (ცეცხლის მოპოვება და სხვ.). მაგრამ დაჟინება, როგორითაც ეს მოტივები მეორდება მთელ ეპოსში, არ შეიძლება აიხსნას, თუ არ ვივარაუდებთ, რომ ალან-ოსების უგვიანეს ისტორიულ ბედში იყო რაღაც მომენტები, რაც მათ არსებობას ხელს უწყობდა. ჩვენი აზრით, ასეთი მომენტი იყო ალანებში ქრისტიანობის შემოღება. ბათრაძის ბრძოლა და სიკვდილი, სოსლანის

---

[27] განსაკუთრებული სიახლოვე ჰორანტთან იმაში გამოიხატება, რომ მისი სიმღერა ქალის მოხიბვლას ემსახურება.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ აგრეთვე ავთანდილის სიმღერა რუსთაველის პოემაში „ვეფხისტყაოსანი".

ბრძოლა და სიკვდილი, და ბოლოს ნართების დაღუპვა, ეს, შეიძლება, ძველი პრიმიტიული წარმართული ნატურალიზმის ახალ, ქრისტიანულ კულტთან ბრძოლის პოეტური გამოხატულებაა.[28]

II. გენეტიკური და არეალური კავშირები

ვს. მილერმა და ჟ. დიუმეზილმა გვიჩვენეს, რომ ოსური ეპოსის გენეტიკურ კავშირებს მივყეყვართ ჩრდილოირანულ სკვითურ-სარმატულ ტომებთან, რომლებიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეებში სამხრეთ ოსეთში მოსახლეობდნენ. ამ მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა ბრწყინვალე შედარებითმა ანალიზმა ისეთი მკვეთრი პარალელები გამოაელინა ნართული თქმულებების მოტივებსა და სიუჟეტებს და სკვითსარმატ-ალანთა ლეგენდებსა და რეალიებს შორის, რომელნიც არ შეიძლება შემთხვევითი თანხვედომის რეზულტატად მივიჩნიოთ. ისინი ახსნებიან იმით, რომ წარსულში გარდასული სკვითურ-სარმატული და ალანური სამყარო მხატვრულად გარდაქმნილი სახით განაგრძობდა სიცოცხლეს ნართულ თქმულებებში. ეს იმითაც დასტურდება, რომ უფროსი თაობის ნართების სახელები ნათლად გამოხატულ ირანულ ხასიათს ატარებენ: Уæрхæг, Æхсар, Æхсæртæг, Уырызмæг, Сырдон (ვარხაგი, ახსარი, ახსართაგი, ურუზმაგი, სირდონი).

მაგრამ ეს უძველესი ბირთვი, იმ დროიდან რომ მომდინარეობს, რომელზეც ჰეროდოტე მოგვითხრობს, არასოდეს ყოფილა გარეშე იმპულსებისა და გავლენებისათვის კარდახშული, შეუღწევადი სამყარო. პირიქით, იგი ფართოდ იყო ღია იმ ხალხების მითოლოგიისა და ეპოსის ურთიერთმქმედებისათვის, რომლებთანაც სკვითებს, სარმატებს და ალანებს თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე კონტაქტები ჰქონდათ. საეჭვოა, როდისმე მოხერხდეს ამ არეალური კავშირების სრული აღდგენა. ჩრდილოირანული ტომების დასახლებისა და გადაადგილების ტერიტორია მეტისმეტად ფართო იყო, მეტისმეტად მრავალრიცხოვანნი იყვნენ ხალხები, რომლებთანაც ურთიერთშეხება ჰქონდათ ან შეეძლოთ ჰქონოდათ ოსთა შორეულ წინაპრებს. ძალზე ცოტა ვიცით ამ ხალხებიდან ბევრის მითოლოგიაზე და ფოლკლორზე. მაგრამ ზოგიერთ ევროპულ, თურქულ-მონღოლურ და კავკასიელ ხალხებთან კონტაქტებმა მაინც დატოვეს ოსურ ეპოსში საკმაოდ აშკარა კვალი.

უძველესი იყო კონტაქტები აღმოსავლეთ ევროპის არეალში სკანდინავიელთა, სლავიანთა, კელტთა, იტალიელთა.[29]

ოსურ ეპოსზე შესამჩნევი კვალი დატოვეს (როგორც რუსულ ბილინურ ეპოსზე) თურქულ-მონღოლურ ტომებთან. კონტაქტებმა. ნართულ-ონომასტიკაში თურქულ-მონღოლური შრე მოცულობისა და მნიშვნელობის მიხედვით უშუალოდ მისდევს ირანულს. მონღოლურიდან და თურქულიდან იღებენ ახსნას სახელები: ბათრაძი, ხამიცი, სოსლანი, ელთაყანი, საინაგი, მარღუძი და სხვ. არის ასევე დამოხვევები სიუჟეტებსა და მოტი-

---

28 გავიხსენოთ, რომ ტიტანი პრომეთეც ღმერთების უფროსი თაობის წარმომადგენილი იყო. ახალ ღმერთთან ზეუსთან ბრძოლაში, გამარჯვებული. ჩვენი აზრის დასამტკიცებლად ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ნართების ბრძოლის არა ერთი შემთხვევა სუფთა წარმართულ ღმერთებთან: ღმერთ-მჭედელ ქურდალაგონთან, ტყის ნადირის მფარველ ღმერთ ავსათისთან და სხვ. ნართებისათვის ყველა ესენი „თავისი ხალხია" („შინაურებია"). ნართები ებრძვიან მხოლოდ ქრისტიანიზებულ ზეცაში მცხოვრებთ: ვაცილებს (წმ. ელია), ეასთირჯის (წმ. გიორგი), ზადებს (ანგელოზებს), ოინონს (წმ. იოანე).

29 იხ.; ჩვენი «Скифо-европейские изоглоссы», М., 1965.

ვებში. ზოგი მათგანის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. განსაკუთრებული მნიშვნელობა მოცემულ კავშირში აქვს ოსური ეპოსის გმირების საერთო დასახელების — «нарт» ტერმინის წარმოშობას. წამოყენებულია ამ ტერმინის ბევრი ახსნა. უმრავლესობა თვლის, რომ ასე თუ ისე, იგი დაკავშირებულია ირანულთან nar — „მამალი“, „მამაკაცი“ (ლოპატინსკი, ბლაიხშტაინერი, ტრუბეცკოი, რკლიცკი, ბეიე, დიუმეზილი, ბეილი, ბენვენისტი). მაგრამ ასეთი განმარტება მიუღებელია; ირანული nar შეწარჩუნებულია ოსურ ფორმაში „нæл“ — „მამალი“ და არავითარი საფუძველი არ ეჭქვს ეიფიქროთ, რომ პარალელურად არსებობდა ფორმა нар. დაუჯერებელია, აგრეთვე, რომ ეპოსში, სადაც ცენტრალური ფიგურა არის ქალი (სათანა), გმირებს საერთო დასახელება „მამაკაცები“ ჰქონოდათ, რომ აღარაფერი ვთქვათ ასეთი სახელწოდების უფერულობაზე. ფორმა და ხმარება ტერმინისა „нæртæ“ არ ტოვებს ეჭვს, რომ იგი წარმოქმნილია ოსური საგვარეულო სახელების ტიპის მიხედვით მრავლობითობის ჩვეულებრივი მაჩვენებლის დართვით — тæ და, მაშასადამე, ნიშნავს „შვილები“ ანუ „შთამომავლები ნარის“. რას უნდა ნიშნავდეს აქ нар, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, ვის შვილებად ითვლებოდნენ ნართები? ამ კითხვის პასუხს ეპოლობთ ეთნოგრაფ-კავკასმცოდნის, გ. ფ. ჩუსინის ჩანაწარებში ოსი მთქმელის სიტყვებიდან: „ოდესღაც მზეს ჰყავდა შვილები, დევგმირი ნართები“ (კრებული „სამხრეთ ოსეთი“, ტფილისი, 1924, გვ. 209). სიტყვა „ნარა“ ნამდვილად ნიშნავს „მზეს“, მაგრამ ოსურში კი არა, ირამედ მონღოლურ ენაში. ამაში მოულოდნელი არაფერია. ალანურ-მონღოლური კავშირები ფრიად მჭიდრო იყო. ალან მომღერალთა შორის შესაძლოა ყოფილიყვნენ ისეთებიც, რომლებიც ორივე ენას ფლობდნენ. მათთვის ნარ იყო ჯანსაკუთრებული მითოლოგიური სახელწოდება მზისა, ჩვეულებრივი ირანული „ხურ“-„ხორ“-ისაგან განსხვავებით (სავსებით ისევე, როგორც, ვთქვათ, ბერძნულში პარალელურად არსებობდნენ Apollon, Phoebos და helios „მზე“). საჭიროა განა ლაპარაკი, სახელწოდება „მზის შვილები“ ისე რომ ესადაგება ნართულ გმირებს, უკეთესად ალარ შეიძლება!

ჩვენ ზემოთ დავადგინეთ, რომ ნართული თქმულებები თავისი ძირითადი სახეებით, სიუჟეტებითა და მოტივებით ალანურ-მონღოლურ ურთიერთობებზე გაცილებით უძველესია. რით აიხსნება, რომ ეპიკური გმირების საერთო სახელწოდება „ნართი“ უფრო გვიანდელი აღმოჩნდა, ვიდრე თვითონ ეს გმირები და მათი გმირობანი? რით აიხსნება, რომ უკვე ათასწლობით არსებობენ ხალხში ეპიკური სიმღერები, საერთო სახელწოდება გმირებისა „ნართი“ კი ჯერ კიდევ არ იყო. ეს კვლავ ბუნებრივია. ეპოსის განვითარების პროცესი ისე მიმდინარეობს, რომ საერთო მხოლოდ ბოლოს ჩნდება, ამ პროცესის დასკვნით ფაზაში. მანამდე არსებობენ ცალკეული თქმულებები ან ცალკეული ციკლები, რომელთა შეკრება და რაღაც ერთიანში თავმოყრა არავის უცდია.

ტერმინ „ნართის“, როგორც ყველა ეპიკური გმირის საერთო სახელწოდების გაჩენა მოწმობს ალანური ეპოსის განვითარების დამამთავრებელ ფაზას. მან წარმოაჩინა საჭიროება ცალკეული თქმულებებისა და ციკლების ერთ მთლიან და ყოვლისმომცველ ეპიკურ ციკლში გაერთიანებისა და საამისოდ ბიძგი მონღოლურმა გაელვამ მისცა. ამაში იყო რაღაც საერთო და კანონზომიერი როგორც ალანური, ისე რუსული ბილინების ბედისათვის. აკი რუსულ ბილინებშიც გმირთა საერთო სახელწოდება „богатырь“ (გოლიათი) ასევე ნასესხებია მონღოლურიდან და გაჩნდა მხოლოდ მონღოლური ეპოქიდან. ამასთან თვით ბძლიანებს მონღოლთა შემოსევამდე მრავალი ასწლეულებით ადრე მღეროდნენ.

რატომ სახელდობრ მონღოლურ გაელენას ხვდა წილად შეესრულებინა ასეთი როლი ალანური და რუსული ეპოსის განვითარების დამამთავრებელ ფაზაში? აქ, ალბათ,

მიზეზების მთელი მწკრივი მოქმედებდა, რომელთა მთლიანად დადგენა ახლა ძნელია. მაგრამ საკმარისია მივუთითოთ შემდეგ სამ ფაქტორზე:

1. მონღოლები უმდიდრესი ეპოსის ხალხია.

2. მონღოლებთან ალანთა ურთიერთობანი ატარებდნენ ხანგრძლივ და ინტენსიურ ხასიათს.

3. მონღოლებთან შეტაკება და მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობა ტომთაშორის ურთიერთობათა გამოცოცხლების ბიძგი გახდა, კერძოდ, თვით ალანი ხალხის დაშლილი დრუჟინულ-გვაროვნული ჯგუფების დაახლოებისა. ამას უეჭველად ახალი გაქანება უნდა მიეცა ეპიკური შემოქმედებისათვის, სტიმული მიეცა მომღერალთა ცდებისათვის, რათა ცალკეული დრუჟინულ-გვაროვნული თქმულებები რაღაც უფრო ერთიანსა და მთლიანში მოექციათ.

ნართების ეპოსმა განსაკუთრებული ეროვნებათშორისი არეალური ერთობა შექმნა კავკასიაში მცხოვრები ოსი, ადიღელი (უაბარდოელი, ჩერქეზი, ადიღელი, აბაძეხი და სხვ.), აფხაზი, ბალყარელი, ყარაჩაელი, ჩეჩენი და ინგუში ხალხებისა. აქ ლაპარაკია უკვე არა ცალკეული მოტივებისა და სიუჟეტების მსგავსებაზე, არამედ ეპიკური ინვენტარის საერთო საფუძველზე, მთავარი გმირების იგივეობაზე, გმირთა საერთო სახელწოდებაზე „ნართი“.

თუ თქმულებათა შინაარსს მივმართავთ, აქაც ვიპოვით მნიშვნელოვან ერთობას და ძირითადი სიუჟეტების იგივეობას. კომპოზიციათა მსგავსებას ოსურ, უაბარდოულ, ბალყარულ და სხვ. ვარიანტებს შორის. ამაში დარწმუნება ადვილია თუნდაც ჟ. დიუმეზილის წიგნით „legendes suz les Nartes“, სადაც პარალელურადაა მოცემული ფრანგული თარგმანი ან თხრობა სხვადასხვა ნაციონალური თქმულებებისა.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩვენს წინაშეა მთლიანი ეპიკური ციკლის ვარიანტები ან ფრაგმენტები. კავკასიელ ფოლკლორისტთა შორის წარმოიშობა დავა, თუ კავკასიის რომელ ხალხს ეკუთვნის ნართული ეპოსი? ამ კითხვაზე პასუხი ძალზე იოლია: ეპოსი ამ ხალხს ეკუთვნის, რომელთანაც იგი მკვიდრობს. ეს ნიშნავს, რომ ოსური ვერსიები ეკუთვნის ოსებს, უაბარდოული — უაბარდოელებს, აფხაზური — აფხაზებს და ა. შ. ხალხები თავიანთ სიმღერებსა და ლეგენდებს არა გარედან იძენენ, არამედ თავიანთი სულის საგანძურიდან, თავიანთი ისტორიული გამოცდილებიდან, თავიანთი ცხოვრების ყაიდიდან. ადვილად ვრწმუნდებით, რომ კავკასიის ყოველ ხალხთან ნართული თქმულებები შინაარსით, ყოფითი რეალიებით, ფორმით, პოეტიკით, სტილით, შესრულების მანერით ნაციონალური ფოლკლორის ტრადიციების, ნაციონალური კოლორიტის თვისებებს ატარებენ.

სხვა საქმეა საკითხი თქმულებათა გარეგანი ინვენტარის, საკუთარ სახელთა და სხვ. გენეზისზე. არ შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ ტერმინი „ნართ“, ან მთავარ გმირთა საკუთარი სახელები ყველა ხალხთა დამოუკიდებლად წარმოიშვა. აქ სავსებით მართებულია დაისვას საკითხი ნაციონალური პირველსაწყისის შესახებ. ამ საკითხის გადაწყვეტისას არსებითია შემდეგი მომენტები:

1. ტერმინი „ნართ“ შეიცავს მრავლობითობის ოსურ მაჩვენებელს „თ“ და წარმოქმნილია ოსურ გვაროვნულ სახელთა ტიპის მიხედვით. მაშასადამე, კავკასიის სხვა ხალხებში იგი შეიცვლა ოსური ფორმით;

2. ზოგიერთ სიუჟეტებს, როგორც ვს. მილერმა და ჟ. დიუმეზილმა გვიჩვენეს, სრული ანალოგია აქვთ ოსების შორეული წინაპრების სკვითურ-სარმატული ტომების ყოფასა და ჩვეულებებში (იხ. ზემოთ);

3. სახელები: ვარხაგი, ახსარი, ახსართაგი, ურუზმაგი, ჭალის სახელი აცირუხსი, გრძნეული თასის ვაცამონგას სახელწოდება — უდაოდ ირანული წარმოშობისაა;

4. მთავარი გმირის სათანას სახელი, თუმცა მთლად ნათელი არაა მისი წარმოშობა, განუყოფელია ალანების დედოფლის სახელის სათენიკისაგან, რომელიც შენარჩუნებულია სომეხი რაფსოდების მიერ ჩვენი წელთაღრიცხვის II საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით (ალანთა ლაშქრობა ამიერკავკასიაში);

5. სახელი სოსლანი, როგორც ჩანს, თურქული (ნოღაიური) წარმოშობისაა, დასტურდება ოსურ ნიადაგზე ჩვენი წელთაღრიცხვის XII საუკუნიდან (თამარ მეფის მეუღლე დავით სოსლანი ოსი მფლობელი იყო); სახელი სოზრუყო სახელ სოსლანის „ადიღეიზაციაა“ კანონზომიერი შეფერხებით ლ>რ;

6. სახელი ბათრაძი წარმოქმნილია ბათირ-ას-იდან და ნიშნავს „აასური (ალანური)“ გოლიათი.

ყოველივე ეს ეჭვს არ ტოვებს იმაში, რომ ეპოსს მატერიალურ ბირთვად მოემსახურა ძველი ალანური ციკლი, რომელიც ზოგი ელემენტით ჯერ კიდევ სკვითური ეპოქიდან მოდის და განუწყვეტლივ მდიდრდება სხვა ხალხებთან, მათ რიცხვში კავკასიელ ხალხებთან კონტაქტების ხარჯზე.

კერძოდ, ფართო გავრცელება, რომელიც მიიღო ოსურ ვერსიებში სახელმა სოზრუყომ, მკვირმეტყველურად ლაპარაკობს ოსურზე ადიღეურის უკუგავლენის შესახებ. ასეთ დასკვნამდე მივყევართ მასალის არაწინასწარაკვიატებული, ობიექტური გარღვევლობით შესწავლას. ასეთ დასკვნამდე მიდის, კერძოდ, გამოჩენილი მითოლოგი და ჩვენი დროის კავკასძოლოგი დიუმეზილი.[30]

ნართული ეპოსის ისტორიული ბედის ჩვენი მოკლე მიმოხილვის შეჯამებისას შეგვეძლია დავასკვნათ, რომ შედარებითმა შესწავლამ მიგვიყვანა ზოგიერთ საკმაოდ დასაბუთებულ დასკვნამდე:

1. ეპოსის სათავეს მივყავართ ჩრდილოკავკასიური ტომების სკვითების, სარმატების, ალანების ლეგენდებთან;

2. ეპოსში აირეკვევა არეალური შეხვედრები, კონტაქტები და ურთიერთმოქმედება სხვა ხალხთა ფოლკლორთან: ევროპულისა (სკანდინავიელები, სლავები, კელტები, ტალიელთა წინაპრები), თურქ-მონღოლურისა და კავკასიის ხალხებისა.

---

30 იხ. მაგალითად მისი Mythee ét épopéé (1968), გვ. 453, „სწორედ ოსებთან და უეჭველად, კიდევ მათ შორეულ წინაპრებთან ჩამოყალიბდა ეპოპეის ბირთვი, მისი მთავარი პერსონაჟები. მე ვიცი, რომ ამ მსჯელობის დაბეჭდვით გულს ვატკენ ჩემს ჩერქეზ და აფხაზ მეგობრებს, მაგრამ magis amica vèrutas (ჭეშმარიტება უფრო ძვირფასია), თავის საფუძველში ნართული ეპოსი ოსურია. იგი ბევრ მეზობელ ხალხთან იყო ადაპტირებული, მრავალფეროვნად ტრანსფორმირდებოდა, დანაკარგებითა და გამდიდრებებით, განსაკუთრებით სხვადასხვაგვარი მორალური ელფერის შეძენით“.

III. მითი და ისტორია თქმულებებში ნართებზე

ხალხური ეპოსი, როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვისა და პოეტური გარდაქმნის განსაკუთრებული ფორმა, ხალხის შეგნებაში ახსნას მოითხოვს. ახსნას ითხოვს ნართების ეპოსიც. რა იფარება მისი სახეების, მოტივების, სიუჟეტების მიღმა? წარსულ საუკუნეში ხალხურ-ეპიკური ნაწარმოებების, კერძოდ, რუსული ბილინების შესწავლაში წარმოიშვა დავა ორ მიმართულებას შორის — მითოლოგიურსა და ისტორიულს შორის. ამ დავის გამოძახილი დღემდეც ისმის. დავა მიმდინარეობს იმაზე, რა უფრო უპირატესადაა ასახული ხალხურ ეპიკურ თქმულებებში, მითები, ე. ი. ბუნების მოვლენებისა და ხალხის ცხოვრების ხატოვანი — პოეტური გააზრება და „ახსნა“, თუ რეალური ისტორიული ფაქტები, მოვლენები, პიროვნებები. სხვაგან ჩვენ შევეცადეთ ძველირანული რელიგიისა და მითოლოგიის მასალაზე გვეჩვენებინა, რომ არ არსებობს ასეთი ალტერნატივა: ან მითი, ან ისტორია. ერთიცა და მეორეც, მითიც და ისტორიაც, თანაარსებობენ როგორც რელიგიურ სისტემაში, ასევე ხალხურ ეპოსშიც[31].

ეპოსში მითოლოგიურისა და ისტორიულის შეხამება — ეს არ არის რაღაც შემთხვევითი და ეფემერული. იგი კანონზომიერია და გარდუვალი. იგი იმ ფაქტის შედეგია, რომ ეპოსის შემქმნელთ — ხალხურ მთქმელებსა და მომღერლებს ხელთ აქვთ ერთი მხრივ, ტრადიციული მითოლოგიური, ფოლკლორული სახეების, სიუჟეტური სქემების, მოტივების ცნობილი ინვენტარი, მეორე მხრივ, ისინი არიან თავიანთი საუკუნის შვილები, თავიანთი ნაციონალური და სოციალური გარემოსი თავის კონკრეტული მოვლენებით, კონფლიქტებით, ყოფითი და ფსიქოლოგიური რეალიებით. ეს სინამდვილე მბრძანებლურად იჭრება მითებში და სწორედ ამიტომ ყოველი ხალხური ეპოსი არა მარტო მითებისა და ზღაპრების კრებულია, არამედ ძვირფასი ისტორიული წყაროც. რა თქმა უნდა, მითის ისტორიიდან გამოყოფა ყოველთვის ადვილი არაა. ზოგჯერ შეიძლება ისტორიული მითიურად მივიღოთ და მითიური კი ისტორიად. და აქ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობაც და კამათიც. მაგრამ ეს იქნება უკვე პრინციპიალური დავა არა ორ სხვადასხვა „სკოლას“ შორის, არამედ მეორეხარისხოვანი სხვადასხვაობა ძეგლის ცალკეული ელემენტების განმარტებაში.

ნართული ეპოსი იძლევა კეთილშობილურ მასალას ორასპექტიანი კომპლექსურ-ეგზეგეტიკური მიდგომისათვის. მასში მრავალსახოვნად და უცნაურადაა შეხამებული და გადახლართული მითი და ისტორია.

ცალკეული ციკლების განხილვის დროს ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ყოველი მათგანის პირველსაწყისი ესა თუ ის მითოლოგემაა: ტოტემური და ტყუპური მითები ახსარისა და ახსართაგის ციკლში; მითი პირველ ადამიანურ წყვილზე ურუზმაგისა და სათანას ციკლში; მითი მზიურ და კულტურულ გმირზე სოსლანის ციკლში; ჭიქა-ჭუხელის მითი ბათრაძის ციკლში; გაზაფხულის (მზიური) მითი აცამაზის ციკლში. შედარება სხვა ხალხების მითოლოგიასთან, კერძოდ, ინდოირანულ, სკანდინავიურ, კელტურ, იტალიურ მითოლოგიასთან, უფლებას გვაძლევს გამოვავლინოთ მითოლოგიური სუბსტრატი ამ შემთხვევებშიც, სადაც იგი გაბუნდოვნებული იყო შემდგომდროინდელი ახლებური გააზრებებითა და დანაშრევებით.

კარგ მაგალითია სათანასა და ურუზმაგის სისხლაღრევითი ჭორწინება. შეიძლებოდა აქ დაგვენახა ენდოგამური ადათის გამოძახილი, რაც წარსულში არსებობდა ზოგ ხალხში და მათ შორის ირანულში. მაგრამ შედარებითი მითოლოგიური მასალის მოხმობა

---

31 იხ.: «Миф и история в Гатах Зороастра». Историко-филологические исследования. Сб. статей памяти Н. И. Конрада. М., 1974, с. 310—321.

გვარწმუნებს, რომ ასეთი გადაწყვეტა ძალზე ნაჩქარევი იქნებოდა. ინდო-ირანული ხალხების უძველეს რელიგიურ და მითოლოგიურ ძეგლში რიგვედაში და-ძმა, ითმი და იმა ადამიანთა მოდგმის წინაპრებია. თვით ისინი კი იშვნენ ღვთაება განდარვასა და „წყლის ასულისაგან (apua uosa). გავიხსენოთ, რომ ურუზმაგი და სათანაც ასევე „წყლის ასულის“, წყალთა მფლობელ დონბედთირის ასულისაგან იშვნენ. ურუზმაგსა და სათანაზე თქმულებების ყველა ვარიანტებში მეორდება ერთი მოტივი: სათანა ქორწინებისთვის აქტიურობს, ურუზმაგი ეწინააღმდეგება. ასევეა იამასა და იმას ეპიზოდშიც.

თუ ნართული ეპოსის მითოლოგიური საფუძველი ეჭვს არ იწვევს, მაშინ ასევე უდავოა მისი ისტორიულობაც. ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, ტრადიციულ მითოლოგიურ სქემებს, მოდელებსა და მოტივებს შორის როგორ ჟონავს ისტორიის თვისებები, კონკრეტული ხალხის კონკრეტული ისტორიის თვისებები.

ჩვენი ეპოსის ისტორიულობა მდგომარეობს ჯერ ერთი იმაში, რომ მასში — უმრავლეს თქმულებებში — ასახულია გარკვეული საზოგადოებრივი წყობა. ნართულმა საზოგადოებამ ჯერ არ იცის სახელმწიფო. მისთვის დამახასიათებელია გვაროვნული წყობილება (საგვარეულო ორგანიზაცია) მატრიარქატის აშკარა გადმონაშთებით (სათანის სახე). ნადავლის მოსაპოვებლად სამხედრო ლაშქრობებით გატაცება გვაროვნული წყობილების იმ სტადიაზე მიგვითითებს, რომელსაც ენგელსი უწოდებდა სამხედრო დემოკრატიას. ჩვენ ვიცით, რომ ეს წყობა იყო ზუსტად სარმატული ტომებისათვის დამახასიათებელი.

ეპოსში ალანური ისტორიის კონკრეტული მოვლენებიდან ნათლად და დრამატულად აისახა ბრძოლა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. თავისი სულისკვეთებითა და შინაარსით ჩვენი ეპოსი — წარმართული ქრისტიანობამდელი ეპოსია. თუმცა მასში ფიგურირებენ ვასთირჯი (წმ. გიორგი), ვაცილა (წმ. ელია) და სხვა ქრისტიანული პერსონაჟები, მაგრამ ქრისტიანული მათში მხოლოდ სახელებია, მათი სახეები წარმართულ სამყაროდან მოდის. ამასთან ერთად ეპოსში, როგორც ჩვენ ვცდილობდით გვეჩვენებინა, ასახვა ჰპოვა ქრისტიანობის წარმართობასთან ბრძოლამ. სოსლანი, ბათრაძი — ესენი წარმართული სამყაროს გმირებია, რომლებიც იღუპებიან ახალ ღმერთთან და მის მსახურებთან ბრძოლაში. ბათრაძის კაპიტულაცია წმ. სოფიოს წინაშე (Софийы взяпада). ეს არის წარმართული ალანიის კაპიტულაცია ბიზანტიურ ქრისტიანობის წინაშე. ეს ისტორიული კაპიტულაცია, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა V და X საუკუნეებს შუა. X საუკუნეში ქრისტიანობამ, უოველ შემთხვევაში ნომინალურად, მთელ ალანიაში გაიმარჯვა და შეიქმნა ალანთა ეპარქია. ბათრაძის და სოსლანის სიკვდილის ეპიზოდებში ნართული ეპოსი გამოდის როგორც „წარმავალი წარმართობის“ ეპოსი.

ნართულ თქმულებებში მკაფიო გამოძახილი ჰპოვეს ალანურ-მონღოლურმა ურთიერთობებმა.

შემოინახეს თუ არა თქმულებებმა ხსოვნა რომელიმე კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებაზე?

ყველა საფუძველი არის, რომ ვირწმუნოთ სახელები სათანა-სათენიკ, სოსლანი და ბათრაძი რეალურ ისტორიულ პერსონაჟებს ეკუთვნოდნენ.

სახელი ბათრაძე — ბათირ-ას — богатирь асский „წარმოადგენს ქართული ოს-ბა-ღათარის — богатирь осский (осетинский) მონღოლურ ვარიანტს. ასე უწოდებს ქართული ქრონიკა ოს წინამძღოლს (XIII—XIV სს. ჩვ. წ. ა), რომელიც მონღოლთა პერიოდში საქართველოს ეომებოდა და კერძოდ, გორის ციხე აიღო, რაც ზოგიერთ ნართულ თქმულებებში მიეწერება ზუსტად ბათრაძს. როგორც ზოგიერთი ოსური გადმოცემის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, მისი ნამდვილი სახელი ყოფილა ალღუზი. რა-

ტომ შეინარჩუნა ეპოსმა ამ გმირის სახელი მონღოლური ფორმით? ალბათ, იმიტომვე, რისთვისაც სერბები თავიანთ ნაციონალურ გმირს შავ გიორგის თურქულ ყარა გიორგას ეძახდნენ, ესპანელები კი მავრებთან ბრძოლის გმირს დე ბივარს — არაბულ სიდს.

ბათრაძის ციკლში ფიგურირებს რაღაც ურჩხული ყანძარგასი, რომელსაც ბევრი ნართი ჰყავდა ტყვედ დ- მათ შორის ბათრაძის პაპის მამა ვარხაგი. სავსებით დასაშვებია, რომ ყანძარგასი — ეს დამახინჯებული ყან-ჩენგესი, ე. ი. ჩძნგიზ ყაენია.[32]

ნართებისადმი მტრულ ურთიერთობაში მყოფი ხალხის აგვერ დასახელებაში შეიცნობა თურქული ეთნიკური ტერმინი ოგურ[33].

ნართული ეპოსის ისტორიულობაზე ლაპარაკისას არ შეიძლება დუმილით ავუაროთ გვერდი მის კიდევ ერთ თავისებურებას: რეალიზმს; რეალიზმი სოციალური და ყოფითი ვითარების ასახვაში, ხასიათების დასურათებაში.[34] იქ, სადაც გამონაგონის, ფანტასტიკის სამფლობელოდან ვერ გამოვდივართ, რეალიზმზე ლაპარაკი უცნაურად გვეჩვენება. სხვათა შორის კი, ეს ნამდვილად ასეა: ნართული ეპოსი ღრმად რეალურია. ძნელია უბრალო ძთიელი დაარწმუნო იმაში, რომ ნართები სინამდვილეში არ არსებობდნენ. იგი მზადაა დაგეთანხმოს, რომ ბევრი გმირობა და თავგადასავალი ნართული გმირებისა გამოგონილია, მაგრამ თვით ამ ხალხის, ასეთი ცოცხალის, ასეთი რელიეფურის — თითქოს მთლიანი ლოდისაგან გამოკვეთილს — გამოგონება თუ შეიძლება, ამას იგი ვერანაირად ირწმუნებს.

მხატვრული საღებავებით ხატავენ თქმულებები ნართული საზოგადოების ყოფა-ცხოვრების და ზნე-ჩვეულებათა სურათებს.

ტოტემიკური პლანით მგლისაგან და კოსმიური პლანით მზისაგან წარმოშობილი ნართები თავიანთი ორგვარი ბუნების ერთგულნი რჩებიან. როგორც მგლის შვილებს, მათ ყველაზე ძლიერ ნადირობა, ომები, თარეში, ლაშქრობა უყვართ; როგორც მზის შვილებს მათ უყვართ სიცოცხლის შმაგი სიხარული, ნადიმი, სიმღერები, თამაშები, ცეკვები.

თქმულებათა საფუძველზე იმის განსაზღვრის ცდას, თუ უპირატესად რა საქმიანობაში ატარებდნენ დროს ნართები, ამ დასკვნამდე მიეყვანართ, რომ ორი ასეთი საქმე ჰქონდათ: ერთის მხრივ, ნადირობა და საშოვრისათვის მოწყობილი ექსპედიციები, მეორეს მხრივ, მხიარული და უხვი ნადიმი, რომლის დროსაც ათობით სულ პირუტყვს კლავდნენ, უშველებელ ქვაბებით ედგათ ლუდი და რონგი და ნადიმს თან ახლდა მგზნებარე, ცეცხლოვანი ცეკვები. ცეკვები განსაკუთრებით ხშირადაა ნახსენები და თანაც არა როგორც შემთხვევითი, არამედ როგორც ნართული ყოფის არსებითი, ელემენტი როგორც სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმე, რომელსაც ნართები მთელი სულით ეძლეოდნენ.[35] სავსებით შესაძლებელია, რომ ცეკვას ჰქონდა რიტუალური მნიშვნელობა. სხვანაირად გაუგებარია, მაგალითად, როგორ შეეძლოთ ნართებს ეცეკვათ, როცა ოგურთა ჯარი გარს შემორტყმოდათ და მზად იყვნენ სოფელში შეჭრილიყვნენ.

რაც შეეხება ნართულ „ბალცებს“ და „ხათანებს“ („ლაშქრობა“ და „თარეში“) მათი ხასიათის თაობაზე არ შევცდებით. ეს იყო მტაცებლური, „მგლის“ ლაშქრობები, რომელთა მთავარი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ სხვისი საქონელი, განსაკუთრებით ცხენები წაელალათ.

---

32 იხ. ჩვენი სტატია «Историческое в нартовском эпосе» в сб. «Нартский эпос». Дзауджикау, 1949, с. 46.

33 იხ. Историко-этимологический словарь осетинского языка. М.-Л., 1958. I, 36—37.

34 იხ. Б. В. Скитский. Нартский эпос как исторический источник. — Сб. «Нартский эпос», 1949. с. 21—34.

35 ამ გარემოებამ მისცა კიდეც საბაბი ჟ. დიუმეზილს დაეკავშირებინა ტერმინი ნართი სანსკრიტულ nart-თან — „ცეკვა“.

ომახიან ნართებს არაიშვიათად ვხედავთ შეფიქრიანებულებს იმითი, ხომ არსად დარჩათ სადმე დაულაშქრავი, ასაოხრებელი მხარე? თვით ფაქტი, რომ ასეთი მხარე სადღაც დარჩათ, საკმარისი მოტივი იყო სალაშქროდ გამგზავრებისა.

ეს თავისებური ყოფა და ფსიქოლოგია, რომელიც ასახულია ნართული ეპოსის უძველეს შრეში, არაფერს შემთხვევითს არ შეიცავს. ეს იმ ეპოქის და იმ ცხოვრების ყაიდის ყოფა და ფსიქოლოგიაა, რომელშიც დაიბადა ჩვენი ეპოსი. საჭირო ობიექტურობით რომ შევეკიდოთ და განვსაზღვროთ მისი ადგილი ადრინდელი საზოგადოებრივი ფორმების განვითარების ისტორიაში, უნდა გადავიდეთ ამ საზოგადოებაში თავისი სამხედრო-დრუჟინული ორგანიზაციით, თავისი მუდმივმოუსვენარი და მჩქეფარე ცხოვრებით, თავისი მუდმივი ტომთაშორისი და გვართაშორისი ომებით და შეტაკებებით, თავისი სიმამაცის კულტით და მტაცებლური „გმირობით". რასაკვირველია, არც ჰომეროსული საზოგადოება, არც ნიბელუნგების საზოგადოება, არც რუსული ბილინური საზოგადოება, სადაც სახელმწიფო ყველგან ჩანს, როგორც ჩამოყალიბებული ინსტიტუტი, არ შეიძლება ნართების საზოგადოებასთან ერთ ისტორიულ რიგში ჩავაყენოთ. ევროპული ეპოსებიდან მხოლოდ უძველესი ირლანდიური საგები გვაძლევენ ნართულ საზოგადოებასთან ტიპოლოგიურად ახლომდგომ სურათს.

ნართების მტრებად და მათი სიმამაცის ობიექტებად გამოდიან, ერთი მხრივ, გოლიათები „ვაიგები" (დევები), მეორე მხრივ, ალდარები, მალიქები, ე. ი. თავადები, ფეოდალები. თუ პირველნი მოდიან ზღაპრული ფოლკლორიდან და სიმბოლურად გამოხატავენ, როგორც ჩანს, ბუნების უხეშ, დაუმორჩილებელ ძალებს, რომლებთანაც ბრძოლა უხდება ადამიანს, — კულტურის შემოქმედს, ბრძოლა ალდარებთან კი რაღაც რეალური ისტორიული ამბების ბუნდოვან გამოძახილს შემოინახავს. ნართების დაპირისპირება ალდარებთან — ესაა სამხედრო-გვაროვნული დემოკრატიის დაპირისპირება მის მეზობლებთან უკვე ფორმირებულ ფეოდალურ წესებთან.

ალდარების ქონების დანიავებით და მათი პირუტყვის ჯოგების გატაცებით ნართები გამოდიან თანამედროვე ენაზე რომ ვთქვათ, როგორც ექსპლოატატორთა ექსპროპრიატორები.

წოდებრივი დაყოფის ნიშნები, რომლებიც ზოგიერთი ვარიანტის მიხედვით თვით ნართულ საზოგადოებაში შეგვეძლია დავინახოთ, უნდა მივიჩნიოთ მოგვიანო დანაშრევებად, რადგან უძველესი თქმულებების მიხედვით ისინი მთელი ცხოვრების ყაიდის ცუდად ეხამებიან. ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს აშკარა გაუგებრობებსაც. ასე, მაგ., მონის ორ-სამჯერ ხსენება სრულიად უსაფუძვლოდ წამოიწევა, როგორც ნართებში კლასობრივი დაყოფის დამამტკიცებელი საბუთი. მონობას, როგორც სოციალურ ინსტიტუტს, თქმულებებში ჩვენ ვერ ვხედავთ, ხოლო თავდასხმების დროს ტყვედ შეპყრობილთა დამონება საკმაოდ ეხამება გვაროვნულ წყობილებას.[36] არსებობს უამრავი ისტორიული მოწმობა, რომ ოსეთის, ინგუშეთისა და ჩეჩნეთის წმინდა გვაროვნულ საზოგადოებებში ტყვეებს არაიშვიათად გადააქცევდნენ ყმებად, თუ ხელსაყრელ ფასად ვერ გაუყიდიდნენ.[37]

---

[36] სიტყვა „ვაცაირაგ" ოსურად ერთდროულად ნიშნავს „ტყვეს" და „ყმას", ეტიმოლოგიურად კი იგი განმარტება, როგორც „ყიდვა-გაყიდვის" საგანი, შეიძლება: ლიდან ეაჩარ — „ვაჭარი".

[37] საინტერესოა, რომ ნართული საზოგადოების ფეოდალურ სტრუქტურაზე მსჯელობები ემყარება უმთავრესად ძმები შანაევების ჩანაწერებს. თუმცა ამ ჩანაწერების შესახებ უდაოდ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მათ განიცადეს ყაბარდოული გავლენა. ეს გავლენა დაეტყო არა მარტო შინაარსს, არამედ თქმულებათა ფორმასაც. ჩვენ იქ ვხვდებით ოსური ვარიანტებისათვის სრულიად არადამახასიათებელ, ოსური ეპიკური სტილისათვის უცხო ეპითეტებს, როგორც მაგ. „თოვლწვერა", „რკინისთავა" და ა. შ.

თუ მივმართავთ არა ცალკეულ ნაწყვეტებს, არამედ საერთო შთაბეჭდილებას, რასაც ახდენს ნართული სამყარო ეპოსის ყველაზე უფრო არქაულ ნაწილში, მაშინ ჩვენს წინაშეა უეჭველად გვაროვნული საზოგადოება და თანაც მატრიარქატის ნათელი გადმონაშთებით. ხალხი ერთიანობაში ქმნის საბრძოლო დრუჟინას, რომელშიც თუ არის რაიმე იერარქია, ესაა უფროს-უმცროსობისა და სამხედრო გამოცდილების იერარქია.

ნართული საზოგადოების წმინდა სამხედრო, დრუჟინული ორგანიზაციიდან გამომდინარეობს კიდევ ერთი თავისებურება: უგულებელყოფა, აბუჩად აგდება დაძაბუნებული მოხუცებისა, რომელთაც უნარი აღარ შესწევთ „ბალცებში“, ლაშქრობებში მონაწილეობისა.

მოხუცების მიმართ ეს სიძულვილი გამომდინარეობდა იმ რწმენიდან, რომ მამაკაცისათვის ნორმალური სიკვდილი — ესაა სიკვდილი ბრძოლაში. მეომარი ნართების მატერიალური კულტურა სრულიად პასუხობს იმ ეპოქას, რომელზეც მიგვანიშნებს მათი საზოგადოებრივი და სამეურნეო ყოფა. ჩვენს წინაშეა რკინის ხანა, მის დასაწყის, რომანტიკულ პერიოდში. სამეჯდილო საქმე გარემოსილია ბრწყინვალე შარავანდედით, ისევე როგორც ჰომეროსის საბერძნეთში, სკანდინავიურ მითოლოგიაში, კალევალაში. როგორც ყველაფერი, რაც კი წმინდად და უმშვენიერესად მოაჩნდა ადამიანს, ამაღლებულია დედამიწიდან ზეცაში. ზეციური მჭედელი ქურდალაგონი ეპოსის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა — ვულკანისა და ჰეფესტოსის ღვიძლი ძმაა. იგი არა მარტო იარაღს ქედს გმირებისათვის, არამედ თვით გმირებსაც აწრთობს. მოკვდავებთან მისი ურთიერთობა — აქაც ჩანს ჩვენი ეპოსის არქაიკულობა — შეუდარებლად უფრო ინტიმური, უბრალო და პატრიარქალურია, ვიდრე ღმერთ-მჭედლებისა დასავლეთში. იგი ხშირი მონაწილეა ნართული ნადიმებისა. გამოჩენილი ნართები: ბათრაძი, ურუზმაგის ეაჟი აისანა და სხვები, დიდხნობით სტუმრობენ მას.

რკინა და ფოლადი თქმულებებში ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. რკინისაა არა მარტო იარაღი და ხელსაწყო. ჩვენ ეხვდებით რკინისფრთებიან მგლებს და რკინისნისკარტიან ქორებს. რკინის ჯიშკარი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ გვხვდება თვით რკინის ციხე, რომელიც სოსლანმა მზის ასულისათვის ააგო. და ბოლოს, ფოლადისებრად გვევლინებიან ზოგიერთი გმირებიც: ბათრაძი ყველა ვარიანტებში, ხოლო ზოგი ვარიანტის მიხედვით ხამიცი და სოსლანიც.

რკინასთან ერთად ძალზე პოპულარულია ოქრო. იგი ფიგურირებს, როგორც მშვენიერების ეპითეტი (ოქროს თმები, ოქროს მზე) და როგორც მატერიალური (ოქროს ვაშლი, ოქროს თასი, ოქროს მუზარადი).

სპილენძი იხმარებოდა ქვაბებისათვის და ზოგიერთი თქმულების მიხედვით ბრძოლაში დამტვრეული თავის ქალების დასაკერებელ მასალად ზეციურ სამჭედლოში. ეერცხლი ეპოსში არაა პოპულარული.

არაერთგზის იხსენიება სპილოს ძვალი, სადაფი, მინა.

ნართებს საომარ იარაღს შეადგენდა: მახვილი ცირყ (მახვილის ნაირსახეობა) ან შეიძლება ჩუგლუგი. შუბი (ლახვარი), მშვილდი, ისარი (ფათ),[38] ფარი (ვართ), ჯავშანი (ჯაჭვის პერანგი), ჩაფხუტი (მუზარადი). ზოგიერთ ვარიანტებში თოფებისა და ზარბაზნების (ქვემეხების) მოხსენიება მთლიანად გვიანდელ მთქმელთა და მოდერნიზატორთა სინდისზეა. არაიშვიათად იარაღი ისე გაიაზრება, როგორც სულიერი. ბრძოლის ღინით მას ლურჯი ალი ასდის. ცნობილი „ცერეჩის ჯავშანი“ ომის ხსენებაზე თვითონ მოერგება გმირს ტანზე.

---

[38] ნართული ისრების შესახებ ვტყობილობთ, რომ მათ რკინის სამწახნაგა ბუნიკები ჰქონდათ æфсæн æрттигътæ (æрттигъ — æртæ тигъ-ოდან „სამწახნაგა“ ასეთივე ფორმის ბუნიკები ეკეთათ სკვითურ ისრებს. ტიპიური იარაღი ძველ სკვითურ სამარხებში ნაპოვნი, — ეს იყო გრძელი, სწორი რკინის მახვილები და ისრების სამწახნაგოვანი ბუნიკები.

ყველა მატერიალური რეალიები, რომელნიც საბრძოლო გმირობებს, ნადირობასა და ნადიმობას არ უკავშირდება, თქმულებებში ბუნდოვნად და გაკვრითაა მოცემული. ნართები ხშირად გამოდიან როგორც მწყემსები, ხოლო როგორც მიწათმოქმედნი — იშვიათად. მაგრამ ნართების სამეურნეო ცხოვრების ამ მხარის ასახვაში არაა ის სიცხადე და კონკრეტულობა, როგორიც ზემოთ აღნიშნულებში. წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის მოშენებასაც მისდევენ ნართები, ოღონდ განსაკუთრებით აფასებენ ცხენის რემებს.

კიდევ უფრო ნაკლები მასალაა მიწათმოქმედების შესახებ ნართებთან. ერთ თქმულებაში ახალგაზრდა სოსლანს, რომელიც ღმერთების ნადიმს ესწრება, ზეცის ბინადრები ასაჩუქრებენ. აძლევენ რკინის გუთანს, წყალს — წისქვილის ასაბრუნებლად, ქარს — მარცვლის გასანაოვებლად. აქ ჩვენს წინაშეა აშკარად მიწათმოქმედების საწყისების მითოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა.

თქმულებებში პური თითქმის არ იხსენიება. ფიგურირებს მხოლოდ ტრადიციული სამი საკულტო თაფლიანი კვერი, რომელსაც სათანა ღმერთებს სწირავს წმინდა ბორცე ვაზკვიფზე, როცა მათ ლოცვა-ვედრებით მიმართავს, მაგრამ. ვინაიდან ნართები ლუდის დიდი მოყვარულები არიან, უნდა ვიფიქროთ, რომ თუნდ ამ მსხვილით მაინც უნდა ეწოვნათ ჭერი. ნართების მეორე საყვარელი სასმელი რონგი თაფლისაგან მზადდებოდა. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ნართები მეფუტკრეობას მისდევდნენ. მათ შეეძლოთ თაფლი გაცვლის ხერხით მეზობელი (სლავური?) ტომებისაგან მიეღოთ.

ბევრი ყოფითი თვისებებია გაბნეული საიქიოს ბინადარი ხალხის ბედის აღწერასა და განმარტებებში (თქმულებაში „სოსლანი საიქიოში"), მაგრამ ყველა მათგანის მიკუთვნება ნართული ეპოქისადმი, ძალზე სარისკოა, რადგან ამ სურათში, როგორც ჩანს, იდებოდა ხალხების შემდგომი გამოცდილება.

თქმულებები რამდენადაც ნართების შრომით შემოქმედებაზე ძალზე ცოტა მასალას იძლევიან, იმდენად ნათლად, სურათოვნად, მდიდრულად ასახავენ „მზის შვილების" მოცალეობას, თავისუფალ დროს. თქმულებათა მიხედვით ეს თავისუფალი დრო მთლიანად შევსებულია ნადიმებით, ცეკვებით, თამაშებით. ერთი თქმულებით „ღმერთმა ნართები მხიარული და უზრუნველი ცხოვრებისათვის შექმნა". სიკვდილს მიმართ ზიზღი როგორღაც ძალზე ბუნებრივად და უბრალოდ ეხამებოდა ნართებში სიცოცხლისადმი სიყვარულსა და მის სიხარულს. ბრძოლის სიმძიმისა და საშიშროებათა შემდეგ, შორეულ თავდასხმათა და ნადირობათა შემდეგ ისინი მთელი არსებით ეძლეოდნენ თავაწყვეტილ მხიარულებას. მიიტაცებდნენ რა აურაცხელ დოვლათს, ნართები შაჲი დღისათვის არაფერს შემოინახავდნენ. მთელი ნადავლი საქონელი უმალვე სახალხო გამასპინძლებისათვის ხარჯებოდა. მთელი ხალხისათვის გულუხვი და ბარაქიანი ნადიმების გამართვა, როგორც ჩანს, სახელოვანი ნართებისათვის ღირსების საქმე ყოფილა და ამას ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში აკეთებდნენ. შაჲი დღისათვის[39] მარაგის გადადებისა და შენახვის უცოდინარობასა და მოუნდომლობას ნართები იქამდე მიჰყავდა, რომ ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდნენ: უზომო საერთო ნადიმების შემდეგ ხშირად ასევე საერთო შიმშილი ატყდებოდათ თავს, რომელსაც „მზის შვილები" სრულ დაუძლურებამდე მიჰყავდა. თქმულებებს, რომლებიც ნართულ ნადიმებს და მხიარულებას აღწერენ, უპირისპირდება სხვა თქმულებები (ასეთები არანაკლებია), რომლებიც საერთო შიმშილს და დაუძლურებაზე გვიამბობენ. თუმცა არსად არავითარი მინიშნება არ არის, რომ ასეთი დეპრესიის პერიოდში ნართები სულიერად

39 მხოლოდ სათანას აღმოაჩნდა შიმშილობის წელიწადში რაღაც-რაღაც მარაგი.

დაცემულიყვნენ ან თავიანთი ჩვეულებებისათვის ეღალატათ. პირველ მარჯვე „ბალცის“, თავდასხმისთანავე ეს დაუმორჩილებელი ადამიანები კელავ ეძლეოდნენ თავაწყვეტილ მხიარულებას.

მომავალი დიდი ნადიმის გაჭანებაზე შეიძლებოდა მსჯელობა მაცნეს („ფიდიუაგის“) მოსაწვევი ფორმულით. ნადიმში მონაწილეობისათვის არც ერთ სულიერს არ შეეძლო თავი აერიდებინა. „ვისაც სიარული შეუძლია, თავად მოვიდეს, — მოუხმობდა ხმამაღლა მაცნე, — ვისაც სიარული არ შეუძლია, იგი მოიყვანეთ“. ძუძუთა ბავშვების დედებს ურჩევდნენ აკვნებიანად წამოეყვანათ პატარებიც. მაგიდები ისრის სასროლ მანძილზე იყო გადაჭიმული. სანოვაგის სიუხვე ჭეშმარიტად „ფლამანდიური“ იყო. ხორცის სიმძიმით მაგიდები იზნიქებოდნენ. ვეებერთელა ქვაბებიდან რონგი და ლუდი იღვრებოდა. ნიჟიერმა ოსმა მხატვარმა მახარებელ თუღანოვმა თავის საუცხოო ნახატში „ნართების ნადიმი“ რეალიათა ზუსტი ცოდნითა და ბრწყინვალე ინტუიციით გადმოსცა, როგორ უნდა ენადიმათ ნართებს — რკინის ხანის ამ ფლამანდიელებს.

დიდი ნადიმი კულმინაციას მაშინ აღწევდა, როცა იწყებოდა ცნობილი ნართული ცეკვა „სიმდი“. ეს ძველი, თავისებური და სტილური მასობრივი ცეკვა, ახლაც კი კარგი შესრულებისას, შთამაგონებელ შთაბეჭდილებას ახდენს. ნართი ტიტანების ზეადამიანურ სიძლიერესა და ტემპერამენტზე გამრავლებული, თქმულებათა მიხედვით, იგი დედამიწას აზანზარებდა და არაჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა. ღმერთებიც კი საკმაოდ შიშნარევი განცვიფრებით უმზერდნენ გოლიათების ცეკვას.

საფერხულო სიმდის გარდა თქმულებებში აღწერილია სოლო ცეკვებიც, რომელიც შემსრულებლებისაგან მოითხოვდა ვირტუოზულ ოსტატობას და მოხერხებულობას. ცეკვა უნდა შეესრულებინათ ფინგის (სამფეხა დაბალი მაგიდა) ნაპირებზე ისე, რომ ზედ დაწყობილ სანოვაგეს, ჭურჭელს არ შეხებოდნენ და ერთი ნამცეციც არ გადმოეგდოთ ძირს. უნდა ეცეკვათ აგრეთვე ლუდით სავსე ვეება თასის ნაპირებზე ისე, რომ თასი ოდნავადაც არ განძრეულიყო. ბოლოს უნდა ეცეკვათ თავზე პირთამდე ლუდით გალეცლეცებულ თასდადგმულებს და ერთი წვეთიც არ უნდა დაღვროდათ. ასეთი ნომრების უზადოდ შესრულება მხოლოდ საუკეთესო მოცეკვავეების ძალუძდათ, რომელთა შორის შეჯიბრი ნართების საყვარელი სანახაობათაგანი იყო. ორ სახელგანთქმულ მოცეკვავეს — სოსლანსა დ ხიზის ვაჟს შორის შეჯიბრი წარმოადგენს ხიზის ციხის შემუსვრასა და სოსლანის ჭორწინების შესახებ ცნობილი თქმულების კვანძს.

ცეკვასთან ერთად ნართებს ძლიერ უყვარდათ ის, რასაც ჩვენ ახლა დავარქმევდით სპორტულ თამაშებს. ამ შეჯიბრ-თამაშების ხასიათი, რასაკვირველია, საბრძოლო იყო. გაჭანება კი — სუფთა ნართული. ამ თამაშებიდან ყველაზე ჩვეულებრივი იყო მშვილდით სროლასა და მახვილით ბრძოლაში გამოცდა. ცხენების სიმკვირცხლე გამოიცდებოდა განთქმულ ნართულ ღოღზე, რომელშიც ზოგჯერ თვით ზეცის ბინადარი ვასირჯი იღებდა მონაწილეობას. მინიშნებულია აგრეთვე კოჭის თამაში.

საერთოდ, ნართული გმირების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება იყო შეჯიბრის დაჟინებული და შეუპოვარი სულისკვეთება. იყოს ყოველთვის და ყველაფერში საუკეთესო — ასეთი იყო გამოჩენილი ნართების idee fixe. რამდენიმე ნართულ სიუჟეტს ერთი და იგივე კვანძი აქვს ყველასათვის მუდმივი მღელვარების გამომხატველი კითხვით: „ვინაა ნართებს შორის ყველაზე საუკეთესო?“ ამ კითხვით იწყება მოთხრობა ურუზმაგსა და ციკლობზე. ეს კითხვა დგას ყურადღების ცენტრში, როდესაც მზეთანავაჟი აჭყლა (ანუ აგუნდა, ან ეძავთაური და სხვ.), თავისთვის საქმროს არჩევისას ეძა თუ იმ ნაკლის საბაბით ერთი მეორის მიყოლებით იცილებს პრეტენდენტებს, ათამ არჩევანი აცამაზზე (ზოგი ვარიანტის მიხედვით ბათრაძზე) არ შეაჩერა. ამავე კითხვახ

ორგვლივ გაჩაღდა კამათი ნართებს შორის ვაცამონგას გამო. და ბოლოს, ამავე საკითხის გადაწყვეტას ეძღვნება ცნობილი მოთხრობა იმაზე, თუ უხუცესმა ნართებმა როგორ ცამოიტანეს სამი ნართული განძი, რათა ისინი ღირსეულთათვის მიეკუთვნებინათ.

ბოლო მოთხრობაში პირველობის გვირგვინი წილად ხვდა ბათრაძს. და ძალზე საინტერესოა ადამიანის სრულყოფილების ხალხურ იდეალზე მსჯელობისას სახელდობრ რა თვისებებმა უზრუნველყვეს ბათრაძი ნართებს შორის პირველი ადგილი მოეპოვებინა. ეს იყო სამი თვისება: ბრძოლაში სიმამაცე, ჭამაში თავშეკავებულობა და ქალსადმი პატივისცემა.

სხვა თქმულებები და ვარიანტები კიდევ რიგ თვისებებს. უმატებენ, რომლებიც ერთობლიობაში წარმოდგენას იძლევიან ნართულ იდეალზე. მთელ ეპოსს გულუხვობის სტუმართმოყვარეობის და პურადობის სადიდებელი გასდევს. ნართების ყოველ ხელსაყრელად დამთავრებულ „ბალღ" — ლაშქრობას მოსდევს დიდი ნადიმობა მთელი ნართი ხალხისათვის. შარავანდედი, რომლითაც გარემოსილია ცოლქმრული წყვილი ურუზმაგი და სათანა, მნიშვნელოვანწილად აიხსნება მათი განუსაზღვრელი პურადობით. დღემდე ოსებისათვის ურუზმაგისა და სათანას სახელი უღრესი სტუმართმოყვარეობისა და პურადობის სინონიმია. იმაზე უფრო დიდი კომპლიმენტი არ არსებობს, ვიდრე ოჯახის უფროსს ურუზმაგი უწოდო, დიასახლისს კი — სათანა.

ნართებს ძლიერ აქვთ განვითარებული გვაროვნული სოლიდარობისა და ამხანაგობის გრძნობა. ეს თვისებები ძალზე მჭიდროდაა დაკავშირებული ნართული საზოგადოების სამხედრო-დრუჟინულ ორგანიზაციასთან და მისგანვე გამომდინარეობენ. იმ პირობებში, როცა გვარი დრუჟინას ნიშნავს, გვარის წევრთა შორის სისხლის სიახლოვის ბუნებრივი გრძნობა ბევრად იზრდება სამხედრო და სამონადირეო საქმიანობაში მათი ერთობლივი მონაწილეობის წყალობით. რიგ თქმულებებს სიუჟეტად აქვთ ნართების ერთი ნაწილის მიერ მეორის გადარჩენა სასიკვდილო საშიშროების წუთებში.

გმირობის წყურვილი და სიკვდილისადმი ზიზღი ჭეშმარიტი ნართის განუყოფელი თვისებებია. როცა ღმერთმა ნართებს შესთავაზა არჩევანი, მარადი სიცოცხლე სურდათ თუ მარადი დიდება, მათ ნაძრახ სიცოცხლეს უყოყმანოდ არჩიეს მარადი დიდებით მოსილი სწრაფი სიკვდილი.

ნართების ეპოსში თავისი წარსული ცხოვრების რაღაც იდეალური ეპოქის შეჭმნით ხალხი ამ ეპოქის ერთ-ერთ განსაკუთრებულ თვისებად თვლიდა ადამიანთა სამყაროსა და ღმერთების სამყაროს შორის ურთიერთობათა უღრეს ინტიმურობას, უბრალოებასა და სიახლოვეს. ნამდვილად ეპოსში ეს ურთიერთობები გამოირჩევიან განსაკუთრებული პატრიარქალობითა და უშუალობით.

თქმულებები უბრალოდ როდი აღწერენ ღმერთების ადამიანებთან ურთიერთობის შემთხვევებს, არამედ ხაზს უსვამენ იმას, რომ ეს ურთიერთობები ჩვეულებრივი ამბავი, ყოველდღიური საქმე იყო. „ნართები ღმერთების თანამეტრაპეზენი (თანამესუფრენი) იყვნენ", — ნათქვამია რიგ თქმულებებში. ნართების დაღუპვის შესახებ თქმულებათა ერთი ვარიანტი ასე იწყება: „როცა ნართები ჯერ კიდევ სრულ ძლიერებაში იყვნენ, როცა მათთვის ღია იყო გზა ზეცისაკენ..." ღია გზა ზეცისაკენ — ეს ოცნება ოქროს საუკუნეზე, რომელიც ხალხმა განასახიერა ნართულ ეპოსში. ნართული ღმერთები — ეს ისევე ხალხია, იმავე ფსიქოლოგიით, იმავე სისუსტეებით. ისინი ადვილად და ხშირად მიმართავენ ნართებს, ხოლო გამოჩენილი ნართები დიდხნობით სტუმრობენ ზეცაეერებს.

თუ ერთი მხრივ, ნართები მეგობრობენ ღმერთებს, მეორე მხრივ ისინი ასევე დიდი მეგობრებია ბუნების, ნადირის, ფრინველის, მცენარისა.

ღმერთების სამყარო, ადამიანთა სამყარო და ბუნების სამყარო — ეს სამი სამყარო ნართების დროში ერთი სიცოცხლით სუნთქავს და ერთმანეთის ენა ესმით. ჩვენ გვახსოვს, რა მომაჯადოებელი ზემოქმედება მოახდინა მთელ ბუნებაზე აცამაზის დაკვრამ: ცხოველებმა ცეკვა გამართეს, ფრინველები გალობდნენ, ბალახი და ყვავილები მთელი თავიანთი ბრწყინვალე სილამაზით წარმოჩინდნენ, მყინვარები დნებოდნენ. მდინარეები ნაპირებიდან გადმოდიოდნენ. ბალასაგის ბორბლის დევნისას სოსლანი ელაპარაკება ყველა მცენარეს და ლოცავს არყის ხესა და სვიას გაწეული დახმარებისათვის. მომავალში სოსლანთან მორბიან მხეცები და მოფრინავენ ფრინველები, იგი მეგობრულად ესაუბრება მათ და შესთავაზებს მიირთვან მისი ხორცი. ამაღლებული კეთილშობილებით ამბობენ უარს სოსლანის წინადადებაზე ისეთი მტაცებლებიც კი, როგორიც ყვავი და მგელია. მერცხალი — ნართების საყვარელი ჩიტი — ზეცის ბინადრებთან მუდმივ შუამავლად ემსახურება ნართებს. ზოგიერთი ვარიანტების მიხედვით, ისევე მერცხალი მიფრინავს სოსლანთან ხიფათის მაცნედ, რომელიც დედამის სათანას ელის. ასევე მას მოაქვს ნართებთან სოსლანის სიკვდილის ამბავი. სხვაც ბევრი ამბებია გაბნეული ნართულ თქმულებებში, რომლებიც გამოხატავენ ინტიმურ სიახლოვესა და ურთიერთგაგებას ნართებსა და ბუნებას შორის.

საერთოდ, როცა ჩვენ ამ მრავალსაუკუნოვან ეპოსში გვერდზე გადავდებთ მოგვიანო დანაშრევებსა და გავლენებს, მაშინ ეპოსის აღდგენილ უძველეს ნაწილში ნართული საზოგადოება თავისი ყოფით, მსოფლმხედველობით, იდეალებით მთლიანის და თავისი მთლიანობით დამატყვევებელ წარმოდგენას ახდენს.

ჩვენს წინაშე, როგორც ცოცხალი, ისე წარმოსდგება ნართული სამყარო, სამყარო შეუპოვარი მეომრებისა და უდარდელი მოცეკვავეებისა, „მგლის შვილებისა“ და „მზის შვილებისა“, ტიტანებივით ძლიერებისა და ბავშვივით გულუბრყვილოებისა, მტრებთან ულმობლებისა და შინ უსაზღვროდ გულუხვების და მფლანგველებისა, ღმერთების მეგობრებისა და ბუნების მეგობრებისა რა თავისებური და დაშორებულია ჩვენგან ეს სამყარო. მაგრამ მასში შესვლისას არ შეგვიძლია წინააღეუდგეთ რეალურობას, ცხოველ მყოფელობის შთაბეჭდილებას, რომელიც შეძლო მიეცა ამ ზღაპრული, ფანტასტიკური სამყაროსათვის ხალხურ გამომგონებლობას.

ნართები, ეს საუცხოო ლეგენდარული სამყაროს სახეა, აღდგენილი ისეთი ძლიერი სიმარტივითა და პლასტიკური უბრალოებით, რომ იგი ჩვენთვის ახლობელი, გახაგები ხდება და ჩვენ უნებლიე ხარკს ეუხდით მისი შემქმნელი ხალხის პოეტურ გენიას.

ვ. აბაევი


ვაჩნაძი
და
მისი ვაჟები





ახსარისა და ახსართაგის დაბადება

ნართების უფროსი ვარხაგი იყო. ვარხაგს ორი ვაჟი შეეძინა — ტყუპები. ტყუპთაგან ერთი პირველი მამლის ყივილზე დაიბადა, მეორე კი — მეორე მამლის ყივილზე, ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლამდე.

გაიხარა ვარხაგმა, მზესავით გაიბადრა, იგრძნო, რა ტკბილი ყოფილა შვილის სიყვარული. ვაჟების დაბადების დღის მადლის სადიდებლად ნანადირევის ხორცით ისეთი საღვთო გამართა, ნართებს რომ ეკადრებოდათ. დაპატიჟა ზეცის ბინადართაგან ქურდალაგონი,* წყლის ბინადართაგან — დონბეღთირი,* ნართებიდან ბორა და სხვანი.

ვარხაგის საყვარელ ვაჟებს შესაფერი სახელები ზეციერმა ქურდალაგონმა დაარქვა: უფროსს — ახსარი, უმცროსს — ახსართაგი. ქურდალაგონმა, როგორც ნათლიამ, ვარხაგს საჩუქრად თავის სამჭედლოში დამზადებული წმინდა ფოლადის უდავძი* მიართვა. უდავძი ნართებმა სუფრაზე დადეს და იგიც საოცრად საამო ხმით მღეროდა:

„აიღე, მიირთვი, ღმერთმა შეგარგოს,
აიღე, გადაჰკარ რონგის* ნუაზანი!“*

ვარხაგის სტუმრებმა კვირიდან კვირამდე დრო ატარეს, ილხინეს და მერე ყველა თავთავისი გზით წაბრძანდა. ქურდალაგონი მოელვარე ჭარიშხალს მოაჯდა ქეჩოზე და ფრთოსანი ფასკუნჯივით ზეცას შეფრთხიალდა, დონბეღთირი ვერცხლისფერ თევზად იქცა და ზღვის ფსკერზე ჩასრიალდა. ნართებმაც, როგორც მოთარეშეებმა, საალაფოდ გასწიეს.

ახსარი და ახსართაგი სწრაფად დაიზარდნენ: დღისით გოჯი ემატებოდათ, ღამით — მტკაველი. დაიზარდნენ, მაგრამ ძალზე დაუდეგრები და ონავრები დადგნენ. გამოთალეს მშვილდ-ისრები და ცაზე ფრინველს

არ აშაჭანებდნენ — ჩქამის მიმართულებით ნასროლი მათი ისარი მიზანს არ ასცდებოდა.

მთელ ქვეყანას მოედო ამბავი, ნართ ვარხაგს ძალგულოვანი ვაჟკაცები წამოეზარდა, ტყუპები — ახსარი და ახსართაგიო.

რატომ ერქვათ ახსარი* და ახსართაგი? იმიტომ, რომ უფროსი ძმა ახსარი მამაცი ვაჟკაცი იყო, ხოლო უმცროსი ახსართაგი — ახსარზე კიდევ უფრო უმამაცესი.

ნართების ვაშლი

ნართების ბაღში ერთი ძირი ვაშლის ხე ხარობდა; ხე ლაჟვარდისფრად ჰყვაოდა და მხოლოდ ერთადერთ ცალ ვაშლს ისხამდა. ვაშლი კი ჩვეულებრივი კი არა, ოქროსი იყო, ნაკვერჩხალივით ბრდღვიალებდა და უებარ წამლად ითვლებოდა. ეგ იყო, ადამიანის აღსასრულის უკან გაბრუნება არ შეეძლო, თორემ დანარჩენს რას არ უხდებოდა, რა სენს არ კურნავდა და რა ჭრილობას არ არჩენდა, იხეთი არ არსებობდა.

ვაშლი დილიდან დაღამებამდე მწიფდა, ღამით კი ქრებოდა — ვიღაცა იპარავდა. ნართები ბაღს რიგრიგობით დარაჯობდნენ, მაგრამ ვაშლი მაინც თვალსა და ხელს შუა უჩინარდებოდა.

ერთ დღეს ვარხაგსაც რიგმა მოუწია. უხმო თავის ვაჟებს — ახსარსა და ახსართაგს და უთხრა:

— აი, საგზალი, წადით, მა ხურთა,* უდარაჯეთ თქვენს ბაღს, თორემ ხვალ დილით ნართების სამივე უბნიდან ქუდზე კაცი გამოვა ერთ თქვენგანს თავს მოჰკვეთენ, მეორეს — ბალავს, სათითაო მარგილზე ჩამოაცვამენ და უთქვენოდ ნართებს შორის უპატრონოდ და მიუსაფრად დავრჩები.

ბაღს ირგვლივ ირმის რქების ისეთი მაღალი ღობე ერტყა, ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა.

ბიჭებმა მამა დააიმედეს:

— ნუ გეფიქრება, მამა, წავალთ და ვაშლს ვუდარაჯებთ.

ვარხაგმა დაიდარდა:

— წასვლით კი წახვალთ, მაგრამ ვშიშობ, ვაითუ ვერ შეძლოთ ვაშლის დაცვა და უკან ვეღარ დამიბრუნდეთ.

ახსარი და ახსართაგი ბაღისაკენ გაეშურნენ. მივიდნენ და ბაღის შუაგულ ამოსული იმ საოცარი ვაშლის ხის ქვეშ ჩამოსხდნენ. დრომ მოაწია, ივახშმეს და უმცროსმა ძმამ ახსართაგმა უფროსს — ახსარს უთხრა:

— წამოწექი, ახსარ, ვაშლს რიგრიგობით ვუდარაჯოთ. შუაღამემდე შენ იძინე, შუაღამიდან გათენებამდე კი მე გამოვიძინებ.

ახსარი დაეთანხმა, წამოწვა და დაიძინა. შუაღამე რომ შეიქნა, გამოეღვიძა და ახსართაგს მობოდიშებით უთხრა:

— უფალმა შემინდოს, ნამეტანი დიდხანს მძინებია.

ახსართაგმა პასუხად დაუბრუნა:

— იძინე, ჯერ შუაღამე არაა.

ნამძინარევი ბიჭი წამოწვა და კვლავ ჩაეძინა.

დღე რომ ღამეს ეყრებოდა, სწორედ იმ დროს, ბაღში სამი ფრინველი გადმოფრინდა. ახსართაგი ხელთ მშვილდ-ისარ მომარჯვებული იჯდა. შეცრად ვაშლის ხე განათდა და ახსართაგმა დაინახა, ხეზე სამი მტრედი შემომჯდარიყო. როგორც კი ერთმა ვაშლის მოსაწყვეტად ხელი გაიწოდა, ახსართაგმა ესროლა, მაგრამ სამივე გაუფრინდა, მხოლოდ ერთ მათგანს მიწაზე სისხლის წვეთები დასცვივდა.

ახსართაგმა ძმა გააღვიძა და უთხრა:

— ვაშლის ხეზე მტრედი დავჭერი და გამიფრინდა. ხედავ, მიწაზე მის სისხლის წვეთებს? დაჭრილი დაბლა-დაბლა მიფრინავდა. მის სისხლის კვალს აუცილებლად უნდა გავყვე. ან უნდა დავიჭირო, ან მის გზაზე მოვკვდე, სხვაგვარად არ შემიძლია.

აკრიფა სისხლის წვეთები, გაახვია აბრეშუმის ხელსახოცში და უბეში ჩაიდო. როცა კარგად გათენდა, ახსარს უთხრა:

— უნდა წავიდე იმ სატიალო ფრთოსანთა საძებრად; შენ რას იტყვი?

ახსარმა უპასუხა:

— სადაც შენ წახვალ, მეც იქ წამოვალ.

წავიდნენ ძმები, მიჰყვნენ სისხლის კვალს და კვალმა ისინი ზღვის პირას მიიყვანა. აქედან კვალი უკვე ზღვის ფსკერზე ჩადიოდა.

ახსართაგმა ახსარს უთხრა:

— მე ფსკერზე ჩავალ, შენ აქ, ზღვის პირს დამელოდე. თუ ზღვამ თავზე წითელი ქაფი მოიგდო, შინ დაბრუნდი, ჩემი იმედი ნუღარ გექნება. ხოლო თუ ზღვამ თავზე თეთრი ქაფი მოიგდო, მაშინ ერთი წელიწადი დამელოდე.

— კარგი, — დაეთანხმა ახსარი და ზღვის ნაპირზე დარჩა. ახსართაგმა კი აიღო თავისი ნივთები და ზღვის ფსკერისკენ დაეშვა.

ძერასა-მზემოუნახავი

ახსართაგი ზღვის ფსკერზე რომ ჩავიდა, დონბედთირების სახლში მოხვდა. სახლი კი მართლაც საოცარი რამ იყო — კედლები ძვირფასი მბრწყინავი სადაფისა ჰქონდა, იატაკად ლურჯი მინა ეგო და სახურავად ცისკრის ვარსკვლავი ეხურა.

სახლში ისხდნენ შვიდნი ძმანი. გვერდით უსხდათ ორი და — ერთი მეორეზე ულამაზესები, თმა ოქროსფრად უბრწყინავდათ.

— დილა მშვიდობისა და მადლი ღვთისა ამ ოჯახს! — მიესალმა მათ ახსართაგი სახლში შესვლისას.

— გამჩენმა სიკეთე ნუ მოგიშალოს, — უპასუხეს სტუმარს და პატივისცემის ნიშნად შვიდივე ძმა და ორივე და ფეხზე წამოუდგა. დასვეს ახსართაგი, თვითონაც დასხდნენ — სამი ძმა ერთ მხარეს მოუჯდა სტუმარს, ოთხი — მეორე მხარეს. ისხდნენ ერთხანს, მერე ძმებმა ახსართაგს შეხედეს და უთხრეს:

— შენი მსგავსი სტუმარი არც არავინ გვყოლია და არც არავინ მოგვივა. ბარემ მხიარულად დახვედრა გვმართებს, მაგრამ რა ვქნათ, დარდიანები ვართ.

— ღმერთმა სადარდელი გაშოროთ, მაგრამ ისეთი რა გაგჭირვებიათ? — ჰკითხა ახსართაგმა.

მათ უპასუხეს:

— სამი და გვყავს. რაღაც მათდა საუბედუროდ ნართების ბაღს შეეჩვივნენ. იმ ბაღში ნართებს ერთი ვაშლის ხე უდგათ, რომელიც ოქროს ვაშლს ისხამს. ვაშლი დღისით მწიფდა, ღამით ჩვენი და ძერასა მტრედად გადაიქცეოდა და იპარავდა. ვუშლიდით: „ნართებს ონავარი ყმაწვილები ჰყავთ, მათი შიშით ცაზე ფრინველს ფრენა ვერ გაუბედავს, შენც ნუ დადიხარ, მოეშვი იმ ვაშლს-თქო“, მაგრამ არ დაგვიჯერა. ერთმანეთის ხანჯლებზეც წამოგებულან ახსარი და ახსართაგი, ამჯერად ვაშლს იმ ორნი დარაჯობდნენ; სწორედ იმათ ესროლეს ჩვენს დას და დასჭრეს.

ზუსტად ამ დროს მეორე ოთახიდან კვნესა მოისმა. ახსარმა იკითხა:

— ვისი კვნესა ისმის?

— იმისი, ვისზეც ახლა გიამბეთ. ჩვენი და — ძერასა კვნესის.

— მერე და ნუთუ არაფერი ეშველება? — ჰკითხა ძმებს ახსართაგმა ძმებმა უპასუხეს:

— წამალი ბარემ არსებობს, მაგრამ...

— რა არის ისეთი?

— თავისივე სისხლის წვეთები — ეგაა მისი წამალი. თუ იმ წვეთებს შევაგროვებთ და სულის შებერვით ზედ შევაფრქვევთ, გადარჩება. არა და ჩვენს დას სხვა ვეღარაფერი გადაარჩენს.

— ვინც მოარჩენს, იმას რა სიკეთეს უზამთ? — ჰკითხა ძმებს ახსართაგმა.

— ჩვენს საყვარელ დას ვინც მოარჩენს, იმასვე მივათხოვებთ — ღმერთსაც მისთვის უბოძებია.

— აბა, მე ვარ ნართ ვარხაგის ვაჟი ახსართაგი. აგერ მაქვს მისი სისხლის წვეთები. მე დავეჯერი და მევე მოვარჩენ. გამომგვარეთ აქ თქვენი და.

ძმებს სიამოვნებით სახე გაუბრწყინდათ, უსაზღვროდ გაიხარეს. ახსართაგს უთხრეს:

— ჩვენი და ძალზე მძიმე ავადმყოფია. შენთან გამოსვლის თავი არ აქვს. თვითონ უნდა შებრძანდეთ.

ვაჟი ავადმყოფის ოთახში შევიდა. იწვა ქალიშვილი საწოლზე, ხშირი, ოქროსფერი კულულებით ლამის იატაკს ეხებოდა. მზესავით პირბადრს ბროლის ყელი უქათქათებდა. იგი ახსართაგისკენ გადმობრუნდა. სიხარულის ღიმილმა გადაურბინა სახეზე ახსართაგს. უბიდან აბრეშუმის ხელსახოცში გახვეული ქალიშვილის სისხლის წვეთები ამოიღო და ავადმყოფს სულის შებერვით ზედ შეაფრქვია. ძერასა-მზეთუნახავი რაც იყო, შვიდჯერ იმაზე ულამაზესად გადაიქცა.

ცხრა დღე და ცხრა ღამე გაგრძელდა ახსართაგისა და დონბედთირის ასულის ქორწილი. ახსართაგი და ძერასა ერთმანეთს ისე შვენოდნენ, როგორც ცარგვალს მზე და მთვარე.

ცხოვრობდნენ სიამტკბილობით. გადიოდა დღეები, კვირეები ამ სიამტკბილობაში, მაგრამ ბოლოს ახსართაგმა მოიწყინა, დაღონდა. მოენატრა თავისი ძმა და თქვა:

— ამაზე მეტ ხანს აქ ყოფნა აღარ შემფერის. დროა წავიდე, მოვძებნო ჩემი ძმა და საკუთარ სახლს მივაშურო.

ძერასამაც გაიხარა:

— თუ კი სახლი გაქვს, რატომ არ მივდივართ? ჩვენი აქ ყოფნა უკვე უხერხულია.

გაემზადნენ წასასვლელად. ნატვრის აღსრულების ჟამს* ძერასამ გა-

იშალა თმა და ორივენი ვერცხლისფერ დიდ თევზებად გადაიქცნენ. ზღვის ფსკერიდან ზედაპირისაკენ გამოემართნენ.

ახსარი ძმის მოლოდინში თავს ნადირობით იქცევდა. ზღვის პირს, დაბურულ ტყეში, ნადირის ტყავების კარავი დაიდგა და ძმას აქ ელოდა. ერთ დღეს შეამჩნია, რომ ზღვამ ზედაპირზე თეთრი ქაფი მოიგდო. გაიხარა ახსარმა, ჩემი ძმა მხიარული ბრუნდებაო და იფიქრა: „წავიდე წავინადირო, ძმის დაბრუნებამდე იქნებ რამე მოვკლა“. და სანადიროდ წავიდა.

* * *

მთელი ამ ხნის მანძილზე ნართი ვარხაგი ძლიერ ნაღვლობდა, სად არიან ჩემი ბიჭები, რომ აღარსაით ჩანანო. დარდი დღედადღე ერეოდა და ღონე მთლად გამოაცალა.

ვარხაგის ვაჟები რომ აღარ ჩანდნენ, ნართების ყმაწვილკაცობას ძლიერ უხაროდა, რადგან ახსარი და ახსართაგი ყველაფერში პირველები იყვნენ და ყველას ჯაბნიდნენ.

ნართების ახალგაზრდობამ ვარხაგს მასხარად აგდება დაუწყო. მენახირედ გაიხადეს და ჯოგებს ამწყემსვინებდნენ.

გამწარებული ვარხაგიც ნართების ჯოგებს გარეკავდა შორს, ზღვაში გადაჰყრიდა, ხანაც კლდიდან უფსკრულებში გადაჩეხავდა ხოლმე.

კაი ხანი გავიდა, რაც ვარხაგი ჯოგის სადგომიდან ნართების სოფელში აღარ ჩამოსულა — შვილებზე ფიქრით დადარდიანებულს გული გარეთ აღარ ეწეოდა.

* * *

ახსართაგი და ძერასა ზღვიდან რომ ამოვიდნენ, ნაპირზე ახსარის კარავი შენიშნეს. შევიდნენ შიგ. ახსარი სანადიროდ წასულიყო, კარავი უპატრონოდ დაეგდო. ძერასა რომ კარავში შევიდა, მისი სახის ნათელით იქაობა ისე გაცისკროვნდა, ქალმა ალტაცებით თქვა:

— სანამ ამ კარავში ყოფნით გულს არ ვიჯერებ, ფეხსაც არ მოვიცვლი, არსადაც არ წამოვალ.

ახსართაგმა უთხრა:

— რაკი ეგრეა, იჯექი აქ. მე ჩემს ძმას მოვძებნი, — და ახსარის საძებნად გაემართა. მაგრამ ახსარი კარავში მასზე ადრე დაბრუნდა, ძმები გზაში ერთმანეთს ასცდნენ.

ახსარისა და ახსართაგი სიკვდილი

ძერასას ახსარი თავისი ქმარი ეგონა, რადგან ტყუპი ძმები ერთმანეთს საოცრად ჰგავდნენ ტანითაც, სახითაც; ორივე ქერა, აშოლტილი, მკერდგანიერი, თვალცეცხლა ვაჟკაცები იყვნენ და რომელი იყო ახსარი, რომელი ახსართაგი, ღვთისა და დედამიწის გარდა ვერავინ არჩევდა.

ახსარმა კარვის კარიდან შიგნით რომ შეიხედა და ძერასა დაინახა, გულში გაიფიქრა: „ღმერთო უზენაესო, ნუ დაგვიკარგავ იღბალს ნურც შინა და ნურც — გარეთ! რას ვიფიქრებდი, თუ ახსართაგი მეუღლითურთ დამიბრუნდებოდა!"

ძერასამ შეხედა ვაჟს და ჰკითხა:

— რატომ დაიგვიანე?

ახსარმა არაფერი უპასუხა.

— შე კაი კაცო, ვეღარა მცნობ? წლიდან წლამდე ზღვის ფსკერზე ერთად არ ვიყავით? — უსაყვედურა ძერასამ.

ახლა ნამდვილად დარწმუნდა ახსარი, ეს ქალი მისი ძმის — ახსართაგის ცოლი რომ იყო.

ქალი საალერსოდ მიეახლა, მაგრამ ახსარმა აირიდა. დაძინების დრომ რომ მოატანა, ახსარმა თავისი ნაბადი ძერასას ქვეშ დაუგო. ახსართაგისა ზედ დაიფარეს. ერთმანეთს რომ არ შეხებოდნენ, ამოიღო ქარქაშიდან ხანჯალი და ძერასას და თავის შუა ჩადო. იწყინა ქალმა, წამოხტა და გაბუტული ცალკე მიწვა.

ამასობაში დაბრუნდა ახსართაგი და ნანადირევი ქორბუდა ირემიც მოიტანა; გაბუტვით მწყდარი ძერასა რომ დაინახა, გულში ეშვმა გაჰკრა, ეგონა ახსარმა ქალზე ძალა მიიტანაო. იძრო ხანჯალი, დაჰკრა ძმას და სული გააყრთხობინა. შეძრწუნებულმა ძერასამ ქმარს ახსარის ნამოქმედარი უამბო და სინანული შემოიწონთო გულზე ახსართაგს: ეს რა ჩავიდინე, უდანაშაულო ძმა როგორ მოვკალიო! ვადა ახსარისკენ უყო ხანჯალს, წვერი საკუთარ მკერდს უსწორა, დაწვა და გულში გაიტარა. ახსართაგმაც მოიკლა თავი.

ატირდა ძერასა: მოთქვამდა, თავ-პირში იცემდა, მუხლებზე ხელებს ირტყამდა. ეს რა უბედურება დამემართა. ჩემს გამო ძმები როგორ დაიღუპნენო.

თმებს იგლეჯდა, ლოყებს იხოკდა და მწარედ მოთქვამდა. მისი ცოდ-ით დედამიწა იწვოდა, ტყის მხეცებიც კი გაყუჩდნენ და გაირინდნენ.

ქალი ორივე ძმას ცხარე ცრემლს აფრქვევდა. იჯდა მიცვალებულთა მუა და შუაღამემდე ახსარის ცხედარს დასტიროდა, შუაღამიდან გათენებამდე — ახსართაგისას. ძერასას მწუხარებით ცხედრებს თავს ცრემლით გაჟღენთილი მრუმე ღრუბელი დაადგათ.

„რა ვქნა, რა მოვუხერხო? ამათი ღონიერი მუხლები, ცეცხლში მფრქვეველი თვალები და ღაჟღაჟა ლოყები ყორნებისა და მელიების საძიძგნად გავხადო? არა და მიწას როგორ მივაბარო, ძალა რომ არ შემწევს“ — დარდობდა ძერასა.

ამ დროს თავის სამფეხა ფრთოსან ცხენზე ამხედრებული ვასთირჯი მოფრინდა, ძაღლიც თან ახლდა. თავს წაადგა ძერასას და უთხრა:

— მზეთა მზევ და ზეციერო მშვენებავ, ჩემო ნათელო სამყაროვ და ქვეყნის ულამაზესო! მე რა ხანია შენს კვალს დავდევ, შენ ეგეთი რა დაგმართნია, რა გატირებს?

— როგორ არ ვიტირო. ეს ძმები ჩემს გამო დაიხოცნენ, მე კი ისიც ვერ მომიხერხებია, მიწას როგორმე მივაბარო.

— ქალო, ცოლად რომ გამომყვებოდე, მაგათ მე დაგიმარხავდი.

— თუკი ამ მიცვალებულებს მიწას მიმიბარებ, რატომაც არ გამოგყვები, — უთხრა პასუხად ძერასამ.

ვასთირჯიმ მათრახის წვერი მიწას დასცხო და ორივე ძმა საფლავში აღმოჩნდა. საფლავზე კი საოცარი ძეგლი აღიმართა და ირგვლივ კირ-ქვით ნაგები გალავანი შემოევლო.

ძერასამ ვასთირჯის უთხრა:

— მოდი, მე აგერ ზღვის პირას მივირბენ, ხელ-პირს დავიბან, თორემ ასე სისხლით მოსვრილი როგორ გამოგყვე? შენ აქ მომიცადე, ახლავე დავბრუნდები.

ვასთირჯიმ ქალს დაუჯერა; ძერასა კი მივიდა თუ არა ზღვასთან, გადაეშვა შიგ და თავის სამშობლო დონბედთირეთში ჩავიდა.

აი, ახლა მოვა ქალი, აი ახლაო, ელოდა ვასთირჯი და თავისთვის ათას საამო რამეს ფიქრობდა. მაგრამ რის ქალი, რა ქალი? იმედი გაუცრუვდა. ეს წყენა გულში ჩაიდო ვასთირჯიმ და დაიმუქრა: „ვაი შენი ბრალი; საქმაოს ვერ მოგიგდე ხელში, მაგრამ საიქიოს სად წამიხვალ!“ შეჯდა თავის სამფეხა ცხენზე და გაბრაზებული თავისი მწევრითურთ ზღვის პირებს ნადირობით დაუყვა.

ძერასა თავის სამშობლოში ცხოვრობდა. იგი ფეხმძიმედ დარჩა. ერთ დღეს დედამისმა უთხრა:

— წადი, შვილო, ნართების სამკვიდროში. ისინი ისეთი ჯიშის ხალხია, ვინც მათ ფუძეზე არ დაიბადება, იმას თავიანთ შთამომავლად არ თვლიან.

რა ექნა საცოდავ, მგლოვიარე ქალს! როგორც დედამ ურჩია, ისე მოიქცა. გამოემართა. დამწუხრებული დონბედთირების ქვეყნიდან ნართებისაკენ. მიდის და გულში ფიქრობს: „ეჰ, ნართებთან კი მივდივარ, მაგრამ ბინა, თავშესაფარი, სად მექნება?“

მოვიდა ნართებში. ნიხასს* უხმოდ, რიდით და კდემით ჩაუარა. ნიხასში მსხდომი ხალხი გაკვირდა.

— ეს ვინ უნდა იყოს? პატარძალივით მოკრძალებით და მორიდებით კი ჩაგვიარე, მაგრამ ჩვენი რძლებიდან ხომ არც მოსამშობიარებლად და არც გაბუტვით დედულეთს არავინ არაა წასული.

უფროსებმა უმცროსებს დაავალეს:

— წადით და ქალებს უთხარით, გაიგონ, ვინ არის ეს მანდილოსანი.

წავიდნენ უმცროსები ქალებთან და უფროსების დანაბარები გადასცეს.

— ჩვენო მოვაისადნე* რძლებო, თუ იგი თქვენსაყით ვაისადგა* არის, თქვენ ჰკითხეთ ვინაობა, ბერდედებო, თუ თქვენ ყოფაშია, მაშინ თქვენ გაგვიგეთ, ვინაა.

უმცროსი რძლები ძერასას გარს შემოეხვივნენ და გამოკითხვა დაუწყეს:

— ვინ ხარ? საიდან ხარ, გვითხარი.

ძერასა ხმას არ იღებდა. გულში ფიქრობდა: „ამათ კი ვეტყოდი, ვინცა ვარ, მაგრამ მაშინ უფროსი მანდილოსნები ჩემს ნათქვამს ჩემგან პირადად ხომ ვეღარ მოისმენენ“.

ძერასამ პატარძლებს რომ ხმა არ გასცა, ახლა ხნიერი ქალები მიუახლოვდნენ და კითხვით მიმართეს:

— გვითხარი, ნართებისა რა ხარ?

— ყველა ერთხმად ნუ მეკითხებით. ჩემი ამბის გაგება თუ გსურთ, ერთ-ერთმა მკითხოს და სათქმელს ვეტყვი.

ეს რომ თქვა, ქალებს ერთი მანდილოსანი გამოეყო, ძერასა გკერდით გაიყვანა და უთხრა:

— აბა, მა ხურ, მითხარი შენი გულის პასუხი, ამ სოფელში მე ყველა მენდობა.

ძერასამ უთხრა:

— ამ ფუძისა და ჩემი მაზლისცოლების წინაშე კრძალვა და რიდი შმართებს, მაგრამ რა ვქნა, მეტი საშველი არ მაქვს და ჩემი გასაჭირი უნდა გითხრათ. მე ახსართაგის ცოლი ვარ. მიმიყვანეთ მისი ციხე-კოშკის ძირას.

ქალმა ძერასას ნათქვამი უხუცესებს გადასცა.

ნართების უხუცესებმა დიდად გაიხარეს და ბრძანეს: ახსართაგის ციხის ძირს კი არა, მთავარ კოშკში აიყვანეთო იგი.

ძერასამ მიახვედრა:

— იქ ასასვლელი პირი ჯერ არ მაქვს — მალე თქვენიანი უნდა გაჩეენოთ და ჯერხნობით მოსასვენებლად მაღალ კოშკს ბნელი ბოსელი მირჩევნია.

მიუხვდნენ ნათქვამს და თხოვნა აუსრულეს. წაიყვანეს ძერასა ბოსელში, დააბინავეს და სულ მალე მან ორი ვაჟი შობა — ტყუპები — ურუზმაგი და ხამიცი.

როგორ იპოვნეს ურუზმაგმა და ხამიცმა ვარხაგი

ტყუპ ძმებს დღისით გოჯი ემატებოდათ, ღამით — მტკაველი. იზრდებოდნენ სწრაფად და უკვე მშვილდ-ისრის ხმარებაც შეძლეს. ერთ მშვენიერ დღეს ქუჩაში გამოვიდნენ და მშვილდ-ისრის სროლით ერთობოდნენ. მათი ნასროლი ისარი ისეთ ხმას გამოსცემდა, რომ ნართები სულ აქეთ-იქით მიიმალ-მოიმალნენ. ამ დროს კუდიანმა ქალმა თავისი გოგონა წყალზე გამოგზავნა. ხამიცმა რომ დაინახა, ესროლა ისარი და გოგონას კოკაც დაემტვრა. ტანსაცმელიც დაეხა. იგი შინ ტირილ-ტირილით გაბრუნდა. დედამისმა ჰკითხა:

— რა გატირებს, შე სასიკვდილე, რატომ წყალი არ მოგიტანია?

მან უპასუხა:

— აგერ ხამიცმა ისარი მესროლა, კოკაც დამილეწა და ტანსაცმელიც დამიხია.

დედამ სხვა კოკა მისცა და დაარიგა:

— წადი წყალზე და თუ ჩემი ენამოსწრებულობისა რამე გეცხია, ჩემი ძუძუ ალალი იყოს შენთვის, თუ არა და თანაც გადაჰყოლილხარ.

წამოვიდა გოგონა და როგორც კი ეზოს გამოსცდა, ხამიცმა კვლავ ესროლა ისარი.

მოუბრუნდა გოგონა და უთხრა:

— ჩემზე რადა სცდი ღონეს — მე ხომ ტყის ფრთოსნებიც მომერევიან. თუ კი ეგრე ღონიერი ხარ, პაპაშენი ვარხაგი ნართების ნახირის დევნამ რომ ჩამოახმო, გიჯობს ის მოძებნო და მიხედო!

ბიჭებმა რომ ეს მოისმინეს, მილეწ-მოლეწეს თავიანთი მშვილდ-ისრები, გამწარებულნი ავაზაკებივით შეცვივდნენ სახლში და დედას უთხრეს:

— ნართების ნიხასში უნდა წავიდეთ! ჩვენი წინაპრებიდან რომელიღაცა ცოცხალი ყოფილა და უნდა მოვძებნოთ.

გამოეშურნენ ორივენი და ნართების ნიხასში მოვიდნენ.

სამივე გვარის ნართები* აქ ისხდნენ.

— მშვიდობა ნიხასს! — მიესალმნენ ძმები იქ მსხდომებს.

— მშვიდობა მოგცეთ გამჩენმა! — დაუბრუნეს პასუხად მათ.

— გავიგეთ, ჩვენი პაპა ვარხაგი ნართებს მენახირედ გყოლიათ, ჯახოვთ, მისი ადგილ-სამყოფელი მიგვასწავლოთ.

— აგერ ყმაწვილებიდან რომელიმე გაიყოლეთ და ის მიგასწავლით, — უთხრეს ნიხასში მსხდომებმა.

— კარგი, — თქვეს ურუზმაგმა და ხამიცმა, ერთი ყმაწვილი მეგზურად წამოიყვანეს და ვარხაგის საძებრად გამოსწიეს.

მოდიან ძმები და მათი ფეხის ხმაზე დედამიწა ზანზარებს, მთები იმზღვლევიან.

უკვირს ვარხაგს და გულში ფიქრობს: „საოცარია, ეს ხმაური სულ ჩემი ბიჭების — ახსართაგისა და ახსარის ფეხის ხმას ჰგავს, მაგრამ ისინი ხომ ცოცხლები აღარ მყვანან?“

ძმებმა — ურუზმაგმა და ხამიცმა მიაღწიეს ვარხაგთან. მოხუცმა მოსულებს ჰკითხა:

— ვინა ხართ, შვილებო?

— ჩვენ ახსართაგის ბიჭები ვართ! — უპასუხეს მათ.

— აბა, მაშ მომიახლოვდით — თუ ჩვენი ჯილაგისა ხართ, მე თქვენ ძვლის აღნაგობით გამოგიცნობთ.

ურუზმაგი და ხამიცი ვარხაგს მიეახლნენ, მოეხვივნენ და მოეფერნენ.

ვარხაგმა ფრთხილად დაიწყო და ბიჭებს მაჯის ძვლები რიგრიგობით მოუსინჯა. მერე თქვა:

— ძვლის აღნაგობა მართლა ჩვენი გქონიათ.

ბიჭებმა ვარხაგს უამბეს, რაც დედისაგან ჰქონდათ მოსმენილი: თუ როგორ დაიღუპნენ მისი ვაჟები — ახსართაგი და ახსარი.

ამის მოსმენაზე ვარხაგს თვალზე ცრემლი მოადგა:

— მე ნამდვილად მყავდა ტყუპი ვაჟი — ახსარი და ახსართაგი. მაგ-

რამ დამეღუპნენ. კიდევ კარგი, ჩკილებო, მადლი უფალს, რომ გვარი არ გადამშენებია და თქვენ დამრჩენიხართ. — უთხრა და შვილიშვილებს თავისი მკვიდრად ნაგები ქვითკირის კოშკისაკენ წამოუძღვა. ბიჭები გაჰყვნენ ვარხაგს და კოშკის მეორე სართულზე ავიდნენ. შეიხედეს ოთახში, მაგრამ ისე იყო ნაგვით სავსე, შიგ არ შეისვლებოდა. ერთმა ნიჩაბს დაიღლო ხელი, მეორემ — ცოცხს და უცბად დაასუფთავეს იქაობა. სახლი რაც იყო, შვიდჯერ იმაზე უკეთ გამობრწყინდა. მერე მოხუცი გარეთ გამოიყვანეს, მოშვებული თმა-წვერი გაკრიჭეს, პატივის გროვაში ჯოხი ჩაარჭვეს და ამ ნაჯოხარში ჩააშარდვინეს. მოხუცის შარდი ქაფის შხეფს მაღლა ისროდა, ძმებმა ერთმანეთს შეხედეს და თქვეს: „ეს დედაჩვენის რჩენას ჯერ კიდევ შესძლებსო“.

მოხუცი ისევ შინ შეიყვანეს და უთხრეს:

— ჩვენ ხომ შენი შვილიშვილები ვართ და დღეის შემდეგ სულ ერთად ვიცხოვრებთ.

სანამ ურუზმაგი და ხამიცი ვარხაგს ეძებდნენ, მათი დედა ძერასა თავის სამშობლოში, დონბედთირებთან წავიდა და იქ ცხოვრობდა. ბიჭები დედასთან წავიდნენ, წამოიყვანეს იგი და ნართების სოფელში ჩამოვიდნენ. მერე ვარხაგმა — მათმა პაპამ ძერასა ცოლად შეირთო.

საშანას დაბადება

ვარხაგისა და ძერასას შეუღლების დღიდან ზუსტად ერთი წელიწადი გავიდა და ვარხაგი მიიცვალა. გავიდა კიდევ ერთი წელიწადი და დონბედთირის ასული ძერასაც ავად გახდა. აღსასრულის მოახლოვების ქამს მან თავის ვაჟებს უხმო და დაუბარა: — როცა მოვკვდები, პირველ სამ ღამეს უპატრონოდ ნუ დამაგდებთ, მიდარაჯეთ — კაი კაცის ვალი არ მადევს და საიქიოშიც არ დამინდობს.

ქალი გარდაიცვალა და აკლდამაში დაკრძალეს.

ის დღე რომ დაღამდა, ურუზმაგმა აისხა თავისი საომარი იარაღი და აკლდამის კართან ავიდა. დილამდე ფხიზლად უდარაჯა მიცვალებულ დედას. მეორე ღამეც ეგრევე გაუთენა. მესამე ღამეს ხამიცმა ძმას უსაყვედურა:

— დედაჩვენმა ორივე ერთნაირად დაგვზარდა. ამ ერთ ღამეს მე ვუდარაჯებ.

ურუზმაგმა უთხრა:

— შენი იმედი რომ მქონდეს, ჩემს შემდეგ ხარ დაბადებული და წესით სამივე ღამე შენ უნდა გედარაჯა.

ხამიცმა ურუზმაგის ნათქვამი ითაკილა. ახლა ამან აისხა იარაღი და აკლდამისაკენ გაემართა. დადგა აკლდამის კართან ხამიცი. გაიარა დრომ და ნართების სოფელს მიაყურადა. ერთი უბნიდან საღვთო წვეულების სიმღერა შემოესმა, მეორე უბნიდან — მექორწილეთა ხმაური: „იჰ, იმას კი რა ვუთხარი, ვინც მომაკვდავის სიტყვას უჯერებს! ნეტა დედაჩემს აკლდამიდან ვიღა წაიღებს! მიჯობს წავიდე და სადმე ქორწილში წავიქეიფო“.

ადგა და სოფლისკენ გამოემართა. როგორც კი აკლდამას ცოტა მანძილზე გამოსცდა, აკლდამა გაბათდა და შიგ ვასთირჯი გაჩნდა. გადასცხო ნაბდის მათრახი მიცვალებულს და ძერასა როგორიც ცოცხალი იყო, შვიდჯერ იმაზე უკეთესად გადაიქცა.

ვასთირჯიმ აისრულა წადილი, კვლავ დასცხო ნაბდის მათრახი ძერასას და ქალი ისევ მიცვალებულად იქცა.

ამ ამბიდან ერთი წელიწადი გავიდა, ნართების ჭირად დაბადებულმა სირდონმა აკლდამის წინ ჩამოიარა. აკლდამიდან ბავშვის ტირილი შემოესმა. სასაფლაოდან სირდონი პირდაპირ ნართების ნიხასში მივიდა. სამივე გვარის ნართები ისხდნენ და საუბრობდნენ.

— დილა მშვიდობისა და ღვთის მადლი ნიხასს!


— სიკეთე მოგცეს გამჩენმა, სირდონ!

— საოცრება ხდება ნართების სასაფლაოზე, — წამოიწყო სირდონმა, — ყური მიუგდეთ, ბავშვის ტირილის ხმა გამოდის.

ნიხასში ურუზმაგიც იჯდა. წამოდგა და სასაფლაოზე წავიდა.

გააღო აკლდამის კარი, შევიდა შიგ და გამოიყვანა პატარა გოგონა. ბავშვს სათანა დაარქვეს.

სათანა ისეთი ლამაზი და გონიერი ქალი დადგა, რომ მისი სილამაზე ბნელ ღამეს დღესავით ათენებდა. აზროვნება კი ბასრ დანაზე უფრო გამჭრიახი და ისარზე უფრო მიზანმიმართული ჰქონდა.



ეპისტოლე

ესაია



როგორ გახდა სათანა ურუზმაგის ცოლი

ურუზმაგი როცა დავაჟკაცდა, ალეგაანთ პირმშვენიერ ელდაზე დაქორწინდა.

სათანაც იზრდებოდა და მშვენდებოდა. თვეში იმდენს მატულობდა, რამდენსაც სხვა გოგონები მთელი წლის მანძილზე იმატებდნენ, ხოლო წელიწადში იმდენი ემატებოდა, რამდენიც სხვებს — სამ წელიწადში. აღნაგობითა და შესახედაობით ხომ თვალციმციმასა და ოქროსთმიანს ბადალი არ მოეძებნებოდა.

დაქალიშვილდა, გათხოვების ასაკში შევიდა და გულში იფიქრა: „კი გავთხოვდებოდი, მაგრამ სადაა ჩემი საქმრო, რომ არ ვიცი?“ ფიქრობდა, არჩევდა და ანგელოზებს შორისაც კი ურუზმაგზე ბრძენი და ძალგულოვანი ვერავინ აღმოაჩინა. და გულში ჩაითქვა: „თუ ურუზმაგი შემირთავს, ხომ კარგი, თუ არა და სულაც არ გავთხოვდები!“

რა ჰქნას ახლა სათანამ: თავის პირით თქმას ვერ უბედავს, სხვისი დახმარებით ჩააგდოს გულისხმაში და არც ეს უნდა. ბოლოს მოიფიქრა: „მოდი. რაც იყოს, იყოს. მე თვითონ გავუმხელ“.

და ურუზმაგს კიდეც გამოუტყდა:

— ურუზმაგ, კარგს გარეთ არავინ გაუშვებს. სხვა გვარში გასათხოვებლად ცოდვა ვარ. მე სხვა გზა არა მაქვს, შენ უნდა შემირთო!

ურუზმაგს სირცხვილით ყურები აეწვა, თმა ყალყზე დაადგა:

— აღარც მიხსენო, სირცხვილია! რას იტყვის ხალხი? ნართებში რალა პირით უნდა გავიდე!

ამ ამბის შემდეგ, ვინ იცის, რამდენმა დრომ გაიარა და ერთხელაც ურუზმაგმა ერთი წლით სამოგზაუროდ წასვლა განიზრახა. უხმო თავის შეუღლეს — ელდას და დაუბარა:

— მე ერთი წლით მივემგზავრები. ჩემს დაბრუნებამდე სანოვაგე და სასმელი მოიმარაგე. ხომ იცი, როცა დავბრუნდები, ხალხი მოსაკითხად ივლის და გამასპინძლება დაგვჭირდება.

გაემგზავრა ურუზმაგი.

გავიდა ერთი წელიწადი. როცა მისი დაბრუნების დღე მოახლოვდა, ცოლმა რონგი მოამზადა. რონგი წესის და რიგის მიხედვით მშვენივრად მოხარშა, მაგრამ საფუარი რომ ჩაალესა, სასმელი არ ადუღდა. ცისა და მიწის უეშმაკესმა სათანამ ელდას დამზადებულ რონგს ჯადო გაუკეთა და დუღილს არ ანებებდა. წუხდა ელდა, ნერვიულობდა, შერბი-გარბოდა, ხან რონგს დახედავდა, ხან სათანას შესჩიოდა:

— მიშველე, გოგო, სირცხვილით თავი მომეჭრება, რონგი ვერა და ვერ ამიდუღდა. შენმა ძმამ ასე მოუმზადებელს რომ მომისწროს, მომკლავს და ეგ არი.

— რა ჩემი საქმეა, მე რა უნდა გიშველო, — უთხრა სათანამ.

რძალს მაინც ვერ მოუსვენია, შედის და გადის სათანასთან, წარამარა რონგს დახედავს, მაგრამ რონგს დუღილისა არაფერი ეტყობოდა. წუხდა ქალი:

— რაღა ვქნა, რა მეშველება, გული გადამელია; დავიღუპე, დავიღუპე.

როცა სათანა დარწმუნდა, ახლა კი ნამდვილად გაიტანჯა ჩიმი რძალი, ქმრისა ეშინია და წუხსო, უთხრა:

— ელდა-პირმშვენიერო, შენ რომ შენს საქორწილო კაბასა და თავსაბურავს მათხოვებდე, მე ერთ სალამოს ურუზმაგს გავამასხარავებდი. ამის სანაცვლოდ კი რონგს აგიდუღებდი.

— კარგი, — დაეთანხმა რძალი.

სათანა შევიდა, ახალი საფუარი მოამზადა, რონგს ჩაალესა და სულ შიშინი დააწყებინა.

ურუზმაგი დაბრუნდა. წვეულება გამართეს, დაპატიჟეს ნართები და გემრიელი რონგი ასვეს. საღამოთი მოწვეული ხალხი სახლებში წავიდა. სათანა ელდას საქორწინო ტანსაცმელში გამოეწყო და ურუზმაგის საწოლ ოთახში შევიდა. ურუზმაგმა იგი ვერ იცნო და თავის ცოლად მიიღო.

— ალეგაანთ ქალო, ახლა უფრო უკეთესი ხარ, ვიდრე პირველ ღამეს იყავ, — უთხრა ურუზმაგმა.

— ჯილაგში ეგრე მოგვდგამს, — უპასუხა სათანამ, რომ კაცი არ დაეჭვებულიყო.

ღამით სათანამ ჭერზე მთვარისა და ვარსკვლავების გამოსახულებანი გააჩინა. დილით ურუზმაგმა თქვა:

— ახლა გათენებულიც იქნება უკვე, ადგომის დროა.

— რა დროს გათენებაა, აბა, ახედე, ცაზე ჯერ მთვარე და ვარსკვლავები არ გამქრალან, — უთხრა სათანამ.

ელდა აქეთ-იქით აწყდებოდა, კარებს აბრახუნებდა, მაგრამ არ უღებდნენ; საცოდავს სიბრაზით გული გაუსკდა და მოკვდა. სათანა ელდას სიკვდილში რომ დარწმუნდა, ჭერიდან მთვარისა და ვარსკვლავების გამოსახულებანი გააქრო და ურუზმაგს უთხრა:

— ადექი. ახლა უკვე გათენებული იქნება.

ურუზმაგმა შეხედა სათანას და გაშტერდა:

— სათანა ხარ?! — აღმოხდა გაოცებულს.

— აბა, წუხელ მთელი ღამე ვისთან იყავი? — მიუგო სათანამ.

ურუზმაგს რაღა ეთქმოდა.

მიცვალებული დაასაფლავეს.

კაცი ძლიერ განიცდიდა ამ სირცხვილს და ნაღვლობდა.

— შემარცხვინე, სათანა, როგორ უნდა ვიცხოვრო ნართებს შორის, ხალხს რა პირით უნდა ვეჩვენო?!

— ხალხის დაცინვა ორი დღის ამბავია, ისეთი არაფერი მომხდარა, — ანუგეშა სათანამ, — მაგ სირცხვილის დასავიწყებლად რაცაა საჭირო, მე გასწავლი. გამოიყვანე ვირი, შეჯექი ზედ უკუღმა და ნიხასს სამჯერ აუარ-ჩაუარე. ნიხასში მყოფ ხალხს თვალყური მიადევნე და ვინ როგორ მოიქცევა, მიამბე.

შეჯდა ურუზმაგი ვირზე უკუღმა და ნიხასის შუა ჩაიარა.

ნართებმა სიცილი დააყარეს, დიდსა თუ პატარას, მოხუცსა თუ ახალგაზრდას სიცილით ლამის ფერდები დააწყდათ.

მერე ისევ უკან გამობრუნდა ურუზმაგი. ახლა ზოგმა გაიცინა, ზოგმა — აღარ. ბევრმა ზედაც არ შეხედა. ზოგ-ზოგებმა კიდევაც დაიდარდეს და სინანული გამოთქვეს: ჩვენი ბრძენი ურუზმაგი ნამდვილად ჭკუაზე შეიშალაო.

ვირზე უკუღმა მჯდარმა ურუზმაგმა მესამედაც ჩაიარა ნიხასის წინ და სულაც არავის გასცინებია. ახლა უკვე დაფიქრდნენ და დაასკვნეს: „ეგ ტყუილად არ შეჯდებოდა ვირზე უკუღმა, რაღაცა ეშმაკური ჩანაფიქრი ექნებაო“.

დაბრუნდა შინ ურუზმაგი და სათანამ ჰკითხა:

— აბა, როგორ შეგხვდა ხალხი?

— პირველად რომ ჩავიარე, — დაიწყო ურუზმაგმა, — ხალხი ლამის სიცილით დაწყდა, ფეხზე აღარ იდგნენ. უკან რომ ამოვიარე, ზოგმა გაიცინა, ზოგმა — აღარა. ბევრნი სინანულსაც გამოთქვამდნენ, ჩვენი დამრიგებელი ურუზმაგი ნამდვილად ჭკუას გადასცდაო. მესამედ რომ ჩაუარე, სულაც აღარავის გაუცინია, თქვეს: „არც გაგიჟებულა და არც ტყუილ-უბრალოდ შეჯდებოდა ვირზე უკუღმა, რაღაც ეშმაკობა ექნებაო ალბათ, ჩაფიქრებული“.

სათანამ უთხრა:

— ჰოდა, ჩვენი საქმეც ეგრე იქნება. პირველად დაგვცინებენ, მერე ეს ამბავი სულაც აღარავის გაახსენდება.

ხალხმა როცა შეიტყო, ურუზმაგმა თავისი და სათანა ცოლად შეირთოო, ჯერ რა თქმა უნდა, დასცინეს, მერე დრო გავიდა და ეს ამბავი სულაც აღარავის გახსენებია.

ასე და ამგვარად შეუღლდნენ სათანა და ურუზმაგი და ცხოვრობდნენ ერთად.

სათანა და ბორათეგის ასული

გრძნეულმა სათანამ მოხუცებული ქალის იერსახე მიიღო და ურუზმაგს შესჩივლა:

— ურუზმაგ, მე ოჯახის დიასახლისად ვეღარ გამოგადგები. სანამ ცოცხალი გყევარ, სხვა ცოლი შეირთე.

ურუზმაგი უარზე დადგა:

— სათანა, სანამ სული გიდგას, სხვა ცოლის შემრთველი არა ვარ!

სათანამ ქმარს ხელმეორედ დაუწყო შეგონება:

— ურუზმაგ, გამიგონე, მე ვეღარაფერში გამოგადგები და ნართების სამივე გვარში მიმხედავის გარეშე დარჩენილი, დაიღუპები. სანამ ცოცხალი ვარ, გირჩევ, ცოლის შერთვაზე იფიქრო.

ურუზმაგმა, რაკი დარწმუნდა, სათანა ნამდვილად დაუძლურდა და წუხდა, შეკაზმა თავისი არფანი* და დალასიხში ბორათებთან ჩავიდა.

ბორათების ბურაფარნიგს შვიდი ვაჟი და ერთი ქალი ჰყავდა. ურუზმაგის სტუმრობამ ბურაფარნიგი ძლიერ გაახარა.

— ურუზმაგ, ძალიან გამახარე შენი მობრძანებით. რა ხანია შენს ნახვას ვნატრობდი. საიდან, როგორ, რომელმა ქარმა გადმოგაგდო?

ურუზმაგმა უპასუხა:

— გაჭირვებული კაცი სად არ გადავარდება! სათანა დამიბერდა, საქმის თავი აღარა აქვს და... გავიგე, გასათხოვარი ქალი გყოლიათ, ბურაფარნიგ.

აბა, ურუზმაგს სასიძოდ ვინ დაერიდებოდა!

შეუთანხმდა ბორათებს ურუზმაგი დამოყვრებაზე და შინისაკენ გამობრუნდა. ნართების რჩეული ვაჟკაცებიდან მაყრიონი შეაგროვა და პატარძლის მოსაყვანად წაიყვანა. ხამიცი უფროს მაყრად წაიყვანა, სოსლანი — ნაბდის შემხვევად* (საპატარძლო საჩუქრების მეთვალყურე და დამბინავებელი). ბათრაძი — ხელისმომკიდედ.

ჩავიდა ურუზმაგი თავისი მაყრიონით ბორათებთან. ბორათებმა კვირიდან კვირამდე უმასპინძლეს. შემდეგ მექორწილეებმა წამოიყვანეს პატარძალი და ურუზმაგის სახლში წამოვიდნენ.

ურუზმაგმა ნართების სამივე გვარს მოპატიჟეები დაუგზავნა და მოიწვია. შეიკრიბნენ ნართები და კვირიდან კვირამდე იქეიფეს, მის ქორწილში დრო ატარეს.

ქორწილი დამთავრდა, ხალხი სუფრიდან აიშალა და სახლებში წავიდა: ურუზმაგი ბორათების ასულის საწოლში უნდა შესულიყო, რომ სათანამ კვლავ ახალგაზრდული სახე დაიბრუნა. დაინახა იგი ურუზმაგმა და ბორათების ასულს ახლოსაც აღარ გაეკარა. ეს ამბავი მთელ ნართებს მოედო და ურუზმაგის საქციელზე კვლავ ნიხასში ალაპარაკდნენ.

ერთმა ცუღლუტმა ახალგაზრდამ ნიხასში მსხდომთ უთხრა:

— მე ამაღამ ურუზმაგის ოჯახს ვესტუმრები. ღამეს იქ გავათევ და დილით ნამდვილ ამბავს ამოგიტანთ.

ახალგაზრდა ურუზმაგის სახლისაკენ გაემართა. მივიდა ოჯახში და ღამე მათთან დარჩა. ურუზმაგმა სტუმარს კარგი პატივი სცა, მსუქანი ერკემალი დაუკლა და გულუხვად გაუმასპინძლდა. ისხდნენ დრომდე, ისაუბრეს, მერე სტუმარს სახლის ერთ კუთხეში გაუშალეს ლოგინი და მოასვენეს. ბორათების ასულიც ამავე ოთახში დააძინეს; თვითონ სათანა და ურუზმაგი კი დასაძინებლად თავიანთ ვერცხლის ოთახში წაბრძანდნენ.

ახალგაზრდას დაეძინა. დაძინებიდან ცოტა დრომ გაიარა და ბორათების ასული ლოგინიდან ადგა, სტუმართან მივიდა და საბანი გადმოუწია.

ახალგაზრდა მიხვდა, რისთვისაც მოაკითხა ქალმა და განგებ გაუწყრა, ვითომ კატას უწყრებოდა.

— აცხა. შე უპატრონო, მაცალე ძილი!

ბორათების ასული ბუზღუნით გამობრუნდა. ცოტა ხანს დაყოვნდა, მერე კვლავ მივიდა ყმაწვილის საწოლთან და საბანი ისევ გადმოუწია. ყმაწვილმა კვლავ უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა:

— ოხრად დაურჩი შენს პატრონს, ძილი აღარ უნდა მაცალო?

ქალი კვლავ უკმაყოფილო ბუზღუნით გამობრუნდა.

ქალმა მესამედ რომ მიაკითხა ვაჟს, მას აღარც „აცხა“ უთქვამს და აღარც თავი მოუმძინარებია — სტუმარმა და ბორათების ასულმა ერთად დაიძინეს.

ბრძენ სათანას რა გამოეპარებოდა, გაუგო!

დილით რომ ადგნენ, ხელ-პირი დაიბანეს და საუზმეზე დასხდნენ, სათანამ თქვა:

— ის მასპინძელიც გადაშენდეს და ის სტუმარიც, რომელმაც გულ-ახდილად არ თქვას, წუხელ სიზმარში რა ნახა?

ურუზმაგმა იკითხა:

— სიზმრების მოყოლა უფროსობით დავიწყოთ თუ უმცროსობით?

სათანამ უპასუხა:

— ბერიკაცო, უფროსი ხარ და შენზე უწინ ჩვენ ლაპარაკი არ შეგვშვენის.

ურუზმაგს კი მოსაყოლი არაფერი ჰქონდა და სათანას მიმართა:

— წუხელ გათენებამდე ისე მეძინა, არაფერიც არ დამსიზმრებია. დედაკაცო, შენ თუ დაგესიზმრა რამე, გვიამბე.

სათანამ არ დააყოვნა:

— წუხელ ჩვენმა ფაშატმა აიწყვიტა, ჩავიდა ჩვენებიანთსა და ულაყი მოძებნა.

ახლა სტუმარს ჰკითხეს:

— ყმაწვილო, შენ რაღა დაგესიზმრა?

მან მასპინძლებს უამბო:

— წუხელ ვითომ ერთ ფერდობზე სანადიროდ წავედი. წინ ერთი ფურირემი შემომხვდა. როგორც კი სროლა დავაპირე, მეორე ფერდობიდან ხმა მომესმა: „არ ესროლო, ურუზმაგის ისრითაა დაკოდილი!“ კიდევ წამეძინა და ახლა მეორე ფერდობზე წავედი. წინ კვლავ ის ფურირემი დამიხვდა. დავუმიზნე, უნდა მესროლა და კვლავ ვიღაცამ დამიყვირა. „არ ესროლო, ურუზმაგის ისრითაა დაკოდილი!“ — რას ვიზამდი, გავანებე თავი.

ცოტა ხანი გავიდა, ისევ დამეძინა ახლა სანადიროდ მესამე ფერდობზე წავედი. აკი წინ ისევ ის ფურირემი არ შემომხვდა! ძახილი არად ჩავაგდე, აღარავის დავუჯერე და ვესროლე.

— აბა, ბორათების ასულო, შენ რაღა დაგესიზმრა?

— მე წუხელ კასრებში რონგი შევამზადე, მაგრამ დუღილისა სრულებით არაფერი დაეტყო. ჩავედი ჩვენებთან, საფუარი ამოვიტანე; როგორც კი ეს საფუარი ჩავალესე, რონგმა დუღილი მაშინვე დაიწყო.

გამოემშვიდობა იმ დილით ყმაწვილი მასპინძლებს და წავიდა. ჩავიდა ნიხასში. ნართების ახალგაზრდები შემოეხვივნენ და შეკითხვები დააყარეს:

— აბა, ჰე, თქვი, როგორაა ურუზმაგის საქმე?

— ზუსტად ისევეა, როგორც ხალხი ლაპარაკობს: სათანამ ახალგაზრდული იერი კვლავ დაიბრუნა და ურუზმაგი ბორათების ასულს ახლოსაც არ ეკარება, — უთხრა მათ ყმაწვილმა.

როგორ ეყრებოდა ურუზმაგი სათანას

ერთხელ ურუზმაგი თავის ცოლს სათანას ძლიერ გაუბრაზდა და უთხრა:

— ღვთის გულისათვის, გამშორდი, წადი შენს სამშობლოში! რაც კი მოგწონს ამ სახლში, წაიღე. თუ რამ ძვირფასი განძი გაგვაჩნია. სულ შენი იყოს, ოღონდ თავი დამანებე, აღარ შემიძლია!

— ძალიან კარგი, — უთხრა სათანამ, — რაკი მეტი გზა აღარ დამრჩენია, უნდა დაგემორჩილო, კაცო. წავალ, ოღონდ ერთი სათხოვარი მაქვს და ამისრულე. მე ნართების პურ-მარილი მიმიღია, ასევე ნართებსაც ჩემი ნახელავი უგემიათ. უკანასკნელად წვეულება გამიმართე და ნართები დამიპატიჟე, პატივისცემის ნიშნად მინდა ნუაზანი მივართვა.

ურუზმაგი დაეთანხმა, გაუმართა წვეულება. სათანამ საუცხოო სუფრა გაშალა. საკუჭნაოში აღარაფერი დაუტოვებია, რაც კი ნუგბარი სასმელ-საჭმელი ჰქონდა, სულ მაგიდებზე დაახვავა. ნართები შვიდი დღე და შვიდი ღამე ისხდნენ უხვ სუფრაზე, სვამდნენ და ღრეობდნენ. მერე სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ბოლოს მარტო მერიქიფეები-ღა შემორჩნენ. სათანამ ამ ყმაწვილებს უთხრა:

— ოჯახის უფროსს კარგად მიმიხედეთ, სირჩები მიართვით.

მერიქიფეებმაც არ დააყოვნეს, ურუზმაგს რონგით სავსე სასმისები მიართვეს. ურუზმაგი ისედაც საკმაოდ ნასვამი გახლდათ, ხოლო ამდენი სირჩების დაცლის შემდეგ უარესად დაითრო. დაითრო და ღრმა ძილითაც დაეძინა. მერიქიფეებიც თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ.

სათანამ შეაბა ნაპატივები ხარები ურემში, ჯინში თომი ჩააფინა, გადააფარა ხალიჩა, დააგო ზედ ლეიბი, ჩააწვინა მძინარე ქმარი შიგ და

თავის სამშობლოსაკენ გაუდგა გზას. სახლიდან სრულებით არაფერი არ წამოუღია.

როცა გაივაკეს და ბარში ჩავიდნენ, ურუზმაგს გამოელვიძა. ამ ხანში კიდევაც გამოფხიზლდა. ხედავს, გვერდით სათანა უზის, სახრით ხარებს ერეკება და ბორხვენას ფოთლით სახიდან ბუზებს უგერიებს.

„ეს რა საოცრებაა, რომ ვერაფერი გამიგია?“ — ფიქრობს გულში ურუზმაგი.

— სად მივდივართ, ქალო? — ჰკითხა კაცმა ქალს.

— ალბათ, დაგავიწყდა, სახლიდან რომ გამომაგდე, არა? სამშობლოში მივდივარ, — უპასუხა ქალმა.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ ერთი ეს გამაგებინე, მე სადღა მიგყევარ? — ჰკითხა ურუზმაგმა.

— როცა სამშობლოში მისტუმრებდი, ხომ მითხარი: „თუ რამ ძვირფასი განძი გაგვაჩნია, შენი იყოს, წაიღეო“. მე ცხოვრებაში შენზე ძვირფასი და საყვარელი განძი სხვა არა გამაჩნია რა და წამოგიყვანე; სხვა განძისთვის ხელიც არ მიხლია.

— ეს რა ეშმაკს გადავეყარე! — თქვა ღიმილით ბებერმა ურუზმაგმა; რაღას იზამდა, შეურიგდა ცოლს, გამობრუნდნენ შინისაკენ და კვლავ სიყვარულითა და თანხმობით განაგრძეს ცხოვრება.

ნართებს შიმშილობის წელი დაუდგათ. ძალიან გაუჭირდათ. უპმელობამ ხალხი ლამის სიკვდილის პირზე მიიყვანა. იმედი გადაეწურათ ამ უბედურებისაგან თავის დასაღწევად ვეღარაფერი მოეხერხებინათ. ერთ დროს სახელოვანი ნართი ახალგაზრდები ისე დაჩიავდნენ, დაგლახაკდნენ, რომ მთელი დღე ნიხასში გულდაღმა ეყარნენ. მარტო წარსულის მოგონებებით-ღა იკვებებოდნენ. „მე რომ იქ ვისახელე თავი... მე რომ ჯოგები გადმოვლალე“, — მხოლოდ ესღა ისმოდა. კარგ ხმალსა და მშვილდ-ისარს აღარავინ ახსენებდა.

სირდონის ძუკნა ძაღლი ნიხასში დაყრილ ღონეგამოცლილ, დაუძლურებულ ნართებზე ზედ გადად-გადმოდიოდა, ზოგს ტუჩებს ულოკავდა, ზოგს არჩის დაუღრღნიდა, ზოგს კბილით ქამარს შუაზე გადაუჭრიდა.

ადამიანი ამაზე უარეს საცოდაობას რაღას ნახავდა!

ერთ დღეს ურუზმაგი ნიხასში გამოვიდა. ხედავს, ნართების მამაცი და მოხდენილი ახალგაზრდები ნიხასში დახოცილებივით დაყრილან და სირდონის ძუკნა, რაც არ შეჰფერით, ისეთ საქმეს უშვერებათ. გული ეტკინა ურუზმაგს, გაბრაზებულმა მოიქნია თავისი სპილოს ძვლის არგანი, ესროლა სირდონის ძუკნას და არგანი დაიმსხვრა. აკრიფა არგანის ნატეხები და დაბოღმილი სახლისაკენ გამოემართა. შევიდა ოთახში, დაყარა ძირს, რაც ხელთ ეჭირა და ისეთი გაჯავრებით ჩაეხეთქა თავის სპილოს ძვლის სავარძელში, რომ სულ ჭრიალი აუტეხა.

— რად შეგიკრავს მოშვილდული წარბები და რაზე მოღუშულხარ? ეგრე გაბრაზებით რატომ ჩაჯექი სავარძელში, ჩემო პატრონო? რა დაგემართა, ვინ გაწყენინა? — ჰკითხა სათანამ.

— წყენით არავის უწყენინებია, მაგრამ ამაზე ძლიერ სხვა რაღა მატკენდა გულს?!— თქვა ურუზმაგმა. — ჩვენი ახალგაზრდობა შიმშილისაგან მთლად დაუძლურებულა, პირქვე დაყრილა ნართების ნიხასში და რაც არ ეკადრებათ, ის დამართნიათ. სირდონის წუპაკი ძუკნა მწოლიარეებზე გადად-გადმოდის, ზოგს ტუჩ-პირს ულოკავს, ზოგს არჩითას უღრღნის, ზოგს — ტყავის ქამარს. იმათ კი „გადი, ძაღლოს“ თქმის ღონეც აღარ შესწევთ. დედაკაცო, დიდი ხნის სიცოცხლეს არ ვნატრობ, ოღონდ ეგენი ერთხელ კიდევ დამაძღობინა, რომ მათს ძარღვებში კვლავ აჩქეფდეს სისხლი და საგულეში კვლავ აძგერდეს გული.

— მაგაზე რად დარდობ? — უთხრა სათანამ, — წადი და მოიწვიე ყველას ისე გავუმასპინძლდები, როგორც ერთს — საკუჭნაოები სავსე მაქვს ათასგვარი სასმელ-საჭმლით.

შეიყვანა სათანამ ურუზმაგი ერთ საკუჭნაოში — სავსე იყო ხაჭაპურებით. შეიყვანა მეორეში — სასმელებით ჰქონდა გამოტენილი, შეიყვანა მესამეში — იატაკიდან ჭერამდე ერთმანეთზე ეწყო ბეჭი თუ ბარკალი.

— რასაც აქ ხედავ, ყველაფერი ნართების დიდი წვეულებებიდან მორთმეული ძღვენებია, ჩემი პატივისცემის ნიშნად გამოგზავნილი, — უთხრა ქმარს სათანამ.

გაიხარა ურუზმაგმა, სახე გაებადრა.

— აბა, ქალო, მაშ სტუმრების დასახვედრად მოემზადე. აქ იმაზე ბევრად მეტია, რაც ნართებს კვირიდან კვირამდე ეყოფათ, — უთხრა გახარებულმა და მოპატიჟე შოახმობინა. იმასაც კარგად გაუმასპინძლდა და დაავალა:

— წადი ახლა და ნართებს შეატყობინე: ახსართაგაანთ უზურმაგი წვეულებას მართავს და ყველას გეპატიჟებათ-თქო. ვისაც სიარული შეუძლია, თავის ფეხით მობრძანდეს, ვისაც არ შეეძლოს — წამოიყვანეთ, აკვნის ბავშვების პატრონებმა აკვნებიც თან წამოიღონ და მეწვიონ.

წავიდა მაცნე და ყველას გასაგონად გაჰყვირა:

— ეჰეი, ნართებო! ვისაც სიარული შეგიძლიათ, თქვენი ფეხით წამოდით, ვისაც არ შეუძლია — წამოიყვანეთ. აკვნის ბავშვის პატრონებმა აკვნებიც თან წამოიყოლეთ და ყველანი მობრძანდით — ახსართაგაანთ ურუზმაგი წვეულებას მართავს და გეპატიჟებათ!

ნართებმა ეს რომ გაიგონეს, იხუვლეს და დიდიან-პატარიანად ყველანი ურუზმაგის სახლისაკენ დაიძრნენ. გაშალეს სუფრები და დასხდნენ ღრეობად ხართები. ურუზმაგის ოჯახში კვირიდან კვირამდე იპურმარილეს.

სახლში ერთი თალია ცეცხლი ჩანავლდა. ურუზმაგი წამოდგა თავისი სავარძლიდან და შეშის შემოსატანად გარეთ, საჩეხში გამოვიდა. შეშის ასაკრეფად დაიხარა და სწორედ ამ დროს სავხოხიდან* შავი არწივი აფრინდა, დააცხრა კლანჭებით ურუზმაგს, ზევით აიტაცა, ატარა, ატარა და შორს, ერთ ზღვის შუაგულ ვეება ქვაზე დასვა.

ურუზმაგს გულს შემოეყარა, გმინვა აღმოხდა: „ეს რა უბედურება დამატყდა! რაღა ვქნა, ირგვლივ ლურჯი წყლის გარდა რომ არც მთა ჩანს, არც — ხე, როგორ მოვიქცე"?

იჯდა ქვაზე გულგასენილი ურუზმაგი და აქეთ-იქით იცქირებოდა. ამ ყოფაში კიდეც მოსაღამოვდა. კარგად რომ დაბნელდა, დაინახა, წყალში ერთი ქვის ქვეშიდან სინათლე გამოდიოდა.

„რაც გინდა დამემართოს, მაინც უნდა გავიგო რა არის იქ", — თქვა გულში ურუზმაგმა, ჩაცოცდა ქვაზე და წყალში ჩაეშვა. მიჰყვა სი-

ნათლის სხივს და ერთ კარს მიადგა. კარი შეაღო და სამი ერთიმეორეზე ლამაზი, თვალტანადი ქალიშვილი შემოეგება წინ.

— მშვიდობა შენს მობრძანებას, ჩვენო ემცექო ურუზმაგ! მშვიდობა და სიცოცხლე გქონოდეს მუდამ! მობრძანდი, მობრძანდი! — ქალიშვილებმა სტუმარი სიხარულითა და პატივისცემით შეიპატიჟეს. შინ შეიყვანეს. ურუზმაგს სახლში მოხუცი ქალი დახვდა.

— მშვიდობა ოჯახს! — მიესალმა ურუზმაგი.

— მშვიდობა და დიდი დღე მოგცეს გამჩენმა! — უპასუხა მოხუცმა და სავარძელზე ანიშნა, დაბრძანდითო.

ურუზმაგი დაჯდა. სახლის ყველა კუთხე-კუნჭულს თვალი მოავლო და გაოცდა: სახლს იატაკად ლურჯი მინა ეგო, კედლები სადაფისა ჰქონდა, ხოლო ჭერად ცისკრის ვარსკვლავი ეხურა.

ამ შუა წყალში ეს რა საოცარი სახლი ჰქონიათო. როცა დაფიქრდა, მიხვდა, დონბედთირების ქვეყანაში მოვხვედრილვარო.

ოთახში ერთი ცქრიალა ბიჭი ცელქობდა. დარბოდა, დახტოდა, ვერცხლისწყალივით დაუდეგარს თვალს ვერ მოაშორებდით. ამ საყვარელ ბავშვზე ურუზმაგს თვალი და გული შეუყვარდა, მზერას ვეღარ აცილებდა.

„ნეტავ იმას, ვისიც შენა ხარო“, შენატრა გულში.

— რომელმა ქარმა გადმოგაგდო ამ ქვეყანაში, ურუზმაგ? ჩვენ რამდენი ხანია შენს ნახვას ვნატრობთ, — უთხრა მოხუცმა ქალმა.

ურუზმაგი გახალისდა, გული დაიმშვიდა: მთლად წასული არ ყოფილა ჩემი საქმე, რაკი აქაც ემცექები და ჩემი ნახვის მონატრული ხალხი მყოლიაო და უამბო მასპინძლებს, როგორ მოხვდა დონბედთირების ქვეყანაში.

დატრიალდნენ ქალიშვილები, შემოიყვანეს მსუქანი ერკემალი, თვითონ ურუზმაგს დააკვლევინეს, გააჩაღეს ცეცხლი და სულ მალე უხვი სუფრა გააწყვეს.

ნართების ადათის მიხედვით ურუზმაგმა ბარკალი მახვილის წვერს წამოაგო და ოჯახი დალოცა. მერე წესისამებრ, ოჯახში უმცროსს უხმო, და ხორცი შესთავაზა:

— მოდი, მა ხურ, შენ გასინჯე.

ცქრიალა ბიჭუნა მარდად კი გამოქანდა, მაგრამ ურუზმაგს როგორც მიუახლოვდა, წაიფორხილა, წინ წავარდა და გამოწვდილი მახვილის წვერმა შიგ გულში გაუარა. ბავშვი ლამაზ, მოციმციმე ყვავილივით მოწყვეტით დაეცა ძირს, ხელ-ფეხი გაასავსავა და ნორჩი სული იმწამსვე განუტევა.

ურუზმაგი გადაირია დარდით, მასპინძლები ხომ შეწუხდნენ და შე-

წუხდნენ. ბავშვის ცხედარი ქალიშვილებმა მეორე ოთახში დაასვენეს.

„რა უიღბლო ვარ, კაცო, ეს რა უბედურება დამატყდა თავზე“... ბოლმა ახრჩობდა ურუზმაგს და სუფრაზე ხელი აღარაფრისთვის აღარ დაუკარებია.

მოხუცმა მასპინძელმა შესთავაზა:

— მიირთვი რამე, ურუზმაგ! რაც მოხდა, იმას აღარაფერი ეშველება. ღმერთმა აღსასრული, ალბათ, სწორედ დღეს მოუვლინა.

მასპინძელი კი სთავაზობდა საჭმელს, მაგრამ დარდისაგან კრიჭაშეკრულ კაცს რაღა ჭამისა სცხელოდა! წამოდგა დაძმარებული ურუზმაგი და წამოვიდა, ბავშვის ცხედარზე მოტირალი მოხუცი და ქალიშვილები ეგრე დატოვა.

ურუზმაგი ისევ იმ ქვაზე აღმოჩნდა, რომელზეც არწივმა დასვა. კვლავ მოფრინდა ის შავი არწივი, აიყვანა თავისი ძლიერი კლანჭებით, ატარა, ატარა და თავის ეზოში, საჩეხთან დასვა.

დაღონებულმა ურუზმაგმა წამოკრიფა ერთი იღლია შეშა და სახლში შეიტანა. ნართები ისევე ისხდნენ და ღრეობდნენ, ურუზმაგის შემოსვლა არც შეუნიშნავთ.

დაჯდა ურუზმაგი სუფრასთან თავის ადგილზე და წვეულებაზე მსხდომ ხალხს ჰკითხა:

— რას იტყვით, ძველი თქმულება გიამბოთ თუ ახალი?

— ძველი უკვე მოსმენილი გვექნება, რამე ახალი გვითხარი, — უთხრეს სუფრაზე მსხდომებმა.

— აბა, მაშ, იცით როდის ავდექი სუფრიდან? — დაიწყო ურუზმაგმა. — საჩეხში გავედი, შეშა შემოვიტანო და ცეცხლს შევუმატო-მეთქი. როგორც კი ასაკრეფად დავიხარე, გამოფრინდა სავხოხიდან შავი არწივი, ამიტაცა თავისი ძლიერი კლანჭებით და წამიღო ზღვისკენ. იქ, ერთ დიდ ქვაზე დამსვა. რა მექნა, აღარ ვიცოდი. საღამოს ვხედავ, წყალში ერთი ქვის ძირიდან სინათლე გამოდის. რაც გინდა მოხდეს, მაინც უნდა გავიგო, რა არის-მეთქი. ჩავეშვი წყალში და ერთ კარს წავაწყდი. შევაღე კარები და სამი ულამაზესი ქალიშვილი შემომეგება. სიხარულით მომეფერნენ, მშვიდობა შენს მობრძანებას, ჩვენო ემცექოო, მითხრეს და შინ შემიწვიეს. სახლს კი იატაკად ლურჯი მინა ეგო, კედლები სადაფისა ჰქონდა და ჭერად ცისკრის ვარსკვლავი ეხურა. ოთახში ერთი მოხუცი ქალი და ერთიც პატარა ბიჭუნა დამხვდა. სტუმარს გულუხვად უნდა გაეუმასპინძლდეთო და მსუქანი ერკემალი დამიკლეს. როცა გამზადდა, მომართვეს. როგორც წესი და რიგია, დავლოცე ოჯახი, დავუძახე ბიჭუნას, მოდი, მა ხურ, დანაყრდი-თქო. გამოქანდა ბავშვი, წაიფორხილა და ჩემი მახვილის წვერმა შიგ გულში გაუარა. ოჯახი დამგლოვიარდა, მე ხომ

დარდისაგან არ ვიცოდი, რაღა მექნა. პირი ველარაფერს დავაკარე. ავდექი დაძმარებული და წამოვედი. იმავე ქვაზე დავჯექი, რომელზეც შავმა არწივმა დამსვა. ცოტა ხანში მოფრინდა კვლავ ის არწივი, ჩამავლო თავისი ძლიერი კლანჭები, წამომიყვანა და ისევ ჩემს ეზოში საჩეხეში დამსვა...

შეესმა ურუზმაგის ნაამბობი მერე ოთახში მყოფ სათანას, წაივლო თმებში ხელი, ჩამოიხოკა ლოყები და ატირდა მოთქმით:

— ნუ დამძრახავთ, ჩემო კარგო უფროსებო, მაპატიეთ, თქვენი თანდასწრებით ასე მოურიდებლად რომ მოვთქვამ: ეგ ერთადერთი იმედი მყავდა გადამალული ჩემს სამშობლო დონბედთირეთში. ის რომ შემეძინა, ეგ მაშინ ლაშქარს იყო წასული, არ იცნობდა და მაინც მიუგნია. უპოვნია და თავისი ხელით საიქიოში წინ გაუმძღვარებია. რაღა გვეშველება, სიბერეში ვინღა მოგვხედავს?!

დაღონდა ხალხი. მერე ნელ-ნელა დაიშალნენ და წავიდნენ თავიანთ სახლებში.

ურუზმაგი გლოვად დაჯდა. აღარც საუბარში უბამდა მხარს ვინმეს, აღარც — ხუმრობაში. ეგრე მხრებჩამოყრილი და თავჩაქინდრული მიმოდიოდა. გამოვიდოდა ნართების ნიხასში და იქ დარდის დამავიწყებელ ლურჯ ქვაზე* პირქვე დაემხობოდა. კაი ხანს იყო ასე მგლოვიარე და დარდიანი.

მოხუცი, ბევრის მნახველი ნართები ამშვიდებდნენ, თავს რად იკლავო დარდით, ურუზმაგ, შენს გარდა ეგეთი უბედურება განა არავის დამართნიაო!

ბოლოს სძლია თავს ურუზმაგმა, უკუჰყარა დარდი და ძველებურად მოიმხიარულა.

გავიდა ხანი და ნართ ურუზმაგმა კვლავ დაიწყო წვეულებების გამართვა.

* * *

დონბედთირებმა პატარა ბიჭის ცხედარი მიწას მიაბარეს, მისი სული კი საიქიოს გაფრინდა და ბარასთირის* მუხლზე დაივანა.

გადიოდა დრო, ბიჭს სულის მომხსენებელი არავინ უჩანდა და დანაღვლიანდა.

ერთხელ ბარასთირმა ჰკითხა:

— რად მოგიწყენია, ბიჭო?

მან უპასუხა:

— წლები გავიდა, რაც საიქიოში მოვედი, მომკითხავი კი არავინ

მყავს. მამაჩემი ურუზმაგი უცხო მკვდრებსაც შენდობას უთვლის, ხოლო მე კი არასოდეს მახსენებს. არც ქელეხია ჩემთვის, ამდენ მიცვალებულებს შორის უპატრონოდ ვარ. ბარასთირ, გთხოვ, გამიშვი მკვდრეთიდან, ჩემს თავს თუ თვითონ არ მივხედე, მამაჩემს სულაც დავავიწყდი. პირობას გაძლევ, წლის ხარჯისთვის რაცაა საჭირო, ყველაფერს ჩემი შრომით ვიშოვნი თუ არა, მაშინვე აქ გავჩნდები...

— შენი წყენინება არ მინდა, მაგრამ ეგ საქმე ვერ მოხერხდება,— უთხრა ბარასთირმა. — როგორც კი მკვდრები ამ ამბავს გაიგებენ, აქ ერთიც აღარ დადგება, — ახლაც ძლივს ჩერდებიან მკვდრეთში.

— ეგ ნუ გეფიქრება: ჩემს ალასას* უკუღმა დავჭედავ. როცა მიცვალებულები უკან გამომიდგებიან და საიქიოს კართან მოვლენ, შენ უთხარი: დახედეთ, თუ კვალი საიქიოდან გარეთ გადის, არც თქვენ დაგაკავებთ, მაგრამ კვალი თუ შიგნით მოემართება, ტყუილუბრალო შფოთი და ურჩობა არ შეგფერით-თქო“.

ბარასთირი დაეთანხმა.

ბიჭმა თავის ალასა უკუღმა დაჭედა და საიქიოდან მოქუსლა. შეიძრნენ მიცვალებულები და ყველამ კარისკენ ქნა პირი.

— საით? — ეკითხება მათ მეკარე.

— თუკი სხვისთვის შეიძლება აქედან წასვლა, აღარც ჩვენ დავდგებით, — შესჩივლეს მიცვალებულებმა.

— ჯერ გაარკვიეთ, რაშია საქმე, მერე მიხვდებით, რაც უნდა მოიმოქმედოთ. — აბა, კვალს დააკვირდით.

დახედეს მკვდრებმა და კვალი რომ შიგნით შედიოდა, რაღას იტყოდნენ, ყველა თავ-თავის ადგილზე დაბრუნდა.

ურუზმაგის უსახელო ვაჟი, დონბედთირების ყანი,* ნართების სოფელში მოვიდა. მიადგა ახსართაგაანთ ძველ სახლს და შეეხმიანა:

ძახილზე ოჯახის დიასახლისი სათანა გამოვიდა.

— ურუზმაგს ვეძებ, იქნებ სათარეშოდ წავსულიყავით. ამხიცხარან ბარაგობავთან* დაველოდები.

სათანა შინ შებრუნდა და ურუზმაგს უთხრა:

— ე, კაცო, სამასხარაოდ გაგხდომია ეგ ბებერი თავი — ერთი უდღეური ბიჭი გეძებს, უნაგირს არც კი ასცილებია და სათარეშოდ ერთად წასვლა შემოგთავაზა — ამხიცხარან ბარაგობავთან დაველოდებიო.

— აბა, სწრაფად გამამზადე, ქალო, — იმასთან ერთად სათარეშოდ მიმავალს ვინც დამინახავს, ვიცი, დამცინებს, მაგრამ რაც წესად მაქვს, ხომ ვეღარ მოვიშლი, სიბერეში ვეღარ გამოვიცვლები. სანამ ცოცხალი ვარ, რასაც ჩემს მოვალეობად ვთვლი, ყოველთვის ავასრულებ. ურუზმაგს არც აქამდე გაუწბილებია ვინმე და არც ახლა გააწბილებს.

სათანას არ სურდა, რომ ურუზმაგი იმ ბიჭთან ერთად სათარეშოდ წასულიყო. ამიტომ საღამოთი გამოაცხო სამი ცალი თაფლიანი კვერი და ღმერთს შეევედრა:

— ღმერთო უზენაესო, თუ რაიმესთვის შემქმენ, ეს სიკეთე მიყავი — რაც შვიდი წლის მანძილზე თოვლი და წვიმა უნდა მოვიდეს, სულ ამაღამ მოიყვანე. ამოვარდეს ქარიშხალი, დატრიალდეს ქარაშოტი, რომ ეს უდღეური და არდასარჩენი დაიღუპოს და ჩემი მოხუცი შინ დარჩეს.

ცა იმწამსვე მოიქუფრა, დაიწყო ბარდნა და გათენებამდე არნახული დიდი თოვლი დასდო. მერე ამოტყდა ქარიშხალი, დატრიალდა ქარაშოტი — ლამის ქვეყანა დაიქცა. კაცი სახლიდან გარეთ ვერ გამოვიდოდა. ურუზმაგმა დილაბნელზე თავის ჭრელ არფანს მაინც დაადგა უნაგირი და გაემართა. მიდის, მიარღვევს თოვლს და ძლივსძლივობით ააღწია ამხიცხარან ბარაგობავთან. ხედავს, გორაკი გადაშავებულია, გაუშლია ბიჭს თოჭალთო, სასთუმლად უნაგირი დაუდვია, ზედ ნაბადი წაუფარებია და წევს. მის ირგვლივ შვიდი კალოს ოდენაზე მინდორი მწვანედ ღაღანებს, დგას წელამდე ბალახში ბიჭის ალასა და ძოვს.

„ამას რას ვხედავ! ანგელოზია, ღვთაება თუ სხვა რამ საოცრება!“ — გაიფიქრა გულში ურუზმაგმა.

მივიდა გორაკზე, თავისი ჭრელი არფანი ბიჭთან ახლოს გააჩერა და შეეხმიანა:

— რა იქენ, ბიჭო, ადე ზეზე! გზა გრძელია, დღე — მოკლე, აღარ გვეგვიანება!

ბიჭი უცბად წამოხტა ფეხზე, გაემზადა, მოახტა ცხენს და გაუდგნენ გზას — წინ თავის ჭრელ არფანზე ამხედრებული ურუზმაგი მიდის, უკან ბიჭი მისდევს თავის ალასათი.

მიდიან, მიდიან. ქარაშოტი და ქარბორბალა კი არ ცხრება. ურუზმაგის არფანი თოვლს მკერდით მიარღვევდა. უჭირდა და ზოგჯერ თოვლში ცხვირით ეფლობოდა. ბიჭის ცხენი კი უკვე გადამწვანებულ მინდორზე ძოვა-ძოვით მიჰყვებოდა. ვეღარ იყო არფანის საქმე კარგად — დაიღალა.

ბიჭმა ურუზმაგს უთხრა:

— რა გინდ სათაკილოც იყოს, წინ მე უნდა წაგიძღვე. დაე, დღეის შემდეგ უმცროსისათვის გზად უფროსის წინ სიარული სირცხვილად ნუღარ ჩაითვლება!

როგორც კი ბიჭი დაწინაურდა, მის ირგვლივ შვიდი კალოს ოდენაზე ცხენის ამონასუნთქი თოვლს ადნობდა და ურუზმაგის არფანი უკვე ამშრალ გზაზე მოჰყვებოდა.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, ურუზმაგი ბიჭს შეეხმიანა:

— სათარეშოდ წამოვსულვართ, ბიჭო და მოვითათბიროთ, საით მივდივართ, ვის უნდა დავეცეთ?

— ხელუხლებელი ქვეყანა თუ დაგრჩა სადმე, იქ წამიყვანე, — უთხრა ბიჭმა.

— კი დამრჩა ეგეთი — თერქ-თურქის მხარე. მსგავსი მდიდარი ქვეყანა, ალბათ, სხვა არც არსებობს. უთვალავი ცხვრის ფარების, პირუტყვის ჯოგების, ცხენის რემების მოვლას მწყემსები ვერც აუდიან, მაგრამ მათზე ძალის მიტანა ეგრე ადვილი არ არის. ჯერ ერთი, ზღვა უნდა გადალახო, მერეა და ჯოგებს დარაჯად რკინის რაში, რკინისლაშება მგელი და რკინის ნისკარტიანი ქორი უდგათ.

— აბა, იქით გავუდგეთ გზას. ვცადოთ ბედი, იქნება ვიგდოთ ხელთ რამე, — უთხრა ბიჭმა.

მიაღწიეს ზღვის ნაპირს. შეტოპეს წყალში. ცხენები წყალში თევზებივით მიცურავდნენ და მალე მეორე ნაპირზე გაჩნდნენ.

წყლის ნაპირზე შეისვენეს. ბიჭმა თავისი ცხენი კარგად გაბანა, მდნარი ფისი წაუსვა და ხრეშზე გადააგორა. კვლავ წაუსვა ფისი და კვლავ ხრეშზე აგორავა. ცხენი ლამის მთისხელა გახდა.

მიუახლოვდნენ თერქ-თურქის ჯოგებს და ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ. ბიჭმა ორი ორმო ამოთხარა — ერთი თავისთვის, მეორე კი ურუზმაგისა და მისი ცხენისათვის. შემდეგ ურუზმაგს უთხრა:

— ურუზმაგ, ახლა ჩემი ცხენი რკინის რაშს შეებმის. ჯერ წიხლებით დაუწყებენ ერთმანეთს ცემას და მათი ფოლადის ნალებიდან გაყრილი ნაპერწკლებით დედამიწას ხანძარი მოედება. თავს გაუფრთხილდი, მაღლა არ ამოიხედო, თორემ უბედურებას შეეყრები. შემდეგ კბილებით გლეჯვასა და ტორებით ცემაზე გადავლენ. მათი ქშენით ისეთი ქარი ამოტყდება, მიწის პირს ციდის სიღრმეზე ახოკავს. გაფრთხილებ, ადგილიდან არ გაინძრე, თორემ ქარი ნაფლეთებად გაქცევს. როცა დრო იქნება, მე თვითონ განიშნებ.

თავგამეტებით შეებნენ ერთმანეთს რკინის რაში და ალასა. მათი ფოლადის ნალებიდან გაყრილმა ნაპერწკლებმა ისეთი ხანძარი გააჩინეს, დედამიწა იწვოდა. ურუზმაგმა ვეღარ მოითმინა, ამოიწია ორმოდან და გრძელ წვერებზე ცეცხლი მოედო. იმარჯვა ბიჭმა, ჩააქრო წვერებზე მოდებული ცეცხლი და უთხრა:

— დღეის შემდეგ დარჩეს წესად, მხოლოდ იმ სიგრძე წვერის დაყენება, რამდენიც შენ შეგრჩა!

რკინის რაშმა და ალასამ წიხლებით ჩხუბი შეწყვიტეს, ახლა კბილებითა და ტორებით დაიწყეს. ისეთი ქარი ამოვარდა, ისეთი, რომ დედამიწის პირს ციდის სიღრმეზე გლეჯავდა.

ურუზმაგმა კვლავ ვერ მოითმინა, — ამოჰყო თავი ორმოდან. გადააძრო ქარმა თავის ქალა და წაიღო.

— უჰ, დავიღუპე! — წამოიძახა ბიჭმა, — უთავისქალოდ დამრჩება უფროსი!

ამოხტა ორმოდან და ქარისგან წაღებულ თავის ქალას გამოუდგა, წაავლო ხელი, მოიტანა, დაახურა თავზე ურუზმაგს და თქვა:

— დღეის შემდეგ ნართებს თავის ქალა აღარ ეხდებოდეთ!

მანამდე ნართებს ასახდელი თავის ქალა ჰქონდათ — მოიხდიდნენ ქალას, გაიპარსავდნენ და ისევ დაიხურავდნენ.

ჯერ ცხენებს ჩხუბი არ დაესრულებინათ, რომ მათკენ რკინისლაშება მგელი გამოექანა. დაუმიზნა ბიჭმა ისარი და შენს მტერს ის დღე — მგელმა იქვე გააცხო სული. ბიჭმა მოაჭრა ყური მგელს და შეინახა. ახლა რკინისნისკარტიანი ქორი გადმოეშვა. ბიჭმა აქაც იმარჯვა, ესროლა ისარი და მიწაზე დაცემული ქორი აფართხალდა. ბიჭმა მოსჭრა თავი ქორს და ისიც შეინახა.

რკინის რაში და ალასა კვლავ ჩხუბს განაგრძობენ. ჩააფრინდებოდა რკინის რაში კბილებით ალასას, მაგრამ პირი ხრეშითა და ქვიშით ევსებოდა. ბოლოს ალასამ რკინის რაში მთლად დაჯაბნა, დააჩოქა და ბიჭსაც ეს უნდოდა, ელვისუსწრაფესად გაქანდა, დაადგა უნაგირი ზურგზე და თვალისდახამხამებაში ზედ მოექცა.

— სად ხარ, ურუზმაგ! აბა, გაირეკე თერქ-თურქის ჯოგები. მე წავალ და პატრონებს შევატყობინებ!

— გვიჯობს, ჩვენს გზას ვეწიოთ, არც მდევარი გვიჩანს და არც მოძალადე, — ურჩია ურუზმაგმა.

— მაგას არ ვიზამ. მდევრის გარეშე ამდენი ჯოგის გარეკვა რა საკადრისია!

დასძრა რკინის რაში. თერქ-თურქის ხალხი ნადიმზე ისხდა და იქ მიაგელვა, გადასძახა სუფრაზე მსხდომებს:

— მდევარი, თერქ-თურქნო! ჯოგები გაგტაცეს!

უმცროსებმა უფროსებს ბიჭის ნათქვამი გადასცეს, მათ კი ეს ამბავი აინუნშიც არ ჩააგდეს:

— მშიერია ვიღაც, საჭმელ-სასმელს ეძებს. შემოიყვანეთ და სტუმრის ადათის მიხედვით გავუმასპინძლდებით.

გაცვივდნენ უმცროსები და ბიჭი შიგნით შემოიპატიჟეს.

რკინის რაშიდან ჩამოხტა ბიჭი, ადგილზე დააბა და უფროსებს წარუდგა. სუფრას თვალი გადაავლო. ამოიღო რკინისნისკარტიანი ქორის თავი და რკინისლაშება მგლის ყური. ქორის თავი უფროსებს მიუგდო, მგლის ყური — უმცროსებს და უთხრა:

— უფროსებო, თავი გაკლდათ და აჰა, მომირთმევია. თქვენ კი, უმცროსებო, ადათის მიხედვით. ა ყური. გარეთ, ცხენის საბმურზე კი თქვენი რკინის რაში გელოდებათ.

ნადიმზე მსხდომნი კაი ღლეში არ ჩაცვივდნენ: ვისი იმედითაც უშფოთველად იყვნენ, თურმე ხელიდან გამოსცლიათ.

ბიჭი მარდად გამრვიდა, მოაფრინდა ზურგზე რკინის რაშს და ურუზმაგისაკენ გაქუსლა. სოფლის ბოლოს რომ გამოვიდა, ხედავს, ექვს ბორცვს შორის თმაჭაღარა მოხუცი ქალი ზის და ბორცვებს მოთქმით დასტირის.

„ეს რაღა საოცრებაა“, — გაიფიქრა ბიჭმა გულში.

მოხუცი ქალი თვითონ გამოესაუბრა:

— მომიახლოვდი, შვილო, მოდი, ძუძუზე კბილი დამადგი. მდევრისა ნუ გეშინია; ვინ იცის, ჯერ როდის გაემზადებიან?! მე კი რასაც გეტყვი, ნუ გაიკვირვებ. შვიდი ვაჟკაცი მყავდა და ექვსი ხელიდან გამომეცალა — ეს მათი საფლავის ბორცვებია, ექვსივე მტრის ხელმა დამიხოცა, თერქთურქის ჯოგების გამტაცებლებს რომ დაედევნენ. ზედვე გეტყობა, მოძალადე ხარ. მდევარი დაგედევნება, მოგეძალებიან, წინ ჩემი ბიჭი წამოუძღვება. არ მოგეშვება, ვიცი, მაგრამ მე — შაოსან დედას მაპატიე მისი თავი, შენი სტუმარი იყოს ჩემი ერთა.

ჩამოხტა რკინის რაშიდან ბიჭი, მარდად მივიდა, ქვრივ ქალს ძუძუზე კბილი დაადგა და სიტყვა მისცა, ნართელი კაცის სიტყვა, რომ მის ერთადერთ შვილს არაფერს დაუშავებდა. მოხუცმა ქალმა ბიჭს უთხრა, როგორც უნდა გამოეცნო მდევარში მისი შვილი.

ბიჭი კვლავ მოახტა რკინის რაშს, გააჭენა და უმალ ურუზმაგთან გაჩნდა. ჯოგები გაიყვანეს წყალგალმა, გააღწიეს მეორე ნაპირზე. მიდიან, მიერეკებიან ჯოგს და აი, ერთი მდევარი წამოეწიათ.

— იარე, ურუზმაგ, ჯოგს მიხედე, მდევარს მე თვითონ ვაეუმკლავდები, — უთხრა ბიჭმა.

მხედარი ბიჭს წაეტანა:

— ჰაიტ, შე ძაღლო, ძაღლის ნაშობო, — უყვირა მან, — ვის ჯოგებს მიერეკები? აბა, თუ ვაჟკაცი ხარ და წამიხვალ! — უთხრა და ბიჭის ირგვლივ ისრები ბუზებივით აზუზუნდნენ.

— დედაშენისთვის სიტყვა მიმიცია, ძუძუზე კბილი დამიდგამს და დედად მიწამებია; თავი დამანებე, ჩემს გზაზე გამიშვი, — უთხრა ბიჭმა.

მდევარი თავისას არ იშლიდა.

მეტისმეტად რომ შეაწუხა ბიჭი, ამანაც მოზიდა მშვილდი, ესროლა და ისარმა სხეულსა და ტანსაცმელს შუა გაუარა, ცხენიდან გადმოაგდო და მიწას ჩიაკრა. მდევარი ისარს კაი ხანს ეჯაჯგურა, მაგრამ ძვრაც ვერ

ტყო. დანარჩენმა მდევრებმა ამ ყოფაში მოუსწრეს. ისინიც ეწვალნენ, მაგრამ ისარს ვერაფერი მოუხერხეს, ვერ ამოაძვრეს. ადგნენ, ტანსაცმელი ხმლით ჩაუჭრეს და მხედარი ისრის ტყვეობიდან ასე გაათავისუფლეს.

მდევრები ბიჭს შეებნენ. გაჩაღდა სროლა, წინებს ბიჭი ხოცავს, უკანები სისხლის ნიაღვარს მიაქვს. გაანახევრა მდევარი. გადარჩენილმა მდევრებმა შეატყვეს ბიჭს, ვერაფერს დააკლებდნენ და უკან გაბრუნდნენ.

ურუზმაგმა და უსახელო ბიჭმა ნადავლი ჯოგები ნართებთან მორეკეს. პირუტყვი გასაყოფად მიჩნეულ მინდორზე დააყენეს. ბიჭმა ურუზმაგს შესთავაზა:

— უფროსი კაცი ხარ, ნადავლი შენ გაანაწილე.

— მე ვგრ გავანაწილებ. ნადავლი შენი ნაშოვნია და შენვე გაჰყავი, — უპასუხა ურუზმაგმა.

ბიჭს აღარაფერი უთქვამს. ჯოგიდან ერთი თეთრი ხარი გამოარჩია, ცალკე გაიყვანა და აბრეშუმის თოკით დააბა. დანარჩენი პირუტყვი სამ ნაწილად გაჰყო და ურუზმაგს მიმართა:

— ეს ერთი წილი შენია — საუფროსო; მეორე წილი ამხანაგობისა გვეკუთვნის; მესამე ჩემია, მაგრამ ისიც შენთვის დამითმია. ამ თეთრი ხარით კი ქელეხი გადამიხადე. ქვეყნის მიცვალებულებისათვის გიცია პატივი, შენდობა შეგითვლია. ჩემი სული კი — შენივე ხელით დონბედთირებთან მოკლული შვილის სული — ერთხელაც ვერ გიხსენებია.

ეს უთხრა ბიჭმა, მოევლო ზურგზე თავის ალასას, დაემშვიდობა ურუზმაგს და საიქიოსაკენ გაემართა.

ურუზმაგმა ცრემლები ჰყარა და უკვე მიმავალს მიაძახა:

— ერთხელ კიდევ შემომხედე, შვილო!

ბიჭმა აღარ გამოხედა, დრო აღარ მყოფნისო.

ურუზმაგმა გამორეკა ჯოგი და სათანასთან რომ მოვიდა, უთხრა:

— დედაკაცო, ვისი ხიხარულიც გაცოცხლებდა და ვისი ცქერითაც არ გამძღარხარ, სათარეშოდ მე სწორედ იმ ბიჭთან ერთად ვიყავი.

სათანამ ეგრევე მიატოვა ურუზმაგი და ბიჭს დაედევნა. მირბის ჭალი, მისდევს, მისდევს და რომ მიუახლოვდა, დაუძახა:

— შვილო, შენი ყოფნის სიხარული მაცოცხლებდა, შენი ცქერით კი არ დავმტკბარვარ. ნუ დაიშურებ ჩემთვის ამ სიამეს — მომხედე, თვალი შეგავლო.

ბიჭი არ შემობრუნებულა, მხოლოდ ეს მოაძახა:

— დრო აღარ მყოფნის, მზე უკვე ჩავიდა.

აღარ მომხედავსო ბიჭი, დარწმუნდა საბრალო სათანა და ღმერთს შეევედრა:

— ღმერთო, შენ იცი! თუ დედის გულში ჩახედვა შეგიძლია, გთხოვ, მთებს ოდნავი შუქი მიანათე!

და იმ წამს მთებზე მზის მკრთალი შუქი აციმციმდა.

მიაღწია ბიჭმა საიქიოს კარს და შეეხმიანა მეკარეს:

— გამიღე კარი!

— დაგაგვიანდა, მზე უკვე ჩავიდა, — გამოსძახა მეკარემ.

— ჯერ ხომ ადრეა, მთებზე მზის შუქი ციმციმებს, — უთხრა კვლავ ბიჭმა.

გაუღო მეკარემ კარი. ბიჭმა ფეხი შიგნით რომ შეაბიჯა, ერთი მოხედა სათანას. სათანამ წამით შეავლო სახეზე თვალი, მოიძრო ბეჭედი და ესროლა ბიჭს. თითზე თავისით მოერგო ბეჭედი და წაიღო საიქიოს. აქ იგი კვლავ ბარასთირს ჩამოუჯდა მუხლზე.

სათანაც შინ დაბრუნდა. იმ თეთრი ხარით თავიანთ ბიჭს დიდი ქონები გადაუხადეს, ნადავლი ჯოგები კი ღარიბებს დაურიგეს.

ურუზმაგი და ცალთვალა დევი

ერთი ხანობა ურუზმაგი სათარეშოდ იყო წასული. სწორედ მაშინ ნართების ახალგაზრდები ნიხასში მოიყრიდნენ ხოლმე თავს და ბჭობდნენ, რომელი იყო მათში უკეთესი. „ნეტავ რომელია ნართებში ქალებს შორის უკეთესი ქალი და კაცებს შორის უკეთესი კაცი?“ — ყოველდღე ამაზე კამათობდნენ და ერთ აზრს კი ვერ დადგომოდნენ, რადგან ყველაზე უვარგისიც კი თავისას ჩემულობდა — მე ყველას გჯობივართო.

რომ ვერა და ვერ რიგდებოდნენ, სათანამ მათ ურჩია:

— მიდით აგერ კარმაგონთან, მოხუცი, ბევრის მომსწრე ქალია, ჰკითხეთ და ის გაგარკვევთ, ვინ უკეთესი ხართ და ვინ უარესი.

წავიდნენ კარმაგონთან და ნიხასში მოიყვანეს.

— კარმაგონ, ერთი რამე უნდა გკითხოთ და სიმართლე გვითხარი, — უთხრეს ახალგაზრდებმა.

— ღვთის გულისათვის, დამეხსენით, ყმაწვილებო! აბა, მე რა ვიცი რა უნდა გითხრათ? — უპასუხა კარმაგონმა.

— არ მოგეშვებით, კარმაგონ, სანამ არ გვეტყვი, ნართებში რომელია ყველაზე უკეთესი კაცი და ყველაზე უკეთესი ქალი.

კარმაგონმა ყველას გადააელო თვალი და თქვა:

— კარგი ხალხი ხართ, ძლიერები, ღმერთმა სიკეთე მოგცეთ, მაგრამ ვათვალიერებ და თქვენს საუკეთესო ადამიანებს მე აქ ვერ ვხედავ.

— მაინც ვინ არიან ჩვენში საუკეთესოები, გვითხარი! — ჰააცივდნენ ახალგაზრდები კარმაგონს.

— საუკეთესო კაცი ურუზმაგია, საუკეთესო ქალი — სათანა, — უთხრა კარმაგონმა მათ, რაკი აღარ და აღარ ეშვებოდნენ.

ნართების ამპარტავანმა ყმაწვილებმა დაიგდეს ფეხქვეშ მოხუცი ქალი. ზოგი ხელით სცემდა, ზოგი მიწაზე ახეთქებდა და კარგა მაგრად დაბეგვეს.

ამ ამბიდან მეორე დღეს ურუზმაგი შინ დაბრუნდა და სათანამ შესჩივლა:

— გუშინ სამივე ნართების* ყმაწვილებმა კარმაგონი მოიწვიეს და ცემით ლამის სული ამოხადეს.

გაბრაზდა ურუზმაგი და მაშინვე კარმაგონისკენ გასწია. მივიდა და ჰკითხა:

— რა დაგემართა, კარმაგონ?

—ჩემი ცოდვით არ გაიხარონ ნართების ამპარტავანმა ყმაწვილებმა. მომადგნენ გუშინ კარზე, წამიყვანეს ნიხასში და მეკითხებიან: „რომელია ნართებში ყველაზე უკეთესი კაცი და რომელია უკეთესი ქალი?“ მე ვუთხარი: „საუკეთესო კაცი ურუზმაგია და საუკეთესო ქალი — სათანა-თქო“. დამიგდეს ფეხქვეშ და ძვალი და რბილი გამიერთიანეს.

გამობრუნდა შინ ურუზმაგი. მეორე დღეს დილით ადრე ადგა, იხმო მაცნე და დაავალა:

— წადი და სამივე ნართებს ამცნე, სავხოხზე პირუტყვის ჯოგები ვნახე. ვინც ვაჟკაცია, ჯოგების გადმოსარეკად წამომყვეს. მერე აღარავინ თქვას, მე რატომ არ წამიყვანეთო.

მაცნემაც სამივე ნართებს გაჰყვირა:

— ურუზმაგმა სავხოხზე ჯოგები შეიგულა. ვინც ვაჟკაცია, გადმოსარეკად წამოვიდეს. ვისაც წამოსვლა არ უნდა, ბოლოს არ თქვას, რატომ მეც არ შემატყობინესო!

შეიკრიბნენ სამივე ნართების ახალგაზრდები და გაემართნენ სავხოხისკენ ჯოგების გადმოსარეკად. ურუზმაგი წინ წაუძღვათ. იმ ღამით კარმაგონმა სამი თაფლიანი კვერი გამოაცხო და ღმერთს შეევედრა: „ღმერთო უზენაესო, ღმერთო გამჩენო, ქვეყანას არნახული თოვლი და ყინვა მოუვლინე, რომ გამოჩნდეს სოფლის უკეთესი ნართების ამპარტავნებიდან!“

მთელი ღამე გათენებამდე თოვდა. იმხელა თოვლი დასდო, გარეთ არ გამოისვლებოდა. ნართებმა წასვლა მაინც არ დაიშალეს.

წინ გაუძღვათ ურუზმაგი. თეთრი ზღვის ნაპირებით ატარა ნართები, მერე შავი ზღვის ნაპირებს ზევით აუყვნენ და სავხოხამდე ვერც ერ-

თმა ვერ ააღწია. სულ გზადაგზა შემოეფანტნენ და თავიანთ სახლებამდე ძლივძლივობით მოაღწიეს.

ურუზმაგი სავხოხის ძირამდე მარტო ავიდა. აიხედა მაღლა და მთაზე აუარებელი პირუტყვი დაინახა. ავიდა ფარასთან, უყურებს ამდენ პირუტყვს, და ერთი ბოტის გარდა არც მწყემსი ჰყავს, არც ბინა რამ უჩანს; პირუტყვიც ძალიან უცნაურად მოეჩვენა. ცხვრები ლამის მოზვრისხელები იყვნენ, ბოტი — ზუსტად აქლემის ოდენა იყო.

„ვახშმად რომ ერთი ჭედილა დამაკლევინა, კარგი იქნებოდა“, — გაიფიქრა ურუზმაგმა და ერთ ცხვარს ფეხში ხელი სტაცა. ჭედილამ ურუზმაგი გაითრია; ათრია, ათრია, თავ-პირი ქვებზე ახლევინა და მაინც გაექცა.

„მეტი რა გზა მაქვს, — თქვა ურუზმაგმა, — ფარას უკან გავყვები, ბინა სადმე ექნება“. როცა მოსაღამოვდა, ფარას წინ ის ვეება ბოტი წამოუძღვა და ცხვარი დაიძრა. ურუზმაგიც უკან აედევნა. ხედავს, ეს ამდენი ცხვარი ერთ უზარმაზარ გამოქვაბულში შევიდა. ურუზმაგიც შეჰყვა ფარას. ცხვარი რომ გამოქვაბულში დაეყარა, ამ დროს სტვენა-სტვენით ცალთვალა დევიც გამოჩნდა, მხარზე ძირფესვიანად მოთხრილი ხე გაედო. დაახეთქა მიწაზე ხე და ისე დაიფშვნა, ჩირაღად მსხვილი იყო, ცეცხლში შესაკეთებლად წვრილი.

ურუზმაგმა დევი რომ დაინახა, ბარემ შეშინდა, მაგრამ რაღას იზამდა! გამბედაობა მოიკრიბა და მიესალმა:

— საღამო მშვიდობისა!

— იცოცხლე, მთის ძიგლო,* — უპასუხა დევმა, — აქ რამ მოგიყვანა?

— მოხეტიალე კაცი ვარ და აქეთ მოვხვდი, — უთხრა ურუზმაგმა.

დევმა გამოქვაბულის კარს ერთი ვეება ლოდი ააყუდა და ცეცხლი გააჩაღა. მერე ჩამოიღო მოკაუჭებული ჯოხი, რომლითაც ცხვრებს იჭერდა ხოლმე და ერთი ცხვარი დაიჭირა. დაკლა ცხვარი, ზუსტად ორ ტოლ ნაწილად გასჭრა და ქვაბში ჩაუძახა. სანამ ხორცი იხარშებოდა, დევი ცეცხლის პირს გულაღმა გაიშოტა და ხვრინვა ამოუშვა. ურუზმაგი კი იჯდა. ვახშამი რომ გამზადდა, დევს გაეღვიძა, ადგა, ქვაბი გადმოიღო, ცხვრის ერთი ნახევარი თვითონ დაიდო წინ, მეორე ნახევარი ურუზმაგს დაუდო და უთხრა:

— მიირთვი, სტუმარო!

ივახშმეს და ურუზმაგმა დევს მასპინძლობისათვის მადლობა გადაუხადა.

დილით ადრე დევმა გამოქვაბულის კარს ლოდი მოაცილა, გაილაჯა გასასვლელში და ბოტას დაუძახა.

— ბოძო, ფარა გაირეკე, კარგად აბალახე და საღამოთი უკლებლად მორეკე.

მთელი ფარა ლაჯებშუა სათითაოდ გაიტარა, დათვალა და გაუშვა. ცხვრები რომ გამოუშვა, თვითონაც გამოვიდა, გასასვლელ კარს კვლავ ფს ლოდი მიაყუდა და ურუზმაგი შიგნით დარჩა. მთელი დღე ეწვალა, მაგრამ ლოდს ვერაფერი მოუხერხა, ძვრაც ვერ უყო.

როცა მოსაღამოვდა, დევი თავის ფარას მოჰყვა, გამოქვაბულის შესასვლელს ლოდი ააცალა, პირუტყვი შიგნით შელალა და ლოდი კვლავ შესასვლელს მიაყუდა.

— სტუმარი სტუმრად ერთ ღამეს ითვლება, — უთხრა დევმა ურუზმაგს, — ამაღამ შენი რიგია, ვახშამი მოამზადე!

— რითი მოგიმზადო ვახშამი, რომ არაფერი მაქვს?

— მაშ ისევ მე თვითონ გავამზადებ, — თქვა დევმა და გადმოიღო ორსახელურიანი თვითმბრუნავი შამფური, გაუყარა ურუზმაგს ორივე მუხლში და ცეცხლის პირს დაარჭო. თვითონ, სანამ ურუზმაგი მწვადად შეიწვოდა, დავისვენებო, თქვა, გულაღმა გაიშხლართა და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. ურუზმაგმა, რაკი დაინახა, დევმა დაიძინაო, ფეხი კერიის ქვას მიაბჯინა, ნაჭას ხელები ჩაავლო და უკვე ნახევრადგატრუსულმა შამფურისაგან მუხლები გაითავისუფლა. მერე გაავარვარა ცეცხლზე შამფური და მძინარე დევს იმ ერთადერთ საღ თვალში ატაკა.

დევი აღრიალდა, ზეზე წამოვარდა და ურუზმაგს დაუწყო ძებნა. ურუზმაგიც წინ რად გაუჩერდებოდა! გაერია ცხვრის ფარაში და დაიმალა. დევი ხან ემუქრებოდა, ხან ეხვეწებოდა, რომ გამოსულიყო, მაგრამ ურუზმაგი ხმასაც არ იღებდა. დაიღალა დევი, დაჯდა და ურუზმაგს დაუტკბა:

— ახლა ჩემთვის სულ ერთია, მე ხომ დღის სინათლეს ვეღარ ვიხილავ, რაღაა ჩემი სიცოცხლე! ჩემი ძალა და იმედი კი აი, ამ ბეჭედშია, გაიკეთე თითზე ეს ბეჭედი და ორივე შენ შეგემატება, — უთხრა და ბეჭედი ძირს დააგდო.

გახარებულმა ურუზმაგმაც აიტაცა ბეჭედი და თითზე არ გაიკეთა! ბეჭედმა კი იმ წუთში ყვირილი მორთო: „აქ არის! აქ არის!“ წამოხტა დევი და ურუზმაგს დაედევნა. ხან აქეთ გაიქცა ურუზმაგი, ხან — იქით, დევი მაინც აგნებდა, რადგან ბეჭედი გაუთავებლად ყვიროდა: „აქ არის“!, „აქ არის!“.

ურუზმაგმა ღვთით მოვლენილ სიკეთესავით იქვე ცული არ დაინახა წამოავლო ხელი, დადო ბეჭდიანი თითი კუნძზე, დასცხო ცული და შენს მტერს — ძირში წაიგდებინა.

მოჭრილ თითზე შერჩენილი ბეჭედი მაინც განაგრძობდა ყვირილს:

„აქ არის! აქ არის!“ მიირბინა დევმა, კუნძს გადააწყდა, დასცხო ხელი და ნაცრად აქცია. მერე აიტაცა ურუზმაგის მოჭრილი თითი და გამწარებულმა ბეჭდიანად გადაყლაპა.

დევი რომ ვერაფერს გახდა, დაწყნარდა და ურუზმაგს დაემუქრა:

— სად წამიხვალ, შე უბედურო, ჩემს ლაჯებშუა არ მოგიწევს გავლა?!

ურუზმაგი დაფიქრდა როგორ დაეღწია თავი ამ უბედურებისაგან და ერთი ეშმაკური ხერხი მოიგონა.

დევმა რომ დაიძინა, ურუზმაგმა ბოტა დაკლა, ტიკად ამოიღო და რქებიც ზედ დაუტოვა.

დილით ბოტას ტყავი ჩამოიცვა. დევმაც პირუტყვის საძოვარზე გარეკვის დროს გამოქვაბულის კარი გააღო, გაიჩაჩხა გასასვლელში და ბოტას დაუძახა:

— მოდი, ბოძო, გენაცვალე, შენი ფარა საბალახოდ გარეკე და საღამოთი დროზე და უკლებლად მორეკე!

თხის ტყავში გახვეული ურუზმაგი ფარას წაუძღვა. დევს რომ მიუახლოვდა, რქები მაღლა ასწია, დევმაც თითები დაუსვა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა; ურუზმაგი დევს ლაჯებშუა გაუძვრა და გარეთ გავიდა. დანარჩენი საქონელიც მწკრივად გამოჰყვა ურუზმაგს და დევმა დათვალა. ფარა მთლიანად რომ გამოვიდა, ურუზმაგმა მოისროლა ტყავი და დევს მიაძახა:

— იძახე ახლა „ბოძო, ბოძო!“ შე ბრმა ვირო, შენა! როგორც ამ ცხვრის ფარით ვეღარაფერი ისარგებლო, ისე სხვა ქონებაც ოხრად დაგრჩენია!

გადმოუხტა ბრმა დევი, მაგრამ გამწარებულს გადაავიწყდა, გამოქვაბულის წინ რომ უფსკრული იყო და შიგ გადაიჩეხა.

ურუზმაგმა დევის ცხვრის ფარები გამოირეკა და ნართების დიდ სოფელში ჩამოიყვანა, მოვიდა თავის ოჯახში ნადავლითურთ. უხმო მაცნეს და დააძახებინა, ვინც იმ დღით ურუზმაგთან ერთად საალაფოდ წავიდა, ყველანი მოგროვდით, საქონელი გავინაწილოთო. კარმაგონიც მოაყვანინა.

ნართები დილაღამიანად მოგროვდნენ და დაიწყეს პირუტყვის გაყოფა. ურუზმაგმა ერთი წილი ზედმეტად გამოიყო. ნართებმა ერთმანეთს შეხედეს, ეს ზედმეტი წილი ვისაო?

ყველამ თავისი წილი მიიღო. ერთი წილი რომ ხელუხლებელი დარჩა, ურუზმაგმა კარმაგონს დაუძახა:

— მოდი, კარმაგონ, ეს შენი წილია. რომ გაწყენინეს, იმის საზღაურად გეკუთვნის!

მიიღო კარმაგონმაც მორთმეული წილი, მერე მიუბრუნდა ნართებს და უთხრა:

— ხომ გითხარით, თქვენ შორის ყველაზე უკეთესი ურუზმაგია-მეთქი!

ნართების ამპარტავანმა ახალგაზრდებმაც აღიარეს, ურუზმაგი მართლაც ნართებში ყველაზე საუკეთესო მამაკაცი რომ იყო.

ურუზმაგის უძანასაძნელი ნადავლი

დაბერდა ძლიერ ნართი ურუზმაგი, ძალ-ღონე გამოელია. სათარეშოდ ვეღარ დადიოდა, აღარც რჩევას ჰკითხავდა ვინმე. ნართების ახალგაზრდებიდან ზოგიერთი დასცინოდა კიდეც — აღარაფრის მაქნისია, აღარაფერს გვარგიაო.

გამოვიდოდა დილით ნიხასში ურუზმაგი და მთელ დღეს იქ აღამებდა; უსმენდა ხალხის ლაპარაკს. უყურებდა, ნართების ახალგაზრდები როგორ ერთობოდნენ მშვილდ-ისრის სროლით და თავისი ყმაწვილკაცობა ახსენდებოდა. საღამოთი შინ დაღვრემილი ბრუნდებოდა.

— ჰეი, გიდი! ნეტა ერთხელ კიდევ მაღირსა საალაფოდ წასვლა! — ინატრა ურუზმაგმა და ნართების დიდ ნიხასში გამოვიდა. ნართების ახალგაზრდობა სულ აქ ისხდა. ურუზმაგმა მიმართა მათ:

— ყრმობიდან სიბერემდე თქვენთვის ჩემი ცოდნა არ დამიშურებია. ახლა დავბერდი, ვეღარაფერს გარგივართ; მოხუცს თვითონ ჭირდება მოვლა და პატრონობა. ამიტომ ხვალ დიდი, მკვიდრი სკივრი გამიკეთეთ, ჩამსვით შიგ და მდინარეში გადამაგდეთ: ნართების სასაფლაოზე ჩემი დამარხვა არ შეიძლება.

ახალგაზრდებიდან ზოგმა თქვა: „ჩვენი ჭკუისდამრიგებელი ურუზმაგი თუ არ გვედგომება სათავეში, ცხოვრება გაგვიჭირდებაო“; ზოგმა თქვა: „დაბერდა, რაღაში გვჭირდებაო“, მაგრამ სურვილის შესრულებაზე მაინც არ დაეთანხმნენ, არ დაუჯერეს.

მეორე საღამოსაც გამოვიდა ურუზმაგი ყმაწვილებთან და კვლავ სთხოვა:

— რატომ მაწვალებთ? გამიკეთეთ სკივრი და გადამაგდეთ წყალში.

რაკი მეტი საშველი არ იყო, ახალგაზრდები დაეთანხმნენ; მესამე დღეს მოზრდილი სკივრი გაუკეთეს და მდინარის პირას ჩაიტანეს. ურუზმაგი შიგ ჩასვეს, ერთი კვირის საგზალი ჩაუწყვეს, მჭიდროდ დახუფეს და მდინარეში გადააგდეს.

მდინარემ სკივრი თავზე მოიგდო და წაიღო. ვინ იცის, წყალმა სკივრი რამდენ ხანს ატარა და ერთ ღამეს სადენჯიზის* ნაპირზე გამორიყა, სწორედ იმ ადგილზე, სადაც ალდარის ცხენებს არწყულებდნენ.

ალდარის მსახურებმა დილით ცხენები დასარწყულებლად ჩამორეკეს. ცხენები წყალს ახლოსაც არ გაეკარნენ: დაიხვიხვინებდნენ და დამფრთხალნი უკან გამორბოდნენ. ეს რა ამბავიაო, თქვენს მსახურებმა და ახლოს მივიდნენ. დაინახეს, სარწყულებელში სკივრი! გადმოაგდეს ნაპირზე სკივრი, ააძვრეს სახურავი და რას ხედავენ: სკივრში ქურქში გახვეული ბერიკაცი წევს!

გაოცდნენ მსახურები: „ეს რა არის, რა საოცრება, რამ მოიტანა აქ?“ ჰკითხეს ურუზმაგს:

— ვინ ხარ, აქ რამ მოგიყვანა?

— მე ნართი ურუზმაგი ვარ. დავბერდი, სიცოცხლე მომბეზრდა და ვთხოვე ყმაწვილებს, წყალში გადავეგდე.

მსახურებიდან ერთი გავარდა და ალდარს მოახსენა:

— თქვენი რისხვა ნუ მომეცემა, ალდარო, რაც თავი გიცვნია, მას შემდეგ რასაც ნატრობდი, ის აგისრულდა: ნართი ურუზმაგი ხელში ჩაგივარდა!

ალდარმა მსახურებს უბრძანა:

— ამ წუთში აქ მომგვარეთ!

მიჰგვარეს ურუზმაგი ალდარს. ალდარმა ურუზმაგის ხელში ჩაგდებით დიდად გაიხარა; მოხუცს ხელ-ფეხზე დიდი კუნძები შეაბეს და ციხეში წაიყვანეს. ჩაკეტეს ციხე, მხოლოდ პატარა ხვრელიღა დაუტოვეს, საიდანაც საჭმელს აწოდებდნენ.

ცოტა ხანი გავიდა თუ ბევრი, ღვთის გარდა ვინ იცის, ურუზმაგი კი ‘ოჯდა ციხეში. იჯდა და ფიქრობდა, როგორ მოვიქცე, რა ვქნაო და კიდეც მოიფიქრა: ერთ დღეს, საჭმელი რომ მოუტანეს, მიმტანს გამოელაპარაკა:

— რა სულელი ყოფილა თქვენი ალდარი!... აქ, ციხეში ჩემი სიკვდილით ნეტა რა სარგებლობა უნდა ნახოს? არ ურჩევნია, ჩემიანებს გამოსასყიდი მოსთხოვოს?

მივიდა ალდართან ეს კაცი და უთხრა:

— თქვენი რისხვა ნუ მჭონია, ალდარო, ჩვენი პატიმარი საოცარ რამეს ამბობს: თქვენი ალდარი სულელიაო! მე რომ აქ მოვკვდე, ამით რა შეემატებაო? ურჩევნია, ჩემიანებს გამოსასყიდი მოსთხოვოსო.

— წადით, შეხსენით კუნძები და აქ მომგვარეთ! — ბრძანა ალდარმა.

წავიდნენ მსახურები, შეხსნეს ურუზმაგს ხელ-ფეხზე კუნძები და ალდარს მოჰგვარეს.

— აბა, ნართო ურუზმაგო, გამოსასყიდს რას გადამიხდი რომ არაფერი გაბადია? — ჰკითხა ალდარმა.

— ჩემმა ოჯახმა და სოფელმა რომ გაიგოს, ჩვენი უფროსი ცოცხალია და ტყვედ ჰყავთო, ქონებას სულაც არ დაიშურებენ. რასაც ჩემი უამრავი სიმდიდრე გასწვდება, სამ ამდენს სოფელი გაიღებს.

— მაინც რამდენის გადახდას ვარაუდობ? — ჰკითხა კვლავ ალდარმა.

— თუ ჩემი შემოძლეული ჭკუაში დაგიჯდება, შემიძლია გადაგიხადო: ასჯერ ასი ცალრქიანი, ასჯერ ასი ორრქიანი, ასჯერ ასი სამრქიანი, ასჯერ ასი ოთხრქიანი და ასჯერ ასი — ხუთრქიანი ხარი.

როგორ არ გაუხარდებოდა ალდარს. აბა, მაშ შეატყობინეო შენიანებს, უთხრა მან ურუზმაგს.

— ერთი შავგვრემანი და ერთი მწითური კაცი მონახეთ, რომლებიც ჩემს დანაბარებს გადასცემენ და აქეთობას გზასაც გამოასწავლიან, — სთხოვა ურუზმაგმა ალდარს.

ალდარმა მსახურები გაგზავნა და ორი კაცი შემოიყვანეს — ერთი შავგვრემანი და მეორე — მწითური.

ურუზმაგმა მათ ნართებისკენ სავალი გზა მიასწავლა და დააბარა:

— წადით და ნართებს უთხარით: „ურუზმაგი სადენჯიზის ალდარს ტყვედ ჩაუვარდა და გამოსასყიდად უნდა გაუგზავნოთ: ასჯერ ასი ცალრქიანი, ასჯერ ასი ორრქიანი, ასჯერ ასი სამრქიანი, ასჯერ ასი ოთხრქიანი და ასჯერ ასი ხუთრქიანი ხარი–თქო. მწითური და შავი ხარი წინ გაუძღოლეთ. თუ სწორი გზით არ იაროს, შავ ხარს თავი მოსჭერით და მწითურს კისერზე ჩამოჰკიდეთ, მაშინ კი სწორი გზიდან აღარ გადაუხვევსთქო.

მწითური და შავი კაცი ნართების ქვეყნისკენ გაემართნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა, ღვთის გარდა ვინ იცის, მაგრამ ერთ საღამოს ნართებამდე მიაღწიეს.

ნართები ნიხასში ისხდნენ.

— საღამო მშვიდობისათ! — მიესალმნენ მგზავრები.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, სტუმრებო! — დაუბრუნეს პასუხად ნართებმა, — აქაურებს რომ არ გავხართ, რომელმა ქარმა გადმოგაგდოთ ჩვენს მხარეს?

— ეჰ, ჩვენ სავდენჯიზის ალდარის ქვეყნიდან ვართ, თქვენი ჭირიმე, — თქვეს სტუმრებმა, — ნართი ურუზმაგი ჩვენს ალდარს ტყვედ ჩაუვარდა. ალდარმა გამოსასყიდი ფასი მოსთხოვა. ურუზმაგი დაეთანხმა და ჩვენ ამბის ჩამოსატანად გამოგვგზავნეს.

ნართებმა რომ გაიგეს, ურუზმაგი ცოცხალიაო, როგორ არ გაუხარდებოდათ. ჰკითხეს სტუმრებს:

— ჰაი, თქვენ კი გენაცვალეთ, ჩვენო კარგო სტუმრებო, აბა, გვით-

ხარით, თქვენი ალდარი ურუზმაგის თავისუფლების საფასურად რას ითხოვს?

სტუმრებმა უპასუხეს:

— ურუზმაგმა დაგვაბარა: „გამოსასყიდი გამომიგზავნეთ ასჯერ ასი ცალრქა, ასჯერ ასი ორრქა, ასჯერ ასი სამრქა, ასჯერ ასი ოთხრქა და ასჯერ ასი ხუთრქა ხარიო. აქეთობას გზის გამოსაგნებად წინ მწითური და შავი ხარი წამოუშძღვარეთ. თუ სწორი გზით არ წამოგიყვანათ, შავ ხარს თავი მოსჭერით, მწითურს კისერზე ჩამოჰკიდეთ და მაშინ სწორი გზიდან აღარ გადაუხვევსო“.

ნართებმა სტუმრები ღამის გასათევად და მოსასვენებლად შინ წაიყვანეს, თვითონ კი თათბირი გამართეს: „ხარებს თითო რქას მოვამტვრევთ, ორრქიანებიც გვყავს, მაგრამ სამრქიანს, ოთხრქიანს და ხუთრქიანს რა მოვუხერხოთ, როცა ასეთი ხარების ხსენებაც არ გაგვიგონია?!

დადარდიანდნენ ნართები, საფიქრალს მიეცნენ.

რომ ვერაფერი მოიფიქრეს, გადაწყვიტეს, სათანასთვის ეკითხათ რჩევა. მივიდნენ და უთხრეს:

— ურუზმაგმა სადენჯიზის ალდარის ქვეყნიდან შემოგვითვალა ტყვეობიდან დახსნის საფასურად გამომიგზავნეთ ასჯერ ასი ცალრქიანი. ასჯერ ასი ორრქიანი, ასჯერ ასი სამრქიანი, ასჯერ ასი ოთხრქიანი და ასჯერ ასი ხუთრქიანი ხარიო. ერთრქიანებს ვიშოვნით, ორრქიანებს თითო რქას მოვამტვრევთ, ორრქიანებიც გვყავს, მაგრამ სამრქიანს, ოთხრქიანს და ხუთრქიანს რა მოვუხერხოთ, როცა ასეთი ხარების ხსენებაც არ გაგვიგონია?!

მიხვდა სათანა, რაშიც იყო საქმე, მთელი ხმით გადაიხარხარა და მერე უთხრა:

— თუ ის ბერიკაცი გვერდში არ გიდგათ, დაღუპულები ხართ და ეგ არი! სადღაც ხელუხლები ქვეყანა გიშოვნათ და საალაფოდ გიხმობთ: ცალრქა ხარებში ფეხოსან ჯარს გულისხმობს, ორრქიანებში — ცხენოსან ჯარს, სამრქიანებში — შუბოსნებს, ოთხრქიანებში — ჯავშნოსან ჯარს და ხუთრქიანებში — ყველა სახის იარაღით აღჭურვილ ჯარს.

— შავ ხარს თავი მოსჭერით და მწითურს ყელზე ჩამოჰკიდეთო, ეს რაღას ნიშნავს? — ჰკითხეს კვლავ.

— ეგ იმას ნიშნავს, ლაშქრად რომ დაიძვრებით, მეგზურად წინ შავგვრემან და მწითურ კაცს გაიმძღვარებთ. ეს კაცები ამდენ ლაშქარს რომ დაინახავენ, მიხვდებიან, რაშიცაა საქმე და გზას სწორად აღარ მიგასწავლიან, აქეთ-იქით დაიწყებენ ბოდიალს. შავგვრემანს თავი უნდა მოსჭრათ და მწითურს კისერზე ჩამოჰკიდოთ, მაშინ გზის აბნევას ვეღარ გაბედავს.

საქმის ვითარება რომ გაირკვა, ნართების ახალგაზრდები დატრიალ-

დნენ და სამ დღეში ლაშქარი გაამზადეს. გაიმძღვარეს წინ მწითური და შავგვრემანი კაცი და სავდენჯიზის ქვეყნისაკენ გაუდგნენ გზას. კარგა მანძილი რომ გაიარეს, მეგზურები მიხვდნენ, ეს ლაშქარი სასიკეთოდ არ მიგვყავსო და გზის არევას შეეცადნენ, ხან აქეთ წაიყვანდნენ ჯარს, ხან — იქით.

ნართებმა მეგზურებს თაღლითობა გაუგეს, მოჰკვეთეს შავგვრემანს თავი და მწითურს ჩამოჰკიდეს კისერზე. მწითური შეშინდა, მეც მომკლავენო და ჯარი სწორი გზით წაიყვანა.

ურუზმაგმა ნართების ლაშქრის ჩამოსვლის დრო ივარაუდა და იმ დღით ალდარს უთხრა:

— მოდი, ციხის თავიდან გადავიხედოთ, იქნებ უკვე გამოჩნდნენ შენი ჯოგები.

ავიდნენ ციხის თავზე და იქიდან გაიხედეს. შორს, ველის ბოლოში, შავი ჩრდილები ჩანდა.

მიხვდა ურუზმაგი, ნართების ლაშქარი რომ მოდიოდა და ალდარს უთხრა:

— ეჰე, ნართები ჩემს გამოსასყიდ ჯოგებს მოერეკებიან. რაც ხალხი გყავს, წინ შეაგებე, ოღონდ ხელთ იარაღი არავინ გაიყოლოს, თორემ ისეთი ჯიშის პირუტყვია, იარაღის დანახვისას სულ აქეთ-იქით გაფანტება და ერთსაც ვეღარ ჩაიგდებ ხელში. მერე მე ნუღარაფერს დამაბრალებ.

უხმო თავის ხალხს ალდარმა და ნართების შესაგებებლად წასვლა უბრძანა, თან გააფრთხილა: „სახრისა და ჯოხის გარდა, თუ სხვა იარაღს წაიღებთ, ყველას დაგხოცავთ“.

წავიდა ალდარის ხალხი ნართების შესახვედრად. ლაშქარი რომ დაინახეს, ხასიათი წაუხდათ.

ნართები დაერივნენ და დაუწყეს ჟლეტვა. ავარდა მტვრის კორიანტელი და ცას ღრუბელივით დაეკიდა.

ალდარი და ურუზმაგი ზემოდან უყურებენ. ალდარს ვერ გაეგო, რაში იყო საქმე და ურუზმაგს ჰკითხა:

— კვამლივით რომ მოჩანს, რა არის?

— მსუქანი პირუტყვი მოდის, ეგ მათი ამონასუნთქისა და ფეხქვეშ ავარდნილი მტვრის ბუღია.

ნართების ლაშქარმა ალდარის ხალხი ისე გაჟუჟა, ამბის მიმტანი არ გაუშვიათ.

ურუზმაგმა დაინახა, ალდარის ხალხი პირწმინდად რომ გაჟლიტეს ნართებმა, ალდარს ერთი მაგარი სილა გასცხო ყბაში და უთხრა:

— შენ უპირებდი ურუზმაგს მოკვლას?! აბა, გახედე შენს ჯარს,

ძალებივით რომ დავახოცინე! — წაავლო მკლავში ხელი და ციხის თავიდან ძირს გადმოაზღერთა.

შევიდნენ ნართების ჯარები ალდარის ციხეში და ურუზმაგი ცოცხალი რომ ნახეს, ძლიერ გაიხარეს.

ურუზმაგმა უთხრა მათ:


— მე — ბერიკაცი რომ არ გყავდეთ, ყვავი ბუდეში წაგიღებდათ. ნართებმა რაც კი სადენჯიზის ალდარის ქვეყანაში პირუტყვის ჯოგები ნახეს, სულ გამოირეკეს, მთელი მისი ქონება წამოიღეს და შინ დაბრუნდნენ. რაც ნადავლი მოიტანეს, სამივე გვარის ნართებს გაუნაწილეს, უწილოდ ერთი ადამიანიც არ დაუტოვებიათ. პირუტყვით კი წლიდან წლამდე წვეულებები და სულის მოსახსენებელი ალაპები იხადეს.

როგორ გაჩნდა ლუდი


ხეზე ერთი ჩიტი შემოჯდა და ზედ ასული სვიის სამი მარცვალი აკენკა. მერე გადმოფრინდა და გასაშრობად გაფენილ ხორბალზე დასკუპდა. ალაოს მარცვალს ჩაუნისკარტა და გადაყლაპა. სულ ცოტა ხანში ძირს გაგორდა და აფრთხიალდა.

მიწაზე მოფართხალე ჩიტი ნართმა ურუზმაგმა დაინახა, აიყვანა ხელში და სათანას მიუყვანა. სათანამ ჩიტი ამბარზე დასვა. ამბრიდან ხორბალს იღებდნენ და მოკლების ნაცვლად უფრო ემატებოდა. გაბრუებული ჩიტი მალე მოსულიერდა. ამან სათანა დააფიქრა. ურუზმაგს ჩიტის ამბავი გამოკითხა. მანაც დაწვრილებით მოუთხრო, როგორ შეჭამა ჩიტმა სვიის მარცვლები, მერე სველი ალაოს მარცვალი და როგორ გაგორდა მიწაზე.

დაფიქრდა გონიერი სათანა და მიხვდა, რამაც გააბრუა ჩიტი. გამოხადა ქერისაგან ლუდი, საფუარად სვიის ყვითელი ფოთლები გამოიყენა და ამის შემდეგ ნართებს მშვენიერი, საამო სასმელით უმასპინძლდებოდა.









სოსლანის დაბადება და ზრდა

ერთ დღეს სათანა მდინარეზე სარეცხს რეცხავდა; ტანთ მოკლე ახალუხი ეცვა. სწორედ ამ დროს მდინარის გაღმა ერთი მწყემსი ნახირს აძოვებდა. სათანას უებრო სილამაზით, მისი სხეულის უჩვეულო სითეთრით, მწყემსი ისე მოიხიბლა, რომ გული აუჩქროლდა, იქვე ქვაზე დაეშვა და გაანაყოფიერა. სათანა მიხვდა ამ ამბავს, დაიხსომა და დღეების გამოთვლა დაიწყო.

როცა დრო შესრულდა, სათანამ იმ ქვის დასამსხვრევად ნართი ყმაწვილების ჯგუფი წაიყვანა. ქვა შუაგულამდე რომ დაიყვანეს, ყმაწვილები შინ დააბრუნა, თვითონ კი ქვას გული გაუპო და იქიდან ბიჭი ამოიყვანა. წამოიყვანა ბავშვი და ზრდიდა; სახელად სოსლანი უწოდა.

გაიზარდა სოსლანი. ერთ დღეს მან დედამისს უთხრა:

— რასაც მე მაჭმევთ, ძაღლს რომ აჭამოთ, ჯობია, სახლს მაინც უდარაჯებს.

სათანა ნათქვამის აზრს ვერ მიუხვდა; გავიდა კიდევ ხანი და სოსლანმა კვლავ გაუმეორა:

— რასაც მე მაჭმევთ, ერთი ძაღლისთვის გეჭმიათ, ჯობდა, სახლს მაინც უდარაჯებდა.

— რად ამბობ ეგრე, შვილო? — ჰკითხა სათანამ.

— მე კაცად ვერ ვივარგებ, თუ ქურდალაგონს ჩემი თავი მგლის რძეში არ აწრთობინეთ, — უთხრა სოსლანმა.

ნართებს ღვთაებებთან შინაურული ურთიერთობა ჰქონდათ, ერთად

ჭამდნენ და ერთად სვამდნენ. ჰოდა შეუთვალა სათანამ ქურდალაგონს — სამჭედლო საქმის ღვთაებას — და ეწვია ქურდალაგონი სათანას.

— სოსლანი მგლის რძეში უნდა აწრთო, ქურდალაგონ, ასეა საჭირო, — უთხრა სათანამ.

ქურდალაგონიც შეუდგა სოსლანის სიგრძე-სიგანის გობის კეთებას.

ნართების საუბედუროდ გაჩენილმა სირდონმა გაიგო, რასაც აპირებდნენ, ჩაუარა წინ გობის მკეთებელს და მის გასაგონად თქვა:

— ვაი, თქვენს პატრონს, ნართებო, იცით გობს ვისთვისაც ამზადებთ, და მაინც ოთხი თითის დადებით გრძელს აკეთებინებთ.

გობის მკეთებელი მისმა ნათქვამმა დააეჭვა და გობი ოთხი თითის დადებით მოკლე დაიჭირა.

— დროა, დავიწყოთ ბიჭის წრთობა, — უთხრა ქურდალაგონმა სათანას, — ასი ტომარა მუხის ნახშირი და ასი ტიკი მგლის რძე მოამზადე.

სათანამ ასი ტომარა მუხის ნახშირი მაშინვე დაამზადებინა, მაგრამ მგლის რძე კი ვერ გაახერხა. თვითონ რომ ვერაფერს გახდა, ურუზმაგს სთხოვა:

— ასი ტიკი მგლის რძე უნდა მიშოვნო!

— როგორ უნდა ვიშოვნო, ქალო? — ჰკითხა ურუზმაგმა.

— როგორც უნდა იშოვნო, მაგას მე გასწავლი, — უთხრა სათანამ.

— აბა, მითხარი.

— შვიდი გზის შესაყარზე კარავი დაიდგი. მე იქ ხალხს გამოგიგზავნი. ჩემს მიერ გამოგზავნილებსაც და იმათაც, ვინც თავისით გესტუმროს — ყველას გულუხვად გაუმასპინძლდი ხოლმე და შესჩივლე, რომ მგლის რძე გჭირდება.

წავიდა ურუზმაგი და შვიდი გზის შესაყარზე თავისთვის კარავი გაიშართა. სათანა იქ ნაირ-ნაირ საჭმელებს უგზავნიდა. ვინც კი ურუზმაგთან სტუმრად მოხვდებოდა, იგი ყველას გულუხვად უმასპინძლდებოდა, მაგრამ იტყოდა თუ არა, მგლის რძე მჭირდებაო, გაოცებულნი რჩებოდნენ და გულში ფიქრობდნენ, ურუზმაგი გაგიჟებულაო.

იჯდა ასე ურუზმაგი შვიდი გზის შესაყარზე მდგარ კარავში და თავისი საქმისა ჯერ ვერაფერი გაეგო. ერთ დღესაც კარვის წინ შიმშილით მისავათებულმა სილამმა* ჩამოიარა.

— აქ რას აკეთებ? — ჰკითხა ძაღლმა.

— მგლის რძე მჭირდება, — უპასუხა სილამს ურუზმაგმა, — აი ამიტომ ვზივარ აქ.

— დღეის სწორამდე კარგად გამომკვებე, რა საჭმელიც მომესურვოს, ის მაჭამე და მგლის რძეს მე გიშოვნი, — უთხრა ძაღლმა.

— კარგი, — დაეთანხმა ურუზმაგი და სათანას შეუთვალა, ისეთი საჭმელები ეგზავნა, როგორიც ამ ძაღლს ესიამოვნებოდა.

„აი, ახლა კი ვიპოვნე, ვისაც ვეძებდი“, გაიფიქრა სათანამ და ყველაფერს უგზავნიდა, რასაც ძაღლი ითხოვდა.

სწორიდან სწორამდე ურუზმაგმა ძაღლი გამოკვება. მერე ძაღლმა უთხრა:

— ახლა მაგარი ბაკი მოწანი.

მოწნა ურუზმაგმა მაგარი ბაკი. ძაღლი ტყეში წავიდა და ძუ მგლების მთელი ხროვა მორეკა, ბაკი სულ გაავსო.

— აბა, წველე ახლა, ურუზმაგ, რამდენიც გინდა! — უთხრა ძაღლმა.

— როგორ მოვწველო, მგლები ხომ დამფლეთავენ! — უთხრა ურუზმაგმაც.

შევიდა ბაკში სილამი, ჩაავლო ერთ ძუ მგელს კისერში კბილები და ურუზმაგს გარეთ გამოუყვანა; ურუზმაგმა მგელი მოწველა და მერე გაუშვეს. ასე სათითაოდ გამოჰყავდა ძაღლს მგლები ბაკიდან გარეთ, ურუზმაგი წველიდა და მგლის რძით ასი ტიკი აავსო.

მოუტანეს სათანას მგლის რძე. სოსლანი ერთ ტაფობში გაიყვანეს, დააყარეს ზედ ასი ტომარა ნახშირი და ასი ქურიდან დაუბერეს. კარგა ხანს რომ უბერეს, სათანამ ქურდალაგონს უთხრა:

— აბა, შეხედე იცინის, თუ არა?

შეხედა ქურდალაგონმა სოსლანს, მაგრამ ბიჭი ჯერ არ იცინოდა.

კიდევ უფრო მაგრად დაუბერეს. კარგა ხანი რომ უბერეს, კვლავ შეხედა ქურდალაგონმა და დაინახა, ბიჭი უკვე იცინოდა.

მგლის რძე გობში ჩაასხეს. ქურდალაგონმა სოსლანი ცეცხლიდან გამოიღო და რძით სავსე გობში მოისროლა. რაკი გობი ოთხი თითის დადებით მოკლე იყო, სოსლანს ფეხების გაშლის საშუალება არ ჰქონდა და შიგ მუხლებში მოხრილი იწვა. მგლის რძემ მუხლის თავები ვერ დაუფარა და ამის გამო ეს ნაწილები უწრთობი დარჩა.

სოსლანი მთლად წმინდა ფოლადისად გადაიქცა, მარტო მუხლის თავებიღა დარჩა რბილი.

საფამ* ზეცაში ღვთაებათა პატივსაცემად წვეულების გამართვა მოისურვა. დაპატიჟა მამაკაცთა ღვთაება ვასთირჯი, ჭექა-ქუხილის ღვთაება ეაცილა, ნადირთა მბრძანებელი ცალთვალა ავსათი, წვრილფეხა საქონლის ღვთაება ფალვარა, ზეციური მშვილდოსანი ქურდალაგონი. საღვთოზე აგრეთვე ქართა ღვთაება გალაგონი და წყალთა მფლობელი — დონბედთირიც მოიწვია.

ისხდნენ ღვთაებები საფას სახლში და ტკბილ, შავ ლუდს ჯიხვის რქის ყანწით მიირთმევდნენ. მერიქიფედ ნართი სოსლანი ჰყავდათ.

— საფა, შენს მოყვარე სოსლანს ძარღვებში ახსართაგათების სისხლი უდგას, — უთხრეს ღვთაებებმა.

— ო, ახსართაგათების დიდი გვარი ძლიერია, არაფრის ეშინია, ბრძოლის ჟინით ანთებულია.

მამაკაცების ღვთაება ვასთირჯიმ სოსლანის სადღეგრძელო ჩამოატარა.

— მე ნართ სოსლანს ჩემი ბასრი ხმლით ვასაჩუქრებ, — თქვა სადღეგრძელოს დასასრულს ვასთირჯიმ, — ოდესღაც მე თვითონაც ზეციურმა ქურდალაგონმა სწორედ ასეთ წვეულებაზე მაჩუქა იგი. — და ვასთირჯიმ პირამდე სავსე დიდი ჯიხვის ყანწი დასცალა.

ვასთირჯის შემდეგ სოსლანის სადღეგრძელო ნადირთა ღვთაება ავსათიმ მიირთვა.

სოსლანმა მადლობა მოახსენა და უთხრა:

— ავსათი, მთასა თუ ბარში ყველა ნადირი შენს ხელთაა. დარაჯობ ზეცით და მიწიერ ხალხს ახლოს არ აკარებ.

საფამაც სოსლანს დაუჩირა მხარი და ავსათის უთხრა:

— ტყუილუბრალოდ გეღუპება ნადირი ხევხუვებში, რატომ გშურს ხალხისათვის? ძუნწი ნუ ხარ, ავსათი, უწილადე ხალხს შენი ქონებიდან, სიკეთე არ დაგეკარგება.

— კარგი, — თქვა ნადირთა მფლობელმა ავსათიმ, — ვუწილადებ ჩემი საქონლიდან ნართებს, მაგრამ მთლად მუქთად არა: ვინც სანადიროდ წამოვა, თან სამი ხაჭაპური წამოიღოს, ჩემი სახელი ახსენოს და სავხოხზე რომ ნადირს მოკლავს, მარჯვენა ბარკალი ყოველთვის პირველ შემხვედრს უწილადოს.

წვრილფეხა საქონლის — თხა-ცხვრის ღვთაება ფალვარამაც დალია სოსლანის სადღეგრძელო და თქვა:

— ნაცარა მგლებმა რომ შენი ფარები ნაკლებად შეაწუხონ, ამისათვის, სოსლან, მე ერთ ლოცვას გასწავლი. როცა საძოვარზე შენს ფა-

რებს მგლები დაეცემიან, ეს ლოცვა წარმოთქვი მხოლოდ, იმ წამს იქ გავჩნდები და ერთსაც არ გავატან.

სოსლანის სადღეგრძელო ჰექა-ქუხილის ღვთაება ვაცილამაც დიდი ჯიხვის ყანწით დალია.

სოსლანმა ნართული ადათის მიხედვით მასაც მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— დღეს შენგან, ჰექა-ქუხილის ღვთაებავ, მიწიერი ხალხისათვის ერთ სიკეთეს ვთხოულობ: გავიგე, ჯიბეში ხორბლის მარცვლები გქონია; ნუ დაიშურებ მას ადამიანებისათვის, მადლიერნი დაგრჩებიან.

— კარგი, — უთხრა ვაცილამ, — მივცემ მე ამ ხორბლის მარცვლებს ნართებს. გაზაფხულზე, როგორც კი მიწა გაიღვიძებს, დათესონ და წლიდან წლამდე საჭირო სარჩოს მოიწევენ.

აიღო სავსე ყანწი ზეციერმა ქურდალაგონმაც სოსლანის სადღეგრძელებლად.

საფამ ამასაც მიმართა, სოსლანისათვის სიკეთე გამოსთხოვა:

— ჰეი, ქურდალაგონ, — უთხრა საფამ, — შენ სულ ხმლებს ჰედავ ან ხალხს აწრთობ. მთელი დღე ურტყამ გრდემლს და ძილსა და მოსვენებას არ გვაცლი.

— მიგიხვდი, ბრძენო საფა, რისთვისაც მოგვიწვიე, — უთხრა ქურდალაგონმა, — მიწიერი ხალხისათვის გსურს სიკეთე გამოგვთხოვო. დაე, ეგრე იყოს! გამოვჭედავ მე ჩემს სამჭედლოში გუთანს და მით გაზაფხულზე მიწას მოხნავენ ნართები.

სოსლანმა მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— ქურდალაგონ, ზეციურო მჭედელო, ჩვენ ტკბილ ლუდს გამოვხდით და გაზაფხულობით შენს სახელს ვადიდებთ.

— აბა, მრისხანე გალაგონ, ნუ უგზავნი ნართებს ქარბუქსა და ქარაშოტს, — მიმართა სოსლანმა ქართა მბრძანებელ გალაგონს.

— ძალიან ბევრს თხოულობ, ნართო ვაჟკაცო, — უთხრა გალაგონმა, — პირობაც რომ მოგცე, მის შესრულებას მაინც ნუ ელი. ერთს გეტყვი მხოლოდ, შემოდგომით, როცა გალეწილი ხორბლის განიავებას დაიწყებთ, მე ქარს გამოგიგზავნით და იგი მარცვალს ბზისა და ჩენჩოსაგან უმალ გაასუფთავებს.

— გმადლობთ, გალაგონ, — უთხრა სოსლანმა, — მეც სიტყვას გაძლევ, ნართულ სიტყვას, როცა ხორბალს გავანიავებთ, უკანასკნელ ნიჩაბს შენ მოგცემთ ხოლმე.

სოსლანის სადღეგრძელო სულ ბოლოს წყალთა მეუფე დონბეჯირმა მიირთვა. ნართ სოსლანმა ადათის მიხედვით იმასაც მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— წყალთა ღვთაება დონბედთირ, ვიცით წყლები სულ შენს მფლობელობაშია. დიდი ძალა გაქვს და შენც გთხოვ, რაიმე სიკეთე გამოიმეტო ნართებისათვის.

— კარგი, ნართელო ვაჟკაცო, — უთხრა სოსლანს დონბედთირმა, — ჩემს წყლებზე წისქვილები გამართეთ. ჩემს ქალიშვილებს გავაფრთხილებ, რომ წისქვილის ბორბლები შეუფერხებლად ატრიალონ. ნართებს ეს სიკეთე ჩემგან საჩუქრად ჰქონდეთ.

საფამ საჩუქრებისათვის სტუმრებს მადლობა მოახსენა და ყველანი გაისტუმრა.

სოსლანი იძებს თავისზე ძლიერს

ნართების ახალგაზრდებმა გასართობ მოედანზე მოიყარეს თავი. გაშართეს სიმდი — ცეკვა. სოსლანზე უფრო მოხდენილად ვერავინ იცეკვა. ეს რჩეული ნართი ვაჟკაცი წრედ ჩაბმულ ყმაწვილკაცთა მხრებზე შემდგარი ისევე ნატიფად ასრულებდა სიმდს, როგორც ძირს, გაშლილ მოედანზე.

„მოდი, ახლა ისრის სროლაში გავეჯიბროთ!“ — თქვეს ახალგაზრდებმა, როცა ცეკვა-თამაშით იჯერეს გული. დადეს ნიშანი და დაიწყეს სროლა. რომელი ნართი ყმაწვილი არ იყო ისრის სროლაში გაწაფული, მაგრამ სოსლანს მაინც ვერც ერთმა ვერ აჯობა. მისი ნასროლი ისარი მიზანს არ აცდენია.

სადაც ყმაწვილკაცობა ერთობოდა, იმ ადგილიდან ცოტა მოშორებით, მდინარის ნაპირზე ნახირი დაყრილიყო. „მდინარეზე წავიდეთ, ბარემ ღონეშიც შევეჯიბროთო“, — თქვეს ახალგაზრდებმა. მივიდნენ, სადაც ნახირი იყო დაყრილი, გამოიყვანეს ჯოგიდან ერთი გაუხედნავი მოზვერი და თქვეს: აბა, რომელი ჩვენგანი გადაისვრის ამ მოზვერს მდინარის მეორე ნაპირზეო. თითქმის ყველამ სცადა — ჩაავლებდნენ მოზვერს რქებში ხელს და გაისროდნენ შორს, მაგრამ მდინარის იქითა ნაპირზე მისი გადაგდება ვერც ერთმა ვერ შეძლო.

მაშინ სოსლანმა ჯოგიდან ყველაზე დიდი მოზვერი გამოარჩია; ჩაჭდლო რქებში ხელი, მოიქნია და მოისროლა. მოზვერმა მდინარის იქითა ნაპირზე მოადინა ტყაპანი.

აჯობა ნართების ახალგაზრდობას სოსლანმა. გასართობ მოედანზე გამართულ ყველა სახის შეჯიბრში, ყველაფერში დაჯაბნა და თავი მათზე ბევრად ღონივრად დაიგულა. ხალხმაც ირწმუნა მისი ძლიერება. საარაკოდ ჰქონდათ — სოსლანზე ღონიერი კაცი არსად არ მოიძებნებაო.

გასართობი მოედნიდან შინ დაბრუნებულმა სოსლანმა გულში თქვა: „ნართების არემარეზე ისეთი აღარავინ მეგულება, მასთან ძალ-ღონე ვცადო. ავდგე, სხვა ქვეყნებში გავემგზავრო, მოვძებნო ჩემზე უფრო ძლიერი". გამოეწყო სამგზავროდ და ერთ დღეს დილით ადრე გაემართა. იარა, იარა, ვინ იცის, რამდენი იარა და ბოლოს ერთი დიდი მდინარის ნაპირს მიადგა.

„გავყვები ამ მდინარის ნაპირებს, იქნებ ვინმეს შევხვდე", იფიქრა სოსლანმა და მდინარეს დაღმა დაუყვა. იარა, იარა და ერთ დღეს დაინახა, ერთი მეთევზე მოდიოდა, ხელთ ანკესი ეჭირა, ანკესს ტარად ვეებერთელა ხე ჰქონდა, ხოლო ნემსკავზე ჭიაყელის ნაცვლად მთელი ცხვარი ეკიდა. შეხვდნენ ერთმანეთს.

— გამარჯობა! — მიესალმა სოსლანი მეთევზეს.

— იცოცხლე, სტუმარო! — უპასუხა მეთევზემ, — აქ საიდან მოსულხარ?

— ჩემზე ძლიერს ვეძებ, — უთხრა სოსლანმა, — ჰოდა, როგორც ვატყობ, შენზე ძლიერს ვეღარავის შევხვდები.

— მე რა ვარ, — უთხრა მეთევზემ, — გაჰყევი ნაპირს წყალ-წყალ, ცოტა ქვემოთ ჩემი უფროსი ძმა თევზაობს, ღონიერი ის არის, თორემ მე რა...

სოსლანმაც წყალ-წყალ განაგრძო გზა. მიაღწია იმ მეთევზესთან. მისი ანკესის ტარი კიდევ უფრო ვეება იყო, ნემსკავზე კი ჭიაყელას ნაცვლად მთელი ძროხა ეკიდა.

— გამარჯობა მეთევზე! — მიესალმა სოსლანი.

— იცოცხლე, სტუმარო! — უპასუხა მეთევზემ, — საით მიბრძანდებით, რას დაეძებთ?

— ჩემზე ძლიერს ვეძებ და როგორც ვხედავ, შენზე ძლიერს ვეღარავის შევხვდები, — უთხრა პასუხად სოსლანმა.

— მე დიდი არაფერი, მაგრამ ცოტა ქვემოთ ჩადი, იქ ჩემი უფროსი ძმა თევზაობს, ის ჩემზე ძლიერია.

განაგრძო კვლავ გზა სოსლანმა და მესამე მეთევზესთან მივიდა. მისი ანკესის ტარი კიდევ უფრო მსხვილი ხისა იყო, ხოლო ნემსკავზე მთელი ხარი ეკიდა.

— გამარჯობა! — მიესალმა ამასაც სოსლანი.

— იცოცხლე, იცოცხლე! საიდან, კაი კაცო? — ჰკითხა მეთევზემ.

— ღონის გამოცდა მინდა და ჩემზე ღონიერს ვეძებ, — უთხრა სოსლანმა, — როგორც ვატყობ, შენზე ღონიერს ვეღარავის შევხვდები.

— კაი, წადი, აბა, ჯერ ჩემს ოჯახში მიდი. საღამოზე მოვალ და ვნახოთ, — უთხრა მეთევზემ და თავისი სახლის გზა მიასწავლა.

იარა წყალ-წყალ სოსლანმა და მეთევზის სახლს მიადგა. შევიდა სახლში. ერთი ქალი დახვდა.

— გამარჯობა, დედი, — მიესალმა სოსლანი ქალს.

— შენი ბედი, რომ „დედა“ დამიძახე, თორემ ამ ჟანგიან კბილებს ბარემ გავიცხიმიანებდი, — უთხრა ქალმა, — ახლა სტუმარი ხარ და რაღა მეთქმის, მობრძანდი! საიდან მოდიხარ და რას ეძებ?

— ნართების ქვეყნიდან მოვდივარ, — უპასუხა სოსლანმა, — ძლიერს ვეძებ. ჩვენს მხარეში ჩემზე ღონიერი არავინ აღმოჩნდა, ამით დაიმედებული წამოვედი ძალ-ღონის გამოსაცდელად.

— ჰი-ჰი! ეგ ფიქრი გულშიაც არ გაივლო: ჩემი ბიჭები სათევზაოდ არიან წასულნი, საღამოზე დაბრუნდებიან და აქ თუ მოგისწრეს, ნართელო, შენი ძვალიც აღარ დარჩება, გადაგსანსლავენ. ჯერ დანაყრდი, დაისვენე, მერე რამეს მოვიფიქრებ, რომ ჩემი ბიჭებისაგან დაგიფარო.

ქალმა სუფრა გაუწყო, მაგრამ ვაი, იმ ჭამას, სოსლანი რომ ჭამდა! საუზმის შემდეგ მასპინძელმა სტუმარი საცრის ქვეშ დამალა. სოსლანმა საცრის აწევა სცადა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო.

მოსაღამოვდა და სამივე ძმა შინ დაბრუნდა. დედას ჰკითხეს:

— დღეს ერთი მთიული ჩიტი რომ გამოგიგზავნეთ, მოგვიტა ერთი, პირი ჩავიტკბარუნოთ, რამდენი ხანია ადამიანის ხორცი გემოთი აღარ გაგვისინჯავს.

— სხვა რამე ჭამეთ, ისიც არსად გაგექცევათ. აგერ საცრის ქვეშ დილის საუზმედ შემოგინახეთ.

ქალმა ბიჭები ავახშმა და დააწვინა. ძმებმა რომ დაიძინეს, ქალმა საცრის ქვეშიდან სოსლანი გამოიყვანა, გზაზე დააყენა და უთხრა:

— წადი, იარე, შენი ფეხები თუ გადაგარჩენენ, თორემ სხვა ვეღარაფერი გიხსნის.

სოსლანმა მთელი ღამე ირბინა. ბიჭებს გაეღვიძათ და რომ გაიგეს, სტუმარი გაპარულაო, სირბილით გამოუდგნენ.

მირბის სოსლანი, რაც შეუძლია, მირბის და ერთ ველს მიაღწია. აქ ერთი მგზავრი შენიშნა. უკან რომ მოიხედა, ხედავს — უახლოვდება მდევარი. სოსლანმა სირბილს უმატა და მგზავრს დაეწია. ამ კაცს ცალი მკლავი აღარ ჰქონდა. უფრო ახლოს რომ მივიდა, შეამჩნია, ცალი თვალიც დაჰხებოდა. დევი იყო იგი, ცალთვალა დევი.

— მგზავრო, მე შენი სტუმარი* აქაც და საიქიოსაც, მიშველე რამე,

თორემ როგორც კი დამეწევიან, დავიღუპე და ეგ არი! — უთხრა დევს სოსლანმა.

— ღმერთი იყოს შენი მფარველი, რაც შემეძლება, გიშველი, — უპასუხა დევმა, შეიგდო პირში სოსლანი და ენის ქვეშ დამალა.

ძმები დევს დაეწივნენ და ჰკითხეს:

— რა იქნა ჩვენი მთიული ჩიტი, არ დაგინახავს?

— აქ მთის ჩიტს რა უნდა. თქვენთვის არა მცალია, ჩემ გზაზე გამიშვით, — უპასუხა ცალხელა დევმა.

— ჩქარა მოგვეცი ჩვენი მთიული ჩიტი, თორემ არც შენ დაგაყრით კაი დღეს! — მიეძალნენ ძმები.

— თქვენს გზას ეწიეთ, ჩემგან ვერაფერს იხეირებთ! — უთხრა ცალთვალა დევმა ძმებს.

ძმები ცალთვალა დევს დაეძგერნენ.

— აბა, რაკი არ მეშვებით, თქვენი ცოდვა თქვენსავ კისერზე იყოს!— თქვა ცალხელა დევმა, ეცა სამივეს, მოიგდო ქვეშ, წამოაგდო პირიდან სოსლანი და უთხრა:

— ბარძაყზე ერთი ბეწვი მაქვს, გამომგლიჯე და სამივეს იმითი შევკრავ.

სოსლანმა ჩაავლო ხელი ბეწვს, ეწევა, ეწევა და ვერ მოაწყვიტა. მერე წელზე თოკივით სამმაგად შემოიხვია, გაიწია, გამოიწია და მაინც ვერაფერი მოუხერხა.

— ხმლით გადაჭერი, — ურჩია დევმა.

სოსლანმა ცალი ხელი ბეწვს ჩასჭიდა, მეორეთი ხმალი დასცხო, ხმალს პირი ყუასავით დაუჩლუნგდა, ბეწვს კი მაინც ვერაფერი დააკლო. დევმა ქვეშ მოქცეული სამი ძმა მობუბნა, მოწურა, მუხლით დააწვა, მოიგლო გათავისუფლებული ხელი ბეწვზე, მოიგლიჯა და იმით ისე მაგრად შეკრა ძმები, განძრევის თავიც აღარ ჰქონდათ. ძმები მიხვდნენ თავის შავ დღეს და დევს ხვეწნა დაუწყეს:

— ოღონდაც გაგვათავისუფლე, შინ გაგვიშვი და შენი აღარაფერი გვინდა.

გამოხსნა დევმა შებოჭილი ძმები და შინ გაუშვა.

სოსლანმა და ცალხელა დევმა გზა განაგრძეს. მიდიან, მიდიან და ცალხელა დევმა სოსლანს ჰკითხა:

— სად ეხეტებოდი ეგრე მარტოხელა და რას ეძებდი?

— მე ნართი სოსლანი ვარ. ჩემზე ძლიერის საძებნად წამოვედი. ერთ დღეს ნართების ყმაწვილკაცობა მდინარის პირას ღონეს ვცდიდით. ერთმანეთს მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდე მოზვრის გადასროლაში ვეჯიბრებოდით. მოზვრის გადასროლა წყლის იქითა ნაპირზე მხო-

ლოდ მე შევძელი. ამით გათამამებული სახლიდან ჩემზე ძლიერის საძებნად წამოვედი. სადაც მოვხვდი და რაც დამემართა, თვითონაც ხომ ნახე. შენი წყალობით გადავრჩი, თორემ ნართების მიწაზე ფეხის დადგმაც აღარ მეღირსებოდა.

— სოსლან, ჩვენში მდინარის ერთი ნაპირიდან მეორემდე ერთი თვის ბავშვებიც კი ისვრიან რაც გინდა დიდ ხარს, მაგრამ ჩვენ ეგრეთი გაბედულები მაინც არა ვართ. — უთხრა ცალხელა დევმა. — აი თუნდა ჩემ თავზე გიამბობ. ჩვენ შვიდი ძმანი ვიყავით. ძმებში ყველაზე უმცროსი მე ვარ. მამაჩვენიც ჯერ ირემივით ფეხმარდი ვაჟკაცი იყო. ერთხელ სათარეშოდ წავედით. რამდენი დღე ვეხეტეთ, მაგრამ ვერაფერს ვერ წავაწყდით. ერთ ნასამხრევს, ნისლმა დაგვფარა და თქორი წამოვიდა. ჩვენ — რვა ადამიანმა ცხენმხედრიანად თავშესაფარს დავუწყეთ ძებნა. ერთგან გამოქვაბულს მივაგენით. შევედით შიგ და დავბინავდით. ცოტა ხანი გამოხდა და ვხედავთ, ერთმა მწყემსმა გამოქვაბულის წინ ფარა ჩამოატარა. ერთმა ბოტა თხამ, იმ ოხერმა, გამოქვაბულს არ დაუწყო ხახუნი! ეხახუნება და ეს გამოქვაბული აკვანივით ირწევა. თურმე ჩვენი გამოქვაბული ცხენის თავის ქალა არ ყოფილა! მწყემსი თხას უყვირის, უხმობს: „ძაღას“, „ძაღასო“, მაგრამ თხა ყურსაც არ იბერტყავს. გაბრაზებული მწყემსი ჩვენსკენ გამოექანა. თხამ ახლა კი მოუსვა, მაგრამ მწყემსმა კომბალი ცხენის თავის ქალას გაუყარა თვალში, მოიქნია და მოისროლა. გაფრინდა თავის ქალა, იმ ოხრადდასარჩენ თხის რქებს მიენარცხა და დაიფშხვნა. კაცი და ცხენი დავღავდით, აბა, რა დაგვემართებოდა! მწყემსი ახლა ჩვენ დაგვერია. მამა და ექვსი ძმა დამიხოცა. მე მკლავი წამგლიჯა და შემეშვა. თვალი კი მაშინ წამომვარდა, თავის ქალაში კომბალი რომ შემოყო. აი ეგეთი ამბავი გადამხდა თავს. მას შემდეგ ღონის საცდელად წასელა აღარც მიფიქრია; ის კი არა, ვინც მიყვარს და ვინაც ვუყვარვარ — ყველას ვაფრთხილებ: ღონის საცდელად აღარ იარონ. წადი შენც, მა ხურ, და არასოდეს აღარ თქვა, ჩემზე ძლიერი არსად მოიძებნებაო.

ცალხელა დევმა თავის სოფლისკენ შეუხვია, სოსლანმაც შინისაკენ განაგრძო გზა.

სოსლანი და გვიმელი კაცი

ერთ დღეს სოსლანი სანადიროდ წავიდა. სახეიროს ვერაფერს შეხვდა. ეგ იყო, მხოლოდ ერთი კურდღელი მოკლა. გაატყავა კურდღელი, აქნა, ღვიძლი შამფურზე ააგო და მწვადი შეიწვა, დანარჩენი ხორცი კურდღლისავე ტყავში შეახვია. მწვადი რომ შეიწვა, სოსლანმა ღმერთი ახსენა; როგორც კი თქვა: „ღმერთო, შემეწიეო“, წამოხტა კურდღელი და მოკურცხლა.

გაოცებულმა სოსლანმა ხელი ხელს შემოჰკრა: „გაგონილა ასეთი საოცრება? მოვკალი, გავატყავე, ასო-ასო ავქენი, ღვიძლი მწვადად შევიწვი და კურდღელი კი გარბის!“

კურდღელმა კი მოაძახა:

— ეგ სულაც არაა გასაკვირი. საკვირველი ამბები გვიმის მთის იქეთაა. „რაღა უნდა იყოს ამაზე უფრო დიდი საოცრება? აუცილებლად უნდა გავიგო“, — თქვა გულში სოსლანმა და შინ დაბრუნდა. საგზალი გაამზადებინა — სატარებლად მსუბუქი, საკვებად ყუათიანი, შეჯდა ცხენზე და გვიმისკენ გაუდგა გზას.

გადაიარა შვიდი მთა, მერვე უკვე გვიმისა იყო. გვიმის მთაზე რომ ავიდა, ირმის კვალი შენიშნა. გაჰყვა კვალს და კვალმა ერთ მდელოზე მიიყვანა. დაინახა ერთი ირემი, ისეთი ლამაზი იყო, ისეთი, რომ სოსლანმა მოსაკლავად ვერ გაიმეტა. ირემი რომ გაინძრეოდა, ბეწვი ათას ხმაზე უწკრიალებდა.

ფრთხილად ეპარებოდა სოსლანი, გორაკებს, ბუჩქებს ეფარებოდა და სასროლ მანძილზე მიუახლოვდა. ის იყო სროლა დააპირა და ისრის წივილიც გაისმა. მოიხედა სოსლანმა და ირემი უკვე მიგორავს. სოსლანმა ხმამაღლა იყვირა:

— ვინ ძაღლი და მამაძაღლი ხარ! რად ესროლე ჩემს ირემს?

პასუხი არავინ გასცა. ადგა და ირმის სისხლიან კვალს მიჰყვა. კვალი ერთ ხევში ჩავიდა. ხედავს, ხევში ერთი ვეება, კოშკისხელა კაცი დგას, წინ მოკლული ირემი უგდია.

— შენ მოჰკალი ჩემი ირემი? — ჰკითხა სოსლანმა კაცს.

— ჰაი-ჰაი, რომ მე მოვკალი! — უპასუხა იმანაც.

სოსლანმა ხმას აუწია:

— ირემი ჩემი იყო, რატომ მომიკალი?

— თუ შენი იყო, რატომ არ ესროლე, — უთხრა კაცმა, — მეც მონადირე ვარ და შენცა. ქვეყანაც — გვიმის ხეობა — ჩემი ქვეყანაა, ვითომ რაღად მიყვირი?

— სადაური ხარ? — ჰკითხა სოსლანმა.

— მე გვიმელი ვარ. შენ ვინღა ხარ, საიდან?

— მე ნართელი კაცი ვარ, სოსლანი!

— აბა, მაშ, ნართელო, ირემი ღმერთს ორივესთვის სანახევროდ მოუცია, მოდი და გავატყავოთ.

დამშვიდდნენ მონადირეები. გაატყავეს ირემი. გვიმელმა კაცმა სოსლანს თავისი დანა გაუწოდა და უთხრა:

— გაანაწილე, ნართელო; ისე გაანაწილე, როგორც ანაწილებ ხოლმე.

— ირემი შენ მოკალი და განაწილებითაც შენ უნდა გაანაწილო, — იუარა სოსლანმა.

გვიმელს აღარაფერი უთქვამს; აიღო და ირემი სამ ნაწილად გაჰყო. უყურებს სოსლანი და გულში ფიქრობს: „ერთი წილი ჩემი იქნება, მეორე — თავისი. ალბათ, მესამე წილსაც თავისთვის აიღებს და ჩემზე მეტი რომ წაიღოს, სიკვდილი არ მიჯობს?.."

როცა განაწილებას მორჩა, გვიმელმა სოსლანს მიმართა:

— ნართელო, არჩევანი შენია!

— არა, მა ხურ, ირემი შენი მოკლულია და პირველი არჩევანიც შენია, — უთხრა სოსლანმა.

დაიხარა გვიმელი, ერთი წილი აიღო და თქვა:

— სოსლან, ეს შენი კუთვნილი წილია.

მეორე წილიც აიღო და უთხრა:

— როგორც შორი ქვეყნიდან მოსულს, ესეც ქარდიხად* მომირთმევია. ეს მესამე წილი კი — მე.

მერე შეწვეს მწვადები და გემრიელად მიირთვეს.

ჭამა რომ მოათავეს, ჩაიწუვეს თავ-თავიანთი წილი და წამოსასვლელად გაემზადნენ. გვიმელ კაცს სოსლანი ძალიან მოეწონა და უთხრა:

— ნართელო ვაჟკაცო, აი, ჩემი ხმალი, ჩემი ცხენი და ჩემი ისარ-კაპარჭი, უფლება გაქვს, აირჩიო რომელიც გინდა და მიჩუქნია. ჩემს სახელზე ჩაიტანე ნართების ქვეყანაში.

სოსლანმა არაფერი გამოართვა გვიმელ კაცს, მადლობა მოახსენა.

ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს, დაემშვიდობნენ, შესხდნენ ცხენებზე და წამოვიდნენ — გვიმელი კაცი — გვიმისკენ, სოსლანი კი — ნართებისაკენ.

სოსლანმა კარგა მანძილი რომ გაიარა, გაიფიქრა: „ე რა უბედური ვინმე ვარ. — კაცმა საჩუქარი შემომთავაზა, მე კი უარი ვუთხარი! რომ ჩავალ, რას ვეტყვი ნართებს? მოდი, უკან გამოვუდგე!"

შემოაბრუნა ცხენი, გამოეკიდა გვიმელ კაცს და უყვირის:

— მოიცა, გვიმელო, სიტყვა მაქვს სათქმელი!

გვიმელმა კაცმაც შემოაბრუნა ცხენი და სადაც ირემი გაატყავეს, კვლავ იმ ადგილზე შეხვდნენ ერთმანეთს.

— რა იყო, ნართელო! — ჰკითხა გვიმელმა, — დაგავიწყდა რამე?

— ჩვენ ასეთი ხალხი ვართ, ადათის მიხედვით პატივისცემის ნიშნად საჩუქარს რომ შემოგვთავაზებენ, ჯერ უარს ვამბობთ, არ გამოვართმევთ, ბოლოს კი ვნანობთ.

— აბა, ჩვენ კი ასეთი ხალხი ვართ: პატივითა და ადათით საჩუქარს რომ გავცემთ და არ მიიღებენ, მეორედ აღარ შევაძლევთ.

შეჰყვა ლაპარაკს ეს ორი კაცი, სიტყვას სიტყვა მოჰყვა და კამათი ჩხუბში კი გადაიზარდა! ჯერ ერთმანეთს ისრით შეებნენ. ვერც ერთმა ვერა დააკლო რა მოწინააღმდეგეს. მერე სოსლანმა ორლესული იძრო, გვიმელმა — ხმალი და შეუტიეს ერთურთს. თვრამეტჯერ ერთმა დასჭრა მეორე, თვრამეტჯერ — მეორემ პირველი.

როცა დაიქანცნენ და ბრძოლა აღარ შეეძლოთ, ერთი გზის აქეთ გადავარდა, მეორე — გზის იქით. დღეც დაღამდა და დაისვენეს კიდეც. მერე დათქვეს: „ახლა სახლებში წავიდეთ, ჭრილობები მოვირჩინოთ და ერთი წლის შემდეგ ისევ აქვე შევხვდეთ ერთმანეთს“. იმ ადგილზე დიდი ხეები იდგა და ამ ხეებს ნიშნები დაასვეს, რომ ადგილი მოეგნოთ. მერე ძლივსძლივობით შესხდნენ თავიანთ ცხენებზე და საპირისპირო მხარეს გაემართნენ: სოსლანი ნართების ქვეყნისაკენ წამოვიდა, გვიმელი კაცი — გვიმისაკენ.

მკურნალები დაიყენეს და ორივე გამოჯანმრთელდა. გავიდა წელიწადი და კვლავ იმ ადგილზე შეხვდნენ ერთმანეთს. სოსლანმა გვიმელ კაცს ისრის სროლა აუტეხა. გვიმელი მივიდა სოსლანთან და უთხრა:

— შე კაი კაცო, რისთვის ვხოცავთ ერთმანეთს, სისხლი ხომ არ გვმართებს ერთურთისა?

გადაყარეს იარაღი, ხელი ხელს მისცეს და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— რაკი შევრიგდით, ოჯახშიც უნდა მეწვიო, — უთხრა გვიმელმა კაცმა სოსლანს.

შესხდნენ ცხენებზე და გაემართნენ გვიმის სოფლისკენ. გვიმელი სოსლანს გულუხვად გაუმასპინძლდა — კვირიდან კვირამდე გაშლილი სუფრიდან არ აუშვა.

ერთი კვირა რომ გავიდა, სოსლანმა შინ დაბრუნება გადაწყვიტა. გვიმელმა კაცმა სტუმარს თავისი თვითმსროლელი კაპარჭი აჩუქა. საჩუქრად მისცა აგრეთვე ირმის ტყავი. ტყავი განა უბრალო იყო — მისი ბეწვ-ბალანი ზარისა და ზანზალაკის ხმით გალობდა. ხელს შეახებდი თუ არა, ათას ხმაზე აჟღერდებოდა.

სოსლანმა გვიმელი კაცი გადმოიპატიჟა. ჩამოვიდნენ ნართების ქვე-

ყანაში და სოსლანმაც ძლიერ კარგად უმასპინძლა. მანაც კვირიდან კვირამდე აქეიფა. კვირა რომ გასრულდა, გვიმელმა შინ წასვლა მოისურვა. სოსლანიც როგორ არ დაასაჩუქრებდა! საკუთარი ცხენიც კი აჩუქა.

იმ დღის შემდეგ სოსლანი და გვიმელი კაცი ძმადნაფიცებად დარჩნენ.

სოსლანის ქურქი

სოსლანმა გადაწყვიტა, ნართებს შორის ყველაზე გამორჩეულად ეცხოვრა. ამ მიზნით კაცის თავისა და პირსახის ტყავებით ქურქის შეკერვა მოისაზრა. ასეთი ქურქის შეძენა მანამდე ვერავის მოეხერხებინა.

სოსლანი კაცს რომ მოკლავდა, პირზე ტყავს წვერულვაშიანად აძრობდა. ამრიგად, მთელი ქურქის საყოფი ტყავი მოაგროვა. მასალა რომ დაიგულა, ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, უზადოდ ვინ შემიკერავსო.

ერთ ალაგას სამი ქალიშვილი იჯდა; სოსლანმა საქურქე იმათ მიუტანა. ქალიშვილებმა საქურქე ტყავებს რომ დახედეს, ზოგმა თავისი ბიძის თავ-პირი იცნო. ზოგმა — თავისი ძმისა და დანაღვლიანდნენ. როგორ მოვიქცეთო, ფიქრს მიეცნენ.

მეტი საშველი არ იყო და სოსლანს უთხრეს, ქურქს ხვალ გამოგიჭრითო. სოსლანი შინ წამოვიდა.

ქალიშვილები კი დარდობდნენ, ფიქრობდნენ, რა ვქნათ როგორ მოვიქცეთო. საიდანღაც ნართების ჭირად დაბადებული სირდონი გამოეცხადათ.

— რაზე დაღონებულხართ, გოგოებო? — ჰკითხა მათ სირდონმა.

— როგორ არ დავღონდეთ?! სოსლანმა კაცის თავ-პირის ტყავები მოგვიტანა, ქურქი შემიკერეთო. ეს ტყავები კი ჩვენი ძმების და ბიძებისთვის გადაუძვრია თავ-პირზე, — უპასუხეს ქალიშვილებმა.

— გამოუჭერით ქურქი, — ურჩია სირდონმა, — შეუკერეთ, მხოლოდ უბეების გარეშე. როცა სოსლანი მოვა, ჩააცვით, გაასინჯეთ და უთხარით: „კარგი ქურქი გამოვიდა, ოღონდ უბეებზე ტყავმა აღარ იკმარა და ქუციქის ვაჟის ხელთაყანის თმაწვერიან ტყავს რომ მოიტანდე, ამბობენ,

ოქროს თმა-წვერი ჰქონიაო, უბადლო ქურქი გექნებოდა. თუ იმის ტყავს არ მოიტან, სხვა არ მიესადაგება-თქო".

ქალიშვილები ზუსტად ისე მოიქცნენ, როგორც სირდონმა დაარიგა.

სოსლანი ქუციქის ვაჟ ელთაყანისკენ გაემართა. მივიდა და ეზოდან დაუძახა:

— ქუციქის ბიჭო ელთაყან, შინა ხარ?

ელთაყანმა, ძახილი რომ გაიგონა, თქვა:

— ეს სოსლანის ხმაა. გადით და უთხარით, ელთაყანი შინ არ არისთქო!

ოჯახიდან ერთ-ერთმა გამოხედა სოსლანს და უპასუხა:

— ელთაყანი სახლში არ გახლავთ.

— იპოვნეთ, — უთხრა სოსლანმა, — მეტი საშველი არ არის, უნდა იპოვნოთ.

მაშინ თვით ელთაყანი გამოვიდა და ჰკითხა:

— რა იყო, სოსლან, რა გინდა? რისთვის მეძებ?

— საყოლას მინდორზე კოჭი ვითამაშოთ, — უთხრა სოსლანმა, — თუ შენ მომიგებ, თავი მომჭერი; ხოლო თუ მე მოგიგე, თავი უნდა მოგკვეთო.

რა მეტი გზა ჰქონდა ქუციქის ვაჟს — ოქროსქოჩრიან ელთაყანს! დაეთანხმა და საყოლას მინდორზე კოჭის სათამაშოდ წავიდნენ. დანიშნულ ადგილზე რომ მივიდნენ, სოსლანმა ელთაყანს უთხრა:

— ააგდე კოჭი!

— შენ წამომიყვანე საკოჭაოდ და პირველმა შენ ააგდე, — უთხრა ელთაყანმა. ააგდო კოჭი სოსლანმა და კაცი სამი დღის განმავლობაში რასაც გალეწავდა, კოჭს იმდენი შვრია დასცევია. მარცვალი დაღავდა.

— ეს შვრია უნდა აიკრიფოს! — უთხრა სოსლანმა.

ააგდო კოჭი ქუციქის ბიჭმა — ელთაყანმაც: კოჭიდან წიწილებიანი კრუხები გადმოფრინდნენ. დაუწყეს კენკვა შვრიას და თითო მარცვალიც არ გახვდათ.

— ახლა პირველად შენ აისროლე კოჭი! — უთხრა სოსლანმა.

ააგდო კოჭი ელთაყანმა და მისი კოჭიდან გარეული ტახი გამოხტა.

— აბა, დაიჭი, თუ ვაჟკაცი ხარ! — უთხრა ელთაყანმა სოსლანს.

სოსლანმა ააგდო კოჭი და კოჭიდან სამი მეძებარი გამოხტა.

გამოუდგნენ ტახს და სულ ასო-ასოდ დაგლეჯილი მოუტანეს ელთაყანს.

— აბა, ისევ შენ ააგდე კოჭი, — უთხრა ელთაყანმა.

აისროლა კვლავ კოჭი სოსლანმა და ნართების სახლებს ხანძარი მოედო.

— აი, ამათ უნდა ეშველოს რამე! — უთხრა მან ელთაყანს.

— მე მაგათ ვერაფერს ვუშველი, რაც გინდა, ის მიყავი, — უპასუხა ელთაყანმა.

— აბა, მაშ მე მიყურე! — უთხრა სოსლანმა, ააგდო კვლავ თავისი კოჭი, დაუშვა კოკისპირული წვიმა და ხანძარი ჩააქრო.

— მომიგე, სოსლან! რა მეთქმის, მომკვეთე თავი! — თქვა ელთაყანმა.

— ერთხელ კიდევ სცადე ბედი. ააგდე კოჭი, — უთხრა სოსლანმა, — თუ ისევ მოგიგე, პირობა ავასრულოთ.

ააგდო კოჭი ელთაყანმა და მისი კოჭიდან სამი მტრედი გამოფრინდა.

— აბა, მაგათ თუ დაიჭერ, — უთხრა ელთაყანმა.

სოსლანმაც ააგდო კოჭი და მისი კოჭიდან სამი პირსისხლიანი ქორი ტყვიასავით გამოვარდა. გამოუდგნენ ქორები მტრედებს, დაიჭირეს, მოიყვანეს ელთაყანთან და მის წინ წაგლიჯეს თავები.

— მომკვეთე თავი, სოსლან, ამჯერადაც წავაგე! — უთხრა კვლავ ელთაყანმა სოსლანს.

— ქუცქის ბიჭო ელთაყან, კაი კაცი ხარ და არ მინდა, თავი მოგკვეთო. მე მხოლოდ შენი თავ-პირის ტყავი მჭირდება.

გადააძრო თავზე ტყავი ელთაყანს სოსლანმა, წამოიღო და იმ ქალიშვილებმა მის ქურქს ეს ტყავი ჩაუყენეს უბეებად.

სოსლანი და თარის ვაჟები

ავი ზამთარი დაუდგათ ნართებს: არნახული დიდთოვლობა იყო იმ წელს. საკვები შემოელიათ. საგონებელს მიეცნენ, პირუტყვი როგორ გადავარჩინოთო. ცხენები თუ დაგვეხოცა, რაღა უცხენო მხედარი და რაღა ფრთებდაჭრილი ფრინველიო.

შეგროდვნენ ერთ დღეს რჩეული მამაკაცები ნართების დიდ ხაძარში* და ბჭობა გამართეს, საით გაერეკათ პირუტყვი გამოსაზამთრებლად.

ურუზმაგს მიმართეს:

— შენ ბევრი გითარეშნია, ყველა ქვეყნები მოგივლია, — იქნებ ისეთი ქვეყანა გაგიგონია, სადაც ზამთრობით თოვლი არ მოდის.

— კი, ვიცი ეგეთი ქვეყანა, — უთხრა მათ ურუზმაგმა, — ზღვის პირს, თარის ვაჟების სამფლობელო: ზამთრობითაც მუხლამდე ბალახი ბიბინებს, უხვი და ულევი, ყუათიანი ბალახი. იქ რომ გვაძოვებინა პირუტყვი, ისე მოღონივრდებოდნენ, ველარაფერი დააკავებდათ. მაგრამ საქმე ისაა, იქ ჯოგების გადარეკვა ძნელი გასაბედია; ორი ძმანი არიან თარის ვაჟები — მუქარა და ბიბიცი. ჩვენი პირუტყვი ერთს რომ გადაურჩეს, მეორეს მაინც ვერ გადაურჩება.

— რაც გინდა მოხდეს, პირუტყვი მაინც იქ უნდა წავასხათ, — თქვეს ნართების რჩეულმა კაცებმა, — მაგრამ ვინ წაასხამს, ვინ გამოდგება ისეთი გაბედული და ძლიერი?

ბევრი ითათბირეს, მაგრამ მეჯოგედ წასვლის მსურველი არავინ აღმოჩნდა. როცა თავისით არავინ ისურვა, თქვეს: „წილი ვყაროთ, კენჭი ვისაც შეხვდება, იმან წაიყვანოს ჩვენი პირუტყვი და აძოვოს თარის ვაჟების სამფლობელოში!“

დაიწყეს წილის ყრა. ნართების ჭირად დაბადებულმა სირდონმა იეშმაკა — წილისყრა ითავა. უკუღმა გადმოაბრუნა თავისი ქუდი და ყველას ნივთები შიგ ჩაყარა. იგი სოსლანზე ნაწყენი იყო და მისი ნივთი თითებში დამალა; ქუდში ჩაყრილი ნივთები აურ-დაურია, ჩაყო ხელი და სოსლანის ნიშანი ამოიღო. სამჯერ გაიმეორეს წილისყრა და სირდონმა სამჯერვე სოსლანის ნივთი ამოიღო; მიუხვდა ეშმაკობას სოსლანი, იძრო ორლესული და სირდონს გამოუდგა. მისდევს, მაგრამ თან გულში ფიქრობს: „დავცხებდი და სულს გავაფრთხობინებდი, მაგრამ ნართების ახალგაზრდობა — გოგო თუ ბიჭი — ყველა ამას იტყვის: აი-აი, სოსლანს ეშინია, ვერ გაუბედავს პირუტყვის გარეკვაო!“ მიანება თავი და მობრუნდა.

რა მეტი გზა ჰქონდა, აღარ იკადრა წაუსვლელობა. მივიდა შინ ასე გაბრაზებული და სკამზე დაეხეთქა — სკამი წვრილად დაიფშვნა.

— რა მოგივიდა, ჩემო არშობილო შვილო, ვინ გაწყენინა? — ჰკითხა სათანამ.

— მეტი რაღა უნდა მომსვლოდა — ნართების პირუტყვის მწყემსად გაყოლა შემხვდა წილად; ჯოგი თარის ვაჟების კუთვნილ მიწაზე უნდა წავასხა! მე იქიდან უფათერაკოდ ველარ დავბრუნდები, — უპასუხა სოსლანმა.

— ნუ გეშინია, ჩემო ბიჭო, მოემზადე და წაასხი ჯოგები. ოღონდ შენი ვიანობა არავის არ გაუმხილო. თუ ვინმე შემოგედავება, რამეს გაახერხებ.

გაემზადა სოსლანი, რაღას იზამდა! დილით ადრიანად ნართებს გასძახა:

— ნართებო! გამორეკეთ თქვენი ჯოგები, თუ გადაგირჩათ რამე, ხომ კარგი, თუ არა და მე ნურაფერს დამაბრალებთ!

შეიძრნენ ნართები და რაც კი გააჩნდათ — ცხვარი, მსხვილფეხა პირუტყვი თუ ცხენის რემა, გამორეკეს, სოფლის ბოლოს შეაქუჩეს და სოსლანს გაატანეს.

შევარდენივით ჩამოუქროლა, არწივისებურად დაჰყივლა სოსლანმა ნართების ჯოგებს და თარის ვაჟების სამფლობელოსკენ გამოსაზამთრებლად გაუყენა. რამდენ ხანს ატარა, ვინ იცის, მაგრამ როცა იყო, ჩარეკა ადგილზე და ზღვის პირს მუხლამდე ატეხილ ბალახზე საძოვრად გაუშვა. ერთ გორაკზე თავისთვის კარავი დაიდგა. ჯოგებს საძოვარზე გარეკავდა, თვითონ იჯდა კარავში და მღეროდა.

თარის ვაჟები — მუქარა და ბიბიცი მდიდრები იყვნენ: მათ მამულებს თვალი ვერ გასწვდებოდა, მათ პირუტყვს სათვალეები არ ჰქონდა, დიდძალი ხალხი ჰყავდათ ხელქვეით: ერთი სიტყვით, შორს ჰქონდათ სახელი გავარდნილი.

ერთ დღეს მუქარას თავისმა ხელქვეითმა აცნობა:

— თარის ვაჟო მუქარა, შენს მიწებზე იმდენი უცხო ჯოგები ბალახობს, ვერ დაითვლი!

გაბრაზდა თარის ვაჟი და იყვირა:

— რომელმა სულელმა შემომბედა ამის თქმა! ჩემი შიშით ცას ქუხილი ვერ გაუბედავს, ჩემს მიწებზე ვინ გაბედავს თავისი ჯოგების მორეკვას!?

ბრძანა და მოკვეთეს იმ საწყალ მაცნეს თავი, ჩამოაცვეს მარგილზე, რომ სხვამ ასეთი სულელური ამბის მოტანა აღარ გაბედოსო.

ღმერთმა იცოდეს, რამდენი ხანი გავიდა ამ ამბის შემდეგ და ერთ მშვენიერ დღეს კვლავ უთხრა ერთმა კაცმა:

— თარის ვაჟო მუქარა, შენს საძოვრებზე, ამა და ამ ადგილს, იმდენი ჯოგი ბალახობს, რომ მიწა გადააშავეს.

— მოკვეთეთ თავი და ჩამოაცვით მარგილზე! ეს სულელები მოსვენებას აღარ მაძლევენ! ვინ გაბედავს ჩემს მიწებზე პირუტყვის შემორეკვას?! არსებობს განა დედამიწაზე ისეთი ადამიანი, თარის ვაჟების სახელი არ გაეგონოს?!

მოკვეთეს იმ კაცსაც თავი და ჩამოაცვეს მარგილზე.

რამდენმა დროს გაიარა კიდევ, ვინ იცის. მაგრამ კვლავ შეატყობინეს:

— თარის ვაჟო მუქარავ, შენი საძოვრები უცხო ჯოგებმა დაფარა.

ამჯერად კი დაფიქრდა თარის ვაჟი მუქარა: „მგონი, ტყუილად და-

ვახოცინე ის კაცები. იქნებ მართლა გამოჩნდა ვინმე გიჟი და ნამდვილად მორეკა ჩემს მიწებზე თავისი საქონელი?“

ფიცხლად შეაკაზმინა ცხენი თარის ვაჟმა მუქარამ და გასწია მოძალადის შესამოწმებლად.

ზის სოსლანი კარვის წინ და მღერის, გარემოს ცქერით ტკბება. საქონელიც მუხლამდე ბალახს ნებივრად ძოვს. სოსლანმა გაიხედა და შეამჩნია, შორს ერთი რაღაც დიდი ღრუბლის გუნდა წინ მოიწევდა, უკან შავ ზოლად კვალს ტოვებდა. მის ზემოთ კი ყვავები დაფრენდნენ.

„რა უნდა იყოს?“ — გაუკვირდა სოსლანს. ღრუბელი თანდათან უახლოვდებოდა და სოსლანმა მხედარი გაარჩია. ცხენი მთისხელა ჰყავდა, თვითონ კი ძნისხელა იყო. მხედრისა და ცხენის ამონასუნთქი ნისლს აყენებდა; ცხენმხედრის უკან მიწაზე შავ ზოლს მხედრის ხმალი ავლებდა, ხოლო თავზემოთ ცხენის ფეხის ჩლიქებით ანასროლი მიწის გოროხები დარიალებდნენ.

შეკრთა ბეჭგანიერი სოსლანი, ციებიანივით კანკალი აუტყდა, — მიხვდა, იგი თარის ვაჟი მუქარა რომ იყო. „მოვიდა ჩემი აღსასრული“, — თქვა გულში.

მოუახლოვდა თარის ვაჟი მუქარა და ცასავით დაიგრგვინა:

— ვინ ძაღლი და მამაძაღლი ხარ! ჩემი შიშით ცას ქუხილი ვერ გაუბედავს, ჩემს მიწებზე მაღლა შეევარდენს ვერ გადაუფრენია, ძირს ჭიანჭველას ვერ გაუვლია! ეგეთი ძლიერი ვინ ხარ, როგორ გაბედე შენი ჯოგების აქ შემორეკვა?!

მუქარას ყვირილზე ჯოგები სულ ერთ ადგილზე შეჭუჭრდნენ. სოსლანი შიშით თაგვის სოროს ეძებდა: მოიკუნტა, დაილია. რაღა მეტი გზა ჰქონდა! წამოდგა და მუქარას დაუძახა:

— — მაპატიე, მე მოჯამაგირე ვარ, ჩემი ბრალი არ არის!

— ვინ ხარ, ვისი მოჯამაგირე ხარ? — ჰკითხა მუქარამ.

— ნართების შენახირე ვარ; პირუტყვი შიმშილით უწყდებოდათ და ამ შორეულ მხარეს მე გამომატანეს.

— მიპატიებია, მხოლოდ რასაც გკითხავ, იმაზე სწორი პასუხი უნდა გამცე.

— რაც მეცოდინება — ვეტყვი, — უთხრა სოსლანმა.

— ნართი სოსლანის სახელი ხშირად მესმის, არ იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ! — უპასუხა სოსლანმა.

— მაშ მითხარი, რა ღონის პატრონია, რა ნართული გასართობები იცის?

— ძალ-ღონე იმას რომ აქვს, ისეთი უნდა! — გააზვიადა სოსლანმა და გულში კი ფიქრობს, ჩემს დამღუპველს გადავეყარეო.

- — რა გინახავს მისი გასართობებიდან, მიამბე, რომ მეც ვცადო. თუ მათი გამეორება შევძელი, შენი ჯოგებიანად შეგჭამ, თუ არა და უკან დაბრუნდები, — უთხრა მუქარამ.

— მთლად კარგად არ ვიცი, მაგრამ ზოგი რამ მახსოვს. ერთი ასეთი თამაში იცის: ნართების ყველაზე ღონიერი ახალგაზრდები თავიანთ ორლესულ ხმლებს სალესზე პირს ისე აუწყობენ, ისე მაგრად ალესავენ, ზედ ბეწვს რომ შეუბერავენ, ბალთავს, სოსლანი თავს კუნძზე დასდებს და ახალგაზრდები ამ ალესილ ხმლებს მთელი ძალით ურტყამენ, მაგრამ ბეწვნახევარსაც ვერ აკლებენ.

— აბა, ამდენ ჯოგს რომ უდგეხარ, შენც მთლად უღონო არ უნდა იყო. ორლესულიც არ გექნება ურიგო. წადი, გალესე და ჩემს კისერზე გამოსცადე, — უთხრა მუქარამ.

— კარგი, — დაეთანხმა სოსლანი და სიცილით წავიდა.

სოსლანმა ხმალს ალესვა დაუწყო, უამისოდაც რად ეჭნებოდა დაჩლუნგებული! მერე სალეს ქვაზე აუსვა და ისეთი გახადა, ზედ რომ ბეწვს შეუბერა, ბეწვი შუაზე გაჰყო. მზეს შეჰხარის სოსლანი, ვარსკვლავებს ეთამაშება — აქაო და მუქარას ახლა კი თავს წავაგდებინებო.

მუქარამ თავი მუხის კუნძზე დადო და სოსლანს უთხრა:

— ნუ დამზოგავ, მთელი ძალით დამცხე!

სოსლანმა მკლავღონივრად დაიქნია ხმალი და დასცხო კისერში მუქარას, მაგრამ მსუქან, წითლად მოლაპლაპე კისერზე ერთი ბეწვიც ვერ გაუჭრა — ასხლტა ხმალი და ნატეხიც ავარდა.

— ეგ ვერაფერი თამაშია, — თქვა მუქარამ, — სოსლანმა მეტი არაფერი გასართობი იცის?

— ერთი ასეთი თამაშიც იცის: პირს დააღებს ხოლმე და ნართი ახალგაზრდები ისარს შიგ ხახაში ესვრიან, ის კი ნახევრად დაღეჭილ ისრებს უკანვე ჰყრის.

— ეგ თამაშიც ვცადოთ, — უთხრა მუქარამ, — მე პირს დავაღებ, შენ კი ხახაში ისრები დამიშინე.

აიღო სოსლანმა მშვილდი და დაუწყო მუქარას ხახაში ისრის სროლა. მუქარა ღეჭავდა ისრებს და ნახევრადდაღეჭილებს უკანვე ჰყრიდა.

— არც არა ეგ თამაში ყოფილა! მასწავლე, უკეთესი რა იცის! — უთხრა მუქარამ.

— სოსლანი ამნაირადაც ერთობა ხოლმე: თავის ორლესულს ტარით მიწაში ჩაასობს, წვერს მაღლა მოუქცევს. ავა მაღალ მთაზე, იქიდან გადმოეშვება. ორლესულს ზედ დაეცემა და ისე ტრიალებს, ერთი ბეწვიც არაფერი უშავდება.

მუქარამაც დაარჭო მთის ძირში თავისი ხმალი — ტარი მიწისკენ უყო,

პირი — მაღლა; ბვიდა მთის წვერზე, იქიდან პირქვე გადმოეშვა და ხმლის წვერზე ბზრიალასავით დაიწყო ტრიალი, — უბრალოდაც კი არაფერი გაკაწრია.

— ესეც ადვილი თამაში ყოფილა — თქვა მან.

— კიდევ ერთი თამაშით ერთობა სოსლანი: ნართებში ყველაზე ღონიერ ახალგაზრდებს მთის წვერზე აგზავნის და იქიდან მთისხელა ლოდებს აგორებენ. სოსლანი ლოდებს შუბლს შეუშვერს ხოლმე და მის შუბლზე ლოდები ნაცრად იქცევიან.

— წადი, აბა, ადი მთის წვერზე და იქიდან დიდი ლოდები გადმოაგორე, — უთხრა მუქარამ სოსლანს, — მე დაბლიდან შუბლს შევუშვერ, ვნახოთ ერთი, რა იქნება!

სოსლანი მაღალი მთის წვერისაკენ გაემართა. მუქარა დაბლიდან უყურებდა და შეამჩნია, რომ ფეხმრუდი იყო. დაეჭვდა, ვაითუ ეს კაცი თვითონ სოსლანი იყოსო — აკი ფეხმრუდს ამბობენო. მომართა მშვილდი, დაუმიზნა ისარი და როგორც კი უნდა ესროლა, ფიქრმა გაუელვა, ვაითუ ის არ არის და სირცხვილია, მოჯამაგირეზე ხელი როგორ გავისვაროო. ნართები იტყვიან, სოსლანს თვითონ ვერ შემობედა და მოჯამაგირე მოუკლაო. მშვილდი ისევ დაუშვა.

სოსლანმა კი მთელი დღე ერთი მეორეზე ვეებერთელა ლოდები აგორა. თარის ვაჟი მუქარაც მათ შუბლს უშვერდა. მის შუბლს მოხეთქებული ლოდები ნაცრად იქცეოდნენ.

თარის ვაჟმა სოსლანს დაუყვირა:

— ეი, ნართების მოჯამაგირევ, ნუღარ ეწვალები: რწყილის ნაკბენი უფრო მტკივნეულია ჩემთვის, ვიდრე ეგ შენი ნასროლი ლოდები.

„დავიღუპე და დავიქეცი, — იფიქრა სოსლანმა, — რომ მიცნოს, შემჭამს და ეგ არი". მაინც ჩამოვიდა დაბლა.

— ნუთუ მეტი აღარაფერი იცი სოსლანის თამაშობებიდან? — ისევ ჰკითხა მუქარამ.

— ეჰ, შენი ჭირიმე, მუქარა, მის გასართობებს რა გამოლევს, — უპასუხა სოსლანმა.

— აბა, უკეთესი რა გახსოვს?

— ვეებერთელა ორმოს ამოათხრევინებს ხოლმე და ზღვიდან წყალს მიუშვებს. თვითონ იმ ორმოში ჩაძვრება, ზემოდან ქვას, ფიჩხს, ხეს დააყრიან; მერე ღმერთს შესთხოვს წლიდან წლამდე რაც ყინვას და სიცივეს უშვებ, ამ სამ დღეს გამოუშვიო. ასე ზის ორმოში კვირიდან კვირამდე. კარგა მაგრად რომ გაიყინება, ამოსწევს მხრებს სოსლანი, ამოამტვრევს ყინულს და ნართების სოფელში მიაქვს. ამ ყინულზე ნართების ბავშვები კოჭაობენ.

— ეგ თამაშიც აუცილებლად უნდა ვცადო, — თქვა მუქარამ.

ზღვასთან ახლოს დიდი ორმო ამოთხარეს და წყალი მიუგდეს. მერე ჩაძვრა შიგ მუქარა და სოსლანმა ზევიდან დააყარა, რაც კი ხელთ მოხვდა — ხე, ქვა, ფიჩხი.

როცა ორმო პირთამდე ამოივსო, ორივემ შესთხოვა ღმერთს: „ო, ღმერთო, წლიდან წლამდე რაც სიცივე უნდა გამოსცე, სულ ამ სამ დღეს გამოიმეტე!“ იმ წუთსვე აცივდა და ტბა ქვასავით მაგრად გაიყინა. ზის ორმოში მუქარა და ელოდება, როდის დაუძახებს ნართების მოჯამაგირე, მაღლა ამოდიო.

როცა კარგა მაგრად გაიყინა, სოსლანმა დაუძახა:

— აბა, ახლა ამოსწი!

იწევს მაღლა მუქარა, მაგრამ ყინული ვერ ამოამტვრია.

— აუჰ, ეგ ხომ სოსლანისთვის არაფერია, შენ როგორ ვერ ერევი? — უთხრა სოსლანმა.

კვლავ სცადა თარის ვაჟმა მუქარამ, წამოიწია, რის ვაი-ვაგლახით თავი ამოჰყო, მაგრამ მხრები ვეღარ ამოაძრო.

— უჰ, შენს სიკეთეს, ნართების მოჯამაგირევ, მომეხმარე, თორემ მე ვეღარაფერს გავხდები, — შეეხვეწა მუქარა სოსლანს.

— ახლავე ახლავე! — უთხრა სოსლანმა და იძრო ორლესული, — მე ხომ ნართი სოსლანი გახლავარ, ვერ მიცანი? ღონით ძლიერი არ ვარ, შენზე ძლიერი დედამიწაზე არავინ არის, მაგრამ გონებით გახლავარ ძლიერი და ქვის ქვეშ მოგაქციე.

— აი, შე ეშმაკის ნაშიერო, შენა! — უთხრა თარის ვაჟმა მუქარამ, — მთის წვერზე რომ ადიოდი, შენმა მრუდე სიარულმა დამაეჭვა და მშვილდი დაგიმიზნე: ვთქვი, ვესროლო, ვაითუ ის არ გამოდგეს; არ ვესროლო და ვაითუ იმ ჯადოქრის შვილი იყოს-მეთქი! ახლა რაღა გიყო! მეტი ღონე აღარ შემწევს.

ურტყამს ორლესულს სოსლანი, ურტყამს; ორლესული ნაპერწკლებს ჰყრის, მუქარას კი ვერაფერს აკლებს.

— შენს სიკეთეს, ნუღარ მტანჯავ; ჩემი სამართებლით თუ არ მომჭერი თავი, მე სხვა ხმალი ვერ მომკლავს; წადი, ამოიტანე და ყინულზე გამოუშვი, ის თავს თვითონ მომჭრის.

მოახტა თავის ცხენს სოსლანი და სამართებლის ამოსატანად მუქარას სახლისკენ გამოაჭენა. სახლის ზღურბლს რომ მიუახლოვდა, იფიქრა, ეს უბრალო სამართებელი არ იქნება, ალბათ, რაღაც ეშმაკობას მიპირებსო მუქარა. აიღო ერთი დიდი ხის ნაჭერი და კარისკენ წავიდა. როგორც კი ხის ნაჭერი კარიდან შეჰყო, სამართებელი ზღურბლს გადმოახტა, დაეძგერა ხის ნაჭერს, ორად გადაბალთა და თვითონ მიწაში ჩაესო.

აიღო სოსლანმა სამართებელი და წამოიღო. როცა მუქარასთან მოვიდა, მან დანანებით უთხრა:

— ეჰ, ეშმაკის ნაშიერო, როგორც გატყობ, მაგ სამართებელსაც გადაურჩი!

ახლოს მივიდა სოსლანი და უთხრა:

— გონებაც რომ ღონის მსგავსად გიჭრიდეს, ვერავითარი მოძალადე ვერ დაგძალავდა.

— ერთიც მათქმევინე, — უთხრა მუქარამ. — გონიერი ხარ, სოსლან. მაგრამ ღონე გაკლია. მე რომ მოვკვდები, ხერხემლის ტვინი ამომაძრე და ჭამრად შემოირტყი. მთელი ჩემი ღონე და ძალა შენში გადმოვა.

სოსლანმა სამართებელი გაუშვა ყინულზე და სამართებელმა მუქარას თავი წაათალა. მერე ჩაუბა მუქარას ხერხემლის ტვინს ხარები და ამოაძრო. როგორც კი წელზე უნდა შემოერტყა, გაიფიქრა, მისი ხერხემლის ტვინიც უბრალო ტვინი არ უნდა იყოს, ჯობია, ჯერ სხვა რამეზე გამოვცადო.

წაიღო ტყეში მუქარას ხერხემლის ტვინი, შემოახვია ერთ წიფლის ხეს და ტვინმა ისე გადასჭრა ხე, როგორც ხერხმა. მეორე ხესაც შემოახვია, ისიც გადაბალთა. მუქარას ხერხემლის ტვინმა, ამრიგად რვა ხე გადაჭრა. მეცხრეს რომ შემოეხვია, ხეს კანი-ღა გაუკაწრა, — ძალა გამოეცალა. როცა სოსლანმა შეატყო, ღონე მთლიანად გამოეცალა ხერხემლის ტვინს, მაშინ შემოირტყა წელზე. სოსლანი დაჯდა კვლავ თავის კარავში და ჯოგებს თვალყურს ადევნებდა. რამდენმა დრომ გაიარა, ვინ იცის და ერთ დღეს შორს რაღაც აჩრდილი დალანდა. გულმა უგრძნო ნართების შეჯოგეს, რომ ეს კარგის მომასწავებელი არ იყო. რაც ახლოვდებოდა აჩრდილი, თანდათან იზრდებოდა და ბოლოს მხედარი გარკვევით გამოჩნდა. „ეს ნამდვილად თარის მეორე ვაჟი ბიბიცი იქნება“, გაიფიქრა სოსლანმა. „ერთს გადავურჩი, მაგრამ ამას რაღა მოვუხერხო?“ ამასობაში მხედარი მოუახლოვდა.

ახლა ამან დაიგრგვინა:

— ვინა ხარ, შე ძაღლო-მამაძღლო, ჩვენს სამფლობელოში ჩვენი შიშით მაღლა ფრინველს ვერ გაუბედავს ფრენა, დაბლა — ჭიანჭველას ცოცვა. შენ რა გოლიათი გამომიჩნდი ვიღაცა ხარ, როგორ შემორეკე აქ ჯოგები?

— მე რის გოლიათი ვარ; შენი ჭირიმე, სადაური გოლიათი მნახე! ნართი სოსლანის მოჯამაგირე ვარ. ნართებს წლეულს ავი ზამთარი დაუდგათ, პირუტყვის საკვები შემოელიათ და ჯოგები მე გამომატანეს აქეთ საძოვარზე. თუ არ წამოვიდოდი, სოსლანი მომკლავდა. თუ გინდა შენ

მომკალი, რა განსხვავებაა ჩემთვის. ოღონდ სოსლანი იტყვის, მე ვერ შემომბედა და მოჯამაგირე მომიკლაო.

— ჩემი ძმა მუქარა აქ არსად შეგინიშნავს? — ჰკითხა ბიბიცმა.

— როგორ არა!

— მერე რა იქნა?

— აღარ მომეშვა, ნართ სოსლანის გართობა-თამაშობანი მასწავლეო. მეც ყველაფერი ვასწავლე. მან ამოგლიჯა, თავით ყინული და ნართებთან წაიღო.

— ღვთის გულისათვის, მეც მასწავლე რამე სოსლანის გართობებიდან — მისი სახელი კაი ხანია მესმის.

— რამდენიც გენებოს, სწავლება ჩემზე იყოს, — უთხრა სოსლანმა.

— აბა, მაშ დავიწყოთ.

— სოსლანს ჯოგში ორი ნაცარა ერკემალი ჰყავს. მათ შუა ჩადგება ხოლმე და თავს გულმშვიდად შეუშვერს. ერკემლები ორივე მხრიდან ურტყამენ რქებს და როცა დაიღლებიან, სოსლანი სახეს მოიწმენდს და ამბობს: იფ, იფ, როგორ მასიამოვნეთო.

— სად არიან ის ნაცარა ერკემლები? — ჰკითხა ბიბიცმა.

— მიგასწავლი, — უთხრა სოსლანმა.

მიიყვახა ერკემლებთან. ეს ერკემლები ჩვეულებრივი ცხვრები კი არა, სწორედ ხარის ტოლები იყვნენ.

ჩაუდგა შუაში ერკემლებს ბიბიცი და შეუშვირა თავი. დაუწყეს ჭიდაობა და მთელი დღე ურტყეს რქები. საღამოთი ერკემლები რომ დაიღალნენ, ბიბიცმა თქვა: „ეს მართლაც კარგი გასართობი ყოფილა; იფ, იფ, მშვენიერიაო“ — და სახე მოიწმინდა.

— სხვა რა თამაშობანი იცის კიდევ სოსლანმა? — კვლავ ჰკითხა ბიბიცმა.

— მთის ძირში შუბებს ღრმად დაარჭობს, თვითონ მთის წვერზე ავა, მერე ცეკვით წამოვა, კლდის ფრიალოდან ძირს გადმოეშვება, შუბის წვერებს თავით ჩამოეგება და დგას ასე ყირაზე.

— აბა, მაშ მეც მიყურე, — უთხრა ბიბიცმა და მაღალი მთის ძირში მაგრად ჩაასო შუბები; ავიდა მთის წვერზე, მერე წამოვიდა ცეკვით, გადმოეშვა კლდიდან, დაეგო თავით შუბის წვერებს და ფეხებით ტაშის ცემა დაიწყო.

— როგორ მოგეწონა ჩემი თამაში? — ჰკითხა მან სოსლანს, — ვითომ ბევრით მჯობნის სოსლანი?

— იჰ, რას ამბობ, ჩემო კარგო! მის ძლიერებას საზღვარი არ აქვს, — უთხრა სოსლანმა, — თორმეტი უღელი ხარით რიყის ქვას მოზიდავს, ასი უღელი ხარით შეშას მოიმარაგებს, ქვებს ცეცხლს შეუნთებს, ასი საბერ-

ვლით დაუბერავს და გაავარვარებს. მერე ამ გავარვარებულ ქვებს სოსლანს პირში აყრიან, ის კი ყლაპავს და უკანვე აფურთხებს.

— ვცადოთ ეგ გასართობიც! — შესთავაზა ბიბიცმა.

შეაბეს ნართების ჯოგიდან გამოყვანილი თორმეტი უღელი ხარი, მოზიდეს რიყის ქვა წყლის ნაპირზე, ასი უღლით შეშა მოზიდეს, შეუნთეს ქვებს ცეცხლი და ასი საბერველით დაუბერეს. გავარვარდნენ ქვები და დაიწყო ბიბიცმა მათი პირში ჩაყრა. გადაყლაპავდა და უკანვე ამოაფურთხებდა. სულ რომ დაამთავრა, ამოისუნთქა და თქვა:

— ეს თამაში კი ნამდვილად კარგია გასართობად — გულმუცელი გამითბა. ახლა ყველაზე ძნელად შესასრულებელი თამაში რა იცის, ისიც მასწავლე და ვსინჯო.

— სოსლანი ზღვაში ჩადის ხოლმე, ყელამდე წყალში დგება, მხოლოდ თავი-ღა უჩანს. ზემოდან დააყრიან ფიჩხს, ქვას, ხეს, — რასაც ხელს მოავლებენ. მერე სოსლანი ღმერთს შესთხოვს: „ღმერთო, ისეთი ავი ამინდი დააყენე, გარეთ გამოსული ბავშვი იყინებოდეს და ჩანჩქერიც კი ყინულის სვეტად იქცეოდეს". ზღვა იყინება და სოსლანი მას მხრებით ამოსწევს ხოლმე.

— ეგეც აუცილებლად უნდა ვცადო! აბა თუ ყველაფერს გავუძლებ, რასაც სოსლანი უძლებს, — თქვა ბიბიცმა და შევიდა ყელამდე ზღვაში, მხოლოდ თავი-ღა უჩანდა.

სოსლანმა ზემოდან აყარა და აყარა ქვა, ხე, ფიჩხი — ყველაფერი, რასაც ხელი მოევლებოდა. მერე ლოცვა ალავლინა: „ღმერთო, ღმერთო, ისეთი ავი ამინდი დააყენე, გარეთ გამოსული ბავშვი იყინებოდეს, ჩანჩქერი კი ყინულის სვეტად იქცეოდეს!"

ნართებს ლოცვა ყოველთვის აუხდებოდათ ხოლმე, — ისეთი ავი დარი დაიჭირა, რომ ზღვა პიტალო კლდესავით გაიყინა. კვირიდან კვირამდე იჯდა ბიბიცი ზღვაში, მერე კი დაუძახა სოსლანმა:

— გეყოფა, ახლა, გამოდი!

აიწია ბიბიცმა და ვითომც აქ არფერი, ისე ამოხეთქა ყინული. ზღვიდან პირზე ხვითქგადადენილი გამოვიდა.

„ერიჰაა, ამას ეგრე ადვილად ვერ გადავურჩები, — გაიფიქრა გულში სოსლანმა, — კაციან-ჯოგებიანად ნაღდი დაღუპვა გველის".

— ახლა სოსლანის სათარეშო ადგილებიც მიმასწავლე, — უთხრა ზღვიდან გამოსვლის შემდეგ ბიბიცმა სოსლანს.

— კარგი, — დაეთანხმა სოსლანი, — როცა ჯოგებს უკან, ნართებისკენ წავასხამ, გამომყევი და მის სათარეშო ადგილებსაც გასწავლი.

მოვიდა გაზაფხულიც. ადგა სოსლანი და წამოასხა ჯოგები, ნართებს თავ-თავისი პირუტყვი უკლებლივ მოჰგვარა. ნართებმა თავიანთი პირუ-

ტყვი ასე გასუქებული, გალაღებული და უვნებელი რომ დაინახეს, ძალიან გაიხარეს. სოსლანი კიდევ უფრო ამაღლდა მათ თვალში, მაგრამ რა იცოდნენ, მას რა შიში ედო გულში!

თავისი პირუტყვი ყველამ შინ გაირეკა. სოსლანიც შინისკენ წამოვიდა, შევიდა სახლში და ისე გაბრაზებით დაეხეთქა სკამზე — სულ ჭრიალი აუყენა.

მიხვდა სათანა, სოსლანი გუნებაზე რომ ვერ იყო და ჰკითხა:

— რა გაბრაზებული დაჯექი, აკი ჯოგები უკლებლად მორეკე და ნართებიც დიდად კმაყოფილნი დაგრჩნენ?

— ჯოგების დარდი აღარ მაქვს, — უთხრა სოსლანმა, — თარის ორივე ვაჟს გონებით ვებრძოლე, მუქარა მოვკალი, მისი ხერხემლის ტვინი ქამრადაც შემოვირტყი, მაგრამ ბიბიცს რაღა არ გამოვაცდევინე, მაინც ვერაფერი მოვუხერხე; ისეთია, ვერანაირი ძლიერი მოძალადე ვერ დაძლევს. ახლა აქაც მომყვება.

— სრულებითაც ნუ გედარდება, იმას მე მოვუვლი, — უთხრა სათანამ. რამდენხანს წაისაუბრეს, ვინ იცის და ამასობაში ბიბიციც მოადგათ კარს და დაიძახა. გამოხედა სათანამ, ადათის მიხედვით მიესალმა სტუმარს, მობრძანდითო და თვითონ შინ შებრუნდა, სახლი მივალაგოო, სოსლანი გააფრთხილა:

— შენ ნუ დაენახვები, მე დამანებე!

სახლში კარს უკან ორმო ჰქონდათ. სოსლანი იქ ჩაიყვანა და დაარიგა:

— მანდედან კარგად გვიგდე ყური.

გავიდა გარეთ, შემოიპატიჟა ბიბიცი და სავარძელზე დასვა.

იმ წამს გააწყო სუფრა — უხვად მოართვა საჭმელი, სასმელი.

— სოსლანს ვეძებ, ძალიან მჭირდება, — უთხრა ბიბიცმა, — შინ არის თუ არა?

— სოსლანიც მალე გაჩნდება, — ნართების ჯოგები ჰყავდა შორს მხარეში გარეკილი გამოსაზამთრებლად: ჯერ სულ ახლახანს დაბრუნდა და ახალგაზრდობა ეფერება, უხარიათ მისი დაბრუნება. მის მოსვლამდე თქვენ რამე მიირთვით, შორი გზა გექნებათ გამოვლილი, დაღლილი იქნებით. სათანამ სირჩა მიაწოდა, დაილოცეო. გამოართვა ბიბიცმა სირჩა და ღმერთი ახსენა. სათანამ შეაწყვეტინა:

— ოჰ, ოჰ, სტუმარო, ღმერთს ნუ ლოცულობ, თორემ ეგ რომ ნართების ახალგაზრდებმა გაიგონონ, ცოცხალს აღარ გაგიშვებენ.

— აბა, მაშ თვითონ დაილოცეთ, — უკან დაუბრუნა სასმისი სტუმარმა.

გამოართვა სასმისი სათანამ და ჰკითხა:

— სტუმარო, მითხარი, რაშია შენი ძალა, იმედი და სული?

— მერე და რად გჭირდება ეგენი? — ჰკითხა ბიბიცმაც.

— რად მჭირდება და უნდა დავლოცო. ნართებმა ასე იციან, სხვა ღმერთს ისინი არ ლოცულობენ.

ბიბიცმა უთხრა:

— ჩემი ძალა, იმედი და სული ა იმ ბოძშია.

სათანა წამოხტა, მივიდა ბოძთან, მოეხვია და დაკოცნა. ბიბიცმა უთხრა:

— რა უნდა მანდ ჩემს ძალას, იმედსა და სულს!?

— აბა, სად, რაშია?!

— აგერ კერიის ქვაში.

მივიდა სათანა კერიის ქვასთან, გაწმინდა, გაასუფთავა და ახლა ამას დაუწყო კოცნა.

— თვალთმაქცო, რა უნდა მანდ ჩემს ძალას, სულსა და იმედს? — კვლავ უთხრა ბიბიცმა.

— რას ჰგავს, სტუმარო, შენი საქციელი? მე გულწრფელად გეკითხები, შენ კი მატყუებ! — შეუტია სათანამ.

ახლა კი დაუჯერა ბიბიცმა სათანას და უთხრა:

— კარგი, აბა, ნამდვილს გეტყვი: ჩემი ძალა, იმედი და სული მთაში, ერთ სიმაგრეშია, ბურ აინაგის* თავზე. იქ ფოლადის ყუთში სამი მტრედი ზის. ამათგან ერთი ჩემი ძალაა, მეორე — იმედი, მესამე — სული.

— შეიძლება მათი ნახვა? — ჰკითხა სათანამ.

— ნახვა შეიძლება! აი ეს ჩემი ხმალი კარებიდან რომ გაჰყო, იქამდე კვალს გაავლებს.

— კარგი, კარგი, — თქვა სათანამ და დალოცა. მერე შესთავაზა: — მიირთვი რამე!

ბიბიცი ჭამას შეუდგა, მოშიებულიც როგორ არ იყო! სათანამ მალულად რონგის სასმისში ძილის წამალი ჩაუყარა და დაალევინა. როგორც ჭამას მორჩა ბიბიცი, ძილის წამალმაც თავისი ქნა — ძილი მოერია. მოასვენა ლოგინში სათანამ და სტუმარმა მალე ხვრინვა ამოუშვა. ააცალა სათანამ ხმალი და ამოიყვანა ორმოდან სოსლანი. გავიდნენ გარეთ, ბიბიცის ხმალი მზისკენ გაიშვირეს და ხმალმა ბურაინაგის წვერისაკენ ცისარტყელასავით გაავლო კვალი.

სოსლანმა იმ კვალზე დაგებილი ქორი მიუშვა და ქორმა უმალ მოუტანა ის ყუთი. ბიბიცი ჯერ ისევ ხვრინავდა.

სოსლანმა ახადა სახურავი ყუთს, ამოსხა სამივე მტრედი და ხმამაღლა დაიყვირა:

— ეს ვინ ძაღლი და მამაძაღლი მოსულა! რას ეძებს ჩემს სახლში?!

ხმაზე შეხტა მძინარე ბიბიცი, წამოჯდა. სოსლანმა მისი ძლიერების მტრედს თავი წააწყვიტა. დატორტმანდა ბიბიცი და მკლავს დაყრდნობილი ლოგინზე დაეშვა.

მეორედაც შეუძახა სოსლანმა.

— ვინ რას ეძებს ჩემს სახლში, გარეთ გამოეთრეს!

ბიბიცმა წამოიწია, მაგრამ სოსლანმა მისი იმედის მტრედსაც წააწყვიტა თავი. იცნო მწყემსი ბიბიცმა და მწარედ ამოიგმინა:

— ახლა კი გიცანი — სოსლანი ხარ! ჭკუით მაჯობე, რაღა მეთქმის! ალბათ, ჩემი უფროსი ძმაც უკვე გაისტუმრე საიქიოს.

მესამედაც შეჰყვირა სოსლანმა:

— ვინ ოხერი ხარ, სამ დაყვირებაზე ჯერ მე წინ არავინ დამდგომია!

ბიბიცი ლოგინში შეინძრა, მაგრამ სოსლანმა მისი სულის მტრედსაც წააწყვიტა კისერი. თარის ვაჟმა ბიბიცმა სამჯერღა გააღო პირი და სული გააფრთხო.

სოსლანმა ნართების ახალგაზრდებიდან ყველზე მარჯვეები ამოირჩია და თარის ვაჟების ქვეყანაში წაიყვანა.

გამოირეკეს ნართებმა თარის ვაჟების ჯოგები, წამოიღეს მათი ავლადიდება და სამთავე გვარის ნართებს დაუნაწილეს.

რისთვის გადაემტერა სოსლანს სირდონი

ერთხელ სირდონმა თავისი ვაჟი სანიშნოზე დასვა და ნართებს უთხრა:

— ესროლეთ ჩემს ბიჭს, თუ მოარტყამთ და მოკლავთ, თქვენი არაფერი მინდა. ხოლო თუ ვერ მოახვედრებთ და ვერ მოკლავთ, კომლზე თითო ხარი უნდა მომცეთ.

— კარგიო, — დაეთანხმნენ ნართი ახალგაზრდები და სირდონის ბიჭს დაუწყეს ისრის სროლა. ყოველდღე ესროდნენ, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს — ერთიც ვერ მოახვედრეს.

ამ ჯახირში რამდენიმე დღე გავიდა და რაკი ბიჭს ვერაფერი მოუხერხეს, სირდონი თავს მოგებულად თვლიდა, სიცილით კვდებოდა და კომლზე თითო ხარის ასაკრეფად ემზადებოდა, თან ყმაწვილებს მასხარადაც

იგდებდა. სწორედ ამ დროს საიდანღაც სოსლანიც გამოჩნდა. ნართ ყმაწვილკაცობას გაუხარდა მისი დანახვა, წინ შეეგებნენ და თავისი გასაჭირი უამბეს. გარს შემოერტყნენ და შეუმჩნევლად იგი სირდონის ბიჭს ისრის სასროლ მანძილზე მიუახლოვეს. სოსლანმა ესროლა ბიჭს და თქვენს მტერს ის დღე, — იმ ერთი სროლით გათავდა ბიჭი.

მივიდა სირდონი შვილთან, წამოიღო, გაუთხარა სამარე და დაასაფლავა.

იმ დღის შემდეგ სირდონი სოსლანს მტრად გადაეკიდა.

როგორ იქორწინა სოსლანმა გედუხაზე

ნართმა სოსლანმა ხიზის ვაჟის ჩელეხსართაგის ასულის ცოლად შერთვა მოიწადინა, მაგრამ ქალის მამა ვერ დაითანხმა. შვიდი წელიწადი გაგრძელდა ლაპარაკი, ჩელეხსართაგმა სოსლანს მაინც არ მისცა თავისი ქალიშვილი.

ერთხელ ალეგათების გვარმა დიდი წვეულება გამართა. უხვად დაამზადეს სასმელი, საჭმელი და მთელი ნართები დაპატიჟეს. შეიკრიბნენ ისინიც ალეგათების დიდ ხაძარში და მიუსხდნენ უხვ სუფრას. სუფრის ერთ რიგს ურუზმაგი უჯდა თავს და უფროსობდა, მეორე რიგს ხამიცი უძღვებოდა, ხოლო მესამეს — სირდონი. ამ წვეულებაზე ჩელეხსართაგიც მოხვდა.

სვამენ და ჭამენ ნართები, ილხენენ ალეგაანთ დიდ პურობაზე, სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ამბობენ. კაი ხანს რომ ატარეს დრო, სოსლანი და ხიზის ვაჟი ჩელეხსართაგი შელაპარაკდნენ — ორივე საკუთარ თავს იქებდა.

— მამის სულს ვფიცავ, მე გჯობივარ ვაჟკაცობით, — უთხრა სოსლანს ხიზის ვაჟმა ჩელეხსართაგმა. თუ გინდა სანაძლეოზე ვიცეკვოთ, ვნახოთ, ვინ აჯობებს.

— კარგი ვიცეკვოთ, — დაეთანხმა სოსლანი, — სანაძლეოს რას ჩამოდიხარ?

— სოსლან, თუ ჩემზე უკეთესად იცეკვებ, ჩემს მზეთუნახავ ქალიშვილს ბედუხას ცოლად მოგცემ. შენ რაღას დადებ სანაძლეოდ?

— თუ მომიგებ, მომიცია ჩემი განთქმული ცერეჩის ჯაჭვის

პერანგი,* ბიდრასის თაყა* და ჩემივე ორლესული, — უთხრა სოსლანმა, — ოღონდ ჯერ შენ იცეკვე, უფროსი კაცი ხარ და ამასთან სტუმარიც.

წამოდგა ხიზის ვაჟი საცეკვაოდ. პირველად ძირს, მიწაზე, იცეკვა. მერე სუფრაზე ავიდა და იქ განაგრძო ცეკვა, მაგრამ ხან რას წამოჰკრა ფეხი, ხან-რას. საშველი დაღვარა, პურის ნატეხები ძირს გადმოყარა; როგორც იქნა, დაასრულა ცეკვა და დაჯდა.

ახლა სოსლანმა დაიწყო. იმანაც ჯერ ძირს, მიწაზე, იცეკვა. ისე მოხდენილად და უზადოდ ცეკვავდა, რომ ნართები აღაფრთოვანა. მერე ისე ცეკვა-ცეკვით სუფრაზე გადაინაცვლა და მთლად საოცრება სავსე სუფრაზე მისი ტრიალი იყო. მაგიდის ნაპირებს ბზრიალასავით უვლიდა, მაგრამ ერთი ნამცეცი პურიც არ გადმოუგდია ძირს, ერთი ჯამიც კი არ გაუნძრევია ადგილიდან. ამდენმა ხალხმა ხმლები შეუშვირა და ხმლის წვერებზეც ისე ტრიალებდა, როგორც წისქვილის ბორბალი. „ქაჯი, ნამდვილი ქაჯი!“ იძახდა გაოცებული ხალხი. კარგა ხნის ცეკვის შემდეგ სოსლანი თავის ადგილზე დაჯდა.

ალეგათებმა ახლა ნართების ოთხყურა ვაცამონგა* გამოიტანეს, როგით პირთამდე გაალიცლიცეს და თქვეს:

— ვინც ამ სავსე ვაცამონგას თავზე დაიდგამს და ისე იცეკვებს, რომ სასმელს არ დაღვრის, ის ჩაითვალოს ყველაზე უკეთეს მოცეკვავედ.

პირველად კვლავ ხიზის ვაჟმა ჩელეხსართაგმა დაიდგა თავზე სავსე ვაცამონგა. იცეკვა და კარგადაც იცეკვა, მაგრამ სასმელი ეღვრებოდა. დაჯდა ჩელეხსართაგი. კვლავ შეავსეს ოთხყურა ვაცამონგა და ახლა სოსლანს მიართვეს. დაიდგა თავზე მანაც და დიწყო ცეკვა. კიდევ უფრო საოცრად იცეკვა სოსლანმა — ერთი წვეთიც კი არ დაღვრილა ვაცამონგადან. როგორ არ გაიკვირვებდნენ ნართებიც. როცა ცეკვა დამთავრდა, ხიზის ვაჟმა ჩელეხსართაგმა თქვა:

— ძირფესვიანად ამოწყდით, თუ სიმართლეს არ იტყვით: რომელმა უფრო უკეთესად ვიცეკვეთ?

— ეგრე იყოს, — უპასუხეს ნართებმა, — კარგად იცეკვე, ხიზის ვაჟო ჩელეხსართაგ, მაგრამ სოსლანმა შენზე ბევრად უკეთესად იცეკვა.

სანაძლეო სოსლანმა მოიგო.

წამოხტა გაბრაზებული ხიზის ვაჟი, მოახტა ცხენს და თავის სახლისკენ — ხიზის ციხესიმაგრისკენ გაქუსლა.

მეორე დღეს სოსლანი თავის ამხანაგებთან ერთად მიადგა ხიზის ციხესიმაგრეს, მაგრამ ციხის კარები მაგრად ჩაკეტილი დახვდა. მიხვდა სოსლანი, გატეხა სიტყვა ჩელეხსართაგმა და თავის ქალიშვილ ბედუხას ცოლად არ აძლევდა.

მაშინ სოსლანმა ხიზის ციხესიმაგრის შელეწვა და ბედუხას მოტაცე-

ბა გადაწყვიტა. გამოგზავნა სოსლანმა მაცნე და დაავალა: „წადი და ნართებს შეატყობინე: დღეს პარასკევია, დღეისსწორს პარასკევს ხიზის ციხეზე უნდა გავილაშქროთ და ვისი ოჯახიდანაც ლაშქარში მამაკაცი არ წამოვა, ტყვე ბიჭით დაჯარიმდება!“

სოსლანის მაცნემ ამბავი მთლად ნართებს შეატყობინა. ყველამ დაიჭირა თადარიგი, თავისი მეომარი გაამზადა.

ნართების მეჯოგე მარტოხელა კაცი იყო, ოჯახში მხოლოდ აკვნის ბავშვი ჰყავდა და წუხდა. „ლაშქრად წავიდე, — ნართების ჯოგებს რა ვუყო, ჯოგს მივეპატრონო და იმ ერთადერთ შვილს ჯარიმაში წამართმევენ...“ ამ დარდში მთელი კვირა დამით ძილი აღარ ეკარებოდა. ასე ძლიერ რომ იტანჯებოდა, აკვნიდან ბავშვმა გადმოსძახა:

— მამა, რა გადარდებს? მე წავალ სოსლანის ლაშქარში.

— შენ რომ ლაშქრად წასვლა შეგეძლოს, რაღა მიშავდა.

მაშინ ბიჭმა გაიზმორა, აკვანს ლაწა-ლუწი აუტყდა და არტახები დაწყვიტა.

— დედა, ძალიან მშია! — უთხრა ბიჭმა დედას.

დედამაც თავისი სიგრძე-სიგანის კვერი გამოუცხო. ბიჭმა უცებ შეჭამა და რაც იყო, ორი იმხელად გადაიქცა. მამას უთხრა:

— მამა, მიედივარ მე ახლა ლაშქარში. სოსლანი სადმე ცხენიდან რომ ჩამოქვეითდება, სადავეს მაინც დავუჭერ.

დაიწყო ხალხმა თავმოყრა და დიდძალი ლაშქარი შეგროვდა. მეჯოგის პატარა ბიჭიც გაჰყვა უკან მოლაშქრეებს და ადგილამდე ჩააღწია. სოსლანმა რომ შენიშნა, ჰკითხა:

— შენ სადღა წამოსულხარ, ბიჭო?

— მეც მოლაშქრედ წამოვედი, — უპასუხა ბიჭმა.

— ძუძუმწოვარა ბავშვები არა გვჭირდება, — უთხრა, სოსლანმა, — შინ დაბრუნდი.

— ნუ, სოსლან — უთხრა ბიჭმა, — გამოგადგები რამეში, სადმე ცხენიდან რომ ჩამოქვეითდები, სადავეს მაინც დაგიჭერ.

— მფრთხალია ჩემი ცხენი, სადავე რომ გაწყვიტოს, სადღა ჩაეჭიდები?

— ქოჩორში ჩავაფრინდები.

— ქოჩორიც რომ ხელთ შეგატოვოს?

— ფაფარში ჩავეჭიდები.

— ფაფარიც რომ შეგატოვოს?

— მაშინ ორსავ ყურში ჩავავლებ ხელს.

— ყურებიც რომ წაგლიჯო, რაღას მოუხერხებ?

— კუდში ჩაეჭიდები ხელს...

— კუდიც რომ წაგლიჯოს?

— უკანა ფეხში წავავლებ ხელს.

— ფეხიც რომ ხელთ შეგრჩეს, მაშინ რაღას იზამ?

— რას ვიზამ და თუ კი შენ ნართებში სამფეხა, უქოჩორო, უფაფრო, უკუდო, და უყურო ცხენზე ჯდომას იკადრებ, მე ამ სირცხვილს ვეღარ ავიტან?

„ეს უბრალო ბიჭი არ იქნება“, თქვა გულში სოსლანმა და ლაშქარში წაიყვანა.

ჯარი ხიზის ციხის წინ დაბანაკდა. ჩელეხსართაგმა სოსლანის გამოლაშქრება რომ შეიტყო, ციხის კარები კიდევ უფრო საიმედოდ ჩაკეტა, სიმაგრიდან გარეთ ძე-ხორციელი აღარ გამოდიოდა.

შეუტიეს სოსლანის მოლაშქრეებმა ხიზის ციხეს, მაგრამ აწკალიც ვერ ააგდებინეს.

მაშინ სოსლანმა ცხენი ამ ბიჭს მიაბარა და თვითონაც მეომრებს შეუერთდა. ცხენთან მდგომმა ბიჭმა დიდხანს ადევნა თვალი ბრძოლას, მერე მოსწყინდა, ტყეში ყველაზე მსხვილი ხე კენწეროთი მოიწია, სოსლანის ცხენი ოთხივე ფეხით ხის წვერს მაგრად მიაკრა, თავი მაღლა უყო და ხეს ხელი შეუშვა. ხემ ცხენი ზევით აიტაცა; ბიჭი სირბილით მივიდა სოსლანთან. სოსლანმა დაინახა თუ არა, ჰკითხა:

— რა უყავ ჩემი ცხენი?

— აგერ ხეზე მივაბი, ნუ გეშინია, ვერსად გაიქცევა, მაგრადაა დაბმული, ოღონდ მე საომრად გამიშვი.

გახედა ტყეს სოსლანმა და ცხენი ხის კენწეროზე რომ დაინახა, გაიფიქრა: „ნამდვილად კაი კაცს შევეყარე“.

ბიჭი სოსლანს აღარ ეშვება, გინდა თუ არა, საომრად მეც გამიშვიო. დაეთანხმა სოსლანი, მეტი რა გზა ჰქონდა!

ბიჭი რომ მიემართებოდა, სოსლანს უთხრა:

— მე ახლა ხიზის ციხესიმაგრის ზემოთ რომ მაღალი, სალი კლდეა, იქ მივდივარ; იმ კლდეს ქუსლით დავუწყებ მტვრევას. ჩელეხსართაგი ქურდალაგონის მიერ ნაკეთებ ისარს მესვრის. ისარი ქუსლში მომხვდება და კლდიდან გადმოვვარდები, ოღონდ შენ მიწამდე ნუ დამიშვებ, ეგრე გადამატარე შვიდი წყარო და მაშინ, როგორც ღმერთი ბრძანებს, საქმე ისე წარიმართება: ხიზის ციხესაც შევლეწავ და ბედუხა-მზეთუნახავსაც გამოგიყვან. თუ ამას ვერ მოახერხებ, მეც დავიღუპები და არც არა შენს საქმეს ეშველება.

ეს უთხრა და ავიდა ბიჭი იმ ფრიალო კლდის წვერზე, დაუწყო კლდეს ქუსლით მტვრევა და ხიზის ციხის ერთი უბანი კლდის ნამსხვრევებით მთლიანად დააქცია.

შენიშნა ჩელეხსართაგმა ბიჭი და ქურდალაგონის მიერ ნაკვეთები ისარი სტყორცნა; მოხვდა ისარი ბიჭს ფეხში და ძნასავით დაგორდა კლდეზე. სოსლანმაც გადაიფინა მკლავებზე თავისი შავი ნაბადი და ბიჭი მიწაზე არ დაუშვია, ნაბდით დაიჭირა. როგორც დაარიგა, მიარბენინებს ბიჭს სოსლანი, სამი წყარო გადაატარა. აქ კი, მოხუც კაცად გადაქცეული სირდონი, მხარზე ძველი გუდითა და იღლიაში სამთითის ნამტვრევებით, ვითომ სადღაც მიიჩქაროდა, წინ არ შეეჩეხა!

— საით მიიჩქარი, მოხუცო? — ჰკითხა სოსლანმა.

— ნართებმა ხიზის ციხე აიღეს და იქნებ მეც რამე მერგოს; შენ ნართ სოსლანს რომ ჰგავხარ, სად მიარბენინებ მაგ მიცვალებულს, ბედუხა-მზეთუნახავი რომ მოგტაცეს?! უთხრა მოხუცმა კაცმა.

არ დაუჯერა სოსლანმა და ისევ განაგრძო სირბილი, მეოთხე წყარო გადაატარა და ბიჭი შეიშმუშნა. გარბის სოსლანი, გარბის. მეხუთე წყაროს რომ გადააცილა, ბიჭს გულმა ცემა დაუწყო. ორი წყარო კიდევ უნდა გადაევლოთ და ბიჭი მთლად გაცოცხლდებოდა. მირბის სოსლანი.

მეექვსე წყაროსაც გადაუარეს და ნართების ჭირად დაბადებული სირდონი ახლა მოხუც ქალად გადაქცეული შემოხვდა, ჩელთ საცერი დაეკავებინა.

— შენ სოსლანი არ ხარ? სად მიდიხარ მაგ მიცვალებულიანად? აკი ნართებმა ხიზის ციხე აიღეს და ბედუხა-მზეთუნახავი მოგტაცეს! მეც იქ გავრბივარ, იქნებ წილში რამე შემხვდეს!

სოსლანს გულში შიშმა გაჰკრა, რაკი ეს ქალიც იმასვე ამბობს, ალბად, მართალი იქნებაო. დაიჯერა მოხუცი ქალის ნათქვამი. ბიჭი იქვე, გორაკის თავს ნაბადზე მიატოვა და უკან გამოიქცა. მოვიდა თავის ლაშქართან. ხედავს, მეომრები სხედან და სოსლანს ელოდებიან.

ბარემ მიხვდა სოსლანი თავის შეცდომას, უმალვე სირბილით გამობრუნდა უკან, მაგრამ ბიჭს ცოცხალს ვეღარ მიუსწრო: სირდონმა ბიჭს სიკვდილის მიწა შეაყარა.

რაკი საქმეს აღარაფერი ეშველებოდა, სოსლანს სხვა რა გზა ჰქონდა — ლაშქარი სახლებში დააბრუნა. თვითონ მივიდა და ციხესიმაგრის გვერდით მდებარე წყაროსთან, საიდანაც წყალს ეზიდებოდნენ, მკვდარივით გაიშხლართა. იწვა ასე გაუნძრევლად, სულ ჭია-მატლი დაეხვა. ხიზის ციხიდან წყალზე გამოსულებმა „მკვდარი" დაინახეს. შინშესულებმა ამბავი მიიტანეს, ერთი მოხდენილი ვაჟკაცი წყაროს პირს მომკვდარა და ჭია-მატლი დასევიაო.

ჩელეხსართაგი მიხვდა, სოსლანი რომ იქნებოდა იგი და თქვა:

— ის მკვდარი არ იქნება, იგონებს.

— უნდა წავიდე და შევამოწმო, — თქვა ბედუხამ.

— არ წახვიდე, დაგიჭერს, — დაუშალა მამამ.

— ხელსაც ვერ მახლებს, — უთხრა ბედუხამ და წყაროზე წამოვიდა, ცალი-ხელი სახეზე აიფარა, ჭურჭელი წყლით ააავსო და სახლში აიტანა. სოსლანმა შეიკავა თავი, არც განძრეულა.

— ეჰ, მამაჩემო, — უთხრა ბედუხამ ჩელეხსართაგს, — მიცვალებული ცარიელი ძვლებიღაა და თუ მკვდრისთვისაც ვერ შეგებედავს, რად არ მიმათხოვე ასეთ კაცს? მე იმაზე უკეთესი ვინღა მითხოვს?

— ის მკვდარი არ არის, — უთხრა კვლავ ჩელეხსართაგმა, — წადით, გაახურეთ შამფური და ქუსლში გაუყარეთ. როცა შამფური წვერს მუხლიდან ამოყოფს, თუ მაშინაც არ გაინძრა, მართლა მომკვდარა. სხვანაირად მის სიკვდილს ვერ დავიჯერებ.

წითლად გაავარვარეს შამფური და როგორც ჩელეხსართაგმა თქვა, ქუსლში გაუყარეს. გამაგრდა სოსლანი და ცოცხალი რომ იყო, არაფრით გაამჟღავნა.

მივიდნენ ჩელეხსართაგის გამოგზავნილი კაცები და უამბეს, როგორც ოყო საქმე.

— აბა, მომიტანეთ ის შამფური! — მოითხოვა ჩელეხსართაგმა. მიუტანეს შამფური, გამოართვა ჩელეხსართაგმა და დასუნა:

— ეგ ღვთის პირისაგან დაწყეველილი ჯერ ცოცხალია! — თქვა ჩელეხსართაგმა.

— ე, შე კაი კაცო, — უთხრა ბედუხამ, — ადამიანს ფეხში ეკალი რომ შეერჭობა, მაშინაც კი დაიკვნესებს. ქუსლში ცხელი შამფური რომ გაუყარეთ და ერთი „ვაიც“ არ დასცდენია, ასეთ კაცს რატომ არ მიმათხოვე, მაგაზე უკეთესი მე ვინღა წამიყვანს?

როგორც მიცვალებულის დატირების წესია, თავ-პირში ხელის ცემითა და მოთქმით გამოვიდა ციხიდან ბედუხა, მიუახლოვდა სოსლანს: ვაი, შე საცოდავო, სოსლან! რა ტანჯვით ამოგხდა სული! ეგ რომ მცოდნოდა, მდინარეშიც გადმოგყვებოდი. ეგრე უსახელო სიკვდილისათვის აფსუსი იყავ!“

სოსლანმა ისევ შეიმაგრა თავი, ოდნავადაც არ განძრეულა და არ გაუცია თავი. ბედუხა შინ უვნებლად რომ შებრუნდა, ჩელეხსართაგმაც ირწმუნა, სოსლანი ნამდვილად მომკვდარაო. ვეღარ მოითმინა და წყაროსკენ გაემართა. სანამ არ მიუხალოვდა, სოსლანი არ განძრეულა, მაგრამ როცა ახლოს მივიდა ჩელეხსართაგი, უკვე ვეღარ შეიკავა თავი და წამოუხტა. ჩელეხსართაგმა მოკურცხლა. გამოუდგა უკან სოსლანი ჩელეხსართაგს, როგორც კი ციხის კარებში უნდა შეესწრო, დასცხო თავისი ორლესული და ნახევარი თავი ჩაათალა. მაინც შეასწრო შიგნით ჩელეხსართაგმა და გამოსძახა:

— დღეისსწორამდე დამელოდე და შევებათ ერთმანეთს. ახლა კი ქურდალაგონთან მივდივარ, თავის ქალა უნდა დავაკერებინო.

ავიდა ზეცაში ხიზის ვაჟი ჩელეხსართაგი და ქურდალაგონს სპილენძისაგან თავის ქალის ცალი გვერდი გააკეთებინა. ქურდალაგონმა როცა დაამზადა, ჩელეხსართაგს უთხრა:

ამ ნახევარ თავის ქალას ლურსმნებით გარედან კი მე დაგაჭედებ, მაგრამ შიგნიდან ლურსმანს წვერს ვინ გადმოუკეცავს?

— შიგნიდან მე თვითონ მოვუკლი. შენ რომ გარედან ლურსმანს დაუკაკუნებ, მე დავახვეტებ ხოლმე და წვერი გადმოეკაკვება.

ამრიგად, ქურდალაგონმა დაუკერა თავის ქალა ჩელეხსართაგს და დაბრუნდა იგი თავის ციხესიმაგრეში.

შებრძოლების დღე რომ დადგა, სოსლანმა ლოცვა აღავლინა: „ღმერთო, თუ გამაჩინე და ბედი მაქვს, ისე დააცხუნე, რომ მელოტი თავი სკდებოდეს და სპილენძის თავი დნებოდეს!“.

გამოვიდა ხიზის ვაჟი ჩელეხსართაგი და სოსლანს დაელოდა. სოსლანი გვიან-გვიან მოვიდა. ისე დააცხუნა მზემ, ისე რომ ქვეყანა იწვოდა. ხიზის ვაჟს ჩელეხსართაგს სიცხისაგან წითლად აულაპლაპდა ის სპილენძის თავის ქალა. გავარვარებულმა ქალამ ტვინი გადაუწვა და კაცი გათავდა.

სოსლანი ბედუხასთან მივიდა და უთხრა:

— მოგიკალ მამა და ახლა შენ ჩემი ხარ!

— თანახმა ვარ, — უთხრა ბედუხამ, — ოღონდ ჯერ მიცვალებული მამა დამისაფლავე.

სოსლანმა დიდი აკლდამა გააკეთებინა და მიცვალებული იქ დაასვენეს; მერე მივიდა ბედუხასთან და უთხრა:

— ახლა რაღას მოიმიზეზებ, ხომ დაგისაფლავე მამა?

— ჩემი თვალით მაჩვენე, სად დაასაფლავე მამაჩემი და მერე იყოს ნება ღვთისა: ახლა ვიღასი მეშინია!

— წამოდი და გაჩვენებ, — უთხრა სოსლანმა.

წამოვიდნენ. ბედუხას კაბის სახელოში ფოლადის მაკრატელი ჰქონია დამალული. ცხედარს რომ დახედა, დაირტყა გულში მაკრატელის წვერი და მკვდარ მამას ზედ გადაემხო.

რაღა ექნა სოსლანს. იგიც მამის გვერდით დაასვენა. აბა, როგორ არ იდარდებდა! „ბევრი სიმწარე გამომიცდია, მაგრამ ყველაზე ძლიერ ამ ამბავმა მატკინა გული“, — თქვა სოსლანმა და გადაწყვიტა საყვარელი ქალის ცხედრისათვის სამი ღამე ეთია.

უჯდა სოსლანი ცხედარს და დარდობდა. ერთ დღეს დაინახა, აკლდამის ერთი კუთხიდან გველი გამოსრიალდა და მისი საყვარელი ქალისკენ მოცოცავდა. იძრო ორლესული სოსლანმა, დასცხო გველს და შუაზე გა-

სწყვიტა. უკანა ნახევარი იქვე დარჩა, ხოლო წინა ნაწილი ისევ ხვრელში შესრიალდა.

ზის კვლავ სოსლანი და ცხედარს დარაჯობს; ცოტა ხანში გველი ისევ გამოცოცდა. პირში ნატვრის თვალი უბრწყინავდა. გველმა ნატვრის თვალი გადაჭრილ ნახევარს დაუსვა, იმ წამს ის მოჭრილი ნახევარი ზედ შეეხორცა და ხვრელისაკენ გაცოცდა. სოსლანმა იმარჯვა, დასცხო გველს ორლესული და მოკლა. გამოაცალა პირიდან ნატვრის თვალი და ბედუხას ჭრილობაზე მიუსვ-მოუსვა — ქალიშვილი იმწამსვე გაცოცხლდა, გაიზმორა და თქვა:

— რა ბევრი მძინებია!

სოსლანი წინ დაუდგა და უთხრა:

— კი, კი, ძალიან ბევრი!

გამოიყვანა აკლდამიდან სოსლანმა ბედუხა და შინ წამოვიდნენ. შეუღლდნენ და სიყვარულითა და თანხმობით ცხოვრობდნენ.

როგორ დაიხსნა სოსლანმა სათანა ჯოჯოხეთის ტბიდან

ერთი დრო იყო, სოსლანმა შორი მოგზაურობა განიზრახა და აღმოსავლეთისკენ გაემართა. თავისი ქართუსწრაფესი და ქარიშხალთუძლიერესი რაში მას ცასა და დედამიწას შუა მიაქროლებდა.

ნართებიდან ზოგიერთები სოსლანზე განაწყენებულები იყვნენ და ფიქრობდნენ, ისეთი რა განსაცდელი მოვუმზადოთ, რითაც ყველაზე ძლიერ გულს ვატკენთო. კიდევაც მოიფიქრეს: „დედამისი სათანა ცოცხლობრივ გავისტუმროთ საიქიოს — ჯოჯოხეთის ტბაში ჩავაგდოთ“. შეუთვალეს სათანას: „ღღეს პარასკევია, მომავალ პარასკევს ჯოჯოხეთის ტბაში გადაგდება არ აგცდება და რაც რამ ცოდვები გაქვს, მანამდე მოინანიეო“.

აბა, როგორ არ შეშფოთდებოდა სათანა! ატირდა, კურცხალ-კურცხალი ცრემლი დასცვივდა. მერე დაფიქრდა, ჩემს არშობილ შვილს სოსლანს ეს ამბავი როგორ მივაწვდინოო.

სათანას მოსაზრებულობა როდი აკლდა! სამი თაფლიანი კვერი გამოაცხო, მდინარის პირს ჩავიდა, ჩამოჯდა იმ ქვაზე, რომლიდანაც სოსლანი იშვა და ლოცვა აღავლინა: „ღმერთო, ისეთმა ფრინველმა გადმომიფ-

რინოს, სოსლანს ჩემს დანაბარებს რომ მიუტანს". თქვა ეს და დაელოდა.

ამ დროს თავზე ერთმა ქორმა გადმოუფრინა. სათანამ ფრთოსანს დაუძახა:

— ჰაუ, ქორო, აღმოსავლეთში სოსლანთან მაცნედ რომ გამეგზავნებოდე და ეტყოდე, დედაშენს შენი მტრები ცოცხლობრივ უპირებენ საჭიროს გასტუმრებას, ისწრაფე, მიუსწარი-თქო, დიდად დაგასაჩუქრებდი.

— სოსლანს ნეტავ კიდევ უფრო უარესი უბედურება დაემართებოდეს! ყველა ხევსა და ხეობას დახოცილი ნადირით აავსებს და მე რომ ლეშზე დამჯდარს დამინახავს, მაინც მესვრის, — უთხრა ქორმა და გაფრინდა.

ახლა ყვავმა გადმოუფრინა ყრანტალით. სათანამ ამასაც ტკბილად მიმართა:

— ჰაუ, ყვავო გიშრისფერო, კისერმსხვილო, აღმოსავლეთში სოსლახთან ავი ამბის მაცნედ რომ გამეგზავნებოდე — დედაშენს ჯოჯოხეთის ტბაში უპირებენ ცოცხლობრივ ჩაგდებას-თქო, ისე დაგასაჩუქრებდი, მთელი სიცოცხლე გეხსომებოდა.

— კი, როგორ არ გაგეგზავნები ავი ამბის მაცნედ! შენი ვაჟი სოსლახი მთელ ხეობას დახოცილი ნადირით აავსებს, მე კი ერთ ჩიჩქსაც არასოდეს მარგუნებს! უარესი უბედურებაც დაგმართოდეთ! — მიაძახა ყვავმა.

— უგზო-უკვლოდ გეხეტიალოს! — დასწყევლა იგი სათანამ და ყვავი გაფრინდა.

ზის სათანა და ტირის, ვინღა გავგზავნო მაცნე-მალემსრბოლადო, ედარდება.

ამ დროს კაჭკაჭი დასკუპდა წინ.

სათანამ ამასაც უთხრა:

— სოსლანი აღმოსავლეთისკენ მყავს წასული, მაცნედ რომ გამეგზავნებოდე — დედაშენს ცოცხლობრივ უპირებენ ჯოჯოხეთის ტბაში ჩაგდებას-თქო, დიდად დაგასაჩუქრებდი.

— ნეტა სოსლანის უბედურებას მომასწროს, — უთხრა კაჭკაჭმა, — შენც კარგად გეხსომება, საქათმიდან ერთი კვერცხი მოგტაცე და სოსლანმა ცოცხი ჩამცხო. ის დღე ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, ძლივს-ღა გადავურჩი.

სათანას ახლა მერცხალმა დასჭიკჭიკა:

— რა დაგემართა, ჩემო გადამრჩენელო, რა გატირებს?

— რაღა რა მატირებს, — უთხრა სათანამ, — ჩვენი მტრები პარას-

კევს ჯოჯოხეთის ტბაში მიპირებენ ჩაგდებას. ჩემი არშობილი შვილი კი შორს არის წასული და ქომაგი არავინ მყავს.

— იქნებ რამეში გამოგადგე? — შესთავაზა მერცხალმა, — განა დაშვიწყებია, შენ რომ ერთხელ ბარტყები კატის კლანჭებისგან გადამირჩინე, რძის ტბაში გაბანე და ბუდეში ჩასხი.

— აბა, მაშ სოსლანთან აღმოსავლეთში მაცნედ გამეგზავნე — დედაშენს მტრები ჯოჯოხეთის ტბაში ჩაგდებას უპირებენ და სწრაფად დაბრუნდი-თქო.

— სახელოვანო სათანა, მაცნედ როგორ არ გაგეგზავნები! შენს სიკეთეს როგორ დავივიწყებ, მაგრამ რომ არ დამიჯეროს, როგორ მოვიქცე? — ჰკითხა მერცხალმა.

სათანამ თითიდან ბეჭედი წაიძრო და მერცხალს ჩამოაცვა ყელზე.

მერცხალმა გაშალა ფრთები და აღმოსავლეთისკენ გაუდგა. მანძილი, რომელიც ნართ სოსლანმა თავისი ქართუსწრაფესი ცხენით შვიდ კვირასა და შვიდ დღეში გაიარა, მერცხალმა ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლამდე გალია და სოსლანის ადგილსამყოფელში მივიდა.

სოსლანი ერთ ადგილას ბუჩქნარში მწვანე მოლზე უდარდელად იწვა. მერცხალმა მიაგნო, შემოჯდა ხის წვერზე და ათას ხმაზე აჭიკჭიკდა.

— ჰეი, სახელოვანო, გულფიცხო სოსლან, მაგ მწვანე მოლზე ნებივრად წამოწოლილხარ, დედაშენი სათანა კი კურცხალ-კურცხალ ცრემლს აფრქვევს და შენს გამოჩენას მზის ამოსვლასავით ელოდება, რადგან პარასკევს შენი მტრები მას ცოცხლობრივ ჯოჯოხეთის ტბაში ჩაგდებას უპირებენ.

სოსლანმა უთხრა:

— საყვარელო მერცხალო, მესმის შენი ნათქვამი, მაგრამ რითი დამარწმუნებ?

მერცხალმა წაიძრო ყელიდან სათანას ბეჭედი და ჩამოუგდო. სოსლანი დედისეულ ბეჭედს აბა, როგორ ვერ იცნობდა! წამში მოევლო ზურგზე თავის ქართუსწრაფეს და ქარიშხალთუძლიერეს ცხენს და გამოქუსლა. რამდენი გამოიარა, ღმერთმა იცოდეს და შენიშნა, ერთგან გზაზე ერთი კაცი დავარდნილიყო და ზეზე ადგომის თავი აღარ ჰქონდა.

— ჰეი, ნართელო სოსლან! მიშველე, გადამარჩინე! — დაუძახა კაცმა სოსლანს.

ჩამოხტა ცხენიდან სოსლანი და ჰკითხა:

— რა დაგემართა, რა გიჭირს, რით დაგეხმარო?

— შიმშილით ვკვდები და გადამარჩინე! — შეეხვეწა კაცი.

სოსლანს, რაკი სასწრაფოდ გამოემგზავრა, თან საჭმელი არაფერი წამოეღო, მაგრამ როგორ იკადრებდა, მშიერი კაცი უპატრონობით სიკვ-

დილისათვის დაენებებინა, — ტყეში შევიდა და მალე მოკლული ირემი გამოუტანა. დაუნთო ცეცხლი და დაემშვიდობა. კაცმა დალოცა, აბა, რას იზამდა. სოსლანმა ცხენს მათრახი გადაუშხივლა და თავისი გზით გაქრა.

ვინ იცის, რამდენი გაიარა და ხედავს, ერთ არწივს კლანჭებით ბავშვი მოაქვს. მხრიდან ფიცხლად გადმოიღო მშვილდი სოსლანმა და არწივს ესროლა. არწივი ბავშვიანად წყალზე დაეცა. გადმოხტა ცხენიდან, აიყვანა ბავშვი და წამოიყვანა. სოფლის ბოლოს რომ გამოვიდა, ბავშვის დედაც შემოხვდა თავ-პირის ხოკვით. მისცა თავისი შვილი და დედამ სოსლანი დალოცა, საწყალი ქვრივი ქალი ვარ, ეს ერთი ობოლი ბავშვი მყავს და შენი წყალობით გადამირჩაო.

სოსლანმა განაგრძო კვლავ გზა. ნართების სოფელს კი მიაღწია, მაგრამ დააგვიანდა: მის დაბრუნებამდე დედამისი ცოცხალი ჩაეგდოთ ჯოჯოხეთის ტბაში.

გადაჰყვა თან სოსლანი, მაგრამ ვეღარ იპოვნა. გამობრუნდა უკან და თავის ორგულებს სასტიკად გაუსწორდა. ამის შემდეგ სოსლანი საიქიოს ბარასთირთან წავიდა, ვთხოვო, იქნებ დედაჩემი დამიბრუნოსო. მივიდა საიქიოს კართან და დააკაკუნა.

ბარასთირმა თვითონ გამოხედა და სოსლანმა დედა გამოსთხოვა. ბარასთირმა უთხრა:

— ცოდვასაც ბევრს ჩადიხარ, სოსლან, მაგრამ დედაშენის დასახსნელად გამალებით მომავალმა გზად მშიერი კაცი სიკვდილს რომ გადაარჩინე და საწყალი ქვრივი ქალის ობოლიც არწივის კლანჭებს გამოსტაცე, ამ სიკეთისათვის დედას გიბრუნებ.

გამოუშვა ბარასთირმა სათანა. ჩამოვიდნენ სოსლანი და სათანა ნართებთან და კვლავ მშვიდობიანი ცხოვრება განაგრძეს.

როგორ შეირთო სოსლანმა ქოსერი

ერთ საღამოს სოსლანი ნართების სოფლის ქუჩაში ზემოთ მიდიოდა. მიუახლოვდა ერთ მოსახვევს, შეყრილიყვნენ აქ ყმაწვილკაცები, სოსლანს ვერ ამჩნევდნენ და ლაპარაკობდნენ: „სოსლანი რის სოსლანი იქნებოდა, ჩვენი შემწეობით რომ არ იყოს!“

გაუცდა ამათ სოსლანი, მეორე მოსახვევთან მივიდა; აქაც მოეყარა თავი ყმაწვილკაცობას და იგივეს იმეორებდნენ: „სოსლანი რის სოსლანი იქნებოდა, ჩვენი შემწეობა რომ არ ჰქონდეს!“

ახლა მესამე მოსახვევამდე მივიდა. აქაც ისევე იდგნენ ჯგუფად ახალგაზრდები და ლაპარაკობდნენ: „სოსლანი რის სოსლანი იქნებოდა, ჩვენი შემწეობით რომ არ იყოს!“

„ღმერთმანი, ესენი თუ არ გამოვცადე, არ იქნება“, თქვა სოსლანმა და მთელი ახალგაზრდობა ერთ ადგილზე შეჰყარა.

— აბა, მარდებო! — უთხრა მან, — ვარბის ჯარები ხიზინის მთაზე გადმოდიან და ქონება, განძეული წავართვათ. თავისი საგზალი ყველამ თან წამოიღოს და ხვალ, გარიჟრაჟზე იარაღასხმული დაუგვიანებლად წამოვიდეს.

დაეთანხმა ახალგაზრდობა. წინ სოსლანი, უკან — ახალგაზრდობა და გაუდგნენ გზას. ავიდნენ ხიზინის მთაზე. გადაიხედეს მთიდან და ხედავენ, ვარბის ჯარი ბრაგაბრუგით მოდის. ნართების ყმაწვილკაცებიდან ხიზინის მთიდან რომელმაც კი გადაიხედა, ჯარის ბრაგაბრუგით დამფრთხალი, უკანვე გამოიქცა. მოიხედა სოსლანმა და მარტო არ დარჩენილა! — ამხანაგები სულ გამოექცნენ. „ჰაი, თქვე ძაღლებო! აბა, იმ საღამოს რომ ტრაბახობდით, სად ხართ ახლა?“ თქვა სოსლანმა. შეება მარტო თვითონ ვარბის ჯარს, წაართვა ქონება, განძეული, რაც კი რამ სიკეთე გააჩნდათ და ნართების სოფელში ჩამოიტანა.

სოფელში კი სულიერის ჭაჭანება არ ჩანდა. „წასვლის წინ ყველა კარგად დავტოვე, ახლა რა იქნენ, რა დაემართათ?“ ფიქრობდა გულში სოსლანი.

ერთი ახალი პატარძალი წყალზე მიდიოდა და იმას ჰკითხა:

— რა იქნა სოფელი, სად არის ხალხი?

პატარძალმა ხმა არ გასცა, ვაისადგა იყო — ადათი არ აძლევდა ხმის გაცემის უფლებას.

— თუ ღმერთი გწამს, დაანებე თავი მაგ რიდს და მითხარი, რა იქნა ჩემი სოფელი, სად აიყარა ხალხი? — ჩააცივდა სოსლანი.

— ქოსერ-მზეთუნახავი თავისი მფრინავი კოშკით ცაზე გაჩერდა და პირობა წამოაყენა — ვისი ისარიც მომწვდება, ის იქნებაო ჩემი საქმრო და ყველა მის საცქერად წავიდა.

არავის ისარმა არ დამასწროსო, სოსლანი იმ წამს იქით გაქანდა, სადაც ხალხი წასულიყო. მივიდა მათთან, მოლზე გულაღმა დაწვა, გადმოიღო მშვილდი, ესროლა ისარი და ქოსერ-მზეთუნახავის თვითმავალი კოშკის კარების ზედა წირთხლს დაასო. მეორედაც ესროლა ისარი და ეს კიდევ ფანჯრის ზედა წირთხლში ჩაესო. გამოჰყო ხელი ქოსერმა, ისრები

ამოაძრო და შიგნით შეიტანა. „ჩემმა მზემ, ორივე ისარი ერთი კაცის ნასროლია“, თქვა და თავისი კოშკი მიწაზე, ხალხთან დაუშვა.

— ვისაც ეს ისრები ეკუთვნის, ჩემი საქმრო იგია. მომიახლოვდეს, — თქვა ქოსერმა.

სოსლანი სიხარულით შევარდა კოშკში.

— მოიცა, გიჟო, მოიცა! შენ კოშკს ვერაფერს გაუგებ, არ იცი მაღლა როგორ უნდა აუშვა, ან დაბლა როგორ დაუშვა, — ეუბნება ქოსერი.

სოსლანმა ყური არ ათხოვა. მაშინ ქოსერმა ჯიბრზე კოშკი მაღლა აუშვა, თვითონ კი დაბლა დარჩა. მიფრინავს ცისკენ სოსლანი. ჰგონია, რომ ქოსერიც კოშკშია. ეძებს, ეძებს და ვერ უპოვნია. „მაშ მომატყუა, იმ უსიხდისომ?“ გაბრაზდა სოსლანი. ამასობაში კოშკი ცის დასალიერს გაჩერდა. გადმოხტა გაცეცხლებული სოსლანი კოშკიდან და დედამიწას რომ დაასკდა, თავის ზომაზე ჩაგლიჯა — შვიდ ქვესკნელს ჩავარდა და ეშმაკებთან მოხვდა.

ეშმაკები სოსლანს, ქვეყნად რაც კი სიკეთე იყო, ყველაფერს სთავაზობდნენ, ეფერებოდნენ; მას კი დღედადღე ხალეელი ერეოდა და დარდით აღარ იყო.

— ჩვენო ძვირფასო სტუმარო, — უთხრა ეშმაკების ალდარმა*, — თუ რამ სიკეთე გაგვაჩნია, არაფერს ვიშურებთ. შენ კი დღედაღე უფრო ნაღელიანდები. რაშია საქმე?

— მე ისეთი კაცი ვარ, ან უნდა ვინადირო, ან უნდა ვიომო, ისე სიცოცხლე არ შემიძლია, — უპასუხა სოსლანმა.

ცოტა ხანში ხმა გავარდა, ეშმაკების ჯოგები გაიტაცესო.

ეშმაკების ალდარმა ბრძანა:

— ჩვენს სტუმარს ძინძა-ალასა* მოგვარეთ და გამოვცადოთ, როგორც ენა უჭრის, ვაჟკაცობითაც თუ ისეთია. მდევარში მარტო გაუშვით. სხვას ნურავის გააყოლებთო.

შეჯდა სოსლანი ძინძა-ალასაზე და ეშმაკების ჯოგების წასართმევად მარტო წავიდა. ჯოგები გამტაცებლებიანად უკანვე მორეკა.

— ამის გაშვება აღარ იქნება. ასეთი კაცი ჩვენს ქვეყანაში სხვა არავინ მოიძებნება, — თქვა ეშმაკების ალდარმა.

გამოუყვანა თავისი სამი ქალიშვილი სოსლანს და უთხრა:

— ჩემს სამივე ქალიშვილს ცოლებად გაძლევ. ასეთ ლამაზებს ვერსად ნახავ. ამათთან მთელ სიცოცხლეს ბედნიერად და მხიარულად გაატარებ.

სად არ უელია სოსლანს, რამდენი ქალიშვილი არ შეხვედრია, ამ გოგოებზე უფრო უშნო და შეუხედავი თავის დღეში არ ენახა. ეშმაკების ალდარს გულის მოგების მიზნით მაინც ასე უთხრა:

— ჩემო კარგო ალდარო, ძლიერ შემიყვარდა შენი ქალიშვილები, მაგრამ ნართების ქვეყანაში სამი ცოლი მყავს. ვერ რიგდებიან ერთმანეთთან, განუწყვეტლად ჩხუბი და აყალმაყალი აქვთ. ვერც თქვენს აზიზ ქალიშვილებს შეუთავსებიან და ტყუილად გაგიუბედურდებიან.

— მაშ რას ისურვებდი, რა განძი, რა სიმდიდრე გინდა გაჩუქოთ? — ჰკითხა ალდარმა.

— თქვენი არაფერი მინდა, ოღონდ ჩემს ხალხთან დამაბრუნეთ, — უთხრა სოსლანმა.

— წადით და ერთი წყვილი ძველი ფეხსაცმელი გამოუტანეთ, — უბრძანა ალდარმა თავისიანებს.

წავიდნენ და ერთი წყვილი ძველი ფეხსაცმელი გამოუტანეს.

— წაიკარი ეგენი ფეხზე და ღმერთს შესთხოვე: „ღმერთო, ჩემს ეზოში გამაჩინე-თქო“.

წაიკრა სოსლანმა ფეხსაცმელები და ღმერთს შესთხოვა — იმ წამსვე თავის ეზოში გაჩნდა.

დაინახა სათანამ და სიხარულით ცას შეჰღაღადა: „ღმერთო, შენი ჭირიმე, ძლივს ჩემი ბიჭი არ გამოჩნდა!“

ქოსერმა რომ შეიტყო, სოსლანი დაბრუნდაო, გაიფიქრა: „ნეტავ თუ ჩემს მიმართ ისევ იმ გულით არისო?“ ჩაჯდა კვლავ თავის მფრინავ კოშკში და ცასა და მიწას შუა დადგა.

— სათანა, როგორ მოვიქცე? იმ უსინდისოს გულისთვის შვიდი ქვესკნელი მოვიარე და ახლა ასე გულხელდაკრეფილი ვიჯდე? — ჰკითხა სოსლანმა სათანას.

— მაგას მე მოგიგვარებ, — უთხრა სათანამ, — ქარბორბალად გადაგაქცევ და კარზე ეგრე მიადგები.

გადააქცია სათანამ სოსლანი ქარბორბალად და ჰაი-და, ზეცისკენ სულ ტრიალ-ტრიალით გაფრინდა. ავიდა იქამდე, სადაც კოშკი იდგა და ფანჯრიდან შიგ გადავიდა. აქ ქარი გაქრა და კვლავ სოსლანად გადაიქცა.

— აბა, ახლა სადღა წამიხვალ, შე უსინდისო?! — უთხრა სოსლანმა ქოსერ-მზეთუნახავს.

— რა დაგიშავე, განა შენი ბრალი არ იყო? მე ახლაც იმიტომ ამოვედი აქ, გამეგო, ისევ ჩემი ერთგული იქნებოდი, თუ არა.

შერიგდნენ სოსლანი და ქოსერ-მზეთუნახავი, დააბრუნეს კოშკი და მიწაზე დაეშვნენ.

ერთ საღამოს სოსლანი ნართების ნიხასში იჯდა. ცოტა ხანში სანადიროდ წასული ურუზმაგიც თავჩაქინდრული და მხრებჩამოყრილი დაბრუნდა.

— რაზე დაღონებულხარ, ურუზმაგ? — ჰკითხა სოსლანმა.

— ბევრი მივლია, მაგრამ ასეთი საოცრება ჩემს დღეში არ გადამხდენია, — უპასუხა ურუზმაგმა, — დღეს სანადიროდ ლელიანში ვიყავი. ვხედავ, ერთ თვრამეტრქიან ქორბუდა ირემს მზის სხივები დასციმციმებს. ისრის სასროლ მანძილზე მივეპარე, მშვილდი დაეუმიზნე და სროლა რომ დავაპირე, ისრები მთლად დამიღავდა, კაპარჭაში ერთი ცალიც აღარ შემრჩა. ვიძრე ორლესული და გავქანდი, მაგრამ დარტყმის გაფიქრებისთანავე გამისხლტა ხელიდან ორლესული და ღმერთმა იცოდეს, საით გაფრინდა! ამასობაში ირემი წამოხტა და გარბის. გამოვუდექი, მაგრამ ეძიე რამდენიც გინდა! წამში თვალთაგან გამიქრა. ირემი კი ჩვეულებრივი როდი იყო — ოქროს ბეწვი ჰქონდა.

ამ ამბის მოსმენამ სოსლანს ძილი და მოსვენება წაართვა. მთელი ღამე ლოგინში შამფურივით ტრიალებდა. გათენიისას — დღე-ღამის გასაყარზე, ადგა სოსლანი, მოიგდო მხრებზე თავისი მოსასხამი, აიღო მშვილდ-ისარი, შემოირტყა წელზე ორლესული და ლელიანისკენ დაეშვა, სადაც ურუზმაგმა ირმის კვალი მიანიშნა.

იწვა ლელიანში მოლზე ირემი და მშვიდად იცოხნებოდა. ამომავალი მზე ოქროსფერ სხივებს ზედ აფრქვევდა. მზის სხივებს ირმის ბეწვი აბრეშუმის ძაფებად ირეკლავდა და თვალისმომჭრელად აელვარდება. „ეს ნადირი რომ ხელთ მაგდებინა, ვინღა იქნება ნართებში ჩემზე სახელოვანი!“ — ინატრა გულში სოსლანმა. ფრთხილად, ძალზე ფრთხილად დაუწყო მიპარვა და ისრის სასროლ მანძილზე მიუახლოვდა. მომართა მშვილდი, ღმერთო, ხელი მომიმართეო და ირემს დაუმიზნა. მოზიდა თუ არა მშვილდი, ისრები სულ დაებნა, კაპარჭში ერთიც აღარ შერჩა. ირემი კი ადგილდანაც არ განძრეულა. დამესხა თავს ლაფი და ეგ არიო, იფიქრა სოსლანმა; იძრო ორლესული და ირმისაკენ გაქანდა; მაგრამ ირემსაც აღარ დაუყოვნებია, წამოვარდა ზეზე და საგხოხისკენ მისცა თავი. სულ ერთია, არ მოგეშვებიო და სოსლანიც სირბილით მიჰყვა.

ირემმა საგხოხს ააღწია და ერთი გამოქვაბულის კარებში შევარდა. იგი შვიდი დევის ყანი* — მზის ასული აცირუხსი ყოფილა. შეჰყვა სოსლანი გამოქვაბულში და შიგ შვიდსართულიანი სასახლე კი დახვდა, სულ ბოლოში სასტუმროთი. ეს ამ შვიდი ძმა დევის სასახლე ყოფილა. შევიდა სოსლანი სასტუმრო ოთახში და სკამზე დაჯდა. კედელზე ხვიის არ ფან-

დირი* ეკიდა. ჩამოიღო იგი სოსლანმა და ააჭერა. ფანდირს ისე საყვარლად, მომაჯადოებლად უკრავდა, რომ ტყეში ნადირ-ფრინველი ჯგროო-ჯგროდ დგებოდა სულგანაბული, სასახლის კედლები ირწეოდნენ და მთები ბანს აძლევდნენ, გუგუნებდნენ.

ფანდირის ხმაზე ორი პატარა ბიჭიც გამოვიდა. სოსლანს დაკვრა არ შეუწყვეტია, ბიჭებს ისე მიუარაკა: „მე ნართელი სოსლანი ვარ, თუ არ ვჭამ, ან თუ არ ვომობ, ისე ცხოვრება არ შემიძლია“.

აირბინეს ბიჭებმა სასახლის ზემო სართულზე დევებთან და გადასცეს:

— ჩვენს სასტუმროში ერთი სტუმარი ფანდირზე უკრავს და ამბობს: მე ნართელი სოსლანი ვარ; თუ არ ვჭამ, ან თუ არ ვომობ, ისე ცხოვრება არ შემიძლიაო.

დევებმა ბიჭები სოსლანთან გამოგზავნეს და დააბარეს:

— წადით და უთხარით: „თუ სასმელ-საჭმელი გინდა, დიდედას დავუძახებთ, თუ ომი გინდა — ბაბუას ვეტყვით-თქო“.

მოვიდნენ ბიჭებიც სოსლანთან და დანაბარები ასევე გადასცეს.

— რა ჭამისა მცხელა, ომი მირჩევნიაო, — უთხრა მათ სოსლანმა.

ავიდნენ ისევ ბიჭები დევებთან და სოსლანის პასუხი აუტანეს. გამოვიდნენ გარეთ დევები და დედის მუცლიდან რომ ხმლები გამოჰყვათ, იმათ დაუწყეს ლესვა, — უნდა დაკლან სოსლანი. ეზოში საკლავის ასაჭნელად ვეებერთელა მაგიდა ედგათ. გამოათრიეს სოსლანი — აი, შე ძაღლის ნაშობო, მაშ ჩვენს ირემს საძოვარზე შენ არ აყენებო, — და წამოაქციეს ამ მაგიდაზე. დაუსვამს ერთი ხმალს, — ვერაფერს აკლებს, დაუსვამს მეორე — ვითომც არაფერი. შვიდივეს ხმლები დაუბლაგვდათ, სოსლანს კი ნაკაწრიც ვერ დააჩნიეს. აუშვეს და თქვეს, წავიდეთ, ჩვენს ყანს — მზის ასულ აცირუხს ვკითხოთ, რაშიაო საქმე.

მივიდნენ მზის ასულთან და ჰკითხეს:

— ერთი სტუმარი გვეწვია, ნართი სოსლანი ვაროო, ამბობს. გვინდა დავკლათ და ხმლები გვიბლაგვდება.

ამ სახელის გაგონებაზე მზის ასულმა თქვა:

— თუ სოსლანია, ჩემი საქმრო ყოფილა.

დევებმა ჰკითხეს:

— რითი ვიცნობთ, სოსლანია თუ არა?

— სოსლანს ბეჭებს შუა დაბადებიდან თანდაყოლილი შავი ხალი აქვს. გააშიშვლეთ, თუ ასეთი ხალი ექნა, ნამდვილად სოსლანი ყოფილა.

გამოვიდნენ დევები, გააშიშვლეს სოსლანი და ზურგზე, ზუსტად ბეჭებს შუა, დაბადებიდან თანდაყოლილი შავი ხალი უნახეს. უთხრეს მზის

ასულ აცირუხსს, რომ სტუმარს ბეჭებს შუა დაბადებიდან თანდაყოლილი შავი ხალი მართლა ჰქონდა.

— მაშ ეგ ჩემი საქმრო ნართელი სოსლანია, — თქვა აცირუხსმა, — წადით, საკადრისად გაუმასპინძლდით და ურვათზეც მოურიგდით. იგი ნართელი კაცია, გულუხვი და ნუ დაზოგავთ, საქონელს არ დაიშურებს.

შვიდი ძმა-დევები გამოვიდნენ სოსლანთან, მხარზე ხელი დაჰკრეს, — ჩვენი სიძე ყოფილხარო, მოეფერნენ. წესის მიხედვით თავისი საცოლე აცირუხსიც აჩვენეს. მერე დასხდნენ და ურვათზე მოლაპარაკებას შეუდგნენ.

— ჩვენი ურვათის პირობები ასეთია. — უთხრეს დევებმა სოსლანს, — ზღვის პირს რკინის შავი გალავანი უნდა აგვიგო — ოთხივე კუთხეში აზა-მცენარის* ფოთლები ერგოს; სამასი სული ნადირი უნდა მოგვირეკო — აქედან ასი სული ირემი უნდა იყოს, ასი სული ჯიხვი, ასი სულიც სხვადასხვა სახისა.

სოსლანმა ეს რომ მოისმინა, როგორ არ დაღონდებოდა — ამგვარი ურვათის გადახდას რანაირად შევძლებო. ადგა დაძმარებული და თავჩაქინდრულ-მხრებჩამოყრილი თავისი სახლისკენ გამოემართა. მოვიდა შინ და სათანას უამბო:

— მზის ასული აცირუხსი შვიდ ძმა დევს ჰყავთ, როგორც ყანი. ქალი ცოლად მომყვება, მაგრამ დევებმა ასეთი ურვათი მომთხოვეს: ზღვის პირს რკინის შავი გალავანი აგვიშენე, ოთხივე კუთხეში აზა-მცენარის ფოთლები ერგოსო. ამას გარდა, მომთხოვეს სამასი სული ნადირი, ამათგანაც ასი სული ირემი უნდა იყოს, ასი სული — ჯიხვი და ასიც სხვადასხვა სახისაო. ამგვარ ურვათს მე ვერ გავახერხებ, არა და ისეთი მზეთუნახავი ხელიდან როგორ გავუშვა?!

— გვერდით მომიჯექი და მომისმინე, — უთხრა სათანამ, — მაგ ურვათის გახერხება შეიძლება, თუ ისე მოიქცევი, როგორც მე დაგარიგებ. რკინის გალავნის აგება ადვილია: წაიღე ჩემი ჯადოსნური ბეჭედი. ზღვის პირს ბეჭდით მოზრდილი წრე შემოხაზე და ამ წრეში უმალვე გაჩნდება დიდი შავი გალავანი. მერე ვინათხოვრებ ავსათისაგან სალამურს და იმ გალავნიდან სალამურს რომ ჩაბერავ, ნადირი თავისი ფეხით მოგივა. აი, აზა-მცენარის ფოთლებს კი ამქვეყნად ვერსად იშოვნი, — ეგ საიქიოს მბრძანებელს ბარასთირს უნდა გამოართვა; მაგრამ შენმა გარდაცვლილმა ცოლმა ბედუხამ თუ არ სთხოვა, ისე ბარასთირი იმ ფოთლებს არ მოგცემს.

— აბა, მაშ, ნახვამდის, მე საიქიოს მივდივარ, — უთხრა სოსლანმა სათანას. შეჯდა თავის ფოლადიხჩლიქება რაშზე და გაემართა საიქიოსკენ.

„ნეტა თუ ეს გიჟი საიქიოში მართლა წავა?" — გაიფიქრა სათანამ.

თავისი მიცვალებულებისათვის ათასგვარი ნუგბარი საჭმელი გაამზადა, შერე გავიდა სოფლის ბოლოს, იპოვნა მკვდარი კატა და ძაღლი, წამოიღო შინ და ამ ძვირფას სუფრასთან ერთად თავის მკვდრებს დაუკურთხა: „თუ სოსლანი ნამდვილად მოივლის საიქიოს, ამითი მეცოდინებაო“, — თქვა გულში.

იარა სოსლანმა საიქიოსკენ მიმავალ გზაზე, ვინ იცის, რამდენი იარა და ერთხელაც იყო, საიქიოს რკინის კარს მიადგა.

— გამიღე კარი, ამინონ!* — დაუძახა სოსლანმა.

— კარის გაღება ჩემზე არაა დამოკიდებული, როცა მოკვდები თავისთავად გაიღება. მკვდრეთში ცოცხლად შემოსვლის უფლება არ არსებობს, — უპასუხა საიქიოს მეკარე ამინონმა და კარი არ გაუღო.

— მე მაგას სულაც არ გეკითხები, გამიღე ჩქარა კარი! — დაუძახა კვლავ სოსლანმა.

— ჩემო კარგო, შენ ძლიერი ხარ, რას არ შესძლებ! — გამოსძახა კვლავ ამინონმა.

რაკი მეკარემ კარი ნებით არ გაუღო, სოსლანმა ძალით შიგლიჯა და და შევიდა საიქიოში.

კარს შიგნით რომ მოექცა, მისკენ წამოსული უამრავი ხალხი დაინახა, ყველა იარაღასხმული იყო და ყვირილით, მუქარით მისკენ მოიწევდნენ.

— ვაი, შენს შავ დღეს, სოსლან! ჩვენ ხომ შენ გეძებთ, ახლა სადღა წაგვიხვალ!

მოიწევენ სოსლანისკენ, უნდათ ავნონ, მაგრამ ვერ ახერხებენ, რადგან ხელს ვერ უწვდენენ. მათ შემოტევასა და მუქარას სოსლანი ვითომ აიხუნშიც არ აგდებს, მიდის თავისი გზით, მაგრამ გულში ეს ამბავი მაინც ძალიან უკვირს.

გრძელი გზა ედო წინ სოსლანს. უნდა გადაევლო მთები და ველები. მდინარეები და ტბები.

მიდის, მიდის და ერთ ველზე გავიდა. ხედავს, მილეთის ხალხი ჰკიდია მაღლა: ზოგი ფეხითაა დაკიდული, ზოგი — მკლავით, ზოგი — ენით, ზოგი — კისრით. მათ ქვეშ კი რიყის ქვებს ცეცხლი უკიდიათ და გურგურა გააქვთ.

— ჰეი, სოსლან, გაგვათავისუფლე, დაგვიხსენ, ამ სატანჯველისაგან, — შეეხვეწნენ სოსლანს.

— სოსლანს მაგის უფლება არ აქვს, — უთხრა პასუხად მან. ეს ამბავიც როგორ არ გაუკვირდებოდა!

მიაღწია ერთ ტბას. დაინახა ტბაში ბაყაყებთან, გველებთან და სხვა

ქვეწარმავლებთან ერთად უამრავი ხალხი ყურყუმელაობდა, ხან ჩაყვინთავდენენ, ხან ამოყვინთავდნენ.

— ჰეი, სოსლან, შეგვიბრალე, გადაგვარჩინე! — სთხოვეს ამათაც სოსლანს.

— სოსლანი ვერაფრით დაგეხმარებათ, — უპასუხა მან და განაგრძო გზა.

კვლავ ერთ ველზე გავიდა. ჰყვაოდა ველი ყველა სიკეთით. ღალებდა ბალახი, ხორბლეული, ზიმზიმებდნენ შინაური პირუტყვის, გარეული ნადირის ჯოგები. მტაცებელი ნადირი და შინაური პირუტყვი ერთად ძოვდა და ერთმანეთს არაფერს ერჩოდა. ველზე დიდი მდინარე მიედინებოდა. მდინარის პირას ას ქალიშვილს „სიმდი" ჩაებათ და ცეკვავდნენ. წინ ათასგვარი მარადულევი ნუგბარი საჭმელი უხვად ელაგათ.

სოსლანის დანახვა ქალიშვილებს ძლიერ გაუხარდათ.

— სოსლან, რომელმა ანგელოზმა, რომელმა ღვთაებამ მოგიყვანა? შენ შეხი ვაჟკაცობით მოახერხებდი, თორემ ჩვენთან ქურჭიანად ყოფნა არ შეიძლება, — უთხრეს მათ.

— მაჭამეთ რამე, გოგოებო, მშია, — სთხოვა სოსლანმა.

— ჯერ ჩვენთან ერთად იცეკვე, მერე გაჭმევთ.

სოსლანი ორი ყველაზე უფრო ლამაზი ქალიშვილის შუა ჩადგა. რაკი თავშეუკავებელი, შმაგი იყო, ერთ მათგანს მკლავზე ხელი ზედმეტად მოუჭირა. ქალიშვილმა არ შეიმჩნია და არაფერი ჰკადრა. სოსლანმა კიდევ გაუმეორა და ამჯერად კი ქალიშვილმა აღარ აპატია. გაითავისუფლა მკლავი, მოავლო ხელი სოსლანს და შიგ შუა მდინარეში მოისროლა. სოსლანი იარაღიანად წყალში ყურყუმელაობდა და ქალიშვილებს ეხვეწებოდა:

— შევცდი და მაპატიეთ.

ქალიშვილებმა თქვეს, კარგი, კაპატიოთო. სოსლანი წყალში რომელმაც მოისროლა, იმანვე ამოიყვანა და უთხრა:

— ზევით, ცოცხალთა ქვეყანაში როგორც იქცევი, აქ ეგრე მოქცევა არ შეიძლება.

— მშიერი ვარ, მაჭამეთ რამე, — კვლავ სთხოვა სოსლანმა.

— დაგაპურებთ, ოღონდ აქ, ჩვენთან უნდა იცხოვრო, ცოცხალთა ქვეყანაში დაბრუნებაზე აღარ უნდა იფიქრო. ჩვენს წინ დაწყობილ საჭმელს არ ვჭამთ, მაგრამ მუდამ მაძღრები ვართ. მათი ცქერა შენც ასევე გაგაძღობს, — უთხრა ქალიშვილმა.

— სადაც ჭამა წესად არ აქვთ, იმ ქვეყანაში რა მინდა! — უთხრა სოსლანმა და წამოვიდა.

მიდის, მიდის და კვლავ საოცრებას წააწყდა: ერთ ადგილზე მოხუ-

ცი კაცები ისხდნენ. მთელ ტანზე ყინული მოსდებოდათ. ყინულსავე სა-
მართებლები ვითომ წვერს პარსავდნენ და უფრო კი აწიწკნიდნენ. „აი,
საოცრება!“ — გაუკვირდა სოსლანს და გზა განაგრძო.

კარგა მანძილზე გასცდა ამ ადგილს და ვერცხლით ნაგები ლამაზი
გალავანი დაინახა. ამ გალავანში ოქროს სკამებზე რამდენიმე კაცი ჩამო-
მჯდარიყო. წინ უხვად ელაგათ გემრიელი სასმელ-საჭმელი.

გახაგრძო გზა და ერთგან დაინახა, ერთი მოხუცი კაცი ძველი, ძირ-
გავარდნილი გოდრით მთაზე ხრეშსა და ქვიშას ეზიდებოდა. „ეს რაღა
ამბავიაო?“ — თქვა და გაიარა.

ახლა ერთ გადამწვანებულ ველს მიადგა. ბალახი წელზე იყო. ერთ
ხარს კი ბალახი მიეტოვებინა და მოხუცი კაცის წვერებს ღეჭავდა. „ეს
რა საოცრება ვნახეო“, — გაიკვირვა სოსლანმა, — ხარს ასეთი მწვანე ბა-
ლახი ჰქონდეს და ბებერი კაცის წვერის ღეჭვა ერჩივნოსო?!“

ამასაც გასცილდა. ერთგან კუნძულზე გადასასვლელად ხიდი იყო გა-
დებული, მაგრამ ხიდი დანის პირივით ალესილი იყო. კუნძულზე კი ერ-
თი მოხუცი კაცი კვერცხის ნაჭუჭში შემძვრალიყო. გაუკვირდა სოსლანს
და კვლავ თავის გზას გაუდგა.

მიდის, მიდის და ერთგან გაყინული მკვდარი ცხენი დაინახა. აქეთ-
იქით ქალი და კაცი უსხდა. „საოცრებაა“, გაიფიქრა სოსლანმა, ამ ქალს
და კაცს არაფერი ჰკითხა, თავისი გზით წავიდა.

გაიარა პატარა მანძილი და ერთგან ქალი და კაცი იწვა. ქვეშ ვეება
ხარის ტყავი ეგოთ და ზემოდანაც ასეთივე ტყავი ეხურათ. ტყავს ერთიც
თავისკენ ეწეოდა, მეორეც და ამხელა ტყავი დასაფარებლად არ ჰყოფ-
ნიდათ. „ეს რაღა საოცრებააო?“ — კვლავ გაუკვირდა სოსლანს და გზა გა-
ნაგრძო.

დაინახა, ერთ ადგილზე ქალი და კაცი კურდღლის ტყავზე იწვნენ.
ზემოდახაც კურდღლის ტყავი ეხურათ და კიდევაც ფართოდ ადგათ. სოს-
ლანს ესეც ძლიერ გაუკვირდა და ისევ თავის გზას დაადგა.

კვლავ ერთ კაცსა და ქალს წაადგა თავს: კაცი პირიდან ნაღვერდალს
ანთხევდა, ქალს კი მუჭი შეეშვირა. „კიდევ საოცრება!“ თქვა სოსლანმა
გაკვირვებულმა და ჩაიარა.

ერთგან ერთი ქალი მსხვილი საბნის ნემსით კლდის ნაპრალებს აკე-
რებდა. ქანცი გაწყდომოდა საბრალოს, მაგრამ ვერ დაესვენა. გაოცდა
სოსლანი.

კვლავ განაგრძო გზა. დაინახა, ერთ ადგილზე ქალი დიდი კასრი რძი-
დან ყველს იყვანდა. ამდენი რძიდან კარგა მოზრდილი ყველი როგორ არ
უნდა ამოსულიყო! ქალს მხოლოდ ფეტვის მარცვლის ოდენა ყველი ამო-
ყავდა. ცოტა მოშორებით კი მეორე ქალს ერთი კოვზი რძიდან მთისხელა

ბუმბულა ყველი ამოყავდა. ეს ამბავიც ძლიერ გასაოცრად მოეჩვენა სოსლანს და კვლავ გზა განაგრძო.

ერთ ქალს მიუახლოვდა. იწვა ის ქალი გულაღმა და მის მკერდზე წისქვილის ქვები გამალებით ბრუნავდნენ, საფქვავი კი არსად ჩანდა.

„ასეთი საოცრებაც იქნება?!“ — თქვა თავისთვის სოსლანმა და კვლავ გზა განაგრძო.

ახლა გზად სხვა ქალს შეხვდა. ამ ქალს ხვლიკები სწოვდნენ ძუძუებს. „ნეტა ამან რაღა დააშავა?“ — გაუკვირდა სოსლანს და წავიდა.

დაინახა, წევს ერთი ქალი, ცხვირის ნესტოებიდან შალისა და ჩითის ხაშრები გამოსჩრია, მარჯვენა მკლავზე კი ცეცხლი უკიდია. „ამან რაღა ჰქნა, ნეტა, ეს რაღა საოცრებაა?“, — გაიფიქრა სოსლანმა და კვლავ თავისი გზა განაგრძო.

ერთ აკლდამას მიადგა; აკლდამაში ერთი მთლად ტიტველი დედიშობილა ბიჭი იჯდა. ცხვირიდან სისხლნარევი ლეზვი სდიოდა, პირიდან კი სისხლი გადმოსჩქეფდა. შეეცოდა სოსლანს და გაიარა.

გავიდა ერთ ამწვანებულ მინდორზე; აქ უამრავი ბავშვი თამაშობდა. ბავშვები სულ სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ და ყველა საცოდავად შესახედი. ზოგი ფეხშიშველი იყო, ზოგი — უქუდო, უქამრო. ქუდები წელში გაეჩარათ, ქამრები ყელზე გამოეხასკვათ, ფეხსაცმელები უბეში ჩაეწყოთ. ბავშვებმა სოსლანის დანახვაზე ძლიერ გაიხარეს. ზოგი მამას ეძახდა, ზოგი — დედას. შეეცოდა სოსლანს ბავშვები და მოეფერა. ყველას გაუსწორა ტანსაცმელი, წესის მიხედვით ჩააცვა, მერე შეჯდა ცხენზე და გამოსწია. ბავშვები ლოცავდნენ: „გზა მშვიდობით გეველოს, სოსლან, რა საქმეზეც წამოსულხარ, ხელი მოგმართოდეს!“

სოსლანს ბავშვების ამბავიც გაუკვირდა. მიდის თავისი გზით და ერთ კარს მიადგა. შეაღო და შევიდა. კარს უკან მაკე ძუკნა ძაღლი იწვა. სოსლანმა წინ გაუარა, ძუკნას ეძინა, მაგრამ მისი მუცლიდან ლეკვები იყეფებოდნენ. ესეც ძალიან გაუკვირდა სოსლანს. განაგრძო გზა.

ერთი ფლატეს პირზე ფეტვის მარცვლის გროვასთან პარკი და ტომარა ერთმანეთს ეტოლებოდნენ და ჩხუბობდნენ. ტომარას დაეჩემებინა: „მე მეტი ვარო შენზე!“, პარკი არ უთმობდა: „არა, მე მეტი ვარო!“ აივსებოდა ტომარა, ჩაეშვებოდა პარკში და ნახევრამდეც ვერ ავსებდა. აივსებოდა პარკი, ჩაეყუდებოდა ტომარაში, გაავსებდა და თავზე გადაადენდა ფეტვის მარცვალს.

ეს ამბავიც როგორ არ გაუკვირდებოდა სოსლანს!

განაგრძო გზა კვლავ და ერთ მინდორში სამი ალვის ხე დაინახა. ხეების ძირში ღორის ტყავის ფეხსაცმელი და ძვირფასი ტყავის ფეხსაცმე-

ლი დაობდნენ — ხეზე მიძვრებოდნენ. ღორის ტყავის ფეხსაცმელი ხეს წვერზე მოექცა, ძვირფასი ტყავისა — ძირს დარჩა. „რა საოცარია, ღორის ტყავისამ აჯობა ძვირფასი ტყავის ფეხსაცმელს!“ — თქვა თავისთვის სოსლანმა.

მიდიოდა კვლავ სოსლანი, იყურებოდა წინ და დაინახა, მთიდან ბარამდე მსხვილი თოკი იყო გაბმული; არც მის ქვეშ გავლა შეიძლებოდა და არც ზედ გადახტომა. ცოტა ხანში თოკის ერთი ბოლო აეშვა და ცალმხარეს გადაგორდა. გაუკვირდა სოსლანს და განაგრძო გზა.

კვლავ დაინახა ერთ ალაგას მთიდან ბარისაკენ თოკი გამოიწელებოდა, მერე ისევ უკანვე აიწევდა. ესეც გაუკვირდა.

მიუახლოვდა ერთ გორაკს. გორაკზე სამი დიდი ქვაბი იდგა, ქვაბებს შეშის ნაცვლად ირმის რქებით ჰქონდათ შენთებული ცეცხლი და ფუხფუხებდნენ. ორი განაპირა ქვაბი ერთმანეთს ბეჭსა და ბარკალს ესროდა, შუა ქვაბში კი წვენიც არ იდგა, მშრალად შიშინებდა. „ეს რა საოცრება უნდა იყოს? — გაიფიქრა სოსლანმა, — გვერდიგვერდ დგანან, განაპირა ქვაბები ერთმანეთს ხორცს რომ ესვრიან, შუა ქვაბში წვენი მაინც რატომ არ დგას?!“

აქედანაც გამოემართა. კვლავ საოცარ ამბავს წააწყდა: ერთგან, გზის პირს, ქალის თავსაფარი და კაცის ქუდი ჰიდაობდნენ. ხან ერთი მოექცეოდა ქვეშ, ხან — მეორე. ბევრი იჭიდავეს და ბოლოს გზაზე გვერდიგვერდ დადგნენ. „ეს რაღა უნდა იყოს — ჩეში ბედი თუ უბედობა?“ ფიქრობდა სოსლანი.

გაუდგა ისევ გზას; მიდის, მიდის და ერთგან დაინახა, გზაზე ხურჯინი ეგდო. რა კარგი ხურჯინიაო, თქვა და ცხენიდან ჩამოუსვლელად მათრახის ტარით დასწვდა. მათრახის ტარი ზედ შუაზე გადაუტყდა. „საოცარია, — თქვა სოსლანმა, — ცხენდაცხენ მხედარი ამიტაცია, ამ ხურჯინს კი ძვრაც ვერ ვუყავი“. ჩამოხტა ცხენიდან და ცალი ხელით ასწია ხურჯინი. ვერ მოერია. ორი ხელი ჩაავლო და მუხლებამდე მიწაში წავიდა. გაოცებისაგან გაშტერდა კაცი. ასწია ტანი და ამოვიდა.

დაანება თავი ხურჯინს და წავიდა. გზაზე ათასფერი ძაფების გორგალი დაინახა. ცოტა ძაფს რომ გავაყოლებდე ხელსო, თქვა და ცხენიდან ჩამოხტა.

დაუწყო ძაფს მკლავზე გადახვევა. ახვევს, ახვევს და გორგალს ვერაფერი დააკლო. მობეზრდა სოსლანს, მიატოვა გორგალი და თავისი გზით წავიდა.

გამოიარა ცოტა მანძილი. ხედავს, ერთგან მინდორში ერთი გორგალი წინ გაგორდება — იშლება, უკან გამოგორდება — ეხვევა და მის და-

შლა-დახვევას საშველი არ უჩანს. „ესეც საოცრება!“ — თქვა სოსლანმა და კვლავ განაგრძო გზა.

დაინახა, გზაზე გასანთლული ძაფის გორგალი მისი ცხენის წინ მიგორავდა; უკან მოიხედა და იგივე გორგალი ცხენს ჭაჩაჩებზე ურტყამდა. ცოტა ხანში სულ მოცილდა გორგალი. გაოცდა სოსლანი. „ალბათ, რაღაც უბედურება დამემართება!“ — გაივლო გულში.

განაგრძო გზა; დაინახა, ისხდნენ ნართების უხუცესები: წინ ათასგვარი სასმელ-საჭმლით სავსე სუფრა ჰქონდათ გაშლილი. სუფრის ბოლოში კი მკვდარი კატა და ძაღლი იდო. დასცქეროდნენ უხუცესი ნართები უხვ სუფრას და ხელს არაფერს არ აკარებდნენ. „ეს რაღას უნდა ნიშნავდეს!“ — გაუკვირდა სოსლანს და წყენითაც როგორ არ წყენოდა!

წავიდა კვლავ თავისი გზით.

როგორც იქნა, მიაღწია თავისი ცოლის — ბედუხას სამყოფელს და — ვაი, საოცრებავ! — ბედუხას ტანი იქაა, თავი კი არ ჩანს. ცრემლები ჰყარა სოსლანმა, ტირილით ლამის თავი მოიკლა.

— ჩემს ცოლს თავი ტანზე რატომ აღარ აბია? — ჰკითხა მერე იქ მყოფ მიცვალებულებს, — მე ხომ აქ მის სანახავად მოვედი.

— საცაა თავიც გაჩნდება, — უპასუხეს მიცვალებულებმა.

და მართლაც მალე ბედუხას თავი გამოჩნდა და ტანს მიეწება.

— რა დაგემართა, რად დავწითლებია თვალები, რატომ ტიროდი? — ჰკითხა ბედუხამ.

— რა მექნა, მოვედი, ვხედავ — თავი ტანზე აღარ გება და ცრემლი ვეღარ შევიკავე, — უპასუხა სოსლანმა.

გაიხარეს ერთმანეთის ნახვით, მოეფერნენ ერთიმეორეს, მერე ბედუხამ ჰკითხა:

— მიცვალებულთა ქვეყანაში ცოცხლებს რომ არ უშვებენ, შენ ეგრე იარაღასხმული რომელმა ანგელოზმა, რომელმა ღვთაებამ მოგიყვანა?

სოსლანმა უამბო:

— შვიდი დევის ყანი — მზის ასული აცირუხსი ცოლად მომყვება, მაგრამ დევებმა ურვათისათვის მომთხოვეს: სამასი სული ნადირი, ზღვის პირს შავი რკინის გალავანი, ოთხივე კუთხეში აზა-მცენარის ფოთლები რომ ერგოს. რკინის გალავნის აგება და სამასი სული ნადირის შოვნა იქ, ზესკნელსაც შემიძლია, მაგრამ აზა-მცენარის ფოთლები საიქიოს გარდა არსად იშოვნება და საიქიოს მბრძანებლის — ბარასთირისაგან შენ თუ არ გამომირთვი, ისე ხელთ ვერ ჩავიგდებ.

— ბარასთირისაგან მაგას მე გამოგირთმევ; ჯერ კი მიამბე რამე, ცოცხალთა ქვეყანაში რა ხდება, — უთხრა ბედუხამ.

— ბედუხა, რაც კი რამ საოცრება არსებობს, ყველაფერი აქ, საიქიოში ყოფილა, მე რაღა უნდა გიამბო?!

— აქ ეგეთი საოცარი რა ნახე? — ჰკითხა ბედუხამ.

და უამბო სოსლანმა, რაც კი სულეთში მოგზაურობისას საკვირველი ამბები ნახა:

— მოვედი საიქიოს რკინის კართან, — დაიწყო სოსლანმა, — და მეკარე კარებს არ მიღებდა — საიქიოში ცოცხლების შეშვება არ შეიძლებაო. შემოვგლიჯე კარი და ძალით შემოვედი. კარს შიგნით რომ მოვხვდი, ვხედავ, უამრავი ხალხი იარაღით ხელში მოიწევს ჩემსკენ. მემუქრებიან, ახლა სადღა წაგვიხვალო, მაგრამ ვერავინ მომწვდა. არაფერი მითქვამს, მათ მუქარას ვითომც აინუნშიც არ ვაგდებდი, გზას განვაგრძობდი.

— მახდ გასაკვირი არაფერია, — უთხრა ბედუხამ, — ეგენი შენს ძიერ დახოცილები არიან. შენ ხომ ჯერ არ მომკვდარხარ და ხელიც შენზე იმიტომ ვერ უწვდებოდათ, რომ ჯავრი ეყარათ. როცა მოკვდები, მაშინ კი შეგაწუხებენ.

— წამოვედი იქიდან, — განაგრძობდა სოსლანი, — ვხედავ, ერთგან მილეთის ხალხია დაკიდული: ზოგი — ფეხით, ზოგი — მკლავით, ზოგი — ენით, ზოგი — კისრით. მათ ქვეშ რიყის ქვებს ცეცხლი უკიდია, სულ გურგური გააქვს. ეს რაღა ამბავია?

— მაგათ ეგ ამბავი თავს თვითონ დამართეს. სიცოცხლეში ბევრი ბოროტება ჩაიდინეს, ახლა საიქიოში ცოდვებს ტანჯვით იხდიან. მკვდრეთის მბრძანებლისაგან წელიწადში სამი დღე, ზოგს — ერთი კვირა, ზოგს — უფრო მეტი ხნითაც ასეთი წამება აქვს მისჯილი.

— ამათ რომ გამოვცდი, ერთ ტბას წავადექი. ვხედავ, უამრავი ხალხი გველებთან, ბაყაყებთან და სხვა ქვეწარმავლებთან წყალში ყურყუმელაობს. მეხვეწებოდნენ, „გვიხსენიო, სოსლან“, მაგრამ ვუთხარი, სოსლანს თქვენი შველა არ შეუძლია-მეთქი. რა დააშავეს იმ საცოდავებმა?

— ეგ ჯოჯოხეთის ტბა არის. ტბაში მოხვედრილმა ხალხმა სიცოცხლეში ქურდობითა და მაბეზღარობით აიკლო ქვეყანა. ახლა საიქიოს წესების მიხედვით სასჯელს ეგრე იხდიან.

— იქიდან წამოსული ერთ ველზე მოვხვდი. ყველაფერი სიკეთე იყო ამ ველზე, ხორბლეული, ბალახი მწვანედ ღაღანებდა. გარეული ნადირი და შინაური პირუტყვი ერთად ძოვდა, ერთმანეთს კი არას ერჩოდა. ველზე მდინარეც მიედინებოდა. მდინარის ნაპირზე ას ქალიშვილს „სიმდი“ გაეჩაღებინა. წინ უხვად ეწყოთ მარად ულევი სასმელ-საჭმელი. ცეკვაში ჩამაბეს. საჭმელი ვთხოვე და ასე მიპასუხეს: „ჩვენთან დარჩი საცხოვრებლად, ცოცხალთა ქვეყანაში დაბრუნებაზე ნუღარ იფიქრებ და გაგაძღობთ,

რაც ჩვენ წინ საჭმელი აწყვია, იმით შენც ჩვენსავით უჭმელად მარად მაძღარი იქნები". მა ვუთხარი, სადაც ჭამა წესად არ აქვთ, იმ ქვეყანაში რა მინდა-მეთქი. ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?"

— ეგ სამოთხის ველია. ქალიშვილები კი გასათხოვარნი ან დანიშნული ვინც გარდაიცვალნენ, ისინი არიან. საჭმელები — ცოცხალთა ქვეყანაში მათ სახელზე გამზადებული საკურთხია. როგორც შენ დაინახე, ასე უდგიათ წინ და მხოლოდ ცქერაც აძღობთ.

— იქიდან წამოვედი და კვლავ საკვირველებას წავაწყდი: ისხდნენ ერთგან მოხუცებული კაცები, ტანზე ყინული მოსდებოდათ. ნახევარ წვერს ყინულის სამართებლები ვითომ ჰპარსავდნენ და სინამდვილეში აწიწკნიდნენ.

— მაგ კაცებს ხალხი მოსამართლეებად ირჩევდა; ეგენი კი იმედს უცრუებდნენ, არასოდეს სწორი განაჩენი არ გამოჰქონდათ. ყოველთვის ძლიერებს ემხრობოდნენ — ან ქრთამს იღებდნენ, ან ნაცნობობით უგვარებდნენ საქმეს. ჰოდა ახლა აქ საიქიოს ადათით ცოდვებს იხდიან.

— იმათ გამოვცდი და ერთ ლამაზ, ვერცხლის გალავანთან მოვედი. ამ გალავანში კაცები ოქროს სკამებზე ისხდნენ, წინ უხვი სუფრა ედგათ, ძვირფასი სასმელ-საჭმლით გაწყობილი, მაგრამ ხელსაც არაფერს აკარებდნენ.

— ეგენი სიცოცხლეში მხოლოდ სიკეთეს თესავდნენ, არავის არას მოპარავდნენ; უყვარდათ ღარიბი, არაფრის მქონე და ხელსაც უმართავდნენ. მათ უხვად გაწყობილი სუფრის მხოლოდ ცქერაც აძღობთ.

— წამოვედი იქიდან და დავინახე, ერთი კაცი ძველი, ძირგავრდნილი გოდრით მაღალ მთაზე ხრეშსა და ქვიშას ეზიდებოდა. ამან რაღა დააშავა?

— ეგ კაცი სიცოცხლეში მომიჯნავეს ღალატობდა, საწყალ კაცს მიწის ნაჭერს პარავდა და ახლა სამაგიერო სასჯელს აქ ასე იხდის.

— გამოვცილდი მას და კვლავ საოცრება ვიხილე: ერთ ხარს წელამდე ხასხასა ბალახი მიეტოვებინა და მოხუცი კაცის ულვაშებს კი ხარბად ღეჭავდა. როგორ არ გამკვირვებოდა — ხარს მწვანე ბალახი ცხვირწინ ჰქონდეს და კაცის ულვაშის ღეჭვა ერჩივნოს?!

— ნუ გიკვირს. მაგ კაცს სიცოცხლეში ცალი ხარი ჰყავდა, უღელში შესაბმელად მეზობლისას ხშირად ითხოვდა. თავისას მწვანე თივას აჭმევდა, მეზობლის ხარს კი ნამჯის ნამცეცებს მიუყრიდა ხოლმე. ახლა ხომ ნახე რაც დაემართა.

— იქიდან წამოსულმა ერთი კუნძული დავინახე; კუნძულზე გადასასელელად წყალზე ხიდი იყო გადებული, მაგრამ ისეთი, როგორც დანის პირი. კუნძულზე კი კვერცხის ნაჭუჭში ერთი მოხუცი კაცი იჯდა.

— ეგ კაცი თავის დღე და მოსწრება სულ მარტო ცხოვრობდა — არც ამხანაგი გააჩნდა, არც — მეგობარი; არც უქმე დღეს, არც სამუშაო დღეს სტუმარი რა იყო, არ იცოდა. ახლა აქაც მარტო ატარებს თავის დღეებს.

— გავიარე ცოტაც და გზაზე ერთი გაყინული მკვდარი ცხენი ეგდო, აქეთ-იქით ქალი და კაცი უჯდა.

— ეგ ცოლ-ქმარი სიცოცხლეში ისეთი ძუნწები იყვნენ, თავისი ქონება საკუთარი თავისთვისაც არ ემეტებოდათ და არაფერს ჭამდნენ. ახლა საიქიოში შიმშილის გრძნობას გაყინული ცხენის ლეშის ცქერით იკლავენ.

— მოვდივარ, — განაგრძობდა სოსლანი, — და ვხედავ, ერთგან წევს ცოლი და ქმარი; ქვეშ ვეება ხარის ტყავი უგიათ, ზემოდანაც ასეთივე ტყავი ახურავთ; ორივე თავისკენ ეწევა და ამხელა ტყავი არ სწვდებათ. ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?

— მაგ ცოლ-ქმარს სიცოცხლეში ერთმანეთი არ უყვარდათ, სულ ჩხუბი და დავიდარაბა ჰქონდათ. როგორც სიცოცხლეში იყვნენ უგემურად, საქიოშიც ისევე არიან.

— ამათ რომ გამოვცდი, ვხედავ, ცოტა მოშორებით ქალი და კაცი წევს. ქვეშ კურდღლის ტყავი უგიათ, ზემოდანაც კურდღლისავე ტყავი აფარიათ და მაინც თალხნად ჰყოფნით. საკვირველი არ არის?

— აბა, ეგ რად გიკვირს? — უთხრა ბედუხამ, — მაგ ცოლ-ქმარს სიცოცხლეშიც ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი და საიქიოშიც სიყვარულის სიამტკბილობა არ აკლიათ.

— იქიდან წამოვედი და კიდევ ერთი ქალი და კაცი შემხვდა, კაცი პირიდან ცეცხლს ანთხევდა, ქალი მუჭს უშვერდა.

— მაგათაც საკუთარ თავს ეგ სიავე თვითონ დამართეს, სიცოცხლეში საჭმელს ოჯახის წევრებისაგან ფარულად იმზადებდნენ და ჭამდნენ. ახლა იმ ჭურდობას საიქიოში ტანჯვით ზღავენ: მკვდრეთის მბრძანებელმა დაუწესა, წელიწადში სამი დღე ეგრე უნდა ეწამონ.

— ერთგან ერთი ქალი მსხვილი საბნის ნემსით კლდის ნაპრალებს აკერებდა. ჭანცი გაწყდომოდა საბრალოს და დასვენება ვერ მოეხერხებინა.

— ეგ ქალი სიცოცხლეში ქმარს ღალატობდა, საყვარელი ჰყავდა. საყვარელს ტანსაცმელს წმინდად და ხალისით უგვირისტებდა, ქმარს კი ბუზღუნ-ბუზღუნით და მსხვილად ულამბავდა.

— გზა განვაგრძე და დავინახე, ერთ ადგილზე დიდი კასრი რძიდან ქალს ყველი ამოჰყავდა. ამდენი რძიდან ფეტვის მარცვლისოდენა ბუმბულას იღებდა. მისგან ცოტა მოშორებით კი მეორე ქალს ერთი კოვზი რძიდან მთისხელა ბუმბულა ამოჰყავდა. ეს ამბავი ძალიან გამიკვირდა.

— ნურც ეგ გიკვირს, — უთხრა ბედუხამ, — მაგ ქალებიდან იმას, ოომელსაც დიდი კასრი რძიდან ფეტვის მარცვლისოდენა ყველი ამოჰყავდა, სიცოცხლეში ბევრი ძროხები ჰყავდა. ძალიან ბევრი ერბო-ყველი ჰქონდა, მაგრამ ისეთი ძუნწი იყო, ბედნიერ დღეს მეზობელი ყველს რომ დაესესხებოდა, ხელს არ გაუმართავდა — არა მაქვს და არა მაქვსო, სულ ამას გაიძახოდა. მეორე ქალს მხოლოდ ერთი ძროხა ჰყავდა, მაგრამ გულკეთილი და ხელგაშლილი იყო, არავისთვის არაფერს დაინანებდა. როცა კი მეზობელი რძეს ან ყველს თხოვდა, თვითონ დაიკლებდა და მთხოვნელს ხელცარიელს არ გაისტუმრებდა. ახლა, ხომ ხედავ, საბაგიეროს სააქიოში ვინ როგორ იხდის?

— იქიდანაც წამოვედი და ახლა ერთ სხვა ქალთან მოვაღწიე. იწვა ეს ქალი გულაღმა და მის მკერდზე წისქვილის ქვები უსაფქვაოდ ტრიალებდნენ.

— ეგ ქალი სხვის წისქვილზე ურიგოდ, დაუკითხავად ფქვავდა. ახლა სამაგიეროს ზღავს.

— გამოვცდი ამ ქალს და ერთ ადგილზე კვლავ დავინახე ქალი, რომლის მკერდზეც წისქვილის ქვები ბრუნავდნენ და შავი ქვის ნატეხებს ფქვავდნენ.

— ეგ ქალი კი სხვის საფქვავს იპარავდა. ახლა ჩადენილ ცოდვას აქ, საიქიოში, ეგეთი ტანჯვით ზღავს.

— განვაგრძე გზა. მოვაღწიე ერთ სხვა ქალთან. ამას კიდევ ძუძუებზე ხვლიკები დასეოდნენ და წოვდნენ. ეს რისთვისღა ეწამება?

— მაგ ქალს მეზობელი ჩვილ ბავშვს ძუძუს მოსაწოვებლად მოუყვახდა ხოლმე. ეგ კი ჩვილს თავსაფარს გადააფარებდა და ბავშვს ძუძუს არ აძლევდა. ახლა საიქიოს წესით სასჯელს იხდის.

— იქიდან წამოსული ვხედავ, ერთ ქალს ცხვირიდან შალისა და ჩითის ნაჭრები გამოსჩრია, მარჯვენა მკლავზე კი ცეცხლი უკიდია. ეს რაღა საოცრებაა?

— ეგ ქალი სიცოცხლეში მკერავი იყო და ვისაც სამოსს უკერავდა, ყველას ნაჭრებს პარავდა. ახლა აქ ზღავს.

— მივდივარ კვლავ ჩემი გზით და ვხედავ, ჩემს წინ აკლდამაა. აკლდამაში ზის ერთი მთლად შიშველი ბიჭი და ცხვირიდან სისხლნარევი ლეზვი სდის, პირიდან კი სისხლი გადმოსჩქეფს. აბა, როგორ არ გამკვირვებოდა?

— ნურც ეგ გიკვირს, — უთხრა ბედუხამ, — ეგ ბიჭი სიცოცხლეში დედ-მამის ურჩი იყო, სისხლს უშრობდა მათ, არაფერს არ უგონებდა. ერთი და ორი წყევლა-კრული შეხვედრია. ახლა ძალიან ნანობს თავის საქციელს და ისე ტირის, რომ ცხვირიდან ლეზვი მოსდის, პირიდან — სისხლი.

— გამოვცდი ამ ადგილს და ბავშვებს წავადექი თავს. თამაშობდნენ ისინი მოლზე; სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ და სულ სხვადასხვანაირად ეცვათ. ზოგი ფეხშიშველი იყო, ზოგი — უქუდო, უქამრო. ქუდები წელში ჩაეტენათ, ქამრები ყელზე გამოეხსკვათ, ფეხსაცმელები უბეში ჩაელაგებინათ. ზოგი დედას მეძახდა, ზოგი — მამას. როგორ არ შემეცოდებოდნენ, მოვეფერე, ყველას გავუსწორე ტანსაცმელი, როგორც წესი იყო, ისე ჩავაცვი და წამოვედი. უკან მომძახოდნენ: „გზა მშვიდობით გევლოს, სოსლან, რა საქმეზეც მიდიხარ, ხელი მოგმართოდესო!"

— ეგენი ობლობაში დახოცილი ბავშვები არიან. მოფერებიხარ და-მათი ლოცვა აგიხდება, — უთხრა ბედუხამ.

— იმათგან წამოსულმა ერთ კარებთან მივაღწიე. კარს უკან ერთი მაკე ძუკნა ძაღლი იწვა. წინ რომ გავუარე, თვითონ ეძინა, მაგრამ მისი მუცლიდან ლეკვებმა დამიწყეს ყეფა. ძალიან გამიკვირდა.

— ეგ იმას ნიშნავს, დრო დადგება, უმცროსები უფროსებს ჭკუის სწავლებას დაუწყებენ.

— ერთ ადგილზე კი, ფლატის პირას, ფეტვის მარცვლის გროვასთან, პარკი და ტომარა ერთმანეთს ეტოლებოდნენ და ჩხუბობდნენ. ტომარა ამბობდა: „მე მეტი ვარ!" პარკი ჩემულობდა, — არა, მე მეტი ვარ შენზე"; აივსებოდა ტომარა, ჩაიცლებოდა პარკში და ნახევრამდეც ვერ მოყრილა. აივსებოდა პარკი, ჩაეყუდებოდა ტომარაში და ფეტვის მარცვალს თავზე გადააღენდა. ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?

— ნართელი კაცი ხარ და რაა მანდ შენთვის გასაკვირი? — უთხრა ბედუხამ, — დრო დადგება, ხალხს ვერაფერი გააძღობს, დიდსა და პატარას ერთი მადა ექნება.

— იქიდან წამოსულმა მინდორში სამი ძირი ალვის ხე დავინახე, მათ ქვეშ კი ღორის ტყავისა და ძვირფასი ტყავის ფეხსაცმელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ხეზე მიძვრებოდნენ. ღორის ტყავის ფეხსაცმელი ხეს კენწეროზე მოექცა, ძვირფასი ტყავისა კი ძირს დარჩა. როგორ არ გამკვირვებოდა — ღორის ტყავისამ ძვირფასი ტყავისას აჯობა!

— ღორის ტყავის ფახსაცმელში მდაბიო ხალხი იგულისხმება, ძვირფასი ტყავისაში კი — წარჩინებულები. დრო დადგება, მდაბიო ხალხი წარჩინებულებს გაუსწრებს, დაამარცხებს.

— იმ ადგილს რომ გამოვცდი, ვხედავ, მთიდან ბარში მსხვილი თოკია გაბმული. არც ზედ გადასვლა შეიძლება, არც ქვეშ გაძვრომა. ცოტა ხანში თოკის ერთი ბოლო თავისით აეხსნა და გვერდზე წაიხვეტა. ძალიან გამიკვირდა და ვერაფერი გავუგე, — უთხრა სოსლანმა.

— შენ შენი გზა-კვალისა მართლა ვერაფერი გაგიგია, — უთხრა მას

ბედუხამ, — ეგ იმას ნიშნავს, ბოლოს და ბოლოს ქვეყანა ხალხისათვის ღია კარად გადაიქცევა.

— იქიდანაც წამოვედი და ვხედავ, ერთ ადგილას მთიდან ბარისაკენ თოკი გამოიწელება და კვლავ უკან დაეხვევა.

— ეგ იმას ნიშნავს, ხალხი ცხოვრების გასაუმჯობესებლად მთიდან ბარში ჩამოვა, მაგრამ კვლავ მთას დაუბრუნდება, — თქვა ბედუხამ.

— წამოვედი იქიდან და ერთ გორაკზე დავინახე, სამი ვეებერთელა ქვაბი გვერდი-გვერდ იდგა, ქვეშ დიდი ცეცხლი ენთოთ და თუხთუხებდნენ. განაპირა ქვაბები ერთიმეორეს ბეჭსა და ბარკალს ესროდნენ, შუა ქვაბში კი წვეთი წვენიც არ იდგა, ეგრე მშრალად შიშინებდა. ეს რაღას ნიშნავს?

— ეგეც ნუ გაგიკვირდება; ეგ იმის მანიშნებელია, რომ დრო დადგება, უცხო ხალხები ერთმანეთს ძმებზე უფრო მეტად დაუახლოვდებიან, ყველა რჯულის ხალხი ძმებივით მეგობრულად იცხოვრებს, სახლიკაცებზე უფრო მეტად დაუმოყვრდებიან ერთმანეთს.

— იქიდან წამოსულმა უფრო დიდი საოცრება ვნახე: ერთგან, გზის პირს, ქალის მანდილი და კაცის ქუდი ჰიდაობდნენ, ხან ერთი მოექცეოდა ქვეშ, ხან — მეორე. კარგა ხანი იჭიდავეს და ბოლოს გზის პირს ერთმანეთის გვერდით დადგნენ.

— ეგ იმას ნიშნავს, — აუხსნა ბედუხამ, — ისეთი დრო დადგება, ქალს და კაცს თანასწორი უფლებები ექნებათ და მარტო მამაკაცებზე არ იქნება ყველაფერი დამოკიდებული.

— მოვდივარ კვლავ და ვხედავ, ჩემს წინ გზაზე ხურჯინი გდია. ეს რა კარგი ხურჯინია-მეთქი და ცხენიდან მათრახის ტარით გადმოვეწოდე. ღონე როგორ არ მაქვს, ნართების შეჯიბრებებში ცხენდაცხენ მხედარი ამიტაცია, მაგრამ ამ ხურჯინს ძვრაც ვერ ვუყავი, მათრახის ტარიც გადამიტყდა. ეს რა საოცრებაა-მეთქი, ჩამოვხტი ცხენიდან, ავწიე ცალი ხელით და ვერ მოვერიე. ორივე ხელი ჩავავლე და მუხლებამდე მიწაში წავედი, მაინც ადგილიდან ვერ დავძარი. მივანებე თავი და წამოვედი. ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?

— როგორ უნდა მორეოდი! ეგ ხურჯინი ადამიანის სიკეთეა, — უთხრა ბედუხამ.

— განვაგრძე გზა. ვხედავ, ათასფერი ძაფების გორგალი გდია. ცოტა ძაფი რომ გამაყოლებინა თან-თქო, ვიფიქრე და დავიწყე მკლავზე ძაფის ამოხვევა. ვახვევ, ვახვევ, მაგრამ გორგალს დაკლებისა ვერაფერი დავატყვე. ძლიერ გამიკვირდა და ვერაფერს მივხვდი.

— ეგ გორგალი ქვეყნის საიდუმლოებებს ნიშნავს: რამდენიც გინდა

ეცადო მათს შეცნობას, მაინც მცირე ნაწილის მეტს ვერ შეიცნობ, — აუხსნა ბედუხამ.

— იქიდან წამოსულმა ერთ ველზე კვლავ სხვა გორგალი ვნახე, წინ მიგორავდა — იშლებოდა, უკან მოგორავდა — ეხვეოდა და მის გაშლა-დახვევას არ ადგა საშველი. ეს რაღას უნდა ნიშნავდეს? — ჰკითხა სოსლანმა.

— არც ეგაა გასაკვირი, — უპასუხა ბედუხამ, — დრო დადგება, ხალხი ისე გამრავლდება, რომ მიწა ზომით იქნება.

— გამოვემართე, ვხედავ, გასანთლული ძაფის გორგალი მიგორავს ჩემი ცხენის წინ. უკან მოვიხედე და იგივე გორგალი ცხენს ქაჩაჩებში ურტყამდა. მერე გამშორდა. გავვოცდი და ვთქვი, ალბათ, რაღაც უბედურება მელის-მეთქი.

— ნუ გეშინია, — უთხრა ბედუხამ, — მაგით არაფერი დაგიშავდება. მაგრამ როგორც ეს გორგალი მიუძღოდა წინ შენს ცხენს და უკნიდან კი ქაჩაჩებში ურტყამდა, ზუსტად ეგრე გექცევიან ნაცნობებიც: ურევია მათში ისეთები, პირში გიცინიან, ზურგთ უკან კი სამარეს გითხრიან.

— მივდივარ კვლავ და ვხედავ, სხედან ნართების უხუცესები, წინ ათასგვარი სასმელ-საჭმლით უხვად გაწყობილი სუფრა ედგათ. სუფრის ბოლოში კი მკვდარი ძაღლი და კატა დევს. უყურებენ ნართების უხუცესები სავსე სუფრას და პირს არაფერს არ აკარებენ.

— როგორ დაეკარებინათ პირი? — უთხრა ბედუხამ, — შენ რომ საიქიოს მოდიოდი, სათანამ სავსე სუფრასთან ერთად თავის მიცვალებულებს მკვდარი ძაღლი და კატა დაუკურთხა, რომ დარწმუნებულიყო, შენ სულეთის ქვეყანას ნამდვილად მოივლიდი, თუ არა.

— კარგი, — უთხრა სოსლანმა, — გავიგე ყველაფერი, მაგრამ ერთი ამბავი მაინც ვერ გამიგია: აქ რომ შემოვედი, შენი თავი ტანს რატომ ხედ არ ება? ეგ რაღას ნიშნავდა?

— ეგ როგორ არ იცი? — უთხრა ბედუხამ, — ჩემი თავი განუწყვეტლივ შენთან არის. მე აქედან ბევრს გეხმარები. აქ წამოსვლა რომ გადაწყვიტე, მაშინაც გზები ჩემი შემწეობით გაგეხსნა, თორემ როდის ყოფილა ცოცხალი კაცი სულეთში შემოსულიყოს? შორეულ მოგზაურობაში ყოფნისას თავზემოთ მრუმე ნისლი რომ დაგდევს, ეგეც მე ვარ, რომ მზემ არ შეგაწუხოს. როცა ვინმეს ეომები და შენს მოწინააღმდეგეს თავზე თქორი დასდის, ეგეც მე ვარ, რომ ეგების შენმა ლაშქარმა გაიმარჯვოს-თქო.

ადგა მერე ბედუხა, გამოართვა ბარასთირს აზა-მცენარის ფოთლები, მოუტანა სოსლანს და უთხრა:

— აქ შემოღწევა შენი ვაჟკაცობით მოახერხე, თორემ ღვთის ნების

გარეშე სულეთის გზა ცოცხლებისათვის დახშულია. აქედან ცოცხალთა ქვეყანაში დაბრუნებაც აღარ შეიძლება. შენც, რაკი სულეთში მოხვდი, უკან დასაბრუნებელი გზა აღარ გაქვს. ამიტომ მე თვალებს დავხუჭავ, შენი ცხენი უკუღმა დაიჭედება და სწრაფად გაეშურე. მიცვალებულები უკან გამოგიდგებიან, ვიღაცა გარბის აქედან და ჩვენც წავიდეთო, მაგრამ ცხენის კვალს დახედავენ და შიგნით რომ იქნება შემოსული, ისინიც თავიანთ ადგილებზევე გამობრუნდებიან. ეგონებათ, ვიღაც შიგნით შემოსულაო.

სატანჯველად გაჩენილი კაცი ხარ, სოსლან, დიდი გულის კაცი თავს მშვიდი ცხოვრების უფლებას არ აძლევ! ჩვენი ერთად ცხოვრების დროს ჩემთვის არასოდეს დაგიჯერებია, მაგრამ ახლა გეხვეწები: აქედან გასულს გზაზე რაც გინდა ძვირფასი განძი შეგხვდეს, ზედაც არ შეხედო, შენი გზით იარე ხოლმე.

როგორც თქვა ბედუხამ, ისეც მოიქცა და სოსლანის ცხენი უკუღმა დაიჭედა.

გამოემშვიდობა სოსლანი ბედუხას, შეჯდა ცხენზე და სულეთიდან გამოემართა.

გაიგეს მიცვალებულებმა, ვიღაცა მიდისო სულეთიდან და ყველანი საიქიოს კარს მიაწყდნენ. მაგრამ დაინახეს, ცხენის კვალი შიგნით შედიოდა. თქვეს, ვიღაცა აქ მოსულაო და ყველა თავის ადგილზე დაბრუნდა.

რამდენი იარა სოსლანმა, ვინ იცის და მივიდა კვლავ საიქიოს კართან.

— გააღე კარი! — ეძახის სოსლანი ამინონს.

— რაკი სულეთში მოსულხარ, სოსლან, აქედან უკან დაბრუნება აღარ შეიძლება, — უპასუხა ამინონმა.

ამინონი რომ არ უღებდა კარს, გადაუშხივლა თავის ფოლადისჩლიქება ცხენს სოსლანმა მათრახი, გამოგლიჯა კარი და სულეთიდან ძალით გამოიჭრა.

მიდის, მიდის და გზაზე ერთგან ოქროს გროვას წაადგა. უცბად გაახსენდა ბედუხას დარიგება და ხელი არ ახლო, უკან მოუხედავად გაცილდა. განაგრძო კვლავ გზა; რამდენი გაიარა, ვინ იცის და ახლა გზაზე ოქროს მელის კუდი დაინახა. არც ეს აიღო, ზედაც არ დახედა. მიდის, მიდის და ერთგან ერთი ძველი ქუდი გდია. ქუდის დანახვაზე გაიფიქრა: „ნეტა რად დავუჯერე მიცვალებულ ქალს, ასეთი ძვირფასი განძი ხელიდან როგორ გავუშვიო?“ ვეღარ მოითმინა, აიღო ეს ქუდი, ჩვენს რძლებს წავუღებ, წისქვილის დოლაბების შემოსაწმენდად მაინც გამოადგებათო და ქამარში გაირჭო.

მიდის სოსლანი, სათავისოს მიუახლოვდა, უკვე ლელქაშიან დაბლო-

ბამდე ააღწია. აქ ჩამოქვეითდა, ერთ ხეზე მიაბა ცხენი, მოხადა უნაგირი, მოჭრა ეკლის ტოტი და ცემა დაუწყო: იმდენი სცემა ცხენს, სულ სისხლი დაადინა.

— ჩქარა მითხარი, რაშია შენი აღსასრული, თორემ ამ წამებას არ მოგიშლი, — უთხრა სოსლანმა თავის ცხენს.

ცხენი ხმას არ იღებდა. გაბრაზდა სოსლანი, ვეება ხე ფესვებიანად მოაძრო და ზედ თავზე დააფშვნა. რაღა ექნა ცხენს — ალაპარაკდა. „მე აღსასრული ფეხის ქაჩაჩებიდან დამიდგება; ქაჩაჩებში ქვემოდან თუ არაფერი მატაკე, ისე ვერაფერი მომკლავს, ფოლადისჩლიქება ვარ. თვითონ შენი აღსასრული რაღაშია?“ — ჰკითხა ცხენმა სოსლანს.

— მე მთლად ფოლადისა ვარ, გარდა მუხლისთავებისა. მხოლოდ მუხლისთავები მაქვს რბილი და თუ ბალსაგის ბორბალმა არ გადამიარა, ისე ვერაფერი მომკლავს, — უთხრა სოსლანმა.

— ჰოდა, არ შეგინდოს უფალმა, — უთხრა ცხენმა, — მეც დამღუპე და შენი თავიც. აბა, ნახე, ქამარში ქუდის ძველა რომ გაირჩე, ეგ გათაგის ვაჟი სირდონი გახლდა.

სოსლანმა მოისინჯა წელზე ქუდი და სადღაა! ახლა კი მიხვდა სოსლანი, ბედუხამ გზაზე შეხვედრილი განძეულისათვის ხელის ხლება რისთვისაც აუკრძალა. სირდონმა როცა გაიგო, რით შეიძლებოდა სოსლანისა და მისი ცხენის მოკვლა, გადახტა სოსლანის წელიდან და ქვესკნელს ეშმაკების ხელმწიფესთან ლაშქრის სათხოვნელად ჩავიდა.

— ნართმა სოსლანმა ხალხს სისხლი გაუშრო, — უთხრა ეშმაკების ხელმწიფეს სირდონმა, — დიდ იმედად თავისი ცხენი ჰყავს; ცხენის მოკვლა კი მხოლოდ ქაჩაჩებიდან შეიძლება. მშვილდ-ისრით შეიარაღებული ჯარი მომეცი, ქვევიდან მაღლა რომ ესროლონ.

მისცა ეშმაკების ხელმწიფემ სირდონს ჯარი. ჯარმა სოსლანის ცხენს ქვესკნელიდან ზევით დაუწყო ისრის სროლა, ქაჩაჩებში მოარტყა და მოუკლა. ცხენი რომ კვდებოდა, სოსლანს უთხრა:

— ვკვდები და სწრაფად ტიკად ამომიღე, ჩემს ტყავში ნამჯა ჩატენე, შემაჯექი და იქნებ როგორმე სახლამდე მიგიყვანო.

სოსლანმა ცხენი ტიკად ამოიღო, ნამჯით გამოტენა, უნაგირი დაადგა, შეჯდა და თავისი გზით წავიდა.

სირდონმა ცხენის ნათქვამი გაიგონა, კვლავ ჩაირბინა ეშმაკებთან და უთხრა:

— არიქა, ეშმაკებო, ისრის წვერები გაავარვარეთ და ისე ისროლეთ!

დაუწყეს ეშმაკებმა ისრის წვერებს გახურება, წითლად ავარვარებდნენ და ზესკნელს ისროდნენ. გავარვარებული ისრები სოსლანის ნამჯის „ცხენს“ მუცელში მოხვდა, მოედო ნამჯას ცეცხლი და „ცხენი“ დაიწვა.

ზურგზე უნაგირმოკიდებული სოსლანი ფეხით მივიდა შინ, უამბო სათანას ყველაფერი, რაც კი სულეთის ქვეყანაში ნახა. დაიჯერა სათანამაც, სოსლანი სულეთში ნამდვილად რომ იყო. მისცა თავისი ჯადოსნური ბეჭედი, სოსლანმა წაიღო იგი და ზღვის პირს დიდი წრე შემოხაზა — იმ წამსვე იმ ადგილზე დიდი, რკინის შავი გალავანი გაჩნდა და ოთხივე კუთხეში აზა-მცენარის ფოთლები ჩაურგო.

მერე სათანამ ავსათისაგან სალამური უთხოვა. ჩაბერა სოსლანმა სალამურს და გალავანში სამასი სული ნადირი მოვიდა; მათგან ასი სული ირემი იყო, ასი სული — ჯიხვი, დანარჩენი ასი — სულ სხვადასხვა ჯიშისა.

შვიდმა დევმა, რაკი თავისი ურვათი დაინახა, თავიანთი ყანი — მზის ასული აცირუხსი სოსლანს მიათხოვეს.

სრულანის სიკვდილი

შეირთო ცოლად სოსლანმა მზის ასული აცირუხსი. დაიწყეს ერთად ცხოვრება. გადიოდა დღეები, წლები. სოსლანი ხშირად ნადირობდა ჩილახარის ველზე და ასე გაჰყავდა დრო.

ერთხელაც თორმეტ ამხანაგთან ერთად სანადიროდ წასვლა მოისურვა. წავიდნენ თორმეტივე ჩილახარის ველზე. გამართეს აქ კარავი. დილიდან შუადღემდე ნადირობდნენ, შუადღისას კი კარავში დასასვენებლად ბრუნდებოდნენ. დაისვენებდნენ და კვლავ სანადიროდ გასწევდნენ.

ერთ დღესაც დილიდანვე წავიდნენ სანადიროდ და შუადღისთვის კარავში დაღლილები დაბრუნდნენ. ყველანი დასასვენებლად წამოწვნენ, სოსლანმა კი დაღლა რა იყო, არ იცოდა. ამიტომ იფიქრა, სანამ ესენი ისვენებენ, ცოტას გავივლ-გამოვივლიო და კარავიდან გამოვიდა. გასცილდა კარავს და ერთ ხეობაში შევიდა. აქ ერთ ტბას წააწყდა. „ისე არ იქნება, ამ სიცხეში რამე ნადირი წყლის დასალევად არ მოვიდესო", — გაიფიქრა გულში და ტბის ნაპირზე ჩამოჯდა. ზის სოსლანი და ირგვლივ იცქირება. ამასობაში ხედავს, ტბაზე წყლის დასალევად ერთი ფურირემი მოდის; ისეთი ლამაზი იყო ეს ირემი, ისეთი სრულქმნილი, როგორც ამომავალი ვარსკვლავი. სოსლანმა მშვილდი დაუმიზნა. როგორც კი სროლა დააპირა, ფურირემი ქალწულად იქცა და ვაჟს მიესალმა:

— გამარჯობა, სოსლან!

— ღმერთმა კარგი ბედი მოგცეს, ქალიშვილო! — დაუბრუნა პასუხად სოსლანმა.

— სოსლან, მე შენთან შესახვედრად ზეციდან აქ ჩამოვდივარ და ვერასოდეს კი ვერ გხვდები, სადა ხარ? ამდენი წელიწადია, შენ გელოდები, ახლა ცოლად უნდა შემირთო.

— რამდენი გზააბნეული ქალიშვილიც შემომხვდეს, იმდენი თუ ცოლად შევირთე, ნართების სოფელში მათი ტევაც აღარ იქნება, — უთხრა სოსლანმა.

— ნუ, სოსლან, თორემ ინანებ, — უთხრა კვლავ ქალიშვილმა.

— შენნაირი ტბის დედა ღორი სოსლანს ბევრი უნახავს. ყველა რომ ცოლად შემერთო, ფოლადის სოსლანი რკინისად გადავიქცეოდი.

გაშალა იმ წამს ქალიშვილმა მკლავები, ფრთებად გადაექცა, შეიფრთხიალა და გაფრინდა. წასწვდა სოსლანი, მაგრამ ველარ დაიჭირა. აფრენისას ქალიშვილმა ეს-ღა გადმოსძახა:

— ნართელო სოსლან, მე ბალსაგის ქალიშვილი გახლავარ და ვნახოთ, თუ არ განანო!

ქალიშვილი უცბადვე შინ გაჩნდა და მამამისს — ბალსაგს უამბო, როგორ შეურაცხყო იგი სოსლანმა.

ბალსაგმა თავისი ბორბალი დაიბარა და უბრძანა: „წადი და სოსლანი მოკალი!“

ბალსაგის ბორბალი სოსლანის მოსაკლავად გრიალ-გრიალით წამოვიდა. ბალსაგმა სოსლანს გადმოსძახა:

— აბა, დაუხვდი, ნართელო ვაჟკაცო!

— რა გაქვს, როგორი იარაღით მიპირებ მოკვლას? — დაუძახა სოსლანმა.

— დასარტყმელი იარაღით!

— რა დავუხვედრო?

— შუბლი დაუხვედრე!

ფოლადის სოსლანმა შუბლი შეუშვირა. დასცხო ბალსაგის ბორბალმა და სოსლანის ფოლადის შუბლმა უკანვე აისხლიტა იგი, ნაკაწრიც კი ვერ დაამჩნია. ეცა სოსლანი, მაგრამ ბორბალი გაუსხლტა და ვერ დაიჭირა.

მეორედაც დაუყვირა ბალსაგმა:

— კიდევ მოდის!

— ახლა რა დავუხვედრო? — ჰკითხა სოსლანმა.

— მკერდი დაახვედრე! — გადმოსძახა ბალსაგმა.

კვლავ გრიალ-გრიალით გადმოეშვა ბალსაგის ბორბალი. ფოლადოვანმა სოსლანმაც მკერდი შეუშვირა.

დასცხო კვლავ ბორბალმა მკერდში სოსლანს. იმარჯვა სოსლანმაც, როგორც კი უკან უნდა ასხლეტილიყო ბორბალი, სტაცა თავისი ფოლადის ხელები და დაიჭირა. დაიდო ქვეშ და ორი ნეკნი ჩაუმტვრია.

დაუწყო ხვეწნა ბალსაგის ბორბალმა:

— ნუ მომკლავ, სოსლან და ამის შემდეგ „ბალსაგის ბორბალს“ კი არა, „სოსლანის ბორბალს“ დავირქმევ.

— მომატყუებ, ბალსაგის ბორბალო! — უთხრა სოსლანმა.

— ღმერთს გეფიცები, „ბალსაგის ბორბალი“ აღარ მერქმევა, დღეის შემდეგ „სოსლანის ბორბალი“ ვიქნები.

სოსლანმა დაუჯერა. აბა, რა ექნა და გაუშვა. ბორბალი თავის სახლისკენ გაემართა, სოსლანიც ამხანაგებთან აბრუნდა.

ბალსაგის ბორბალს გზად ნართების ჭირად დაბადებული სირდონი შემოხვდა და მიესალმა:

— გამარჯობა, ბალსაგის ბორბალო!

— „სოსლანის ბორბალი“ დამიძახე, „ბალსაგის ბორბალს“ ნუ მეძახი, თორემ სოსლანი მომკლავს.

— აი, შენ კი აღარ იყავ, ბალსაგის ბორბალო! რისთვის გაქვს მაგხელა ღონე, რისთვის შეირცხვინე სახელი?

— ნუ ლაპარაკობ, სირდონ, ფიცი მიმიციან! — უთხრა ბალსაგის ბორბალმა.

— ნეკი თითიდან სისხლი გამოიდინე და ფიცს ძალა დაეკარგება. სოსლანის აღსასრული მარტო შენზეა. ერთხელ კიდევ სცადე, — უთხრა სირდონმა.

— ისეთი კაცია, თუ ჩამიგდო ხელში, კბილით დამგლეჯავს. არა, მე იმას ვერაფერს დავაკლებ, — უთხრა ბალსაგის ბორბალმა.

— ქურდალაგონთან ადი და ფოლადის ნეკნები გააკეთებინე. მერე ჩამოდი და სოსლანს მწოლარეს მუხლებზე გადაუარე, — დაარიგა სირდონმა.

ბალსაგის ბორბალს სირდონის სიტყვები ჰკუაში დაუჯდა.

— მწოლარეს სად ვეახავ, სად შევხვდები? — ჰკითხა მან სირდონს.

— ის ხომ ყოველდღე ზილახარის ველზე ნადირობს. იქ კარავი აქვს გამართული. შუადღისას აუცილებლად კარავში მოვა. ამხანაგებიც თან ჰყავს, ყველას მუხლებზე გადაუარე, — დაარიგა სირდონმა.

ავიდა ბალსაგის ბორბალი ქურდალაგონთან და ფოლადის ნეკნები დაამზადებინა.

სოსლანიც თავის თორმეტ ამხანაგთან ერთად ზილახარის ველზე ნადირობას განაგრძობდა. იმ დღით კარავში მოსასვენებლად რომ უნდა წამოსულიყვნენ, სოსლანმა ამხანაგებს უთხრა:

— თქვენ წადით კარავში, დაისვენეთ. მე ცოტას გავივლი, წავინადირებ და მალე მოვალ.

თორმეტივე მონადირე წამოვიდა. შევიდნენ კარავში და დასასვენებლად თავფეხშექცევით წამოწვნენ. ექვსმა ერთ მხარეს ქნა თავი, ექვსმა — მოპირდაპირე მხარეს.

დაიგრიალა ბალსაგის ბორბალმაც, იმას სოსლანიც კარავში ეგონა. ახლა გიჩვენებო სეირს, სოსლან, — დაემუქრა გულში, გადაუარა მძინარე მონადირეებს და თორმეტივეს ფეხები მუხლებს ქვემოთ წაათალა. თორმეტივე დახოცა. ამ დროს ზურგზე ნანადირევმოკიდებული სოსლანიც მოვიდა

— გამომხედეთ, გარეთ! — დაუძახა სოსლანმა ამხანაგებს, მაგრამ გარეთ გამომხედავი აღარავინ იყო. დააგდო ირემი ძირს და შიგნით შევიდა. ელდა ეცა: თორმეტივე ამხანაგი დახოცილები ეყარნენ, თორმეტივეს მუხლები ჰქონდათ წაჭრილი.

— ახ, ღმერთო, რატომ არ მოვკვდები! ამას ბალასაგის ბორბლის მეტი არავინ იზამდა! — თქვა და გარეთ გამოვარდა. გაიხედა და შენიშნა, ველზე ბალსაგის ბორბალი გარბოდა. გაეკიდა სოსლანი. დასდევს ველზე და ვერ დაუჭერია.

— დააკავე! — უთხრა ველს სოსლანმა.

არ დააკავა ველმა და იგი სოსლანმა დასწყევლა:

— მოვლის გარეშე შვიდი წლის მერე სარგებლობის მოცემა ნუ შეგძლებოდეს! ბალსაგის ბორბალმა მთასთან მიირბინა. სოსლანმა მთას სთხოვა:

— დაკავე, მთაო, ამხანაგები დამიხოცა!

ვერც მთამ დააკავა.

— ზავთსალეკად, ხრეშსამზღვლევად იქეცი! — დასწყევლა ესეც სოსლანმა.

ბორბალმა ახლა ტყესთან მიირბინა და მურყნარში შერგო თავი.

— მურყანო, ნუ გაუშვებ ჩემს მტერს! — დაუძახა მურყანს სოსლანმა.

მურყანმა ბალსაგის ბორბალი არ დააკავა.

— ტყეში ყველაზე უარეს ხედ იქეცი, კანს საღებავად გაძრობდნენ, და თვითონ ზეზეულა ხმებოდე!

ბალსაგის ბორბალს ახლა ცაცხვი დახვდა წინ.

— ჰეი, ცაცხვო, დააკავე ჩემი მტერი! — შესძახა სოსლანმა.

— სიმსხო არ მაკლია, მაგრამ რბილი ვარ და ვერ შევძლებ მის დაკავებას, — უთხრა ცაცხვმა.

— წყეული იყავ, ლამაზად ჰყვაოდე, ნაყოფს კი არ იძლეოდე, — უთხრა სოლანმა.

ბალსაგის ბორბალი ახლა რცხილნარში შევარდა.

— ნუ გაუშვებ, რცხილავ, დააკავე! — ეძახის სოსლანი.

რცხილამაც ვერ დააკავა ბორბალი და ისიც დასწყევლა სოსლანმა:

— მხოლოდ ცეცხლში შესაკეთებლად ვარგოდე!

გარბის კვლავ ბალსაგის ბორბალი, ახლა წიფლნარს შეერია.

— არიქა, წიფელავ, დააკავე ჩემი მტერი, ნუ გაუშვებ! — დაუძახა სოსლანმა.

— უარესიც დაგმართნია: ჩემი ერთი ძირი ხე მთელი სოფლისათვის იკმარებდა, შენ კი არც ტოტი შემარჩინე, არც ფესვი.

— ღმერთმა ადამიანისათვის ადვილად დასამუშავებელ ხედ გაქცოს, — უთხრა წიფელას სოსლანმა.

გარბის ბალსაგის ბორბალი, ახლა მუხნარში შეიჭრა.

— მუხავ, შენ მაინც დააკავე ჩემი მტერი!

არც მუხამ შეუსრულა თხოვნა, ჩემს ტოტებსა და ფესვებს შენ ისრებად თლიდიო.

— რკოს ისხამდე, საშმელად არ ვარგოდეს! — დასწყევლა იგიც სოსლანმა.

ბალსაგის ბორბალი ახლა არყიანში შევარდა.

სოსლანმა არყის ხესაც სთხოვა:

— ჰეი, არყის ხეო, ნუ გაუშვებ ჩემს მტერს, ცოტა ხანს დააკავე.

— ვინც შენ გმტრობს, ის ჩემი მტერიცაა, — უთხრა არყის ხემ; დაუშვა დაბლა თავისი წვრილი, ხუჭუჭა ტოტები, მაგრამ ბალსაგის ბორბლის შეკავება ვერ შეძლო.

— ხეთა შორის ულამაზესი იყავი, არყის ხეო, შენი ტოტი ხალხს მხოლოდ სამწუხაროდ ეხმაროს! — დალოცა იგი სოსლანმა.

გარბის ტყეში ბორბალი, თხილნარს მიუახლოვდა. თხილის ბუჩქს სვია შემოხვეოდა. სოსლანმა სვიას დაუყვირა:

— სვიავ, დაიჭირე, ეგ ჩემი მოსისხლეა, თორმეტი ამხანაგი მომიკლა!

სვიამ გადმოშალა თავისი თოკებივით გრძელი, ხვიარა ტოტები და ბალსაგის ბორბალი შიგ გაიხლართა.

სვიის ტოტებში გაბმულ ბალსაგის ბორბალს სოსლანი ისრის სასროლ მანძილზე მიუახლოვდა. ესროლა ისარი, ცალი გვერდი შეუნგრია. მეორედაც ესროლა და მეორე გვერდიც შეულეწა. მერე მიირბინა და დაიჭირა. სვია და თხილის ბუჩქი დახმარებისათვის დალოცა:

— თხილის ხევ, საშმელად გემრიელ ნაყოფს ისხამდე და ხალხი ხა-

ლისით გეძებდეს. სვიავ, შენ კი ხალხს ლხინის, მხიარულების დროს სასმელის დასამზადებლად გამოსდგომოდე.

მერე იძრო სოსლანმა ორლესული, რომ ბალსაგის ბორბალი აეკუწა, მაგრამ ბორბალი კვლავ შეეხვეწა:

— სოსლან, ჩემი სული გებარებოდეს! ნუ მომკლავ, ამ ერთხელაც მაპატიე და რასც დამავალებ, ყველაფერს აგისრულებ.

— მატყუარა და მოღალატე ხარ, შენი ნდობა არ შეიძლება, — უთხრა სოსლანმა.

ბალსაგის ბორბალმა პირობა მისცა, რომ არ მოატყუებდა.

— მაშ კარგი, — უთხრა სოსლანმა, — სიცოცხლეს გაჩუქებ, ოღონდ შენი ოჯახის წევრებიდან თორმეტი უნდა დახოცო.

ბალსაგის ბორბალმა ფიცით დაუდასტურა, რომ თავისი ოჯახიდან თორმეტ სულს ნამდვილად მოკლავდა და შინ წავიდა. მიდის დაღონებული ბორბალი. სირდონმა გაიგო, ამჯერადაც რომ ვერ შეძლო მან სოსლანის მოკვლა. მოხუც კაცად გადაიქცა და შინ მიმავალ ბალსაგის ბორბალს წინ შეეყარა.

— გამარჯობა, ბალსაგის ბორბალო! — მიესალმა მოხუცი, — რა დაგმართნია, რაზე დაღონებულხარ?

— რაღა რა დამმართნია, ნართ სოსლანს ფიცი მივეცი და ახლა ჩემი ოჯახის თორმეტი წევრი უნდა მოვკლა, — უპასუხა მოხუც კაცს ბალსაგის ბორბალმა.

— მერე და რად უნდა დახოცო, შე კაი კაცო! ფიცი რომ არ დაარღვიო, ამისათვის ისიც საკმარისია, შენი ოჯახის თორმეტ წევრს ზოგს ფეხზე დააჭრა ფრჩხილები და ზოგს — ხელზე, — დაარიგა მოხუცმა კაცმა.

ბალსაგის ბორბალმა არ დაუჯერა და გზა განაგრძო. კარგა მანძილი რომ გაიარა, სირდონი ახლა მოხუც ქალად გადაქცეული დაუხვდა წინ და მიესალმა:

— გამარჯობა, ბალსაგის ბორბალო! რა დაგმართნია, რა დაღონებული მოდიხარ?

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, როგორ არ დავღონდე, ჩემი ოჯახის თორმეტი წევრი ჩემი ხელით უნდა დავხოცო; ფიცი მაქვს სოსლანისთვის მიცემული... — უთხრა ბალსაგის ბორბალმა.

— მერე და რაზე ხოცავ, შე კაი კაცო! ფიცის გატეხვაში რომ არ ჩაგეთვალოს, საკმარისია, თორმეტივეს ზოგს ფეხზე დააჭრა ფრჩხილები, ზოგს — ხელზე, — უთხრა მოხუცმა ქალმა.

ბალსაგის ბორბალმა არც ამას დაუჯერა. მიდის კვლავ დაღვრემილი შინისაკენ. სირდონმა წინ გაუსწრო, ახლადწვერულვაშაბიბინებულ ყმაწვილად გადაიქცა და გზაზე შემოხვდა.

— გამარჯობა, ბალსაგის ბორბალო! — მიესალმა ყმაწვილი, — რა იყო, რაზე დაღონებულხარ?

— ნართ სოსლანს ფიცი მივეცი, ჩემი ოჯახის თორმეტი წევრი უნდა დავხოცო; ახლა პირობის შესასრულებლად მივდივარ, — უთხრა დაღონებულმა ბალსაგის ბორბალმა.

— რად უნდა დახოცო, ფიცი რომ არ დაარღვიო, თორმეტივეს ზოგს ხელზე დააჭერი ფრჩხილები და ზოგს — ფეხზე, — უთხრა ყმაწვილმა.

ბალსაგის ბორბალმა არ დაუჯერა. მიდის მაინც შინისაკენ. ცოტა მანძილი რომ გაიარა, დაფიქრდა: „ვითომ ამ მოხუც კაცს, მოხუც ქალს და ყმაწვილ ბიჭს რა აწუხებდათ, თავისთვის ხომ არაფერს მთხოვდნენ? მოდი, როგორც მითხრეს, ისე მოვიქცევი“.

მივიდა შინ ბალსაგის ბორბალი და თავისი ოჯახის თორმეტ წევრს ზოგს ფეხზე დააჭრა ფრჩხილები, ზოგს — ხელზე და გული დაიმშვიდა.

გავიდა ხანი. ბალსაგის ბორბალს წყენამ გაუარა და გათაგის ვაჟმა ცბიერმა სირდონმაც მასთან სიარულს მოუხშირა.

— ბალსაგის ბორბალო, ერთხელ კიდევ სცადე, ერთხელ კიდევ გადაუარე სოსლანს და ჯავრი იყარე, — აღიზიანებდა სირდონი ბორბალს.

— ცბიერო ძაღლო, დამანებე თავი! ამდენი უბედურება სულ შენგანა მჭირს, — პასუხობდა ბალსაგის ბორბალი.

ხართების ჭირად გაჩენილი სირდონი რას დაიშლიდა, როგორ მოეშვებოდა ბალსაგის ბორბალს, სანამ წადილს არ აისრულებდა! ენა დაიშაქრა და როგორღაც დაითანხმა. წავიდა ისევ ქურდალაგონთან ბალსაგის ბორბალი და დამტვრეული ნეკნები ფოლადით შეაცვლევინა.

სოსლანიც კვლავ ზილახარის ველზე ნადირობდა. ერთ დღეს სოსლანი ნადირს მუცელზე ხოხვით რომ ეპარებოდა, ბალსაგის ბორბალმა ქურდულად ზედ მუხლებზე გადაუარა და ფეხები წააცალა. მერე თავისი ოჯახის წევრების ხელ-ფეხზე დაჭრილი ფრჩხილები მიუყარა და გამობრუნდა. წავიდა ბალსაგის ბორბალი ზეცაში, მუხლებმოკვეთილი სოსლანი კი იქ დატოვა. არავინ გამოჩნდა, რომ ავი ამბის მაცნედ ნართებთან გაეგზავნა. მერე თავზე არწივმა გადმოუფრინა; სთხოვა მას სოსლანმა:

— არწივო, გამეგზავნე ახსართაგათებთან ჭირთმაცნედ, ჩემს ძმებს ურუზმაგსა და ხამიცს შეატყობინე — ნართი სოსლანი ზილახარის ველზე უპატრონოდ კვდება, თვალების დამხუჭავიც კი არა ჰყავს-თქო.

— უარესიც დაგმართოდეს! — ჩამოსძახა არწივმა, — დაღლილ-დაქანცულს მინდვრად სადმე ბორცვზე, ან ხის წვერზე დასასვენებლად დამჯდარს რომ დამინახავდი, მაშინვე ისარს დამიმიზნებდი — ოხრადაც კი დაგრჩენია!

ახლა ქორმა გადმოუფრინა

— ჰეი, ჭორო, — დაუძახა სოსლანმა, — გაფრინდი, ახსართაგათებს ჭირთმაცნედ მოეელინე, სოსლანს ბალსაგის ბორბალმა მუხლები წაადებინა-თქო.

— კი, კი, როგორ არა! ნართი სათანას უამრავი ქათმებიდან ერთი წიწილის მოტაცება არასოდეს დაგინებებია, უმალ ისარს დამიმიზნებდი, — უთხრა ჭორმა და გაფრინდა.

იცდის სოსლანი, რა ქნას. გადმოუფრინა თავზე ჭიკჭიკით მერცხალმა.

— მერცხალო, მერცხალო. — შესძახა სოსლანმა, — გაფრინდი ახსართაგათებთან და უთხარი, სოსლანს ბალსაგის ბორბალმა მუხლები წაადგებინა და ზილახარის ველზე უპატრონოდ კვდება-თქო.

— კარგი, — უთხრა მერცხალმა, — წავალ და თქვენებს შევატყობინებ. შენისთანა კაცის ეგრე უპატრონოდ სიკვდილი ცოდვაა. განა როდისმე დამავიწყდება, რაც შენ ჩემთვის სიკეთე გიქნია: წვიმით დასველებულს უბეში რომ ჩამისვამდი, გამათბობდი და პურის ბეღელში ჩამსვამდი.

— ხალხის საყვარელ ფრინველად დარჩი, მერცხალო, — დალოცა სოსლანმა.

ელოდება სოსლანი ნართებიდან მაშველს.

ამ ლოდინში მოფრინდა შავი ყორანი, სოსლანი ამ ყოფაში რომ ნახა, ატირდა.

— უშენოდ რალა მეშველება, სოსლან, შენი წყალობით მაძღარი ვიყავი. შენი წყალობით ყველა ხევი და ყველა ფლატე ხორცით სავსე მხვდებოდა.

— დარდით ველარას მიშველი. გიჯობს, მოხვიდე და ჩემი სისხლით გამოძღე, — უთხრა სოსლანმა ყორანს.

— ეჰე-ჰე, სოსლან, მაგას როგორ მეუბნები, მე ხომ ნამდვილად მედარდები, — იწყინა ყორანმა.

მიუხვდა სოსლანი გულწრფელობას და დალოცა:

— ღმერთმა ისეთი ბედი მოგცეს, ლეში ცის დასალიერს რომ იყოს, მისი სისხლი თვალწინ სვეტად აგემართოს და ამით აგნებდეს!

გაფრინდა ყორანი.

ახლა ყვავმა გადმოუფრინა თავზე და ატირდა:

— ვაი, ჩემო მარად სავსე სუფრავ, ყველა ხევს რომ ნორცით სავსეს მახვედრებდი. უშენოდ როგორღა მეცხოვრება!

— დარდი არას მოგცემს. გიჯობს, მოდი, აგერ დასამიწებლად ჭცეული ჩემი ხორცით ან შედედებული სისხლით გამოძეხი, — უთხრა სოსლანმა.

ყვავიც ახლოს მიუჩოჩდა და მაშინ დასწყევლა იგი სოსლანმა:

— შეხი დღე და წუთისოფელი ხეზე დაკიდულს გაგეტარებინოს. დღეს ხალხის წყევლაში აღამებდე, მაგრამ შენი წყევლა არავის უცხადდებოდეს.

ამის შემდეგ მხეცებმა დაიწყეს მოსვლა. პირველად დათვი მოვიდა, თავ-პირი დაიტორა და აბურდღუნდა:

— რაღა მეშველება, სოსლან, შენ რომ აღარ მეყოლები. მე ხომ შენი საკვებით ნაკვები ვიყავი და შენი სასმლით წყურვილდამცხრალი.

— ნუღარ დარდობ დათვო, დარდით ვეღარაფერს შემმატებ, გიჯობს, აგერ მიწაში წასაღები ჩემი ხორცით გამოძღე, — უთხრა სოსლანმა.

— ეგ რა მითხარი! — შეიცხადა დათვმა და ტირილს უმატა.

— ღმერთმა ქნას, შენი კვალი ხალხს შიშს გვრიდეს და გამოქვაბულში ხუთი თვე უქმელ-უსმელად გაგაძლებინოს, — დალოცა დათვი სოსლანმა.

წავიდა დათვი; ახლა მგელმა გამოიარა და შეჰღრიალა:

— რაღა მეშველება, სოსლან, შენი წყალობით მაძღრისად ვცხოვრობდი, ყველა ხევსა და ღარტაფს დახოცილი ნადირის ხორცით მივსებდი! ახლა უშენოდ როგორღა უნდა ვიცხოვრო!

— ნუღარ დარდობ, მგელო, დარდი ვერაფერს გიშველის, — უთხრა სოსლანმა, — გიჯობს, აგერ საიქიოს წასაღები ჩემი ხორცით გამოძღე.

— ეგ როგორ მითხარი, — კიდევ უფრო ძლიერ აღრიალდა მგელი, — მე მაგას როგორ ვიზამ!

დაიჯერა სოსლანმა მგლის გულწრფელობა და დალოცა:

— ღმერთმა ისეთი ბედი მოგცეს, პირუტყვზე დაცემისას ჩემი გული გქონდეს, უკან დაბრუნებისას — გასათხოვარი ქალიშვილისა, კისერში კი ჩემი ნეკი თითის ღონე ჩაგიდგეს.

მგელიც გაშორდა. სად იყო, სად არა, ახლა მელა მოცუნცულდა კუდის ქნევით.

— ვაი, რა მეშველება უშენოდ, სოსლან! — მოთქვამს ცბიერი მელაკუდა.

— ტირილს შეეშვი, მელიავ, — უთხრა სოსლანმა, — გიჯობს, მოდი და მიწაში წასაღები ჩემი ხორცით გამოძეხი.

მიცუნცულდა მელა სისხლის ლოკვით და მუხლზე ხორცს რომ წაეტანა, დაუღრიალა სოსლანმა:

— წყეულიმც იყავ! ისეთი დღე დაგადგეს, ხალხი მხოლოდ ტყავისათვის გეძებდეს, შენი ხორცი კი საჭმელად უვარგისი იყოს!

გაიქცა მელა, აბა, რას იზამდა...

ამასობაში მერცხალმა ნართების სოფელს მიაღწია. შემოსკუპდა ახ-სართაგათების სახლის თავხეზე და აჩიკჭიკდა: „თქვენს სოსლანს ზილახარის ველზე ბალსაგის ბორბალმა მუხლები წააგდებინა და უპატრონოდ კვდება, თვალის დამხუჭავიც არავინა ჰყავს“.

ნართები — დიდი თუ პატარა — ერთხმად აკივლდნენ და ჯგუფ-ჯგუფად დაიძრნენ და ზილახარის ველისაკენ ერთმანეთს ასწრებდნენ.

სირდონმა ცხენი გააჭენა, ყველას გაუსწრო, სოსლანთან პირველი მიჭრა და მიახალა:

— ვაი-ვაი, სოსლან, სიკვდილი აქამდეც გმართებდა! მოდის ჯგუფ-ჯგუფად შენი სოფელი, ყველა ჯგუფს წინ მომღერალი მოუძღვის, დანარჩენები ბანს აძლევენ და მხიარული სიმღერით მოიჩქარიან.

სოსლანმა ეს რომ გაიგონა, ნაღვლით გული როგორ არ გასკდომოდა! აგერ ზარით და მოთქმით მოაღწიეს თანასოფლელებმა, ქალები თმებს იგლეჯდნენ, კაცები თავ-პირში იცემდნენ.

სოსლანმა უთხრა მათ:

— თქვენს მოსვლამდე სირდონმა აუგი ამბავი მომიტანა, ერთი დამანახვეთ, რა იქნა.

სირდონს ვიღა იპოვნიდა, ადგა და სადღაც მიიმალა.

ნართების ახალგაზრდობამ წამოიყვანა იქიდან სოსლანი. გზაზე კვლავ აედევნათ სირდონი. გვერდით გაჰყვა სოსლანს და გააგონა:

— ვაი, შე საცოდავო, სოსლან, რა გიყვეს შენმა საყვარელმა სახლიკაცებმა: გველის ქერეჭის კუბო დაგიმზადეს, ბაყაყის ტყავისა — სუდარა.

მოიყვანეს სოსლანი თავის სახლში. მან თავისიანებს უთხრა:

— ჩემო სახლიკაცებო, სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი კუბო და სუდარა-სამოსი მაჩვენეთ.

— რად გინდა წინასწარ მათი ნახვა, განა დასაწუნი კუბო და სუდარა მოგიმზადეთ. შენ ჩვენი გაჭირვების ტალკვესი იყავი და არ იცი, რომ უბრალო კუბო-სუდარას არ გაკადრებდით?

— არა, — დაიჟინა სოსლანმა, — სირდონმა ისეთი სიტყვა ჩამაწვეთა, ეჭვი შეპარება.

მაშინ გამოუტანეს და აჩვენეს, რაც სამკვდროდ დაუმზადეს — სუდარა წმინდა აბრეშუმისა იყო, კუბო — ბაჯაღლო ოქროსი. სოსლანმა სთხოვა მათ, ჩაეცმიათ ცოცხლისათვის სამკვდროდ გამზადებული სამოსი და ჩაეწვინათ კუბოში.

საიქიოდან სოსლანს ქავთი-სარ-ხვიანდონ ალდარი გამოეცხადა და უთხრა:

— მე საიქიოს სამოთხეში ვარ და მსურს შენც ჩემთან მოხვიდე.

— მიამბე, ერთი, რით დაიმსახურე, რისთვის მოხვდი სამოთხეში? — ჰკითხა სოსლანმა.

— ხელგაშლილი, პურმარილიანი კაცი ვიყავი და იმიტომ მხვდა წილად სამოთხეში ყოფნა.

— გიჯობს, გამეცალო! ეგრე თევზის სუნად აყროლებულის გვერდით მიმავალს ვინც დამინახავს, რას მეტყვის?

ახლა ღარიბი კაცის ხარი გამოეცხადა სოსლანს:

— სოსლან, მე საიქიოს სამოთხეში ვარ, მსურს შენც ჩემთან იყო, — უთხრა ხარმა.

— მითხარ, რით დაიმსახურე? — ჰკითხა სოსლანმა.

— ღარიბი კაცის ხარი ვიყავი. ყველა ცალი ხარის პატრონთან ჭაპანი ერთგულად მიწევია. ხართაშვების შესვენებაზე პატრონის ხარს თივას აჭმევდნენ, მე ნაბაგს მომიყრიდნენ. ამიტომ მერგო სამოთხე, — უთხრა ხარმა.

— წადი, შენ ალბათ, ქედი გექავებოდა, ახლა მეც შენთან ვიარო?! ხარი ხარ, მეტი ხომ არაფერი.

ახლა საიქიოდან ერთი ღარიბი კაცის ბიჭი გამოეცხადა.

— სოსლან, ბიჭი ვარ, კი არ უნდა გიბედავდე, მაგრამ საიქიოს სამოთხე მხვდა წილად და მსურს შენც ჩემთან იყო.

— შენ რითიღა ისახელე თავი, რისთვის გერგო სამოთხე? — ჰკითხა სოსლანმა ამასაც.

— მე დედისერთა ბიჭი ვიყავი, — დაიწყო ბიჭმა, — სამმა ამპარტავანმა. ღვთისაგან განებივრებულმა მხედარმა უმიზეზოდ მომკლა. სულის ამოსვლის წინ დედაჩემს დავუბარე: „იარაღი თან ჩამაყოლე და სამჯერ ზედიზედ შაბათობით საკურთხი გამიკეთე ხოლმე-მეთქი“. დამასაფლავა დედამ, იარაღიც ჩამაყოლა და სამჯერ შაბათობით საკურთხიც გამიმზადა. პირველ შაბათს, რომ მოჰქონდა ჩემს საფლავზე საკურთხი, ღმერთმა ის სამი ამპარტავანი მხედარი სასაფლაოზე გამოატარა. დედაჩემმა ქალებს უთხრა: „დაუძახეთ მაგ მხედრებს, ჩემი ბიჭის ტოლებია, კარგად გაუმასპინძლდით“. შიმოაბრუნეს სამივე და ჩემთვის გამზადებული საკურთხით კარგად აპურმარილეს; მერე ის ბიჭები ადგნენ და წავიდნენ. გზაში ერთი მეორეს ეტრაბახება: „მე რომ არ ვყოფილიყავი, ახლა ვინ გაქეიფებდათ“. „არა, ჩემი მოფიქრებული იყო ეს საქმე, არა — ჩემიო,“ — ცალ-ცალკე ყველა მათგანი ჩემულობდა ჩემს მოკვლას და ასე მილაზღანდარობდნენ. გაიგეს, მეორე შაბათსაც რომ უნდა მოეტანა საფლავზე საკურ-

თხი დედაჩემს და ცხენებზე ამხედრებულებმა ისევ ჩამოიარეს სასაფლაოზე. უფრო გულუხვი სუფრა. დახვდათ და უფრო უკეთესადაც გაუმასპინძლდნენ. წინანდელზე კიდევ უფრო მხიარულად, სიცილ-ხარხარით წავიდნენ თავისი გზით — ჩვენი ფეხების წყალობით გვაქვს ეს ყველაფერიო. მესამე შაბათსაც გამოიარეს, უკვე იცოდნენ — წესისამებრ მესამედაც რომ გამიწყობდნენ სუფრას. კვლავ კარგად გამოძღნენ ჩემი სულის მოსახსენებლად გამზადებული პურ-მარილით და წავიდნენ. მიდიან წინანდელზე უფრო მეტად გამხიარულებულები, მილაზღანდარობენ; ვეღარ დამაკავეს საფლავის ლოდებმა, ამოვედი ზევით და სამივე დავხოცე. აი, ამისთვის მერგო სამოთხე.

— აბა, მაშ შენთან მოვდივარ, საიქიოდანაც რომ შეგძლებია სისხლის აღება! — უთხრა სოსლანმა და თავის ძმებს მიმართა: — ეი, ხამიც და ურუზმაგ, გამითხარეთ საფლავი; ერთი სარკმელი აღმოსავლეთით დაატახეთ, რომ დილის მზემ დამხედოს, მეორე — შუა ადგილას, რომ მზემ შუადღითაც მიყუროს და მესამე — დასავლეთით, რომ საღამოთიც მიყურებდეს. ჩემი მშვილდ-ისარიც თან ჩამაყოლეთ. ოღონდ დარდად ერთი რამ მიმყვება. სანამ ბალსაგის ბორბლისაგან ჩემ სისხლს ვინმე აიღებდეს, მანამდე მოსვენება არ მექნება. ვინ აიღებს ჩემ სისხლს?

ნართებმა ყველამ უკან დაიხია: ვერავინ შებედა ბალსაგის ბორბალს. წინ წამოდგა სოსლანის დისწული და უთხრა:

— სოსლან, მაშინ ჩემს ტოლ-სწორს გამოვაკლდე, თუ ორად გახეთქილი ბალსაგის ბორბალი ძეგლად არ დაგადგა!

ამის გაგონებაზე სოსლანმა მშვიდად ჩააწვენინა თავი სამარეში. როგორც დაიბარა, თავისი მშვილდ-ისარი თან ჩააყოლეს და სამარესაც სამი სარკმელი დაატანეს.

გავიდა რამდენიმე ხანი და ხამიცმა და ურუზმაგმა სირდონს უთხრეს:

— სოსლანის ცხენი უმხედროდ გაველურდება; თუ კაცი ხარ, ზოგჯერ შეჯექი ხოლმე.

გათაგის ბიჭმა თავი ისე დაიჭირა, ვითომ არც გახარებია და შესტირა:

— ენა როგორ მოგიბრუნდათ მაგის სათქმელად? მომიკვდა თავი, ჩემი ძმის ცხენზე მე შევჯდე...

— რას იზამ, სირდონ... უნდა შეჯდე.

სირდონი კვლავ აწუწუნდა, მაგრამ მაინც დაეთანხმა და იმის შემდეგ სოსლანის ცხენს საკუთარივით იყენებდა. რამდენჯერაც შეჯდებოდა, იმდენჯერ ნიშნის მოგებით იტყოდა:

— აჰა, სოსლან, უარესი რაღა უნდა დაგემართოს, დამრჩა თუ არა შენი მემკვიდრეობა!

შეჯდა ერთხელაც სოსლანის ცხენზე და სასაფლაოზე წავიდა. დააშენებდა საფლავის ირგვლივ ცხენს და ნიშნს უგებდა:

— ჰეი, სოსლან, აი რას მოვესწარ, შენი ნაქები ცხენი მე დამრჩა. — გაჰყვირის საფლავისკენ, — დღეს სამარეზეც ცხენივით უნდა გადაგაჯდე! — ჩამოხტა ცხენიდან და სოსლანის სამარეს ზედ შუა სარკმელზე გადაელაჯა.

დაჯდა თუ არა სარკმელზე, ესროლა ქვემოდან ისარი სოსლანმა და — შენს მტერს, — სირდონმა ტვინი ცას შეასხა.

მოკვდა სირდონი.

— შენი ჯავრი ხომ ვიყარე, — თქვა სოსლანმა, — ახლა ბალსაგის ბორბლისაგან რომ ამაღებინა ჩემი სისხლი, მოვისვენებდი.

სოსლანის დისწული ქურდალაგონთან ავიდა და უთხრა:

— რკინის დიდი კეტი გამიკეთე.

ქურდალაგონმა გაუკეთა დიდი კეტი. წამოიღო ბიჭმა კეტი და ბალსაგის ბორბალს შეუთვალა:

— ხიზის ველზე გამოეშურე, შენთან შებმა მსურს და ნუ დამემალები!

— მე ყოველთვის მზად გახლავარ! — შემოუთვალა ბალსაგის ბორბალმა.

წამოვიდა ბიჭი თავისი დიდი კეტით ხიზის ველისაკენ.

გადმოეშვა ბალასაგის ბორბალიც გრიალ-გრიალით.

მარჯვედ დაუხვდა ბიჭი, დასცხო თავისი რკინის კეტი ნეკნებზე და ერთიც აღარ შეარჩინა მთელი.

შეშინდა ბალსაგის ბორბალი, გადაიქცა გარეულ იხვად და გაფრინდა. გადაიქცა ბიჭი ქორად და გამოუდგა. შეშინებული ბალსაგის ბორბალი ლელიანში შევარდა.

იქცა ვაჟი ისევ ადამიანად, ხელი ხელს შემოჰკრა და იმდენი ნაპერწკალი გაჰყარა, ლელიანს ხანძარი მოედო.

დაფრთხა ბალსაგის ბორბალი, ტყის ქათმად იქცა და მაღლა აფრინდა. სოსლანის დისწულმა დაინახა თუ არა, არწივად გადაიქცა და გამოუდგა. ბალსაგის ბორბალს რომ გაუჭირდა, ნართების სოფლისაკენ გამოფრინდა-და კუდიანი ქალის სახლში შევარდა.

დაინახა ბიჭმა, კვლავ ადამიანად გადიქცა და მივიდა კუდიან ქალთან:

— აქ, შენს სახლში ტყის ქათამი რომ შემოფრინდა, რა იქნა? მითხარი ჩქარა, თორემ შვილებიანად გადაგბუგავ! — დაემუქრა ბიჭი.

შეშინდა ქალი და უთხრა:

— სასაფლაოზე ავიდა და ყველაზე ახალი მიცვალებულის სამარეში ჩაძვრა.

გადაიქცა ბიჭი ბუღად. ავიდა სასაფლაოზე, იმ ახალ საფლავს მიადგა და თხრა დაუწყო. ქვემოდან ბალსაგის ბორბალმა ამოსძახა:

— ოხრად დაურჩი შენს პატრონს! მე აქ სოსლანის დისწულს ვემალები, რატო თავს არ დამანებებ!


მისი ხმა რომ გაიგონა, ისევ ადამიანად გადაიქცა ბიჭი და ჩასძახა:

— სწორედ ის გახლავარ, ვისაც ემალები!

გადათხარა საფლავი, დასტაცა ხელი, სოსლანის საფლავზე მიარბენინა და სოსლანს ჩასძახა:

— სოსლან, შენთვის დამიკურთხებია ბალსაგის ბორბალი! დაე, საიქიოს შენი მსახური იყოს, სააქაოს კი ძეგლად დაგადგამ!

იძრო ორლესული, დასცხო თავში ბალსაგის ბორბალს და შუაზე გაკვეთა. ერთი ნახევარი სოსლანის საფლავს თავთით დაურჭო, მეორე ნახევარი — ფერხთით.







სირდონის დაბადება

ერთხელ ნართების პირმშვენიერი ძერასა წყალზე მიდიოდა. წყალთა მფლობელმა გათაგმა გაუცინა ქალს, თვალიც ჩაუკრა და უთხრა:

— ჩემო მზეთა მზევ, პირმშვენიერო ძერასა, შემიყვარე, თორემ წყალს არ მოგცემ!

შეეშინდა ძერასას გათაგისა და შინ ხელცარიელი გამობრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ წყლის მოსატანად მეორედ წამოვიდა; ეგონა, ამჯერად გათაგი აღარ შეხვდებოდა, მაგრამ იგი კვლავ იქ დახვდა. მეტი საშველი აღარ ჰქონდა ქალს და გათაგს დანებდა; შეეძინა მისგან ბიჭი და სახელად გათაგის ვაჟი სირდონი უწოდეს.

იზრდებოდა სირდონი ჰკვიანი, შორსმჭვრეტელი და ყოვლისმცოდნე. მან იცოდა ის, რაც მოხდა და ისიც — რაც მომავლში მოხდებოდა. ნართებს ვერ ურიგდებოდა, რადგან მათ ერთთავად ატყუებდა და აბიაბრუებდა. ნაკლებ დღეს არც ისინი აყრიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ნართები სირდონს ხშირად უბრაზდებოდნენ, მაინც ძლიერ უყვარდათ.

სირდონი გონიერი და მოხერხებული ნართელი კაცი იყო.

ნართმა გოლიათებმა — ღონით, ჭკუით და ზრდილობით გამორჩეულებმა — ურუზმაგმა, ხამიცმა, სოსლანმა, ბათრაძმა და სხვებმა შორეულ მხარეს სალაშქროდ წასვლა განიზრახეს. ადგნენ ერთ მშვენიერ დღეს და გაუდგნენ გზას. სოფელს რომ გასცდნენ, გაახსენდათ: „ჰეი, გიდი, სირდონიც რომ წამოგვეყვანა, კარგი იქნებოდა. მხიარული კაცია — ამ გრძელ გზაზე გაერთობოდით!“

მოლაშქრეთაგან უმცროსმა თქვა:

— აქ თუ დამიცდით, მე წავალ და წამოვიყვან.

— მოგიცდით, — უთხრეს, — ოღონდ სწრაფად იარე და უკანაც სწრაფადვე დაბრუნდი.

მოაბრუნა ყმაწვილმა ცხენი და მალე სირდონის სახლის წინ გაჩნდა.

შეეხმიანა:

— ეჰეი, სირდონ, გამომხედე, თუ შინ ხარ!

— აგერ ვარ, — გამოსძახა სირდონმა, გამოეგება მოსულს და ჰკითხა:

— გისმენ, რას იტყვი სასიკეთოს?

— ნართების რჩეულნი საალაფოდ მიდიან და სურთ შენც მათთან იყო.

დაფიქრდა სირდონი, დაღონდა და მოგვიანებით უთხრა, რაც აწუხებდა:

— აბა, როგორ გამოგყვეთ, ცხენი რომ არა მყავს?

— უჰ, ეგ რა თქვი, სირდონ? ჩვენი ცხენები ცხენები არ არიან, შე კაი კაცო? მაშ რის უმცროსები ვყოფილვართ? ხან შენ ივლი ფეხით, ჩვენ — ცხენით, ხან ჩვენ ვივლით ცხენით — შენ ფეხით და ასე გავლევთ გზას.

— კარგი, — დაეთანხმა სირდონი, აიკრიფა ჩოხის კალთები და სათარეშოდ მიმავლებს გამოუდგა. მიეწია სირდონი ნართ გოლიათებს და ფეხით მიჰყვა. იარეს ასე ერთი-ორი დღე. მერე სირდონმა ნართებს თავი შეახსენა:

— აბა, ნართებო, ცხენით ტარებას რომ დამპირდით, რატომ არავინ შემსვამთ. რას მიპირებთ, ფეხით სიარული რომ აღარ შემიძლია?

ურუზმაგმა პასუხად უთხრა:

— ვისაც ფეხით სიარული არ ნებავს, ცხენი სახლიდან უნდა წამოიყვანოს. ვინ გითხრა, ცხენით გატარებთო?

— ვინ მითხრა და თქვენმა გამოგზავნილმა უმცროსმა, — წყენით უთხრა სირდონმა.

ნართები კი აინუნშიც არ აგდებენ მის წყენას. გაზაფხულის ამწვანებულ, თვალწარმტაც მინდორზე მიაქურაგებენ შეკაზმულ ცხენებს და სირდონს მასხარად იგდებენ. ზოგი ცხენდაცხენ ქუდს სტაცებს, ზოგი ჯოხს წაგლეჯს ხელიდან, ზოგი ცხვირწინ ცხენს უთამაშებს. სირდონი ხმას არ იღებს და გულში იმუქრება: „მაცალეთ, ზოგი მერე იცინეთ, როცა ამ მასხარად აგდებას მწარედ გადაგიხდით“.

კიდევ ერთხელ შეეხმიანა ნართებს:

— კარგით, ხალხო, გეყოფათ, ხომ მითხარით, ცხენზე შეგსვამთო: რაშია თქვენი საქმე!

ახლა რომელმაც წამოიყვანა, იმ ყმაწვილმა უპასუხა:

— ტყუილს რად კადრულობ, სირდონ, ვინ გითხრა, ცხენით გატარებთო?

— ვინ და შენ! — უთხრა სირდონმა.

— ცრუობ, სირდონ! მე ხომ ასე გითხარი: „ხან შენ ივლი ფეხით, ჩვენ — ცხენით. ხან ჩვენ ვივლით ცხენით, შენ — ფეხით“. მოვდივართ რა ხანია და სწორედ ასეა ჩვენი მგზავრობის საქმე: შენ ფეხით მოდიხარ, ჩვენ — ცხენით; ჩვენ ცხენით მოვდივართ, შენ — ფეხით. როგორც შევთანხმდით, ზუსტად ვასრულებთ.

მიხვდა სირდონი, რომ მოტყუვდა, მაგრამ რაღას იზამდა. გადააქნევ-გადმოაქნია თავი და კრინტი აღარ დაუძრავს.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, ერთ დიდ მდინარეს მიადგნენ. დაღონდა სირდონი, წყალში როგორ გასულიყო. ურუზმაგმა შესთავაზა:

— სირდონ, მოეჯიდე კუდში ჩემს ცხენს და მდინარის იქით ამოგაყოფინებს თავს!

რას იზამდა, ჩაეჯიდა კუდში ურუზმაგის ცხენს სირდონი და შეტოპეს წყალში. შუამდე რომ შევიდნენ, ურუზმაგმა სირდონს ჰკითხა:

— სირდონ, კაცმა ფრჩხილები როდის უნდა დაიჭრას?

— როცა მოეგუნებება. — უპასუხა სირდონმაც.

გააჩერა შიგ შუა წყალში ურუზმაგმა ცხენი და ხელ-ფეხზე ფრჩხილების დაჭრას შეუდგა. სანამ ურუზმაგი ამ საქმეში იყო, სირდონს წყლის ტალღები ხან აქეთ გააქანებენ, ხან — იქით. როდის-როდის მოათავა ფრჩხილების დაჭრა ურუზმაგმა, მერე დასძრა ცხენი და სირდონთან ერთად მდინარის მეორე ნაპირზე გავიდა.

იარეს კიდევ ბევრი. სირდონს მთლად შემოაცვდა ფეხსაცმელი, რადგან ცხენებზე ამხედრებულ ნართებს სულ ფეხით მისდევდა. ერთ ადგი-

ლას გორაკი შეხვდათ. ავიდა ამ გორაკზე სირდონი და იქიდან გადმოსძახა ნართებს:

— ეჰეი, ნართებო, ღმერთმა ჯოგებით ხელდაშვენებული მიგიყვანოთ ნაალაფევის გასანაწილებელ ნართების მოედანზე. როცა თქვენი ქალიშვილები მაღლობიდან გადმოგხედავენ და სალაშქროდ წამოსულებს ქუდოსანთა მიხედვით დაითვლიან, ერთი კაცით ნაკლები რომ აღმოჩნდება, იტყვიან: ის ერთი გაუყიდიათ და ეს ჯოგები მის საფასურში პატრუკიათო.

ახლა კი შეფიქრიანდა ურუზმაგი:

— მართალს ამბობს, ამ კაცის ცხენით ტარება მოგვიწევს, — და მხედრებმა რიგრიგობით დაიწყეს სირდონის შემოსმა უნაგირს უკან. სირდონი კი რის სირდონი იყო, არაფერი მოეფიქრებინა: ყველას სათითაოდ დაპარა კვეს-აბედი და დამალა. ურუზმაგს მუდამ სამი კვეს-აბედი დაჰქონდა: ერთი სარტყელში ედო, ერთი გვერდზე ეკიდა, ერთიც უნაგირის ბალიშქვეშ ჰქონდა შემონახული. სირდონმა სამივე მოპარა.

ამ სიარულში ნართ გოლიათებს ერთგან შემოაღამდათ. ჩამოხდნენ ცხენებიდან — ჩვენც დავისვენებთ, ღამეს გავათევთ და ცხენებსაც მოვაძოვებთო.

ურუზმაგმა უმცროსებს უთხრა:

— აბა, ბიჭებო, გავარდით, წაინადირეთ. იქნებ ავსათიმ რამე გამოიმეტოს, თორემ შიმშილით ლამის გავთავდეთ და ეგ არის.

გაცვივდნენ იმ წუთს ბიჭები და მალე ნანადირევი ირემი მოიტანეს. მოაგროვეს შეშა და შეუდგნენ ცეცხლის დანთების თადარიგს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ერთს კვეს-აბედი არა ჰქონია. ეს ამბავი მისწვდა ურუზმაგის ყურს და ახალგაზრდებს გადმოსძახა:

— გონებას ცოლების კალთაში ტოვებთ და სალაშქროდ ისე მოდიხართ. თითო კვეს-აბედის ამარა რამ წამოგიყვანათ, რა ეგეთი ძნელი სამოვარი ეგ არის! მე ერთი აგერ გვერდზე მკიდია, — თქვა და მოისვა ხელი. მაგრამ სად რას ეძებ! პირკატა ეცა კაცს! ახლა წელზე მოისინჯა სარტყელი, აქაც აღარაფერი იყო და ბიჭებს გასძახა:

— არიქა, ბიჭებო, უნაგირის ბალიში მომირბენინეთ, ერთი კვეს-აბედი იქ მაქვს შემონახული!

გავარდნენ ბიჭები, დაკლული ინდაურივით ციმ-ციმ მოურბენინეს უნაგირის ბალიში, მაგრამ რის კვესი და რის აბედი — არაფერიც არ აღმოჩნდა. სირდონი კი ამ დროს ხევში ჩასულიყო და ვითომ ხმელ ფიჩხს ვაგროვებო, ტყუილად ფათურობდა. დაღონდნენ ნართები, რა ექნათ, როგორ მოვიქცეთო — შესჩიოდნენ ერთმანეთს და საშველი კი ვერ გამოენახათ.

მოგვიანებით ურუზმაგმა გაიხედ-გამოიხედა და ერთგან სინათლე შენიშნა. სირდონს უხმო:

— ეი, სირდონ! ამოდი მაღლა, ქვეს-აბედი გექნება და ცეცხლი გაგვიჩაღე!

სირდონმა ამოსძახა:

— თქვენმა მზემ, ზვიადო ნართებო, ახლა ისიც არ მომინდომოთ — ფეხით გდიოთ და ჩოხის კალთით ნაღვერდალიც გიტაროთ!

— ამოდი, მაშ და აგერ სინათლე რომ მოჩანს, იქ მიირბინე, ცეცხლი გამოართვი. — უთხრა კვლავ ურუზმაგმა.

აღარ შესიტყვებია სირდონი ურუზმაგს. უხმოდ გაემართა იქით, საიდანაც სინათლე გამოკრთოდა; პატარა მანძილი გაიარა, მერე უკანვე დაბრუნდა და ნართებს ტყუილი უთხრა:

— ცეცხლის მოცემა კი არა, ძახილზე გარეთაც არავინ გამომხედა!

მაშინ მოლაშქრეთაგან ერთი უმცროსი წამოდგა და ცეცხლის მოსატანად გაემართა. იარა სინათლისკენ და შვიდი დევის სახლში კი მოხვდა. გამოხედეს დევებმა და გაიხარეს.

— ჩვენ ცეცხლის სათხოვნად მოსულ კაცს ეზოდან როგორ გავისტუმრებთო, — უთხრეს და შიგნით შეიყვანეს. დასვეს მაგარ, საზურგიან სკამზე, შეუსხეს ქვეშ ბურამაძი* და ისე მაგრად მიეწება სკამზე ნართი ვაჟკაცი, განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. ამან რომ ძალიან დაიგვიანა, ახლა მეორე — მასზე უფროსი ნართი გამოგზავნეს, მაგრამ იმასაც წოლად მისივე ხვედრი ხვდა.

რაკი ეს ორნი აღარ და აღარ ჩანდნენ, უფროსი ნართები რიგრიგობით მიდიოდნენ ცეცხლის მოსატანად და მათზე წინ წასულთა საძებნად. პირველად სოსლანი წამოვიდა და იმასაც მასზე ადრე წამოსულთა ბედი ეწია. ვეღარც ხამიცმა მოითმინა, გამოეშურა ამხანაგების საძებნად, მაგრამ ვეღარც ის დაბრუნდა.

წუხდა ურუზმაგი, ამხანაგების დარდი არ ასვენებდა, ადგილს ვეღარ პოულობდ. ადგა და ისიც მათ კვალს გაჰყვა. მიადგა დევების სახლს და დაიძახა:

— ჰეი, ოჯახიშვილებო, გამომხედეთ ვინმემ!

დევები იმ წუთსვე გამოეგებნენ:

— ვის ეძებ? — ჰკითხეს, — თუ იმ ყმაწვილებს ეძებ, მალე გამოვლენ. მანამდე კი მობრძანდი სახლში, თბილი არაყი მიირთვი. იმათთვისაც. ცეცხლზე შემოვდგით გასათბობად და იმიტომ იგვიანებენ! მობრძანდით. ნუ გერიდებათ!

ურუზმაგმა გულში გაიფიქრა: „ამ დაღლილზე ერთი არაყი რომ დამალევინა, ცუდი არ იქნებოდა“. შევიდა დევების სახლში და რას ხედავს —

ნართები საღვთო სუფრაზე მიწვეულებივით ჩამომსხდარან. ერთიც არ წამოუდგა ურუზმაგს ფეხზე ადათის მიხედვით, მწყრალი მზერა შეაგებეს და ურუზმაგიც სკამზე მწყრალად დაეხეთქა. შეუსხეს ქვეშ ამასაც ბურამაძი და იგიც სკამზე მიეწება. შეხედავ ნართ მოლაშქრეებს და ერთიმეორის გვერდით ქვადამოსულებივით ჩარიგებულან. ფერი აღარ ადევთ და დიდრონი თვალები ნაღვლით ავსებიათ.

დევების ვეება ქვაბში კი წყალი თუხთუხებს — შიგ ნართები უნდა ჩაყარონ და მოხარშონ. ერთიმეორეზე ძლიერი შვიდი დევი სალეს ქვაზე ხმლებს ლესავდა და ნართ გოლიათებს მათ შეხედვაზე მკერდქვეშ გულები ეყინებოდათ.

ამ დროს კი სირდონმა იქ, სადაც დაბანაკდნენ, ცეცხლი გააჩაღა, ირმის მწვადები შეიწვა და კარგად გამოძღა. ირემს თირკმელები ქონიანად აძოაცალა, შეწვა. ერთი ერთ ულვაშზე დაიკიდა, მეორე — მეორე ულვაშზე და როცა შემწვარი თირკმელები ზედ მიეყინა, დევების სადგომისკენ გამოემართა. მივიდა დევების სახლთან და დაიძახა:

— რა იქენით, ზვიადო ნართებო! ალბათ, კვლავ მუცლებს გადაჰყეთ, მე კი დაბურულ ტყეში მარტო მიმატოვეთ. არ გეშინიათ, ან დათვმა რომ დამგლიჯოს, ან მგლებმა შემჭამონ? გარეთაც რომ აღარ იხედებითო!?

ამასაც გამოეგებნენ დევები და შეიპატიჟეს:

— მობრძანდი, სტუმარო, დაჯექი შენც ამათთან, წაისაუბრე.

სირდონმა დევებს უპასუხა:

— ეჰ, თქვე კაი ხალხო, მე ვინ დამსვამს მაგათთან! ეგენი ჩემი ბატონები არიან, მაგათთან როგორ დამეჯდომება? ჯობია, დაუძახოთ და გზას გავუდგებით.

დევები არ დაეთანხმნენ. ძალით შეიყვანეს შინ სირდონი. მან რიგში მსხდომი ნართები რომ დაინახა, მიხვდა, ტყუილად არ იყვნენ ასე გაშეშებულები და მათ გვერდით დაჯდომაზე უარი თქვა. ნართების დასანახად ჯიბრზე ულვაშებზე დაკონწიალებულ შემწვარ თირკმელებს გვერდულად ილოკავდა.

დევები ჩააციცქნენ:

— სტუმარო, შენც ამათ გვერდით დაბრძანდი!

— არა, მაგათთან ჩემი დაჯდომა არ შეიძლება. ერთ ძირგავარდნილ კასრში ნაცარი ჩამიყარეთ დ იმაზე დამსვით, შინაც ეგეთზე ვზივარ ხოლმე, — უთხრა მათ სირდონმა.

დევებმაც უძირო ძველ კასრში ჩაუყარეს ნაცარი, დაასხეს ბურამაძი და დაუდგეს. დაჯდომამდე სირდონმა კასრი ცალ მხარეს გადააყირავა, ნაცარი და ბურამაძი გადაიპნა და სირდონიც უძირო ჭურჭელზე ჩამოჯდა.

დევებმა სირდონს ჰკითხეს:

— თქვენში საკლავს სიმსუქნეს როგორ უსინჯავენ?

სირდონმა უპასუხა:

— ჩვენში საკლავს ხელით ამოწმებენ; თუ რბილია, მაშასადამე მსუქანია.

დევებმაც გოლიათ ნართებს დაუსვეს კისრებზე ხელი და სიმსუქნე შეუმოწმეს. სოსლანს სქელი კისერი ჰქონდა და ყველაზე მსუქნად ის მიიჩნიეს. ააგლიჯეს სკამს და მაგიდაზე საკლავივით გაშოტეს.

როგორც კი სოსლანისათვის დანა უნდა დაესვათ, სირდონი წამოხტა და დევებს უყვირის:

— ჰაი, თქვე ღორმუცელობით განთქმულებო! რას ჩადიხართ? ვგონებ მუცლის ამოსაყორად ირჯებით?

დევები გაშტერდნენ, გაუკვირდათ, როგორ აეხსნაო სკამიდან. მერე უთხრეს:

— მუცლისთვის ვირჯებით, მუცლისთვის! აბა, რა გინდა გავაკეთოთ?

— ეს ხალხი რისთვისაც გეახლათ, ჯერ ის არ გაგიგიათ და სხვა საქმეს შესდგომიხართ.

— აბა, შენმა სიკეთემ, გვითხარი ერთი, რისთვის გვესტუმრნენ. — უთხრეს დევებმა სირდონს.

— მომისმინეთ და გიამბობთ: მთელ ნართებს საკამათოთ გახდომიათ — სამჭედლო იარაღებიდან რომელია უფრო აუცილებელი და საჭირო. სწორედ ამის გასაგებად გამოგზავნეს თქვენთან თავიანთი ახალგაზრდები და უფროსობა. გააგებინეთ ახლა რომელი მიგაჩნიათ მჭედლობაში ყველაზე საჭირო იარაღად, — უთხრა სირდონმა დევებს.

დევებში ყველაზე უფროსმა სხვებს არ მოუცადა და წამოიყვირა:

— სამჭედლო იარაღებში ყველაზე საჭირო გრდემლია!

— არა! ყველაზე მთავარი საბერველია! საბერველი რომ არ იყოს, პირით დაუბერავ? — დაიჩემა მეორე დევმა.

— მაშა რომ არ იყოს, გახურებულ რკინას ხელით დაიკავებ? — თქვა მესამემ.

მათ ლაპარაკზე მეოთხეს ბრაზი მოერია და უყვირა:

— ურო რომ არ იყოს, ცხელ რკინას მუშტით გააბრტყელებ? უროა მთავარი, ურო!

სირდონმაც იდროვა, ჩაეჭიდა მის ნათქვამს და გააქეზა:

— შენ ყველაზე მართალი თქვი. აბა, ჩამოუარე ამათ მაგ უროთი და დაარწმუნე, რომელია მთავარი სამჭედლო იარაღებში.

იმ დევმა, რომელსაც ურო ეჭირა, მოიქნია და ერთ ძმას შიგ თავში ჩასცხო. ამის დანახვაზე დაერივნენ ერთიმეორეს დევები და შენს მტერს,

რაც იმათ ერთმანეთს დამართეს. რომელსაც ხელიდან იარაღი გაუვარდებოდა, სირდონი სწრაფად მიაწვდიდა და აქეზებდა:

— მოგკლა და ეგ არი, რა გულბოროტი ძმა გყოლია!

სირდონის სიტყვა მოჩხუბრებს ცეცხლს უნთებდა და იმდენი ჭნეს, სანამ ერთმანეთი არ ამოხოცეს.

ნართებმა შვებით ამოისუნთქეს, თვალებში იმედის სხივი ჩაუდგათ, სირდონი და სოსლანი იღებდნენ მდუღარე ქვაბიდან ცხელ წყალს და ნართებს ქვეშ უსხამდნენ, სანამ სკამებს არ მოაცილეს. ბარძაყის კანი სკამებზე შერჩათ და ცხენებზე რომ შესხდნენ, აქეთ-იქით იღრიცებოდნენ, სწორად ჯდომა აღარ შეეძლოთ. სირდონი სიცილით კვდებოდა და აქილიკებდა:

— ვაი, თქვენს მოსწრებას, ზვიადო ნართებო, — მეტისმეტი ამპარტავნობით ცხენზე სწორადაც აღარ ჯდებით!

ბრაზობდნენ ნართები სირდონზე, მის დაცინვას ძოძინებიდან გამოჰყავდა. ადგნენ და ერთ ადგილზე ხე წვერით მოიწიეს, სირდონი ულვაშებით მიაბეს ზედ და აუშვეს. დარჩა კაცი ხის წვერზე დაკონწიალებული.

„ახლა კი რაც მეკუთვნოდა, ის დამმართეს“, — თქვა გულში სირდონმა.

იყო ასე დაკიდული ხეზე და ცოტა ხანში ბალღას ბატონის მწყემსმა სტევენა-სტევენით ამ ხის ქვეშ ფარა ჩამოატარა. დაინახა ხის კენწეროზე ჩამოკონწიალებული კაცი და დაუყვირა:

— კაცო, ღვთის გულისათვის, გამაგებინე, მანდ რას აკეთებ?

— რასაც ვაკეთებ ის თუ გითხარი, ჩემი ადგილი მოგინდება. გირჩევნია, შენს გზას ეწიო, — ჩამოსძახა სირდონმა.

— ოღონდ მითხარი, მანდ რას აკეთებ და შენი არაფერი მინდა, — შეეხვეწა მწყემსი.

— რაკი აღარ მეშვები, გეტყვი. აბა, აიხედე, ღმერთი კალოს ლეწავს. რაც ეს დავინახე იმის შემდეგ აღარც საჭმელი მინდება აღარც — სასმელი.

— შენმა სიკეთემ, ჯერ ღმერთი თვალით არ დამინახავს, გეხვეწები, მეც დამანახვე რა, — შეეხვეწა მწყემსი.

მწყემსმა შეჰფიცა სირდონს როგორც კი ღმერთს დაანახვებდა, თავის ადგილს უკანვე დაუბრუნებდა. სირდონმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ხიდან ჩამოსვლა არ უნდოდა და მწყემსს უთხრა:

— აბა, მაშ მოიწიე ხე, ამხსენი და ხის წვერზე მე თვითონ მაგრად შიგაბამ, თორემ მაგრად თუ არ იქენი მიბმული, ღმერთის ცქერისას ვაითუ გადმოვარდე.

დაიწია მწყემსმა ხე და სირდონი ახსნა. მან კი ხის წვერს მიაკრა

მწყემსი, მერე აუშვა ხელი და კაცი ხის წვერზე დაკიდული დარჩა. იყურებოდა ცაში მწყემსი, მაგრამ ღმერთი ვერსად დაინახა და სირდონს დაუძახა:

— თვალიდან აქამდე როგორც ვხედავდი, ისე კარგად ვეღარ ვხედავ!

სირდონმა ასძახა:

— მოითმინე, მეგობარო, ნუ გეშინია. პატარა ხანს კიდევ დარჩებოხის წვერზე და სულაც ვეღარაფერს დაინახავ.

გამოირეკა მწყემსის ჯოგები და ნართებთან ჩამორეკა.

ნართები დიდ ნიხასში ისხდნენ. სირდონისა და ჯოგების დანახვამ ყველა ძლიერ გააკვირვა!

— ეს ჩვენი ქაჯი ნაალაფევით ხელდამშვენებული არ დაგვიბრუნდა! ჩვენ კი გვეგონა, დაიღუპებოდა.

სირდონმა მათ უპასუხა:

— ა, საქონელი და გაინაწილეთ! უქნარას მე მეძახით, მაგრამ უქნარები თქვენ ხართ. ბალღას მინდვრები უპატრონო ჯოგებით არის სავსე და იქიდან ერთი საკლავი ვერ მოგიყვანიათ, თქვე უბედურებო.

ამის თქმაზე ნართები ბალღას მინდვრებისაკენ დაიძრნენ. ბალღას ლაშქარი კი თავიანთი ჯოგებისა და მწყემსის საძებნად წამოსულიყო. შეიყარნენ გზად ნართები და ბალღას ლაშქარი და ერთმანეთს ცემა-ტყეპა აუტეხეს.

უკან დაბრუნებულმა ნართებმა იალაღებზე გამოიარეს და ჯიბრზე სირდონის ცხენს დრუნჩი მოაჭრეს. რომელიღაცამ ეს ამბავი სირდონს შეატყობინა. წავიდა სირდონი რემაში, ნართების ცხენებს კუდები დააჭრა და ყველას უკანვე ჩასჩარა. თვითონ, ვითომც არაფერი მომხდარიყოს, მივიდა კვლავ ნიხასში და დაჯდა.

დაბრუნდა საძოვრებიდან ნართების ცხენების რემა. სირდონის ცხენიც მოდის. შეხედეს ნართებმა და სიცილით ჩაბჟირდნენ. ჰკითხეს სირდონს:

— სირდონ, ე შენი ცხენი სიცილით რომ მოდის, ნეტა რა აცინებს?

— სასაცილოს ხედავს და ეცინება, — უპასუხა სირდონმაც.

ამის თქმაზე გახედეს თავიანთ ცხენებს ნართებმა და კუდი ერთსაც აღარ ება. ძალიან გაუბრაზდნენ ნართები სირდონს. დაღუპვა მოუნდომეს, მაგრამ ვის შეეძლო სირდონის დაღუპვა! მდინარეში რომ გადაგეგდო, მშრალი გამოვიდოდა — იგი ნართებს ასე ძლიერ იმიტომ უყვარდათ.

აი, ასეთ დღეს აყრიდა ნართებს გათაგის ვაჟი სირდონი.

ნართები საერთო საკრებულო სახლს აშენებდნენ. მთელი წელიწადი საგულდაგულოდ ირჯებოდნენ, რომ სირდონს შენობისთვის წუნი არ დაედო. სახლი როცა დაასრულეს, თქვეს:

— ვაჩვენოთ ახლა ჩვენი სახლი სირდონს. ვნახოთ, გამოუნახავს თუ არა წუნს?

გაგზავნეს სირდონთან სოსლანი.

ჩავიდა სოსლანი და დანაბარები გადასცა:

— ნართები კრებაზე გიხმობენ.

სირდონმაც უპასუხა:

— წამოვალ!..

გამოემართნენ ორივე ერთად. მოვიდნენ ნართების საერთო სახლში. ნართები ყველანი იქ დახვდნენ. სირდონს მიმართეს:

— მოგწონს ჩვენი სახლი, თუ რაიმე ნაკლს ამჩნევ?

სირდონმა დაათვალიერა სახლი, ყველა კუთხე-კუნჭული შეამოწმა.

— კარგია, მაგრამ... — თქვა, ადგა და წამოვიდა.

გამოუდგა უკან სოსლანი და ჰკითხა:

— სად გარბიხარ, სირდონ, რატომ არაფერი გვითხარი?

— რა უნდა მეთქვა? — უთხრა სირდონმა.

— „მაგრამაო“.., — რად დააყოლე სათქმელს?

— რათა და სახლი კარგია, მაგრამ შუაში არაფერი აქვს და იმიტომ.

ეს უთხრა სირდონმა, მეტი არაფერი და წამოვიდა. გამობრუნდა სოსლანი უკან და შეკრებილთ უამბო:

— დაიწუნა სახლი სირდონმა, შუაში არაფერი აქვსო.

ნართები დაფიქრდნენ, რატომ თქვა ასე სირდონმა, რა უნდა იყოსო სახლის შუაში და სოსლანი მიხვდა.

— სახლს შუაში ნაჭა რომ არ აქვს, იმიტომ დაგვიწუნა.

გააკეთებინეს ნართებმა დიდი ჯაჭვი — ნაჭა, როგორც წესი და რიგი იყო! შუაში ჩამოკიდეს და თქვეს.

— სირდონი კიდევ უნდა მოვიყვანოთ.

სირდონთან ისევ სოსლანი გაგზავნეს. მოვიდა მეორედაც სირდონი ნართების საკრებულო სახლში და კვლავ ჰკითხეს:

— სირდონ, დაათვალიერე სახლი და გვითხარი, კიდევ რა ნაკლი აქვს.

კარგა ხანს ათვალიერე სირდონმა სახლი და:

— კარგია, მაგრამ... — კვლავ აღარ დაასრულა სათქმელი და წამოვიდა.

გამოჰყვა უკან ხამიცი და ჰკითხა:

— სირდონ, სახლი მოიწონე, კარგიაო თქვი, „მაგრამ“ რაღად დააყოლე?

— კარგია სახლი, გითხარით, მაგრამ აღმოსავლეთის კუთხეში არაფერი აქვს და „მაგრამაც“ იმიტომ დავაყოლე, — უპასუხა სირდონმა.

წავიდა სირდონი შინისკენ. ხამიცი მიბრუნდა სახლში მსხდომ ხალხთან და უამბო:

— სირდონმა სახლი ისევ დაგვიწუნა, აღმოსავლეთის კუთხეში არაფერი აქვსო.

დაფიქრდნენ ნართები, რას გულისხმობსო სირდონი და გამოიცნეს:

— სირდონი სახლს იმიტომ იწუნებს, რომ სახლის კუთხეს ქალი არ ამშვენებს.

მოიპატიჟეს ქალი, გამოაწყეს საპატარძლოდ, დააყენეს კუთხეში და თქვეს:

— უკანასკნელად კიდევ უნდა დავუძახოთ სირდონს!

თქვეს, მაგრამ მის დასაძახებლად აღარავინ მიდიოდა.

მაშინ ხამიცმა თქვა:

— კარგით, მე მომანდეთ, აბა, ეგ საქმე. წავალ და ძალითაც წამოვიყვან, თუ ნებით არ წამოვა.

ხამიცი სირდონის მოსაყვანად გაემართა. მივიდა მის კარებზე და დაუძახა:

— გამომხედე გარეთ, სირდონ!

სირდონი ჯერ არა და არ გამოდიოდა, მოგვიანებით გამოხედა და ჰკითხა:

— რა იყო, რა გინდა, ხამიც?

— ნართების კრებული გიხმობს თავის ახალ საერთო სახლში და წამოდი!

სირდონმა უთხრა:

— საჭმელ-სასმელად რომ დასხდებით ხოლმე, რატომ მაშინ არ მეძახით? არ წამოვალ! — თქვა და სახლისაკენ შეტრიალდა. წაავლო ხელი ხამიცმა და უთხრა:

— წამოუსვლელობა არ იქნება, სირდონ!

გაჯიუტდა სირდონი, არ მოსდევდა. ხამიცმა ერთი ორი წაუთაქა და მაშინ კი განაწყენებული და დაბოლმილი გაჰყვა მას ნართების ახალი სახლისაკენ. მივიდა, მიიხედ-მოიხედა სახლში და თქვა:

— ეგრე! აქამდე სახლი არ იყო, ახლა უკვე სახლია.

ნართებმა გაიხარეს, რაკი სახლს მეტი ნაკლი აღარ აღმოაჩნდა.

დაბრუნდა შინ სირდონი, მაგრამ ხამიცმა რომ მოუთაქა, ამაზე ძლი-

ერ განაწყენებული იყო. ჩაიდო გულში წყენა და სულ ამას ფიქრობდა, ჯავრი რით ეყარა. კიდეც მოიფიქრა.

ხამიცს შვიდი წლის ბერწი ძროხა ჰყავდა. ძროხა ისეთი მსუქანი იყო, კანი ზედ ასკდებოდა. ხალხი მის სანახავად მოდიოდა. სირდონმა გადაწყვიტა მოეპარა იგი. მივიდა ერთ ღამეს ბოსელთან, სადაც ძროხა ჰყავდა ხამიცს დაბმული, მაგრამ კარი ვერ გააღო. დაბრუნდა შინ გაწბილებული და დაიწყო ფიქრი, ძროხა რა გზით, რა საშუალებით ჩაეგდო ხელში. ერთ დღეს ადგა და ხამიცის ბოსელში დაიმალა. სადამოთი, საქონელი რომ საძოვრიდან დაბრუნდა, ხამიცმა დააბინავა და ბოსლის კარი მაგრად ჩაკეტა. სირდონიც ბოსელში იყო. დაიძინა ხალხმა და სირდონმა კარის ანჯამებს დაუწყო აძრობა. დააძრო ანჯამები, გააღო კარი, გამოიგდო ძროხა და ხიდის ყურში რომ სახლი ჰქონდა, იქ წაიყვანა. სირდონის ამ სახლის ასავალ-დასავალი არავინ იცოდა. აქ მისი ცოლ-შვილი ცხოვრობდა, თვითონ კი სოფლის ბოლოს რომ სახლი ედგა, იქ ცხოვრობდა. დაკლა ძროხა და თავის ცოლ-შვილთან ერთად მოულხინა.

ხამიცმა სად არ ეძება ძროხა, თავის სოფელში თუ ახლომახლო სოფლებში. გადაეგო ამ საქმეს, მაგრამ ვერსად კვალს ვერ მიაგნო. ბრაზისაგან გულს ასკდებოდა.

„რა ვქნა? — იფიქრა ხამიცმა, — მოდი, კუდიან ქალთან სამკითხაოდ წავიდე". მივიდა კუდიან ქალთან და უთხრა:

— ასეთი და ასეთი საქმე დამემართა. ვეძებ ძროხას და ვერ მიპოვნია. შენთან მოვედი საკითხავად და მასწავლე რამე.

კუდიანმა ქალმა უთხრა:

— აქამდეც რომ მოსულიყავი, შენი ძროხის ქურდის გზა-კვალს მიგასწავლიდი. სირდონს სადღაც მიწისქვეშა სახლი აქვს — მე თვითონაც არ ვიცი, რა ადგილზეა. აი, იმას უნდა მიაგნო. ცოლი და შვილებიც იქ ჰყავს. ჰოდა შენი ძროხაც მათთან მოძებნე.

— რა ხერხით უნდა მივაგნო? — ჰკითხა ხამიცმა კუდიან ქალს.

— დილით ადრე სირდონის ძუკნა ძაღლი გარეთ გამოდის და იმას დაუდარაჯდი. დაიჭირე და ფეხზე გორგლის ძაფი შეაბი. ძაღლი გაგიჯიუტდება და თავისი სახლისაკენ არ წაგიძღვება, მაგრამ მაგრად ურტყი ჯოხი და მაშინ გაიქცევა. მიჰყევი უკან და სირდონის სახლში მიხვალ.

ხამიცი დაუდარაჯდა სირდონის ძაღლს და როგორც იყო ერთ დილით. დაიჭირა. შეაბა ფეხზე გრძელი გორგლის ძაფი და ჯოხიც რამდენჯერმე გადაუჭირა, მაგრამ ძაღლი აქეთ-იქით გარბი-გამორბოდა, სახლისაკენ კი არა და არ მიდიოდა. ხამიცი გამეტებით ურტყამდა და ურტყამდა. კარგად რომ მიასიკვდილა, მეტი რა გზა ჰქონდა ძაღლს, სახლისაკენ მისცა თავი და მალე ხიდის ყურთან გაჩნდა, სადაც სირდონს მი-

წისქვილში სახლი ჰქონდა. ძაღლი გარბოდა, გორგალი იშლებოდა, მისდევდა ძაფს ხამიცი და ისიც სირდონის სახლში მივიდა. სირდონი შინ არ იყო. შეშინდნენ სირდონის ცოლი და შვილები, ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს, როგორ მოგვაგნესო. ცეცხლზე ხორცით სავსე ქვაბი იდგა და დუღდა. ამოალაგა ქვაბიდან ხამიცმა ძროხის ხორცი, ჩაკეტა მაგრად კარები, დახოცა სირდონის ცოლ-შვილი, აქნა, ქვაბში ჩაყარა და დიდი ცეცხლი შეუნთო. მოიკიდა ზურგზე მისი ძროხის ხორციდან შეუჭმელი რაც გადარჩათ და შინ წამოიღო. მერე ნართების ნიხასში გადავიდა. სირდონიც იქ დახვდა, მაგრამ ხმაც არ გაუცია. სირდონმა კი, ხამიცი რომ დაინახა, გაიცინა და თქვა:

— ცოდვა არ არის ხამიცი, — ვილაცა მაგისი მსუქანი ძროხის ხორცს შეექცეოდეს და თვითონ კი მშიერი იჯდეს!

— ვინ იცის, იქნება ჩემი ძროხის შემჭმელმა, თავისი შვილების ხორცი ჭამოს, — ჩაილაპარაკა ხამიცმა.

სირდონს გულმა რეჩხი უყო, ჩემს თავს რაღაცა უბედურებააო. უხმოდ წამოდგა და შინისაკენ გამოსწია. შევიდა სახლში, იხედება აქეთ-იქით, ცოლ-შვილი არსად ჩანს.

„ნეტა სად წავიდნენ ეს მოკლედღიანები?“ — თქვა გულში სირდონმა.

მოავლო ქაფქირს ხელი, ხორცი გავსინჯოო. მოურია ქვაბს და ცოლისა და შვილების სხეულის ნაჭრები კი ამოყარა ზევით — ზოგის თავი გამოჩნდა, ზოგის — მკლავი, ზოგის — ფეხი. გაშრა, გაშტერდა სირდონი, მერე გონს მოეგო, ამოალაგა თავისი ცოლ-შვილის ძვლები ქვაბიდან. უფროსი ვაჟის მკლავის ძვლებით ფანდირი გააკეთა, დანარჩენი ბიჭების გულის ძაფებით ფანდირს თორმეტი სიმი გაუბა, დაჯდა ცოლ-შვილის ჩონჩხების გროვასთან და ფანდირი ააკენესა:

„ჩემო ბიჭებო, მე ვერ შევძლებ აღაპი გადაგიხადოთ, მაგრამ ერთ თქვენგანს ხომ კონაგა ერქვა, კონაგავ, მიცვალებულის სულის მოსახსენებელი საკურთხიდან რაც კონაზე* შემოსდონ, იმით შენ იყავ, შვილო, ნათელში!“

მერე კვლავ აახმიანა ფანდირი და აკვნესდა:

ჩემო შუათანა, ვარაგა,* მიცვალებულის საკურთხი ტაბლიდან მუხლზე რაც დაიდონ, იმით შენ იყავ ნათელში, შვილო!“

კიდევ დაუკრა და ატირდა:

„ჩემო ნაბოლარა ბიჭო ფუაგა,* მიცვალებულის საკურთხიდან რასაც სული შეუბერონ, იმით შენ იყავი ნათელში, შვილო!“

სირდონს კარს უკან ორმო ჰქონდა ამოთხრილი, ჩაყარა ძვლები შიგ,

აიღო ფანდირი და ნართებთან წამოვიდა, დაჯდა ნიხასში, დაუკრა და დაამღერა:

— ნართებო, აჰა, ეს ფანდირი მიიღეთ ჩემგან საჩუქრად და თქვენთან მაცხოვრეთ.

ნართებმა თქვეს: „ასეთი განძი თუ ხელთ გვექნა, ეს კაცი იმდენს რას შეგვაწუხებს?!“

ურუზმაგმა სირდონს უთხრა:

— თუ კი ჩვენთვის ეგეთი განძი გემეტება — ყველასთვის საერთო ძმა ყოფილხარ. დე, უფლება გქონდეს ჩვენს ნიხასში ყოფნისა და მოსმენისა, ჩვენს ოჯახებშიც ძმასავით მოგესვლებოდეს.

გამოართვეს სირდონს ნართებმა ფანდირი და თქვეს: მთლად რომ ამოვწუდეთ, ეს ფანდირი მაინც არ გამქრალიყოს. ფანდირზე დამკვრელი და ჩვენი სახელის მომხსენიებელი ჩვენი ჯიშისა ყოფილიყოს!“

როგორ მოატყუა სირდონმა ნართები

ერთ დღეს ნართები სათარეშოდ წავიდნენ. სირდონიც თან წაიყვანეს. ვერაფერი იშოვნეს და ხელმოცარულები შინ ბრუნდებოდნენ.

ნართებმა ერთ დაბურულ ტყეში უძირო ტბა იცოდნენ და მოილაპარაკეს: „იმ ტბის არსებობა სირდონმა არ იცის, იქით გავგზავნოთ და იქნებ შიგ ჩავარდესო“. ტბას მოსაჩვენებლად ფიჩხი წააყარეს და სირდონი პირდაპირ მასზე გამავალი გზით გაგზავნეს. ვერ დაინახა ტბა სირდონმა და შიგ ჩავარდა. ბედად ნაპირში ხის ფესვებს წააწყდა, ჩაავლო ხელი და ძლივძლივობით ტბიდან ამოფორთხდა. ხმელი ჩინჩხვრით ცეცხლი დაანთო, ტანსაცმელი გაიშრო და ნართების შესაგებებლად გაეშურა. ნართებს ეგონათ, სირდონი აქამდე უკვე დაილუპებოდა, მან კი შესძახა:

— შეჩერდით, ნართებო, საოცრება მინდა გიამბოთ, ქვეყნის საოცრება!

შედგნენ ნართები და გაოცებით აყურადებენ, ეს ხომ სირდონის ხმაა, საიდანღა გაჩნდაო.

მივიდა მათთან ახლოს სირდონი და უთხრა:

— რაც თავი მახსოვს, მსგავს საოცრებას არ მოვსწრებივარ.

ნართებმა ჰკითხეს:

— რა ნახე ეგეთი საოცარი, გათაგის ბიჭო, კიდევ არ გაგვაწბილო! სირდონმა უპასუხა:

— აგერ იქ, ერთ ტბასთან საკვირველი ნადირის ჯოგი დავინახე, ძეძვის კორომში შეცვივდნენ. გამოვიქეცი, შიშით აქამდე ძლივს მოვაღწიე.

რაკი სირდონს ტანსაცმელი დასველებული არ ჰქონდა, მისი ნათქვამი ნართებმა სარწმუნოდ მიიჩნიეს.

— თუ ნადირობას აპირებთ, უკეთეს ადგილს ვეღარსად იპოვნით, დააჩქარეთ. მე იმათ ვეღარ შევებედავ, მაგრამ ძეძვის კორომის ირგვლივ ვივლი და საითაც წავლენ, განიშნებთ, — უთხრა სირდონმა.

შევიდნენ ნართები ძეძვის კორომში. დადიან, ეძებენ, მაგრამ, აბა, რის ნადირს იპოვნიდნენ! მთელი ღამე ძეძვნარში ეხეტნენ, სამოსი შემოეგლიჯათ. დილით კორომიდან ცხენიან-მხედრიანად სულ სისხლდადენილები გამოვიდნენ.

— ისევ მოგვატყუე, არა? — უთხრეს ნართებმა სირდონს.

— ეჰ, ვერ შებედეთ, ნართებო, ძეძვიანში დაიმალეთ. ეს ამბავი სოფელს რომ ვუთხრა, მასხარად აგიგდებენ, — მიუგო სირდონმა.

ნართებს შეეშინდათ, მთელ სოფელში თავს მოგვჭრისო და ვეღარაფერი გაუბედეს.

ასეთ ოინებს უწყობდა ნართებს გათაგის ბიჭი სირდონი.

როგორ მოატყუა სირდონმა დევები

ერთ დღეს ნართები სირდონის მალულად სათარეშოდ წავიდნენ. სირდონი ქუჩაში გამოვიდა და ბავშვებს ჰკითხა:

— სად არიან ნართები, გარეთ რომ არავინ ჩანს?

ერთი ბიჭი მიუახლოვდა სირდონს და უთხრა:

— მე ნუ გამამხელ, რომ გითხარი და ნართები შენს ჩუმად სათარეშოდ წავიდნენ.

სირდონი სახლში წავიდა, მოემზადა სამგზავროდ და ნართებს გამოედევნა. მთელი სამი დღე რომ სდია, მერე ერთ დაბურულ ტყეში შევიდა და იქ დაელოდა. ხედავს, ერთ მდელოზე სამი დევი წაკიდებულან და ერთმანეთს ურტყამენ. სირდონმა მგზავრის იერით გვერდით გაუარა და შეეხმიანა:

— გამარჯობათ დევებო! რა დაგემართათ, რატომ სცემთ ერთმანეთს? ჩხუბი სირცხვილია!

დევებმა უთხრეს:

— ვიყრებით და ვერ მოვრიგებულვართ.

— ნეტა ისეთი რა გაქვთ, რომ ვერ გაგიყვიათ? მითხარით, იქნებ მე მოგარიგოთ.

დევებმა ჩამოუთვალეს:

— გვაქვს ტყავი, სუფრა და თოკი. ტყავს ასეთი თვისება აქვს, ზედ რომ დაჯდე, სადაც მოგესურვება, იქ მიგიყვანს. სუფრას ნაბდის მათრახს თუ დაჰკრავ, საქმელ-სასმლით აივსება. თოკით კი მთელი ქვეყნის ავლა-დიდება რომ შეჰკრა, მაინც მსუბუქად წაიღებ.

მოუსმინა სირდონმა და უთხრა:

— თუ დამიჯერებთ, მე მოგარიგებთ. თქვენს ისრებს სამ მხარეს გავისვრი, ისარს რომელიც უწინ მომიტანს. იმას პირველი არჩევანის უფლებას მივცემ, მეორედ მოსულს — მეორე არჩევანისა, ხოლო ბოლოს რომელიც მოვა, იმას მესამე არჩევანის უფლებას ვუტოვებ.

დევები დაეთანხმნენ. სირდონმა გამოართვა ისრები, გაისროლა სამ მხარეს და უთხრა:

— აბა, ახლა გაიქეცით.

დაიძრნენ დევები, გარბიან ისრების საძებნადა და სამივენი ერთი შიმართულებით ერთმანეთს ასწრებენ, თუმცა ისრები სირდონმა სხვადასხვა მხარეს ისროლა.

სირდონმა გაშალა ტყავი, დადო ზედ სუფრა, ხელთ დაიკავა თოკი, შოირთხა ფეხი და ტყავს უთხრა:

— აბა, ჩემი სახლის სხვენზე გამაჩინე!

ესა თქვა და სირდონი თავის სახლის სხვენზე აღმოჩნდა.

დაპატიჟა ნართები და იმ თავისი ჯადოსნური სუფრის წყალობით კვირიდან კვირამდე კარგად აქეიფა.

იმ დღის შემდეგ ნართები სირდონის გარეშე სალაშქროდ აღარ დადიოდნენ.

როგორ გადაუხადა ქელეხი სირდონმა თავის მიცვალებულებს

სირდონს ნართებიდან ხან ვინ ეტყოდა და ხან — ვინ:

— გადაუხადე, სირდონ შენს მკვდრებს ქელეხი, თორემ საიქიოს სხვა მკვდრების ხელის შემყურენი იქნებიან; ცოდოს რად იდებ და სულს რად იმძიმებ?

ზოგი მასხარადაც იგდებდა:

— შენსავით უპატრონოდ თავის მკვდარს სხვა ვინ დააგდებს?..

სირდონი მშვენივრად ხვდებოდა, ნართებს რაც ალაპარაკებდა. მათ სირდონის ერთადერთი ძროხის შეჭმა სურდათ.

კარგა ხანს მოუყურუა ყური მათ ლაპარაკს. რომ აღარ ასვენებდნენ, მერე უთხრა:

— რითი გინდათ გადამახდევინოთ ქელეხი, ხომ იცით, რომ არაფერი გამაჩნია?

— შეჰყარე შენი ნათესავ-მოკეთე და დაგეხმარებიან. მკვდარი უქელეხოდა და სულის მოუხსენებლად არ უნდა დატოვო, — ურჩიეს კვლავ ნართებმა.

რაღას იზამდა სირდონი. ქელეხისათვის რაც საჭირო იყო იმაზე მეტი ხორაგი დაამზადა. მოზიდა შეშა, შემოდგა დიდი ორყურა ქვაბი ცეცხლზე, ლუდის გამოხდას შეუდგა. ლუდის გამომხდელად მოსულელო ვიღაც დააყენა და თუ იმ ორყურა ქვაბს ოცი ჩანახი ალაო ჭირდებოდა, სირდონმა მხოლოდ ერთი ჩანახი ჩააყარა. ადუღა და ადუღა რამდენიმე დღე ლუდი.

პურის მცხობლებადაც თავქარიანი მეზობლები მოიხმარა, ცოტა რამ გამოაცხობინა. ქელეხის დღეს ამ თავქარიან ლუდის გამომხდელებს, პურის მცხობლებს და მერიქიფეებს დაუძახა და უთხრა:

— თქვენ ბევრი გარჯა მოგიწევთ და პურის საჭმელად ვეღარ მოიცლით. სჯობია, ახლავე დანაყრდეთ, თორემ მშივრები დარჩებით.

დააკვლევინა ერთი-ორი ქათამი, დასხა საჭმელად, სასმელიც დაალევინა და მერე საქმე მიუჩინა. ხალხს მოპატიჟეები დაუგზავნა, თვითონ კი მერიქიფესთან მივიდა და საქამათო მისცა: ქათამი უწინ გაჩნდა, თუ კვერცხიო. მთვრალი მერიქიფეები ერთმანეთს აუხირდნენ; ერთმა თქვა: ქათამი უწინ გაჩნდაო. მეორემ დაიჩემა: არა, კვერცხი უწინ გაჩნდა, ვიდრე ქათამიო. კამათი ჩხუბში გადაიზარდა, ერთიმეორეზე გაიწ-გამოიწიეს. სირდონი გამშველებლად ჩაუდგა და ლუდის ჭურჭელი გადააყირავა, ვითომ ეს საქმე შემთხვევით მოუხდა. დაიღვარა ლუდი, აყვირდა სირდონი, აღრიალდა, მერიქიფეებს აუჩხუბდა:

— ეს რა მიყავით! დამღუპეთ და დამაქციეთ! ხალხს უკვე მოპატიჟეები დავუგზავნე, თქვენ კი სასმელი დამიქციეთ! ნართებს რაღა პირით ვეჩვენო!

სირდონი ამ ჩხუბსა და ყვირილში იყო, რომ; მბცოვანი ნართების ერთი ჯგუფი ქელეხზე მოვიდა; სირდონი შეეგება მათ და შესჩივლა:

— აბა, რა გიყოთ: მერიქიფეები ერთმანეთს აუხირდნენ, ქათამი უწინ გაჩნდაო თუ კვერცხი. ერთი ამბობდა, ჯერ კვერცხი გაჩნდა, მერე ქათამიო. მეორე პირიქით;— არა, ჯერ ქათამი გაჩნდა, მერე კვერცხიო. ეცნენ ერთმანეთს და ამ ჩხუბში ლუდი მთლიანად დამიღვარეს.

მბცოვანმა ნართებმა ერთმანეთს შეხედეს და შინისაკენ გაბრუნდნენ. ვინც მოსასვლელი იყო, აღარც ისინი მოვიდნენ.

ქელეხისათვის რაც მოამზადა, ყველაფერი თვითონ სირდონს დარჩა.

საჩოხე ხელთ გაჭვს

სირდონს ერთი კაცისაგან საჩოხე შალი ემართა. ნართი სირდონი ხელმოკლე კაცი იყო. მევალე დღენიადაგ კარზე ადგა, მაგრამ შინ მუდამ ხელცარიელი ბრუნდებოდა. თავისი ვალი ვერა და ვერ ჩაიგდო ხელში. ხან რას მოუმიზეზებდა სირდონი, ხან — რას და გადახდის ვადას გადაუდებდა ხოლმე.

ერთ დათქმულ ვადაზე სირდონს მევალე კვლავ კარზე მოადგა:

— ეი, სირდონ, შინა ხარ? — დაუძახა მევალემ.

— სირდონი შინ არ გახლავს, — გამოსძახეს სახლიდან.

— სად არის?

— სოფლის ბოლოს სარწყავ რუს თხრის.

მევალე სოფლის ბოლოსკენ გაემართა. მივიდა სირდონთან და მიესალმა:

— გამარჯობა სირდონ!

— იცოცხლე

— სირდონ, მომე ჩემი საჩოხე, კაცო! ბევრჯერ გადამივადე, ათასჯერ მოიმიზეზე. დროა ვალი გადამიხადო, სინდისიც კაი საქონელია.

— ჰო, კაი, ნუღარ ლაპარაკობ, თუ კაცი ხარ! ხომ ხედავ, შენ საქმეს ვაკეთებ.

— როგორ თუ ჩემს საქმეს აკეთებ? გხედავ, სარწყავი რუ გაგყავს!

— რა მიუხვედრელი ვინმე ხარ! რუს გავთხრი, წყალს მივუგდებ, ნაპირებზე ეკალს გავაყოლებ. ფარები მთაზე გადარეკვისა და უკან გადმორეკვისას ამ ეკლებს გაეხახუნებიან, მატყლი ეკალს შერჩება. შევაგროვებ იმ მატყლს, მოვქსოვ შალს და შენს ვალს გადაგიხდი.

— ხა-ხა-ხა! — აუტყდა ხარხარი მევალეს.

— რატომ არ გაიცინებ, რა! — უთხრა სირდონმა, — საჩოხე უკვე ხელთა გაქვს და!..

მევალემ ხელი ჩაიქნია და შინისაკენ გასწია, აბა რაღას იზამდა!

სირდონი კი დღესაც ეკალს რგავს.

სირდონის თოხლი

სირდონს ერთი მსუქანი თოხლი ჰყავდა. ნართებს მასზე თვალი წაუგორდათ და მისი შეჭმა გადაწყვიტეს. ერთ დღეს ყველანი ნიხასში ისხდნენ. ნართებმა სირდონს უთხრეს:

— სირდონ, წარღვნა მოდის და შენი თოხლის ეგრე უბრალოდ დაკარგვა ცოდვაა. ჯობია, წავიდეთ მდინარეზე და იქ დავკლათ. მწვადები შევწვათ და ღმერთიც ჩვენ გადმოგვხედავს.

ზედმეტი აღარაფერი უთქვამს სირდონს, დაეთანხმა.

ერთ მზიან დღეს ნართები მდინარეზე წავიდნენ; სირდონმაც წაიყვანა თავისი თოხლი. მდინარის პირს, ერთი ხის ქვეშ, ადგილი ამოირჩიეს, დაკლეს სირდონის თოხლი და უცბად გაატყავეს. მოდი, ჯერ გავგრილდეთო, გაიძრეს ტანსაცმელი და წყალში საბანაოდ შევიდნენ. სირდონი საკლავთან დარჩა. ბანაობენ ნართები. ღვთისპირისაგან შეჩვენებულმა სირდონმა კი აკრიფა მათი ტანსაცმელი და ცეცხლში შეუძახა. ნართები მორჩნენ ბანაობას და ნაპირზე გამოვიდნენ: „წავიდეთ ახლა, სირდონის თოხლს მოვულხინოთო“, თქვეს მაგრამ იყურებიან აქეთ-იქით და ტანსაცმელი გაქრა!

— რა ეშმაკმა წაიღო ჩვენი ტანისამოსი? — ჰკითხეს სირდონს.

აგერ ცეცხლში შევუძახე, — უპასუხა სირდონმა.

– რას ამბობ, კაცო?!

— რაღად გინდათ, აკი თქვით, წარღვნა მოდისო? — მშვიდად თქვა სირდონმა.

ნართებმა ერთიმეორეს შეხედეს, მაგრამ რაღა ეთქმოდათ.

სირდონის სიკვდილი


როცა ნართი სირდონი კვდებოდა, ცოლს ანდერძი დაუგდო: „ზაფხულობით ბეწვის ქურქს ნუ ჩაიცვამ, ზამთრობით ცხელ პურს ნუ შეჭამ და ცივ წყალს ნუ დააყოლებო!“

ნართებსაც დაუბარა, ისეთ ადგილზე ნუ დამასაფლავებთ, სადაც ხალხის ხმა და პირუტყვის ბღავილი მომწვდებაო.

მოკვდა სირდონი და ცოლმა ჯიბრზე ზაფხულობით ბეწვის ქურქის ჩაცმა დაიწყო, ზამთრობით კი ცხელ-ცხელ პურს ჭამდა და ცივ-ცივ წყალს აყოლებდა. ჰოდა სულ დასცვივდა კბილები.

სირდონის ცხედარი კი ნართებმა ნიხასში დაასაფლავეს. ერთმანეთს რაიმეზე რომ გაუბრაზდებოდნენ, ერთი მეორეს ასე ლანძღავდნენ: „ვინც ჩვენ შორის ტყუოდეს, აგერ სირდონს საიქიოს ცხენად ემსახუროსო“.

გაბეზრდნენ ნართები და თქვეს: „ეს კაცი მკვდარი უარესს გვიშვრება. მოდი, ამოვთხაროთ და წყალში გადავაგდოთ!“ ამოთხარეს მართლაც და წყალში გადააგდეს. სირდონი დონბედთირების დისწული იყო, წყალში რომ მოხვდა, კვლავ გაცოცხლდა და ნართების ნიხასში დაბრუნდა. „სირდონი რომ ჩაქოლო, მაინც არ მოკვდებაო“, — თქვეს ნართებმა.



ცხოვრება
ჩემი

როგორ შეირთო ხამიცმა ცოლი

ნართებს ერთხელ დიდი შიმშილობის წელიწადი დაუდგათ. საჭმელი აღარაფერი გააჩნდათ. დადიოდნენ სანადიროდ და ნადირის ხორცით გაჰქონდათ თავი. ნართმა ხამიცმა მათთვის ბურფასალიდან[1] ყვითელი შვლების ზიდვა დაიწყო. ამასაც არ დააჯერა და ხვისკადაგიდან[1] მათთვის ნანადირევი ბერწი ფურირმები მოჰქონდა. ესეც აღარ აკმარა და სავხოხიდან გარეულ შავ ინდაურებს სულ იღლია-იღლია უზიდავდა.

ერთხელაც წავიდა სანადიროდ ხამიცი, მაგრამ დაღამებამდე ისე იარა, ფრინველს ისრის სასროლად ვერ წააწყდა და ნადირი ხომ თვალითაც ვერსად დალანდა. საღამო ხანს შენიშნა, ტყის შუაგულ მწვანედ მოღაღანე კორდზე ირმის ჯოგი ბალახობდა. ჯოგში ერთი დიდი თეთრი ირემი გამოირჩეოდა. „ღმერთსაც ჩემთვის მოუციაო“, გაიფიქრა ხამიცმა და მშვილდი დაუმიზნა. როგორც კი უნდა ესროლა, უეცრად ხეებში ქუხილი დაირხა. ჯოგი დაფრთხა და გაიქცა, მხოლოდ თეთრი ირემი ადგილზე გაშეშებული დარჩა. გაოცდა ხამიცი: „ცაზე ღრუბელი არ ჩანს, მეხი როგორ მოკლავდა ირემს?! თუ ვინმემ ესროლა, ადამიანიშვილიც რომ არსად ჭაჭანებს?“ ამ ფიქრში იყო, რომ ტყიდან ერთი პატარა ბიჭი გამოვიდა. მიირბინა ძირს დაცემულ ირემთან, ყელი გამოღადრა და გატყავებას შეუდგა. ცალი გვერდის გატყავებას რომ მორჩა, ხამიცმა გულში თქვა: „ვაი, შე საბრალო, მეორე გვერდზე ვინღა გადაგიბრუნებს? თუ ღვთის ნებაც იქნა, ნანადირევი მე უნდა დამრჩეს“. მაგრამ უყურა და ბიჭმა ირემი მეორე გვერდზე პეპელასავით მსუბუქად გადაატრიალა. „ეს უბრალო ვიღაც არ იქნება“, მაშინ კი თქვა ხამიცმა და ჩინჩხვარი

წამოკრიფა; მივიდა ბიჭთან, მონადირეთა ადათისამებრ მოკლულ ნადირს ჩინჩხვარი შეაყარა და მიესალმა:

— ღმერთმა ბევრი მოგცესl

— რასაც იძლეოდეს, ერთად მოგვცეს, — უპასუხა ბიჭმა, მერე სწრაფად დაახვია თავისი ნაბადი, დაუდო წინ და შესთავაზა: — დაბრძანდი, სტუმაროl

— არაq მოგეხმარები, თორემ მარტოს გაგიჭირდება, — უთხრა ხამიცმა.

— ნეტა ღმერთმა იმდენი მოგვცეს, რასაც მარტო მე მოვუვლი, — თქვა ბიჭმა, სწრაფათ გააჩალა ცეცხლი, ხორცის საუკეთესო ნაჭრებით ოთხ შამფურზე მწვადები ააგო და შეწვა. „ალბათ, ამხანაგები ჰყავს, თორემ ამდენი მწვადები რად უნდა“? ფიქრობდა ხამიცი. ბიჭმა კი ორი მწვადი ხამიცს დაუწყო წინ, ორიც თვითონ დაილაგა და ორივე თვალის მოხედვაზე გადასანსლა, ხამიცს კი ჯერ ერთიც არ მოეთავებინა.

— რატომ არ მიირთმევ? — ჰკითხა ბიჭმა ხამიცს, — ეგრე მალე გაძეხი? — ამ სიტყვებით მესამე შამფურიც თვითონ დაითრია და ისიც უცბად მოათავა.

ძლიერ გაოცდა ხამიცი. „ეს მართლა უბრალო კაცი არ ჩანსო“, კვლავ გაიფიქრა გულში.

ვახშმის მოთავების შემდეგ ბიჭმა ხამიცს გამოქვაბულში საწოლი გაუწყო და მოასვენა, ზევიდან თავისი ნაბადი დაახურა. დაიძინა ხამიცმა. ბიჭმა კი გადმოიღო ირმის ტყავი, თასმებად დაჭრა და აღვირის, ავშარის და მათრახების დაწვნას შეუდგა. შუაღამე იქნებოდა, ხამიცს რომ გამოეღვიძა და ბიჭს ჰკითხა:

— რა დიდხანს ზიხარ, რატომ არ იძინებ?

— ჩემი დაძინება არ იქნება, — უპასუხა მან, — საიდანაც წამოსულხარ, იმ სოფელში რომ დაბრუნდები, ვისთან ერთად ნადირობდიო, რომ გკითხავენ, რას ეტყვი? დამადასტურებელი ნიშანი ხომ უნდა გქონდეს — ამ თასმებით ნაკეთებ ნივთებს წაიღებ და აჩვენებ.

ირიჟრაჟა. ბიჭმა ხამიცს მიმართა:

— ერთმანეთი თუ არ გამოვცადეთ, არ იქნება.

— როგორ გამოვცადოთ? — ჰკითხა ხამიცმა.

— სანადიროდ გავიაროთ, — შესთავაზა ბიჭმა.

— გავიაროთ, — დაეთანხმა ხამიცი.

წავიდნენ ერთ დიდ ხეობაში, სადაც ნადირი უფრო ხშირი იყო. ბიჭმა უთხრა:

— მარეკად წახვალ თუ ჩაუსაფრდები?

— მე მარეკად რას ვივარგებ, ჩავუსაფრდები, — უპასუხა ხამიცმა. ბიჭი ერთი კლდის შვერილზე ავიდა, მეორისკენ შეტრიალდა და ჯერ

შევარდენის ხმით გასწივლა, მერე არწივის ხმით გაჰყივლა. სადაც კი ნადირის ნასახი იყო, სულ დაიძრა და ხამიცს ცხვირწინ ჩამოუქროლა. ხამიცმა ერთი გასროლაც ვერ მოასწრო, ერთი ნადირიც კი ვერ მოკლა. ბიჭი დაბრუნდა ადგილზე და ხამიცს ჰკითხა:

— რა იქნა ჩემი ნადირი?

— ჩემსკენ არაფერს არ ჩამოუფრენია, — იცრუა ხამიცმა.

ეწყინა ბიჭს, როგორ არ ეწყინებოდა ხამიცის ცრუ ნათქვამი, მაგრამ წყენა არ შეიმჩნია.

— იჯექი, აბა, წუნარად და ახლა მე დამაცა, — თქვა ბიჭმა და უკან გაბრუნდა. ალარც ყივილი, ალარც ძახილი არ დაუწყია, გადაერია ნადირს, ჟლიტა და ჟლიტა. ასჯერ ასი და ათას ასი სული ნადირი დახოცა. ნანადირევი ერთ ადგილზე მოზიდა და სამ ნაწილად გაჰყო. ხამიცს უკვირდა, „ორნი ვართ და სამად რატომ ანაწილებს? ალბათ, ორი წილი თავისთვის უნდა! ეგ როგორ იქნება, ამ ხნის კაცი ვარ, სად არ მიხეტიალია, სად არ მითარეშნია და ეგეთი დამცირება ჩემთვის არავის უკადრებია“.

როცა განაწილებას მორჩა, ბიჭმა ხამიცს დაუძახა:

— მოდი, შენი საუფროსო წილი აიღე.

მივიდა ხამიცი და თავისთვის საუფროსო წილი აიღო.

ბიჭმა კვლავ უთხრა:

— ახლა ამხანაგობის წილიც აიღე.

ხამიცმა საამხანაგო წილიც აიღო.

ამის შემდეგ ბიჭი ხამიცს დაემშვიდობა, თავისი წილი სვიის ყვავილივით მსუბუქად მოიგდო ზურგზე და შინისკენ გაემართა.

როგორ არ გაიხარებდა ხამიცი, კაი ფეხზე ვიარეო და ნართებს შეატყობინა: „ვისაც ურემი აქვს, ურმით წამოვიდეს, ვისაც ცხენი ჰყავს, ცხენით წამოვიდეს, ვისაც არც ერთი არ ჰყავს, ის ფეხით წამოვიდეს და ნანადირევი წაიღეთ!“ ნართები უმალ დაიძრნენ და დახოცილი ნადირი შინისკენ წაიღეს.

სახლისკენ მიმავალმა ხამიცმა ცოტა მანძილი რომ გაიარა, სინანული მოერია: „ნართებმა რომ მკითხონ, ვინ იყო ის შენი ამხანაგიო, რა უნდა ვუპასუხოო?“ გამობრუნდა უკან და ბიჭს გამოედევნა. ბიჭმა ხამიცი შენიშნა, ტვირთი ძირს დადო და დაუცადა. ხამიცი მიუახლოვდა და ბიჭმა ჰკითხა:

— რა მოხდა, დაგავიწყდა რამე?

ხამიცმა უთხრა:

— მაპატიე, თავის დროზე რომ ვერ გკითხე — ვინა ხარ და სადაური?

— მე დონბედთირების შთამომავალი ვარ, — უპასუხა ბიჭმა, — გვარად ბიცენთი. მიწის ქვეშ ვცხოვრობთ.

— აბა, ერთსაც გეტყვი, მომცრო ტანის მიუხედავად ასეთი ძლიერი ხალხი რომ ყოფილხართ, თქვენთან დამოყვრება მომინდა.

— ძალიან კარგი იქნება. ნართებთან დამოყვრება ჩვენც გვინდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძალზე ფიცხი, მიუტევებელი ხასიათის ცეროდენა ჯიში გვაქვს — სიმაღლით ორი მტკაველი, სიგანით უფრო ნაკლები ზომისანი ვართ. ძლიერებასა და ვაჟკაცობაში წუნი არ დაგვედება. ერთი და მყავს, ბარემ მოგათხოვებდი, მაგრამ თქვენ გაკილვა იცით; ჩვენი ჯიში კი დაცინვას ვერ იტანს — გაკილვით ავად ვხდებით, საყვედურით — ვიხოცებით. მეფიქრება. ვაითუ ჩემი დის შენახვა ვერ შეძლო!

— შენ მომათხოვე და შენახვა ჩემზე იყოს, — უთხრა ხამიცმა.

— კარგი, აბა, — დაეთანხმა ბიჭი და ვადა დაუთქვა, ამა და ამ დღეს გვეწვიეო.

— სად მოვიდე, სად ცხოვრობთ? — ჰკითხა ხამიცმა მას.

— ზუსტად ჩემს კვალდაკვალ იარე ხოლმე: მე ხმალს გვერდულად დავიჭერ და დაბურულ ტყეში ნაკაფს სოფლის ქუჩის დარად გავიტან; შინდორში რომ გავაღწევ, იქ კი მიწაზე ფეხს ავითრევ და ჭიანჭველების ბუდემდე გავკვალავ. აი, ჩვენი საცხოვრებელი სახლი სწორედ იქ, მიწის ქვეშ არის.

დაემშვიდობნენ კვლავ ერთმანეთს. ბიცენთების ბიჭმა თავისი ნანადირევი აიკიდა და სახლისკენ გაემართა. მიდიოდა და თან კვალს ტოვებდა. ხამიციც ავიდა ნართებთან და თავისი ამბავი მოუყვა.

დათქმული დროც დადგა; ხამიცმა ნართების საუკეთესო ვაჟკაცები შეკრიბა და ბიცენთებთან ქალის. მოსაყვანად გაემგზავრნენ. მოვიდნენ იმ ადგილზე, სადაც ხამიცი ბიცენთების ბიჭს დაემშვიდობა; აქედან კი, როგორც ბიჭმა დაარიგა, კვალს გაჰყვნენ. ამ კვალზე იარეს, ჭიანჭველების ბუდეს წაადგნენ და აქ გაჩერდნენ. ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ თუ არა, ჭიანჭველების ბუდის ქვეშიდან ბიცენთების ახალგაზრდები ამოცვივდნენ. სტუმრებს ნაბდები და იარაღი ჩამოართვეს, ძირს ჩაიტანეს, დააბინავეს, მერე გაუხსნეს კარები და ცხენ-კაციანად ყველა ქვევით ჩაიყვანეს.

აბა, ბიცენთები საჭმელ-სასმელს როგორ არ მოამზადებდნენ და სტუმრებს საკადრისად როგორ არ მოულხენდნენ! ხამიცს ხელისმომკიდედ სოსლანი ჰყავდა წამოყვანილი. წესის მიხედვით მან ნებართვა ითხოვა, ჩემი და, საპატარძლო, მაჩვენეთო. გამოვიდა ოთახში. აქ ერთი მეორეზე ულამაზესი ქალიშვილები ჩამწკრივებულიყვნენ. სოსლანი მიესალმა მათ და ჰკითხა:

— აბა, რომელი თქვენგანია ჩემი და?

— არც ერთი, — უთხრეს მას, — შენი და აგერ ლოგინში წევს.

— ნუ ხუმრობთ, — უთხრა სოსლანმა, — მითხარით ამ ჭალიშვილებიდან ჩემი სარძლო რომელია?

— აგერ შენი სარძლო! — უთხრეს და ლეიბების ქვეშიდან ერთი ბაყაყი გამოუძვრინეს.

სოსლანს ერთხანს ეგონა, მეხუმრებიანო, მაგრამ როცა დარწმუნდა, მათ სარძლოს ნამდვილად ბაყაყის ტყავი ემოსა, გამოვარდა გარეთ და ამხანაგებს გასძახა:

— მასხარაა ხამიცი და ამდენ ხანს უცოლოდაც იმიტომ დარჩა. ახლა ნართების რჩეულნიც გაგვამასხარავა და შეგვარცხვინა. შესხედით ყველანი ცხენებზე და სახლებში წავიდეთ!

ნართების მექორწილეები შინისკენ გამოემართნენ. ხამიცი ყველაზე უკან ჩამორჩა. ბიცენთებმაც აიღეს და საპატარძლო ბაყაყი უნაგირის კეხსა და თოქალთოს შუა შეუსვეს. რაღას იზამდა ხამიცი, დაღონებული გზას გამოუდგა.

მოვიდა შინ, ცხენი დააბინავა. დაძმარებულმა მოხადა უნაგირი, შეიტანა შიგნით და კუთხეში მიაგდო. მერე თვითონაც დარდიანი საწოლზე მიეგდო. ხამიცს რომ დაეძინა, ბაყაყი უნაგირქვეშიდან გამოძვრა და ჭალწულად გადაიქცა. ისეთი ლამაზი იყო, რომ მისი ბრწყინვალებით მზეს სინათლე მიემატა, დედამიწას — მშვენება. მხრებზე გადმოღვრილი თმა კოჭებამდე სწვდებოდა. მისი თმის ბრწყინვალებამ სახლი ისე გაანათა, თითქოს ჭერზე მზეს გამოენათებინოს. გაეღვიძა ხამიცს და ჰკითხა:

— არა, ანგელოზი ხარ თუ ღვთაება?

— არც ანგელოზი ვარ და არც ღვთაება, ბიცენთებიდან რომ ჭალი ითხოვე, ის გახლავარ. დღისით ბაყაყის ტყავიდან ჩემი გამოსვლა არ შეიძლება, ღამით კიდევ შიგ ყოფნა.

— დაწექი, აბა, შენს საწოლზე.

— მე ვერ დავწვები, — უთხრა ჭალიშვილმა, — მიჩვენე ჭაბუკობიდან სიბერემდე საქორწინოდ რა შეგიძენია, რა მოგიმზადებია.

ხამიცი წამოდგა საწოლიდან და თავისი სკივრი გახსნა. როგორ არ აღმოჩნდებოდა ამ სკივრში ძვირფასი მაუდი და ძვირფასი შალეული. რაც კი ჭაბუკობიდან უგროვებია.

ჭალიშვილმა მაკრატელი აიღო და დაიწყო გამოჭრა. გათენებამდე ასი კაცისთვის თავით ფეხამდე საკმარი სამოსი გამოჭრა და კიდეც შეკერა. მეორე ღამესაც ასევე მოიქცა. ორასი კაცის შესამოსელი რომ დაამზადა, ხამიცს უთხრა:

— ადექი ახლა და ნართებს დაურიგე, რომელიც უკეთესი იყოს —

ღარიბებს არგუნე. გამოლევისა ნუ გეფიქრება: რასაც მე ხელს შევახებ, იმისი გამოლევა აღარ იქნება!

როგორც ქალიშვილმა დაარიგა, ხამიცი ზუსტად ისე მოიქცა. ნართებს ძლიერ უკვირდათ, ხამიცს ამდენი ტანსაცმელი სად ჰქონდაო.

გათრაძის დაბადება

ცხოვრობდნენ ერთად ხამიცი და ბიცენთების ქალი. ქალი დღისით ბაყაყის ტყავში იჯდა, ღამით კი გამოდიოდა; ხამიცი თავის ცოლს ერთი წამითაც ვერ ელეოდა: სადაც წავიდოდა, სულ უბით დაჰყავდა.

ერთ დღეს ხამიცი ნიხასში უნდა წასულიყო და ცოლს უთხრა:

— ბიცენონ, დღეს ნართების ნიხასში შენი წაუყვანლობა არ იქნება. ქალმა ხვეწნა დაუწყო:

— ნუ წამიყვან, თორემ ჩემგან ვეღარაფერს იხეირებ!

ხამიცმა ცოლს არ დაუჯერა, ჩაისვა ჯიბეში და ნიხასში წავიდა.

სირდონი ხომ იმთავითვე ნართების საუბედუროდ იყო დაბადებული! მიხვდა, ხამიცს ცოლი რომ თან ჰყავდა. ადგა და ნართების ყმაწვილებს გაღიზიანება დაუწყო, მცემეთო. იმათაც დაუწყეს სირდონს ცემა. სირდონს საბაბი უნდოდა და აყვირდა.

— ვაი, ნართებო, თქვენ კი გამოგაკლდათ გვარში უკეთესი! — უმცროსები უფროსებს ცემას ჰკადრებთ და უფროსებს კი ცოლები თან დაგყავთ. სად ვსხედვართ, ნართების უხუცესნო, — ეს მამაკაცების ნიხასია თუ ქალების სალაყბო? სინდისი დავკარგეთ, ადათი მოვშალეთ! შეხედეთ ხამიცს — ნართების დიდ ნიხასში ბიცენონი თან წამოუყვანია!

აბა, ხამიცი როგორ არ გაცეცხლდებოდა! წამოუვარდა სირდონს და მკერდში ისეთი მუშტი უთავაზა, რომ მან ფეხები მაღლა შეაშვირა, გული წაუვიდა და ყელიდან სისხლი ამოანთხია.

გაჯავრებული ხამიცი შინ წამოვიდა. ბიცენონმა უთხრა:

— ბარემ გეუბნებოდი ხალხში ნუ გაგყავარ–თქო და არ დამიჯერე; ახლა მეც დამლუპე და შენი თავიც. იმ შერცხვენის შემდეგ შენთან ჩემი ცხოვრება აღარ შეიძლება. ადექი და საიდანაც წამომიყვანე, ისევ იქ დამაბრუნე.

ხამიცს რაღა მეტი გზა ჰქონდა და ქალი წაიყვანა. ბიცენთების კარს რომ მიაღწიეს, ცოლმა უთხრა:

— სამი სიკეთე მინდოდა შენთვის გამეკეთებინა, მაგრამ ერთის გარდა სხვას ვეღარას აგისრულებ. მე და შენი ცოდვა იმას ედოს, კისრად. ვიხც ჩვენ ეს საქმე დაგვმართა. ახლა რასაც გეტყვი, დაიხსომე: შენგან ბიჭზე ფეხმძიმედ ვარ. ჩემი ძუძუთი რომ გამეზარდა, დედამიწაზე ცალი და ბადალი არ ეყოლებოდა: ვერც დანა გაჭრიდა, ვერც ისარი გაატანდა. მაგრამ ახლა რაღაც მომიშვირე ბეჭები და ჩანასახს შიგ ჩაგიბერავ.

ხამიცი უარზე დადგა, შენ თუ აღარ მეყოლები, ეგეც რაში მჭირდებაო.

— სამშობლოში თან ვერ წავიღებ, — უთხრა ქალმა.

ხამიცმა შეუშვირა ზურგი და ბიცენონმა ჩანასახი ორივე ბეჭშუა ჩაასუნთქა. ხამიცს ბეჭებშუა მუწუკი ამოებურცა.

— წადი ახლა და ყველაფერი სათანას უამბე; ის გეტყვის, ეს მუწუკი როდის უნდა გაიკვეთოს, — დაარიგა ქალმა.

უთხრა ქალმა ეს და თავისიანებთან ჩავიდა. ჯამიციც მხრებჩამოყრილი და თავჩაქინდრული შინისაკენ გამობრუნდა. მივიდა სათანასთან და ყველაფერი უამბო.

სათანამ დღეებისა და თვეების გამოთვლა დაიწყო და დრომ რომ მოაწია, ხამიცს მუწუკი გაუკვეთა. მუწუკი გაკვეთა თუ არა, იქიდან ცეცხლივით გავარვარებული ბიჭი ამოხტა. ბიჭი წელს ზემოთ ფოლადისა იყო, წელს ქვემოთაც — ფოლადისა. ამოხტა ფოლადის ბიჭი და ზღვაში მოადინა ტყაპანი.

ცისფრად მოკამკამე ზღვის წყალი ერთიანად ნისლად იქცა, ცას მისწვდა და ზღვა დაშრა. მაგრამ ნისლი თანდათან გაცივდა, წვიმა-თქეშად წამოვიდა, ზღვა კვლავ აივსო და ნაპირებიდან გადმოვიდა.

როგორ გამოიტყუეს ზღვიდან ბათრაძი

იზრდებოდა ზღვის ფსკერზე ბათრაძი. თვეში იმდენს მატულობდა, რამდენსაც ჩვეულებრივი ადამიანი სამ წელიწადში მოიმატებს. ჯერ ისევ ზღვის ფსკერზე ცხოვრობდა, სახელად ხამიცის ვაჟი ბათრაძი რომ დაარქვეს.

ნართების ბავშვები ზამთრობით ზღვის გაყინულ ზედაპირზე, კოჭის სათამაშოდ დადიოდნენ. ბათრაძი ყინულს ამოამტვრევდა ხოლმე, ბიჭებს კოჭს ეთამაშებოდა და ყოველთვის უგებდა. ერთხელაც ბათრაძმა ისევ დაამარცხა ნართების ბიჭები, ყველას მოუგო. წაგებული ბიჭები წამოვიდნენ და ნართების ნიხასში დაღვრემილები დასხდნენ.

— რამ დაგაღონათო? — ჰკითხეს ნართებმა.

— როგორ არ დავღონდეთ?! ზღვიდან ერთი ჩვენი ტოლი და მსგავსი ბიჭი გამოდის და კოჭებს გვიგებს! — უპასუხეს მათ.

მიხვდა სათანა, იგი ხამიცის ვაჟი რომ იქნებოდა.

ნართები ცდილობდნენ როგორმე ბიჭი ზღვიდან გამოეტყუებინათ, მაგრამ ვერაფერს უხერხებდნენ, რადგან იგი მათ ახლოს არ იკარებდა.

ისევ სათანას ჰკითხეს:

— როგორ მოვიქცეთ, ბიჭი ნაპირზე როგორ გამოვიტყუოთ?

სათანამ ურჩია:

— როგორ მოიქცეთ და ეს მოხუცი ზღვის ნაპირზე წაიყვანეთ, დაუსველეთ თავი და პარსვა დაუწყეთ. ბიჭს გაუკვირდება და ზღვიდან გამოვა. თმის გადაპარსვა მას არ უნახავს. თქვენ უთხარით: „თუ გინდა, თმას შენც გადაგპარსავთ-თქო“. იგი დაგეთანხმებათ. გადაპარსეთ თავი და ომა წყალში გადაუყარეთ. ამის მერე იგი წყალში აღარ დაბრუნდება.

ნართებმა წამოიყვანეს ურუზმაგი ზღვის ნაპირზე, დასვეს იქ და თმის პარსვა დაუწყეს. ბიჭი ზღვიდან მართლა გამოვიდა. ორივე ხელით თითო მოზვერი გამოიყვანა, ორივეს ბურთივით შეისვრიდა მაღლა და ისევ იჭერდა, თან თვალს ადევნებდა — როგორ პარსავდნენ თმას ურუზმაგს. ძლიერ გაუკვირდა და მოუნდა მისთვისაც გადაეპარსათ თმა. ნართებმა გადაპარსეს თავი და როგორც სათანამ დაარიგათ, თმა წყალში გადაუყარეს, თვითონ შინისკენ გამოსწიეს. ბათრაძი ნართებს უკან გამოჰყვა, დარჩა მათთან და მათთანვე ცხოვრობდა.

ბათრაძის ბართოგანი ბავშვობაში

ბათრაძის საქციელსა და მოქმედებას რომ დააკვირდა ბრძენი სათანა, უმალ მიხვდა, უბრალო, ჩვეულებრივი მოკვდავი რომ არ იყო იგი. ამიტომ იმის შიშით — არავის არაფერი ავნოსო, გარეთ აღარ უშვებდა. ერთ ბნელ ოთახში ჩაკეტა და იჯდა ბიჭი იქ, აბა, რა ექნა!

ერთხელ ბათრაძმა თავის ბნელ სადგომში ჭუჭრუტანიდან შეჭრილი სინათლის სხივი დაინახა და გაიცდა: „გარეთ რომ სინათლე ყოფილა, მე აქ სიბნელეში რისთვის მამყოფებენ?“ ბევრი აღარ უფიქრია, ეცა კარს ჩამოგლიჯა და გარეთ გამოვარდა. იქვე, ქუჩაში, ნართების ბავშვები ნართული თამაშით ერთობოდნენ. ვერ მოითმინა ბათრაძმა, ისიც ჩაერია თამაშში და უბანი უმალ ბავშვების ღრიალმა გააყრუა — რომელსაც კი შკლავზე ხელი წაატანა, მხარი ამოაგდებინა, რომელსაც პატარა წაუჯიკავა — კანჭები დაულეწა. მათ წივილ-კივილზე მთელი უბანი შეიყარა. ხმაური სათანასაც შეესმა და მიხვდა, საქმე რაშიც იქნებოდა; წამოავლო სახრეს ხელი, გამოუდგა ბათრაძს და ცემა-ტყეპით გამოიგდო წინ.

ამ ამბის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, ბათრაძმა კვლავ იხელთა დრო, გამოიჭრა გარეთ და ქვემო ნართებში ამოჰყო თავი. ამ უბანში ნართი ბურაფარნიგი ცხოვრობდა. ბურაფარნიგს შვიდი ვაჟიშვილი ჰყავდა. იგი თავის ვაჟებს თამამად ზრდიდა. მუდამ ფაქიზად ჩაცმულ-დახურულები დაუდიოდა. ძმებს ყოველთვის ერთნაირად ემოსათ: თავზე ძვირფასი ბეწვის ხორასნული ქუდები, ტანთ ერთი ფერის შალის ახალუხები, ფეხთ ტყავის წვივსაყრავები და ტყავისავე ფეხსაცმელები.

ბურაფარნიგის შვიდივე ვაჟი ისრის სროლაში არაჩვეულებრივად გაწაფული იყო და ნართების ახალგაზრდობას თავს არც კი უყადრებდა. ბურაფარნიგი თავისი ვაჟებით ამაყობდა და დიდადაც ეიმედებოდა. ძმები იმ დღითაც ისრის სროლით ერთობოდნენ, როცა ნაცარში ამოსვრილი ბათრაძი თავს წაადგათ. მასაც მოესურვა ისრის სროლა და ბიჭებს უთხრა:

— ოღონდ ერთხელ მეც მასროლინეთ და საღამომდე ისრების მზიდავად დაგიდგებით.

— მერე და, შე ნაცარქექიავ, ჩვენი ნასროლი ისრების ზიდვას შენ აუხვალ? — დასცინეს ბურაფარნიგის ვაჟებმა.

— არც ერთ ისარს მიწამდე არ დავუშვებ; გინდ ქვეყნის დასასრულამდე ისროლეთ, ყველას უკლებლად მოგიტანთ, ოღონდ საღამოზე ერთი მეც მასროლინეთ, — შეეხვეწა მათ ბათრაძი.

კარგიო, დასთანხმდნენ ბურაფარნიგის ვაჟები. ძმები ისრებს ყოველი მხრისკენ ისროდნენ, ბათრაძი არც ერთს მიწაზე დაცემას არ აცლიდა, ჰაერშივე იჭერდა და პატრონებს უზიდავდა.

ამასობაში სადილობის დროც მოვიდა და ძმებში უმცროსმა დანარჩენებს უთხრა:

— ამ ნაცარში ამოგანგლული ბიჭის ცოდვას რაზე ვიდებთ? ვასროლინოთ ერთხელ — დაე, ამანაც გაიხაროს — და შინ გავუშვათ.

ბურაფარნიგის ვაჟებმა უმცროს ძმას დაუჯერეს და ბათრაძს მშვილდ-

ისარი მიაწოდეს. ახედ-დახედა ბათრაძმა მშვილ-ისარს და ბიჭებს უთხრა:

— ეგრე სროლა რად მინდა; შვიდივემ ქუდები მოიხადეთ, ერთმანეთში ჩადეთ და ნიშანზე დადეთ. თუ ისარი მოვარტყი და გავატანინე, ერთი გასროლის ნება კიდევ მომეცით.

ბურაფარნიგის ამაყი ვაჟები რას იფიქრებდნენ, თუ ეს ნაცარში ამოსვრილი ბიჭი რამეს მოახერხებდა! დამცინავად გაიღიმეს, ერთმანეთს შეხედს და ქუდები ნიშანზე დადეს. ბათრაძმა ქუდებს დაუმიზნა და ისარს სულ ნაფლეთ-ნაფლეთ წააღებინა. სასიამოვნოდ აღარ დარჩათ ბურაფარნიგის ვაჟებს ეს ამბავი, მაგრამ პირობის თანახმად, ბათრაძს მეორედ სროლის ნება მისცეს.

— ახლა ნიშანზე თქვენი ახალუხები დააწყვეთ. თუ ვერ მოვარტყი, დღეის შემდეგ ისრებს სულ მუქთად გიზიდავთ ხოლმე, — უთხრა ბათრაძმა ძმებს.

ერთხელ კიდევ გამოვცადოთო, თქვეს ბურაფარნიგის ვაჟებმა ახალუხები გაიძრეს და ნიშანზე დააწყეს. ბათრაძმა დაუმიზნა და შენს მტერს ის დღე! — ახალუხების ნაფლეთები პეპლებივით აქეთ-იქით გაფრინდნენ. ბრაზით გულშემოყრილმა ძმებმა ბათრაძს მშვილდ-ისარი გამოართვეს და დაძმარებულები შინისკენ გაემართნენ. თავშიშველი, ფეხშიშველი ბათრაძიც, ვითომც აქ არაფერი, სტვენა-სტვენით წავიდა შინისაკენ და ჩუმად შეიპარა თავის ბნელ სადგომში.

ბევრმა დრომ გაიარა თუ ცოტამ, ეინ იცის, და ერთხელაც ბურაფარნიგმა ერთწლიანი მოგზაურობიდან შინ მშვიდობით დაბრუნების აღსანიშნავად ნადიმის გადახდა განიზრახა. ერთი ხეობიდან ხარების ჯოგი მოარეკინა, მეორე ხეობიდან — წვრილფეხა პირუტყვის ფარა. საკლავი დახოცეს და გაამზადეს. ქვემოუბნელი ნართები მოგროვდნენ და უხვად გაწყობილ სუფრას შემოუსხდნენ. გვარიანად სვეს და ჭამეს. მოლხინეს ნართებმა. მერე სირდონმა ყმაწვილკაცებს შესთავაზა, ისრის სროლით გაერთეთო. ქვემო უბნის ყმაწვილები გასართობად ერთიანად წამოვიდნენ. გახურებულ თამაშში იყვნენ, რომ ამ დროს ზემო უბნიდან ნაცარში ამოსვრილი ბათრაძიც ჩამოვიდა. ქვემოუბნელი ნართი ყმაწვილები გაემასხრნენ:

— ერთი შენც ისროლე, ბიჭო!

ისროლა ბათრაძმა, მაგრამ ისარი ნიშნამდეც ვერ მიუწვდინა. ახალგაზრდებმა, რა თქმა უნდა, სიცილი დააყარეს. ბათრაძმა კი უთხრა:

— მე ნიშანში არ ვისვრი, მაგრამ თუ გინდათ, რომ ვისროლო, ნიშანზე თქვენი ისრები დამიწყეთ.

ყმაწვილები დასთანხმდნენ. დაუმიზნა ბათრაძმა, ესროლა და ქვედაუბნელი ნართი ყმაწვილების წვრილ-წვრილ ხიწვებად ნაქცევი ისრები

ჯერ ზეცას შეაფრინდნენ, მერე თოვლის ფიფქებივით მიწაზე დაცვივდნენ. ქვემოუბნელი თავმომწონე ყმაწვილები დახოცილებივით გახდნენ. ბათრაძი მოშორებით მიწაზე დაჯდა, ნიკაპი ხელებზე ჩამოაყრდნო და სტვენა დაიწყო.

ერთი ყმაწვილი ნადიმზე მსხდომებთან მიიჭრა და უთხრა:

— ახსართაგათების ერთმა ნაცარქექია ბიჭმა ისრები დაგვილეწა!

ხალხი შეშფოთდა. სირდონმა სხვებს თქმა არ აცალა და უმცროსებს გადასძახა:

— შემოიყვანეთ, გვაჩვენეთ როგორი ბიჭია.

ყმაწვილები წავიდნენ, ბათრაძს უთხრეს დანაბარები, მაგრამ მან ზედაც არ შეხედა.

ახლოს მივიდნენ, ხელი მოავლეს და ეწევიან, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს! დაბრუნდნენ და ეს ამბავი ხალხს უთხრეს. სირდონმა ისევ გადმოსძახა:

— წადით და უთხარით: „რონგის დასალევად მოსულხარ და მოდი, დალიე-თქო!“

ბათრაძს ასეთი მიმართვა როგორ არ ეწყინებოდა, მაგრამ წყენა არ შეიმჩნია და ქვემოუბნელი ნართების ნადიმზე წავიდა. სუფრასთან რომ მივიდა, სირდონმა უთხრა:

— ახსართაგათებო, გეპატიჟებიან — არ მიდიხართ, არ გეპატიჟებიან და თვით კარებს უმტვრევთ!

ბათრაძმა ამჯერად ბრაზი ვეღარ შეიკავა: დაერია ახლოს მდგომებს და აუყენა ცემა-ტყეპა — ზოგს მაჯა ამოუგდო, ზოგსაც — თეძო.

ბურაფარნიგმა სუფრიდან გადმოსძახა:

— თუ ეგეთი მშვილდოსანი ხარ, აგერ ზღვის პირას ჩვენი ყმაწვილებიდან შვიდ რჩეულთაგანს სანიშნოზე კვერცხი უდევს და ვაჟკაცობა იმათთან სცადე.

ბათრაძი შემობრუნდა და უხმოდ გაემართა ზღვის სანაპიროსკენ. მივიდა იმ შვიდ ყმაწვილთან, მიესალმა და უთხრა:

— მე თქვენთან მოვედი, გავიგე, ზღვის იქითა ნაპირზე სანიშნოდ კვერცხი გიდევთ.

ეს რომ თქვა, ერთმა მათგანმა მშვილდ-ისარი გაუწოდა. ბათრაძმა ისროლა და ისარი შიგ შუა ზღვაში ჩავარდა. ამათაც სიცილი დააყარეს, აბა, რას იზამდნენ!

— მე ნიშანში ეგრე როდი ვისვრი, — უთხრა მათ ბათრაძმა, — კვერცხზე ნემსი დაარჭეთ და ვინც ვაჟკაცია, ესროლოს!

დაარჭეს კვერცხზე ნემსი. ქვემოუბნელი ნართი ყმაწვილები ესვრიან ნემსს, მაგრამ ვერაფერს ხდებიან. ისროლა ბათრაძმა და ისარი ნე-

მსის ყუნწში გააძვრინა. მერე ბევრი ლაი-ლაის გარეშე შვიდივე ყმაწვილი ერთმანეთს გადააბა, მოიგდო ზურგზე და ქვემოუბნელი ნართების ხიხასში ამოიტანა. დაყარა იქ, შებრუნდა, ხელები უკან შემოიწყო და კვლავ სტვენა-სტვენით გაემართა შინისაკენ.

ხამიცის ვაჟი ბათრაძი და დედენაგის ვაჟი არახძავი

ნართების სოფელში, ახსართაგაახთ ძველ სახლში, ურუზმაგის ოჯახის დიასახლისი სათანა რაღაცას საქმიანობდა. კერიასთან ცეცხლის პირას ერთი ფეხშიშველი ბიჭი დალტურზე[1] იჯდა და ნაცარს ქექავდა. ცეცხლთან ჯდომით კანჭები დაშაშხოდა.

ვარეთ ვიღაცამ დაიძახა. ძახილზე სათანამ გახედა:

— მშვიდობა შენს მოსვლას, სტუმარო!

— ღმერთმა სიხარული მოგცეს. კაცები შინ არიან?

— კაცები შინ არ არიან, მაგრამ სახლი ადგილზეა. მობრძანდით, გიძასპინძლებთ; გნებავთ კვამლიან სადილს მოგართმევთ, გნებავთ — უკვამლოს.

— გშადლობთ, დიასახლისო, ღმერთმა სიკეთე გაჩუქოს, მე ნართი სოსლანი მჭირდება.

— ჩვენი კაცები აცასთან, ხუსძაგათში* არიან სტუმრად.

— დიასახლისო, ისეთ ვინმეს რომ გამაყოლებდე. ხუსძაგათისკენ გზა მ-მასწავლოს, დიდად მადლობელი დაგრჩებოდი.

— შინ ერთი პატარა ბიჭი გვყავს, კერიასთან ჯდომით კანჭებდაშაშხული, თუ გამოგადგებათ, ახლავე გამოგაყოლებთ. — უთხრა სათანამ სტუმარს, იქვე მიატოვა იგი და შინ შესულმა ბიჭს წყრომით უთხრა:

— ადექი, შე გასაქრობო, გარეთ სტუმარი გელოდება. გაჰყევი და ხუსძაგათში აცაანთ ნადიმზე აიყვანე.

ნაცარქექია დალტურიდან წამოდგა, გაიზმორა და სტუმარს ეახლა. გაემართნენ ხუსძაგათისკენ — სტუმარი ცხენით, ნაცარქექია — ფეხით.

კარგა მანძილი რომ გაიარეს, სტუმარმა ბიჭს უთხრა:

— მოდი, უნაგირს უკან შემომიჯექი.

ბიჭმა ჯერ მხედარს შეხედა, მერე ცხენს და უთხრა:

— სტუმარო, შენი ცხენი ისეთი არ ჩანს, ორი კაცი რომ ზიდოს!

— ჰაიტ, შე ძაღლის ლეკვო! ჩქარა შემომიჯექი-მეთქი, გეუბნები, თორემ თავხელობისათვის ამ მათრახით ერთი კარგად აგაჭრელებ.

შემოუხტა სტუმარს უნაგირს უკან ბიჭი და განაგრძეს გზა. მიდიან და ბიჭმა ცხენს ფერდებზე მუხლები მოუჭირა, ცხენი დატორტმანდა და პირიდან შედედებული სისხლის კოშტები წამოაწთხია.

— ხომ გითხარი, შენი ცხენი ისეთი არ არის, ორი კაცი ზიდოს-მეთქი.

— დღეგრძელობა მოგცეს ღმერთმა, დღეგრძელობა, ხამიცის ბიჭო ბათრაძ!

— იცოცხლე, იცოცხლე, დედენაგის ბიჭო. არახძავ! — უთხრა და ბიჭი ცხენიდან ჩამოხტა.

ერთ მოსახვევს რომ მიუახლოვდნენ, არახძავი შედგა, ცხენიდან ჩამოხტა და ბიჭს უთხრა:

— ისრები ვისროლოთ, ბათრაძ! პირველმა შენ სცადე!

— სტუმარზე უწინ კაპარჭიდან ისარს როგორ ამოვიღებ, — უპასუხა ბათრაძმა.

მაშინ არახძავმა მხრიდან მშვილდი გადმოიღო, კაპარჭიდან ისარი ამოაძრო, გაუდო შვილდს და მოსწია ლარი. ისარი სადღაც გზაზე დაეცა.

ახლა ბათრაძმა ისროლა ისარი. ისარი ზედ აცას სახლის თავხეში ჩაესო.

აცას ძველი სახლი შეზანზარდა, სუფრიდან საშმელი ძირს გადმოცვივდა. ნადიმზე მსხდომებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.

— ადგილებიდან ნუ წამოიშლებით, ჩემო კარგებო, — დაამშვიდა ხალხი სოსლანმა, — ეს ჩვენი ონავრის ისარია... ჩვენი გიჟი მოდის, ჩვენი გიჟი!

ცოტა ხანში დედენაგის ვაჟი არახძავი და ხამიცის ვაჟი ბათრაძი აცაახთსა მოვიდნენ. სოსლანი სახლიდან სწრაფად გამოვიდა, სტუმარს მიესალმა, მერე ბათრაძს მოუბრუნდა და ყბაში ერთი კაი ალიყური სტკიცა:

— ძაღლის ლეკვო! ეგეც შენ, ძუძუმწოვარავ, ისრის გამოცდისათვის.

ბათრაძმა ერთი ისკუპა, შვიდ მთას გადმოევლო და შინ ამოჰყო თავი. ისევ კერის პირას ჩამოჯდა და ნაცარს ქექვა დაუწყო.

ნართების კუთვნილ მთებში, სადაც მათი ჯოგები იალაღობდნენ ხოლმე, ერთი ჰრელწვერა დევი დაბინავდა. დევი ჯოგებს საძოვარზე აღარ აკარებდა და ნართებს პირუტყვი შიმშილით ეხოცებოდათ.

ნართების უხუცესებმა მოითათბირეს: წვეულება გავმართოთ, ხალხი შევყაროთ და მწყემსი ავირჩიოთო. ურუზმაგმა ნართების სამივე გვარს მოპატიჟეები დაუგზავნა; შეატყობინეს და წვეულებაზე ყველა მოგროვდა.

ურუზმაგმა წესის მიხედვით ჯერ დაილოცა, მერე თქვა:

— ვინც ნართების ჯოგების მწყემსვას იკისრებს, მოვიდეს და ქუვაგჭაგი* მიირთვას.[1]

ქუვაგჭაგის აღება ვერც ერთმა ვერ გაბედა.

ურუზმაგმა მოპატიჟეები კვლავ გაგზავნა: — წადით და ძე-ხორციელი არავინ გამოტოვოთ, ყველა დამიპატიჟეთო.

წავიდნენ მოპატიჟეები, ისევ შემოიარეს უბნები და ხალხი მოიწვიეს.

ურუზმაგმა მოწვეულთა წინაშე თავისი სათქმელი კვლავ გაიმეორა, მაგრამ ქუვაგჭაგის აღების მსურველი არც ახლა აღმოჩნდა.

გაკვირვებულმა ურუზმაგმა მოპატიჟეებს ჰკითხა:

— ხომ არავინ გამოგრჩათ? დარჩა ვინმე აქ მოუსვლელი?

უფროსმა მოპატიჟემ უპასუხა:

— მხოლოდ ერთი პატარა, ფეხშიშველი ბიჭი ზის კერიასთან და ნაცარს ქექავს.

— წადით და სასწრაფოდ აქ მომგვარეთ, — ბრძანა ურუზმაგმა.

წავიდა უფროსი მოპატიჟე ბიჭთან და ურუზმაგს მოჰგვარა.

ურუზმაგმა ბიჭი რომ დაინახა, მესამედ გაიმეორა: ვისაც გული ერჩის, მოვიდეს და ქუვაგჭაგით წაიხემსოსო, მაგრამ ბათრაძი ვერ მიხვდა ნათქვამის აზრს.

ურუზმაგმა ნათქვამი უფრო ხმამაღლა გაიმეორა. მაინც ვერ გაიგო ბათრაძმა, რადგან ბავშვებთან თამაშში გაერთო. ურუზმაგმა ხალხს ყურადღებით მოსმენა სთხოვა და მხოლოდ მაშინ მიხვდა ბათრაძი, რაშიც იყო საქმე.

— ვინ წავა ნართების ჯოგების მწყემსად, მოვიდეს, ქუვაგჭაგი მიირთვასო, — როგორც კი გაიმეორა ურუზმაგმა, ბათრაძი უმალ მიიჭრა და ქუვაგჭაგის სახით სამი ვეებერთელა ხაჭაპური და ხარის ბარკალი მიართვეს. დააღო პირი ბიჭმა და ეს ყველაფერი უცბად გადასანსლა.

მეორე დღეს ნართებმა ადრიანად გამორეკეს პირუტყვი, ბათრაძის-

თვის საჩუქრები გამოაყოლეს ხელს: ზოგმა ფეხსაცმელი, ზოგმა — ჩანთა, ზოგმა — ქუდი.

გარეკა ბათრაძმა საძოვარზე პირუტყვი. ავიდა იალაღებზე, მაგრამ დევი არსად ჩანდა. ბათრაძმა შველი მოინადირა, გაატყავა, ტყავით კარავი დაიდგა, წორცით მწვადი შეიწვა. ჭრელწვერა დევი ამ დროს სხვაგან იყო წასული. შეიტყო ეს ამბავი და წამოვიდა. წაადგა თავს ბათრაძს და აფშვინდა:

— ვინ ძაღლი და მამაძაღლი ბედავს ჩემს მიწაზე ფეხის დაკარებას?

— რას იდორბლები, ძაღლიც შენა ხარ და მამაძაღლიც! — უპასუხა ბათრაძმა.

მიხვდა დევი მის წინ ბათრაძი რომ იდგა. წყნარად მიუახლოვდა და ჰკითხა:

— ბიჭო, შენ ნართ ბათრაძს იცნობ?

— დიახაც, ვიცნობ.

— როგორ ერთობა ხოლმე?

— როგორ ერთობა და აი ასეო, — უთხრა ბათრაძმა, მოიგდო ქვეშ დევი, წაათალა თავი, ჩამოაცვა მარგილზე და ნართებთან წამოიღო.

საღამო ხანს ნართები საძოვრებიდან დაბრუნებული პირუტყვის მისახედად გამოეფინენ. მარგილზე ჩამოცმული დევის თავი რომ შეამჩნიეს, არიქა, ჭრელწვერა დევი მოდისო, შეშინდნენ. ამასობაში ბათრაძიც მოახლოვდა. იცნეს, გული დაიმშვიდეს და შეეგებნენ.

ამის შემდეგ იმ თვალუწვდენელ იალაღებზე ნართების პირუტყვის ჯოგები თავისუფლად ბალახობდნენ.

როგორ აწრთობინა თავი ბათრაძმა

ერთხელ ბათრაძი დაფიქრდა და თქვა: „როგორც ახლა ვარ, ასეთს როდისმე მომრევი გამომიჩნდება და დამამარცხებს. წავიდე ზეცას და ქურდალაგონს თავი ვაწრთობინო“.

გაემართა ზეცისაკენ, ქურდალაგონთან. ააღწია მასთან და სთხოვა:

— ქურდალაგონ, უნდა მაწრთო!

— ნუ, მა ხურ! კაი ბიჭი ჩანხარ და დასაწვავად ნამეტანი ცოდო ხარ.

— მეტი საშველი არ არის, ქურდალაგონ და გთხოვ, მაწრთე.

დათანხმდა ქურდალაგონი და უთხრა:

— აბა, მაშ წადი და ერთი თვის მანძილზე სიპი ქვა ზიდე და ერთი თვის მანძილზე კი ნახშირი გამოწვი.

დაბრუნდა ბათრაძი და ერთი თვე ნახშირის გამოწვას მოანდომა, ერთი თვის მანძილზე კი სიპი ქვა ზიდა და აგროვა.

ქურდალაგონმა შეაგდო ქურაში ბათრაძი, აყარა ჯინით ნახშირი, მერე სიპი ქვა ზედ დააშენა. ამის შემდეგ თორმეტი მხრიდან თორმეტი საბერველი მიუმარჯვა და მთელი თვე უბერა. თვე რომ მიიწურა, ქურდალაგონმა გულში თქვა: „აქამდე ხამიცის ვაჟი, ალბათ, დანახშირდებოდა. წავიდე, ჩონჩხის ძვლები გარეთ გამოვყაროო!“ მაშით ხელში მივიდა და ბათრაძმაც დაუყვირა:

— ცეცხლი რომ არ მეკარება, მასხარად მიგდებ, თუ რაშია საქმე? ეგეც არ იყოს, მოწყენილობისაგან გავთავდი; ფანდირი მომიტანე, სიმღერით მაინც გავერთო.

ქურდალაგონმა ფანდირი მიუტანა, კვლავ დააყარა ნახშირი და მთელი კვირა უბერა, მაგრამ ბათრაძს ცეცხლი მაინც არ მიეკარა.

მაშინ ქურდალაგონმა ურჩია:

— წადი, ბათრაძ და ურჩხულები დახოცე. თუ ისინი არ დავანახშირეთ, უბრალო შეშის ნახშირი შენ ვერ გაგახურებს.

წავიდა ბათრაძი და დახოცა ურჩხულები. ამოუტანა ქურდალაგონს და დაანახშირეს.

შევიდა ისევ ქურაში ბათრაძი. დააყარა ქურდალაგონმა ნახშირი და დაუბერა. ერთი კვირის შემდეგ კვლავ მიაკითხა ბათრაძს და მან გამოსძახა:

— თუ საკმარისად გავხურდი, აქ ნუღარ მინიავებ, ზღვაში მომისროლე!

ქურდალაგონმა მაშა ჩაავლო ბათრაძს და ზღვაში მოისროლა. ზღვა ადუღდა და დაშრა — ორთქლად ავარდა ცაში. ვეშაპები, თევზები მშრალზე ფართხალებდნენ. ბათრაძი მთლიანად ფოლადად იქცა, ერთი ნაწლავი დარჩა მხოლოდ უწრთობი, რადგან წრთობისას წყალი დაშრა. გამოვიდა ნაპირზე, ზღვა კვლავ წყლით აივსო და ტალღებად დაირწა. ვეშაპებმა და თევზებმა კვლავ სული მოიბრუნეს და ზღვის სიღრმეში ლაღად განაგრძეს სრიალი.

როგორ გადაარჩინა ბათრაძმა ურუზმაგი

ახსართაგათების ძალგულოვანი მამაკაცები საალაფოდ გაემგზავრნენ. სოფელში მარტო მოხუცი ურუზმაგი-ღა დარჩა. კაი ხანი გავიდა; საალაფოდ წასული ნართები არა და არ ჩანდნენ და ხალხში ხმა დაირხა: „სათარეშოდ წასული ახსართაგათების მამაკაცები, ალბათ, სადღაც თავისზე უფრო ძლიერებს გადაეყარნენ და გაწყდნენო“.

ბორათებმა თქვეს: „ახსართაგათებიდან კაციშვილი აღარავინაა და ძთელი ქონება ობრად უყრიათ. ერთი ბერიკაციღა დაფრატუნობს, ავიდეთ, მოვკლათ და მათი მზამზარეული სიმდიდრე წამოვიღოთო“.

ერთ დღეს ბორათები შეიკრიბნენ და მოითათბირეს. „საღვთო წვეულება გავმართოთ, ურუზმაგი დავპატიჟოთ, დავალევინოთ და მოვკლათ, შერე ახსართაგათების ქონება მივისაკუთროთ“.

რამდენიმე დღის შემდეგ ბორათების არდამონგა ხაძარში[1] საღვთოგამზადდა.

— ვინ წავა ურუზმაგის მოსაპატიჟებლად? — იკითხეს ბორათებმა.

სირდონმა უპასუხა:

— მე წავალ და მოვიყვან ურუზმაგს.

სირდონი ურუზმაგთან მივიდა, გვერდით მიუჯდა და უთხრა:

— ბორათები თავიანთ არდამონგა ხაძარში საღვთოს იხდიან და გეპატიჟებიან. თუ გსურს — წამოდი, თუ არ გსურს — ნუ წამოხვალ.

— ეგ სადაური ლაპარაკია, ეგეთი დაპატიჟებაც გსმენია?! — გაიკვირვა ურუზმაგმა.

— მსმენია, — უპასუხა სირდონმა.

— წადი, აბა, მადლობა გადაუხადე და უთხარი: „დღეს შეუძლოდ ვარ, საღვთოზე დასწრებას და ადათის მიხედვით პატივსცემას ვერ შევძლებ-თქო“.

სირდონი წავიდა. ურუზმაგი კი სათანას მიუბრუნდა და უთხრა:

— ეჰ, დედაკაცო, დავბერდი და ნართები პატივს აღარ მცემენ, თორემ ეს სადაური დაპატიჟებაა: თუ გინდა — წამოდი, თუ არ გინდა — ნუ წამოხვალო?

— ნამდვილად დაბერდი, კაცო და ნათქვამის აზრს ვეღარ მიხვედრილხარ. ბორათები ცუდი განზრახვით გეპატიჟებიან და სირდონმა მისახვედრად გითხრა, — უპასუხა სათანამ.

სირდონმა ბორათებს რომ შეატყობინა, ურუზმაგი არ მოდისო, ბორათები შეფიქრიანდნენ. მერე თქვეს: „მოპატიჟედ ახალი პატარძალი მივუგზავნოთ, ცოცხალი თავით უარს ვერ შეჰკადრებს და აუცილებლად მოვაო“.

უფროსებმა ახალი პატარძალი მოპატიჟედ გაგზავნეს. მივიდა იგი და კარზე დააკაკუნა.

სათანამ გამოიხედა.

— ჩვენები არდამონგა ხაძარში საღვთოს იხდიან და თქვენს მოხუცებულთან მოპატიჟედ გამომგზავნეს, — უთხრა სათანას ახალმა პატარძალმა.

სათანა სახლში შებრუნდა და პატარძლის ნათქვამი ურუზმაგს გადასცა. მოხუცი ურუზმაგი ბარემ შეფიქრიანდა, მაგრამ უარის თქმა აღარ ეგებოდა.

„ღმერთო, ნუ შეუნდობ ამის გამომგზავნებსო“, თქვა ურუზმაგმა და სათანას მიუბრუნდა:

— წადი, მა ხურ და უთხარი: „ნართულ ადათს ვერ დავარღვევ, პატარძალ მოპატიჟეს უარი არ ეთქმის და ახლავე გეახლებით-თქო“. გამოვიდა გარეთ სათანა, თავისი ბერიკაცის პასუხი პატარძალს გადასცა, მერე შებრუნდა შინ და ურუზმაგს უთხრა:

— ფიქრი ნუ გაქვს, მოხუცო! აი, ეს აბრეშუმის თავსაფარი წაიღე, როცა რამე გაგიჭირდეს, დააგდე ძირს და მშველელი გამოგიჩნდება. აჰა, ეს მილიც, ჭურჭის ქვეშ დამალე. მატყლის ლეიბზე დაჯექი, სასმელი მილში ასხი ხოლმე, ლეიბზე დაიღვრება და შიგ გაჟონავს.

ურუზმაგმა თავსაფარი და მილი გამოართვა, უბეში ჩაიდო; წამოდგა შერე, თავისი ძვირფასი თინთის ჭურჭი* მხრებზე მოიგდო, აიღო ცირყი, ჭურჭის ქვეშ წელში გაირჭო და ასე გამოწყობილი წვეულებაზე გაემართა. მივიდა ადგილზე. ბორათები დედაბუდიანად სუფრასთან ისხდნენ. ურუზმაგი რომ დაინახეს, უფროსი თუ უმცროსი — ყველა ფეხზე წამოუდგა.

— აქა მშვიდობა, ბორათებო და შესაწირავი უფალმა შეგიწიროთ, — მიესალმა ურუზმაგი.

— იცოცხლე, ურუზმაგ, იცოცხლე! — უპასუხეს ბორათებმა და თვალთმაქცურად მიეფერნენ. სუფრის თავს — შვიდი რიგის ზემოთ — დასვეს ბერიკაცი და დაიწყო პურობა. ყოველ სადღეგრძელოზე ურუზმაგს შვიდ სირჩას აწვდიდნენ. იგი, რამდენიც სურდა იმდენს მოსვამდა ხოლმე, დანარჩენს ჭურჭის ქვეშ დამალულ მილში ასხამდა და სასმელი ლეიბში იჟონებოდა.

ეშმაკ სირდონს რა გამოეპარებოდა — ურუზმაგს ფანდს მიუხვდა და ბორათებიც მიახვედრა.

— მოდი,ახლა ცხენოსნების სირჩა დავლიოთ, — თქვეს უფროსებმა.

ყველანი ფეხზე წამოდგნენ. ურუზმაგმა თავი გადააქნ-გადმოაქნია, შაგრამ უარის თქმა არ იკადრა და სმა განაგრძო. ფეხზე მდგომს სასმლის

ძილში ჩასხმის საშუალება აღარ ჰქონდა, სირჩებს ბოლომდე ცლიდა, დაითრო და ბანცალი დაიწყო.

— ჩვენი ბებერი ხარის დაკვლის დრომ მოაწია, — უთხრა ბურაფარნიგმა უმცროსებს.

მოხუცი ურუზმაგი მიხვდა, მის სიცოცხლეს აღსასრული რომ დაუდგა და აბრეშუმის თავსაფარი მიწაზე დააგდო. თავსაფარი სათანასთან გაჩნდა. საქმე ცუდად რომ იყო, სათანა უმალ მიხვდა, სასწრაფოდ გამოაცხო სამი ცალი თაფლიანი კვერი, სალოცავ გორაკზე ავიდა, ეს სამი თაფლიანი კვერი და რონგით სავსე დოქი აიტანა და ლოცვა აღავლინა: „ღმერთო გამჩენო, რაკი შემქმენი, ეს თხოვნა ამისრულე — ჩემი არშობილი ვაჟი ბათრაძი დონბედთირებთან არის და ბრძანე, აქ გაჩნდეს“.

სათანამ ლოცვა დაამთავრა და ბათრაძიც ზღვიდან ამოხტა, სათანასთან მიირბინა და ჰკითხა:

— რა მოხდა, დედაჩემო?

— შენს მოხუც ბიძას ბორათები სამარცხვინო სიკვდილს უმზადებენ, — უპასუხა სათანამ.

— სად, რომელ მხარეს არის? — ჰკითხა ბათრაძმა.

— ბორათების არდამონგა ხაძარში.

ბათრაძი სირბილით წავიდა. მყისვე ბორათებთან გაჩნდა და ზღურბლიდან შეჰყვირა. მისმა ხმამ ჭერი შეაზანზარა და ჭვარტლი ძირს დაცვივდა. სუფრაზე მსხდომთაგან ბევრს გულს შემოეყარა.

— ეჰეი, მოხუცო, მოგკლეს თუ ცოცხალი მყავხარ? — შესძახა ბათრაძმა.

ბათრაძის გამოჩენა მოხუცს იმედს როგორ არ დაუბრუნებდა! სიხარულით ლაპარაკსაც ვეღარ ახერხებდა, მაგრამ მაინც გამოსძახა:

— მკვდარი არა და ცოცხალმკვდარი კი ვარ.

— აბა, გამორეკავ თუ ჩაუსაფრდები? — ჰკითხა ბათრაძმა.

— მე გამორეკვის თავი აღარ მაქვს, მაგრამ ჩასაფრებით კი ჩავუსაფრდები, — უპასუხა ურუზმაგმა და ზღურბლთან მიირბინა, ქამარში გარჭობილი ცირყი იძრო, მჭრელი პირი შიგნით უყო და კარებში ხიდიეით გასდო.

სირდონი უმალ მიხვდა ვითარებას, ერდოდან ზევით ახტა და მოუსვა.

ბათრაძმა სახლს ერთი ბოძი გამოაძრო, დაერია ბორათებს და შენს მტერს ის დღე! ვისაც თავში დაუშვებდა, იქვე აბრტყელებდა. ვინც გარეთ გარბოდა, ის ურუზმაგის ბასრ ცირყს აწყდებოდა და თავი გარეთ ეცემოდა, ტანი — შიგნით.

ბათრაძმა ახლა სახლის დედაბოძს მოავლო ხელი, მიაწვა და ჭერი

შაღლა ასწია. ღრიჭო რომ დაინახეს, გადარჩენილები ზედ მიაწყდნენ, აქედან გავაღწევთო. ბათრაძმა ჭერი ისევ დაუშვა და ბორათები შიგ მოაყოლა.

ამრიგად, ბორათები პირწმინდად ამოხოცეს.

ბათრაძმა ურუზმაგს მკლავში ხელი გაუყარა და სათანას მიჰგვარა.

ბათრაძი და თეხის ვაჟი მუქარა

ბათრაძი ისეთი კაცი დადგა, რომ ზეცაში ფარულად ცხოვრება უხდებოდა.

ნართები სათარეშოდ ხშირად მიდიოდნენ და შინ არც თუ ისე მოკლე ხანში ბრუნდებოდნენ — ზოგჯერ სამი წელიწადიც კი მოუგვიანდებოდათ ხოლმე. ერთხელაც მთელი რჩეული ახალგაზრდობა ნართების ძალგულოვან მხედრობასთან ერთად სათარეშოდ გაემგზავრა. მათი გამგზავრებიდან წელიწადი რომ გასრულდა, თეხის ვაჟმა მუქარამ შინ დარჩენილ ნართებს შემოუთვალა: „თქვენი წინაპრები ჩემს წინაპრებს ხარკად ქალიშვილს აძლევდნენ. აი, უკვე რამდენი წელიწადია ეს ხარკი მე თქვენგან აღარ მოშითხოვია. ახლა კი გამომიგზავნეთ, თორემ თავს დაგესხმევით!“

ნართები დადარდიანდნენ: „რა ვქნათ, ასეთი ამბავი აქამდე არასოდეს არ გვსმენია და ახლა როგორ მოვიქცეთ? ქალიშვილი რომ გავუგზავნოთ, ჩვენი ბრძენი უხუცესები გაგვინაწყენდებიან. თუ არ გავუგზავნით, თავს დაგვესხმიან, ბრძოლისუნარიანები ყველა წასულები არიან, საკადრის პასუხს ვინ გასცემს?!“

სირდონმა ურჩია:

— თქვენ ვერაფერს ვერ მოიფიქრებთ, გირჩევნიათ, სათანას ჰკითხოთ.

სანამ ესენი ამ ბჭობაში იყვნენ, თეხის ვაჟი მუქარა უკვე თავზე დაადგათ! მოვიდა და წინ ვინ დაუდგებოდა, ვინღა იყო შინ! მუქარაც ადგა და ნართებში რაც ლამაზი ქალი და რძალი იყო, გამოარჩია და თავისთან წაასხა. ეს რომ სათანამ დაინახა, დაიჭირა უცბად ქორი და უთხრა:

— აბა, სწრაფად გაფრინდი და ბათრაძს უთხარი: „იდგე — ნუღარ დაჯდები, იჯდე — ფიცხლად წამოხტი და შენს სოფელში გაჩნდი, იღუპე-

ბიახ-თქო“. თუ ამ დავალებას შემისრულებ, ნება მომიცია — ჩემი წიწილებიდან რომელიც გინდა წაიღე.

ბათრაძი იმხანად ზეცაში იმყოფებოდა.

ქორი აფრინდა მაღლა, მიაგნო ბათრაძს და სათანას დანაბარები შეატყობინა.

ამ ამბის მოსმენისთანავე ბათრაძი ზეციდან გადმოეშვა, ნართებს სოფელში დაეცა და ბარძაყებამდე მიწაში ჩაესო. ასწია ტანი, ამოხტა, მივარდა სათანასთან და ჰკითხა:

— რა ამბავია, დედაჩემო, რა გაგჭირვებიათ?

სათანამ უპასუხა:

— თქვენს გვარს ჯერ რომ არ დამართნია, ისეთი უბედურება დაემართა. თუ რამე შეგიძლია, ახლა დაგჭირდა თავის გამოჩენა, — და უამბო, რაც მათ სოფელს მუქარამ დამართა.

ბათრაძმა ჰკითხა:

— საით, რომელ მხარეს მიდის?

სათანამ დაარიგა:

— ზღვის პირს ჩადი, იქ დედაშენის სახლიკაცები ცხოვრობენ და ნაპირიდან ხმამაღლა გაჰყვირე: „პატარა ჩეხ, შენიანი ვარ, გამომხედე, შენი დახმარება მჭირდება. თეხის ვაჟის მუქარას სამყოფელი მიმასწავლე-თქო!“ ჩეხს ცასა და დედამიწას შუა არაფერი დაემალება, ის მიგასწავლის, სადაც არის მუქარა.

ბათრაძი შინაც აღარ შესულა, პირდაპირ ზღვისკენ გაქანდა. ნაპირთან მისულმა ხმამაღლა დაიძახა: „დონბეთირების პატარა ჩეხ! შენიანი ვარ, გარეთ გამომხედე!“

ჩეხი ფიცხი კაცი იყო — სწრაფად წამოფრინდა და ტყეები ჯერ ისევ ბათრაძის ხმის ექოს გამოსცემდნენ, იგი უკვე ბათრაძის წინ იდგა. შეხედა და უთხრა:

— შენიანი ვარო, დამიძახე, ჩემიანებში კი შენნაირ კაცს არავის ვიცნობ. როგორი ჩემიანი ხარ, იქნებ გამაგებინო?

— მაგის გამოკითხვას ახლა ნუ დამიწყებ; ჯერ ის მასწავლე, თეხის ვაჟი მუქარა სად არის? — უპასუხა ბათრაძმა.

— ახლა კი გიცანი, ნამდვილად ჩემიანი ყოფილხარ!.. მე კი მიგასწავლი, სადაც არის თეხის ვაჟი მუქარა, მაგრამ მას ეგრე ადვილად ვერ შეხვდები, — უთხრა პატარა ჩეხმა.

ბათრაძი დაფიქრდა და უთხრა:

— მაშ შუაკაცად მიმეგზავნე და ასე გადაეცი: „მანდ ნუ მომიყვან, ჯორემ იცოდე, ნართებში ჯერ რომ არ შეგხვედრია, მე ის ბათრაძი გახ-

ლავარ. ნუ გგონია, ზღვამ დაგიფაროს. შესაბრძოლებლად გეახლე და გარეთ გამომხედე-თქო!“

ჩეხი ისეთი მარდი იყო, თვალის სამ დახამხამებაში სამი დღის საკალს გაირბენდა. მუქარასთან მიირბინა და უთხრა:

— ნართებიდან ერთი უწვერული ბიჭი გეწვია. თორმეტი ხარი რომ გაიმართება, იმხელა კალოსტოლა თვალები* აქვს. იმან შემოგითვალა: „მანდ ნუ მომიყვან, თორემ იცოდე, ნართებში ჯერ რომ არ გინახავს, მე ის ბათრაძი გახლავარ და ნუ გგონია, ზღვამ დაგიფაროს. შესაბრძოლებლად მოვედი და გარეთ გამომხედეო!“

მუქარა დაფიქრდა და უპასუხა:

— ჩემთვისაც სირცხვილია. საომრად მოსულს დავემალო; მაგრამ თუ ხართელი კაცია, ეცოდინება, ნართებს ბრძოლის დღედ პარასკევი–რომ აქვთ დაწესებული. ჰოდა მეც ამ დღისთვის მზად დავხვდები.

პატარა ჩეხი წამოვიდა და მუქარას დანაბარები ბათრაძს გადასცა; ბათრაძიც რაღას იტყოდა — გამობრუნდა შინ. სოფელში რომ ამოვიდა, ხალხს გასძახა:

— ეჰეი, ნართებო, თქვენ კი დამეხოცენით! იმ შავმა ვირმა ეგ რა შავი დღე გაყარათ! მაგ შერცხვენას ის მერჩივნა, თქვენს ამოწყვეტას მოვსწრებოდი. მუქარამ შემომითვალა, პარასკევს ერთმანეთს შევებათო; ვიცი, თქვენ იმისი გამკლავების თავი არა გაქვთ, მაგრამ თვალი შორიდან მაინც გვადევნეთ.

ნართებმა არ იცოდნენ მათთვის ბათრაძი ვინ იყო და ერთიმეორეს გაოცებით ეკითხებოდნენ: „ნეტა ვინ არის ჩვენ კი გვგავს. მაგრამ სად იყო, დღემდე რომ არასოდეს დაგვინახავს?“

ბათრაძი ნართებს დაეჭვების მიზეზს მიუხვდა და უთხრა:

— ჩემს ვინაობას მე თვითონ გეტყვით: ნართების ჯიშისა ვარ, დედაჩემი ბიცენონია, მამაჩემი — ხამიცი. აქამდე არ შემეძლო გამოვჩენილიყავ და მალულად იმიტომ ვცხოვრობდი. ახლა თეხის ვაჟ მუქარასთან შესარკინებლად მივდივარ — პარასკევს ერთმანეთს უნდა შევხვდეთ. ჩვენ ხიზის მინდორზე შევებმით, თქვენ კი ვაზეკვიფიდან* გვიცქირეთ.

მოემზადა ბათრაძი პარასკევისთვის. გამოიყვანა ბოსლიდან თავისი შავი ცხენი და უთხრა: „ჩემო შავრა, დამიჯერე, იმას რაღაცის იმედი რომ არ ჰქონდეს, შებმას ვერ შემომბედავდა. შენ ჩემს ახლომახლო დაუნაგრებულს გაგიშვებ. ჰოდა როცა ძლიერ გავხურდები, დაგიძახებ: „ეჰეი, რა იქენ, ჩემო შავრა-მეთქი!“ შენ გამოქანდი და როცა მომიახლოვდები, გავით ერთი ისეთი ამომცხე, რომ შიგ შუა გულ ზღვაში ზღართანი მოვადინო“.

წამოვიდა ბათრაძი. ზღვის პირას მოვიდა და მუქარას დაუძახა:

— აგერ ვარ, მუქარა და არ დამემალო!

გადმოუხტა ზღვიდან მუქარა, ეძგერნენ ერთურთს და სულ მთებსა და ველებს ანარცხეს ერთმანეთი. არც ერთი არა ტყდებოდა. ასე ჭიდილით ტყემდე მივიდნენ. ძირიანად გლეჯდნენ ხეებს და ერთმანეთს თავზე ალეწაედნენ, დამარცხებული მაინც არავინ ჩანდა. ბოლოს ბათრაძმა მუქარა წინ გაიგდო და ზღვის პირს მიატანეს. ბათრაძი ძლიერ გახურდა და თავის შერანს გასძახა: „ეჰეი, რა იქენ, ჩემო შავრა!“ გამოქანდა ცხენი, მიუახლოვდა თუ არა ბათრაძს, გავა ისეთი ძალით ამოსცხო, რომ შიგ შუა ზღვაში მოისროლა. გაგრილდა ბათრაძი, გამოვიდა წყლიდან და მთელი ხმით იყვირა:

— აბა, დამიდექ, შავო ვირო, შენ გიჩვენებ სეირს!

ახლა კი შეშინდა მუქარა და ზღვაში ჩაყვინთა. ზღვის ფსკერზე ქაჯები ცხოვრობდნენ. მუქარას ისინი მასპინძლობდნენ. დევნილმა მასპინძლებამდე მიაღწია და თავისი გასაჭირი შესჩივლა.

— ისეთი მდევარი მომდევს, ეშმაკობით თუ რამეს მოვუხერხებთ, თორემ ძალით იმას ვერავინ ვერაფერს დააკლებს.

ადგნენ ქაჯებიც და საითაც ბათრაძს უნდა გაევლო, იმ გზაზე ისეთი ღრმა ორმო ამოთხარეს, მისი ფსკერიდან ხმა ზედაპირამდე ვერ აღწევდა. ორმოს ზემოდან ხალიჩები გადააფარეს.

მოდის ბათრაძი და ქაჯებმა მოითათბირეს:

„ერთი ჯგუფი წინ შეეგებოთ და მოვუბოდიშოთ, რომ არაფერი დაგვიშაოს, დანარჩენებმა იმდენი ქვა და ჯირკვი მოვზიდოთ, ამ ორმოს ამოსავსებად რომ იკმაროს“.

ქაჯების ერთი ნაწილი ქვისა და ჯირკვის შეგროვებას შეუდგა, დანარჩენები ბათრაძს წინ შეეგებნენ და მიეფერნენ:

— მობრძანდი, სტუმარო, მობრძანდი! ჩვენ არაფერ შუაში ვართ, აგერ გზად ხალიჩები დაგიფინეთ და გვიკადრეო.

ბათრაძსაც დაუჯერა ქაჯებს, ოდნავაც არ დაეჭვებულა, იმედიანად გაემართა. ორმოსთან რომ მივიდა, შიგ არ ჩავარდა! ქაჯებმა გაიხარეს: ახლა კი ხელში ჩავიგდეთო. რაც ქვა და ჯირკვი მოაგროვეს, ბათრაძს სულ თავზე დააყარეს.

ბათრაძმა თავის ცირყს მჭრელი პირი ზემოთ უყო და თავზე დაიდო. ქაჯების მიერ ჩამოყრილი ქვა და ჯირკვი დანის პირს ხვდებოდა, ჭუცმაცდებოდა და ბათრაძს ფეხქვეშ უცვიოდა. ბათრაძი ზედ დგებოდა და ნელნალა მაღლა-მაღლა იწევდა. როგორც კი ორმოდან თავი ამოჰყო, ქაჯებს დაუღრიალა:

— აბა, მანდ დამიდექით, თქვე უწმინდურებო!

ბათრაძის ძლიერმა ხმამ ქაჯები დაბნიდა. ამოხტა ორმოდან ბათრაძი,

შევარდა ქაჯების კოშკში, ჯერ მუქარას გააფრთხობინა სული, მერე ქაჯებს მოსდგა და დედაბუდიანად გაწყვიტა.

წამოიყვანა იქიდან დატყვევებული ნართების ქალ-რძალი და თავიანთ სახლებში მიიყვანა. თვითონ კი ზეცას ავიდა და კვლავ იქ მიეფარა.

გათრაძი და ცალთვალა დევის ავსარონის ვაჟი ალეფი

ნართებმა ზილახარის ველზე ისეთი დიდი „სიმდი“ გამართეს, რომ მათ ფეხქვეშ მიწას ზანზარი გაუდიოდა. სიმდს ნართების ძალგულოვანთაგან არც ერთი არ ესწრებოდა — არც ურუზმაგი, არც სოსლანი და არც გათრაძი.

მოცეკვავე ნართებს მთიდან ცალთვალა დევის ავსარონის ვაჟი ალეფი დასცქეროდა.

— მოდი, ჩავალ ნართების „სიმდზე“, ერთს კარგად ვიცეკვებ, აბუჩად ავიგდებ მათ ახალგაზრდებს, ტანსაცმელსაც წავართმევ და წამოვიღებ, — თქვა ალეფმა.

მამამისმა ავსარონმა მისი ნათქვამი რომ მოისმინა, უთხრა:

— ნუ იზამ მაგას, შვილო. ნუ წახვალ, თორემ ნართების ძალგულოვანთაგან რომელიმე უბედურებას დაგმართებს. ხომ იცი, მაგათი შიშით ცას ქუხილი ვერ გაუბედავს. მეც შენსავით თამამი ვიყავი, მაგრამ ერთხელ ნართების ახალგაზრდებს გადავეყარე, ჩხუბი ავუტეხე და ხომ ხედავ, რაც მიყვეს — თვალი წამომთხარეს.

შვილმა მამას განა დაუჯერა! ჩაიწყო უბეში საგზლად თორმეტი პური და ზილახარის ველისკენ გამოსწია.

— კარგი, — დაადევნა სიტყვა ცალთვალა დევმა, — ვნახოთ, თუ ჩემი ნათქვამი არ აგიცხადდეს.

ავსარონის ვაჟმა კარგა მანძილი რომ გაიარა, იალაღზე მობალახე პირუტყვის ჯოგი შენიშნა. ჯოგთან მიირბინა, თორმეტი ძროხა ჩამოწველა და სადილად დაჯდა. ისადილა და კვლავ გზას გაუდგა. ერთგან ვეება მუხა ძირფესვიანად მოგლიჯა, გაიდო მხარზე და ასე მიადგა ნართებს. მივიდა ახლოს და ხე ძირს დაახეთქა. დახეთქების ხმამ ნართი ახალგაზრდები ჯერ შეახტუნა, მერე ვინ სადაც იდგა, იქვე ჩაიკეცა.

ცალთვალა დევის ვაჟმა ხმამაღლა გადაიხარხარა და შესძახა:

— ნართებო, ჰაი, თქვე ძაღლებო! გამოდით, „სიმდი“ ვიცეკვოთ, ერთმანეთი გამოვცადოთ.

დამფრთხალ-დაფეთებულ ხალხს რა მეტი ღონე ჰქონდა: ჩააბეს „სიმდი“ და დაბოღმილებმა ცეკვა დაიწყეს.

დევის ვაჟი ალეფი მოცეკვავეთა წრეში შევიდა. რომელზეც გული უკარნახებდა, იმას ჩაავლებდა ხელს და ეცეკვებოდა. ცეკვისას ზოგს მკლავი მოსტეხა, ზოგს ნიდაყვი ამოუგდო, ზოგს ფერდები შეუნგრია. ტკივილებისაგან შეწუხებული ნართი ახალგაზრდები გმინავდნენ, მაგრამ დევის ვაჟი მათ მაინც არ ეშვებოდა.

მოსაღამოვდა და ნართების ახალგაზრდობამ ცეკვა შეწყვიტა. შინ წამოსასვლელად რომ იშლებოდნენ, დევის ვაჟი დაერია და ყველას ტანსაცმელი წაართვა, ამოიდო იღლიაში და შინისკენ გასწია.

მთის წვერიდან მისი და იმზირებოდა. ქალიშვილმა თვალი მოჰკრა ხევში მომავალ თავის ძმას, დედმამასთან შევარდა და მიახარა:

— ჩემი ძმა მოდის და ჩემთვის ნართების ქალიშვილების ტანსაცმელი მოაქვს.

ცალთვალა დევმა ქალიშვილს არ დაუჯერა და უთხრა:

— გადი გარეთ და კარგად დააკვირდი, გორაკებზე მარდად ამორბის, თუ ხევ-ხევ მოიპარება?

გაიხედა ქალიშვილმა — მისი ძმა გორაკებზე მხიარულად ამორბოდა.

ცალთვალა დევს მაინც არ ეჯერა. ამასობაში მისი ვაჟი თვითონაც ამოვიდა და გამარჯვებით გაამაყებულმა მამას უთხრა:

— ხედავ, მამა, შენ არ მიშვებდი, მაგრამ მე ერთი კარგადაც ვიცეკვე და ნართების ახალგაზრდებიც გავამასხარავე. აჰა, ესეც იმათი ტანსაცმელი.

მამამ უთხრა:

— როგორც ჩანს, შავგვრემანი და შუბლწამობორცვილი ვაჟკაცი იქ არ დაგხვედრია!

— შავგვრემანებიც და თეთრებიც, შუბლწამობორცვილებიცა და შუბლჩაჟყლეტილებიც — სუყველა იქ იყო, მაგრამ კრინტის დაძვრა ვერავინ გამიბედა, — უპასუხა ბიჭმა.

— ნუ შვრები-მეთქი, შვილო. ვიცი, შუბლწამობორცვილი და შავგვრემანი ვაჟკაცი იქ არ იქნებოდა. გიჯობს, მეორედ წასვლა გულში აღარ გაივლო.

ალეფმა მამის ნათქვამზე ხელი ჩაიქნია და ამაყად თავაღერილი გაეცალა.

დევის ვაჟი მეორე დღესაც დილით ადრე ადგა, უბეში ისევ თორმეტი პური ჩაიწყო და ზილახარისკენ გამოემართა. ჯოგთან მისულმა კვლავ პურითა და თორმეტი ძროხიდან ჩამონაწველი რძით ისადილა, მოგლიჯა

შუხა, გაიდო მხარზე და ნართების სიმდს მიადგა. ახალგაზრდებს გუშინდელივით დღესაც აბუჩად აგდება დაუწყო.

იმ დროს ხამიცის ვაჟი ბათრაძი გასაგრილებლად მთის წვერს წითიზე* იჯდა — იგი ხომ ფოლადისაგან იყო ნაწრთობი. იმზირებოდა მაღლიდან ბათრაძი და ზილახარის ველზე რაც ხდებოდა, ყველაფერს კარგად ხედავდა. როცა ალეფი ზილახარის ველზე მეორედაც გამოცხადდა, ბათრაძმა თქვა: „ბრუტიანი დევის ბიჭი ნართების ახალგაზრდებს უკვე მეორედ იგდებს აბუჩად. მეტი გზა აღარ არის, უნდა წავიდე და ღონე ვცადო“. წითის ნახევარი მოატეხა, თავზე დაიდო, რომ არ გახურებოდა და ზილახარის ველისაკენ მთის არწივივით გადმოეშვა. ყინული თავზე ადნებოდა და ორივე გვერდზე ნაკადულებად ჩამოსდიოდა. მოვიდა ბათრაძი ახალგაზრდებთან. ცალთვალა დევის ვაჟმა ბათრაძი რომ დაინახა, გულში თქვა:

„ნამდვილად ამაზე მეუბნებოდა მამაჩემი — შავგვრემანი და შუბლწამობორცვილი ვაჟკაცი იქ არ იქნებოდაო“ და შიშით გული გადაუცივდა.

ხამიცის ვაჟი ბათრაძი ზრდილი, თავაზიანი იყო: დევის ვაჟს მიესალმა და ხელიც ჩამოართვა, მაგრამ შენს მტერს ის დღე — ალეფს ხელი დაულეწა.

მისალმების შემდეგ ბათრაძმა ალეფს მიმართა:

— სტუმარო მოდი ვიცეკვოთ!

ცალთვალა დევის ვაჟს ბარემ შიშით აცახცახებდა, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდა? ჩაკიდეს ხელი და დაიწყეს ცეკვა. რამდენჯერმე შემოუარეს წრეს და ბათრაძმა ალეფს ფეხზე ფეხი დაადგა, მკლავშიც ამოარტყა. ალეფს ფეხი მოესრისა და მკლავიც ამოუვარდა. სიმდი თანდათან ცხარდებოდა. ბათრაძმა ალეფს ახლა ფერდებში მისცხო და ნეკნები შეუმტვრია. დევის ვაჟმა ბათრაძს ხვეწნა დაუწყო, ოღონდ ხელი გამიშვიო. ბათრაძმა ალეფი წიწილასავით ერთხელ კიდევ მისრის-მოსრისა და მერე გაუშვა ხელი. ალეფმა თავი რომ თავისუფლად დაიგულა, თეძოათრეულმა შინისკენ მოუსვა.

ალეფის დამ კვლავ გადმოიხედა დაბლა და მშობლებს უთხრა:

— მოდის ჩემი ძმა და ნართების წითელი ტანსაცმელი მოაქვს.

— ნუ ჩქარობ, — უთხრა მამამ ქალიშვილს, — იმასაც ნახავ, რა წითელ ტანსაცმელსაც ამოგიტანს.

დევის ვაჟს სანამ ბათრაძის დადევნების შიში ჰქონდა, თავქუდმოგლეჯილი გარბოდა; როცა ზილახარის ველს კარგა მანძილზე გასცდა, უკვე აღარ შეეძლო და დავარდა.

დევმა თავის ქალიშვილს უთხრა:

— გადი, ერთხელ კიდევ გახედე: გორაკ-გორაკ მარდად ამორბის, თუ ზევ-ზევ მოიპარება?

გადაიხედა დამ: იმისი ძმა ხევში გაშოტილი ეგდო.

ქალიშვილი შებრუნდა შინ და მამას უთხრა:

— ალეფი ხევში გაშოტილა.

ბებერ დევს რა ესწავლებოდა, მიხვდა რა ამბავიც დაატყდებოდა თავს მის შვილს! ხარ-ურემი გააგზავნინა და ნახევრადმკვდარი ალეფი შინ ამოატანინა.

— ხომ გითხარი, შვილო, ნართების მომრევი ჯერ არ გამოჩენილა მეთქი? — უთხრა მამამ შვილს.

დევის ვაჟი როცა მოსულიერდა, მამას ჰკითხა:

— ბათრაძი ეგრე ძლიერი რად არის?

— რათა და ზეცას ქურდალაგონის ქურაშია ნაწრთობი, — უპასუხა მამამ.

— ჰაი, შე ბრუტიანო ვირო! რატომ შენი ვაჟიც არ აწრთობინე ქურდალაგონს! — უყვირა ალეფმა მამას. ადგა და ზეცას, ქურდალაგონთან გაემართა. ავიდა და უთხრა:

— ქურდალაგონ, აჰა შენ ოქრო და როგორც ბათრაძი აწრთე, მეც ისევე მაწრთე.

— ბათრაძი ფოლადისაა, შენ კი დაიწვები და ცოდო ხარ, — უპასუხა ქურდალაგონმა.

— უნდა მაწრთო, მეტი საშველი არ არის.

ქურდალაგონს ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა: გამოართვა ოქრო, შესვა ალეფი ქურაში და საბერველი მიუმარჯვა. ალეფს როგორც კი ცეცხლი მოედო, აყვირდა:

— დავიწვი! სწრაფად გამიყვანე, აღარ მინდა წრთობა!

ქურდალაგონმა მაშა მოარბენინა, ეცა დევის ვაჟს, მაგრამ მისგან ნამწვის გარდა აღარაფერი დარჩენილიყო. ქურდალაგონმა გამოყარა ნამწვი და უხმოდ მოისროლა სანაგვეზე.

ბათრაძი და ცალთვალა დევი ავსარონი

შვილის დაღუპვის შემდეგ ცალთვალა დევს ავსარონს დარდით გულზე ცეცხლი ეკიდა. როგორ ამოეყარა ნართების ჯავრი — სულ ამის ცდასა და ფიქრში იყო. თვითონ ბათრაძს როგორ შებედავდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ნართების საპატიო მოხუცები — ურუზმაგი და ხამიცი სტუმრად

მოიპატიჟა. თავისი ვაჟები გააფრთხილა: „სახლთან ახლოს, მოფარებულში იდექით. როცა ნართების მოხუცებს სასმელი მოეკიდებათ, შეგატყობინებთ და ნელ-ნელა მოგვიახლოვდით“.

ავსარონმა პურ-მარილი არ დაიშურა — ნანადირევის ხორცით სუფრა იზნიქებოდა; უხვად გამოიტანა სასმელი და ურუზმაგსა და ხამიცს სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ასმევდა.

მოხუცი ნართები მასპინძელს სამტროს ვერაფერს ატყობდნენ და სასმელს რად დაიკლებდნენ? როცა თრობა მოეკიდათ, ავსარონის ვაჟები ნელ-ნელა სახლთან მოქუჩდნენ.

ცალთვალა დევმაც აიღო ხელში დიდი ქვისი* და პირღიმილიანმა ურუზმაგს მიმართა:

— ურუზმაგ, შენმა სიკეთემ, მითხარი ძველისძველი, მამა-პაპური სიმღერა გიმღერო, თუ ახალი?

— მასპინძელო, გაგონილი მაქვს, სიმღერის ოსტატი რომ ხარ. რაკი გსურს შენი დიდებული ხმით გვასიამოვნო, ახალი, თანამედროვე სიმღერა გვიმღერე — წინაპართა სიმღერები მოსმენილი გვექნება, — უპასუხა ურუზმაგმა.

ჰოდა ამღერდა ცალთვალა დევი:

„შემოდგომის ერთ ღრუბლიან დღეს გაუვალ ლელქაშში ორი ტახი გაება. ეშვებიანმა ავმა ძაღლებმა ტახებს ალყა შემოარტყეს. ის ტახები იმ ეშვებიან ავ ძაღლებს, ალბათ, ვეღარ გაუსხლტებიან — ნაფლეთ-ნაფლეთ აქცევენ, ნაფლეთ-ნაფლეთ, მაშა!“

სიმღერის შეფარული აზრის მიხვედრა ურუზმაგსა და ხამიცს როგორ გაუჭირდებოდათ. სიმთვრალემ უცბად გაუარათ; გაქცევასაც აღარ იუკადრისებდნენ, მაგრამ გასაქანი არ ჰქონდათ.

ზუსტად ამ დროს ფოლადოვანი ბათრაძი მთის წვერზე იჯდა. ავსარონის სიმღერა შეესმა. გადმოეშვა მაღლიდან და ავსარონის ეზოში დაეცა. ფოლადის გაწკრიალების ხმაზე ურუზმაგი მიხვდა, ბათრაძი მხსნელად რომ მოევლინათ. გაიხარა მოხუცმა და ამღერდა:

„ოი, დიდხანს იცოცხლე,
ჩვენო გულუხვო მასპინძელო!
ნანადირევის ხორცით კი გაგვიმასპინძლდი,
შენი ოქროს ხმითაც
გაგვამხიარულე,
მაგრამ სიმღერა ბოლომდე
არ დაგისრულებია, მა ხურ!
მახსოვს — სიმღერა
ასე გრძელდება: „ტახებს დასახმარებლად

მთიდან ლომის ბოკვერი მოევლინა —
თვალებიდან ცეცხლის მკვესავი და ფიცხელი.
მგონი, ის ეშვებიანი ძაღლები
ვეღარ გადაურჩებიან —
ტყავს გააძრობს მათ ის ლომის ბოკვერი!"

ურუზმაგმა სიმღერა დაასრულა თუ არა, ბათრაძიც სახლში შემოვარდა. კარს წირთხლი ჭოადღლიძა და, — შენს მტერს ის დღე, — დევები მამა-შვილებიანად გააბრტყელა. ურუზმაგი და ხამიცი კი წამოიყვანა და ნართებამდე მოაცილა.

როგორ გადაარჩინა ბათრაძმა ნართების ძალგულოვანნი

ერთხელ ნართების ძალგულოვნები — ურუზმაგი, ხამიცი და სოსლანი სანადიროდ წავიდნენ. შვიდი დღე და შვიდი ღამე იხეტიალეს და ნადირის ნასახი არ შემოხვედრიათ.

ნართებს საკვებიც შემოაკლდათ და ტანსაცმელიც შემოეგლიჯათ. ადგნენ და შინ დაბრუნება გადაწყვიტეს. მოდიან, მოდიან და ერთი დაბურული ტყის ბოლოს თეთრი ირემი შემოხვდათ — მონადირეებს გზა გადაუჭრა და გარბის.

ნართებმა ქებული იარაღი მოიმარჯვეს და გამოუდგნენ. ირემი მათ სასროლ მანძილზე უჩერდებოდა და მერე კვლავ გარბოდა. ნართებიც მისდევდნენ, აბა, რას იზამდნენ! ირემმა მდევარი შვიდი მთის იქით გადაიტყუა და აქ თვალსა და ხელშუა გაქრა.

დღემ უფლებები დათმო და ღამემ თავისი თალხი კალთა დედამიწას გადააფინა. ნართები შიმშილმა შეაწუხა. საფიქრალი გაუჩნდათ: შინ დაბრუნებულიყვნენ, — უკვე გვიანი იყო, იქ დარჩენილიყვნენ და ვახშმად რა გაეხერხებინათ?!

გაიხედეს და ერთგან სინათლე შენიშნეს. ამ სინათლისკენ აიღეს გეზი და გზას დაადგნენ. მიაღწიეს სიპი ქვით ნაშენ კოშკს და შეეხმიანენ.

იმ კოშკში თურმე შვიდი დევი ცხოვრობდა. დაძახილზე დევები გარეთ გამოვიდნენ. დიდად გაიხარეს, მთის ძიგლოები თავისი ფეხით მოგვადგნენო კარზე.

ნართები შინ შეიპატიჟეს. დასხეს სკამებზე და დევებმა ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს. სამი შამფურების თლას შეუდგა, ოთხმა ცეცხლი დაანთო. როგორ არ შეშფოთდებოდნენ ნართი ძალგულოვნები — ახლა კი აღსასრულის დღე დაგვიდგაო.

ხამიცმა დევებს მიმართა:

— მივხვდით, აღსასრულის დღე რომ დაგვიდგა, მაგრამ მოდი, ერთი სიმღერის ნება დაგვრთეთ — სიკვდილის წინ ნართები ყოველთვის მღერიან.

დევებმა ხმამაღლა გადაიხარხარეს, ქვედა ტუჩები დაეკიდათ.

— იმღერეთ, მთის ძიგლოებო, რა გვენაღვლება, მაინც უნდა შეგჭამოთ, — უპასუხეს მათ დევებმა.

ნართებმა მთელი ხმით დააგუგუნეს სიმღერა და ფოლადოვან ბათრაძს მათი ხმა ზეცაში მისწვდა. ისკუპა ზეციდან ბათრაძმა, დაეცა მთას და მისი ფოლადის გაწკრიალებაზე ტყეებმა, მთებმა და ველებმა ექო გამოსცეს.

ნართები მიხვდნენ, ბათრაძი მხსნელად რომ მოევლინათ და ერთხმად გაიცინეს.

— იცინეთ, იცინეთ, მთის ძიგლოებო, — დასცინეს მათ დევებმა.

ახლა კი დროა. ნართები შამფურებზე წამოვაგოთო, გაიფიქრეს დევებმა და იმ წამს ხამიცის ვაჟმა ფოლადოვანმა ბათრაძმა კოშკის კედელი შემოანგრია. დაერია მუშტით დევებს და რომელსაც ჩასცხებდა, ფეხის გაქნევასაც ვეღარ ასწრებდა, სული ისე სძვრებოდა. დევები სულ დედაბუდიანად ამოწყვიტა.

წამოიყვანა იქიდან ურუზმაგი, ხამიცი და სოსლანი, დაუხოცა აუარება ნადირი და ხელდამშვენებულნი, გახარებულნი შინისაკენ გამოგზავნა.

თვითონ ბათრაძი კვლავ ზეცას გაბრუნდა.

როგორ გადაარჩინა ბათრაძმა სოსლანი

ქაჯების სათანა თავის ბიჭს ქახცს* უხდიდა. მან ქაჯი ქალიშვილებიდან ყველაზე ლამაზები შეარჩია და დაავალა:

— წადით ნართების სათანასთან და შეატყობინეთ ქახცს რომ ვიხდი, დაგასაჩუქრებთ და შინ დროზე დაბრუნდით.

ქაჯი ქალიშვილები ნართებისაკენ გაემართნენ. გზაში ნართი სოსლა-

ნი შემოხვდათ. კვიმატმა სოსლანმა ქალიშვილები შეურაცხყო და გააწამა. გაბრაზებული და ხელცარიელი ქალიშვილები შინ გამობრუნდნენ. ქაჯების სათანამ ჰკითხა:

— აბა, რა ჰქენით?

— ქახცს ვისაც უხდი, იმასაც შავად ექცეს ბედი და ვისთანაც გაგვგზავნე — იმასაც. გზად ნართი სოსლანი შემოგვეყარა და გაგვტანჯა, გაგვაწამა, — შესჩივლეს ქალიშვილებმა.

ქაჯმა სათანამ თვალთმაქცები იხმო და უბრძანა:

— წადით, სადაც იყოს სოსლანი, იპოვნეთ და აქ მომგვარეთ!

წავიდნენ სოსლანის საძებნელად თვალთმაქცები. სოსლანი ნადირობას რად დაიშლიდა! ქაჯი თვალთმაქცები მას ერთი საწყალი კაცის ბიჭთან ერთად გზად მიმავალს წამოეწივნენ. დაიჭირეს ორივე და ქაჯების სათანას მიჰგვარეს.

ქაჯების სათანამ ორივენი ტანსაცმლით კედელზე გააკრა.

გავიდა ხანი. სოსლანი ნართებში აღარ ჩანდა.

სამივე გვარის ნართები ფეხზე დადგნენ. კვირიდან კვირამდე ეძებეს სოსლანი, ყველა მისი სანადირო ადგილები მოიარეს, მაგრამ ვერც მკვდარი ნახეს, ვერც მისი — კვალი.

იმ ხანებში ბათრაძი შორს, სადღაც იყო წასული.

სამივე გვარის ნართები კი ისხდნენ სამივე უბანში და ნაღვლობდნენ: „ჩვენო მარჩენალო, ჩვენო ქომაგო, სოსლან! ვიღასთან გვეცხოვრება. შენი ძვლები ნართების სასაფლაოს მაინც მიბარებოდა!“

ამ დარდში იყვნენ, რომ ბათრაძიც დაბრუნდა. მივიდა ზემოუბნელ ნართებთან და მიესალმა.

— საღამო მშვიდობისა, ზემოურო ნართებო!

დაღვრემილი ხალხი მიწას დაშტერებოდა, ხმაც არავინ გასცა.

წამოვიდა იქიდან ბათრაძი და ახლა შუაუბნელ ნართებთან მივიდა. იმათაც მიესალმა, საღამო მშვიდობისა უსურვა. მაგრამ სალამზე არც ამათ უპასუხეს.

ბათრაძი ახლა ქვემოურ ნართებისაკენ გამოემართა. ქვემოურებიც თავჩაქინდრულები და დაღვრემილები დახვდნენ.

— საღამო მშვიდობისა, ქვემოურო ნართებო! — მიესალმა ამათაც ბათრაძი.

სალამზეც ქვემოურებიდანაც არავინ გამოეპასუხა.

გაბრაზებული ბათრაძი პირდაპირ სათანასთან გაეშურა. მივიდა და ჰკითხა:

— ღვთის გულისათვის, სათანა, მითხარი, ნართებს ეს რა უბედურება დაემართა? სამივე უბანს გავუარე, ყველას მივესალმე. საღამო მშვიდო-

ბისა ვუსურვე და ყურადღების ღირსადაც არავინ ჩამაგდო, არც ერთმა სალამი არ დამიბრუნა.

სათანამ უპასუხა:

— რა ვქნა, ჩემო კარგო, სოსლანი დაგვეკარგა. ნართების სამივე გვარი ფეხზე დადგა, ვისაც კი სიარული შეეძლო, თავი არ დაუზოგავს, კვირიდან კვირამდე ძებნეს. მაგრამ არც კვალი ჩანს და არც — მკვდარი.

ბათრაძს ვაშხამიც არ უჭამია, მივიდა და გაბრაზებული დასაძინებლად დაწვა. დილით ადრე წამოდგა და თავისი დობილის — მზის ასულისაკენ გაეშურა, ვკითხო, იქნებ იმან იცოდესო რამე.

ავიდა ზეცაში ბათრაძი.

მზის ასული სიცილით გამოეგება.

ბათრაძი დობილს დაღვრემით შეხვდა.

მზის ასულმა უთხრა:

— ბათრაძ, ბავშვობის აქეთ და-ძმად ვართ შეფიცულნი და დღემდე ერგრე დანაღვლიანებული არასოდეს მინახივხარ. რა დაგემართა?

ბათრაძმა უთხრა:

— რაღა რა დამემართა — სოსლანი დავკარგეთ. ნართების სამივე გვარმა კვირიდან კვირამდე ეძება და არც მკვდარი ჩანს, არც იმისი — კვალი.

მზის ასულმა გაიცინა და უთხრა:

— ბათრაძ, ნეტა გაჩვენა, სოსლანს რა საოცრება გადახდა: ის და ერთი საწყალი კაცის ბიჭი ქაჯებმა შეიპყრეს და ქაჯების სათანამ ორივე თავის ოთახში კედელზე გააკრა.

ბათრაძმა სიმწრით სულ ტუჩები დაიკბინა. ფიცხლად გამობრუნდა და ქაჯებისაკენ გაეშურა. გზაში ერთი საწყალი კაცი შემოხვდა. ბაბრაძი მიესალმა:

— გამარჯობა, კაცო და მშვიდობის გზა გქონდეს!

— გაგიმარჯოს, ბათრაძ და სიკეთე ნუ მოგიშალოს! — უპასუხა სალამზე კაცმა.

— რას ეძებ? — ჰკითხა ბათრაძმა.

— ერთადერთი ბიჭის პატრონი ვიყავი, ისიც დამეკარგა და იმას ვეძებ.

— აბა, მაშ მეც სოსლანს ვეძებ და ნუღარ ეწვალები, შენს ბიჭს ხვალ ჩაგაბარებ — სოსლანი სადაცაა. შენი ბიჭიც იქაა, — უთხრა ბათრაძმა.

ბათრაძმა ის საწყალი კაცი იქ დატოვა და თვითონ ქაჯებისაკენ განაგრძო გზა. ჩავიდა ქაჯების სოფელში, დაიჭირა ქაჯების სათანა და უთხრა:

— ჩქარა მითხარი, სად არის ჩემი ძმა სოსლანი, თორემ ვაი შენს ტყავს!

ქაჯების სათანა შეშინდა და უთხრა:

— აგერ ჩემი სადაფის ოთახში კედელზეა გაკრული.

შეირბინა ბათრაძმა ოთახში. სოსლანი რომ კედლზე გაკრული დაინახა, ის დიდრონი თვალები აუწყლიანდა.

— სანადიროდ აქეთ რა ეშმაკმა წამოგიყვანა? — უთხრა მან სოსლანს. — ამ საწყალი ბიჭის ხათრით მიპატიებია, თორემ ეგრე კედელზე გაკრულს მიგატოვებდი.

ბათრაძმა კედლიდან ორივე ჩამოხსნა, მერე გაუარა ქაჯების სოფელს და ხოცვა დაუწყო. სულ გაქრიტა ქაჯები. რაც კი ქონება გააჩნდათ, ყველაფერი წამოიღო, წამოასხა ტყვეებად ქაჯი ქალ-ვაჟი და ნართებისაკენ წამოვიდა.

საწყალი კაცის ბიჭი მამას მიჰგვარა.

ქაჯებისაგან წამოღებული ქონებიდან საწყალ კაცსაც კარგა ბლომად უწილადა, დანარჩენი ნართებთან აიტანა და ღარიბებს დაურიგა.

ბათრაძი და ალდარი

ნართებს კვლავ დაუდგათ მოუსავლიანი წელიწადი და ხშირად შიმშილობდნენ. ერთხელ ბათრაძმა გვარის უხუცესებს უთხრა:

— წავიდეთ სადმე, უცხო მხარეს და გამყიდეთ — იქნებ ცხოვრება ცოტათი გაგიუმჯობესდეთ.

წამოვიდნენ ნართები ერთ შორეულ ქვეყანაში და იქ ბათრაძი ერთ ალდარს მიჰყიდეს.

ბათრაძი ალდარს უბრალო, ჩვეულებრივ კაცად აჩვენებდა თავს და ემსახურებოდა, აბა, რას იზამდა! მუშაობით კი, იცოცხლე, მუშაობდა: ასი უღელი ხარით მიდიოდა ტყეში, ხეებს ფესვებიანად გლეჯდა, გასხვეპავდა, ას ურემ შეშას დაამზადებდა და სხვები ჯერ ტყემდე მისულებიც არ იყვნენ, იგი უკვე სოფელში იყო.

ალდარს რატომ არ გაუხარდებოდა, ეს ნაყიდი კაცი რა კარგი გამომადგაო.

მუშაობდა ასე ბათრაძი. ერთხელ ღმერთმა ალდარის სოფელს ერთი დევი მოუვლინა. მიაბოტებს სოფლის ქუჩაში დევი და ხალხი სულ აქეთ-იქით გარბის.

ბათრაძმა ალდარს დევზე ჰკითხა, ეგ რალა არისო.

ალდარმა უთხრა:

— ეგ დევია, მრძალადე და სანამ რამეს არ გადავუხდით, ეგრე დაგვჩაგრავს.

გამოვიდა ქუჩაში ბათრაძი და დევს გამოუდგა.

ალდარი უყვიროდა, არ წახვიდეო, მაგრამ ბათრაძმა განა დაუჯერა.

„დევი ამ კაცს ნამდვილად მომიკლავს და ასეთი ძლიერი, პატიოსანი მუშა სადღა მეყოლება“, — დარდობდა გულში ალდარი.

დაეწია ბათრაძი დევს, წაავლო მკლავში ხელი და მიწაზე დაახეთქა. დევს ისე გასძვრა სული, დაკვნესებაც ვერ მოასწრო.

ხალხი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა. ალდარიც სახლიდან გამოვარდა, აბა, ვიღასი შეეშინდებოდა! მივიდა ბათრაძთან, მხარზე ხელი მოუტყაპუნა და უთხრა:

— ყოჩაღ, ჩემო ნაყიდო, ყოჩაღ!

— „ნაყიდო“ რომ არ დაგეძახა, ოჯახის წევრი მოგიკვდებოდა?

— იწყინა ბათრაძმა და თავის ბინაზე დაბრუნდა. მეორე დილით კვლავ შეაბა ასი უღელი ხარი და ალდარს უთხრა:

— შენმა ნაყიდმა კაცმა შინ წასვლა გადაწყვიტა: „ჩემო ნაყიდო“ რომ არ დაგეძახა, არ წავიდოდი, ახლა კი წაუსვლელობა არ იქნება,

ალდარის ქონებიდან რაც კი მოეწონა, ხამიცის ფოლადოვანმა ვაჟმა ბათრაძმა ას ურემზე დაუდო და ნართებისაკენ გამოსწია.

დარჩა ალდარი გაშტერებული.

როგორ შელეწა ბათრაძმა ხიზის ციხე

ნართ სოსლანს ცოლად მზის ასული ჰყავდა. ხიზის ალდარს დიდი ხანია ამ ქალის დასაკუთრება გულში ედო. დაუწყო თავის ცხენს მოვლა — შვიდი წლის მანძილზე სულ გამხმარი ქერით ჰკვებავდა.

ერთხელაც სოსლანის ცოლი მზეზე ხორბალს აშრობდა. შენიშნა ხიზის ალდარმა, შეჯდა თავის ნაპატივებ ცხენზე და ნართებისკენ გამოემართა. იმ ხანად სოსლანი შინ არ იმყოფებოდა, შორს იყო წასული.

ხიზის ალდარმა მზის ასული წაიყვანა, აბა, წინ ვინ დაუდგებოდა!

სულ მალე სოსლანიც დაბრუნდა შორეული მგზავრობიდან და თავის ცოლს თვალი რომ ვერსად მოჰკრა, სათანას ჰკითხა. სად არისო. სათანამ უამბო, ცოლი ხიზის ალდარმა რომ მოსტაცა და ციხეში ჰყავდა გამოკეტილი.

შეგროვდნენ ნართები და ხიზის ციხეზე გაილაშქრეს. ალყა შემოარტყეს სიმაგრეს და ბრძოლა გააჩაღეს, მაგრამ ციხე ვერ აიღეს, რადგან ხიზის ალდარმა რაც კი დუაგი* და ანგელოზი არსებობდა — ყველას ნართების წინააღმდეგ მოუხმო.

ნართებმა ბრძოლა შეწყვიტეს და შინ დაბრუნდნენ.

ამ ამბავმი ნართები ისე ძლიერ დაანაღვლიანა, თითქოს ვინმე მოჰკვდომოდეთ, — აღარც სიცილის ხალისი ჰქონდათ, აღარც ხუმრობისა.

მაშინ სათანამ სამი თაფლიანი კვერი გამოაცხო, გამოვიდა სალოცავ გორაკზე და ღვთისადმი ლოცვა აღავლინა:

„ღმერთო უზენაესო, ჩემო ღმერთო! თუ რაიმესთვის შემქმენი, ერთი ხსნა ამისრულე — ჩემი არშობილი ვაჟი ზეცას ანგელოზებთან და დუაგებთან ერთად სათათბიროდ ზის და ახლავე აქ გააჩინე, ნართებს გასაშვირი ადგათ.“

ბათრაძს რომ სათანას ღაღადისი შეესმა, ისე გაბრაზდა, ისე, რომ ფოლადოვანი სხეული სულ ნაკვერჩხალივით გაუვარვარდა. გადმოეშვა ზეციდან და სწორედ ურუზმაგის და სათანას შვიდსართულიანი კოშკის თავს დაეცა. გავარვარებულმა ჩაათავა შვიდივე სართული და ძირა სართულზე წყლით პირამდე გალიცლიცებულ ლუდის სახარშ ვეება ქვაბში ჩავარდა.

როცა გაგრილდა, ამოვიდა და სათანას ჰკითხა, რა დაგემართაო?

— მეტი რაღა უნდა დაგემართნოდა — ხიზის ალდარმა სოსლანის ცოლი გაიტაცა და თავის ციხეში ჰყავს გამოკეტილი, — უპასუხა სათანამ.

ბათრაძმა ნართებს უხმო და თან გაიყოლა. როცა ხიზის ციხე გამოჩნდა, შედგა ბათრაძი და ნართებს მიმართა:

— ჩემსავე ისარზე მაგრათ დამაკარით.

გაოცდნენ ნართები, მაგრამ მაინც გააკეთეს ის, რაც ბათრაძმა თქვა,— მაგრად მიაკრეს თავისივე ისარზე.

— ახლა ჩამდეთ მშვილდში, რაც ძალი და ღონე გაქვთ, მოზიდეთ მშვილდი და პირდაპირ ხიზის ციხეზე მისროლეთ.

როგორც უთხრა ბათრაძმა ნართებს, ისინიც ისე მოიქცნენ. ისარზე დაკრულმა ბათრაძმა ხელები და ფეხები გაშლილად წაიღო. ეგრე ხელ-ფეხგაშლილი მიენარცხა კედელს და ისეთი ძალით შელეწა, მოპირდაპირე კედლიდანაც კი ქვები ჩამოცვივდა.

— ჰაიტ, შე ძაღლის ნაშობო! განა ეგრე გაწყდნენ ნართები, რომ შენ ამათი ცოლები დაიტაცო?! — დასცხო ბათრაძმა ხიზის ალდარს და გაუხეთქა თავი, მხარ-მკლავი აღარ შეარჩინა.

წამოიყვანა მზის ასული და სოსლანს მიჰგვარა.

ბათრაძი და ნართების ვაცამონგა

ნართების დიდ საგანძურში ერთ-ერთ ძვირფას განძად მიჩნეული იყო ვაცამონგა. მას ასეთი თვისება ჰქონდა: თუ ადამიანი თავის მიერ ჩადენილ ვაჟკაცობაზე სიმართლეს იტყოდა, ვაცამონგა ხელის მოუკიდებლად, თავისთავად აიწევდა და მთხრობელის პირთან გაჩერდებოდა; ხოლო თუ მთხრობელი ტყუოდა, ვაცამონგა ადგილიდანაც არ დაიძვროდა.

ერთხელაც ნართები ისხდნენ, წინ ბურახით სავსე ვაცამონგა დაედგათ და ვისაც რა სასახელო საქმე ჩაედინა, იმას ჰყვებოდა.

ერთმა თქვა: მე ასეც მოვიქეცი და ისეცო, აქ და აქ გამოვიჩინე თავი; მეორეც ასევე ტრაბახობდა, მესამეც აგრევე. მაგრამ უცქერდნენ და ვაცამონგა ადგილიდანაც არ იძვროდა.

ბათრაძიც იჯდა მშვიდად და უსმენდა.

როცა სათქმელი ყველამ მოათავა, ბათრაძი წამოდგა და მათრახის ტარი ვაცამონგას მიუკაკუნა:

— სანადიროდ ვიყავი; ერთ ფერდობზე მივდიოდი და საღამოს ღვთაებათაგან შვიდი დავხოცე. როგორც ამას სიმართლეს ვამბობდე, ისე სიმართლით ადი მამაჩემ ხამიცის მუხლამდე!

ვაცამონგამ მიწის პირიდან მაღლა აიწია და ხამიცის მუხლის თავზე დაეშვა.

ბათრაძმა მეორედაც მიუკაკუნა მათრახის ტარი ვაცამონგას და თქვა:

— მეორე ფერდობზე მივდიოდი და დილის ღვთაებებიდან შვიდი დავხოცე. როგორც ამას სიმართლეს ვამბობდე, ისე სიმართლით ადი მამაჩემის საქამრემდე.

ვაცამონგამ ხამიცის მუხლიდან მის წელამდე აიწია და საქამრესთან დადგა.

ბათრაძმა მესამედაც რომ დააპირა რაღაცის თქმა, ხამიცმა დაუძახა:

— რის თქმაც შეიძლება, ის თქვი, რის თქმაც არ შეიძლება — ნუ იტყვი!

ხამიცმა ბათრაძი იმიტომ გააფრთხილა, რომ ვაცამონგაში მდგარი ბურახის ქაფში ხორალდარი დამალულიყო, იმ მიზნით, იქნებ ჩვენი ვაჟის მკვლელის ვინაობა შევიტყოო. ხამიცი შიშობდა, ვაითუ ბათრაძს რამე წამოსცდეს და ხორალდარმა ნართებს უბედურება აუტეხოსო. მაგრამ ბათრაძმა ვაცამონგას მესამედაც მიუკაკუნა მათრახის ტარი და უფრო გაბედულად თქვა:

— მესამე ფერდობზე მივდიოდი და შვიდი ელია და შვიდიც მიქელ-გაბრიელ დავხოცე. ხორალდარის ვაჟი ბუხორ-ალიც მე მოვკალი. რო-

გორც ამას მართალს ვამბობდე, ისე სიმართლით ადი მამაჩემ ხამიცის პირამდე.

ვაცამონგამ ხამიცის პირამდე აიწია და ხორალდარიც თასიდან ამოხტა — ვაიმე, ხამიცი მე თვითონაც ბურახს ჩამაყოლებსო და გაიქცა. გაქცეულმა ქერის ყანას ხელი მოავლო, — მანამდე რომ ყოველი ძირი ეჭვს თავთავს იკეთებდა — და გასხვიპა: შვილის სიკვდილით გამწარებულს სურდა ყანიხთვის თავთავი აღარ შეერჩინა. ამ დროს ვასთირჯიმ შესძახა:

— ჰაიტ, ჩემს ცხენს პირის მოსატყუებლად ცოტა მაინც დაუტოვე!

და ხორალდარმაც ღეროზე ერთადერთი თავთავი დატოვა, დანარჩენი წააცალა.

ხამიცმა ვაცამონგა პირზე მოიყუდა, მაგრამ თასი ათასგვარი ქვეწარმავალით: გველებით, ბაყაყებით, ხვლიკებით აივსო. ვაცამონგას ზედაპირზე ტივტივებდნენ და ხამიცის პირისკენ მიძვრებოდნენ. ხამიცი თავის ფოლადის ულვაშებს ურტყამდა და ისიც ფსკერზე იმალებოდნენ.

ასე გამოსცალა ხამიცმა ნართების ვაცამონგა.

ნართების სიმდი

ანუ როგორ შეირთო გათრაძმა ცოლი

შვიდი ძმის ერთადერთი და აქსულა-მზეთუნახავი ცის ნათელი და მიწის მშვენება დადგა. მან თავის ძმებს ორ ზღვას შუა, შვიდი გზის შესაყარზე, რკინის კოშკი ააგებინა, ბინა იქ დაიდო და გარეთ არ გამოდიოდა. მამაკაცი თვალითაც არ ენახა. ნართების რჩეული ვაჟკაცები მის ხილვას ნატრობდნენ, მაგრამ ვერ ახერხებდნენ.

ერთ დღეს ძალგულოვანი ნართები, ურუზმაგის გარდა, ყველანი სავხოხის თავზე შეიკრიბნენ და იქ სიმდი გააჩაღეს. მათი ცეკვით მთები იფშვნებოდნენ, დაბურულ ტყეში ხეები შუაზე სკდებოდნენ; მოცეკვაეთა ფეხქვეშ მიწა ზანზარებდა.

იმ ხანად ურუზმაგი სანადიროდ იყო და ისიც შემოუერთდა.

— რა დაგემართათ, ძალგულოვანო ნართებო? ეგრე რა გაცეკვებთ, თქვენმა ბრაგაბრუგმა ხალხი რომ დააფეთა? — ჰკითხა ურუზმაგმა მათ.

— დიახაც გეტყვით, რადაც ვცეკვავთ: შვიდი გზის შესაყარზე რკინის კოშკში აქსულა-მზეთუნახავი ცხოვრობს. გარეთ არ გამოდის და ჯერ მამაკაცი არ დაულანდავს. მოირგებს არწივის ფრთებს და ყოველდღე

ცას სამჯერ გარს უვლის. იმიტომ ვცეკვავთ, იქნებ ერთ-ერთი შემოვლის დროს ჩვენსკენაც გამოუხვიოს და რომელიმეს თვალი დაგვადგას, თუ არა და ბოლოს და ბოლოს, იქნებ ჩვენ თვითონ მაინც დავინახოთ.

— ვაი, თქვე საცოდავებო! — თქვა მოხუცმა ურუზმაგმა. — რას მომცემთ, აქულა-მზეთუნახავი რომ გაჩვენოთ?

— მე ჩემს მორბენალ ცხენს დაგითმობდი.

— მე ჩემს ბასრ ხმალს გაჩუქებდი.

— მე ისეთ მშვილდ-ისარს მოგცემდი, მთას რომ გახვრეტს, — ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ ძალგულოვანი ნართები.

— ურუზმაგ-მოხუცო, ნეტა ისეთი კაცი გამოდგებოდე, აქულა-მზეთუნახავს აქ ჩამოიტყუებდე; მაშინ შენთვის მიზანში რომ ზუსტად ურტყამს, ისეთ მშვილდ-ისარსაც არ დავიშურებდი, — უთხრა ბოლოს ხამიცის ვაჟმა ბათრაძმა.

ურუზმაგმა შეაბრუნა თავისი ჭრელი არფანი, გააჭენ-გააფრინა და უთხრა ცხენს:

— კოშკის წინ რომ მივალთ, კოჭლობა მოიმიზეზე და წინ ნაბიჯი აღარ წადგა. მე მთელი ძალით დაგიშენ მათრახს, მაგრამ ფეხი არ მოიცვალო, ვითომ შიმშილით ხარ დავარდნილი.

კოშკის წინ რომ ჩავიდნენ, ცხენმა, მართლა, მიადგა ფეხი და აღარ დაიძრა, გაოჩნდა. დაუწყო ურუზმაგმა ცემა, მისი მათრახის შხუილი კოშკში ცის ქუხილივით ისმოდა. არფანმა ფეხი მაინც არ მოიცვალა.

— ეს რა ხმაა, ცის ქუხილს რომ ჰგავს? — იკითხა აქულა-მზეთუნახავმა.

— ერთ მოხუც კაცს ცხენი დაუვარდა და ურტყამს, ეს მისი მათრახის დარტყმის ხმაა, — უთხრა აქულა-მზეთუნახავს მოახლე ქალიშვილმა.

— წადი, შემოიპატიჟე და გაუმასპინძლდი. ეგ კაცი ან ძალზე განწყენებულია, ან მთვრალი, ან სულელი, ანდა ცოლის უსაქციელობით გულნატკენი.

მოახლე გოგო გამოვიდა და ურუზმაგს მიმართა:

— მოხუცო, მობრძანდით, გიმასპინძლებთ. თქვენც დაისვენეთ და ცხენიც მუხლს ქარს ამოაღებინებს.

— ეჰ, ნეტავი შენ, ქალიშვილო, მეტი დარდი არა გაქვს! სტუმრობის დრო რომ მქონდეს, თქვენი ფარდულის მსგავსს სხვაგანაც ვიშოვიდი, მაგრამ სამაგისოდ არ მცალია: აგვირის ლაშქარი ზღვის სანაპიროს მოადგა. ჩემი ერთადერთი და იქ ცხოვრობს, იქნებ როგორმე მივუსწრო და გადავარჩინო. ან თუ არა, უკანასკნელად მაინც ვნახავ, — უთხრა ურუზმაგმა მოახლეს.

მოახლე გოგო შინ შებრუნდა და აქულა-მზეთუნახავს ურუზმაგის ნათქვამი უამბო.

ლამქრის ხსენებაზე აქულა-მზეთუნახავი როგორ არ შეშინდებოდა! კოშკიდან ძირს ჩამოვიდა, ურუზმაგთან მივიდა და სთხოვა:

— მოხუცო, ამაღამ ჩვენთან დარჩით! თქვენც მოისვენებთ და ცხენიც დაასვენეთ. ხვალ კი, როგორც ღმერთი ბრძანებს, ისე მოიქეცით.

ურუზმაგსაც ღვთის უკეთესი წყალობა რაღა უნდოდა — დაეთანხმა.

იმ ღამით საკადრისად რად არ გაუმასპინძლდებოდნენ!

დილით, როგორც კი ირიჟრაჟა, წამოდგა ურუზმაგი, შეჯდა ცხენზე და ისეთი სისწრაფით გააქროლა, იტყოდით, თვალის დახამხამებაში ცის დასალიერს გაჩნდებაო. როცა კოშკს იმდენ მანძილზე გასცდა, რომ ვეღარავინ დაინახავდა, შეაჩერა ცხენი, ჩამოხტა და ერთბაშს შეიცადა. მერე ისევ შეჯდა ცხენზე, უკანვე გამოაქროლა და მოახლოვებულმა ყვირილი ატეხა:

— არიქა, თავს უშველეთ! თავს უშველეთ!

კოშკიდან გადმოსძახეს:

— ერთ წამს შეჩერდი, სიტყვა გითხრათ!

ურუზმაგმა ცხენი შეაყენა.

გამოცვივდნენ კოშკის ბინადრები და ჰკითხეს:

— რა ამბავია, რა მოხდა? ღვთის გულისათვის, ჩვენც გაგვაგებინე.

— ჩემს დას ვეღარ მივუსწარი! აგვირის ლაშქარმა უკვე მოალწია და ახლა უკან მივიჩქარი, იქნებ ოჯახის გადარჩენა მოვახერხო.

— ღმერთმა შენი წყალობა ნუ მომაკლოს, მეც თან წამიყვანე; აქ უპატრონოდ ნუ დამაგდებ, — შეეხვეწა აქულა-მზეთუნახავი ურუზმაგს.

— ნეტა ჩემი ოჯახის გადარჩენა შემაძლებინა, შენ როგორღა დაგიხვიო ხელზე, — ყოყმანით უთხრა ურუზმაგმა აქულა-მზეთუნახავს.

— შეხედე შენს ღმერთს, ნუ დამტოვებ მარტო, — კვლავ სთხოვა აქულა-მზეთუნახავმა.

— შენი გაჭირვების ცქერა მიმძიმს; აბა, რა გიყო, მეტი რაღა გზაა, გაეშვადე! — უთხრა ბოლოს ურუზმაგმა; აუსრულდა წადილი ურუზმაგს.

აქულა-მზეთუნახავმა დახურულ, ზამბარებიან ეტლში შვიდი ცხენი შეაბმევინა, მთელი თავისი განძეულობა წამოიღო და ურუზმაგთან ერთად გამოემართა.

ცოტა მანძილი რომ გაიარეს, აქულა-მზეთუნახავმა ურუზმაგს უთხრა:

— მოხუცო, თუ შენი ცხენი ეტლის ცხენებთან სიარულს შეძლებს, ეგეც ამათთან გამოაბი, შენ კი ჩემს გვერდით დაჯექი.

ურუზმაგმა თავისი ჭრელი არფანი იმის ცხენების გვერდით გამოა-

ბა, თვითონ ეტლში გადავიდა, აქულა-მზეთუნახავის გვერდით რბილ სავარძელში დაბრძანდა და იქიდან მეეტლეებს გზას ასწავლიდა.

მიუახლოვდნენ სავხოხს. სავხოხს თავზე შავი ღრუბელი დასდგომოდა, — ნართ ძალგულოვნებს „სიმდი“ გაეხურებინათ და მტვრის ბუღი დაეყენებინათ.

აქულამ ურუზმაგს ჰკითხა;

— ეს შავი ღრუბელი რაღაა?

— ნამდვილად ნართებმა ლაშქრის ამბავი შეიტყვეს და დასახვედრად წამოსულან. თუ გინდა, ჩვენც იმათ შევუერთდეთ.

აქულა დაფიქრდა და უთხრა:

— ლაშქრის წინააღმდეგ წამოსულებზე იმათზე კარგად ვინ დაგვიცავს, უფრო უკეთეს თავშესაფარს სად ვიპოვით?!

წავიდნენ და სავხოხის თავზე ნართების მიერ გაჩაღებულ „სიმდს“ მიადგნენ. ნართები ცეკვას განაგრძობდნენ. აქულა-მზეთუნახავმა მათ დახურული ეტლის ფანჯრიდან გადმოხედა.

თვალებბრიალა, დაუდეგარმა სოსლანმა აქულა რომ შენიშნა, თავი ვეღარ შეიკავა, მიეახლა და სთხოვა:

— ამდენი დღეა ჩვენ შენი გულისათვის ვცეკვავთ. გთხოვ, ჩემთან ერთად იცეკვო.

— ბარემ კაი კაცი ხარ, სოსლან, კი გეცეკვებოდი, მაგრამ მთიელი კაცი ხარ, ვაითუ არჭიებში* თომის ჩაფენა ვერ მოგიხერხო და დატუქსვა დავიმსახურო.

— ჩემი არჭის ძირს კი ენაცვალე! — არჭის ძირი უჩვენა სოსლანმა და ყურებჩამოყრილი გამობრუნდა.

— აბა, მე მაინც მეცეკვე, აქულა-მზეთუნახავო, — ახლა კანძის ვაჟმა, პატარა სავაიმ შესთავაზა აქულას.

— კი გეცეკვებოდი, მაგრამ ნართი ძალგულოვნებიდან რომელიმემ ჩემი მკლავის ნაცვლად შენ რომ მოგიჭიროს მკლავზე ხელი, ხომ მოგამტვრევს.

— მაშ ჩემთან იცეკვე, — უთხრა ხამიცმა.

— შენ კი გეცეკვებოდი, ხამიც, მაგრამ წვერი ისე გაგჟღალებია, გაზაფხულის ბალახი და შემოდგომის თომი რომ აირევა ერთიმეორეში.

— პოვნითაც მე გიპოვე, მოყვანითაც მე მოგიყვანე და ბარემ მევე მეცეკვე, — უთხრა ურუზმაგმა.

— შენ ბარემ გეცეკვებოდი, მხცოვანო ნართო ურუზმაგ, მაგრამ შენი დიასახლისი სათანა ნამეტანი მკაცრი ქალია და ვაითუ ვერ მოვრიგდეთ.

— ჩემს გალიცლიცებულ სირჩა — სათანას, ჩემს ნიადაგ სავსე სუფრა — სათანას კი ენაცვალეო, — მიაძახა ურუზმაგმა და გაეცალა.

სულ ბოლოს ხამიცის ვაჟმა ფოლადოვანმა ბათრაძმა მიმართა:

— ქალიშვილო, მე მეცეკვე!

— ჰაი — ჰაი, გეცეკვებოდი, ხამიცის ვაჟო ფოლადოვანო ბათრაძ, — ნართებს შორის ერთადერთი უნაკლო ვაჟკაცი ხომ შენა ხარ! მაგრამ შენც ერთი მიზეზი გიშლის ხელს: შვიდთავიანმა ფრთოსანმა დევმა ყანძარგასმა შენი ერთი წინაპარი — სახელად ვონი — მთის იქით გადაიყვანა და მეჯოგედ გაიხადა. უკუღმა გადმობრუნებული, დაწილიანებული ცხვრის ტყავის ქურქში გახვეული ვონი მის ჯოგებს დასდევს; ის ძველი დაგლეჯილი ქურქი მცხუნვარე მზეზე უმოკლდება, წვიმაში ულბება და ქუსლებამდე ჩასთრევს. ასეთ წვალებაშია იგი. აი, იმას რომ დაიხსნიდე და ყანძარგასის ავლადიდებიანად წამოიყვანდე, მაშინ კი ნამდვილად მეკუთვნის შენთან ცეკვა.

ბათრაძს თითქოს სახეში სილა გააწნესო, ფიცხლად შებრუნდა და ნართებს მიმართა:

— ნართებო! მე მივდივარ. ჩემს დაბრუნებამდე „სიმდს“ ნუ დაშლით. ნურც აქულა-მზეთუნახავს აკადრებთ აუგს, ნუ გაანაწყენებთ!

ეს თქვა და ცხენს ზურგზე მოევლო. ბათრაძი მივიდა სათანასთან და უთხრა:

— დედა, მოთარეშე ნართები სალაშქროდ მიდიან. მითხარი, წინაპართა განძიდან ალარაფერი შემოგვრჩა, ან ორლესულის ძველა, ან ჯაჭვის პერანგი?

— დედა გენაცვალოს, შვილო, შიგნითა ოთახში ერთი რკინის სკივრი შენი წინაპრების ნაქონი ნივთებით სავსე დგას. მიდი, ხათიაგურად გაეხმიანე. გაიღება რკინის სკივრი და რაც მოგეწონოს, ამოიღე.

ბათრაძი შიგნითა ოთახში შევიდა. სკივრს ხათიაგურ ენაზე დაელაპარაკა. სკივრის სახურავმა გაიწკრიალა და აიხადა.

ბათრაძმა ჯაჭვის პერანგი თუ ორლესული — რაც მოეწონა — ტანზე აისხა და ასე წარუდგა სათანას.

— დედი, აბა, შემომხედე; მშვენის თუ არა წინაპართა იარაღი?

— დედა შემოგევლოს, შვილო! რა ძლიერ დაგმშვენდა! ჯაჭვის პერანგი ისე გშვენის, როგორც მთის წვერს მზის სხივები, ხოლო ორლესული — როგორც გაზაფხულის ლორთქო ბალახს ციური ცვარ-ნამი.

— აბა, დედი, ახლა სატარებლად მსუბუქი, საჭმელად ყუათიანი საგზალი გამიმზადე. მერე მოდი და ჩვენს წინაპარ ვონს თუ სადმე ბეხრეკი ცხენი, ან აღვირის ძველი დარჩენია, ისიც მიმასწავლე.

სათანამ ჯერ საგზალი გაუმზადა ბათრაძს, მერე უთხრა:

— აგერ ძველ სახლში საკიდზე ვონის უნაგირი და აღვირი ჰკიდია, ჩამოიღე და დაბურულ ტყეში წადი; უნაგირი და აღვირიც თან წაიღე-

ვონს ერთი თეთრი ცხენი დარჩა, დღისით მთაზე, ციხესიმაგრეშია ხოლმე, ღამით კი ამ დაბურულ ტყის შუაგულ მდელოზე საძოვრად ჩამოდის. მთიდან მდელომდე ერთი ბილიკი დაქნა და იქით თუ აქეთ, სულ იმ ბილიკით დადის. თუ ვაჟკაცობა გეყოფა, ხელთ იგდებ, თუ არა და რას იზამ...

ბათრაძმა აიღო ვონის უნაგირი და აღვირი და დაბურული ტყისაკენ გაემართა, იმ ბილიკთან მივიდა და ბილიკის თავში მდგარი ყველაზე მაღალ ხის ტოტზე ჩამოჯდა. ღამით, როცა თეთრი ცხენი საძოვარზე მოდიოდა, ბათრაძმა ხის ტოტიდან ისკუპა და ზურგზე მოექცა. ცხენმა მდელოსკენ გაიტაცა. იმარჯვა ბათრაძმა, ცხვირზე აღვირი წამოაცვა და მერე უნაგირიც სწრაფად დაადგა. შეისროლა ტანი თამამმა ცხენმა და ტყის ზემოთ ღრუბლებსა და ხეთა კენწეროებს შუა შეინავარდა. ბათრაძმა სამი ისეთი გადასცხო, რომ ფერდებიდან არჭიების საყოფი ტყავი ასძვრა; მერე აღვირი მოზიდა და გზას გაუდგა.

მიდიოდა და გზის სიგრძეს მისი სიგანის დარად ამოკლებდა.

ვინ იცის, რამდენი იარა და ერთხელაც ცხენმა ჰკითხა:

— სად მიდიხარ? გზა ხომ უნდა იცოდე.

— ჩემი წინაპრებიდან ერთი კაცი შვიდთავიანმა ფრთოსანმა დევმა ყანძარგასმა ხელთ იგდო, მთის გადაღმა წაიყვანა და იმის საძებრად მივდივარ, — უპასუხა ბათრაძმა.

— ეჰ, მაგას როგორ მოახერხებ! — უთხრა ცხენმა. — მამაშენიც ბევრს ეცადა, მაგრამ იმ დევს ვერაფერი მოუხერხა. საქმე იმაშია, რომ დევის სადგომთან მისასვლელ გზაზე ორი მთა ერთიმეორეს ერკემლებივით ეჭიდება. როცა ისინი ერთმანეთს ცილდებიან, თუ იმ დროს სამჯერ ისეთს გადამკრავ, მე ფერდებიდან არჭიების საკმარისი საპირე ტყავი ამძვრეს, შენ კი ხელის გულებიდან — საძირე, მაშინ გავაღწევთ; თუ არა და შენც დაღუპული ხარ და მეც. ერთ დროს მამაშენმაც სცადა, მაგრამ როგორც საჭირო იყო, იმ ძალით ვერ გადამკრა მათრახი, მთებმა დამიჭირეს და კუდი წამაწყვიტეს. მას შემდეგ ხომ ხ-დავ, კუდა ვარ.

ამ ლაპარაკში იმ ადგილამდე ააღწიეს, სადაც მთები ერკემლებივით ჰიდაობდნენ. ბათრაძმა ცხენი გააჭენ-გამოაჭენა, გაახურა, მერე მოზიდა აღვირი და როგორც კი მთები ერთმანეთს გაშორდნენ, სამჯერ ისეთი გადაჰკრა, ცხენს ფერდებზე საპირე ტყავი ასძვრა, თვითონ კი ხელის გულზე — საძირე. მისი მათრახის ხმამ ქვეყანა შეაზანზარა და მთები გააყრუა. ისკუპა ცხენმა და მთებს იქით მხარეს მოექცა. ეს მთები მეორე მხარეს დამრეც ფერდობებად გადამწვანებულიყვნენ და ცალკერძ წვრილფეხა საქონლის ფარებს გადაეშავებინა იქაობა. მწყემსად მხოლოდ

ერთი მოხუცი კაცი ედგათ. ბათრაძი მივიდა მწყემსთან და მიესალმა:

— გამარჯობა, მოხუცო!

— იცოცხლე, მა ხურ, მაგრამ დღემდე რომ აქ მომსვლელი არავინ მინახავს? — გაიოცა მოხუცმა. — შვიდთავიანი დევი ხომ თავის მიწაზე ძირს გამვლელს არ ატარებს, მაღლა — ფრინველს; შენ ვინ ხარ ეგეთი გამბედავი, როგორ მოახერხე აქ მოსვლა და რაზე მოსულხარ? — ჰკითხა მოხუცმა და პასუხისთვის აღარ დაუცდია, ცხენს ირგვლივ შემოუარა და თვალთაგან ცრემლი დასცვივდა.

ბათრაძმა ჰკითხა:

— რა დაგემართა, მოხუცო, ნუთუ ჩემი დანახვა გეწყინა?

— შენი დანახვა ბარემ არ მწყენია, მაგრამ ამ ღვთისაგან დაწყეველილი დევის ხელში რომ ჩავვარდი, შინ ზუსტად ამ ცხენის მსგავსი დამრჩა. ვინ იცის, აქამდე ალბათ, მგლებმაც შეჭამეს. ის გამახსენდა და ცრემლიც იმიტომ მომერია.

ბათრაძმა უთხრა:

— აბა ნუღარ ტირი, მოხუცო, ეს სწორედ ის ცხენია, რომელიც შენ დატოვე, მე კი ნართ ხამიცის ვაჟი ბართაძი ვარ და ახლა ნუღარ გეშინიას.

— ჩამოდი, აბა, ცხენიდან, აღნაგობა შეგიმოწმო, ნამდვილად ჩვენი ჯილაგისა ხარ თუ არა. — უთხრა მოხუცმა.

ჩამოხტა ცხენიდან ბათრაძი და მოხუცთან მივიდა. მოხუცმა ტანზე ხელი დაუსვა მხარ-მკლავი მოუსინჯა.

— ნამდვილად ჩვენი გვარისა ყოფილხარ, ჩვენი აღნაგობა გაქვს, მაგრამ რად მოსულხარ? მე რომ დავიღუპე, არ კმარა, რომ ახლა შენც თავი არ დაიღუპო? — თქვა მოხუცმა და ატირდა.

— ნუ ტირი, მოხუცო, ტირილს რა სარგებლობა მოაქვს... შენ ის ადგილი მიმასწავლე, სადაც დევი ცხოვრობს.

მოხუცმა მიასწავლა:

— დევს ბინა საცხოხზე შავ გამოქვაბულში უდევს. კარზე ისეთი ლოდი აქვს მიყუდებული, რომლის გადმობრუნებაც არავის შეუძლია. ბათრაძი საცხოხზე ავიდა. გამოქვაბულის კარზე აყუდებული ლოდი გვერდზე მოისროლა და შიგ შეიჭრა. იწვა გამოქვაბულში დევი და ხვრინავდა, ჰირიდან ნაკვერჩხლებს ჰყრიდა. ნაკვერჩხალი ჭერს ასკდებოდა და ძირს ნაცრად ცვიოდა. დევს თავთით უჯდა ხორჩესჭა-მზის ასული, მზისებრ უქათქათებდა ბროლის ყელი. დევის ფერხთით კი მთვარის ასულ მისირხანს მოერთხა ფეხით. ორივეს ხელთ ბორხვენას ფოთლები ეჭირათ და დევს ბუზებს უგერიებდნენ. წინ სუფრა ედგათ ათასგვარი ნუგბარი კერძებით დაზნექილი. ქალიშვილები სუფრას ზედაც არ უცქერდნენ. ტიროდნენ

გულამოსკვნილები, წვიმასავით სდიოდათ ცრემლი, ეცემოდა მიწაზე და თვალმარგალიტის მძივებად ბრწყინავდა.

— გამარჯობათ, გოგოებო! — მიესალმა ბათრაძი. — რა გატირებთ?

წამოცვივდნენ ქალიშვილები და ერთხმად ალაპარაკდნენ:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ხამიცის ვაჟკაცო ბათრაძ! ჩვენი დაღუპვა კმაროდა, შენ შენივე ფეხით რაღად მოდიოდა დასაღუპავში? ჩვენ ის გვატირებს, რომ ჩვენი პატრონი ახლავე გაიღვიძებს და სისხლს გამოგვწოვს. ხუთ თვეს ათასგვარი ნუგბარი საშმელ-სასმელით გვკვებავს, მეხუთე თვე რომ მიიწურება, ქუსლებში სადგისს გვიჩხვლეტავს და სისხლს ამოგვწოვს. იმ სისხლით ორი კვირის მანძილზე გამოუღვიძებლად ცოცხლობს. აი სწორედ ახლა ჩვენი სისხლის გამოწოვის დრომ მოაწია.

ბათრაძმა ვეღარ მოითმინა და იძრო თავისი ორლესული. მოიქნია, უნდა დაერტყა დევისათვის, რომ ქალიშვილებმა შეაჩერეს:

— ნუ დაარტყამ! სხვისი იარაღით მაგის მოკვლა არ შეიძლება. დარტყმით შენ მხოლოდ გააღვიძებ და კიდევაც შეგჭამს.

— აბა, როგორ დაუდგება აღსასრულის დღე?

— აგერ კარსუკან ვეებერთელა დაკეტილი სკივრი დგას, მაგრამ არ ეღება. შიგ დიდი ორლესული დევს, სკივრიდან მის ამოთრევას ასი უღელი ხარი ჭირდება. მხოლოდ იმ ორლესულით შეიძლება დევის მოკვლა, სხვა ვერაფერი დაუყენებს აღსასრულს — ჩვეულებრივი ხმალი ვერ ჭრის და ჩვეულებრივი ისარიც სხეულში ვერ გაატანს.

ბათრაძმა სკივრთან მიირბინა, ხათიაგურად დაელაპარაკა და საბურავი თავისით აიხადა. შიგ მდებარე ორლესულს წამოავლო ხელი, დევს კისერში დასცხო და შვიდი თავიდან ექვსი წააგდებინა. მეშვიდე თავმა ბათრაძს გამოსძახა:

— ხამიცის ვაჟო ნართო ბათრაძ! მძინარე კაცის ხელის ხლება არ გეკადრებოდა!

— ბარემ არ იყო საკადრისი, მაგრამ შენს მიერ ნართების გადამეტებით შეურაცხყოფამ, ყელამდე ამავსო და თავი ვეღარ შევიკავე, თორემ განა არ ვიცი, მართებულად რომ არ მოვიქეცი, — უთხრა ბათრაძმა.

— აბა, ერთ რამეს გთხოვ: დიდხანს რომ არ გავწვალდე და სწრაფად ამომხდეს სული, ბარემ მეორედაც დამკარი, — უთხრა დევმა.

— ნართებში ახსართაგაანთ გვარს ელიასავით წესად მხოლოდ ერთხელ დარტყმა გვაქვს, — უპასუხა ბათრაძმა.

დევმა ბარემ წამოსწია თავი, შეინძრა, მაგრამ ვეღარაფერი შეძლო, გულაღმა გადავარდა, ხელ-ფეხი გაასავსავა და გაშოტილი დარჩა.

მზისა და მთვარის ასულები როგორ არ გაიხარებდნენ! მწუხარების ცრემლი შეაშრათ და ლოყები ახლა სიხარულის ცრემლმა დაუსველათ.

— დღეის შემდეგ ჩვენ შენი სტუმრები,* — თავდახრით შეჰკადრეს ქალიშვილებმა.

— ნუ გედარდებათ, უპატრონოდ არ მიგატოვებთ! — დააიმედა ბათრაძმა. მაშინ ქალიშვილებმა უთხრეს:

— აქ არის ერთი ტყავი, მთელი ქვეყნის სიმდიდრე ზედ დაეტევა. ერთი თოკიცაა აქ, იმითი რასაც შეკრავ, პეპელას წონაც აღარ ექნება. აქვეა ორი რკინის ფრთაც, არწივის ფრთები. მათზე რაც გინდა დააწყო, ყველაფერს მთებს, ტყეებს თავზე გადაატარებენ და სადაც გსურს, იქ მიიტანენ. აგერ მთის ნაპრალში რძის ტბაცაა. ვინც ამ ტბაში იბანავებს, ახლად წვერულვაშაბიბინებულ ჭაბუკად გადაიქცევა!

ბათრაძმა ჯერ მოხუცი ვონი წაიყვანა რძის ტბაზე და აბანავა. მოხუცი ჭაბუკად გადაიქცა. მერე ამ რძით მათარა აივსო. შემდეგ დევის ქონება — პირუტყვი თუ ხორბალი — სულ ამ ტყავზე დააწყო, თოკით შეკრა, ზედ ვონი, ხორჩესჭა და მისირხანი დასვა, ყველანი რკინის ფრთებზე მოთავსდნენ და მთები ერკემლებივით ერთიმეორეს რომ ერკინებოდნენ, იმ გზით გამოფრინდნენ. მოფრინდნენ ნართების ქვეყანაში. აქ ბათრაძმა თოკი შეხსნა ტყავს და რაც ზედ პირუტყვის ჯოგები, ცხენის რემები იყო, გამოეფინენ და მთლად დაფარეს იქაურობა. წამოასხა ბათრაძმა პირუტყვი, ვონი და ქალიშვილებიც წამოიყვანა და სავხოზზე მოვიდნენ. ნართების რჩეულნი ისევ აქ იყვნენ და „სიმდს" განაგრძობდნენ. .

აქულა-მზეთუნახავი იჯდა თავის მოჩარდახებულ ეტლში და ბათრაძის დაბრუნებამდე მისთვის ჩასაცმელ-დასახური, თავით ფეხამდე რაც საჭირო იყო, ყველაფერი დაუმზადა.

ბათრაძმა მათარით წამოღებული რძით ხამიცი გაბანა და იგი საქორწილო ბიჭად გადაიქცა. მივიდა ბათრაძი მთვარის ასულ მისირხანთან და უთხრა:

— დღეიდან შენ ვონის ცოლი იქნები!

მერე მზის ასულ ხორჩესჭასთან მივიდა და იმასაც უთხრა:

— დღეიდან შენ ხამიცის ცოლი იქნები.

თვითონ აქულა-მზეთუნახავი წაიყვანა ცოლად.

ნართები მხიარულ ქორწილებს რად არ გამართავდნენ — ვისაც კი ფეხზე დგომა შეეძლო, ყველა მოგროვდა და კვირიდან კვირამდე სვეს, ჭამეს და ილხინეს.

როგორ სცემა ბათრაძმა ნართების ანგელოზს

ერთხელ ნართების ანგელოზი ხალხს აშკარად გამოეცხადა. ქალები სათითაოდ მიდიოდნენ მასთან და ეხვეწებოდნენ: სილამაზე და კარგი ალნაგობა მოგვამადლეო.

სხვების წამხედურობით ბათრაძის ცოლიც ეახლა ანგელოზს და სთხოვა:

— იდიდოს შენი სახელი, ჩვენო ანგელოზო! მიიღე ჩემი შესაწირავი და ჩემთვისაც რაიმე სიკეთე გამოიმეტე.

ანგელოზმა გადმოსძახა:

— მე შენებრ ავხორცებს სიკეთეს არ ვუშვრები.

ქალი რაღას ეტყოდა, გაბრაზებული გამობრუნდა და წამოვიდა.

ბათრაძი იმ დღეებში შინ არ იყო — კვლავ სათარეშოდ წასულიყო. ბათრაძის ცოლი დაღონებული შინ იჯდა.

ამ დროს მოფრინდა მერცხალი და მათი სახლის ერდოზე შემოჯდა. ბათრაძის ცოლი მერცხალს შეეხვეწა:

— გაფრინდი, მერცხალო, ბათრაძთან, — იჯდეს, ფიცხლად ადგეს, იდგეს ნუღარ დაჯდება და სასწრაფოდ აქ დაიბადოს!

გაფრინდა მერცხალი ბათრაძთან და ცოლის დანაბარები გადასცა.

ბათრაძი მოახტა თავის რაშს და მსწრაფლ შინ გაჩნდა. ცოლს ჰკითხა:

— რა დაგემართა? რამ შეგაწუხა?

ცოლმა უამბო:

— ჩვენი მფარველი ანგელოზი აშკარად გამოგვეცხადა. ქალები მიდიოდნენ და ბედ-იღბალს გამოსთხოვდნენ. მეც ვეახლე. მან კი გამლანძღა და გამომაგდო.

ბათრაძი ტყეში წავიდა, მუხის ჯოხები გამოჭრა, ამოიდო იღლიაში, ავიდა ნართების ანგელოზთან და დაუძახა:

— ნართების ანგელოზო, გარეთ გამომხედე!

ანგელოზს ეგონა, ალბათ, კვლავ წყალობის სათხოვნელად მოვიდაო ვინმე და გამოხედა.

ბათრაძმა გამოიძრო იღლიიდან ჯოხი და ანგელოზს ჟაპა-ჟუპი აუყენა. ანგელოზი დაიტიშა და გაიქცა. მისდევდა ბათრაძი და ურტყამდა ჯოხს, ერთი ჯოხი გაუტყდებოდა, მეორეს გამოიღებდა.

ნართების ანგელოზს ლამის სული ამოსძერა, ცოცხალ-მკვდარმა ვაცილასთან მიაღწია და თავი მას შეაფარა. ბათრაძმა ვაცილას დაუძახა:

— ჩემი ახურებული ძროხა მანდ შემოვარდა და გამომიგდეთ, თორემ თქვენც შავ დღეს დაგაყრით!

ვაცილა შეშინდა და ანგელოზი გამოაგდო.

გარბოდა კვლავ ანგელოზი და ბათრაძი ჯოხის ცემით მისდევდა. გაუტყდებოდა ჯოხი და იღლიიდან მეორეს გამოიღებდა.

ანგელოზი ახლა საფასთან შევარდა. საფა გარეთ გამოვიდა და ბათრაძს ხვეწნა დაუწყო: _

— ჩვენი ხათრით აპატიე, ბათრაძ, დაანებე თავი, ეგ მაინც ვეღარ გადარჩება.

— თქვენნაირების ხათრით როგორ უნდა ვაპატიო! გამოაგდეთ, თორემ თქვენ უარესს დაგმართებთ! — უყვირა ბათრაძმა.

იმათაც გამოაგდეს — მეტი რა გზა ჰქონდათ! გარბოდა ანგელოზი, მისდევდა ბათრაძი და მუხის დიდი კეტით ზურგს უშრელებდა.

ენაგადმოგდებული ანგელოზი ახლა თუთიირთან* შევარდა. გამოვიდა თუთიირი და ბათრაძს სთხოვა:

— ჰეი, ნართელო ბათრაძ, პატივი ეცი მთხოვნელის თხოვნას და აპატიე!

— ბარემ არ ვაკმარებდი, მაგრამ რა გიყო, ნამუსიც კაი საქონელია, — მთხოვნელის თხოვნას პატივი როგორ არ ვცე! შენი ხათრით ეპატიოს, თუთიირ! — უთხრა ბათრაძმა და შინ გამობრუნდა.

ნართების თავყრილობა

ერთხელ ერთად თავშეყრილი ნართი ძალგულოვნები ჩამომსხდარიყვნენ საკარცხულებზე და თავიანთ ხალხის ავკარგზე ბჭობდნენ.

— ნართებს ნართები მაშინ ეთქმოდათ, როცა მათი შიშით ცას ქუხილი ვერ გაებედა, როცა თანამოძმისთვის სიკვდილსაც არ ერიდებოდნენ და ყველამ თავის შეკავება იცოდა. ნართებს ნართები მაშინ ეთქმოდათ, როცა ნართელი კაცის პირიდან სიმართლის მეტი არაფერი ისმოდა. ჩვენი ხალხი ხალხად მაშინ ითვლებოდა, როცა საკუთარი თავის ფასი იცოდა,— თქვა ერთმა უხუცესთაგანმა ნართების თავყრილობაზე.

— ნართებისა სხვა ხალხებს მაშინ შურდა და მათი სახელი ყველგან მაშინ ქუხდა, როცა მუცლის ხმას არ ასდევნენ, სმას ერიდებოდნენ, რონგის ხმარებაში ზომიერებას იცავდნენ; ახლანდელებივით ჭამა-სმაზე დახარბებული არ იყვნენ, უზომო, წრესგადასული სმა არ იცოდნენ და

მორიდებასა და ჭკუა-გონებას არ კარგავდნენ. — თქვა მეორე უხუცესმა.

— ჩვენი ხალხი ხალხად მაშინ ღირდა, როცა უფროს-უმცროსობის ადათს იცავდა, უფროსს პატივს მიაგებდა; ერთმანეთს უსმენდა და ქალის გამო სინდის-ნამუსს არ კარგავდა. — თქვა მესამე უხუცესმა.

ამის შემდეგ ნართების უხუცესების წინაშე საპატიო და ძვირფასი განძი — სამი თოფი შალი გამოიტანეს.

ურუზმაგმა აიღო ერთი თოფი შალი და თქვა:

— ამ განძს ნართების უხუცესები ჩვენი ახალგაზრდებიდან მიაკუთვნებენ იმას, რომელიც გონიერებასთან ერთად ყველაზე მამაცი და ზნეკეთილი აღმოჩნდება. ვის აქვს თავის იმედი, ვინ შებედავს ამ განძს.

წამოდგა ნართი ხამიცი და თქვა:

— მე ვიღებ მაგ შალის ნაჭერს.

— რის იმედით?! — გაიკვირვეს ნართებმა, — შენ ხომ დაბადებიდან შენივე ჩრდილისაც გეშინია; დაბერდი კაცი და ადამიანისათვის სახეში პირდაპირ შეხედვაც ვერ გაგიბედავს!

— სიმართლეს ამბობთ, ნართებო! საქებარს მე ვერაფერს მომიძებნით, საკუთარ თავს ვერ დაგატრაბახებთ, მაგრამ ნართებში ჩემი ვაჟის ბათრაძის მსგავსი მამაცი, უშიშარი და გამბედავი სხვა არავინ აღმოჩნდება. იგი უწესობასაც არ იკადრებს, ამის უფლებას არც მივცემ.

ურუზმაგმა მეორე თოფი შალი აიღო და თქვა:

— ამ განძით ნართების უხუცესები პატივს დასდებენ იმ ადამიანს, ვინც მუცელს არ ასდევს, კაცობის უმძიმეს ტვირთს ბოლომდე წესითა და პატივით ეზიდება.

და კვლავ თქვა ხამიცმა:

— ეგ შალის ნაჭერიც მე მეკუთვნის.

— ხამიც, შენი საქციელი მოსაწონი არაა. ნართებში ერთი ადამიანიც არ მოიძებნება, შენი ღორმუცელობის ამბავი არ იცოდეს. შენს გაძღომას ჯერ არავინ მოსწრებია: კვირიდან კვირამდე სუფრაზე მჯდარხარ და ერთხელაც არ წამოგცდენია, კმარა, ახლა „ბარაქა-დოვლათი“ იყოსო, — შესძახეს გაოცებულმა ნართებმა.

— ამ შალის ნაჭერსაც ჩემი ვაჟის ბათრაძისთვის ვიღებ: ჭამა-სმაში იმაზე უფრო თავშეკავებული და ზომიერების დამცველი არავინ აღმოჩნდება.

— მესამე განძს ნართების უხუცესები ჩვენი ახალგაზრდებიდან მიაკუთვნებენ იმას, ვინც ქალთან ურთიერთობაში ყველაზე წესიერი გამოდგება, ვინც თავის დიასახლისს ყველაზე მეტს მოუთმენს, — თქვა ურუზმაგმა.

— არც ამ განძს დავუთმობ სხვას, — თქვა კვლავ ხამიცმა.

— ხამიც, რა სინდისით ამბობ მაგას, როცა შენი არყიზის კბილის ამბავი ხალხში საანდაზოდაა დარჩენილი; სხვის ცოლებთან ქვის ყორეთა ხვრელებიდან დაძვრებოდი; საკუთარი ცოლი — ბიცენონიც ხომ სულ ჯიბით დაგყავდა, — უთხრეს ნართებმა.

— თქვენი საყვედური სამართლიანია, ნართებო, მაგრამ იცით, თუ არა, რომ ქალთან დამოკიდებულებაშიც ბათრაძზე უფრო ზნესრულსა და წესიერს ვერ იპოვით.

მაშინ ნართებმა გადაწყვიტეს, ხამიცის ვაჟი ბათრაძი გამოეცადათ; შეემოწმებინათ, აღმოაჩნდებოდა ყველა ეს კარგი თვისება თუ არა და, როცა ბათრაძი ლაშქრობიდან ბრუნდებოდა, წინ ასი ცხენოსანი დაუხვედრეს.

ბათრაძი მიხვდა, წინ რომ ჩასაფრებოდნენ და ჩასაფრებულთ თავი ისე მოაჩვენა, თითქოს შეეშინდა — ცხენი უკან მიაბრუნა და გაქუსლა. მხედრები გამწკრიედნენ და დაედევნენ. მაშინ კი შემოუბრუნდა მათ ბათრაძი და შენს მტერს, რაც იმათ დღე აყარა! — ასივე მხედარს ისე გაუმკლავდა, თითქოს ერთი კაცი დადევნებოდეს. ბევრი მათგანი სახლს ცოცხალი ვეღარ დაუბრუნდა, ხოლო გადარჩენილები ისე იყვნენ დაჟეჟილები, სისხლი სულ ფორებიდან სდიოდათ.

ამის შემდეგ ნართები კვირიდან კვირამდე წვეულებაზე ისხდნენ.

ბათრაძიც აქ იყო. სუფრები ისე გააწყვეს, რომ ბათრაძი ვერც ერთს ვერ მისწვდენოდა. მას კვირიდან კვირამდე პირში ლუკმა არ ჩაუდვია, მაინც დანარჩენებზე უფრო მხიარულად მღეროდა და ყველაზე მოხდენილად ცეკვავდა.

ახლა, ბათრაძის შინ არყოფნისას მის ცოლს მწყემსი მიუგზავნეს. ბათრაძმა მას თავის საწოლში მიუსწრო: ქალს მწყემსის მკლავზე ეძინა. ბათრაძმა ცოლს თავქვეშიდან მწყემსის მკლავი გამოაცალა და მწყემსს თავი ცოლის მკლავზე დაადებინა. თვითონ ეზოში გამოვიდა, ძირს ნაბადი დაიგო, თავქვეშ უნაგირის თოქალთო დაიდო, დაწვა და მზის ამოსვლამდე ფეხიც არ გაუნძრევია.

■ ■ ■

მსაჯულად მსხდომი თავკაცები ბათრაძის ვაჟკაცური თვისებების ჩამდვილეში დარწმუნდნენ და მიაკუთვნეს წინაპართა სამივე განძი, გრამ კიდევ ერთი საჭოჭმანო საკითხი გაუჩნდათ: „ნართების ახალგაზრდებიდან ბათრაძზე უფრო სრულყოფილი, ზნეკეთილი ვაჟკაცი სხვა

რომ არავინაა, ეს უდავოა, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიგვიყვანია — უნდა გავიგოთ, უნდა ვიცოდეთ, ბათრაძმა ეს ვაჟკაცური თვისებები რა გზით შეითვისა, რისთვის შეიტკბო“.

უხმეს ნართებმა ბათრაძს და რაც აინტერესებდათ, ჰკითხეს.

— ნართებო, გაგიკვირდებათ, მაგრამ სიმამაცე და მოხერხებულობა მე ჩემი მეძებარისაგან შევითვისე.

— როგორ? — გაიოცეს ნართებმა.

— ნადირობიდან შინ ვბრუნდებოდი. გზად ერთ სოფელზე გამოვიარე. აქ ჩემს მეძებარს ძაღლების ხროვა დაესია. „ნამდვილად შეჭამენთქო“, გავიფიქრე ჩემთვის. უკან მოვიხედე და ვხედავ, მეძებარმა შებმას გაქცევა არჩია. მირბოდა მეძებარი და უკან ერთი მეორის მიყოლებით მისდევდნენ ძაღლები. ხროვა ასე რომ დაიფანტა და დაცალკევდა, მაშინ კი ჩემი მეძებარი შემოუბრუნდა მათ და სათითაოდ სუყველა დაამარცხა.

დავუფიქრდი ამ ამბავს და დავიხსომე, მტერი რომ დაამარცხო, ამისათვის მისი ძალები უნდა დაფანტო, დააცალკევო და ადვილად მოერევი.

— ჭამა-სმაში ზომიერების დაცვაზე რას გვეტყვი?

ბათრაძმა ნართებს ამის პასუხად უამბო:

— სანადიროდ ვიყავით; მოვკალით ნადირი და დასასვენებლად დავბინავდით. ცეცხლი დავანთეთ და ნანადირევის ხორცით მწვადები ავაგეთ. უფროსებმა მოგვმართეს: „წყალი მოგვართვითო“.

წყლის საშოვნად წავედით. ერთმა ჩვენგანმა გზაში რაღაც პარკის მაგვარს წამოჰკრა ფეხი. ავიღეთ და თან წავიღეთ. დავინახეთ, ერთი კლდის ნაპრალიდან კამკამა წყალი მოწვეთავდა. შევუშვირეთ ის პარკი. ჩადიოდა შიგ წყალი, მაგრამ მის გავსებას საშველი აღარ დაადგა. ვუცადეთ, ვუცადეთ, პარკი კი იწელებოდა და იწელებოდა. წამოვიღეთ წყალი, ხალხმა წყურვილი დაიცხრო. მერე უფროს ხალხს ვკითხეთ: ეს პარკის მაგვარი რაღაც ასე უსაშველოდ რომ იწელება, რა ჰურჭელი უნდა იყოს?

ბევრის მომსწრე და მნახველმა უფროსებმა კაი ხანს იმსჯელეს და დაასკვნეს: „ეს კაცის ფაშვი იქნება, სხვა არაფერი! მისი ამოვსება არ შეიძლება. ქვეყნად მის გაძღომას ჯერ არავინ მოსწრებია“.

ამ შემთხვევის შემდეგ მუცელი აღარ გამიძღია. მეტი ჭამა მეტი ჭირია. დავიწყე საკუთარი თავის წრთობა. ერთი ხანობა ჩემ წილ პურს ოთხად ვყოფდი. სამ წილს შევჭამდი, ძალა არ მაკლდებოდა, არც ზედმეტი ჯაფა დამდგომია. მერე ნახევარი პურით ვიცხრობდი შიმშილს და თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს მთელი პური შემეჭამოს.

— ქალის მიმართ შენს დამოკიდებულებაზე რაღას ფიქრობ?

და ბათრაძმა კვლავ თავსგადახდენილი ამბავი უამბო:

— ერთხელ ნართი ყმაწვილი კაცები — ოცდაცხრამეტი მხედარი— ლაშქრად წავედით. ერთ ტრიალ მინდორზე მოვხვდით. მინდორში არსად არც ხე ჩანდა, არც წყალი. ვერც ვერაფერი მოვინადირეთ. იმ ხვატში კაცი თუ ცხენი შიმშილმა და წყურვილმა მიგვასავათა.

მოსაღამოვდა; ვხედავთ, ერთი ადგილიდან სინათლე გამოდის. მივუახლოვდით ამ შუქს. ამ ადგილზე სოფელი ყოფილა. ერთმა ქალიშვილმა და ერთმა ხანშესულმა ქალმა გამოგვხედეს, მამაკაცის ჭაჭანება არ ჩანდა.

— სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით, გიმასპინძლებთ! — შეგვიპატიეს ქალიშვილმა და დედამისმა.

ერთმანეთს გადავხედეთ, უკაცო ოჯახს როგორ ვესტუმროთო, მაგრამ მაინც ჩამოვქვეითდით, ცხენები უმცროსს ჩავაბარეთ.

მასპინძლებმა მშვენიერი ვახშამი გაგვიშალეს.

ვახშმობის შემდეგ ლოგინი ორ ოთახში დაგვიგეს — ერთში ოცი კაცი მოგვათავსეს, მეორეში — ცხრამეტი. დასაძინებლად დავწექით და მესმის: თავს დაგვდგომიან დედა და ქალიშვილი და ხათიაგურად ლაპარაკობენ (ჩვენს რაზმში ხათიაგური ენა მხოლოდ მე ვიცოდი):

— გოგო, მე ორი პარასვევი–ღა მიდევს წინ, როდის ამომხდება სული, არ ვიცი: როდისღა გავიხარებ, როდისღა რას ვისიამოვნებ. შენ ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მოგცეს, თორემ ვერც დაითვლი, იმდენ სიამეს მოესწრები. მოდი, ასე მოვიქცეთ: ოცს მე ვცემ პატივს, ცხრამეტს შენ მოეფერე.

— დედაჩემო, სიკვდილმა უფროს–უმცროსი არ იცის: კვიცის ტყავის თოფრაში ქერი ბევრ ბებერ ცხენს უჭამია. მე ჯერ რა მიცოცხლია, რა მინახავს: ვნახავ თუ არა რამეს, ეგეც საკითხავია. შენ კი გიცხოვრია, ბევრი გინახავს... ოცს მე უნდა მივესალმო: „მშვიდობა თქვენს მობრძანებას!“

და მაშინ მივხვდი, რა საბრალო ყოფილა ქალი, დროდადრო თურმე რა მძიმე წუთები უდგებაო იქ დავიფიცე, რომ მამაჩემის კერაზე ჩემს სახელზე შემოსულ ქალს არასოდეს ვუღალატებდი; თუ თვითონ შეცდებოდა, მაინც არ დავადანაშაულებდი.

უხუცესმა ნართებმა მადლობა გადაუხადეს ხამიცს ასეთი ზნესრული ვაჟის გაზრდისათვის, თვით ბათრაძსაც მადლობა უთხრეს. მერე წამოდგნენ თავიანთი საკარცხულებიდან და თავყრილობიდან წავიდ-წამოვიდნენ.

ერთხელაც ნართების დიდ ნიხასში კამათი ჩამოვარდა, ნართი ხალხიდან ვინაა ყველაზე უკეთესი ვაჟკაცი. იკამათეს კაი ხანს, მაგრამ საბოლოოდ ვერაფერი დაადგინეს. იმ ხანად სირდონი იქ არ იყო. ყველამ ერთხმად თქვა „სირდონს ვკითხოთ, ის გვეტყვის, ვინაა ნართებში უკეთესი".

როცა სირდონი ნიხასში მოვიდა, ნართებმა ჰკითხეს და იმანაც უპასუხა:

— თქვენში უკეთესად ის ჩაითვლება, ვინც შეკაზმული ცხენით ნართების დიდ ხაძარში გაიჯირითებს, მერე თავხეს მერცხალივით გადააფრინდება; ვისი ცხენის ნაკვალევიც ნართების ყუგომს* გუთნით გავლებული ხნულივით დააჩნდება, ვინც ღვთის ველზე წავა და იქიდან ღვთის გაჩენილ ქალიშვილს მოიყვანს.

ნართებიდან ვერავინ გაბედა ბედი ეცადა.

მხცოვანი ნართი ხამიცის ვაჟი ფოლადოვანი ბათრაძი გამბედაობით ლომს შეედრებოდა; მან გადაწყვიტა ბედი ეცადა. შეკაზმა თავისი ნართული ბედაური და ნართების ფართო ხაძარში გააჭენ-გამოაჭენა, მერე უშხივლა მათრახი და ხაძარის თავხეს მერცხალივით გადააფრინა. აქედან ნართების ვრცელი ყუგომის გავლით ღვთის ველის საძებრად გაეშურა. ყუგომს მისი ცხენის ნაკვალევი გუთნით გავლებულ ხნულივით აჩნდა.

რამდენი იარა, ვინ იცის, მაგრამ როცა იყო, მიადგა ღვთის ველს, წამოიყვანა იქიდან ღვთის გაჩენილი ქალიშვილი და ნართებთან დაბრუნდა.

ხამიცის სიკვდილი

ხამიცი ნართებს შორის სახელოვანი კაცი იყო. სად არ დადიოდა, სად აღარ დათარეშობდა. ნართებისათვის ბევრი სიკეთე გაუკეთებია, მაგრამ დიდი ხანი იყო, ხამიცს ბორაანთ ბურაფარნიგი მტრობდა. მათ შორის ეს მტრობა კი ასე ჩამოვარდა: ხამიცს პირში ერთი კბილი არყიზისა ჰქონდა. ეს კბილი ისეთი საოცარი თვისებისა იყო, რომელ დედაკაცსაც უჩვენებდა, მის სურვილს უარს ვერ ეტყოდა. ამის გამო ხამიცმა ძალიან ბევრთან პირი შეირცხვინა. ცოლი — ბიცენონი რომ აღარ ჰყავდა, ბორაანთ

ბურაფარნიგის ცოლიც შეაცდინა. ბურაფარნიგმა ჯავრი გულში ჩაიხვია, მაგრამ არ იცოდა, სამაგიერო როგორ გადაეხადა, ხამიცს პირისპირ შებმას ვერ უბედავდა.

საინაგ-ალდარი ბორათების დისწული იყო და იმას სთხოვა:

— ნართმა ხამიცმა ბევრი უბედურება დაგვატეხა თავს; ოღონდ იმის ჯავრი ამოგვყარე და ამ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებთ.

— კარგი, — დაჰპირდა საინაგ-ალდარი. — მხოლოდ ახსართაგათებსაც ჰკითხეთ, ისინი რაღა აზრისანი არიან?

ახსართაგაანთ ძალგულოვნებს კითხვას როგორ გაუბედავდნენ, მაგრამ ნართების საუბედუროდ გაჩენილმა უეშმაკესმა სირდონმა შეყარა ყველაზე უნდილები და ხმამაღლა გამოუცხადა:

— ახსართაგათებო, ისმინეთ ჩემი ნათქვამი; მე გეუბნებით, ხამიცის ხელით დაღუპვა გელით. ამიტომ მას სიკვდილის განაჩენი უნდა გამოუტანოთ.

— უნდა ჩავქოლოთ, თორემ ბათრაძის მსგავსი ვაჟები კიდევ რომ გაუჩნდეს, წყალზე წაგვასხამს ხოლმე და წყურვილს არ მოგვაკვლევინებს, ისე დაგვაბრუნებს, — წამოიყვირეს ზოგიერთმა უნდილებმა.

საინაგ-ალდარმა ეს რომ გაიგო, ბორათებს ჰკითხა:

— ხამიცი სათარეშოდ რომელი გზითა და რა დროს დადის?

მათ ასწავლეს ხამიცის სათარეშო გზები და დროც უთხრეს.

ამის შემდეგ საინაგ-ალდარმა ხამიცს დევნა დაუწყო.

ერთხელაც ხამიცი სანადიროდ გაემზადა. თვალი მოჰკრა საინაგ-ალდარმა და ხამიცი თავის ბედაურზე რომ ჯდებოდა, სწორედ იმ დროს წაბოეწია. ხამიცი ბარემ შემოუბრუნდა, მაგრამ საინაგ-ალდარმა ხმალი მოუქნია. ღმერთმა მისი ხმალი ხამიცის არყიზის კბილს მოახვედრა, ასტყდა ხმალს ტკეჩი და ცას დაეკიდა — მთვარე მას შემდეგ გაჩნდა; საინაგ-ალდარმა ხამიცს კვლავ და კვლავ მოუნაცვლა ხმალი და მოკლა. მისი ცხედარი უნაგირს დააკრა და ცხენმა იგი ახსართაგაანთ მოიტანა.

ახსართაგათები უმალვე მიხვდნენ, ეს უბედურება ბორათების ჩაგონებით საინაგ-ალდარის ხელით რომ დაემართათ.

ახსართაგათებმა ხამიცის ცხედარი დაასაფლავეს.

დასაფლავებას ბათრაძი ვერ დაესწრო — კვლავ შორეულ მხარეს იყო სათარეშოდ წასული.

ახსართაგათებმა მოითათბირეს, ბათრაძისათვის შეეტყობინებინათ მამის სიკვდილის ამბავი, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი არ იცოდნენ. ადგნენ და საღამოს ნიავქარი დილის ნიავქართან გაგზავნეს და დააბარეს: „სასწრაფოდ მოირბინე ცა და დედამიწა — იპოვე ხამიცის ვაჟი ბათრაძი და გადაეცი: ვიღაცამ მამა მოგიკლა. იჯდე — ადექი, იდგე — ნუღარ დაჯდები-თქო".

საღამოს ნიავქარმა ახსართაგათების დანაბარები დილის ნიავქარს გადასცა. დილის ნიავქარმა მოიარა ცა, მერე დედამიწა, წააწყდა ბათრაძს და ნართების ადათის მიხედვით ჯერ მიუსამძიმრა, მერე უთხრა:

— ნართმა ძალგულოვნებმა დილაბნელზე მაცნედ გამომგზავნეს: შენი ფოლადულვაშა მამა ვიღაცის ხელმა საიქიოს გაამგზავრა.

შუბის ტარი დაიბჯინა ხამიცის ფოლადოვანმა ვაჟმა ბათრაძმა და აქვითინდა: ვაი, ჩემი ოჯახის დაქცევას, ვაი, კერიის ჩაქრობასო! და ფოლადის თვალთაგან თუჯის ცრემლები დასცვივდა. ტირილით გული რომ შოიჯერა, შინისკენ გამოემართა. მოვიდა, მოაღწია შინამდე. შევიდა შიგნით და სათანას ჰკითხა:

— დედა, მითხარი, ვინ მომიკლა მამა?

— მამაშენი, ჩემო არშობილო შვილო, თავისი დღით მოკვდა; მან ღვთის წინაშე თავისი ვალი აღასრულა; კიდევ კარგი, შენ ოჯახს მშვიდობით დაუბრუნდი.

სათანამ იცოდა, ბათრაძი დიდ უბედურებას რომ დაატრიალებდა. შიშობდა, თვით ბათრაძსაც არაფერი დაშავებოდა, ამიტომ მისთვის მამის მკვლელის გამხელას არ აპირებდა.

ბათრაძი სათანას ამ იდუმალ აზრს მიუხვდა და უთხრა:

— დედი, ბატიბუტი მომენატრა.

— ეგ რა ძნელი საქმეა, შვილო, ახლავე, — უთხრა გახარებულმა და ცეცხლზე კეცი შემოდგა. სიმინდი დაბატა, ბატიბუტით ხის ჯამი აავსო და ბათრაძს გაუწოდა.

— დედი, ხის ხელით მზრდიდი, განა? — უთხრა ბათრაძმა.

სათანამ ცხელი ბატიბუტი ხის ჯამიდან მუჭით ამოიღო და გაუწოდა. ბათრაძმა ბატიბუტით სავსე მუჭზე ხელი მოუჭირა და უთხრა:

— ახლავე მითხარი, ვინ მოკლა მამაჩემი!

სათანას მეტი საშველი აღარ ჰქონდა და თქვა:

— მამაშენი წინასწარგანზრახვით დაიღუპა. იგი ბორაანთ ბურაფარნიგის დავალებითა და ხელშეწყობით საინაგ-ალდარმა მოკლა. მოკვლის შემდეგ მისი ნივთები გაინაწილეს: ხმალი საინაგ-ალდარმა დაინარჩუნა, თინთის ქურქი — ბურაფარნიგმა, ხოლო სამივე რაში სოსლანს ჰყავს.

— მივდივარ აბა, მამაჩემის სისხლის ასაღებად და მისი ნივთების შესაგროვებლად, — უთხრა მას ბათრაძმა.

ხამიცის ცხენს დურ-დურას უნაგირი დაადგა და გაემართა.

სათანამ მიაძახა:

— მობრუნდი უკან!

ბათრაძი შემობრუნდა.

— საით მიდიხარ? — ჰკითხა სათანამ.

— ჯერ საინაგ-ალდარი უნდა მოვკლა, — უპასუხა ბათრაძმა.

— ე, მა ხურ! საინაგ-ალდარი ეგრე ადვილად მოსაკლავი როდი გახლავს! იმას თავისი ხმლის გარდა სხვა იარაღით ვერ მოერევი. რაკი მისი მოკვლა გადაგიწყვეტია, კარგად მომისმინე: საინაგ-ალდარს ყოველდღე, გარიჟრაჟისას, თავისი სამი მერანი წყაროზე დასარწყულებლად გამოჰყავს. სწორედ ეს დრო უნდა შეურჩიო. შეხვედრისთანავე მიესალმე: „დილა მშვიდობისა ბერიკაცო“. ის გიპასუხებს: „იცოცხლე, ბიჭო! ასე ადრიადად რომელმა ქარმა გადმოგადრო. აქეთ ნადირს ვერ გაუპაჰანებია, ფრინველს ვერ გადმოუფრენია, შენ როგორ მოხვედი?“ პასუხად უთხარი: „რა ვქნა, მოხუცო, ყმაწვილის გული დაუდეგარია, ზეცას ქურდალაგონი ხმალს მიკეთებს; ნახშირი და რკინა დავამზადე და მხცოვან ხალხს ვკითხე, ვის აქვს საუკეთესო ხმალი, ვისი ხმლის თარგზე გამოვაჭედინო-თქო და მირჩიეს: ამქვეყნად საინაგ-ალდარის ხმალს ბადალი არ მოეძებნება და ისეთი გამოაჭედინეო“. „იმდენი შერჩეთ ოჯახის წევრი, რამდენიც ჩემი ხმლის მსგავსი გამოაჭედინონ“, — გეტყვის საინაგ-ალდარი, ხმალს ქარქაშიდან ამოაძრობს და მზესავით მბრწყინავი მისი ხმლის პირზე დედამიწა ისე აირეკლება, როგორც სარკეში. იარაღს წვერით გამოგიწვდის, როგორც კი ხელს წაავლებ, იგი მოგკლავს. ამიტომ შენს ცხენს უკან დააწევინე, ვითომ ხმლის მბზინვარებამ დაგიფრთხო. ის გეტყვის: „ბიჭო, მგონი, შენს ცხენს ხმლისა ეშინია“; შენ უპასუხე: „მობეზრებული აქვს; ერთი ეგ შენი ხმალი ვადით მომაწოდე!“ იგი მოგაწვდის. კარგად დააკვირდი ხოლმე — შუა ადგილზე ტკეჩი ექნება ავარდნილი და თქვი: „ასეთი ხმლის დამახინჯება აფსუსია!“ ის გეტყვის: „ნართმა ხამიცმა საიქიოში ვირის ნაწლავები ჭამოს! — მოსაკლავად რომ მოუქნიე, იმის არყიზის კბილზე მომიხვდა და ტკეჩი ასტყდა“.

საინაგ-ალდარს ხმალი მხოლოდ კისერს უჭრის. მისი სხეულის სხვა ნაწილი დანას არ იკარებს. შენ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედე ხოლმე, ვითომ

რამეს ეძებ და ჰკითხე: „ბერიკაცო, თქვენში მზე რომელი მხრიდან ამოდის? ამ მხარეში უცხოდ ვარ და ვეღარ გამირკვევია". საინაგ-ალდარი გვერდით შებრუნდება, ამ მხრიდანაო, გეტყვის. აი, როცა შებრუნდება, — შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ, ხმალი კისერში დასცხე. თუ ასე არ მოიქეცი, სხვაგვარად მის მოკვლას ვერ მოახერხებ.

ბათრაძი გაემართა. იარა, იარა და როცა იყო, მიაღწია საინაგ-ალდარის ქვეყანას. ხედავს, დილაბნელზე საინაგ-ალდარს თავისი სამი მერანი წყაროზე დასარწყულებლად მოჰყავს. ბათრაძი მიუახლოვდა და მიესალმა.

— დილა მშვიდობისა, ბერიკაცო!

— იცოცხლე, ყმაწვილო! ამ დილაადრიანად რომელმა ქარმა გადმოგაგდო? აქ ნადირს ვერ გაუჭაჭანებია, ფრინველი ვერ გადმოფრენილა, შენ რამ მოგიყვანა?

— რა ვქნა, ბერიკაცო, ყმაწვილის გული დაუდეგარია. ზეცას ქურდალაგონი ხმალს მიკეთებს, ნახშირი და რკინა დავუმზადე და მხცოვან ხალხს დავეკითხე: ვის აქვს საუკეთესო ხმალი, ვისი ხმლის თარგზე გამოვაჭედინო-მეთქი. და მითხრეს: „ამ ქვეყნად საინაგ-ალდარის ხმალს ბადალი არ მოეძებნება, იმისი მსგავსი გამოაჭედინეო!" ჰოდა, გთხოვ, მიჩვენო შენი ხმალი!

— იმდენი შერჩეთ ოჯახში წევრი რამდენიც ჩემი ხმლის მსგავსი გამოაჭედინონ! — თქვა საინაგ-ალდარმა და ქარქაშიდან ხმალი დააძრო — მზესავით მბრწყინავ მის პირზე დედამიწის სურათი ისე აირეკლა, როგორც სარკეში. მან ბათრაძს ხმალი წვერით გაუწოდა. ბათრაძმა ცხენს სადავე მოსწია და უკან დააწევინა, ვითომ დაუფრთხა.

— ყმაწვილო, მგონი, მაგ შენს ცხენს ხმლისა ეშინია! — უთხრა საინაგ-ალდარმა.

— გაბეზრებულია, — ერთი, ეგ შენი ხმალი ვადით მომაწოდე.

საინაგ-ალდარმა ბათრაძს ხმალი ვადით ააწოდა.

ბათრაძმა გამოართვა და გაოცებით დაუწყო თვალიერება. ხმლის პირს ატკეჩილი ადგილი შენიშნა და თქვა:

— აი-აი-აი! აფსუსი არ არის ამ ხმლის დამახინჯებაზე?!

— ვირის ნაწლავები ჭამოს საიქიოში ნართმა ხამიცმა — მოსაკლავად რომ მოვუქნიე, არყიზის კბილზე მოვარტყი და პწკალი ასტყდა!

ბათრაძი ისე გაცეცხლდა, რომ ნაადრევადაც მოუვიდა კითხვა:

— ბერიკაცო, თქვენში მზე რომელი მხრიდან ამოდის? ამ მხარეში უცხოდ ვარ და ვეღარ გამირკვევია.

საინაგ-ალდარმა როგორც კი აღმოსავლეთისაკენ მიაბრუნა კისერი,

იმავ წამს ბათრაძმა ხმალი ისე დასცხო, რომ ალდარის თავი მიწაზე დაგორდა.

„საინაგ-ალდარი რომ მე მოვკალი, ამას ნართები არ დამიჯერებენ“, გაიფიქრა ბათრაძმა, მოკლულს მარჯვენა მოსჭრა და თან წამოიღო.

მოვიდა შინ და სათანას შესძახა:

— დედი, ავიღე მამაჩემის სისხლი! მორჩი ახლა ბარისპის* — საინაგ-ალდარის მარჯვენა წინ დაუგდო.

სათანამ უთხრა:

— ვიღაც ბეჩავი მწყემსისათვის მოგიჭრია მკლავი, თორემ საინაგ-ალდარს ეგრე ადვილად ხელში ვერ ჩაიგდებდი. თუ შენი ნათქვამი მართალი გამოდგა, მაშინ ხვალ დილით ქარი ბღუჯა-ბღუჯა ოქროს ქოჩორს ჩამოატარებს და ცა სისხლის თქორს წამოუშენს.

სათახა დილით ადრე ადგა, დაბლობები შემოიარა, მაღლობიდანაც არეშარეს თვალი მოავლო და შენიშნა: ქარი ოქროს ქოჩორს ბღუჯა-ბღუჯად მოაფრიალებდა და სისხლის თქორი მოდიოდა.

საინაგ-ალდარის სიკვდილით დაზაფრული მისი ცოლები თმებს იგლეჯდნენ და ლოყებს იხოკავდნენ. ქარი სწორედ მათ თმას მოაფრიალებდა და მათი ლოყებიდან დადენილი სისხლის თქორი მოდიოდა.

სათანა შემობრუნდა შინ და ბათრაძს უთხრა:

— ალალი იყოს შენზე ჩემი ამაგი, ჩემო არშობილო ბიჭო! — მართალი ხარ, ნამდვილად აგიღია მამის სისხლი. მაგრამ ცოდვაა ეგეთი კაცი საქიოში ასონაკლული წავიდეს. არც თვითონ საინაგ-ალდარს გაუგზავნია მამაშენი დასახიჩრებული საქიოში. წადი, შვილო, და თავისი მკლავი წაუღე.

და აბრეშუმში გახვეული საინაგ-ალდარის მოჭრილი მკლავი ბათრაძს გაუწოდა.

გამოართვა ბათრაძმა მკლავი, შეჯდა თავის ცხენზე და გაეშურა.

სწრაფად იარა და მივიდა საინაგ-ალდარის სამფლობელოში. სოფლის ბოლოს ცხენიდან ჩამოხტა, შუბი მიწაში ჩაარჭო, ზედ თავისი ცხენი გაბოლა, თვითონ კი საინაგ-ალდარის სახლისაკენ გაემართა. სატირალში მყოფი ხალხი ჯგროდ იდგა. ბათრაძმა მიცვალებულის მკლავი წესის მიხედვით მიიტანა, პატრონს გულზე დაადო და წარმოთქვა: „შენმა წილმა მიწამ ხალვათათ მიგიღოს! შენი ცოდვა ნუ მომეწევა — მამა მომიკალი და მეც ვალი გადაგიხადე. აი, შენი მკლავი დაგიბრუნე“.

ხალხი ჯერ გაშტერდა, მერე ჩურჩული ატყდა, ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ:

— ირემი ცულთან თვითონ მოვიდა!

— რაღას ვუცდით — აგერ მკვლელი!

და დაიწყეს ბჭობა, რა გზით, როგორ მოეკლათ ბათრაძი.

ამ დროს სატირალში მოსულ ხალხს ერთი მოხუცი კაცი გამოეყო და ჰკითხა:

— ცხენი სად ჰყავს, ცხენი?!

— სოფლის ახლოს შუბი მიწაში ჩაურჭვია და იმაზე გამოუბამს.

— წადით, აბა, ამოაძრეთ მიწიდან ის შუბი და ცხენიც საითმე წაიყვანეთ!

დარჩეული ვაჟკაცების ერთი ჯგუფი დავალების შესასრულებლად გაეშურა. ეწევიან, ეწევიან შუბს და ძვრაც ვერ უყვეს. დაბრუნდნენ ისევ იმ მოხუც კაცთან და უთხრეს:

— იმ შუბს ვერაფერი მოვუხერხეთ!

— აბა, შუბს თუ ვერაფერი მოუხერხეთ, მის პატრონს რაღას დააკლებთ? ნუ იზამთ, მა ხურთა, ნუ შებედავთ. თქვენვე დაგხოცავთ — ეგ უბრალო მოკვდავი არ სჩანს!

რაღას იზამდნენ, ბათრაძთან შებმა გადაიფიქრეს.

ბათრაძმა თავისი ვალი მოიხადა, გამოვიდა სოფლის ბოლოს, ამოაძრო თავისი შუბი, მოახტა ცხენს და შინისაკენ წამოვიდა.

* * *

იარა, იარა ბათრაძმა და გზად ბურაფარნიგის სახლისკენ შეუხვია. შეაჯირითა ცხენი მის ეზოში, ჩამოქვეითდა და დაიძახა:

— ბურაფარნიგ! გარეთ გამოიხედე, სტუმარი გეწვია!

ბურაფარნიგმა გამოიხედა და ბათრაძი რომ იცნო, ხელი ორლესულზე გაივლო. სანამ იგი ორლესულს ამოიღებდა, ბათრაძმა დასცხო ხმალი და ბურაფარნიგის თავი მიწაზე დაგორდა.

ბათრაძი ცხენს ზურგზე მოევლო და მოქუსლა, იმ მიზნით — გაქცეული უეგონები და ბურაფარნიგის ვაჟები დამედევნებიანო.

მართლაც, მდევრად ბურაფარნიგის შვიდი ვაჟი გამოუდგა. ერთმანეთის მიყოლებით დადევნებულ ბიჭებს შემოუბრუნდა ბათრაძი და როგორც უახლოვდებოდნენ, ეგრევე სათითაოდ ხოცავდა. შვიდივე დახოცა, დასჭრა თავები, ხურჯინში ჩაალაგა, უკანვე, ბურაფარნიგის ეზოში დაბრუნდა და შესძახა:

— გარეთ გამოიხედეთ, თქვენმა შვიდმა ვაჟკაცმა ვაშლები გამოგიგზავნათ!

ბურაფარნიგის ცოლმა და შვიდმა რძალმა ძახილზე გამოიხედა. ბათ-

რაძმა მოჭრილი თავები ქალებს წინ დაუყარა. აღრიალდნენ ბურაფარნიგის ცოლი და რძლები, ბათრაძს წყევლა-კრულვა გადაანთხიეს. გაბრაზდა ბათრაძი, რვანივე წინ გამოირეკა, თქვენ თუ კალო არ გალეწვინეთო და შავი ზღვის პირს მოიყვანა. აქ ეკალი გათიბა და ეკლის კალო ჩაშალა. ბურაფარნიგის ცოლი კუხცაგად[1] ჩააყენა, რძლები ნაპირში შეაბა და მთელი დღე ფეხშიშველები ეკლებზე არბენინა. როცა ფეხებიდან სისხლი თქრიალით დასდინდათ, მაშინღა გამოხსნა თოკიდან და სახლში გამოუშვა.

შინ დაბრუნებულმა ბათრაძმა თავის მიერ ჩადენილი ამბები სათანას მოუთხრო.

* * *

გავიდა რამდენიმე ხანი და ერთხელაც ბათრაძმა სათანას კვლავ უთხრა:

— აუცილებლად უნდა წავიდე სოსლანთან: უნდა გავიგო, სად არის მამაჩემის სამი რაში.

იმ ხანად სოსლანი სუხის ველზე იყო — თავის სამ რაშს აძოვებდა და ახლომახლო გამვლელს არ ატარებდა.

სათანამ ბათრაძს უთხრა:

— ნუ მოკლავ, მა ხურ — თქვენი გვარის მშვენებაა!

წავიდა ბათრაძი.

სოსლანმა ბათრაძი რომ დალანდა, აუყვირდა:

— მე აქეთ ჩიტსაც არ ვაჭაჭანებ, შენ სად მოდიხარ?

ბათრაძს ხმა არ გაუცია. შეებნენ ერთმანეთს. ჯერ მშვილდ-ისრით იბრძოდნენ. ორივეს ნასროლი ისრები უკანვე სხლტებოდნენ და ერთმანეთს ელეწებოდნენ. მიუახლოვდნენ ერთმანეთს სოსლანი და ბათრაძი, იძრეს ორლესულები, ურტყამენ ერთიმეორეს; ორლესულები ცეცხლებს აკვესებენ, მაგრამ მოწინააღმდეგეს ვერ ჭრიან. ჩააგეს ორლესულები და ხელდახელ შეებნენ. დაიჭიდნენ და ბათრაძმა სოსლანი ქვეშ მოიგდო. ამოიღო ორლესული, ყელზე დააჭირა და იმ წამს სათანას დანაბარები გაახსენდა. შეეშვა სოსლანს და უთხრა:

— აბა, რა გიყო, სათანამ დამაფიცა, არ მოკლა, თქვენი გვარის მშვენება არისო და მისი ხათრით უნდა გაპატიო, თორემ ბარემ თავს წაგაცლიდი.

სოსლანმა ქვემოდან შემოსცინა და უთხრა:

— კიდევ კარგი, ჩვენს გვარში ეგეთი ძლიერი ვაჟკაცი გამოჩნდი! ახლა თუ გინდა, მომკალი კიდეც!

აბა, რაღად მოკლავდა ბათრაძის — წამოაყენა, სოსლანის სადგომში შევიდნენ და იქ კარგად მოილხინეს.

— წაიყვა ახლა მამაშენის სამივე რაში, — უთხრა სოსლანმა ბათრაძს.

ბათრაძმაც წამოასხა მამის სამივე რაში, სოსლანიც თან წამოჰყვა და ნართებთან დაბრუნდნენ.

* * *

ერთხელაც ბათრაძს მამის მოკვლა და დედის შეურაცხყოფა კვლავ გაახსენდა; შეკრიბა ნართები და გამოუცხადა:

— მამაჩემის — ხამიცის სიკვდილშიც ბრალი მიგიძღვით და დედაჩემი ბიცენონიც თქვენ აიძულეთ, რომ დედულეთში დაბრუნებულიყო; ახლა მამის სიხსნის და დედის შეურაცხყოფის საფასური ამინაზღაურეთ!

ნართებს სადარდელი გაუჩნდათ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო, ფიქრობდნენ. მაშინ მათ სირდონმა ურჩია:

— წადით და ასე უთხარით: „ხამიცის სიკვდილში ჩვენ არავითარი ბრალი არ მიგვიძღვის, მაგრამ შენთან ჩხუბის თავი არა გვაქვს და შენ იყავ შენივე მსაჯული, რასაც შენი პირით იტყვი, იმას გადაგიხდით-თქო"

ნართებმა ბათრაძს შეუთვალეს:

— ხამიცის სიკვდილში ბრალი არ მიგვიძღვის, მაგრამ შენთან ჩხუბის თავი არა გვაქვს, შენ იყავ შენივე მსაჯული, რასაც მოგვთხოვ, იმას მოგართმევთ.

ბათრაძმა ასე შემოუთვალა:

— სახლს ვაშენებ და რაკი ჩემი საქმის მსაჯული მე თვითონ ვარ, ბევრს არაფერს მოგთხოვთ: წადით და იელის ბოძები დამიმზადეთ, ეხსიყადისა* — თავხეები, ახსნარწისა* — კოჭები.

ნართები სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ — ეს რა იოლად გადაურჩითო. იხუვლეს და ყველა ოჯახიდან თითო უღელი ხარით ტყეში წავიდნენ. ბევრი იარეს, ბევრი ეძებეს, მაგრამ იელის საბოძეებს, ეხსიყადის თავხეებს და ახსნარწის კოჭებს სად იპოვნიდნენ; ის კი არა, საჯოხედ გამოსადეგსაც ვერსად წააწყდნენ.

დაღონებულ-დაძმარებულები შინ დაბრუნდნენ.

შეიკრიბნენ ნართები და ბათრაძს უთხრეს:

— დავიარეთ ტყეები და იელის საბოძეები, ეხსიყადის თავხეები და ახსნარწის კოჭები ვერსად ვერ ვნახეთ, შენი წყალობა მოგვცეს ღმერთმა და გვითხარი, შეურაცხყოფა სხვა რითი აგინაზღაუროთ?

მან ახლა ასე უთხრა:

— წადით და ძვირფასი აბრეშუმის ნამწვით მამაჩემ ხამიცის მათარა ამივსეთ!

ნართებმა თავები ჩაჰკიდეს, მაგრამ მეტი რა გზა ჰქონდათ! წავიდნენ, თავიანთი ცოლებისა და ქალიშვილების ძვირფასი ტანსაცმელი ვაზკვიფზე აზიდეს და იქ ცეცხლი წაუკიდეს.

ბათრაძმა ღმერთს შესთხოვა:

— ღმერთო უზენაესო! ერთი ძლიერი ქარბორბალა ასტეხე!

ამოვარდა ქარი, ქარბორბალა და ტანსაცმლის ფერფლი სულ რია-რია წაიღო, — ნართებმა ერთი სათითის გასავსებად საკმარისიც ვეღარ მოიხელთეს.

კვლავ შეიყარნენ ნართები და ბათრაძს უთხრეს:

— ცოლები და ქალიშვილები შიშველები დავყარეთ, — რაც კი აბრეშუმის ტანსაცმელი ებადათ, ვირს ერთ საპალნედ ავკიდეთ, ვაზკვიფზე ავიტანეთ და დავწვით, მაგრამ ამოტყდა ქარბორბალა და სათითის გასავსებად საკმარი ფერფლიც ვეღარ შევაგროვეთ. ღმერთმა შენი წყალობა ნუ მოგვიშალოს, გვითხარი, შეურაცხყოფის საფასური სხვა რით აგინაზღაუროთ.

ბათრაძმა მათ უთხრა:

— მე თქვენთან არ მეცხოვრება. თავიდან რომ დროულად მომიშოროთ, თქვენც მოისვენოთ და მეც, ამისათვის ადექით და ეკლის ცეცხლში დამწვით.

ნართებმა ეკლის ჯიში აღარსად გაუშვეს. დიდი გორა დააყენეს და ცეცხლი წაუკიდეს. ბათრაძი ეკლის გროვას ზედ გადააჯდა. ნართებს უხაროდათ, ახლა კი დაიწვება და მოვისვენებთო. ცეცხლს გურგური გაჰქონდა. ბათრაძი წითელი ნაკვერჩხალივით გადაიქცა. ასე გავარვარებულმა ისკუპა და იმ წყაროს სათავეში ჩახტა, საიდანაც ნართები სასმელ წყალს ეზიდებოდნენ. წყალი ისე დაშრა, წვეთი აღარ გამოდიოდა. ნართები წყურვილისაგან ლამის სიკვდილის პირს მივიდნენ. მათ ბათრაძს ბავშვები და მოხუცები მიუგზავნეს თხოვნით და მან მხოლოდ მაშინ გამოუშვა წყალი. მაგრამ იგი მათ მუქარას მაინც არ ულევდა და ნართები კვლავ დარდობდნენ, რაღა გვეშველებაო.

მაშინ სირდონმა ურჩიათ:

— მაგ გაჭირვებიდან ბარემ დაგიხსნიდით, მაგრამ ჩემს სიკეთეს არასოდეს არაფრად აგდებთ: ნადავლის განაწილების დროს პირუტყვის ჯოგიდან ჯანდაგ მოზვრებს და დეკეულებს, ხოლო ცხვრის ფარებიდან — დავარდნილ, მჭლე თოხლებს მარგუნებთ ხოლმე.

ნართები შეევედრნენ:

— შენი წყალობა მოგვცეს ღმერთმა, სირდონ, ოღონდ ამ კაცს გადაგვარჩინე და რასაც შენი პირით ითხოვ, უარს არაფერზე გეტყვით.

სირდონი წამოვიდა, რომ ბათრაძისათვის რაიმე ევნო. მიდიოდა და გზაში ფიქრობდა: წინიდან შემოვხვდე, ვაითუ ჩასაფრებულად ჩამთვალოს და მომკლას, უკან მივყვე, ვაითუ მდევრად მიმიჩნიოს და მაინც მომკლავს. როგორ მოვიქცე? იარა, იარა და ერთგან ბათრაძს გზა გადაუჭრა. წაიშინა თავში ჯოხი და ატირდა:

— ხამიცი ბარემ ჩემი ძმობილი იყო, ვინც მოკლა, ისიც კარგად ვიცი, მაგრამ რა ვქნა, რა შემიძლია, რა უნდა დავაკლო?

— ვინ მომიკლა მამა? — ფიცხლად ჰკითხა ბათრაძმა.

— რაღა დაგიმალო — მამაშენი ანგელოზებისა და ღვთაებების წაქეზებით მოკლეს. აი, ახლაც ვარფის სიმაგრეში მოუყრიათ თავი და მამაშენის სულს ასამართლებენ.

ბათრაძმა შეჰყარა ნართები და უთხრა:

— ისარზე დამაკარით და მშვილდით ვარფის სიმაგრეზე მისროლეთ!

ნართებს როგორც უთხრა, ისინიც ისე მოიქცნენ.

ბათრაძმა ვარფის ციხესიმაგრე თავის ზომაზე შეგლიჯა; იძრო მერე ორლესული და მოსდგა ანგელოზებსა და ღვთაებებს — სულ დაასხვიპა მკლავები, ფრთები; თითოროლა-ღა თუ გადაურჩა.

ბათრაძის სიკვდილი

ბათრაძმა ანგელოზებსა და ღვთაებებს დევნა დაუწყო და სადაც წაასწრებდა, ხოცავდა.

შეწუხებული ანგელოზები და ღვთაებები შეიკრიბნენ და ღმერთთან უჩივლეს:

— ხამიცის ვაჟი ბათრაძი აღარ გვეხსნება, გვანადგურებს და თავიდან მოგვაშორე.

— რა გიშველოთ? იგი ჩემს დაუკითხავად გაჩნდა და ჩემი ხელით ვერ მოკვდება, — უპასუხა მათ ღმერთმა.

ბათრაძმა რომ გაიგო, ანგელოზებმა და ღვთაებებმა ღმერთთან მი-

ჩივლესო, იფიქრა: „ვინ არის ნეტა ეს ღმერთი, ანგელოზები და ღვთაებები საჩივლელად რომ მიდიან. მოდი, წავალ და გავიგებ“.

გაემზადა. ბათრაძი და გაემართა ცაში ღმერთთან. მიდის თავისი გზით. ღმერთმა რომ გაიგო, ბათრაძი მოდისო, წინ დედამიწის წონის გუდა ჩამოუგდო. ბათრაძი გუდას ცხენდაცხენ გადმოსწვდა, ქვეშ მათრახის ტარი შეუყარა და აწევა სცადა.. ცხენი მუცლამდე წავიდა მიწაში და მათრახის ტარიც გადაუტყდა. ეს რა საოცრებააო, ჩამოქვეითდა ცხენიდან ბათრაძი და გუდა ასწია. მიწის პირიდან დასძრა, მაგრამ თვითონაც მუხლებამდე მიწაში წავიდა. გუდა იქვე მიატოვა და გზა განაგრძო. ღმერთმა ბათრაძს წინ ახლა ოქროს ძაფის გორგალი ჩამოუგდო. გორგალი იმ სიგრძისა და სიმტკიცისა იყო, რაც კი დედამიწაზე ფესვის ნასახი არსებობდა.

„ეს გორგალი სათანას ქურქის დასაკერებლად გამოადგება“, — თქვა ბათრაძმა და ცხენიდან დასწვდა. გორგალს ძერაც ვერ უყო. ჩამოხტა კაცი ძირს, ეწევა გორგალს, ეწევა, მაგრამ აღება ვერ მოუხერხა.

„ჩემზე ძლიერებიც ყოფილა“, — თქვა ბათრაძმა და უკან გამობრუნდა.

მოდის და ცაზე შვიდი ვასთირჯი და შვიდი ელია* შენიშნა. მოსდგა და სამი ვასთირჯი და სამი ელია დახოცა. გადარჩენილები ავიდნენ ღმერთთან და განუცხადეს:

— ღმერთო! ან ჩვენ უნდა ვიყოთ, ან ხამიცის ვაჟი ბათრაძი.

ღმერთმა უპასუხა:

— თავისი დღით თუ არ მოკვდა, სხვანაირად მაგის მოკვლა არ შეიძლება. წადით მზესთან და სთხოვეთ, წლიდან წლამდე დასახარჯი სიცხე სულ ერთ დღეს გამოიმეტოს. თქვენ ბათრაძი ხაზმის ველზე გაიტყუეთ და ტყვია დაუშინეთ. იგი ბრძოლის დროს გავარვარდება და გასაგრილებლად თავის წყაროს მიაშურებს. მე წყაროს დავაშრობ. იქიდან მდინარეზე წავა და მდინარესაც დავაშრობ.

ანგელოზები და ღვთაებები მზესთან მივიდნენ და ღმერთის დანაბარები გადასცეს. მზემ მათ წლიდან წლამდე დასახარჯი სითბო არ დაუკავა. ანგელოზებმა ბათრაძი ხაზმის ველზე გაიტყუეს და ტყვია დაუშინეს. ბათრაძი ტყვიას უკანვე ისხლეტდა და ოთხი ვასთირჯი და სამი ვაცილა ჩამოაგდო. ანგელოზები, ღვთაებები და ფოლადოვანი ბათრაძი ბრძოლას მაინც განაგრძობდნენ. მზემ დააცხუნა. ბათრაძი გავარვარდა. „დამაცათ — გავგრილდები და მერე სეირს გიჩვენებთ“, დაემუქრა მათ ბათრაძი. მიირბინა თავის წყაროსთან, მაგრამ წვეთი წყალი აღარ დახვდა. მდინარისკენ გაიქცა, მაგრამ ისიც დამშრალიყო. ბათრაძი მთლად ნაძვერცხლად იქცა. ქურდალაგონს რომ თავი აწრთობინა ბათრაძმა, მაშინ

მუცელში ერთი ნაწლავი უწრთობი დარჩა. ახლა ეს უწრთობი ნაწლავი გადაეწვა, ბათრაძი დაეცა და მოკვდა. ანგელოზებმა და ღვთაებებმა მის თავზემოთ ფრენა გააჩაღეს. მაშინ ბათრაძმა ისეთი სუნი აუშვა, რომ ბევრი მათგანი დაიბნიდა, ბევრიც დაიხოცა.

მივიდნენ კვლავ ღმერთთან და შესჩივლეს:

— ცოცხალი იმდენს არ გვაკლებდა, რამდენსაც მკვდარი გვიშვრება. რამდენი ჩვენგანიც ცოცხალმა გაანადგურა, იმაზე მეტი მკვდარმა იმსხვერპლა.

ღმერთმა უთხრა:

— წადით და ზეცაში სოფიოს აკლდამაში დამარხეთ!

წამოვიდნენ ანგელოზები და ღვთაებები, მაგრამ ბათრაძი ვერ ასწიეს, თორმეტი უღელი ხარი დაუბეს, მაგრამ ძვრაც ვერ უყვეს.

ანგელოზები და ღვთაებები კვლავ ღმერთს მიადგნენ. ღმერთმა ურჩია:

— წადით და თუთირის დღესასწაულს დაბადებული ორი მოზვერი დაუბით.

დაუბეს თუთირის დღესასწაულს დაბადებული ორი მოზვერი და ბათრაძი სოფიოს აკლდამამდე აიტანეს, მაგრამ ახლა შიგ შეტანა გაუჭირდათ. თუ თავს უზამდნენ წინ, აკლდამის კარს ნიდაყვებს აბჯენდა, თუ ფეხებს უზამდნენ — ახლა ფეხებს გააბოჯიჯგებდა.

ანგელოზებმა ისევ ღმერთს მიმართეს, აუხსნეს საქმის ვითარება.


ღმერთმა თქვა:

— იგი ჩემგან საჩუქარს ითხოვს.


და ღმერთმა სამი ცრემლი გადმოაგდო.

ეს იყო და ანგელოზებმა თავისუფლად შეიტანეს სოფიოს აკლდამაში მისი ცხედარი და დამარხეს.

იქ, სადაც ღმერთის სამი ცრემლი დაეცა, სამი ტაძარი აღიმართა: მთავარ-ანგელოზი, მიქელ-გაბრიელი და რექომი.







აცამაზი და ნასრან-ალდარი

ნასრან-ალდარს ჯერ ძღვენი მოერთვა. ძღვნად რა მოერთვაო? — თეთრი ერკემლის საუკეთესო მატყლისაგან მოთელილი ნაბადი.

ამის შემდეგ ამბავი მოუტანეს, ეგვიპტის ალდარმა ცოლი მოგტაცაო.

ნასრან-ალდარმა ნართებს მაცნე გაუგზავნა და შეუთვალა: „ყველა ოჯახმა მეომარი გამოგზავნოს! რომელი ოჯახიც მეომარს არ გამოგზავნის, ჯარიმაში ხარს წავართმევთ და დავუკლავთ, ხოლო მისი კერის ნაცარს ქარს გავატანთ!“

ნასრან-ალდარის ლაშქრისთვის მეომარი ყველა ოჯახმა გამოჰყო.

ნასრან-ალდარმა ლაშქარს თვალი გადაავლო და თავისი დედის ბიძაშვილებიდან — აცაანთ გვარიდან მეომარი ვერავინ შენიშნა.

აცაანთ გვარი აღარ არსებობდა — აცა თვითონ დაბერდა, მისი ბიჭი აცამაზი კი ჯერ ძუძუთა ბავშვი იყო.

ბიჭს ორი დედა ჰყავდა, ერთი — მშობელი, მეორე — გამზრდელი. ქალებმა ჩააკრეს აკვანში ბიჭი, აქეთ-იქით მიუსხდნენ და დაარწიეს: „ალო-ლაი, ალო-ლაი![1] შავი ფოლადისა და ლურჯი ფოლადისაა შენი აკვანი, დევის ტყავისაა შენი არტახები. მაგრამ ჯარიმაში ჩვენს ხარს დაკლავენ, კერას ჩაგვიქრობენ და ნაცარს ქარს გაატანენ, რადგან ნასრან-ალდარს მზეთუნახავი ცოლი მოსტაცეს და მდევარ-ლაშქარში ჩვენი ოჯახიდან მეომარი ვერ წავა“.

ბავშვმა აკვნიდან გადმოსძახათ:

— მე წავალ ლაშქარში.

— შენ რომ ლაშქარს წასვლა შეგეძლოს, მაშინ სატირალი რა გვაქვს, — უთხრეს ქალებმა.

ბიჭმა აქვანში გაიზმორა და აქვანს ცალი გვერდის ფიცარი გააგდებინა. ფიცარი ზღვას დაეცა — ზღვა მთლიანად დაშრა. მეორე გვერდის ფიცარი ტყეს მოხვდა და ტყეს ალი ავარდა. სასთუმლის ფიცარი სავხოხს მოხვდა და სავხოხი მოიმზღვლა. საფერხე ფიცარი ურსხოხს მოხვდა და ისიც მოიმზღვლა. ბიჭი აქვნიდან წამოდგა და თქვა:

— ახლა ცხენი და იარაღი მომეცით, დავედევნები ლაშქარს და დავეწევი.

წავიდნენ ქალები მამამის აცასთან და უთხრეს:

— შენი ვაჟი ლაშქარს მიდის.

— ჰაუ, ის ხომ ჯერ აქვნის ბალღია?

— აქვანი დალეწა და ცხენ-იარაღს თხოულობს, — უთხრეს კვლავ აცას.

— აბა, მაშ, აღვირი მიეცით, წავიდეს, ბექობიდან დაიქნიოს, ცხენი თვითონ მიუვა და შეჯდეს, — უპასუხა აცამ.

ბიჭს აღვირი მისცეს, წამოიღო, ბექობიდან დაიქნია და ბიჭთან ერთი ნამჯის ზვინის ოდენა ცხენი მოვიდა. უნაგირი დაადგა, შეჯდა და ცხენს წელი ჩასწყდა. ბიჭმა ცხენს აღვირით სცემა და თქვა:

— მამაჩემ აცას თუ შენზე უკეთესი ცხენი არა ჰყოლია, დაე, როცა მოკვდება, საიქიოს ვირის ნაწლავები ჭამოს!

აცას ვაჟი პატარა აცამაზი შინ ტირილით დაბრუნდა.

ეს ამბავი აცას შეატყობინეს და უთხრეს:

— შენმა ვაჟმა ბექობიდან აღვირი დაიქნია, ცხენი მოუვიდა, მაგრამ ზედ რომ შეჯდა, წელი ჩასწყვიტა. დაბრუნდა ბიჭი შინ და ასე თქვა, თუ მამაჩემს ამაზე უკეთესი ცხენი არა ჰყოლია, ასე და ისეო...

— ბარემ მყავს — ჩემი ცხენი სარდაფშია დაბმული და ისრის რკინის ბუნიკებს ხრავს, მაგრამ ბიჭი იმ ცხენს ვერც შებედავს და თვითონ ცხენიც ხელს არ დააკარებინებს.

ბიჭმა ეს რომ გაიგონა, მამას უთხრა:

— მომეცი სარდაფის გასაღები, გავაღებ და შენს ცხენს ვნახავ.

აცამ ბიჭს სარდაფის გასაღები მისცა. ბიჭმა სარდაფის კარი გააღო და დაინახა, ცხენი ნეხვში ყურებამდე იყო ჩაფლული. ჩაავლო ცხენს ფეხში ხელი და ციკანივით მსუბუქად გამოიყვანა. არიყის* საპნით დაბანა, სულ ბზინვა დააწყებინა. ხახიაგური სადავე მოარგო, ბაბიაგური შვიდი თოკალთო დააფინა, ანგუსურად მოვარაყებული უნაგირი დაადგა და რაშს ზურგზე მოევლო.

რაშმა ბიჭი პირველად ცაში შეისროლა — ბიჭი ტყვიად გადაიქცა

და რაშის იღლიაში დაიმალა; მეორედ ქვესკნელში მოისროლა. ბიჭი ახლა უნაგირის კეხსა და ბალიშის შუაში დაიმალა.

რაშმა შესძახა:

— სადა ხარ, ბიჭო?

— აგერ ვარ, შენს ზურგზე!

რაშმა უთხრა:

— აბა, მაშ მხედრად გამომადგები!

— ცხენის შოვნამდე სატალახოდ შენც გამომადგები, — დაუბრუნა პასუხად ბიჭმა.

— ოჰ, ოჰ! მაგ სიტყვით ღონე გამინახევრე, — თქვა რაშმა.

— ბავშვს რა ჭკუა მოეკითხება, ჩემი ნათქვამი ნუ გეწყინება. მე შენზე უკეთესი ცხენი არ მჭირდება, — უთხრა ბიჭმა.

და პატარა აცამაზმა მამას შეუთვალა:

— შენს რაშზე შევჯექი. ახლა შენი იარაღიც მომეცი.

— რომ ვერ იხმარო, ბიჭო?!

— შენ მომეცი და მერე მე ვიცოდე, — უპასუხა ბიჭმა.

მოხუცმა აცამ თავის პატარა ვაჟს აცამაზს თავისი მშვილდ-ისარი, ჯავშანი, სამი ქორი და სამი მეძებარი მისცა. შეჯდა პატარა აცამაზი რაშზე და თავის დედებს დაუძახა:

— აბა, შემომხედეთ, როგორ ვშვენი ცხენზე?

— ისე დაამშვენე ცხენი, როგორც მთები მთვარის შუქმა, — უთხრა ერთხმად ორივე დედამ.

— მაშ, მივდივარ და მამაჩემს შეატყობინეთ.

მამამ ვაჟს უხმო:

— მოდი ახლა და მე გასწავლი, როგორც უნდა ლაშქარს წასვლა. მე რომ ლაშქარს მივდიოდი ხოლმე, ყველა მეომრისათვის თითო მათრახი მიმქონდა და ყოველ კოცონზე შვიდ მწვადს ვამზადებდი. წადი შენც და ლაშქარში რამდენი მეომარიცაა, იმდენი მათრახი დაამზადე. როცა დაეწევი, ბინა დაბანაკებულთა შორიახლოს დაიდე. რამდენი კოცონიც იმათ ენთებათ, დათვალე და შენც იმდენივე გააჩაღე. ყოველ კოცონთან შვიდი მწვადი გაამზადე და შამფურით დაარჭვე. რამდენი მხედარიც იყოს, მათი ცხენების დასაბმელად იმდენივე პალო ჩაარჭვე. იარე, ახლა და ღმერთმა მშვიდობის გზით გატაროს!

ბიჭი გამოემართა; გზა დაბურულ ტყეზე გავლით ირჩია. მიდიოდა და თან ნადირობდა; რაც შეხვდებოდა, შველი თუ ირემი-ხოცავდა, ატყავებდა, ტყავისაგან თასმებს ჭრიდა, თასმებით კი მათრახებს წნავდა. მთელი ლაშქრის საკმარისი მათრახები დაწნა. ვინ იცის, რამდენი დღე, რამდენი წელიწადი არა!

ჩააღწია ნასრან-ალდარის ლაშქრამდე და მათგან მოშორებით დაბანაკდა. ნასრან-ალდარის ლაშქარში ეშმაკები, დევები და ანგელოზებიც იყო. ჯარი ბანაკად ზღვის პირს იდგა. ზღვა უნდა გადაეცურათ, მაგრამ ზღვა გზას არ იძლეოდა, ზღვის პირზე იმდენ ხანს დაყოვნდნენ, რომ ჯარში წასულ ყმაწვილებს უკვე წვერ-ულვაში გაჭაღარავებოდათ.

მოშორებით დაბანაკებულმა აცას ვაჟმა აცამაზმა დათვალა მათი კოცონები და რამდენიც იმათ ენთოთ, თვითონაც იმდენივე გააჩაღა.

ნასრან-ალდარმა გაიხედა და თქვა:

— აუჰ, ეს რა საოცრებაა: ჩვენ — დევები, ეშმაკები, ანგელოზები თუ ნართელი ხალხი ერთად მივდივართ ეგვიპტეში და ზღვა გზას რომ არ გვაძლევს, ეს ჯარი ვიღასია? წადით, შეიმოწმეთ, ვისი ჯარი დგას!

ამბის შესატყობად შვიდი მხედარი წამოვიდა. მოვიდნენ პატარა აცამაზის ბანაკთან და ჰკითხეს:

— ვინ ხარ და საიდან? მარტოკაცი ჩანხარ და ამდენი კოცონი რისთვის გაგიჩაღებია?

— მეც თქვენი ამხანაგი ვარ, — უპასუხა აცამაზმა.

მხედრები გამობრუნდნენ. ნასრან-ალდარს ეახლნენ და მოახსენეს: „ასეა საქმე: ერთადერთი კაცია, არავითარი ჯარი არ ჰყავს. გვითხრა, მეც თქვენი ამხანაგი ვარო".

წადით და აქ მომგვარეთ!

მხედრები კვლავ გაბრუნდნენ და აცამაზს უთხრეს:

— ნასრან-ალდარი გიხმობს.

— არა, მე მასთან არ მივალ, თვითონ მობრძანდეს ჩემთან, — უპასუხა მათ აცამაზმა.

მხედრები უკან გამობრუნდნენ და ნასრან-ალდარს აცამაზის პასუხი მოახსენეს.

ადგა ნასრან-ალდარი და თავისი ლაშქრითურთ ბიჭთან მივიდა. ბიჭმა მათ მიმართა:

— ყველამ თავისი ცხენი პალოზე დააბას, თავის კოცონთან მივიდეს და გვერდით მიუჯდეს.

ყოველ კოცონთან შვიდ-შვიდი მხედარი მოთავსდა და კოცონები ყველას საკმარი აღმოჩნდა. როცა თავ-თავისი მწვადი ყველა მხედარმა მიირთვა, აცამაზმა დაუარა მათ და სათითაო მათრახი ჩამოურიგა. მერე ნასრან- ალდარს უთხრა:

— შენ, ალბათ, არ მიცნობ — მე აცას ვაჟი აცამაზი ვარ.

ნასრან-ალდარმა ძლიერ გაიხარა.

— რას ფიქრობთ ახლა? ჰკითხე შენს ჯარს, ზღვაზე გადასვლას რომელი გაახერხებს? — უთხრა ბიჭმა ნასრან-ალდარს.

ნასრან-ალდარი ანგელოზებთან მივიდა და ჰკითხა:

— თქვენ ზღვაზე გადასასვლელ გზას ვერ გაახერხებთ?

ანგელოზებმა უპასუხეს:

— ჩვენ ფრენა შეგვიძლია და გადავფრინდებით, მაგრამ ხალხის გარეშე შებრძოლებას ვერ შევძლებთ.

ნასრან-ალდარმა ახლა ეშმაკები დაიბარა და ჰკითხა:

— თქვენც ვერ გაახერხებთ ზღვაზე გადასვლას?

— ჩვენ ქვესკნელს მავალნი ვართ და ზღვის ქვეშ გავალთ, მაგრამ ხალხის გარეშე ვერავის შევებრძოლებით.

ჯერი დევებზე მიდგა და ნასრან-ალდარმა მათაც ჰკითხა:

— თქვენ რაღას იტყვით?

— ჩვენ კი გავალთ, მაგრამ ხალხი უკან რომ მოგვყვეს, ზღვა ღელვას დაიწყებს და ხალხი დაიღუპება.

მაშინ აცამაზმა თავის ცხენს ჰკითხა:

— ჩვენ როგორღა მოვიქცეთ, ზღვაზე გადასასვლელად რა ხერხი ვიხმაროთ?

— რა ხერხი გინდა? სამი ისეთი გადმომცხე, ხელის გულიდან ტყავი აგძვრეს და იქითა ნაპირზე აღმოვჩნდებით.

აცამაზმა თავის ცხენს მათრახი სამჯერ გადასცხო. ცხენს ზღვამ ჩლიქიც ვერ დაუსველა, ზედ ისე გადააფრინდნენ და იქითა ნაპირზე მოექცნენ. ეგვიპტის სახელმწიფოს მიუახლოვდნენ. აცამაზმა ეგვიპტის ალდარს შეუთვალა, ნასრან-ალდარი თავისი ჯარით შესაბრძოლებლად მოდისო.

ეგვიპტის ალდარმა ნასრან-ალდარს შემოუთვალა:

— ჯარები ერთმანეთს რატომ უნდა დავახოცინოთ?! გვიჯობს მე და შენ პირისპირ შევებათ. თუ მომკალავ, ჩემი ქვეყანაც შენ დაგრჩეს და ჩემი ხალხიც. თუ მე მოგკლავ — შენი ლაშქარიც — მე და შენცა.

აცამაზმა ეგვიპტის ალდარის შემოთავაზებული აზრი ნასრან-ალდარს შეატყობინა.

ნასრან-ალდარი შეშინდა და თავის ნაცვლად კაცს დაუწყო ძებნა. ჯერ ანგელოზებთან, ეშმაკებთან და დევებთან მივიდა და ჰკითხა:

— რომელი თქვენგანი აღმოჩნდება ისეთი გამბედავი, რომ ეგვიპტის ალდარს პირისპირ შეებას?

ანგელოზებიდან, ეშმაკებიდან და დევებიდან ალდართან პირისპირ შებმა ვერავინ ვერ გაბედა.

მერე ნართების ლაშქარი იხმო და მათაც ჰკითხა:

— თქვენ რაღას იტყვით?

აცას ვაჟმა პატარა აცამაზმა თქვა:

— მე წავალ. ღონდ მოვკვდები თუ დავრჩები, ჩემი ამბავი მამაჩემს შეატყობინე ხოლმე.

აცამაზი წავიდა ეგვიპტის ალდართან. ალდარიც გამოეგება და ბძოლა მშვილდ-ისრით დაიწყეს. იმდენხანს იბრძოლეს, რომ ერთმანეთი სულ დაცხრილეს. დაღამდა და ბრძოლა დაასრულეს. ცოცხალ-მკვდარმა ეგვიპტის ალდარმა შინამდე მიაღწია, ბიჭი იქ, შუა მინდორში დარჩა.

ეგვიპტის ალდარმა ნასრან-ალდარს რომ ცოლი მოსტაცა, იგი ისეთი ჭალი იყო, მომაკვდავი ადამიანისათვის ხელი რომ გადაეხვია, როგორც ადრე იყო, ისეთადვე გადაიქცეოდა, ჭრილობები უხორცდებოდა.

გათენდა დილა და კვლავ ბრძოლა განაგრძეს. ეგვიპტის ალდარმა ჭრილობები მოირჩინა და ისე გამოვიდა, ხოლო ბიჭი ალდარს ჭრილობებით დაცხავებული შეება. მთელი დღე იბრძოლეს. მოსაღამოვდა და ბრძოლა შეწყვიტეს. ცოცხალ-მკვდარმა ეგვიპტის ალდარმა კვლავ თავის სახლს მიაშურა, ბიჭი ისევ ბრძოლის ველზე დარჩა.

აცამაზი ძლიერ შეწუხდა. გულში გაიფიქრა: „რა ვქნა ახლა? — ხვალ ძოვა და უკვე მომკლავს!“ ადგა და თავი მოიმკვდარუნა.

მოვიდა დილით ეგვიპტის ალდარი და დაუძახა:

— ადე ზეზე და ბრძოლა განვაგრძოთ!

აცამაზი არ განძრეულა.

ეგვიპტის ალდარმა თქვა, უკვე მომკვდარაო და შინ გამობრუნდა. შინ მოსულს ცოლმა ჰკითხა:

— რა ჩქარა დაბრუნდი?

— ვისაც ვებრძოდი, მოვკალი.

— მკვდარი რა იქნა?

— იქვე, ველზე მივატოვე.

— მიცვალებულის უპატრონოდ მიტოვება ცოდვაა. შენ ტანზე მთელი ადგილი აღარ გჭონდა დარჩენილი, ჭრილობებს აკი მე გირჩენდი, ვინც შენ გიმკლავდებოდა, იმას ადარაფერი ეტკინებოდა? მისი ცხედარი მინდორში დასაგდებად აფსუსია. წადი, კუბო გაუკეთე, შიგ ჩაასვენე, ოთხი მაღალი მურყანის ბოძი ჩასვი და კუბო ზედ შემოსდგი, თორემ ცხედარს მგლები და მელიები შეჭამენ.

ეგვიპტის ალდარი წამოვიდა და როგორც ცოლმა დარიგა, ისე მოიქცა: ჩაასვენა აცამაზი კუბოში და მაღალ ბოძებზე შემოსდგა, თვითონ კვლავ შინ დაბრუნდა.

ღამით, ალდარს რომ დაეძინა, ქალი ადგა, შინიდან გამოიპარა, მტრედად გადაიქცა, გამოფრინდა და იქ დაფრინდა, სადაც ბიჭის კუბო იდგა, ახადა კუბოს თავი, ჩახედა და თქვა:

— სასიკვდილოდ აფსუსი იყავ, ცოცხლისთვის რომ მომესწრო, ბარემ გადაგარჩენდი.

ბიჭი გამოეპასუხა:

— ცოცხალი კი ვარ...

ქალმა ბიჭს სული შეუბერა და იგი როგორიც ადრე იყო, ისეთადვე იქცა — აღარც ჭრილობა ჰქონდა, აღარც — არაფერი. ორივემ ძლიერ გაიხარეს. ქალი კვლავ მტრედად გადაიქცა და შინ გაფრინდა. სახლში რომ მივიდა, ისევ ქალად გადაიქცა. აცამაზიც ქალს ფარულად უკან გაჰყვა და ეგვიპტის ალდარის ოთახში შეიპარა.

ღამით ეგვიპტის ალდარი ლოგინში შეხტა; ქალმა ხელი წაავლო:

— რა დაგემართა, რატომ შეხტი?

— დამესიზმრა: ბიჭმა, რომელსაც ვებრძოდი, ჩემი თანშობილი დანით საწოლში ყელი გამომჭრა.

ქალმა დაამშვიდა:

— ჭრილობები გიხორცდება და ეგ იმიტომ გემართება. იმ ბიჭს აქამდე მატლიც დაეხვეოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ეგვიპტის ალდარი კვლავ შეტოკდა.

— რა იყო, რამ შეგახტუნა?

— არა, ეს სიზმარი ცუდად ამიხდება — ვითომ ბიჭმა, რომელსაც ვებრძოდი, სასთუმლის ქვეშიდან ჩემი თანშობილი დანა გამომაცალა და ჩემსავე საწოლში ყელი გამომჭრა.

— ნეტა რა გაშინებს — ჭრილობები გიხორცდება-მეთქი. გითხარი. სიზმრები განა ცხადადაც ისევე მეორდებიან. დაიძინე, ჩემო მზეთა მზეო, იმ ბიჭს აქამდე მატლიც დაეხვეოდა.

ეგვიპტის ალდარს ახლა უფრო ღრმად ჩაეძინა.

მესამედაც შეხტა ლოგინში ალდარი.

— რა მოგდის, უძილოდ რად ეწამები?

— იმ ბიჭმა ვითომ ჩემი თანშობილი დანით ჩემსავე საწოლში ყელი გამომჭრა და ოთახში სისხლის ტბორები დადგა.

— დაიძინე, დაიძინე, სიზმრები გულთან ნუ მიგაქვს. ნეტა იმ ბიჭისა რაღად გეშინია. აქამდე ტრიალ მინდორში მის ცხედარს ალბათ, მგლები შეეჭცევიან, — უთხრა ქალმა.

აცამაზი მათ ლაპარაკს უსმენდა და როცა გაიგო ეგვიპტის ალდარს დანა სასთუმლის ქვეშ ჰქონია შენახული, მივიდა, გამოაცალა და ალდარს საწოლში ყელი გამოსჭრა. წამოიღო მისი ქონება, ქალიც წამოიყვანა და წამოვიდა. მოვიდა ნასრან-ალდარის ლაშქართან და ალდარს უთხრა:

— აგერ, შენი მზეთუნახავი ცოლი, ჩემო დეიდაშვილო და ბედნიერად იცხოვრეთ.

ნასრან-ალდარმა დიდი მადლობა გადაუხადა აცას ვაჟს პატარა აცამაზს. მოვიდნენ ნართების სოფელში. აცამაზმა იქიდან წამოღებული ქონება და პირუტყვი ნართებს დაურიგა. მამამისი მთლად დაბერებულიყო, ნარსან-ალდარის ცოლმა სული შეუბერა მოხუც აცას და იგი როგორიც იყო, ისეთადვე გადააქცია.

აცამაზი და აგუნდა-მზეთუნახავი

ნართ აცას სამი ვაჟი ჰყავდა. აცა რომ გარდაიცვალა, მისმა ვაჟებმა გაყრა მოინდომეს. გაყრისას ვერ რიგდებოდნენ და ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ. მომრიგებლებად წარჩინებული, გონიერებით ცნობილი ნართები მოიწვიეს, ძმების გაყრას საშველი ვერც იმათ დააყენეს. ნიხასში შვიდჯერ გამოიტანეს საქმე, შვიდჯერ ითათბირეს. მაგრამ ამ ამბავს თავი მაინც ვერ დაადგეს. ბოლოს საქმე ნართების უხუცესმა — თვალდავსებულმა მაგურაგმა გადაწყვიტა. პირუტყვი უფროს ძმებს არგუნა, მარადიული ოქროს სალამური კი — უმცროს ძმას.

გაყრის საქმე ამით დასრულდა. უფროსი ძმები ძლიერ კმაყოფილები დარჩნენ. უმცროსმა — აცამაზმაც აიღო მისთვის მიკუთვნებული სალამური.

ეს მარადიული სალამური აცას ავსათიმ აჩუქა. ავსათი აცას ძმობილია. ერთხელ ვასთირჯისა და ნიქოლას* თანხლებით რომ ესტუმრა, მაშინ ავსათიმ აცას საჩუქრად ბევრი რამ შესთავაზა, მაგრამ მან მარადიული სალამურის გარდა არაფერი არ გამოართვა.

აცას ვაჟმა აცამაზმა სავხოხზე წასვლა მოისურვა. მოდიოდა მშვენიერი და მისი სილამაზე არემარეს ანათებდა. ნიხასში მსხდომებმა თქვეს:

— ქედს გადაღმიდან ცისკრის ვარკვლავი ამოსულა!

ერთ-ერთმა მათგანმა უპასუხა:

— ეგ ცისკრის ვერსკვლავი კი არ არის, აცას ვაჟი პატარა აცამაზი მოდის.

ნიხასში მყოფთაგან რომელიღაცამ კვლავ თქვა:

— აღმოსავლეთიდან ქარდაგის ვარსკვლავი* ამოსულა!

ახლა სხვებმა უპასუხეს:

— ეგ ქარდაგის ვარსკვლავი კი არ არის, არამედ აცას ვაჟი პატარა

აცამაზი თავისი სალამურით სავხოხისკენ საინაგ-ალდარის ქალიშვილ აგუნდასთან მიიჩქარის.

საინაგ-ალდარი სავხოხის თავზე ცხოვრობდა. ჰყავდა არაჩვეულებრივად ლამაზი ქალიშვილი. ქალიშვილს სახელად აგუნდა ერქვა. საინაგ-ალდარს აგუნდას გარდა სხვა შვილი არ ჰყავდა და თავისი ერთადერთი ასული უსაზღვროდ უყვარდა.

აგუნდა-მზეთუნახავს ოქროსფრად მბზინავი აბრეშუმის კულულები კოჭებამდე სწვდებოდა. წელწვრილსა და მკერდმაღალს შავ-შავი თვალები ისე უციმციმებდა, წვიმის შემდეგ მზე რომ გამოანათებს. საქმის დროს ხელებში ცეცხლი გასდიოდა, სიარულისას კი გედივით დაგოგმანებდა. დილით იგი წყალზე ნარნარით რომ ჩამოივლიდა, იტყოდით, მზის ნათელი სწორედ მისი სახიდან იღვრება და მთვარის შუქს მისი ყელყარყარა დოქი გამოსცემსო.

ნართი ფეხმარდი ყმაწვილები ქალიშვილის დასანახად ცხენებს ჯირითით ქაფს ადენდნენ, მაგრამ აგუნდა-მზეთუნახავს საავხოხის პიტალოებიდან მათთვის ერთხელაც არ გამოუხედავს.

ნართების მხცოვანთ საავხოხის მთაზე საინაგ-ალდარის ასულ აგუნდა-მზეთუნახავთან შუამავლად სიარულით ქუსლები დაეცვდათ. ნართებში ისეთი ახალგაზრდა აღარავინ დარჩენილა, ვისაც საინაგ-ალდარისთვის აგუნდას ხელი არ ეთხოვოს, მაგრამ აგუნდამ არავის ცოლობა არ ისურვა.

აცას ვაჟმა აცამაზმა მამისეული განძი — შავად მოზარნიშებული მარადიული ოქროს სალამური წაიღო და სავხოხზე ავიდა. ყველაზე მაღალი კლდე აირჩია, ჩამოჯდა და სალამური ააკვნესა.

სალამურის რაკრაკზე ქორბუდა ირმები ხარის ხმით აყვირდნენ, დატოტვილი რქები ზეასწიეს და ნარნარად აცეკვდნენ. დაბურულ ტყეში ჯიხვები ჭლინკებზე შედგნენ და ჩამოუარეს. სავხოხის შავმა თხებმა შავი პიტალოები ჩამოირბინეს და რქაგრეხილ ხარჯიხვებთან მსუბუქი სიმდი ჩაახეს. ფურირმები და შველები ლელიანის პირს მოაწყდნენ და ლაღი ჟიდილი გამართეს.

მელიებმა და კურდღლებმაც ცდუნებას ვეღარ გაუძლეს, გახალისებულნი გაშლილ მინდორზე გამოცუნცულდნენ. ავსათის ურიცხვი ჯოგები კლდის ძირს მოასკდნენ და ფალვარას* ფარები მინდვრებს მოეძვნენ.

აცას ვაჟმა აცამაზმა კიდევ უფრო გულში ჩამწვდომად აარაკრაკა სალამური და დათვებმა ბურდღუნ-ბურდღუნით გამოიღვიძეს, თბილი ბუნაგები მიატოვეს და შუაგულ დაბურულ ტყეში ბაჯბაჯით ცეკვა გააჩაღეს.

მანამდე მოტიტვლებული მინდვრები ახლა ათასფერი ლამაზი ყვავილებით მოიჩითა. ყვავილებს ჭრელი პეპლები დაფარფატებდნენ და დამშეული ფუტკრები დაბზუოდნენ. ფრინველებმა უდაბური ტყე სტვენა-

ჭიკჭიკით აიღეს და ნართ აცამაზს ათას ხმაზე ბანს აძლევდნენ. გვიმის ველზე მწვანე სავათებისა და შავი შაშვების გოგმანზე ქვეყანას თვალი ზედ რჩებოდა.

ღრუბლის ქულებიც ერთმანეთს წაბმოდნენ და უდაბურ ტყისპირებს თბილი ცრემლების ღაპა-ღუპით მოუყვებოდნენ. ცასაც სიხარულის ჭუხილი ასტეხოდა და ბალახიც ჟუჟუნა წვიმით პირდაბანილი სიამით ყელყელაობდა.

აცამაზი კვლავ ოსტატურად ათამაშებდა თითებს სალამურზე და კიდევ უფრო ტკბილი ხმით არაკრაკებდა. დაბურული ტყე ლამის ცას შესწვდა გალაღებული, შიშველი კორდები და დაშაშრული გორაკები, სადაც აღრე ბალახის ღერიც არ ხარობდა, ახლა ხავერდოვნად გადამწვანდა.

აცამაზის სალამურის ხმას მთებმა ჯერ ბანი მისცეს, მერე სავხოხი და ურსხოხი აცეკვდნენ, სავხოხი მოიმზღვლა, ხოლო ურსხოხი თეთრ ქვიშად იქცა.

აცას ვაჟის აცამაზის ხმატკბილმა სიმღერამ არემარე შესძრა: მარადიულმა მყინვარებმა დნობა იწყეს და მთის გიჟმაჟი მდინარეები ვიწრო ხეობებიდან გაშლილ ველებისკენ ხარხარით გაქანდნენ.

გაზაფხულის მზემ ცისქვეშეთს სიცილით გადმოხედა და ადამიანებმა კაშკაშა ჰაერი ლაღად, მთელი მკერდით შეისუნთქეს.

აცას ვაჟმა აცამაზმა რვა ხმაზე მომართა თავისი სალამური, ჯადოსნურად ააჟღერა და სავხოხის პიტალო კარის ოდენად მოღიავდა: აგუნდა-მზეთუნახავმა ველარ დასძლია ცდუნება, მიატოვა ხელსაქმე და კლდის ქიმიდან გადმოიხედა.

აცამაზი ძლიერ გაოცდა: „ჰაუ, ეს რა ამბავი უნდა იყოს: საინაგ-ალდარის ასული, აგუნდა-მზეთუნახავი ჯერ მზესაც თვალით არ დაუნახავს, გამუდმებით სავხოხის კოშკში ზის. ახლა კლდის ქიმიდან რისთვის გადმოიხედა?"

აცამაზს სიყვარულის ცეცხლი შემოეგზნო. აგუნდა-მზეთუნახავსაც ვაჟის დანახვაზე სიყვარულის ჟრჟოლამ დაურბინა და დაფარული გრძნობით კლდის ქიმიდან აცამაზს ჩამოსძახა:

— ეი, კარგო ბიჭო, ნართ აცას ვაჟო აცამაზ! ნეტავ შენ დედის გულის გასახარად დიდხანს გაცოცხლა. მე კი შენი სალამური მომცა!

ამ სიტყვებმა ნართ აცას ვაჟი აცამაზი ძლიერ გააბრაზა, თავისი ოჭროს სალამური სავხოხის პიტალოს მიანარცხა და სალამური წვრილად დაიფშვნა. თვით აცამაზი განაწყენებული გამობრუნდა და თავჩაქინდრული, მხრებჩამოყრილი შინისაკენ გამოემართა.

პირმშვენიერი თამამი ქალიშვილი — საინაგ-ალდარის მემკვიდრე აგუნდა-მზეთუნახავი დაბლა ჩამოვიდა, სალამურის ნამსხვრევები აკრიფა,

შინ შეიტანა, ნაბდის მათრახი დაჰკრა და ნამსხვრევები ერთმანეთს მიეწებნენ — სალამური რაც იყო, იმადვე იქცა. აგუნდა-მზეთუნახავმა იგი აბრეშუმში გაახვია და თავის სამზითვო სადაფის სკივრში ღრმად შეინახა.

აცას ვაჟი აცამაზი კი შინისაკენ დაღვრემილი მიდიოდა.

ამ დროს ცხენებზე ამხედრებული ნიქოლა და ვასთირჯი მოდიოდნენ და თვალის მომჭრელად მოანათებდნენ. ცხენები მფრინავი მერნის ჯიშისა ჰყავდათ, მამაკაცთა მფარველი ღვთაების რემიდან; ქურდალაგონის მიერ მოჭრილი ნალებით დაჭედილი მერნები ფეხებით ცეცხლს აკვესებდნენ. მოსეირნობდნენ ვასთირჯი და ნიქოლა, ირგვლივ თვალს ავლებდნენ, წინ გაშლილი ველები ედოთ, მარცხნივ — ბესთაუს მაღალი მთა.

შენიშნეს გზაზე მიმავალი აცას ვაჟი პატარა აცამაზი და გამოელაპარაკნენ.

— მშვიდობის გზა მოგცეთ პატარა აცამაზ!

— საით მიდიხარ ეგრე ფეხარეული?

— თავდახრილი და მხრებჩამოყრილი?

— სად დატოვე შენი ძვირფასი სალამური?

— დიდება თქვენს სახელს, ჩემო ღვთაებებო, მაგრამ საინაგ-ალდართან მისი ასულის აგუნდა-მზეთუნახავის ხელის სათხოვნელად შუამავლებად რომ მიმეგზავნებოდეთ, მაშინ აღარ ვივლიდი თავდახრილი და მხრებჩამოცვენილი, აღარ ვივლიდი ფეხარეული.

ვასთირჯი და ნიქოლა შუამავლობაზე დაეთანხმნენ. მივიდნენ საინაგ-ალდართან და უთხრეს:

— ჩვენ ნართ აცას ვაჟის პატარა აცამაზის შუამავლები ვართ. შუაკაცს თავისი ტვირთი ზურგზე ჰკიდია. აცას ვაჟს აცამაზს ვერავინ დაიწუნებს: მამამისი ნართებში სახელოვანი, გავლენიანი კაცი იყო. თვითონ კი — ახალგაზრდებში საუკეთესო, სალამურს ამღერებს — გულს ატყვევებს. სამოყვაროდ და სანათესაოდ უკეთესს ვერ ინატრებთ — ძმასავით მხარში მდგომი და ნამუსიანია. თუ შენი წყალობა გვქონია, საინაგ-ალდარ, მჭონებელმა მთხოვნელს ხელი უნდა გაუმართოს.

საინაგ-ალდარი შევიდა თავის ერთადერთ ასულთან, აგუნდა-მზეთუნახავთან და შუაკაცების მოსვლის მიზეზი უთხრა.

აგუნდა მზეთუნახავმა პასუხად უთხრა:

— აცას ვაჟი პატარა აცამაზი ჩემი ღირსი მაშინ გახდება, თუ ჩვენს ეზოში ერთ წელიწადს დაბადებულ ას ირემს მორეკავს!

მამამ წარბი მაღლა აზიდა და სახე გაუცისკროვნდა. ქალიშვილის პასუხი შუამავლებს მოახსენა. ვასთირჯი და ნიქოლა თავდახრილები გამობრუნდნენ — სად იპოვნისო პატარა აცამაზი ერთ წელიწადს დაბადებულ ას ირემს?!

აცამაზმა პასუხი რომ მოისმინა, შინ კი არა, გეზი პირდაპირ უდაბურისკენ აიღო. ძლიერ იწყინა აგუნდა-მზეთუნახავის პასუხი და გადაწყვიტა სადმე გადაკარგულიყო.

დაეხეტებოდა აცამაზი უდაბურ ტყეში მარტოდმარტო და ფიქრობდა: „ას ირემს ფეხითაც დავიჭერდი, მაგრამ ერთ წელიწადს დაბადებულები სად ვიპოვნო?“ ბრაზით თითებს იჭამდა და მამისეულ განძს — ოქროს სალამურს ნატრობდა.

დაბურულ ტყეში ბევრი იხეტიალა, მაგრამ ხელთ ვერაფერი იგდო.

აცამაზი რომ იგვიანებდა, ნართები შეწუხდნენ, მისი ბედი ეფიქრებოდათ.

ერთ დღეს ნართების ახალგაზრდები თავიანთი უმცროსი თანამოძმის — აცამაზის საძებნად წამოვიდნენ. ტყეში, ერთი დიდი ხის ქვეშ დაბანაკდნენ. ცეცხლი გააჩაღეს და მწვადის შეწვას შეუდგნენ, რომ თავს აცამაზი წაადგათ, ნართმა ყმაწვილებმა თავისი ძმის დანახვით ძლიერ გაიხარეს. ჰკითხეს ამბავი და მანაც უამბო თავისი გასაჭირი. ნართ ახალგაზრდებს ძლიერ ეწყინათ, აგუნდა-მზეთუნახავმა უარი რომ უთხრა აცამაზს და საინაგ-ალდარის ციხე-კოშკზე თავდასხმა გადაწყვიტეს.

ხეობის გზით მიმავალ ნართ ახალგაზრდებს წინ ავსათი შემოხვდათ. ავსათი ხომ აცამაზის მამის ძმადნაფიცი იყო და მისმა დანახვამ ძლიერ გაახარა. აცამაზმა უამბო თავისი ამბავი.

— მაგაზე სრულებითაც ნუ წუხხარ, ჩემო ძმადნაფიცის მემკვიდრევ პატარა აცამაზ, მაგას როგორ ვერ მოვახერხებთ. — უთხრა ავსათიმ. — აგერ ადას ხევში ათნი შედით და ერთ წელს დაბადებულ ათ-ათ ირემს ჩაიგდებთ ხელში.

ნართი ახალგაზრდები შევიდნენ ადას ხევში, ათ-ათი ერთ წელს დაბადებული ირემი უკანა ფეხებით დაიჭირეს და წინ გამოირეკეს.

ნართ აცას ვაჟმა პატარა აცამაზმა დილაადრიანად თავისი ცხენი არიყის საპნით• დაბანა. მზე რომ ამოიწვერა, ნართების ფეხმარდი ახალგაზრდობა და ნართი ძალგულოვნები საინაგ-ალდარის ასულის აგუნდა-მზეთუნახავის წამოსაყვანად სავხოხისაკენ გამოემართნენ. აცამაზს მარჯვენა გვერდით თავის ნართულ ცხენზე ამხედრებული მოჰყვებოდა ნართი გვერდმაგარი სახელოვანი სოსლანი. იგი უფროსი მაყარი იყო. გზად მაყრიონს გამოუარეს — არჯი-ნარეჯში თათართუფთან• მივიდნენ, ქურიფის სიმაღლეზე ველ-მინდვრის ღვთაებასთან, თიბავის ხოხზე — წმინდა ელიასთან, ვაზას მთაზე — დიდებულ ნიქოლასთან, ადას მწვერვალზე — დიდებულ ავსათისთან, ყარივის მთაზე — პირუტყვის ფალვარასთან, ზეციდან კი მაღალი ვასთირჯი წამოიყვანეს.

თმაჭაღარა თათართუფი უფროსად წაიმძღვარეს. მას მარცხნივ მა-

მაცი ელია მიჰყვებოდა, მარჯვნივ კი — მოხუცი ურუზმაგი. ვასთირჯი მათზე უმცროსი იყო და ლურჯ ცხენზე ამხედრებული მისდევდა.

დანარჩენები ჯგუფად უკან მიჰყვებოდნენ. მათი ცხენების ხვიხვინზე მთები ზანზარებდნენ, ხოლო მათივე ოხშივარი მიმავლებს თავზე ლურჯ ნისლად ადგა. მოვერცხლილ სადაფეებზე დილის მზე დასციმციმებდათ. ანგელზები, ღვთაებები და ნართების წარჩინებულები ამ გრძელ გზას მასლაათით ამოკლებდნენ: „ბებერმა საინაგ-ალდარმა ჩვენი სასიძო ყმაწვილები ბევრჯერ გაგვიწბილა, თუ ამჯერადაც არ დაგვთანხმდა, რით დასრულდება ჩვენი თათბირი?“

წმინდა ვასთირჯიმ მაყრიონს უთხრა:

— მე აცას ვაჟის მეჯვარე ვარ და ყველას გთხოვთ, თუ საინაგ-ალდარი ნებით მოგვცემს თავის ქალს, ხომ კარგი, თუ გაჯიქდა მით უარესი მისთვის: იმ ბებერ ჯიუტს ამდენი ხალხი მზეთუნახავს ძალით მოვტაცებთ.

სავხოხის კოშკი ძლიერ მაღალი და ძლიერ მაგარია. აგუნდა-მზეთუნახავი მამის ერთადერთი მემკვიდრეა და მამის გვერდიდან მისი მოტაცება ძალიან გაძნელდება, — თქვა თათართუფმა.

მოღალატეთა რისხვამ, მამაცმა ელიამ თათართუფს უთხრა:

— ჩვენი კრებულის უფროსო, ღვთის საყვარელო! ღმერთს ნისლი გამოსთხოვე და მე გიჩვენებთ, სავხოხის კოშკი უფრო მტკიცეა თუ ჩემი ძლიერება.

— ჩვენო წმინდა ელია! სავხოხის დაქცევა შენ გევალებოდეს, საინაგ-ალდარის ასულის აგუნდა-მზეთუნახავის მოტაცება მე და ვასთირჯის მოგვანდე, — უთხრა წმინდა ნიკოლამ.

უსმენდა მათ საუბარს სახელოვანი ავსათი და გაგულისებულმა მანაც თქვა:

— აბა, მეც კაცურად გავირჯები: სავხოხის ძირას ვერცხლის ეტლს დაგახვედრებთ, შიგ შვიდი ქორბუდა ირემი იქნება შებმული.

— მე გზის მაჩვენებლად წინ წაგიძღვებით, — თქვა თავის მხრივ ველმინდვრის ღვთაებამ.

— მე კი იმდენ პირუტყვს დაგახვედრებთ, რამდენიც დაგჭირდებათ, — თქვა ფალვარამ.

თუ საინაგ-ალდარი დაგვედევნება, ჩემი მშვილ-ისრით გვერდებს დაუცხრილავ, — თქვა სოსლანმა.

ასე ლაპარაკ-ლაპარაკით მაყრიონი სავხოხს მიუახლოვდა. გზის პირას, პანტის ქვეშ ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ. ხეთა ჩრდილებში. მწვანე მოლზე, თეთრი ნაბდები გაშალეს. ხეობიდან მონაბერი ნიავი გრძელ წვერზე ელამუნებოდათ.

ვასთირჯი და ნიკოლა საინაგ-ალდართან შუამავლებად გაგზავნეს. ის

ერთ წელიწადს დაბადებული ასი ირემიც თან გაატანეს, ორი ღვთაება — ვასთირჯი და ნიქოლა საინაგ-ალდარის კარწინ შეჩერდნენ. ირმები ალდარის ეზოში კუნტრუშით შეცვივდნენ. ალდარის მარდი უმცროსები ფიცხლად მიეახლნენ სტუმრებს და ცხენებს სადავეებში ხელი წაუვლეს. სტუმრები ჩამოსხდნენ.

საინაგ-ალდარმა კუშტად გადმოიხედა. ირმები რომ დაინახა, უარესად დაღონდა.

სტუმრებს წარბშეკვრით გამოეგება. თეთრწვეროსანს, წელწვრილსა და მხარბეჭიანს ლამაზად შეკერილი აქლემის ბეწვის ჩოხა შვენოდა. ხელთ ვერცხლის ჯოხი ეკავა.

— სტუმრებს სიცოცხლე! — მიესალმა იგი მოსულთ.

— ტკბილი სიბერე გქონოდეს! — უპასუხეს სტუმრებმა სალამზე და ადათის მიხედვით პატივი მიაგეს.

— საინაგ-ალდარმა მოსულნი სასტუმრო დარბაზში შეიპატიჟა... ზე! მოთ, საპატიო ადგილზე, ორივე სპილოს ძვლის საკარცხულებში დასხა. სტუმრებმა მოსვლის მიზანი აუწყეს.

— ო, წმინდა სულებო! ჩემო ძვირფასო სტუმრებო, დღევანდელ დღეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ნათელ დღედ ჩავთვლი. როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით; მე თქვენი ნათქვამის საწინააღმდეგოდ ვერაფერს გეტყვით; მაგრამ, წმინდა ღვთაებებო, მოხედეთ საცოდავ ბერიკაცს, საბრალო მამას. სადღაა ჩემი ძველებური ჯანი და ღონე?! სიცოცხლის ზამთარი კარს მომდგომია. ძვალი დამიბერდა, გონება მღალატობს. საფლავისკენ ფეხი გამიშვერია. მოღრუბლულ დღეებში მზის ნაცვლად — მადლი უფალს — ჩემი ერთადერთი ქალიშვილის შემოხედვა-ღა მათბობს. როგორც ჩემი ერთადერთი ასულის აზრი ვიცი, იგი მოხუცი მამის მარტოდ დაგდებას არ აპირებს. გასათხოვრად ჯერ ძლიერ ნორჩია.

შუაკაცებმა საინაგ-ალდარს ვეღარაფერი უპასუხეს; უხმოდ აღგნენ და თავიანთ ამხანაგებთან გამობრუნდნენ.

ალვისტანა, მკერდმაღალი აგუნდა-მზეთუნახავი გამოვიდა და მამას ჰკითხა შუაკაცებს რა პასუხი გაეცით.

მამის პასუხი რომ მოისმინა, აგუნდა-მზეთუნახავი განაწყენდა, წარბშეკრულმა ლამაზი, სპილოსძვლისფერ ქათქათა ხელით კარი გაიჯახუნა და გავიდა.

მამა ქალიშვილს გულისნადებს მიუხვდა, გაიღიმა და უთხრა:

— ე, ჩემო თავნებავ, ჩემო ერთადერთო დამტირებელო, როგორც გატყობ, უსაზღვროდ გყვარებია ოქროს სალამური, ლამაზი სიმღერები და ერთ წელს დაბადებული ქორბუდა ირმები; მაგრამ მათზე ძლიერ აცას ვაჟი პატარა აცამაზი შეგყვარებია.

და საინაგ-ალდარმა სტუმრებს მოპატიჟე დაადევნა. სტუმრებიც მობრძანდნენ.

მოხუცმა საინაგ-ალდარმა მაყრიონს მიმართა:

— თქვენი ხათრით ჩემს ერთადერთ ასულს ნებას ვრთავ, ნართ აცას ვაჟს პატარა აცამაზს შეუუღლდეს. ნართები ჩემი ტოლფარდი ხალხია.

სტუმრები შინ შეიპატიჟა. მერე ყველგან მოპატიჟეები აფრინა და უამრავი ხალხი შეიყარა. საინაგ-ალდარმა კვირიდან კვირამდე სტუმრებს უმასპინძლა. ღვთაებებსა და ნართ ხალხს წინ ვერცხლისფეხიანი მრგვალი მაგიდები დაუდგა.

მარიფათიანმა, ზრდილმა ყმაწვილებმა სამი ხაშაპური და რკინის შამფურზე აგებული მწვადი შემოიტანეს, მაგიდაზე ალუთონ* ლუდით სავსე ვეება ორყურა დოქები შემოდგეს, რონგის დოქები გაამწკრივეს.

ზეწამოდგა თმაჭაღარა თათართუფი, ქუდი მოიხადა და სადღეგრძელო წარმოთქვა. ქუვაგქაგით* წაიხემსა აცას ვაჟმა აცამაზმა. ამის შემდეგ ქეიფი გაჩაღდა. სუფრაზე ცხარე რონგი და ალუთონ ლუდი წყალივით უხვად მოჰქონდათ. საქმელი კიდევ სასმელზე ორჯერ უფრო უხვად იყო დახვავებული. მხიარულ სიმღერებს ბოლო არ უჩანდა. უფრო ლამაზი სიმღერების მოსმენის სურვილი აღეძრათ.

— ჩემო ახალო სიძევ, რატომ არ დაუკრავ შენს ოქროს სალამურს, რომლითაც თავნება ქალიშვილის გული დაიპყარი? — ჰკითხა საინაგ-ალდარმა აცამაზს.

ნართ აცას ვაჟმა პატარა აცამაზმა საინაგ-ალდარს მოახსენა:

— კაი ხანია მოაკლდა ჩემს გულს ჩემი განძის ხმა — ოქროს მარადიული სალამური კლდის ქიმს მივანარცხე და წვრილად დაიფშვნა!

აგუნდა-მზეთუნახავმა მოისმინა რა ეს, გამოიტანა აბრეშუმში გახვეული ოქროს სალამური და აცამაზს გაუწოდა. აცამაზს სალამურის დანახვისას სახე მზესავით გაებადრა. გამოართვა და დაუკრა. ქვეყნად ვისაც სალამურის ხმა მისწვდა, ყველა აცეკვდა. ეზოში ჯგროდ მდგარმა ირმებმა დატოტვილი რქები გაშალეს და როკვა მორთეს.

სტუმრები აცამაზის სალამურს ბანს აძლევდნენ.

წარჩინებულმა ნართებმა სმა-ჭამა მოამთავრეს და ახლა მრგვალ მაგიდაზე მდგარ ლუდით სავსე ვეება თასის პირზე ცეკვა გააჩაღეს.

კვირიდან კვირამდე ისხდნენ სტუმრები; იქეიფეს, იმღერეს, იცეკვეს და მერე სავხოხიდან გამოემგზავრნენ — წამოჰგვარეს აცას ვაჟს აცამაზს აგუნდა-მზეთუნახავი. აგუნდას საქორწილო ეტლი ვერცხლისა იყო და შიგ შვიდი ქორბუდა ირემი ება — იგი ავსათიმ მიართვა საჩუქრად.

მაყრიონს დედოფლის მზითევი შვიდი ურმით გამოატანეს.

აგუნდას ხელისმომკიდეთ წმინდა ვასთირჯი ჰყავდა, მაყრად ნართ

ურუმაზგი. მათ წმინდა ნიქოლა მიუძღოდა, დროშა ველ-მინდვრის ღვთაებას მოჰქონდა. წმინდა ელია მაყრიონის წინ ცხენს მოათამაშებდა. მისი მათრახის გატკაცუნება ცის ქუხილს ჰგავდა, შუბს გაცვენილი ნაპერწკალი — ცის გაელვებას. ცხენის ნაკვალევი მთელ ღელეს უდრიდა. ცხენის ოხშივარი — ზამთრის ქარბუქს.

აგუნდა-მზეთუნახავი მხიარულად წამოიყვანეს და ნართების ხაძარში მოიყვანეს. პატარძალმა ნართების უბადლო დიასახლისს თავი მდაბლად დაუკრა. მაყრიონმა სათანას კარიდან მიუმღერა.

ოი, ჩვენო დიდებულო დიასახლისო სათანა!
ოი, დოვლათიანი ცხოვრების სათანა!
ოი, შენ გიმღერითო,
ოი. შენ, ჩვენო დიასახლისო სათანა!
ოი, თუ ქონიანია შენი საკუჭნაო,
ოი, თუ ბარაქიანია შენი ხელი!
ოი, გამოგვიტა შავი ლუდი!
ოი, შავი ლუდი და ცვრიანი მწვადი,
ოი, შავი ლუდი მოშიშინე,
ოი, ცვრიანი მწვადი მოშიშხინე,
ოი, ჩვენო დიდებულო დიასახლისო სათანა!
ოი, დოვლათიანი ცხოვრების სათანა!
ოი, გამოგვიტა ხაჭაპურები,
ოი, მსუყე და ერბოიანი.
ოი. გამოგვიტა რონგის დოქი!
ოი, გამოგვიტა, აბა, გამოგვიტა,
ოი, ყველი საუკეთესო!
ოი, ნართელო დიასახლისო სათანა!
ოი, დოვლათიანი ცხოვრების სათანა!


ნართებმა დიდი ქორწილი გადაიხადეს. სუფრის თავს უფროსად თეთრწვერა ურუზმაგი იჯდა და ილოცებოდა:

„ღმერთო დიდებულო, ვასთიქჯი სიმართლის მიმდევარია და ჩვენი ყველა საქმე მართლად და სწორად წაეყვანოს!

„ღმერთო, ჩვენი უმცროსებიდან ვინც ცხოვრების შეძენას ცდილობს, იმას ხელი მოუმართე. ვინც ჩვენზე ღონის გამოცდას ცდილობს, იმას ძალ-ღონე გამოულიე. ცხოვრება ეძიეთ, ახალგაზრდებო!“

როცა ურუზმაგმა სადღეგრძელო დაასრულა, თათართუფმა სიმღერა წამოიწყო:

სახლი, სახლი, კარგი სახლი,
ოთხკუთხედი, რვაკუნჭულა*
ისე მკვიდრად ნაშენია,
ბოძები უდგას დონბეთრიდან მოზიდული,
თავხეები ფარნის ხეობიდან მოტანილი,
ნაჭა ციდან ჩაკიდული.
ნართების უფროსი ურუზმაგია,
დიასახლისი სათანა ჰყავთ,
მერიქიფედ სოსლანი ჰყავთ,
ახალგაზრდობა ნართულია,
ისემც დიდხანს უცოცხლიათ,
დათვივით ტორიანი ყოფილიყვნენ,
ირემივით — ქორბუდები,
კრუხივით — წიწილიანი.
მხიარულად ეცხოვროს
ოი, ჩვენს საყვარელ ახალგაზრდებს!





ცარკეული თემები







ნართების შავი მელიის ტყავი

ნართი ძალგულოვნები — ურუზმაგი, ხამიცი და სოსლანი სანადიროდ წავიდნენ. აცა მათი დისწული იყო და ისიც მარეკად წაიყვანეს. დილიდან საღამომდე სახუნდარში სამივე ძმა რიგრიგობით იჯდა. საღამო ხანს აცამ ერთი მელა წამოაგდო.

ურუზმაგმა, სოსლანმა და ხამიცმა ერთდროულაად ესროლეს. მელა გადმოყირავდა და მიწაზე გაიშხლართა.

ურუზმაგი და ხამიცი ერთმანეთს უმტკიცებდნენ: არა, მე მოვკალი, არა მეო. სოსლანმა მათ უთხრა:

— თუ არც ერთს არ გისროლიათ, მაინც ლაპარაკს ალარ გაათავებთ, მე მოვკალი და მე მოვკალიო!

ურუზმაგმა და ხამიცმა უთხრეს:

— ჰაუ, მერე ჩვენი ისრებით ვერ დავადასტურებთ?!

— ჩემი ისარი მამაპაპური ყალიბისაა. — უპასუხა სოსლანმა.

— ჩემი ისარი ჩემივე ხელითაა გამოთლილი, — თქვა ურუზმაგმა.

— საფა რკინას რომ ჭრიდა, იქ ვიჯექი და ვუყურებდი. ჩემი ისარი სწორედ იმ რკინის გადანაჭრებისაგან გამოვაჭედინე, — თქვა ხამიცმა.

მივიდნენ მელასთან. ტყავი გააძრეს და დაათვალიერეს. ურუზმაგის ისარს მელიისთვის კისერი მოეტეხა, ხამიცის ისარს — თეძო დაელეწა, ხოლო სოსლანის ისარს წელი მოეწყვიტა.

ხამიცმა თქვა:

— მე, არყიზის კბილის პატრონი ხამიცი, ნართებში გამორჩეული კაცი ვარ და ამ მელიის ტყავის ქურქი ჩემთვის უფრო უპრიანია.

სოსლანმა უპასუხა:

— ჰაუ, მერე და ვითომ ნართ სოსლანისთვის რატომ არ იქნება უპრიანი?

ურუზმაგმა ჯიუტად თქვა:

— არა, ტყავის ქურქი მე მეკუთვნის!

ძმები ვერა და ვერ მორიგდნენ და ერთმანეთს შეებნენ.

აცამ იფიქრა: „ეს რა ღვთის წყრომაა ჩემს თავს! ეს ჩემი ბიძები ერთმანეთს ნამდვილად უბედურებას აუტეხავენ“.

ბიძების საქციელმა გვარიანად რომ შეაფიქრიანა, გამბედაობა მოიკრიბა და უთხრა:

— თქვენზე უმცროსი ვარ, მაგრამ ჩემი აზრი უნდა შემოგკადროთ. მოდი, ასე მოვიქცეთ. თითოეულმა თქვენგანმა არაკი თქვას. ვისი მონაყოლი არაკიც უკეთესი გამოდგეს, მელიის ტყავიც იმას დარჩეს.

ძმები აცას დაეთანხმნენ და ჰკითხეს:

— უმცროსმა დაიწყოს, თუ უფროსმა?

მან უპასუხა:

— პირველად შუათანამ გვიამბოს, შემდეგ უმცროსმა და ბოლოს უფროსმა.

ასეთი რიგით ხამიცს ეკუთვნოდა მოყოლა და იმანაც დაიწყო:

— მე ბევრი საოცრება მინახავს, მრავალ საარაკო ამბავს მოვსწრებივარ — ყველას სად მოგიყვებით. ერთხელ მე და ჩემი ემცექი ბიჭი ზურგიელის საყიდლად ახარ-ქალაქს* წავედით; იქ ერთ წყაროს წავადექით. ბიჭს ვუთხარი: „მე ცოტა ხანს თვალს მოვატყუებ. შენ ურმიდან ერთი ხმელი თევზი გადმოიღე, წყალში დაასველე და როცა დალბება, გამალვიძე წოლმე, — წავიხემსოთ და მერე ჩვენს გზას ვეწიოთ-მეთქი“.

ეს ვთქვი და დასაძინებლად წამოვწექი. ბიჭმა ურმიდან თევზი გადმოიღო და წყალში ჩადო. არ გასულა წუთი და გამაღვიძა: „ხამიც, თევზი წყალში შეცურდა და თვალს მიეფარა“.

„შეგიჭამია და ღმერთმა შეგარგოს — როდის მომხდარა ხმელი თევზი წყალში შეცურებულიყოს?“ — აბა, სხვა რა მეთქვა?

ბიჭმა ღმერთი, რჯული იფიცა, თევზი გამექცაო.

მეტისმეტად რომ გაჭირვეულდა და თავისას აღარ იშლიდა, ვუთხარი: „შენ ჯერ ისევ ბავშვი, ვის იგდებ მასხარად?“ გაბრაზებულმა ხმალი მოვუქნიე და შუაზე გავაპე.

ბიჭი ადგილზევე გათავდა. გონს რომ მოვედი, ავტირდი: „ეს რა ჩავიდინე, მუცლის გამო ყმაწვილი როგორ გავიმეტე, როგორ მოვკალი?! რაღა პირით ჩავიდე ნართებთან, ჩემს ხალხთან? სოფელს რა პირით ვეჩვენო?

მერე გავიფიქრე, მოდი მეც ვცდი-მეთქი და ბიჭი წყალში ჩავაწვინე. ბიჭი, თითქოს დედამ ახლა შობაო, წყლიდან სალი-სალამათი ამოვიდა! „ნეტა თუ დღეის შემდეგ ღმერთს რაიმე სიკეთეს ვთხოვ? განა ეს საკმარისი სიკეთე არაა?!“ — ვთქვი ჩემთვის. სიხარულისაგან შინ სულ სიმღერა-სიმღერითა და სიცილით დავბრუნდით. მე ამაზე უფრო საარაკო არაფერი მინახავს, — დაასრულა ხამიცმა.

— აბა, სოსლან, ახლა შენი ჯერია, — უთხრა აცამ.

— მეც როგორ არ გადამხდენია საოცრებანი და საარაკო ამბები, ყველას ვერ გიამბობთ, მაგრამ ერთხელ ერთ ყმაწვილთან ერთად ზილა-ხარის ველზე სანადიროდ ვიყავით. ერთი შველი მოვკალით. ნანადირევი გორაკის ძირას მივიტანეთ და შამფურზე მწვადი ავაგეთ. მე ბიჭს ვუთხარი: „ცოტას წავიძინებ, შენ ცეცხლი გააჩაღე, როცა მწვადი გამზადდება, გამაღვიძე — წავიხემსოთ და გზა განვაგრძოთ-მეთქი“.

სულ მალე ბიჭმა გამაღვიძა. „შველი გაცოცხლდა და აგერ გარბის, აღარც მწვადი დევს ცეცხლზე“, — მითხრა მან.

„ბიჭო, მწვადი, ალბათ, შეჭამე შვლის მეორე ნახევარი კი ვინმეს ძიეცი, — აქ გზად გამვლელს რა გამოლევს, — თორემ ეგ რა სათქმელიაა!“ — ვუთხარი ბიჭს.

„ღმერთია მოწმე, არაფერი შემიჭამია, არც არავინ დამინახავს და არც არავისთვის რამე მიმიცია — შველი გაიქცა“, — მარწმუნებდა ბიჭი.

გავბრაზდი, როგორ მამასხარავებს-მეთქი, ვიძრე ხმალი, დავცხე და ბიჭი შუაზე გავაპე.

გათავდა ბიჭი. ავღრიალდი, ავტირდი, ეს რა ჩავიდინე, მუცლის გამო ყმაწვილი როგორ შემომაკვდა-მეთქი.

მერე დავფიქრდი, ნუთუ მართალი იქნებოდა, რაც ბიჭმა მიამბო-თქო? ავიყვანე ბიჭი და შამფურზე ავაგე; ცეცხლი გავაჩაღე და შამფურზე წაშოგებული ბიჭი ნაკვერჩხლებს მივუფიცხე... მალე ბიჭი სალ-სალამათი გადმოვიდა ცეცხლიდან და აქეთ დამიწყო საყვედური: „რად გამაცოცხლე, მე საიქიოს შენს ცოლთან ვცეკვავდი და არ დამაცალე“.

ეს რომ მითხრა, ავიღე ხმალი, დავირტყი გულში და მოვკვდი. ვხედავ, მართლა საიქიოს ვარ და ყველა ცეკვავს. ჩავკიდე მეც ჩემს ცოლს ხელი და ცეკვა დავიწყე. იქ მსხდომებმა ბარასთირს უთხრეს: „ეს ხომ ნართი სოსლანია, რა უნდა აქ?“ „ამან თავისი ცოლის ნახვის გულისთვის თავი მოიკლა და ჩვენთან ყოფნა იმით დაიმსახურა: — უპასუხა მათ ბარასთირმა. ჩემი ცოლი და მე საიქიოდან შინ დავბრუნდით, ვაჟი შეგვეძინა და ეს მელის ტყავი მისთვის საქუდედ მინდა. აცა, ჩემო დისწულო, ამაზე უკეთესი არაკი მე არაფერი ვიცი“, — დაასრულა თხრობა სოსლანმა.

— ეი, ურუზმაგ, ახლა შენი ჯერია, — უთხრა აცამ.

ახლა ურუზმაგმა დაიწყო თხრობა:

— მეც ნართელი კაცი ვარ. ბევრი საოცრება მინახავს, ბევრი საჭიროკო ამბავი გადამხდენია, მაგრამ ყველას ვერ გიამბობთ.

გვიან შემოდგომით ზილახარის ველზე სანადიროდ ვიყავი. ნისლი ჩამოწვა, უკუნი სიბნელე ჩამოდგა და საით წავსულიყავი, გზა-კვალი აღარ ჩანდა. შიმშილისა და წყურვილისაგან ხომ მთლად ქანცი გამიწყდა. ღმერთმა ჩირგვნარში, მწყემსების ნასოფლარში მიმიყვანა. „ეჰ, აქ რომ ერთი ეზო რამე იყოს, შემორაგულს შიგნით უფრო უშიშრად მოვისვენებდი“, — გავიფიქრე ჩემთვის.

ეს ვთქვი თუ არა, ვხედავ ღობე გაჩნდა. ღობის შიგნით კარი გამოჩნდა. „შიგნით რომ დამაწვინა, უფრო უსაფრთხოდ ვიქნებოდი“, ვთქვი და შიგნით შევედი. ვხედავ, საოცარი შენობები დგას. გული მომეცა.

„ჰეი, გიდი, ახლა რამე მაჭამა-თქო!“ როგორც კი წამომცდა, ჩემს წინ მაგიდა მოსრიალდა, ზედ ქვეყნის სასმელ-საჭმელი ეწყო. კარგად რომ გამოვძეხი, გული გამინათდა. „ახლა კი აღარაფერი მინდა-მეთქი“ და ხასვამ-ნაჭამი გუნებაგახალისებული დასაძინებლად მივწექი.

შუაღამე რომ გადავიდა, ქვეყანა განათდა.

ვიღაცას სახლი ეწვის-მეთქი, შევშფოთდი. ამ დროს ხმა შემომესმა:

„ნუ გეშინია, ნართელო, ფეხი გამომიჩნდა“.

„ეს რა საოცრებაა, — ვისიც მხოლოდ ფეხი ასე ანათებს, ის თვითონ რაღა იქნება?!“ შიში შემეპარა. ამასობაში კიდევ განათდა. თავი წამოვყავი, ნამდვილად-სახლი დაიწვა-მეთქი.

„ნუ გეშინია, ნართელო, ხელი გამომიჩნდა“.

„ხმა ადამიანისაა, მაგრამ რომ ანათებს, ამისთანა რა უნდა იყოს?!“ მესამედ იქაობა კიდევ უფრო ძლიერ განათდა. გაოცებული წამოვდექი.

მეორე ოთახიდან კვლავ ხმა შემომესმა: „ნუ გეშინია, ნართელო, თმა გამომიჩნდა“.

„ჰეი, ურუზმაგი მოკვდეს, თუ არ გაიგოს, რა არის ეს!“ — ლოგინში წამოვჯექი.

ქალმა გამომძახა: „რა იყო, ურუზმაგ? რაც გინდოდა, საჭმელი თუ სასმელი — ყველაფერი ხომ მიირთვი, ახლა შენს ადგილზე რატომ წყნარად არ დაწვები, ზედმეტებს რად ეძებ?“

„თვითონვე მიწვევს“, — ვთქვი გულში. ავდექი და მისკენ გავემართე.

„გთხოვ, ნუ მომეკარები, — გამომძახა ქალმა, — შენთვის უმჯობესია“.

მთვრალ კაცს რა ვუთხრა... სასმელმა თავისი გაიტანა. შეეედი ქალთან. გადმომკრა ნაბდის მათრახი და ვირად გადამაქცია. რამდენიმე წლით ერთ კაცს სამუშაოდ მიმცა. ზურგი გადამეღლიტა, გვერდები შემენგრა. იმისაგან რომ წამოვედი, კვლავ გადმომკრა მათრახი და ფაშატ ცხენად გადამაქცია. რამდენიმე წელიწადი ახლა ფაშატად ვეხეტე.

მერე კიდევ გადმომკრა მათრახი და ძაღლად მაქცია. ძაღლად რომ გადავიქეცი, სახელი გამივარდა — ამ და ამ ქალს ასეთი კარგი ძაღლი ჰყავსო. იმ დროს ერთი ალდარის პირუტყვის ფარებს ნადირი შეეჩვია. ალდარი ამ ქალთან მოვიდა, შეეხვეწა: „ძალიან გთხოვ, შენი სახელგახმული ძაღლი მათხოვე, იქნებ ერთი ღამე პირუტყვი შემინახოს“.

„ვერ მოგცემ, ჩემი ძაღლი აზიზი შესანახია“.

„რასაც მგლები ერთ ღამეში დამიხოცავენ ხოლმე, მის შენახვას ნუთუ იმაზე მეტი ჭირდება?“

ქალმა ალდარს გამაყოლა. ალდარმა მწყემსებთან წამიყვანა. თვითონ ახალ-ცოლშერთულს შინ მიეჩქარებოდა და მწყემსებს დაუბარა, ამ ძაღლს კარგად მიხედეთ, მე სახლში მივდივარო.

შეჯდა ალდარი თავის ამლაყ ცხენზე და შინისკენ გაქუსლა.

„პატრონიც მოკვდომია შენს ძაღლს, ეგღა გვაკლდა მოსავლელად. მგლები თუ დაგვეცემიან, ჩვენი საკუთარი პირუტყვი არ დაგვაკლონ!“ — წაიბუზღუნეს მწყემსებმა და ჩემს დანაყრებაზე არც უფიქრიათ.

შუაღამე რომ გახდა, თორმეტი მგელი აყმუვლდა: „ჰეი, ურუზმაგ, ურუზმაგ, მოვდივართ!“

მეც გავკივლე: „ყურსაც არ შევიბერტყავ, თქვენი საქმისა თქვენ იცოდეთ!“

შემოვიდა ფარეხში თორმეტი მგელი და გარიჟრაჟამდე რაც შეეძლოთ, ცხვარი არ დაუზოგავთ, გაქლიტეს.

დილით ცხენზე ამხედრებულმა ალდარმა ამოგვაკითხა.

„აბა, რა ჰქენით, კარგად უდარაჯა?“ — ჰკითხა მწყემსებს.

„აი, დახედე, მგლებმა ფარა გაანახევრეს“, — უპასუხეს მათ.

დამიჭირეს, დამესივნენ და ვისაც როგორ შეეძლო, ისე მცემდა. ალდარმა ჩემს პატრონთან სულ ცემა-ტყეპით წამომათრია; ის ცხენზე იჯდა, მე ფეხით მივდევდი.

„აბა, რაშია საქმე? — ჰკითხა ჩემმა პატრონმა — გახდა რამეს?“

„ისემც ოხრად დაგირჩეს, — წუხელ მგლებმა ფარა გამინახევრეს“.

„მაგას ღმერთი არ შეგინდობს. კარგად არ გიჭმევია, თორემ რაც ამ ძაღლს შეუძლია, ჩემზე უკეთ არავინ იცის“, — უთხრა ქალმა.

ამის შემდეგ ქალთან ახლა სხვა ალდარი მოვიდა: „შენი ძაღლი მათხოვე, ჩემს პირუტყვს ნადირი შემოეჩვია“.

„ვერ მოგცემ. იმ დღესაც ერთმა ალდარმა ცემა-ტყეპით მომგვარა, — ჩემს ფარებს კარგად არ უდარაჯაო“.

„ის სხვა გვარისაა, მე — სხვა გვარისა. ის სხვა ალდარია და მე სულ სხვა ალდარი ვარ. შენ მე იმას ნუ მადარებ“.

ქალმა უარი აღარ უთხრა. ალდარმა ჯიბიდან აბრეშუმის თოკი ამოიღო, ყელზე მომაბა და თავის პირუტყვთან ამგვარად წამიყვანა.

თავის მსახურებს უთხრა: „ჩქარა ყველაზე დიდი ერკემალი გამოიყვანეთ!“

გამოიყვანეს მსუქანი ერკემალი.

„ჩქარა დაკალით და მოხარშეთ!“

მწყემსებმა იმ წუთშივე დაკლეს და მოხარშეს.

რბილსა და თბილ მოხარშულ ხორცს წინ მიწყობდნენ.

„ჩამოუარეთ თხებს, ჩამოწველეთ და წვნიანზე რძე დაუსხით!“ — კვლავ უბრძანა ალდარმა და იმათაც წვნიანზე რძე დამიმატეს.

ხორცითა თუ წვნიანით კარგად გამომაძღეს.

ალდარის სახლიდან რომ გამოვემართეთ, მან ჩემთვის უნაგირზე ხალიჩა დააკრა; ცხვრის ფარებთან მოვედით, ხალიჩა გადმოიღო და ფარეხის ბოლოს გამიშალა. იმ ღამით თვითონაც ფარეხში დარჩა.

გაშლილ ხალიჩაზე დავწექი, წინა ფეხები გადავაჯვარედინე და თავი ზედ ჩამოვდე.

ალდარს ჩაეძინა, მწყემსებსაც ძილმა წაართვა თავი. შუაღამე რომ გადავიდა, იმ თორმეტმა მგელმა შემომყმუვლა: „ეჰეი, ურუზმაგ, ურუზმაგ, მოვდივართ!“

მეც გავკივლე: „ტყუილად ნუ მოდიხართ, ჩემგან ვერაფერს იხეირებთ!“

მეორედ აყმუვლდნენ: „მოვდივართ, ურუზმაგ!“

მე გავკივლე: „ტყუილად ნუ მოხვალთ, ვერაფერს იხეირებთ!“

მესამედაც დამყმუვლეს: „შენი რისხვა მოგვეცეს, ურუზმაგ! შენ ერთი ხარ, ჩვენ — თორმეტნი!“

„ჰოდა აბა, მობრძანდით!“ — გავძახე მეც.

შემოიჭრნენ და ჰაი-და-ჰა! დამიწყეს შემოტევა. ხან აქედან დამეცემოდნენ, ხან — იქიდან. დილამდე ვებრძოლე და ერთ ცხვარსაც ახლოს არ გავაკარე, თორმეტივე ერთმანეთზე დავალაგე — სუყველა დავხოცე.

გათენდა. ალდარმაც გაიღვიძა. მწყემსებიც წამოდგნენ.

„ეს რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავს, ცხვარი როგორ შეცოტავებულა?!“ — აწუწუნდნენ მწყემსები. ცხვრები კი, მგლების შემოტევით დამფრთხალნი, სულ ერთმანეთზე იყვნენ მიჭუჭყულნი.

დაუწყეს ცხვარს გადათვლა და ყველა საღი-სალამათი აღმოჩნდა, ფარას ერთი ციკნის ყურიც არ დაკლებია. გულში ჩამიკრა ალდარმა.

„ეს მგლები მარტო მე კი არა, სხვებსაც დიდ ზარალს აყენებდნენ. ამ ძაღლს ამდენი სიკეთე რით უნდა გადავუხადო? წადით, — მიმართა ალდარმა მწყემსებს, — ერკემლებიდან ყველაზე საუკეთესო-გამოიყვანეთ!“

მეც და ერკემალსაც ყელზე აბრეშუმის თოკები გამოგვაბა და ჩემს პატრონ ქალთან წამოგვიყვანა.

— ქალბატონო, ამ დიდ სიკეთეს არასოდეს დაგივიწყებთ, ჯერჯერობით კი საჩუქრად ეს ერკემალი მოგართვით, — უთხრა ალდარმა და შინ გაბრუნდა.

ახლა მონადირეები მოვიდნენ და ქალს ჩემი თავი სთხოვეს: „გვათხოვე, შენი სახელგანთქმული ძაღლი. ტყეში ერთი დიდი თეთრი დათვი დაბინავდა და ვერ გამოგვიგდია, მოსაკლავად ვერსაით მიეუდექით, იქნებ შენმა ძაღლმა წამოაგდოს“.

„ჩემი ძაღლი აზიზი მოსავლელია. თუ კარგად არ მოუარეთ, იცოდეთ, ხელს არ მოგცემთ“.

„ჰაუ, მაგის საყოფს როგორ ვერაფერს ვიშოვნით. სანამ იმ დათვის მოსაკლავად წავიდოდეთ, მანამდეც რამეს მოვკლავთ, აბა, რიღას მონადირეები ვართ!“

გამატანა იმ მონადირეებს და წამომიყვანეს. დათვის ბუნაგთან რომ ავედით, ამიშვეს. დათვი, დიდი თეთრი დათვი, ჩემს დანახვაზე მთისკენ დაიძრა. ირბინა, ირბინა და მთაზე რომ ავიდა, უკანა ფეხებზე დაჯდა. მეც წამოვეწიე და დამელაპარაკა: „მოდი აქ, გვერდით მომიჯექი. მე დათვი კი არა, ავსათი ვარ. შენი ამბავი რომ შევიტყვე, დათვად გადავიქეცი. კარგად მახსოვს, ვირად და ცხენად ყოფნაში რა უბედურებაც გადაგხდა, მაგრამ მეც სად მეცალა. ახლა, დაე, მონადირეებმა ინადირონ, შენ დაბრუნდი სახლში და თავი მოიავადმყოფე. შენი პატრონი ქალი ათას ნუგბარ საჭმელს დაგაძალებს, მაგრამ შენ პირი არაფერს დააკარო“. მოგიკვდა პატრონი, ძაღლის ლეკვი ხარ, მეტი ხომ არაფერი“, იტყვის ქალი, ზედ გადაგალაჯებს და სასტუმრო ოთახში შევა. ქალს სასთუმალქვეშ ნაბდის მათრახი აქვს; ის რომ გარეთ გავა, შენ ნაბდის მათრახი გამოაცალე, ფეხით ტანზე მოისვი და რაც ურუზმაგი იყავი, ისევ იმადვე გადაიქცევი. ქალის შემოსვლამდე მის ოთახში იჯექი, მათრახიც ხელში გეჭიროს.

ავსათის დარიგება პირწმინდად შევასრულე. გადავიქეცი ურუზმაგად, დავიჭირე ხელში ნაბდის მათრახი და ქალის საწოლ ოთახში ვზივარ, ვუცდი, როდის შემოვა. ამასობაში იგი სასტუმრო ოთახიდან გამოვიდა.

„აჰა, ვაი შენი ბრალი: ახლა სადღა მოუსავლეთში წამიხვალ, მთელ ჩემს ჯავრს ამოვიყრი!“ — ვთქვი გულში.

ის ღამე იმ ქალთან გავატარე, დღლით ნაბდის მათრახი გადავკარი — ვირად იქეცი-მეთქი დ ქალი მართლა ვირად იქცა.

გამოვიგდე წინ და ნართებთან ჩამოვიყვანე. ყველა თქვენგანი იცნობს მას — ბორაანთ ნაცარა ვირს.

ეგაა ჩემს თავს გადახდენილი ამბავი. ამაზე დიდი საოცრება მე ცხოვრებაში არ მინახავს, — დაასრულა თხრობა ურუზმაგმა.

აცამ იფიქრა, იმსჯელა და გადაწყვიტა:

—ხამიცის მონაყოლი არაკიც საოცარია, სოსლანისაც, მაგრამ ურუზმაგის თავს გადახდენილი ამბები, ყველაზე გასაოცარია — ცხენადაც უცხოვრია, ვირადაც, ძაღლადაც! ეს მელიის ტყავი ურუზმაგს ეკუთვნის.

ურუზმაგმა მელიის ტყავით ქურქი შეაკერინა.

ურუზმაგის ქურქი დღესაც არ დავიწყებულა.

ახსართაგათებისა და ბორათების ბრძოლა

ახსართაგათები და ბორათები ნართების ორი გვარი იყო. მეზობლები იყვნენ და ერთმანეთისა შვიდ-შვიდ გზის სისხლი ემართათ.

ერთ მშვენიერ დღეს ახსართაგათების ბიჭები კორის თამაშით მოდიოდნენ. კორა ბორაანთ სამჭედლოში შეგორდა. ერთი ბიჭი უკან გამოუდგა. სამჭედლოში რომ შევიდა, ბორაანთ მჭედელი იქ დახვდა, ბიჭი დაიჭირა, მოკლა და ქურის წინ ამოთხრილ ორმოში ჩააგდო, ისე, რომ ზევით არ ჩანდა. ახსართაგათებმა ბიჭს ძებნა დაუწყეს. ურუზმაგმა, ხამიცმა და სოსლანმა ბიჭის ძებნაში ცის დასალიერი შემოიარეს.

ურუზმაგს ერთი ბერწი ძროხა ჰყავდა. სირდონმა რომ შეიტყო, ურუზმაგი ბიჭის საძებნად წავიდაო, ადგა, ძროხა მოპარა და დაუკლა. საღამოთი სოფლის მამაკაცები ნიხასში ისხდნენ. სირდონს შვიდი ბიჭი ჰყავდა. ერთმა მათგანმა ნიხასში მოირბინა და იქ მჯდომ სირდონს უთხრა:

— მამა, შავი ხარი თივას არ ჭამს.

სირდონმა უპასუხა:

— წამოკრიფეთ თივის ნამცეცები, წინ დაუყარეთ და თუ ჭამს — ჭამოს, თუ არა და საქელეხედაც დაკლულა. (სირდონის ნათქვამი ნიშნავდა:

წამოკრიფეთ ნაფოტები და ქვაბს ცეცხლი შეუნთეთ. თუ მოიხარშება, მოიხარშოსო).

ამ ქარაგმულად ნათქვამს ახსართაგათების ყმაწვილები მიხვდნენ. ხიხასიდან შეუმჩნევლად გაიკრიფნენ და თავი სირდონის სახლში ამოყვეს. შეხედეს, მათი ძროხის ხორცი ცეცხლზე შემოუდგამთ და ათუხთუხებენ.

ადგნენ ახსართაგათების ყმაწვილები, წაავლეს ხელი სირდონის შვიდივე ბიჭს და მდუღარე ქვაბში ჩაუძახეს — მანდ ჩვენი პერწი ძროხის ხორცთან ერთად იხარშეთო!

მოვიდა სირდონი შინ და დაიძახა:

— სად ხართ, ბიჭებო, თქვე გასაწყვეტებო!

როცა არავინ გამოეხმაურა, ქვაბს ქაფქირი ამოურია და თავისი შვილების ხელ-ფეხი ამოჰყვა. მთელი ღამე იღრიალა, აბა, რა ხეირი დაეყრებოდა!

დილით გარეთ გამოვიდა და მთელი ხმით გაჰყვირა:

— ჰეი, ახსართაგათებო, თქვე ძაღლებო! ჩემს დაჩაგვრას რა დიდი ღონე უნდა, თქვენი ბიჭის ცხედარი ბორაანთ სამჭედლოში რომ ლპება, რატომ იმათ არაფერს უშვრებითო?!

ახსართაგათებს შეურაცხმყოფელი სიტყვა ეწყინათ, მამაკაცები შინ არ იყვნენ და მარტო ყმაწვილები რას გახდებოდნენ.

ბორათებს აღარავის რიდი აღარ ჰქონდათ და ახსართაგათები სულ გაამასხარავეს.

სირდონს ეკითხებოდნენ: „რა უფრო ეწყინებათ ახსართაგათებს, რით დავამცირეთო". სირდონმა ასწავლა: „წადით და სამჭედლოში მაგათი ბიჭი რომ გყავთ დაფლული, ამოთხარეთ, მოსჭერით თავი, მარგილზე ჩამოაცვით და ისრით ნიშანში სროლა გააჩაღეთ — ახსართაგათებს მაგაზე ძლიერ არაფერი არ შეურაცხყოფს".

ბორათები მართლაც ასე მოიქცნენ.

ურუზმაგმა ხამიცმა და სოსლანმა ბიჭი სამი წლის განმავლობაში ძებნეს. დედამიწაზე შეუმოწმებელი კუთხე არ დარჩათ. ურუზმაგი შინ დაბრუნდა, ხოლო ხამიცი და სოსლანი კვლავ ძებნას განაგრძობდნენ.

შინ დაბრუნებული ურუზმაგი თავის სოფელს რომ მიუახლოვდა, ისრის წივილი მოესმა. ისრის წივილი მეტისმეტად რომ გახშირდა, ურუზმაგმა ცხენი ააჩქარა: „მოძალადე დაგვსხმია, ალბათ, თავს და მდევარში რომ არ ვიყო, სირცხვილია".

ახლოს მოსულმა ურუზმაგმა თავიანთი ბიჭის თავი იცნო — ნიშანზე რომ დაედოთ ბორათებს და ისარს ესროდნენ. ჰკითხა:

— მაგას რას შვრებით, რას ესვრით?

მათ უპასუხეს:

— აგერ ერთ ძაღლის თავს ვესვრით და ისარს ახლოსაც არ იკარებს!

— მეც მომეცით ნება, ვესროლო, — უთხრა ურუზმაგმა.

— არიქა, ესროლე! — დართეს ნება ბორათებმა.

ურუზმაგმა ლოცვა აღავლინა: „ო, ღმერთო, თუ ეს ჩვენი ბიჭის თავია, ჩემი ისარის გასროლამდე კალთაზე დამიჯდეს“.

მართლაც, თავი ასხლტა ბოძიდან და ურუზმაგის კალთას დაეცა.

ამასობაში ხამიცი და სოსლანიც დაბრუნდნენ. ამბავი რომ შეიტყვეს, აბა, როგორ არ ეწყინებოდათ.

ხალხმა ორ გვარს შორის მოსალოდნელი ჩხუბის თავიდან აცილების მიზნით ახსართაგათებს სთხოვა შერიგებულიყვნენ. თვით ახსართაგათების გვარის ქალიშვილმაც* სთხოვა შერიგება, მაგრამ მაინც არ თანხმდებოდნენ. შებრძოლებასაც ვერ ბედავდნენ, რადგან ბორათებზე ბევრად მცირერიცხოვანი იყვნენ.

ახსართაგათები როცა წალხის აზრს მიხვდნენ, რომ არ მოეშვებოდნენ და შერიგდებოდნენ, შესხდნენ ცხენებზე, ბორათებს მათრახების ტკაცუნით ჩაუარეს წინ და ქავთი-სარ-ხვიანდონ-ალდართან ჯარის სათხოვნელად გაეშურნენ.

როცა ურუზმაგი, სოსლანი და ხამიცი ქავთი-სარ-ხვიანდონ-ალდარისკენ მიემგზავრებოდნენ, ახსართაგათების ქალიშვილმა, რომელიც შერიგებას სთხოვდა, ასე დასწყევლა: „თუ შერიგება არ გინდათ, ბადალი რომ არ ჰყავს, იმ ერთადერთ ღმერთსა ვთხოვ, შვიდი წლის მანძილზე თქვენი მშვენრმეტყველი ენა დადუმდეს, თქვენი მშრელი ხმალი დაჩლუნგდეს, თქვენი ისარი მიზანს აცილდეს და მორბენალი ცხენი დაგივარდეთ“.

ახსართაგათები ქავთი-ხვიანდონ-ალდართან ჩავიდნენ. შეუთვალეს, და ალდარი სტუმრებთან გამოვიდა. ნართები ალდარს გამოელაპარაკნენ, მაგრამ რა უნდოდათ, ალდარმა ვერაფერი გაუგო. სათქმელს თავს ვერ აბამდნენ. ალდარმა ბრძანა:

— შეიყვანეთ საქათმეში და დააპურეთ!

ერთ დღეს სოფელში მოსისხლეთა საქმეს არჩევდნენ.

სტუმრებიდან რომელიმე რომ დაგვესწრებოდესო და ურუზმაგი წაიყვანეს. მიიყვანეს და უთხრეს:

— სტუმარო, რამე გვირჩიე.

ურუზმაგმა დაიწყო ლაპარაკი, მაგრამ მისი ნათქვამიდან მსაჯულებმა ვერაფერი გაიგეს და თავი გაანებეს.

ერთგან მიცვალებულის პატივსაცემად დოღი იყო გამართული და

ახსართაგათებს შეუთვალეს: თქვენი ცხენებიდან ერთი დოღზე გამოგზავნეთო.

ახსართაგათებმა ურუზმაგის ჭრელი ცხენი გაუგზავნეს.

დოღის ცხენები გააჭენეს. ურუზმაგის ცხენი ისე ძლიერ ჩამორჩა, რომ ქელეხსაც ვეღარ მოუსწრო.

დოღის შემდეგ ყაბახი გაიმართა. შეუთვალეს ნართებს, გამოდით, თქვენც ისროლეთო.

ხამიცმა და სოსლანმა რამდენჯერმე ისროლეს, მაგრამ ისარი ყაბახს ახლოსაც ვერ მიუწვდინეს.

სოსლანს ხარის დასაკლავად ხმალი გამოართვეს, მაგრამ ხმალმა ხარს კისერზე ბეწვიც ვერ გაუჭრა.

ქავთი-სარ-ხვიანდონ-ალდარი ნართებს ზედაც აღარ უყურებდა, აღარაფრად თვლიდა.

შვიდი წელიწადი რომ გასრულდა, გამწარებული სოსლანი გამოვიდა და სალესავზე ხმალს ლესვა დაუწყო. სალესავს წყლის ნაცვლად სიმწრის ცრემლით ასველებდა. „ჰაი, დედასა, არ გვერჩივნა იმ დალოცვილ ღმერთს სულაც დავეღუპეთ! მაგრამ ხვიანდონ-ალდარი რომ არ გვკადრულობს, ამას კი ნამდვილად არ შევარჩენ!“ სოსლანმა ხმალი ცრემლით გარეცხა, მერე გაბრაზებულმა ქვას დასცხო, ქვა ორად გააპო, ხმალი მიწაში წავიდა და ისეთი ნაპერწკლები გაჰყარა, არიყის ველზე თომს ხანძარი მოედო. სოსლანმა გაიხარა.

სოფელში კვლავ სისხლის სასამართლო გაიმართა. მოიწვიეს ურუზმაგი და თხოვეს:

— ბერიკაცო, გვირჩიე რამე!

ურუზმაგმა თავისი აზრი თქვა. როცა დაასრულა, მისი ნათქვამი ისე დაუჯდათ ჯკუაში, რომ არც არა მიუმატეს, არც არა გამოაკლეს.

დოღიც გამართეს. ამ დოღზე ნართებს ერთი ცხენის გამოყვანის ნება კვლავ დართეს. ურუზმაგის ჭრელი ცხენი გაიყვანეს. დანარჩენი ცხენები ჯერ შუა გზაშიც არ იყვნენ, რომ ურუზმაგის ცხენი უკვე მოვიდა. გზად რომელსაც წამოეწეოდა, ზოგს კუდს აგლეჯდა, ზოგს — ყურს.

ქელეხის ხარის დასაკლავად სოსლანს ხმალი თხოვეს. ხარს კისერზე დაადეს თუ არა, თვალისდახამხამებაში გამოსჭრა ყელი, მერე ყასაბს ხელიდან გაუსხლტა და იმასაც მუხლები წააჭრა.

ახსართაგათები ახლა ყაბახზეც მიიწვიეს. სოსლანი ყაბახზე ცხენზე ამხედრებული წავიდა. მოჯირითე ცხენიდან დაუმიზნა ყაბახს ისარი და გაატანინა.

ნართებს სახელი გაუვარდათ:

„ისეთი ხალხია, მათ კაცს ლაბარაკში ვერავინ დაჯაბნის, მათ ცხენს

სირბილში ვერა ცხენი ყერ გაასწრებს, იარაღის ხმარებაშიც ვერავინ შეედრებათ".

მათი ქების ხმა ალდარის ყურსაც მისწვდა. გამოვიდა იგი და უთხრა:

— მაპატიეთ, სტუმრებო. არ ვიცოდი, ასეთი ხალხი თუ იყავით; ახლა მიბრძანეთ, საიდან ხართ, ჩვენგან რა გნებავთ?

მათ უპასუხეს:

— ჩვენ ჯარის სათხოვნელად გეახელით. თქვენთან რომ მოვდიოდით, დაგვწყევლეს და შვიდი წლის მანძილზე ასე იმიტომ გავიტანჯეთ.

ალდარმა უთხრა:

— ჩემი ჯარის თხოვება, ვინც მისი რაოდენობა არ იცის, იმისთვის არ შეიძლება. ამას გარდა, ჩემს ჯარს ბრძოლის ასეთი წესი აქვს: როგორც კი მტერს დაინახავს, ყველა ცხენოსანი წინ გაიჭრება. ვინც ციხის კართან პირველი მიიჭრება და ხმალს დასცხებს, იმას თქვენი უფროსის ცოლი უნდა აჩუქოთ, ხოლო რომელიც კარს ხმალს შემდეგი დასცხებს, იმას უფროსის ცხენი უნდა აჩუქოთ.

ახსართაგათები შეფიქრიანდნენ, მერე თქვეს: „წავიდეთ, სათანას ვკითხოთ, — იმან თუ არ გვიშველა, ჩვენ ვერაფერს გავხდებით".

ურუზმაგი შინისკენ გამოეშურა. მოვიდა და სკამზე გაბრაზებული დაჯდა.

— რა დაგემართა, ბერიკაცო?

— რა უნდა ვქნა... ჯარი კი ვიშოვნეთ, მაგრამ ბორაანთ ჭიშკარს ხმალს პირველი ვინც დასცხებს, იმას შენი თავი უნდა ვაჩუქო, მეორედ ვინც დასცხებს — იმას კიდევ — ჩემი ცხენი... ცხენი ბარემ არ მედარდება, მაგრამ გზაში ვცადეთ და სამ მათგანს ჩემი ცხენი სულაც ვერ ეწევა. როგორ მოვიქცე?

— სრულებითაც ნუ შემიშინდები, ბერიკაცო, მაგათ მე მოვუელი, — უთხრა სათანამ.

— ამას გარდა ქავთი-სარ-ხვიანდონ-ალდარმა გვითხრა, ვინც ჩემი ჯარის რაოდენობა არ იცის, იმას ჯარს ვერ მივცემო.

სათანამ კვლავ დააიმედა:

— ნურც მაგით შეშინდები; ჯერ მოისვენე, ხვალ ყველაფერი გეცოდინება.

სათანა საკერავს მიუჯდა. სამტოტიანი შარვალი გამოჭრა და შეკერა. გამთენიისას ეს შარვალი კოშკის კედელზე გამოკიდა.

ნართი სირდონი ხომ ძალიან ეშმაკი იყო! კოშკის გვერდით ჩამოიარა და შარვალს რომ ახედა, თქვა: „აი, საოცრება! ბორაანთ ჯარი ასჯერ ასია; ორი ამდენიც ახსართაგათების ჯარია; მათში კოჭლიც ურევია, ბრმაც.

კუტიც, მაგრამ სამფეხიანი ერთიც არ შემიმჩნევია. სათანას ეს სამტოტიანი შარვალი ვისთვის დაჭირდა?“

სათანამ სირდონის ნათქვამი მოისმინა და ურუზმაგს გადასცა. წამოვიდა ურუზმაგი და ამხანაგებს ყველაფერი უამბო.

ხვიანდონ-ალდარმა მათ უთხრა:

— შესხედით, აბა, ახლა ცხენებზე და უკან მოუხედავად წინ გააქროლეთ. თუ უკან მოიხედავთ, ჩემი ჯარი აღარ გამოგყვებათ.

ურუზმაგი, ხამიცი და სოსლანი შესხდნენ ცხენებზე და შინისკენ გამოაქანეს. კარგა მანძილი რომ გამოიარეს, ურუზმაგმა უკან მოიხედა, ხვიანდონ-ალდარი ხომ არ გვატყუებსო. ხედავს, მინდორი ჯარს გადაუშავებია.

— რად მოიხედე უკან, — შესძახა ერთმა ჯარისკაცმა; როცა ურუზმაგმა უკან მოიხედა, ციხის კარი, საიდანაც ჯარი გამოდიოდა, უცბად მიიხურა და სხვებს გამოსვლა აღარ შეეძლოთ.

— ესენიც საკმარისიაო, — თქვა ურუზმაგმა.

ცხენოსნებიდან ერთი სულ ფრენით მიდიოდა; დაწინაურდა და ბორაანთ ჭიშკრისთვის ხმალი რომ უნდა დაეკრა, სათანამ ლოცვა აღავლინა: „ო, ღმერთო, პირველი სამი მხედარი წააქციე, ოღონდ არაფერი დაუშავდეთ; მოახდინე ისე, რომ ურუზმაგი დაწინაურდეს!“

სათანამ თქვა ეს თუ არა, სამივე მეწინავე მხედარი ძირს დაეცა, ჭიშკართან პირველი ურუზმაგი მიიჭრა, დასცხო ხმალი და შეაღო.

ჯარმა ბორათები დახოცა. ბავშვებისა და ქალების გარდა, რომელთაც ადგილზე მიუსწრეს, ცოცხალი აღარავინ გაუშვეს.

ნართები და დევის ძვალი

ნართებიდან თორმეტი კაცი სათარეშოდ გაემგზავრა. ვინ იცის, რამდენი იარეს, მაგრამ ვერსად ვერაფერს წააწყდნენ. ერთ ტრიალ მინდორზე გავიდნენ და კიდეც შემოაღამდათ. გზა განაგრძეს, სოსლანის შუბი რაღაცას წამოედო. ნახეს და რაღაც გამოქვაბულის მსგავსი აღმოჩნდა. შევიდნენ შიგ და უკვირთ: „ირგვლივ არც ტყე ჩანს, არც — კლდე, ეს რა უნდა იყოს?“

ღამე იქ გაათიეს. გამთენიისას დახედეს და ის, რაშიც ღამე გაათიეს, თურმე, ერთი ვეება თავის ქალა ყოფილა.

ნართებმა ღვთისადმი ლოცვა აღავლინეს: „ო, ღმერთო უზენაესო, ეს კაცი როგორიც ცოცხალი იყო, ისეთადვე აქციე, მხოლოდ თვალით ვერაფერს ხედავდეს!“

ღმერთმა ნართების ლოცვა ისმინა. თავის ქალას დანარჩენი ძვლებიც მიუერთა და დევი გაცოცხლდა, მხოლოდ თვალით ვერ ხედავდა. წამოჯდა დევი და გაიზმორა. ნართები ძლიერ გაოცდნენ. დევმა მათი ხმა გაიგონა და იკითხა:

— ვინ ხართ?

— ჩვენ ნართი ხალხი ვართ, — უპასუხა სოსლანმა.

დევმა სოსლანს უთხრა:

— ხელი გამომიწოდე, აღნაგობა გაგისინჯო.

სოსლანი მისკენ წავიდა, მაგრამ მიახლოვებისას დევის პირიდან წამოსული ოხშივარი ეცა და უკან მოისროლა. მაშინ სოსლანმა უკნიდან მოუარა და ხელი გაუწოდა. დევმა მკლავის ძვლები მოუსინჯა და უთხრა:

— რა წვრილი აღნაგობისა ყოფილხართ? მითხარით, რითი იკვებებით?

სოსლანმა უთხრა:

— პურითა და ნადირის ხორცით.

დევმა ხელი ჩაიქნია და თქვა:

— აბა, მაშ, დაღუპულხართ.

სოსლანმა ჰკითხა:

— აბა, თქვენ რით ცოცხლობდით?

— ჩვენ მიწის ცხიმი გვაცოცხლებდა.

— მიწის ცხიმით როგორ ცოცხლობდით?

დევმა მკლავი მოიშიშვლა და მიწაში მბრამდე ჩაუშვა. მთელი მუჭა მიწა ამოიღო და სოსლანს უთხრა:

— ხელის გული შემიშვირე!

სოსლანმა ხელები შეუშვირა. დევმა მიწა გაწურა და სოსლანს მუჭი ცხიმით აევსო.

— ახლა ალოკე, — უთხრა დევმა.

სოსლანმა ალოკა და გული მსუქანი ხორცივით მოუმსუყა.

დევმა უთხრა:

— ახლა მთელი კვირა ჭამა აღარ მოგინდება.

სოსლანმა ჰკითხა:

— როგორ ერთობოდით, რა სახის თამაში იცოდით?

დევმა უთხრა:

— აგერ იქ, დიდ გორაკს ხედავ?

— ვხედავ, — უპასუხა სოსლანმა.

— აბა, ადი იმ გორაკის თავზე და ჩვენს გართობებს გიჩვენებ.

სოსლანი გორაკის თავზე ავიდა და დევს გადმოჰყვირა, აგერ ვარო და იმ წამს ადგილი შეიცვალა. დევმა ყველაზე დიდი ხე ძირიანად მოგლიჯა და გორაკს სთხლიშა. ხემ გორაკი ამოატრიალა და აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტა. დევმა სოსლანს დაუძახა:

— რა იქენი? არაფერი მოგხვდა?

— არაფერი არ მომხვედრია, თავი დავიძვრინე.

დევმა უთხრა:

— აბა, ჩვენ თავის დაძვრენისა არაფერი გაგვეგება. თქვენ რაღაც ეშმაკის ჯიშისა ყოფილხართ. გთხოვთ, თავი დამანებოთ, ნუღარ მაწვალებთ.

მაშინ ნართებმა კვლავ ლოცვა აღავლინეს: „ო, ღმერთო უზენაესო, როგორიც იყო, ისეთადვე გადააქციე!“

და მართლაც, დევი როგორიც იყო, ისეთადვე იქცა.

ნართები შინ დაბრუნდნენ და კვლავ თავიანთი ჩვეულებრივი ცხოვრება განაგრძეს, ჭამდნენ, სვამდნენ, საოცარი და საარაკო ამბები არ ელეოდათ.

აისანა

ნართ ურუზმაგს ვაჟი შეეძინა და ეს ამბავი ზეციურ საფას ცის ჭუხილივით შეესმა. ვინც ახალშობილს ძეობას გაუმართავდა, მისი ყანად აყვანის უფლებაც მას ეკნებოდა. საფამ თეთრ ხარს ყელზე აბრეშუმის თოკი გამოაბა და ნართების სოფელში ჩამოიყვანა. ურუზმაგის ეზოს მიადგა და დაიძახა: „ახალშობილს გაზრდა და სიცოცხლე ჰქონოდეს, მე კი — ყანის უფლება!“ დაკლა ხარი და ნართებს სუფრა გაუმართა. ბიჭს სახელად აისანა დაარქვეს და საფამ თავისთან, ზეცას წაიყვანა.

აისანა რომ წამოიზარდა, საფას მეგობრები მის სანახავად მოვიდნენ. ვასთირჯი და ავსათი ერთად მობრძანდნენ, თუთირი და ვაცილა — ერთად, ხოლო ნოგბონი* და ელია — ერთად.

ყანი სტუმრებს გამოეგება, უფროს-უმცროსობით ჩამოართვა ყველას ცხენები, მოხადა უნაგირები, მათრახები და ნაბდებიც გამოართვა და ყველაფერი დააბინავა.

საფამ სტუმრები შინ შეიყვანა. სავარძლებში ჩასხა და წინ ათასგვარი სასმელ-საჭმელით სავსე ფინგები* დაუდგა. აისანამ ქუდი მოიხადა და სტუმრებს მერიქიფობას უწევდა. როცა სტუმრები პურობას მორჩნენ, წამოიშალნენ და გარეთ გამოვიდნენ. გადმოხედეს დაბლა დედამიწას, ნართების სოფელს და შეამჩნიეს, რომ ნართების სოფელი აგვერის ლაშქარს ცხენის ჩონჩორიკით აევსო.

ნართების რჩეულნი სათარეშოდ ყოფილან წასულნი; დანარჩენები ერთად შეგროვილიყვნენ და „სიმდი" გაეჩაღებინათ. აგვერის მოლაშქრეები რომელ ნართსაც ბეჭში ისარს დაჰკრავდნენ, იგი უფრო მსუბუქად განაგრძობდა სიმდს, რომელსაც მუხლებში შუბს აძგერებდნენ, უფრო მეტი სიფიცხით აცეკვდებოდა.

ღვთაებები ძლიერ გაოცდნენ. „რისგან არიან შექმნილნი ნართები — სხეულში ან ისარი არ ატანთ, ან დანა არ ეკარებათ?"

სწორედ ამ დროს სოსლანის ცოლი — მზესავით პირბადრი და ცისკრის ვარსკვლავივით მოციმციმე — გარეთ გამოვიდა და წყალს სვამდა. გამჭვირვალე, ქათქათა ყელში წყალი უბრწყინავდა და ზეციდანაც ნათლად ჩანდა, როგორ გადადიოდა შიგ.

სტუმრები შინ შებრუნდნენ, კვლავ სუფრას მიუსხდნენ და საფას გაკვირვებულებმა უამბეს ის, რაც მიწაზე იხილეს.

მათ საუბარზე აისანას ხურა ხელიდან გაუვარდა. საფამ შეუტია:

— შე არდასარჩენო, რა დროს შენი ცოლის თხოვაა, ხურა ხელიდან როგორ დაგივარდა?

— განა ხურა ქალის ხსენებაზე გამივარდა! ნართების სოფელში მოხუცი დედ-მამა მყავს დატოვებული. აქამდე, ალბათ, აგვერის ლაშქარმა ფეხქვეშ გამითელა, მე კი აქ გემრიელ პურს მივირთმევ. ის მზესავით პირბადრი და ცისკრის ვარსკვლავივით მოციმციმე ქალი ჩვენი რძალია — სოსლანის ცოლი. ჩვენი მამაკაცები, ალბათ, პირწმინდად სალაშქროდ წასულან, თორემ ვინ შემოგვბედავდა. ჩვენი რძალიც უმიზეზოდ ლხინში გამოსვლას არ იკადრებდა.

საფამ თავის სტუმრებს მიმართა:

— ყანი დამისაჩუქრეთ, სტუმრებო.

ვასთირჯიმ თქვა:

— მე ჩემს კოპწია რაშს ვაჩუქებ.

— რა ღირსება აქვს?

— ღმერთია მოწმე, ქვეყნის ერთი კიდიდან მეორემდე ელვის სისწრაფით გადის გზას, — უპასუხა ვასთირჯიმ.

— ელია, ახლა შენი ჯერია, შენ რით დაასაჩუქრებ ჩემს ყანს?

— ჩემს თოფს ვაჩუქებ.

— რა ღირსება აქვს?

— ღმერთია მოწმე, ჯარს ესვრის და სულ ქვიშასავით დააღავებს.

— თუთირ, ჩემს ყანს შენ რაღას აჩუქებ?

— მე ჩემს თვითმსროლელ კაპარჭს ვაჩუქებ.

— ვაცილა, შენ?

— მე კი — ფოლადის დანას.

— ნოგბონ, შენ რით ასაჩუქრებ ჩემს ყანს?

— მე ბრძოლის ველზე მისი შემწე ვიქნები, ხოლო ჩემს საჩუქარს ბრძოლის შემდეგ მიიღებს.

აისანა საბრძოლოდ გამოეწყო, ვასთირჯის ნაჩუქარ სამფეხა რაშს ზურგზე მოევლო და ნართებისკენ გამოემართა. მთელი სოფელი წამოიშალა და სიხარულით შეეგება. იმ ხანად სათანა სამშობლოში წასულიყო და იმასაც შეუთვალეს.

მხოლოდ სოსლანის ცოლი არ განძრეულა ადგილიდან და აისანამ წყენით უთხრა:

— შე კაი ქალო, რა მძიმე-მძიმედ იქცევი? მართალია, შინაური ვარ, მაგრამ ადგილიდან წამოდგომა მაინც გმართებს.

ქალმა უთხრა:

— რად უნდა წამოგიდგე, მა ხურ, ნართების სოფლიდან აგვერის ლაშქარი ხომ არ გაგიბრუნებია.

ამის გაგონებაზე აისანა კვლავ რაშს მოახტა და ბრაზისაგან გაცეცხლებული აგვერის ლაშქარს დაერია. დაუწყო ჟლეტა და დახოცილთა სისხლის ნიაღვარში ცოცხლებიც იხრჩობოდნენ. პირწმინდად გაანადგურა აგვერის ლაშქარი, გაწმინდა სოფელი მათგან და უკან გამობრუნდა. მთელი სოფელი სიხარულით შეეგება. მიწაზე ფეხს არ აკარებინებდნენ, სოსლანის ცოლი ადგილიდან მაინც არ დაძრულა.

აისანამ კვლავ მიმართა:

— შე კაი ქალო, ეგეთი ზარმაცი რა ხარ, ზეზე რომ ვერ ამდგარხარ!

ქალმა უპასუხა:

— რად წამოგიდგე, მა ხურ, ის ხე ხომ არ მოგიტანია და ჩემს ეზოში არ დაგირგავს, რომელიც მზის ჩასვლიდან შუაღამემდე ჰყვავის, შუაღამიდან გათენებამდე მწიფს და რომლის გამოც ორი მთა ერთმანეთს ერკემლებივით ეჭიდება?

ეწყინა აისანას ქალის ნათქვამი და იმ ხის მოსატანად გაბრუნდა. გზაში თავისმა ცხენმა ჰკითხა:

— სად მიდიხარ, შე უღვთო, მეც გამაგებინე.

აისანამ ცხენს უთხრა:

— მზის ჩასვლიდან შუაღამემდე რომ ჰყვავის, შუაღამიდან გათენე-

ბამდე რომ მწიფს და რომლის გამოც ორი მთა ერთმანეთს ერკემლებივით ეჯიდება, ის ხე უნდა ჩამოვიტანოთ.

ცხენმა უთხრა:

— მაგ საქმეს ნუ მოისურვებ. იმ ხის მოსატანად ბევრი შენისთანა წასულა, მაგრამ უკან საკუთარი თავიც ვეღარ მოუტანია.

— მეტი საშველი არ არის, უნდა მოვიტანო, — უპასუხა აისანამ.

ცხენმა დაარიგა:

— აბა, მაშ მოსართავები მაგრად მომიჭირე, კუდიც მაგრად გამომინასკვე, გაუნასკვავი მხოლოდ სამი ძუა დამიტოვე. მერე ისეთი გადმომკარი. მე გვერდებიდან საძირე ტყავი ამძვრეს, შენ კი ხელის გულიდან — მათრახის ენის საყოფი ტყავი.

ორ მორქენალ მთას რომ მიუახლოვდნენ, აისანამ ცხენს მოსართავები მოუჭირა, კუდი მაგრად გამოუნასკვა და ისეთი გადაუჭირა, რომ თვითონ ხელისგულზე მათრახის ენის საყოფი ტყავი ასძვრა, ცხენს კი გვერდებიდან საძირე ტყავი.

ცხენმა მთებს შუა ერთი ისკუპა, აისანამ ძირიანად მოგლიჯა ხე და უკან გამობრუნდა. ის იყო, მთებმაც მოუსწრეს და ცხენს ის სამი ცალი ძუა წააწყვიტეს.

წამოვიდნენ და ცხენმა აისანას უთხრა:

— დედაჩემს სამი დღე რომ კიდევ ეწოვებინა; მთები იმ სამ ცალ ძუასაც ვეღარ დამაკლებდნენ.

მოვიდა აისანა ნართების სოფელში და ის ხე სოსლანის ცოლის ეზოში დარგო.

კვლავ გარს შემოეხვივნენ აისანას ნართები და ხარობდნენ — ეს რა საოცარი ხე მოგვიტანაო.

სოსლანის ცოლი მაინც არ წამომდგარა და აისანამ უთხრა:

— ახლა რატომ არ წამოდგები, რაღას მოიმიზეზებ?

ქალმა უთხრა:

— რად უნდა წამოგიდგე, რომელი სავმარონ ბურძაბახი შენ მოგიტაცია?

აისანამ ცხენი შემოაბრუნა და სავმარონ ბურძაბახის მოსატაცებლად წავიდა. სავმარონ ბურძაბახი ისეთ კოშკში იჯდა, მის წვერს თვალი ვერ სწვდებოდა. ცოლად კი ისეთ კაცს გაყვებოდა, ვისი ხმაც კოშკის წვერამდე ააღწევდა.

მის შესართავად ბევრი სასიძო მოსულა, მაგრამ კოშკის წვერამდე ხმა ვერ მიუწვდენიათ და იქვე გაქვავებულან.

აისანამ კოშკის ძირიდან დაიყვირა, მაგრამ ხმა კოშკის შუაწელამდეც ვერ მიაწვდინა და მუხლებს ქვემოთ გაქვავდა. მეორედაც დაიყვირა. კვ-

ლავ ვერ მიაწვდინა კოშკის წვერს ხმა და წელქვემოთ გაქვავდა. ბიჭს თვალები ცრემლით აევსო. ამ დროს ცხენმა დაუძახა:

— რა იქნენ, ჩემო მხედარო?

აისანა გაეხმაურა:

— აგერ ვარ, მაგრამ, აღარაფერი შემიძლია. შენი თავი დამჭირდა, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ.

ცხენმა ისეთი დაიჭიხვინა, რომ კოშკს წვერი მოერღვა და ჩამოიქცა. აისანაც როგორიც იყო. ისეთადვე გადაიქცა.

სავმარონ ბურძაბახმა ცხენის ჭიხვინზე იცნო აისანა და კოშკის წვერიდან დაბლა გამოეშურა.

ჩამოვიდა კოშკის ძირში და აისანას გამოელაპარაკა:

— მომიხველ, აისანა?

— დიახაც მოგივედი, ახლა გარეთ გამო და წავიდეთ.

სავმარონ ბურძაბახი გამოვიდა კოშკიდან და აისანას უნაგირს უკან შემოუჯდა. წამოსასვლელად რომ დაიძრნენ, აისანამ ქალს ჰკითხა:

— ეს რა ამბავი თეთრი ქვა ყრია, რა არის?

— ეგენი ქვები როდია, ჩემს სათხოვნელად მოსული სასიძოებია. მათმა ხმამ კოშკის წვერამდე ვერ ამოაღწია და ქვად იქცნენ.

აისანამ უთხრა:

— აბა, მაშ, ისევ კაცებად აქციე!

სავმარონ ბურძაბახმა აისანას უთხრა:

— არ გინდა. შენ შენმა ცხენმა მოგიმართა ხელი, თორემ აქ შენზე უკეთესი ვაჟკაცები მოსულა. ეგენი რომ გავაცოცხლო, ჩემს თავს შენ აღარ დაგანებებენ.

— არა, უნდა გააცოცხლო! — დაიჩემა აისანამ.

სავმარონ ბურძაბახმა თავისი აბრეშუმის თავშალი მარჯვნივ შეაბრუნა და ის ქვები სულ საჭორწილო ვაჟკაცებად იქცნენ. ყველამ მოინდომა ბურძაბახის წართმევა და აისანას შეებნენ. როგორც კი ერთ-ერთმა ხმალი მოუქნია აისანას, სავმარონ ბურძაბახმა თავშალი ახლა მარცხნივ შეაბრუნა და იმ წამსვე ყველა გაქვავდა.

წამოიყვანა აისანამ სავმარონ ბურძაბახი და ნართებთან მოვიდნენ. მთელი სოფელი შეხაროდა აისანას და მის პატარძალს, ძღვენები მოჰქონდათ და ბედნიერებას ულოცავდნენ. სათანაც სამშობლოდან დაბრუნდა. ძლიერ გაიხარა თავისი შვილის ბედნიერებით და წვეულებისთვის რონგის გამოხდის თადარიგს შეუდგა.

სათარეშოდ წასული ურუზმაგი, სოსლანი და ხამიციც დაბრუნდნენ და აგვერის ლაშქარი რომ განადგურებული დახვდათ, მათ სიხარულს მთლად საზღვარი აღარ ჰქონდა.

— ჩემი პატარა აისანას ჭირიმე, ჩვენი სოფელი მტრის ცხენის ფლოქვებისაგან რომ გაათავისუფლა. დიდხანს იცოცხლოს ჩემმა სათანამაც, ნართებს ასეთი ფეხმარდი ვაჟკაცი რომ გაუზარდა, — თქვა ურუზმაგმა.

სოსლანის ცოლი ზლაზვნით წამოდგა ზეზე და აისანამ უთხრა:

— რა დაზარებით წამოდექი, შე კაი ქალო, გერჩივნა, ისევ მჯდარიყავი!

ქალმა კვლავ უთხრა:

— შარდად რისთვის წამოგიხტე, მე შენ გითხრა, ის ქურჭი მოგიტანია, საყელოთი რომ მღერის, სახელოებით ტაშს უკრავს და კალთებით ცეკვავს.

მაშინ აისანამ მიუგო:

— ის ქურჭი თუ შენი შეკერილია, მოგიტან, თუ არა მისი მოტანა არ შემიძლია.

ქალმა ახლა კი ხმა გაკმინდა, რაღას ეტყოდა!

სათანას ვაჟი

ერთხელ ნართი ურუზმაგი ერთი წლის ვადით სათარეშოდ გაემგზავრა; საით წავიდა, ეს არავინ იცოდა. სათანა ფეხმძიმედ იყო, მშობიარობის დრო რომ დაუდგა, სამი თაფლიანი კვერი გამოაცხო და ღმერთს შესთხოვა:

— ღმერთო, უზენაესო! ჩვენს ქვეყანას მთელი წლის განმავლობაში რაც ნისლი და ღრუბელი უნდა მოუვლინო, ის ამ საათში მხოლოდ სოფელს მოუვლინე!

მართლაც ნართების სოფლის ცაზე მრუმე ნისლი ჩამოწვა. სათანამ თუთირის ღეღეს დაბადებული მოზვრები ურემში შეაბმევინა, თავი თერგის პირზე წააყვანინა და იქ ვაჟი შობა.

ახალშობილს სკივრი გაუკეთეს, სკივრი ნავში ჩადეს და ნავი ზღვაში შეაცურეს.

სათანა კვლავ ურემზე დაჯდა და შინ მშვიდობით დაბრუნდა.

ნავი ზღვის ზედაპირზე მიირწეოდა, ტალღები ბურთივით ათამაშებდნენ და აქეთ-იქით ისროდნენ.

ამგვარად ნავმა მეთევზეებამდე მიაღწია.

მეთევზეებმა გააჩერეს ნავი, გახსნეს სკივრი, ამოიყვანეს ცოცხალი ბავშვი და ალდარის სოფელში მიიყვანეს.

ალდარმა ბავშვს საკუთარი შვილივით დაუწყო გაზრდა.

როცა ბავშვი წამოიზარდა, თავისი ხასიათები და მიდრეკილებები გამოამჟღავნა: მის ძარღვებში ნართული სისხლი რომ ჩქეფდა, ამას, ვინც კი ნართებს იცნობდა, ყველა მიხვდა. ჯერ იყო და თამაშის დროს ტოლებს — გოგონებსა თუ ბიჭებს — ძლიერ აწვალებდა. ამას გარდა წყალზე თუ წისქვილში მიმავლებიც უჩიოდნენ: აღარავის შეარჩინა სურა, კასრი თუ გუდა — მშვილდ-ისრით უმტვრევდა და უხევდა; რა წაეხდინა, რა გაეფუჭებინა, სულ ამას ეძებდა.

მთელ სოფელს თავი მოაბეზრა. ბოლოს შეიკრიბა ხალხი, ალდართან მივიდა და უთხრა:

— ბევრჯერ შემოგჩივლეთ შენი ნაპოვარა ბიჭის უზნეო საქციელის გამო, მაგრამ ის თავისას მაინც არ იშლის. მის მოსაჭკვიანებლად შენც არაფერს ცდილობ. დრო კია, გონს მოეგოს — აღარც ისე პატარაა, უკვე საულვაშე აუბიბინდა. უკანასკნელად გეუბნებით, ალდარო ან — ჩვენ, ან — ეგ ბიჭი!..

ალდარი დაღონდა. ბევრი იფიქრა, იფიქრა და ასე გადაწყვიტა: „ჩემს ყანს ჩემი სოფელი საცხოვრებლად აღარ გამოადგება. შორს, უცხო მხარეს უნდა გავგზავნო“.

ყველაფერი მოუმზადა: ტანსაცმელი, იარაღი, ცხენის რემიდან ყველაზე საუკეთესო ცხენი გამოურჩია და შეუკაზმა. მერე ადგა და თორმეტი მხედარი გააყოლა. მხედრები ბიჭისაგან ფარულად წინასწარ გააფრთხილა:

— ჩემს გარზდილს ცოლის თხოვნის საბაბით სოფლიდან ვისტუმრებ. გაჰყევით დიდ გზაზე. ერთგან რკინის კარს მიადგებით. კარი დაკეტილი დაგხვდებათ; ბიჭი მის გაღებას მათრახის ტარით შეეცდება, მაგრამ ვერ გააღებს. მერე ცხენს მათრახს გადასცხებს. ცხენი რკინის კარს ფრინველივით გადააფრინდება. როგორც კი ბიჭი რკინის კარს იქით მოექცევა, თქვენ ცხენები თავდაუზოგავად უკანვე გამოაჭენეთ. არ დაგავიწყდეთ, ყველა ერთი გზით ნუ ივლით, ცალ-ცალკე დაიფანტეთ.

ალდარის ყანი თავისი თორმეტი მხლებლითურთ გაემგზავრა. დიდ გზაზე ერთ რკინის კარს მიადგნენ. ბიჭი კარს მათრახის ტარით მიაწვა, მაგრამ კარი არ გაიღო. ბიჭმა სადავეები მოზიდა და ცხენს მათრახი გადაუჭირა; კურდღელივით ისკუპა ცხენმა და რკინის კარს თავზე გადაევლო. მისი მხლებლები სათითაოდ დაიფანტნენ და მოუსვეს.

ბიჭმა მათ ერთხანს უყურა, მერე გზა განაგრძო. ბევრი იარა თუ ცოტა, ვინ იცის, და ერთხელაც ცხენზე ჩამოეძინა. ცხენი თავისი გზით

შიდიოდა და ერთგან სამმა მხედარმა გზა მოუჭრა. მხედრები ნართები გამოდგნენ — ახსართაგაანთ სახელოვანი ვაჟკაცები: ურუზმაგი, ხამიცი და სოსლანი.

„მთლად ტყუილად არ გვიხეტიალია, — თქვეს ნართმა მგზავრებმა, — ეს მხედარი რამეში გამოგვადგება; სულ თუ არაფერი, ჩვენი დედაკაცებისთვის ქვედასაცვლების საკმარ ფასს მაინც აიღებს“.

გამოექანა სოსლანი, დააჯახა ცხენი, მაგრამ მხედრის ცხენს ნაბიჯიც არ გაუმრუდებია, თავისი გზით მიდიოდა.

ახლა ხამიცმა გააფიცხა თავისი ცხენი, მთელი ძალით დააჯახა მხედრის ცხენს... ზოგჯერ ცხენი ფეხსაც შეიშლის! ამ ცხენმა კი ნირიც არ შეიცვალა. შემდეგ ურუზმაგმა მიმართა მხედრისაკენ თავისი განთქმული არფანი, მაგრამ ურუზმაგის ჭრელასაც არაფერი დაუთმო მხედრის ცხენმა.

ბოლოს მხედრის ცხენი გამოელაპარაკა მათ:

— დაგვანებეთ თავი და ჩვენს გზაზე გაგვიშვით. არა და ჩემს მხედარს თუ გაეღვიძა, მაგ საქციელს განანებთ.

რომ აღარ და აღარ მოეშვნენ ნართები და ცხენმხედარი ღვთის ნებაზე აღარ დააყენეს, ცხენმა ტანი შეარხია.

მხედარს გაეღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და ნართი მოძალადეები დალანდა. შემოუბრუნდა, დაერია ცხენდაცხენ და შენს მტერს — იმათ დღე აყარა: ნართი ურუზმაგი და ხამიცი ხურჯინივით ერთმანეთზე გადააბა და უნაგირს უკან გადაჰკიდა. სოსლანს ქამარში შუბი გაუყარა, ცხენიდან გადმოიღო და ეგრე შუბზე წამოცმული წამოიღო. გამოირეკა მათი ცხენებიც და გზა განაგრძო.

— იქნებ არ გეგონათ, ასეთი ამბავი თუ დაგემართებოდათ, მაგრამ ჩემგან რასაც იხეირებთ, იმასაც გიჩვენებთ. ავდგები და ამ ყოფით თქვენს ქვეყანაში ჩაგიყვანთ, იქ თქვენი ცოლების წინაშე დაგსვამთ, — უთხრა ბიჭმა ნართ ძალგულოვანებს.

ნართ რჩეულებს დედა ეტირათ! იმდენი უთარეშნიათ, იმდენი უძალავიათ და ჯერ ასეთი კაცი არ შეხვედრიათ. მიხვდნენ, კარგი დღე რომ არ დაადგათ, ჯერ დაღონდნენ. მერე გონს მოეგნენ. ენა დაიშაქრეს და ბიჭს ხვეწნა დაუწყეს:

— გთხოვთ ნუ დაგვღუპავ, ნუ იკადრებ ჩვენს შერცხვენას. შეცდომა გვაპატიე. გვიჯობს აქვე დაგვხოცო, ვიდრე ეგ საქმე დაგვმართო.

— მხცოვანი ხალხი ხართ და მიპატიებია, მაგრამ პირობა მომეცით, რომ მგზავრს აღარასოდეს შეაწუხებთ, — უთხრა ბიჭმა.

მეტი საშველი არ იყო. მისცეს ბიჭს პირობა. მხედარმა ნართები გაათავისუფლა და ყველა თავისი გზით წავიდა.

რამდენი გაიარა მხედარმა, ვინ იცის, მაგრამ უცბად ცხენის სადავეები მოზიდა და დაფიქრდა:

„ეს რა დამემართა! სად მივდივარ, არც ის ვიცი. რომელ ქვეყანაში ვარ, ამისიც არაფერი გამეგება. ცოლი სად უნდა ვითხოვო, ესეც არ ვიცი; ის ხალხი სად გავუშვი, რატომ არაფერი ვკითხე? ბევრი რომ უვლიათ, ბევრი უნახავთ და გაუგიათ, ისეთები ჩანდნენ. წავიდე, დავეწიო, იქნებ ერთი გოგო სადმე მიმასწავლონ“.

ნართებმა დადევნებული მხედარი რომ შენიშნეს, შეშინდნენ და სირბილს მოუმატეს.

— მომიცადეთ, არაფერს დაგიშავებთ! საქმისათვის მჭირდებით! — დაუყვირა მათ ბიჭმა.

ნართებმა სვლას უკლეს. მხედარი დაეწია მათ და უთხრა:

— შინიდან ცოლის სათხოვნელად წამოვედი, მაგრამ ამ მხარეს არავის ვიცნობ. თქვენ კი ბევრის მნახველები ჩანხართ. თუ ღმერთი გწამთ, მიმასწავლეთ სადმე.

— ორი მდინარის შესართავში ერთი სასახლე დგას. ამ სასახლეში ცხოვრობს ადილი. იმას ისეთი ქალიშვილი ჰყავს, რომ ცის ქვეშეთში სილამაზითა თუ წესიერებით ბადალი არ მოეძებნება. ქვეყნად ისეთი წარჩინებული ვაჟკაცი არ დარჩენილა, ვისაც მისთვის ხელი არ ეთხოვოს, მაგრამ ცოლობაზე არავის თანხმდება. ამასთან, მამამის ადილზე მდიდარიც არავინ მეგულება, — უთხრა ბიჭს ნართმა ურუზმაგმა.

ბიჭი ორი მდინარის შესართავთან მდებარე ადილის სასახლისაკენ გაემართა. ადილის ლამაზი ასული სასახლეში თავის მეგობრებთან ერთად იჯდა. ქალიშვილები ხელსაქმით ერთობოდნენ. ერთმა მათგანმა თქვა:

— გაიხედეთ, ერთი ვიღაცა მოდის; ეგეთი ამ მხარეს ჯერ არავინ გამოჩენილა.

— თვალი ადევნეთ, თუ ფონს დაუწყო ძებნა, გავამასხარავებთ და ვიცინებთ. თუ პირდაპირ გამოტოპა, საქმროდ გამომადგება, — თქვა ადილის ასულმა.

— შიგ შუა მორევში შემოტოპა, — თქვა ერთმა ქალიშვილმა, — თევზიც კი ასე ვერ გამოსცურავს. ნუ იტყვი, და ცხენს ფეხი მაინც შეეშალოს — წყალი ისარივით გაკვეთა.

ბიჭი ცხენიდან ადილის სასახლეში ჩამოხტა. ადილის ლამაზი ასულის ოთახის კარს მათრახის ტარით მიაწვა და კარი შიგნით გადავარდა.

— გამარჯობა ჩემო ცუდო დიასახლისო, — მიესალმა ბიჭი ადილის ასულს.

— იცოცხლე ნართ სათანას კარგო ბიჭო, — დაუბრუნა პასუხად ქალიშვილმა.

ბიჭი და ადილის ასული იქ, ორი მდინარის შესართავში აღმართულ კოშკში შეუღლდნენ. ცხოვრობდნენ ყველაფრით უზრუნველყოფილნი ტკბილად და თანხმობით.

გავიდა დრო და ერთხელაც ცოლმა ქმარს უთხრა:

— თურმე, ბიჭი რომ ცოლს შეირთავს, სახლიდან გარეთ ფეხის გადადგმაც ეზარება. გაკვირდები და უხეში ღონით ძლიერი ხარ, მაგრამ გონება ღონის შესაფერისად ჯერ არ მოგმატებია! უხეშ ძალას კი თუ გონება არ მართავს, ღონე ადამიანს უბედურებაშიც გახვევს. ადექი და თარყის სინძრში* წადი. იქ ერთი შავი მელიაა — შუბლზე სამი თეთრი ბეწვი აქვს. მელიას რომ დაიჭერ, ეს სამი ბეწვი უნდა გამოაგლიჯო. ერთი ბეწვი ჭკუის დამრიგებლად გამოგადგება, მეორე ქამრად გადაიქცევა, მესამე — ოქროსა და ვერცხლის ღილებად — იმათ მე მაჩუქებ. მაგრამ გახსოვდეს, შავ მელას ეგრე ადვილად ხელში ვერ მოიგდებ. თარყის სინძრში რომ მიხვალ და დასაჭერად გამოუდგები, ტანზე აღარაფერი აღარ შეგრჩება — ეკალ-ბარდში მობალახე ცხვარს რომ მატყლი ეკლებზე შერჩება, შენი ტანსაცმლის ნაფლეთებიც ეკლიან ბუჩქებს ზედ შერჩება. სხეულიდან სისხლი დაგდინდება; მაინც ვერ დაიჭერ. ეკლიანი სახრით ღორღიანზე გამოაგდე და სდიე, სდიე; ფეხსაცმელები უკუღმა ამოგებრუნდება, ფეხები დაგისკდება, მაგრამ სამაგიეროდ მელიაც მოიქანცება — ღორღიანზე ტყვიანაკრავივით შედგება. ცოცხლად შეიპყარი, ის სამი თეთრი ბეწვი გამოაძრე და მერე გაუშვი...

ბიჭმა თარყის სინძრში მელია დაიჭირა, შუბლიდან ის სამი თეთრი ბეწვი გამოაგლიჯა, უბეში შეინახა და მელია ისევ გაუშვა. დაბრუნდა შინ და ადილის ლამაზ ასულთან კვლავ უდარდელად განაგრძო ცხოვრება.

რამდენ ხანს იცხოვრეს ვინ იცის, და, ერთხელაც ცოლმა ქმარს კვლავ უთხრა:

— კაცო, აქ ასე მარტოდმარტო რომ ვცხოვრობთ, მოდი, საითმე წადი. დილით ნოღას გოგო-ბიჭები მარწყვის საკრეფად გამოდიან. ასი წყვილი გოგო-ბიჭი წამოიყვანე, ჩვენს ახლომახლო დავასახლოთ და იმათი მეოხებით სიცოცხლე უფრო გავიადვილოთ და სიამით გავატაროთ.

ნართელმა ბიჭმა ნოღადან ასი ქალიშვილი და ასი ჭაბუკი წამოიყვანა და ადილის კოშკის ახლოს დაასახლა; სოფელი გაშენდა.

ერთხელ ადილის მშვენიერმა ასულმა თავის ქმარს კვლავ უთხრა:

— ამ ორ დღეში, ჩემო კაცო, კიდევ ერთი აუცილებლად მოსაგვარებელი საქმე გელის. ნართებმა გურის ციხე აიღეს, რაც მოინადავლეს, გაიყოფენ. ისე მოიქეცი, რომ წილი შენც გერგოს. თუ ჭკუას მოიხმარ, ესეც საქმე ძნელი არ არის. როცა ნართები ციხის დასალაშქრად მიდიოდნენ, იმის დასადგენად თუ მოლაშქრეთაგან ციხეში პირველი ვინ შევიდოდა,

გზაზე კუდიანი ქალი დასვეს. პირველი ჯილდოს აღების უფლება იმას აქვს, ვინც ციხეში პირველი შევა. მე იმ კუდიანი ქალისათვის თავიდან ფეხამდე შესამოსელს დაგიმზადებ, შენ გზად იქით გაივლი, ყველაფერს აჩუქებ და გააფრთხილებ: როცა ჰკითხავენ, ნართი მოლაშქრეებიდან გურის ციხეში პირველი ვინ შევიდაო, შენ დაგასახელოს.

ნართები გურის ციხიდან წამოღებული ნადავლის გასაყოფად შეიკრიბნენ. თორმეტი მკლავის გაშლის სიღრმის ორმო ამოთხარეს და ნართი სირდონი შიგ ჩაუშვეს, იმის შიშით, ვაითუ საქმე საჩხუბრად გახადოსო.

კუდიან ქალს ჰკითხეს:

— ვინ არის ბედნიერი, გურის ციხეში პირველი ვინ შევიდა?

— ღმერთმა დღეგრძელობა მისცა ადილის სიძეს, გურის ციხეში პირველი ის შევიდა, — თქვა კუდიანმა ქალმა.

— აიღე მეწინავის წილი, ადილის სიძევ. დანარჩენ განძს თითოეულს ერთნაირად გავინაწილებთ, — თქვეს ნართმა უხუცესებმა.

ადილის სიძემ განძეულს დახედა და როგორც შავი მელის თეთრმა ბეწვმა ჩააგონა, სამი ნივთი აიღო: ტყავის შოლტი, მათრახი და უჩინ-მაჩინის ქუდი.

ამის შემდეგ ნართი სირდონიც ორმოდან ამოიყვანეს. სირდონმა განძეულს თვალი გადაავლო და ნართ უხუცესებს ჰკითხა:

— მეწინავის წილი ვინ აიღო?

— ადილის სიძემ, — უპასუხეს უხუცესებმა.

— ეე, ნართებო, იმთავიდანვე უმაქნისები ხართ, — უთხრა დანანებით სირდონმა, — თქვენი განძეული სათანას ბიჭს წაუღია. რაც დაგრჩათ, ის კი ერთი ჯამი წყლის ფასადაც არ ღირს!

ურუზმაგმა, ხამიცმა და სოსლანმა სირდონის ნათქვამი რომ მოისმინეს, ერთმანეთს შეხედეს და ადილის სიძის შემოწმება გადაწყვიტეს.

ახსართაგათების მოთარეშე ვაჟკაცები ადილის ციხისკენ გამოეშურნენ. აქ, როგორც ადათი მოითხოვდა, სასტუმროს წინ ცხენებიდან ჩამოქვეითდნენ.

ადილის სიძე სტუმრებს შეეგება და უთხრა:

— ბოდიშს გიხდით, სტუმრებო, თუ არ ვცდები, მგონი, სადღაც მინახივხართ.

— არ ცდები, — უპასუხა ხამიცმა, — ამ სასახლისკენ სასიძოდ ჩვენ ვიოგგზავნეთ. რა მიზნით გესტუმრეთ, იმასაც მოგახსენებთ. სულ ახლა-ახლა შევიტყვეთ, რომ შენ სათანას ნაშობი ყოფილხარ. აი, ეს ახსართაგათების ურუზმაგია — სათანას მეუღლე, — მიუთითა ხამიცმა ურუზმაგზე, — ჩვენ კი მისი ძმები ვართ — სოსლანი და ხამიცი. ნართელი კაცისათვის

ცოლეულრის ოჯახში ცხოვრება სათაკილოა. მთელი გვარისათვის სირცხვილია.

ნართი სათანას ვაჟმა და მისმა დიასახლისმა ეს რომ მოისმინეს, ჩაალაგეს თავიანთი აურაცხელი ავლა-დიდება, თავისი ხალხიც წამოიყვანეს, წამოვიდნენ და ნართების სოფელში დასახლდნენ.

ვარხთანაგის ვაჟი ნართი სიბალცი

ნართი ვარხთანაგი უცოლოდ გადაბერდა. ახალგაზრდებმა მოითათბირეს: „ვარხთანაგი უშთამომავლოდ რომ ბერდება და მემკვიდრე არ რჩება, მოდი, ცოლი შევრთოთ. თუ არ დაგვიჯერებს, ჩავქოლოთ".

ნართმა ახალგაზრდობამ ვარხთანაგს შუაკაცი მიუგზავნა. შუაკაცმა ვარხთანაგს უთხრა:

— ვარხთანაგ, შთამომავალი რომ არ გყავს და მემკვიდრე არ გრჩება, ცოლი უნდა შეირთო.

ვარხთანაგი ცოლის შერთვაზე დათანხმდა და შუაკაცებს უთხრა:

— პარასკევისათვის ყველანი გაემზადეთ, მოდით ჩემთან და გეტყვით ქალის სათხოვნელად სადაც უნდა წავიდეთ.

პარასკევ დღეს ნართი ახალგაზრდები ვარხთანაგთან მოვიდნენ. ვარხთანაგმა მაყრიონი ჯგუფებად დაჰყო: ფანდირზე დამკვრელები ცალკე დააყენა, მოცეკვავეები — ცალკე, მომღერლები — ცალკე და მოჯირითენი — ცალკე. ასე მწყობრად, მუსიკის დაკვრით გაემართნენ.

ფანდირის ხმაზე ფოლადულვაშა ხამიცის ქალიშვილმა მეშვიდე სართულიდან გადმოიხედა.

ვარხთანაგი ფოლადულვაშა ხამიცის ქალიშვილს ადრეც იცნობდა. ახლა რომ დაინახა, მაყრიონს უთხრა:

— მა ხურთა, ცხენები ფოლადულვაშა ხამიცის სახლისკენ შემოაბრუნეთ.

მაყრიონი ფოლადულვაშა ხამიცის ბინაზე მივიდა. იპურმარილეს, იმღერეს, იცეკვეს და მერე ხამიცის ქალიშვილი ვარხთანაგს წამოჰგვარეს.

ვინ იცის, ვარხთანაგმა და ფოლადულვაშა ხამიცის ქალმა რამდენ ხანს დაჰყვეს ერთად და ხანი რომ გამოხდა, ვაჟი შეეძინათ. ვაჟს სახელად

სიბალცი დაარჭვეს. სიბალცი ღამით დაიბადა. მეორე დღე რომ გათენდა, მზემ ფანჯრიდან შემოიხედა, მზის სხივები ბავშვის თვალებს მოხვდა და მთელი სახე გაუცისკროვნდა.

ეს რომ ვარხთანაგმა დაინახა, გაიცინა. ცოლმა ჰკითხა:

— ეგრე გულიანად რა გაცინებს, კაცო?

ვარხთანაგმა უპასუხა:

— მე იმისა მეშინოდა, ვაითუ ეს საქმე არ მოხდეს-მეთქი, მაგრამ ძალიან კარგადაც გამოვიდა — წუხელ მზესაც ქალიშვილი გაუჩნდა. ახლა გოგომ ფანჯრიდან სიბალცს თვალებში ჩახედა და ბიჭი შეუყვარდა. აი ამაზე გამეცინა.

სიბალცი გაიზარდა და ხურიყაუს* ბავშვებთან თამაში დაიწყო. ერთხელაც ხურიყაულმა ბიჭებმა სიბალცი მოიტაცეს, ეს ხომ ჩვენი სიძეაო და მზის სახლში მიიყვანეს. სიბალცმა და მზის ასულმა ადაძამ ერთმანეთი იცნეს. მზემ თავისი ასული სიბალცს მიათხოვა და ქალ-ვაჟი მზის სახლში ცოლ-ქმრულად ცხოვრობდა. რამდენ ხანს დაჰყვეს ერთად, ვინ იცის, და ბოლოს სიბალცს მოეწყინა. ცოლმა ადაძა-მშვენიერმა ჰკითხა:

— რად მოგიწყენია?

სიბალცმა უპასუხა:

— თქვენთან ცხოვრებას როდი ვუჩივი — მშვენივრად ვცხოვრობთ, მაგრამ დედ-მამა მომენატრა და შინ დაბრუნება მინდა.

— მე მგონი, ეგრე უფრო უკეთესია; მდიდარ სამშობლოს შენი საკუთარი ღარიბი ოჯახი გერჩივნოს. თუ კი აგრე გსურს, წავიდეთ მამაშენის სახლში.

სიბალცმა და მზის ასულმა ადაძა-მშვენიერმა მზის ოჯახიდან თავის სახლს წასვლა რომ გადაწყვიტეს, ადაძამ მამამისს — მზეს უთხრა:

— ჩემს მამამთილს საჩუქრად რა მივართვა?

მზემ უთხრა:

— აი, ეს ჯაჭვის პერანგი წაუღე.

და ჯაჭვის პერანგი მისცა. ჯაჭვის პერანგი კი ისეთი იყო, რომ საყელოთი მღეროდა, უბეებით ბანს იძლეოდა, სახელოებით ტაშს უკრავდა, კალთებით კი ცეკვავდა.

სიბალცმა და მზის ასულმა ადაძა-მშვენიერმა ჯაჭვის პერანგი წამოიღეს. მოვიდნენ მოხუც ვარხთანაგის სახლში და აქ ქორწილი გადაიხადეს.

ერთხელ სიბალცი ერთი წლის ვადით სათარეშოდ წავიდა.

ვარხთანაგიც რძლის ნაჩუქარ ჯაჭვის პერანგს ჩაიცვამდა ხოლმე და ნიხასში გამოდიოდა.

ეს ჯაჭვის პერანგი საოცარი რამ იყო და ვარხთანაგს გარს ინტერესით ეხვეოდნენ. ჰოდა ერთხელ სოფარის სამმა ვაჟმა ვალიფის სიმაღლიდან

გადმოიხედა. დაინახეს ნართების ნიხასში მჯდომი ვარხთანაგი, რომელსაც ზედ თავისი საოცარი ჯაჭვის პერანგი ეცვა. ბიჭებმა თქვეს: „იმ ბეხრეკ ვარხთანაგს ეს რა საოცარი ჯაჭვის პერანგი აცვიაl მოდი, ჩავიდეთ, პერანგიც წავართვათ და ზურგზე ორი სათასმე ტყავიც ავაძროთ“.

ჩამოვიდნენ სოფარის ბიჭები ვარხთანაგთან, ჯაჭვის პერანგი წაართვეს, ზურგზე ორი სათასმე ტყავი ააძრეს და უკან გაბრუნდნენ. საბრალო ვარხთანაგი წელში მოხრილი ძლივსძლივობით ავიდა შინ, შევიდა ოთახში და კუთხეში მოიკუნტა.

გავიდა წელიწადი და სიბალციც თავისმა ცხენმა მოიყვანა. იგი ღამით დაბრუნდა და ცოლის ოთახის კარზე დააკაკუნა. ცოლმა გამოსძახა:

— სანამ ნართულ სიტყვას არ მომცემ, რომ ჩემს ნათქვამს შეასრულებ, მანამ კარს არ გაგიღებ.

სიბალცმა უთხრა:

— გაძლევ ნართულ სიტყვას, ყველაფერს შეგისრულებ, ოღონდ ჩქარა გამიღე კარი, ვკვდები.

ადაძა-მშვენიერმა კარი გაუღო და სიბალცი შინ შევარდა. გაიხადა ტანსაცმელი და გვერდებიდან ისრები ზრიალით დასცვივდა.

ცოლს უთხრა:

— ვკვდებიl გვერდები მკლავს!

ადაძა-მშვენიერი წამოხტა, სიბალცს კანსა და ხორცს შორის ჩაუხტა და ისრები გამოყარა, ჭრილობებიც მოურჩინა.

სიბალცი რომ გამოკეთდა, ცოლს ჰკითხა:

— ახლა მითხარი, კარზე რომ დაგიკაკუნე, პირობა რად ჩამომართვი?

ადაძა-მშვენიერმა უთხრა:

— რადაო, მკითხავ და სოფარის ბიჭები ჩამოვიდნენ, მამა გაგიმასხარავეს — ჯაჭვის პერანგი წაართვეს, ზურგზე სათასმე კანი ააძრეს და აგერ საწოლში საცოდავად მოკუნტულა. იმ თავხედებს მამაშენის შეურაცხყოფა უნდა აზღვევინო.

სიბალცი დილით ადრე ადგა, გუთანი გაამზადა და სოფარის მიწას ხვნა დაუწყო.

სოფარის ბიჭებმა ვალიფის სიმაღლიდან თავიანთ მინდორს გადმოხედეს და მხვნელი რომ შეამჩნიეს, გაიკვირვეს: „ეს ვინ არის, ჩვენს მინდორს დაუკითხავად რომ ხნავს?!“ სამივე ძმა წამოვიდა. იცნეს და შორიახლოდან დაუძახეს:

— შენ იმ გლახაკი, ბებრუხუნა ვარხთანაგის ვაჟი ყოფილხარ. ალბათ, მამის ჯავრს იყრი, არა?!

და უმცროს ძმას უთხრეს:

— მიდი და რაც ეკუთვნის, ის უყავ, ჩვენ ცოტას წავინადირებთ.

ორი უფროსი ძმა სანადიროდ წავიდა, უმცროსი სიბალცთან მივიდა და უთხრა:

— შე ძაღლისშვილო, დაუკითხავად ვისი მიწის მოხვნა გაბედე!

დაეტაკნენ ერთმანეთს, კაი ხანს იბრძოლეს, მერე ორივეს ქანცი გაუწყდა და ერთმანეთს გაშორდნენ.

ისევ დაიწყეს ჩხუბი და სიბალცმა სოფარის უმცროსი ვაჟი მოკლა.

ამასობაში ორი უფროსი ძმაც ნადირობიდან მობრუნდა და უფროსმა შუათანას უთხრა:

— მიდი, ერთი გაიგე, ჩვენმა უმცროსმა ძმამ სიბალცს რა დამართა.

შუათანა ძმა უმცროსი ძმის დასათვალიერებლად წამოვიდა და სიბალცი ამასაც შეეჭიდა. ბევრი იბრძოლეს და როცა დაიღალნენ, მიანებეს ერთმანეთს თავი.

სიბალცმა დაისვენა, მერე ეცა სოფარის შუათანა ვაჟს და ისიც მოკლა.

ამასობაში უფროსი ძმაც მოვიდა. სიბალცი ახლა ამასაც შეებრძოლა. ღმერთმა იცოდეს, მათმა ბრძოლამ რამდენხანს გასტანა, მაგრამ ორივე ძლიერ დაიღალა; რომ აღარ შეეძლოთ, ერთმანეთს გაშორდნენ და აქეთ-იქით გადავარდნენ.

ამ დროს ფოლადულვაშა ხამიცს საიქიოს ამბავი მიუვიდა: „შენმა დისწულმა სოფარის ორი ვაჟი მოკლა, მესამეს ებრძოდა და ერთმანეთი მიასიკვდილეს, ორივე მიწაზე გაშოტილები ჰყრია“.

ფოლადულვაშა ხამიცმა ნაბდის მათრახი მოიპარა და საიქიოდან წამოვიდა. წამსვე სიბალცს წაადგა თავს, ნაბდის მათრახი წაარტყა და სიბალცი რაც იყო, შვიდჯერ იმაზე უკეთესი და ძლიერი წამოჯდა.

სოფარის უფროსი ვაჟი ისევ ცოცხალმკვდარი ეგდო. სიბალცმა უთხრა:

— მითხარი, სად გაქვს მამაჩემის ჯაჭვის პერანგი და ზურგზე რომ კანი ააჭერით და აღარ მოგკლავ.

სოფარის უფროსმა ვაჟმა უთხრა:

— მამაშენის ჯაჭვის პერანგი და ზურგზე აცლილი კანი თარ-ქომის* ბოლოს სოფარის დიდ გამოქვაბულში აწყვია.

როცა სიბალცმა გაიგო, სადაც იყო შენახული მამამისის ჯაჭვის პერანგი და ზურგზე აცლილი ტყავი, სოფარის უფროსი ბიჭიც მოკლა. წავიდა მერე თარ-ქომის ბოლოს მდებარე სოფარის დიდ გამოქვაბულში, გამოიტანა იქიდან მამამისის ჯაჭვის პერანგი და ზურგზე აცლილი კანი.

ახლა ხამიცმა უთხრა:

— მოდი, ახლა სანადიროდ წავიდეთ.

სიბალცი დაეთანხმა და სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. ხამიცი ნადირობის საბაბით ისევ უკან, საიქიოს დაბრუნდა. სიბალცი კი დათქმულ ადგილზე მოვიდა და ნანადირევი ირემიც მოიტანა. დიდხანს ელოდა სიბალცი ხამიცს და რაკი აღარ დაბრუნდა, მიხვდა, ხამიცი ისევ საიქიოს რომ წავიდოდა. წამოკრიფა სიბალცმა ნანადირევი ირემი, ჯაჭვის პერანგი, მამის ზურგიდან აჭრილი სათასმეები, ნაბდის მათრახი წამოიღო თან და შინ დაბრუნდა.

მამამისის ზურგზე აჭრილი კანები ისევ ზედ დააწყო, ნაბდის მათრახი წამოჰკრა და ვარხთანაგს როგორი სხეულიც უწინ ჰქონდა, ისეთივე გაუხდა. თავისი საოცარი ჯაჭვის პერანგიც მისცა.

ცოლმაც ძლიერ გაიხარა:

— კიდევ კარგი, მამის შეურაცხმყოფლები დახოცე და ჯავრი ამოიყარე.

ასე და ამგვარად, ნართი ვარხთანაგის ვაჟი სიბალცი და მისი ცოლი — მზის ასული ადაძა-მშვენიერი ნართებს შორის მთელი სიცოცხლე თანხმობით ცხოვრობდნენ.

თოთრაძი და სოსლანი

ალეგაანთ ალიმბეგს შვიდი ვაჟი და ერთი ქალიშვილი ჰყავდა. შვიდიდან ექვსი ვაჟი და თვითონ ალიმბეგიც სოსლანის ხელით დაიღუპნენ. დედას ერთადერთი ქალიშვილი და ნაბოლარა ბიჭი-ღა შერჩა. ბიჭი ჯერ ისევ აკვნის ბალღი იყო. ამ პატარა ბიჭს სახელი სირდონმა დაარქვა, ალიშბეგის ვაჟს თოთრაძი უწოდა. თოთრაძს წინა მხარე ფოლადისა ჰქონდა. იგი ძლიერ სწრაფად იზრდებოდა — დღისით მტკაველი ემატებოდა, ღამით — გოჯი.

სოსლანმა ალიმბეგის ჯილაგის ძირფესვიანად განადგურება გადაწყვიტა. ამ მიზნით ერთ დღეს მაცნე იხმო და დაბარა:

— წადი, ნართებს შეატყობინე: „დღეს პარასკევია, მომდევნო პარასკევს ყაზანფაზზე შეჯიბრს ვმართავ. ვისი ოჯახიდანაც მამაკაცი არ გამოცხადდება, იგი ტყვე-ქალიშვილით დაჯარიმდება“.

წავიდა მაცნე და ნართების სამივე გვარს ამცნო:

— დღეს პარასკევია, მომდევნო პარასკევს ყაზანფაზზე შეჯიბრი გა-

იმართება; ვისი ოჯახიდანაც მამაკაცი არ გამოცხადდება, იგი ტყვე-ქალიშვილით დაჯარიმდება!

თოთრაძის შაოსანმა დედამ ეს რომ მოისმინა, მიუჯდა თავისი პატარა ბიჭის აკვანს, ცრემლი ჰყარა და მოთქმით ატირდა.

— უფალმა ნუ შეგინდოს, სოსლან! იცი, ალიმბეგის ოჯახიდან მამაკაცი ვეღარ გამოვა და გინდა ჩემი ერთადერთი შვილიც ამოიჭამო!

ბიჭს ეძინა. დედის ტირილზე გაეღვიძა და ჰკითხა:

— რა იყო, დედი, რა გატირებს?

— არაფერი, დედა გენაცვალოს, შვილო, არაფერი, — დედას მიზეზის გამხელა არ სურდა.

ბიჭი რომ ალარ მოეშვა, ადგა და უთხრა:

— რაღა რა მატირებს, შვილო, შენამდე ექვსი ვაჟკაცი გავზარდე-ექვსივე და მამაშენიც სოსლანმა დამიხოცა. ერთადერთი შენა და შენი და-ღა შემრჩით; რაც დამმართა, არ მაკმარა და ახლა თქვენი წართმევაც მომინდომა. დღეისწორ პარასკევს ყაზანფაზზე შეჯიბრს ვმართავ და ვისი ოჯახიდანაც მამაკაცი არ გამოცხადდება, იგი ტყვე-ქალიშვილით დაჯარიმდებაო. იცის, ჩვენი ოჯახიდან მამაკაცი ვეღარ წავა და ერთადერთ დას ჯარიმაში წაგართმევს.

— ნუ გეშინია, დედა, ნართების ძალგულოვნებთან ყაზანფაზზე შესაჯიბრებლად მე წავალ. ჩემს ერთადერთ დას ჯარიმაში არ დავანებებ — მაგ სირცხვილს არ ვიკადრებ.

— ე, მა ხურ, შენ რომ იმხელა მყავდე, ნართების შეჯიბრზე წასვლა შეგეძლოს, მაშინ რაღა მიშავდა, — უთხრა დედამ.

— მე ალიმბეგის ბიჭი არ ვიყო, თუ ჩემი ერთადერთი და ვინმეს ტყვედ გავატანო! მაშ გათაგის ვაჟმა სირდონმა ალიმბეგის ვაჟი თოთრაძი რისთვისღა დამარქვა?! — თქვა თოთრაძმა და აკვანში შეინძრა. გაიწ-გამოიწია და არტახები გაგლიჯა. აკვანი ნაწილ-ნაწილ დაიშალა და აქეთ-იქით მიმოფანტა. აკვნის ერთი შუბლი ასხლტა, მთას მიენარცხა და დაცალკევა — მთები მას შემდეგ გაჩნდნენ. მეორე შუბლი მინდორში დაეცა და იგი მას შემდეგაა ოკრობოკრო და უსწორმასწორო. აკვნის ცალი გვერდი ტყეს მოხვდა და კორომ-კორომ აქცია. მეორე გვერდი წყალში ჩავარდა და შიგ კუნძულები ამის შემდეგ გაჩნდა.

ბიჭი წამოხტა, თავი ჭერს აარტყა და სოხანეზე კაცურად დადგა.

დედას ჰკითხა:

— ამბობენ, მამაჩემი ალიმბეგი მოთარეშე კაცი ყოფილა აქებენ, კარგი ვაჟკაცი იყოო. იმ კაი კაცს ნუთუ ერთი ცხენი მაინც არ დარჩებოდა?

— ცხენი კი დარჩა, შვილო, გომურში აბია; მაგრამ მომვლელი და

პატრონი რომ აღარ ჰყავს, ნეხვში ყურებამდეა ჩაფლული და ფოლადის ბუნიკებს ხრავს.

თოთრაძმა აიღო მათრახი და გომურისკენ გაემართა.

— მოიცა, მა ხურ, — მიაძახა დედამ. — გომურს კარზე ისეთი დიდი ლოდი ადევს, თორმეტი უღელი ხარით ძლივს მოიტანეს. ვინმეს დავუძახებ, თორემ მარტოს მისი გაღება გაგიჭირდება.

ბიჭმა ყური არ ათხოვა, მივიდა გომურის კართან და ლოდი მათრახის ტარით მოისროლა. ცხენი ნეხვიდან ორივე ყურით ამოსწია, ამოათრია და მდინარეზე წაიყვანა. იქ საპნით გაბანა, კვერცხი გადაავლო და ბზინვა დააწყებინა. მერე შინ წამოიყვანა და მამამისის მოვერცხლილი უნაგირი დაადგა.

— მამაჩემს იარაღიც ექნებოდა, — უთხრა დედას თოთრაძმა.

— მამაშენის იარაღი შიგნითა ოთახში კედელზე ჰკიდია და ბრძოლას დანატრებულს ცეცხლი ედება. რკინით მოჭედილ სკივრში კი მისი ჯაჭვის პერანგი და მუზარადი აწყვია.

თოთრაძი ახლა შიგნითა ოთახისკენ წავიდა; შვიდი კარი გადაიარა, მერვე კარი რომ შეაღო, დაინახა, მამამის ალიმბეგის იარაღს ოთახის კედელზე ლაპლაპი გაჰქონდა. შავი რკინით მოჭედილ სკივრს თავი ახადა და მამის ჯაჭვის პერანგი და მუზარადი ამოიღო. ტანზე მოირგო, მამის ნაქონი იარაღი აისხა და დედასთან გამოვიდა.

— მივდივარ, აბა, ჩვენი ოჯახის სახელით ყაზანფაზზე ნართ ახალგაზრდობასთან შესაჯიბრებლად, — თქვა და ცხენისკენ გაემართა.

დედა შეფიქრიანდა; ეღარდებოდა, რადგან სოსლანის შიში ჰქონდა; შაგრამ ბიჭი მარჯვედ მივარდა ცხენს, მოახტა და მხედრის სიჩაუქით ნასიამოვნებმა ცხენმაც ხალისით შეითამაშა.

— დედა, გამომხედე, ვშვენი თუ არა ცხენზე? — დაუძახა დედას თოთრაძმა, — თუ მხედრად არ შევშვენი, არ წავალ.

— როგორ არ შვენი, მა ხურ! — უპასუხა დედამ, — ჰექა-ქუხილის ვაცილას ჰგავხარ!

დედას სურდა, გაეგო მისი ბიჭი რამდენად გულადი მხედარი იყო და უთხრა:

— მამაშენი სალაშქროდ როცა მიდიოდა, ცხენს მათრახს გადაჰკრავდა და ქვის ღობეს ზედ გადაევლებოდა, მერე ცხენდაცხენ ისევ უკანვე გადმოევლებოდა, დამემშვიდობებოდა და ისე გასწევდა.

ბიჭმა ცხენს მათრახი გადაუშხივლა; ისკუპა ცხენმა და წამში ღობეს ზედ გადაევლო; მოაბრუნა უკან, ერთიც გადასცხო და კვლავ უკან გადმოაფრინა. მერე წასასვლელად დაიძრა.

— მოიცა, შვილო, ნუ გეჩქარება, — უთხრა დედამ, — ვინც შენი

ძმები და მამა მოინელა, იგი იქ დაგვხვდება; ხომ უნდა იცნობდე. გეტყვი, როგორც უნდა გამოიცნო. ყაზანფაზზე რომ ჩახვალ, იქ მყოფ ხალხს დააკვირდი და კაცს ფეხმრუდს, საცრისტოლათვალებიანს — ცალ თვალში ორი გუგა რომ უბრწყინავდეს და წვერი ზღარბის ქაცვივით ადგეს, — ერიდე. სწორედ იმან დახოცა შენი ძმები და მამაშენი.

ბიჭმა ცხენი შეათამაშა და წამში თვალს მიეფარა.

დადგა პარასკევი — ნართების შეჯიბრისთვის დათქმული დღე. ნართი ყმაწვილკაცობა სულ ყაზანფაზზე შეიყარა. მხოლოდ ალეგაანთ ალიმბეგის ოჯახიდან არავინ არ ჩანდა.

დაიწყო შეჯიბრი. ნართები ერთიმეორეზე საოცარ თამაშს აჩვენებდნენ. შავმა მხედარმა სოსლანმა ყველას აჯობა.

ამასობაში გაიხედეს და სოფლის მხრიდან მომავალი შავი ღრუბლის ჭულა დაინახეს. შავ ღრუბელს ზემოთ შავი ყვავები დაფარფატებდნენ. ნართებს გაუკვირდათ, ეს რა უნდა იყოსო.

სირდონი დააკვირდა და თქვა:

— შავი ღრუბელი რომ გგონიათ, ღრუბელი კი არა, ალეგაანთ ალიმბეგის ლურჯა ცხენის ცხვირ-პირიდან ავარდნილი ოხშივარია. შავ ყვავებად რომ გეჩვენებათ, ყვავები კი არა — ცხენის ოთხივ ფეხით ზევით ანასროლი მიწის გოროხებია.

— საოცარია, ცხენი მოდის, ზედ მხედარი არ ჩანს, — თქვა ერთმა.

სირდონმა უპასუხა:

— მხედარი ისეთი ჰყავს, უნახავი გახდებით!

ნართ ახალგაზრდებს უკვირდათ, ვინ უნდა იყოს ისეთი, უნაგირს ზედ რომ არ ატყვია, ალიმბეგის სახელგანთქმულ ცხენზე ჯდომა როგორ გაბედაო.

მოაღწია მხედარმა.

— მადლი თქვენს ლხინს, ახალგაზრდებო! — მიესალმა მათ მხედარი.

— ო, იცოცხლე, იცოცხლე, ალეგაანთ ალიმბეგის ვაჟო თოთრაძ, — უპასუხა სირდონმა.

თოთრაძმა ცხენი გააჭენ-გამოაჭენა და ნართ ყმაწვილებს შორის შეჯიბრში გამოსაწვევად მეწყვილეს ძებნა დაუწყო. თვალი მოჰკრა სოსლანს — დედის მიერ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით იცნო.

— მოდი, სოსლან, მე და შენ შევეჯიბროთ, — შესთავაზა თოთრაძმა სოსლანს.

— აი, შე ძაღლის ლეკვო, — შეუტია სოსლანმა, — ჯერ პირზე ხსენი არ შეგშრობია, შენ როგორ უნდა შეგეჯიბრო?! შენთან მორკინალს ვინც დამინახავს, რას იტყვის?!

— მეტი საშველი არ არის, უნდა შემეჯიბრო! — ჩააჩემდა თოთრაძი.

— რას ამიტყდი, ალიმბეგის ბიჭო, ხომ არ გინდა, შენი ხორცი ჩიტებს დავურიგო, შენი ძვლები — ძაღლებს! — შეუტია სოსლანმა.

— არა უშავს, შევეჯიბროთ, — აღარ ეშვებოდა თოთრაძი.

— აბა, მაშ, კარგი, — თქვა სოსლანმა და ცხენს მოახტა.

დააჯახეს ცხენები ერთმანეთს. გადავარდა სოსლანის ცხენი და მიწას დაასკდა. თოთრაძი ეცა სოსლანს და შუბის წვერით მაღლა აიტაცა. ნართმა ახალგაზრდობამ ეს რომ დაინახა, სულ აქეთ-იქით დაიფანტა; დაგვხოცავსო, შეშინდნენ და თავს უშველეს. თოთრაძმა შუბის წვერზე მოკონწიალე სოსლანი მთელი დღე ცხენით აღმა-დაღმა ატარა: მამა და ძმები დამიხოცე, ახლა ცოცხალს აღარ გაგიშვებ, უნდა მოგკლაო.

მოსაღამოვდა და სოსლანმა თოთრაძს ხვეწნა დაუწყო:

— მოსაკლავი გყევარ, მაგრამ ამჯერად მაპატიე, ცოლ-შვილი მაინც ვნახო. დღეს პარასკევია, მეორე პარასკევამდე მაცალე. ზუსტად დღეისწორს ფას-ნართ-ხუსძაგათში,* სადაც მტყუან-მართალს არჩევენ, იმ ბორცვზე შევხვდეთ და პირისპირ შევებათ.

პირობა დადეს და თოთრაძმა სოსლანი ძირს მხოლოდ მაშინ დაუშვა; შიპატიებიაო, უთხრა; მერე შემოაბრუნა ცხენი და შინისკენ დასძრა.

მხრებჩამოყრილი და თავჩაქინდრული სოსლანი სათანასთან მივიდა. გაბოროტებით დაეხეთქა სკამზე და სკამს ოთხივე ფეხი დაულეწა.

— რა დაგემართა, ჩემო არ შობილო შვილო, ვინ გაგანაწყენა, ან იქნებ რამე გტკივა? — ჰკითხა მას სათანამ.

— სხვა რაღა უნდა დამმართნოდა, მეტისმეტი — რეტისრეტიო! — ალიმბეგის უდღეურმა ბღარტმა თავს ლაფი დამასხა, მთელი დღე შუბის წვერზე ჩამოკონწიალებული აღმა-დაღმა მაფრიალა და საღამომდე ძირს არ დამსვა. რაღა მოვუხერხო იმ ბიჭს, ახლავე ჩემზე ძლიერია! დავაჟკაცებდა და მაშინ ხომ ცოცხალს აღარ გამიშვებს!

— კიდევ უნდა შეხვდე? — ჰკითხა სათანამ.

— დღეისწორ პარასკევისთვის პირობა მივეცი. ამ დღეს ფას-ნართ-ხუსძაგათში, მტყუან-მათალს რომ არჩევენ, იმ ბორცვზე უნდა შევხვდეთ და პირისპირ შევებათ. პირობას ვერ გადავალ და ნამდვილად მომკლავს.

— ნუ გეშინია. რაკი მაგდენი დრო გჭონია, ახლა მე ვიცი. აბა, რაღას უზიხარ! სასწრაფოდ იშოვნე ერთი ქურქის საკმარისი ახალმოკლული მგლის ტყავები და მომიტანე. მერე ქურდალაგონთან ადი, შეეხვეწე რომ ასი ცალი ეჟვანი და ასი ცალი ზანზალაკი დაგიმზადოს. თუ ეს ყველაფერი ხელთ გექნა, ნუღარაფრის გეფიქრება.

წავიდა სოსლანი და სათანას მგლის ახალი, ნედლი ტყავები მიუტანა. სათანამ მგლის ტყავები მოთრიმლა და სოსლანს სახელდახელოდ ქურქი შეუკერა. სოსლანი ახლა ქურდალაგონს მიადგა, შეეხვეწა, ასი ცალი

ეჟვანი და ასი ცალი ზანზალაკი უნდა გამიკეთოო. ქურდალაგონმაც ათას ხმაზე მოწკრიალე ას-ასი ცალი ეჟვანი და ზანზალაკი დაუმზადა. სოსლანმა ესენიც სათანას მიუტანა.

დათქმული დროც დადგა. სათანამ ის ასი ეჟვანი და ასი ზანზალაკი სოსლანის ცხენს ფაფარზე შეაბა, ათასფერი ჭრელაჭრელა ნაკუწებითაც ბორთო, თვითონ სოსლანს მგლის ტყავის ქურქი უკუღმა პირით ჩააცვა და დაარიგა:

ახლა დანიშნულ ადგილზე წადი. შენ ალიმბეგის ბიჭზე უდრო ადრე მიდი და ცხენი ბორცვს უკან მოფარებით დააყენე. მე სქელ ნისლს გავაჩენ და იგი ისე დაგფარავს, სრულებით აღარ გამოჩნდები. ალიმბეგის ბიჭი მოვა, მაგრამ ნისლის გამო ვერაფერს გაარჩევს. ბორცვზე შედგება და დაგიძახებს: „ეჰეი, სოსლან, სად ხარ! შეხვედრა ხომ დღეისათვის გვქონდა დათქმული. გამოდი, შეევებრძოლოთ!“ პირველ დაძახილზე ნუ გამოხვალ, რადგან შენსკენ პირით იდგება. ბიჭი ერთხანს დაგელოდება და მეორედაც დაგიძახებს: „ეჰეი, პირობის მოლალატევ, სად ხარ? ჩვენ ხომ დღეს უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. გამოდი, შევებათ!“ არც მეორე დაძახილზე გამოხვედო — შენსკენ გვერდულად იდგომება და ვერაფერს დააკლებ. მესამედაც დაგიძახებს: „სოსლან, პირობა შენ გატეხე და ღმერთმა შენვე გაზღვევინოს! დათქმულ დროზე არ მოხვედი, პირობის მოღალატე ხარ!“ ამას იტყვის და ცხენს სოფლისკენ შეაბრუნებს. აი, მაშინ, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ! არ დაინდო! მისი ცხენი ეშმაკების გაზრდილია და მგლის ტყავისა ეშინია. ჭრელაჭრელებით მორთულ ცხენს რომ მოულოდნელად დაინახავს და ამდენი ეჟვანისა და ზანზალაკის ჟღარუნს გაიგონებს, დაფრთხება, დაიტიშება და იმას ვეღარაფერი დააკავებს. გაქცეულს ისარი ზურგიდან დაუშინე და დაამარცხებ. ალიმბეგის ბიჭს ხომ მკერდი წმინდა ფოლადისა აქვს, წინიდან რამდენიც გინდა ურტყა, ვერაფერს დააკლებ.

სოსლანი დანიშნულ ადგილზე წინასწარ წავიდა. ბორცვს ამოეფარა, სათანამაც იგი სქელ, მრუმე ნისლში გაახვია და სრულებით აღარ ჩანდა. ამასობაში თოთრაძმაც მოაღწია. ნისლის პირისპირ დადგა და დაიძახა:

— სოსლან, გამოდი, შევებათ! დღეს ხომ შებრძოლება დავთქვით.

რის სოსლანი, რა სოსლანი! ბიჭი ერთხანს იდგა, მერე ნისლისკენ გვერდით შებრუნდა და კვლავ გასძახა:

— ეჰეი, სოსლან, სად ხარ? შეხვედრა აკი დღეისათვის დავთქვით, გამოდი, ერთმანეთს შევებათ!

სოსლანი არც ახლა გამოჩნდა. ბიჭი კაი ხანს იდგა მერე კვლავ გასძახა:

— სოსლან, პირობა შენ დაარღვიე და ღმერთმა შენვე გაზღვევინოს!

არ მოხვედი, პირობას უმუხთლე და ეგრე მუხთლად დაბერდი! — თქვა ხმამაღლა თოთრაძმა და ცხენი შინისკენ გამოაბრუნა.

სწორედ იმ წამს, ჯაგიანიდან ალალი რომ წამოფრინდება, სოსლანიც ნისლიდან ისე გამოხტა და თოთრაძს შესძახა:

— აგერ ვარ, პირობა არ დამირღვევია!

თოთრაძი მყის შემობრუნდა. მგლის ტყავის ქურქში გახვეული სოსლანი ათასფრად აჭრელებულ ცხენზე ამხედრებულიყო. მისი ცხენი ფაფარზე შებმულ ზარ-ზანზალაკს ყურის წამღებად აჟღრიალებდა. ამის დანახვაზე თოთრაძის ცხენი დაფრთხა, ისარივით მოწყდა ადგილს და მხედარიც თან გაიტაცა. თოთრაძი მთელი ძალით ცდილობდა მის შემობრუნებას, მაგრამ ვერ იმორჩილებდა. მოსწია ლაგამი და ხელთ თასმის ნაწყვეტები შერჩა. სწვდა ფააფრში, მოსწია და კანიანად აადღლიძა. მაინც არ შედგა ცხენი. წინ გადასწვდა თოთრაძი, ორივე ყურში ჩააფრინდა და უნაგირის კეხამდე ჩამოახია; ცხენი მაინც გიჟური სრბოლით მიჰქროდა. ახლა ქვედა ყბაში მოავლო ხელები და ყბაც მკერდამდე აახია. ცხენმა სვლას მაინც არ უკლო. ამასობაში სოსლანიც წამოეწია, უმოწყალოდ დააყარა ისარი და ზურგი დაუცხრილა. ახლოს მისულმა ბეჭებში შუბიც ჩასცხო და თოთრაძი ცხენიდან გადავარდა, ძირს დაენარცხა და სულიც განუტევა.

გამარჯვებით გახარებული სოსლანი კი გამობრუნდა და ცხენი შინისკენ თოხარიკით დასძრა.

თოთრაძის დედას შვილის ამბავი ძლიერ ედარდებოდა. მრნახა უბანში ორი ყმაწვილი და შეეხვეწა:

— დღეს ფას-ნართ-ხუსძაგათში, მტყუან-მართლის განსასჯელ ბორცვზე სოსლანსა და ჩემს ბიჭს შეხვედრა ჰქონდათ დათქმული. ოღონდ წადით და ამბავი გამიგეთ.

ყმაწვილები ამბის გასაგებად გამოეშურნენ. სოსლანმა ისინი შორიდანვე შენიშნა. რომ არ ეცნოთ, თავ-პირი ყაბალახით აიხვია, წინ შემოხვდა და კითხვა თვითონვე დაასწრო:

— სად მიდიხართ, ბიჭებო?

— დღეს სოსლანი და ალიმბეგის ვაჟი თოთრაძი მტყუან-მართლის განსასჯელ ბორცვზე ერთმანეთს უნდა შებრძოლებოდნენ. თოთრაძის დედამ ამბის გასაგებად გამოგვგზავნა.

— ტყუილად-ღა მიდიხართ, — უთხრა ბიჭებს სოსლანმა, — ალიმბეგის ვაჟი თოთრაძი ცხენს ტრიალ ველზე მიაჯირითებს, სოსლანის ლეში კი შგლებს დარჩათ.

— იცოცხლე, მადლობელი ვართ, ამბავი რომ გაგვაგებინე და ტყუი-

ლად აღარ გავისარჯეთ, — უთხრეს ბიჭებმა და უკან გამობრუნდნენ. მიეიდნენ თოთრაძის დედასთან და მიახარეს:

— სამახარობლო გვეკუთვნის — შენმა ბიჭმა თოთრაძმა სოსლანი მოკლა!

მოხუცმა ქალმა ყმაწვილები მსუქან-მსუქანი ხორცეულით უხვად გაწყობილ მაგიდასთან დასხა და ნაირ-ნაირ სასმელს წყალივით აძალებდა. ბიჭები გულიანად შეექცეოდნენ. დედას გული მაინც არ უსვენებდა. სუფრასთან დაჯდა და ყმაწვილებს კვლავ ჰკითხა.

— თქვენი თვალით ნახეთ თოთრაძი, თუ სხვის ნათქვამს მეუბნებით?

— ტყუილის თქმა რა საქადრისია, — თქვეს ბიჭებმა, — ჩვენი თვალით არ გეინახავს, ერთმა ცხენიანმა კაცმა გვიამბო.

— როგორი კაცი იყო ის ცხენოსანი, ვერ დაიხსომეთ?

— ძალიან კარგად დავაკვირდი, — თქვა ერთმა მათგანმა, — და ძალიანაც გამიკვირდა: მხედარს თავ-პირი ყაბალახით ჰქონდა ახვეული, მაგრამ თვალები უჩანდა და ცალ თვალში ორი გუგა უბრწყინავდა!

თოთრაძის დედამ ხელები თავში წაიშინა და ატირდა:

— მაშ ეგ თვითონ ყოფილა სოსლანი! მის გარდა არც ერთ ღვთის გაჩენილ ადამიანს ცალ თვალში ორი გუგა არავის აქვს. წადით ბრძოლის ადგილზე, თუ ჩემი შვილი მკერდშია დაჭრილი, წამოასვენეთ, რომ ტირილით გული მოვიოხო და წინაპართა სასაფლაოს მივაბაროთ. თუ ზურგშია დაჭრილი, მაშინ გამოქცეულა და სასაფლაოზე დამარხვის ღირსი არ ყოფილა, სადმე ნეხვში ჩაფალით.

წამოვიდნან ბიჭები და თოთრაძის ცხედარი სოფელში ჩაიტანეს. სახლში კი არ მიასვენეს, პირდაპირ სანეხვეზე მიჰქონდათ. წინ სირდონი შემოხვდათ.

— სად მიგაქვთ? — ჰკითხა სირდონმა.

— სანეხვეზე დასამარხად. გამოქცეული მოუკლავთ. — უპასუხეს ბიჭებმა.

— მტერს რომ გამოქცეოდა, ეგ ისეთი ბიჭი არ იყო; აბა, ცხენი შეამოწმეთ, იქნებ ცხენის მიზეზითაა მკვდარი.

წავიდნენ და ცხენი შეამოწმეს. მოვიდნენ და ამბავი მოიტანეს: ცხენს სადაეები დაწყვეტილი აქვს, ფაფარი — ადღლეძილი, ორივე ყური უნაგირამდე ახეული და ქვედა ყბა მკერდამდე — ჩახლეწილიო.

— აბა, ჩემი შვილი ცხენის მიზეზითა ყოფილა მკვდარი, თვითონ არ გამოქცეულა, — თქვა დედამ.

წაიღეს ცხედარი სასაფლაოზე და მიცვალებულების გვერდით დამარხეს.

დედა წლიდან წლამდე ქელეხებს უხდიდა. ყოველ შაბათს საკურთხს უმზადებდა და საფლავზე აჰქონდა. ერთხელ სასაფლაოზე მიმავალ დედას სოსლანი შემოხვდა და უთხრა:

— წყალი მწყურია, დამალევინე რამე.

ქალმა ცრემლი ჰყარა, თავისი ქმარ-შვილის დამღუპველს ალმაცერად ახედა და დასწყევლა:

— დღე დაგიმოკლდეს და ჯანი დაგიმიწდეს! ჯილაგი შენ გამიწყვიტე და ახლა ჩემი ქმარ-შვილის საკურთხიც შენვე გინდა ჭამო?!

სოსლანმა ცხენს წიხლი აკვრევინა, ქალს საჭმელ-სასმელი დაუღვარა და თვითონ სიცილით გაშორდა.

დედა შვილის საფლავს პირქვე დაემხო და ატირდა.

— შვილო, შვილო, ჩანს, სოსლანის ჯანი არასოდეს დამიწდება. მუდამ მკლავზე იყურება და დღესაც შენი საკურთხი დამიღვარა!

დედის ცრემლმა საფლავი ჩახვრიტა. იმ ნახვრეტიდან ალიმბეგის ბიჭს პატარა თოთრაძს მზის შუქი მიადგა.

ახსართაგაანთ ფოლადსოსლანმა ალიმბეგის ვაჟი პატარა თოთრაძი რაკი ღალატით მოკლა, ისინი ერთმანეთს საიქიოშიც უნდა შეერკინონ. საოცრება იქნება მათი შერკინება. საიქიოს ბინადრები საცქერად მოაწყდებიან. ის მიცვალებულები, რომლებსაც ჭირისუფლებმა ყაბახი გაუმართეს, მათ შებმას ყაბახის წვერიდან დაუწყებენ ცქერას; რომელთაც ძეგლი ედგმებათ — ძეგლზე შედგებიან, ხოლო რომელთაც დოღი გაუმართეს, ისინი ცხენზე ამხედრდებიან და თვალს ეგრე ადევნებენ.

გეძენაგის ვაჟი პატარა არახძავი

ქვემოური ნართებს ვაჟი შეეძინათ, ზემოურ ნართებს კი — ქალი. ორივენი ერთ ღამეს დაიბადნენ. ბიჭი აკვნიდან ამოიპარებოდა ხოლმე, გოგოს მიეპარებოდა და მთელ ღამეს მასთან ატარებდა. ეგ იყო მიზეზი და პატარა გოგოს არტახები ვეღარ სწვდებოდა. უკვირდათ, ნეტა ამ გოგოს რა ბერავსო.

გამოხდა ხანი და გოგომ ვაჟი შობა — ოქროსქოჩრიანი ვაჟი. ქალები გაცვიდნენ სათანასთან და უთხრეს: „ჩვენმა პაწაწა გოგომ ბიჭი შობა!“

— თქვენამც ამოწყვეტილხართ! ეგ რომ ქვემოურმა ნართებმა გაიგონ, სათრეველა სიმღერას გამოგითქვამენ. ახლა მეტი რაღა გზაა და ბორაანთ

სახლის თავზეს ბოლო წაახერხეთ, იმით ყუთი გააკეთეთ, ბავშვი შიგ ჩასვით, ყუთს სალტეები მოუჭირეთ, წაიღეთ და სანამ ქვემოურ ნართებს არ გაუგიათ, ზღვაში გადააგდეთ, — დაარიგა მათ სათანამ.

როგორც სათანამ ურჩიათ, ისევე მოიქცნენ: ბიჭი ზღვაში გადააგდეს და წყალმა წაიღო.

შორს, სადღაც ბარში, ბეძენაგ-ალდარი ცხოვრობდა. იგი უმდიდრესი კაცი იყო. უამრავი პირუტყვის პატრონს მეთევზეებიც ჰყავდა. ერთ დღეს მეთევზეებმა ზღვაში ყუთი შენიშნეს და ნაპირზე გამოაგდეს, ეს რა ლამაზი ყუთი ვიპოვნეთო, გაიხარეს.

ყუთი ბეძენაგ-ალდარს აუტანეს.

— ახადეთ, ყუთს თავი, ვნახოთ ერთი, შიგ რა არის, — უთხრა ალდარმა მეთევზეებს.

ახადეს ყუთს თავი და ბავშვის ტირილი შემოესმათ.

ბეძენაგმა დახედა ბავშვს და გაიხარა:

— ვენაცვალე ღვთის მადლს, მთელი სიცოცხლე რასაც ვნატრობდი, აკი ის არ მომცა!

მივარდა თავის ცოლს:

— აბა, ჩქარა, მოსამშობიარებლად დაწექი!

ქალი, როგორც მელოგინე, დააწვინეს და გვერდით ბიჭი მიუწვინეს. ბეძენაგმა მაცნეს უხმო:

— მთელ ქვეყანას ამცნე, ბეძენაგ-ალდარს ვაჟი შეეძინა-თქო.

მაცნემ ამბავი ხალხს მოსდო — ბეძენაგს ვაჟი შეეძინაო. ალდარის ზოგიერთმა ნაცნობმა გაიკვირვა: „ჯერ ახლახანს ვიყავი მათთან და ეგეთი არაფერი შემინიშნავსო!“ ზოგმა იფიქრა: „იქნებ მაცნეს შესცდა?“

ბეძენაგის ოჯახში ქვეყნის ხალხმა მოიყარა თავი. სიხარულისაგან ფრთაშესხმული ბეძენაგ-ალდარი თეთრ ხარებს ისე ხოცავდა როგორც თეთრ კრავებს.

ხალხმა კვირიდან კვირამდე ბეძენაგთან იქეიფა. ახალშობილის საღღეგრძელოები სვეს, იმღერეს, იმხიარულეს. ძეობა რომ დასრულდა, ხალხი შინ წავიდა.

ბიჭი იზრდებოდა, უკვე ხალხში გამოდიოდა. ერთხელაც ბიჭი ბეძენაგ-ალდართან მივიდა და უთხრა:

— მამი, სახელს რატომ არ მარქმევ?

— სანამ ჩემი ძმობილი ნართი სოსლანი არ დაგარქმევს, მანამდე შენთვის სახელით მომართვა არ შეიძლება.

ბიჭიც რაღას იტყოდა!

ერთ დღეს ბიჭმა სანადირო წასვლა გადაწყვიტა და დედას უთხრა:

— სანადიროდ მივდივარ და საგზალი გამიმზადე.

დედამ საგზალი გაუმზადა; აიღო ბიჭმა და საცხოვრისკენ წავიდა. ნადირობას შეუდგა და ღმერთმა სოსლანი შეახვედრა. ერთმანეთს წესის მიხედვით მიესალმნენ და ბიჭმა სოსლანს უთხრა:

— ერთად ვინადიროთ, თუ არა?

სოსლანმა უპასუხა:

— ჯერ დავბინავდეთ, მერე ვნახოთ.

დატრიალდა ბიჭი, უცბად გამართა კარავი და სოსლანს კვლავ ჰკითხა:

— აბა, ახლა ერთად ვინადიროთ, თუ ცალ-ცალკე?

— კარგი, ვინადიროთ, ოღონდ რასაც დავხოცავთ, საერთო იყოს — უთხრა სოსლანმა.

დილით ადრე გავიდნენ და საღამომდე ინადირეს. საღამოთი ბიჭი ბინაზე უწინ დაბრუნდა. ცეცხლი გააჩაღა, მწვადები ნაკვერცხალს მიუფიცხა, ლოგინი დააგო და სოსლანიც მოვიდა.

მწვადი მიირთვეს და ბიჭმა სოსლანს ჰკითხა:

— კითხვას ნუ მიწყენ, უფროსო, მაგრამ წააწყდი რამეს, თუ არა?

სოსლანმა უპასუხა:

— ასეთი დათარსული დღე არ შემხვედრია. კურდღელიც კი ვერ ჩავიგდე ხელში. შენ როგორი ნადირობა გქონდა?

— მეც, მართალია, ცოტა ხანია, რაც ვნადირობ, მაგრამ ამაზე ცუდი დღე არ გამომრევია — ორმოცზე ერთით ნაკლები ირემი დავხოცე, მეტი ვერა, — უპასუხა ბიჭმა.

არ ესიამოვნა სოსლანს და წარბები შეჰკრა.

დასაძინებლად დაწვნენ.

დილით ადგნენ, საუზმე მიირთვეს და კვლავ სანადიროდ წავიდნენ. საღამოთი ბიჭი კვლავ სოსლანზე ადრე დაბრუნდა, ცეცხლი დაანთო და სოსლანის მოსვლამდე მწვადები ნაკვერცხალზე დაალაგა.

სოსლანიც მოვიდა, ივახშმეს და ბიჭმა კვლავ ჰკითხა:

— დღეს როგორი ნადირობა გქონდა?

— არც არაფერი — ეს ორი დღე ხელმოცარული დავდივარ. შენ რა ჰქენი?

— მეც ბევრი ვერაფერი — სამოცზე ერთით ნაკლები დავხოცე, მეტი ვერ მოვიხელთე, — უპასუხა ბიჭმა.

სოსლანი კვლავ დაბოღმილი დაწვა.

ადგნენ დილით, ისაუზმეს და ისევ სხვადასხვა ხეობისკენ გასწიეს.

ბიჭი საღამოს კვლავ სოსლანზე უწინ დაბრუნდა: ცეცხლი დაანთო, მწვადები ცეცხლს მიუმარჯვა და სოსლანიც მოვიდა.

ივახშმეს და ბიჭმა კვლავ ჰკითხა:

— უფროსო, დღესაც ვერაფერი მოინადირე?

— ვერა, ვერაფერი — ეს სამი დღე ხელთ ვერაფერი ჩავიგდე. შენ რა ჰქენი?

— არაფერი. დავანებოთ თავი ნადირობას, არც მე მემართება ხელი; დღეს მთელი დღე ოთხმოცზე ერთით ნაკლები ნადირი მოვკალი, მეტი ვერა.

დაწვნენ, მაგრამ სოსლანს ბრაზით ძილიც აღარ ეკარება: „ახლა ნანადირევს გაჰყოფს და მე ნაკლებს შემახვედრებს. ამას ხომ სიკვდილი მირჩევნია; რა პირით უნდა მივიდე ნართებთან?“

გათენდა. ისაუზმეს და ბიჭმა სოსლანს უთხრა:

— წამო, უფროსო და რაც ღმერთს მოუცია, გავინაწილოთ.

ბიჭმა დახოცილი ნადირი სამ ნაწილად გაჰყო. სოსლანი, მეტისმეტი ბრაზისაგან შუბლშეკრული, ნანადირევს ზედაც აღარ უყურებდა.

ბიჭმა მიმართა:

— აიღე, უფროსო, შენი საუფროსო წილი.

სოსლანმა წარბი ასწია და ერთი წილი აიღო.

— ახლა საამხანაგო წილი აიღე.

სოსლანმა მეორე წილიც აიღო.

— ეს ერთი წილი კი — მე, — თქვა ბიჭმა, დახოცილი ნადირი ზურგზე მოიკიდა, დაემშვიდობა სოსლანს და შინისკენ გასწია.

სოსლანი მიმავალ ბიჭს მიშტერებოდა და ფიქრობდა: „ღმერთო ჩემო, ნართელი კაცი ვარ და ასეთ ძლიერ კაცს რომ არ შევხვედრილვარ, ვინ უხდა იყოს?“ უკან გამოუდგა; ბიჭმა მოიხედა და რომ შენიშნა, სოსლანი მისდევდა, გაჩერდა და დაუცადა:

— რა დაგვიწყნია, ჩემო უფროსო?

სოსლანმა უთხრა:

— სამი დღე ერთად ვინადირეთ და სახელიც კი არ გკითხე. ახლა ამიტომ დაგედევნე.

— სახელი ჯერ არ მაქვს. მამაჩემს ვკითხე, სახელს რატომ არ მარქმევ-მეთქი და ასე მიპასუხა: „სანამ ნართი სოსლანი არ დაგარქმევს, მანამდე მე არაფერი შემიძლიაო“.

გახარებულმა სოსლანმა უთხრა:

— აბა, მე ვარ სოსლანი — მამაშენის ძმადნაფიცი და შენთვის სახელად ბეძენაგის ვაჟი პატარა არახძავი დამირქმევია.

არახძავი დაბრუნდა შინ და მამას უთხრა:

— ხალხი სულ ნართების ხსენებაშია. ერთი, რა ხალხია უნდა დავათვალიერო.

— ე, გენაცვალე, შენ თუ წასვლა-წამოსვლას შესძლებ, მაგაზე ძლიერ მე რა გამახარებს, — უთხრა ბეძენაგმა, — რაკი ეგრე მოგისურვებია, აგერ სადავე აიღე. რემაში რომელი ცხენიც გინდა, ის დაიჭირე და გზა მშვიდობით გეცლოს.

არახძავმა რემიდან ერთი ცხენი გამოარჩია, დაიჭირა, უნაგირი დაადგა და ნართებისკენ გამოემგზავრა.

სოფლის ახლოს კუდიანი ქალი შემოხვდა:

— მშვიდობის გზა მოგცეს, ბეძენაგის ბიჭო პატარა არახძავ.

— ღმერთმა გაგახაროს, კარგო ქალო!

— სად მიდიხარ, მა ხურ?

— მინდა, ნართები მოვინახულო.

— მერე ეგ როგორ ცხენზე შემჯდარხარ? — ეგეთი ცხენები იმათ მწყემსებს სამხრის საზიდად ჰყავთ. ან ეგ ხმალი რას გიგავს — მაგნაირი ხმლით იმათი დიასახლისები ყველსა თლიან; ან ეგ თოფი რა თოფია — ეგეთი მათ მწყემსებს სტვირებად უჭირავთ. შენ ბეძენაგის ვაჟი როდი ხარ, სადღაც ჩირგვებში გიპოვნა, თორემ ეგრე რომ არ იყოს, იმ ცხენს მოგცემდა, თავისთვის რომ ჰყავს დაბმული და ჭენების სურვილით ანთებული ლაგამს ხრავს. ის ცხენი, რომელიც შენთვის არ გაიმეტა, რვაფეხა და ოთხყურაა. უფრო საოცარი კი ხმალი და თოფი აქვს — ბრძოლის სურვილით ალმური რომ ასდით.

არახძავი უკან გამობრუნდა.

— რად ღაბრუნდი, არახძავ! — ჰკითხა ბეძენაგმა.

— მე შენი შვილი არა ვარ!

— ვითომ რატომ?

— შენი შვილი რომ ვიყო, იმ ცხენს მომცემდი, ჭენების ჟინით შეპყრობილი ლაგამს რომ ხრავს და იმ იარაღს გამატანდი, ბრძოლის ნატერით ალმური რომ ასდის, — უთხრა არახძავმა.

— ე, შენი ჭირიმე, შენ რომ იმ ცხენზე ჯდომა და იმ იარაღის მოხმარება შეგეძლოს, მე უკეთესს რას ვინატრებდი! მაგრამ ჯერ პატარა ხარ და ვერ მოიხმარ, — უთხრა ბეძენაგმა.

— შენ მომეცი და დანარჩენი ჩემი საქმეა, — უთხრა არახძავმა.

— აბა, ჩემი ცხენი და იარაღი აგერ იმ სარდაფში, უღელი ხარი რომ ვერ გადააბრუნებს, ისეთი ლოდის ქვეშაა.

ბეძენაგმა ბიჭი მიიყვანა და აჩვენა, სადაც იყო მისი ცხენი და იარაღი.

არახძავმა ლოდს ფეხის წვერი წაჰკრა და გადმოაბრუნა. ცხენი გამოიყვანა, შავი საპონი წაიღო, შავ თერგზე მიიყვანა და სულ სპილოს-

ძვლისფრად დააწყებინა ლაპლაპი. უნაგირი დაადგა, იარაღი აისხა, შეჯდა და ნართებისკენ გამოსწია.

ნართები ლუდით სავსე ვეება კასრს შემოხვეოდნენ და ამბობდნენ:

— აბა და გვიქეიფია.

ურუზმაგმა კი თქვა:

— გახედეთ მინდორს, რაღაც უბედურება ხდება: მზე და მთვარე, ნისლი და ქვეყნის ფრინველი ერთად მოიწევს, უკან კი გუთნის კვალი რჩება.

გახედეს და ვერავინ ვერაფერი გაარჩია.

სათანა კოშკში იჯდა. შეუთვალეს:

— შენმა სიკეთემ, ერთი შენი ციური სარკით იმ მგზავრის საქმე გაგვიგე.

სათანამ ციური სარკით გაიხედა:

— ჰეი, ნართებო, მთელი დღე და მოსწრება სულ სხვა ხალხებზე ძალადობთ, ახლა კი მოძალადე თქვენზე მოდის. ნისლი რომ გგონიათ, — მისი ცხენის ამონასუნთქია. ქვეყნის ფრინველად რომ გეჩვენებათ — მისი რვაფეხა ცხენის ტორებით მოგლეჯილი და ცაში ყვავებივით მორიალე მიწის ნაფლეთებია, მზედ და მთვარედ რომ გეჩვენებათ — თვალისმომჭრელად მოლაპლაპე მისი იარაღია, გუთნის კვალს რომ ადარებთ, ხმლის კვალია — პატარა ბიჭია, ხმალი მიწამდე დასთრევს და ხნულს ავლებს. ახლა მდინარეს ადევნეთ თვალი, თუ ფონს დაუწყო ძებნა, ნუ გეშინიათ; თუ პირდაპირ შემოტოპა, რაც სხვისთვის დაგიმართიათ, იმას თქვენ დაგმართებთ. პატარა რომ არის, მაგითი გულს ნუ დაიარხეინებთ.

გახედეს ბიჭს; წყალს რა ადგილზეც მოადგა, იქვე გადმოჭრა და თევზივით შემოსრიალდა — არც ფონი უძებნია და არც — მორევი.

— არიქა, სათანა, შენი წყალობა ნუ მოგვკლებოდეს, სანამ არ ამოუღწევია, რამე გვირჩიე, — უთხრეს ნართებმა სათანას.

— ახლავე წვეულებაზე გასწიეთ და ალეგაანთ დიდ ხაძარში შვიდ რიგად დასხედით. სოსლანი მერიქიფედ დააყენეთ. მგზავრი ყმაწვილი ბიჭია და დაიმორცხვებს — სუფრის თავს დაჯდომაზე უარს იტყვის; შვიდი რიგის ბოლოს დაჯდება და შვიდივე რიგის დალევა მოუწევს. სასმელით თუ არ მოკალით, სხვანაირად ვერ მოკლავთ. ზედმეტი სიტყვა არავინ აკადროს, თორემ სულ დაგანიავებთ. მაგ ბიჭის დიდი იმედი მისი ცხენია თქვენც ადექით და ურუზმაგის ცხენს — ყულონს* შვიდჯერ წაუსვით ფისი და ხრეშზე შვიდჯერ ააგორეთ. მერე ურუზმაგისა და სტუმრის ცხენები ერთ საბმურზე დააბით. სტუმრის ცხენი ყულონს კბენას დაუწყებს, მაგრამ მას ხრეში დაიცავს; ყულონი კი მის ცხენს კბილებიო გვერდებს დაუგლეჯავს. ბიჭი სოფელს რომ მოაღწევს, მე შევთავაზებ: „შემოუხ-

ვიე, მგზავრო, გიმასპინძლებ“, თუ შემოვა, საშველში ისეთ ჯადოს შევურევ, იმედს რომ წაართმევს. თუ არ შემობრუნდება, მის წინ, გზაზე ისეთ მსხმოიარე ვაშლის ხეს გავაჩენ, მწიფე ნაყოფი ძირს სცვიოდეს. ის ვაშლი თუ ჭამა, — სულ ერთია — იმედს წაართმევს.

ამ დროს არახძავიც გამოჩნდა და სათანამ კოშკიდან გადასძახა:

— მშვიდობის გზით გეცლოს, ბეძენაგის ბიჭო არახძავ, შემოუხვიე ჩვენსკენ, გიმასპინძლებ!

— მამაჩემსაც არ უვლია შენნაირ უმსგავს მასპინძელთან, — მიაძახა არახძავმა.

— მაშ, მაგ ვაშლით პირი მაინც გაისველე, ჯიბეებიც გაივსე, — კვლავ შესთავაზა სათანამ.

— აბა, შეხედე შენს ვაშლს!

არახძავმა ხეს მათრახი დასცხო და იგი გრიალ-გრიალით სადღაც გაფრინდა.

ავიდა არახძავი ნართების კრებულთან და ყველანი გარეთ გამოცვივდნენ.

— აი, გაცოცხლა ღმერთმა, ბეძენაგის ბიჭო არახძავ! — ჩვენო შორიდან მოსულო სტუმარო.

— ცხენი ჩამოართვით და საბმურზე დაუბით, — გახურებული იქნება და გაგრიელდეს, აგერ ურუზმაგის ყულონიც დაბმულია და ეგეც გვერდით დაუბით, — თქვეს ზოგიერთებმა.

— იარაღი ჩამოართვით და სადმე საკიდზე დაუკიდეთ, — თქვეს ახლა სხვებმა.

გამოართვეს იარაღი; ხან ერთ საკიდზე მიიტანენ, ხან — მეორეზე, მაგრამ საკიდები ვერ უძლებდნენ და იმტვრეოდნენ.

— მაგათი საკიდი მე თვითონ ვარ — აქ მომეცით! — უთხრა მათ არახძავმა და ზედვე შემოირტყა.

სუფრის თავს დაჯდომა შესთავაზეს, მაგრამ არახძავმა არ ისურვა — არ შემფერისო, იუარა და შვიდი რიგის ბოლოში ჩამოჯდა. შვიდივე რიგი სადღეგრძელოს ამბობდა და შვიდივეს სტუმარს აწვდიდნენ, სვამდა და ჭამდა არახძავი, სირჩას უკან არ აბრუნებდა, მაგრამ ნირიც არ შეუცვლია. სოსლანი მერიქიფობდა და მისთვის არც ერთი ყანწი არ აუცილებია.

ხიზის ვაჟი ჩელეხსართაგიც წვეულებაზე იყო, საპატიო ადგილზე იჯდა. საინაგ-ალდარი კი სუფრას უფროსობდა. სოსლანს სუფრის თავში მსხდომ უფროსებთან სავსე სასმისები მაგიდის ნაპირებზე ცეკვით მიჰქონდა. სუფრის ბოლოდან სუფრის თავამდე ცეკვა-ცეკვით ისე გავი-

დოდა, ძირს ერთ ნამცეც პურს არ გადმოაგდებდა და ერთ წვეთ სასმელს არ დაღვრიდა.

ხიზის ვაჟმა სოსლანს უთხრა:

— ჯიხვის რქა ყველაზე ცხარე სასმელით ამივსე და მომიტანე.

მან რონგი მოუტანა.

ხიზის ვაჟმა ვეება ხარის ბარკალი აიღო, რონგით სავსე ჯიხვის რქა გამოართვა და სოსლანს მიმართა:

— აგერ, სტუმარი რომ გვყავს, ბეძენაგის ვაჟი არახძავი, ერთი დაუძახე, სირჩა მინდა მივართვა.

უხმო სოსლანმა და არახძავი ფიცხლად წამოხტა, ის თავისი მძიმე იარაღი ზედვე ერტყა, ავიდა სუფრაზე და გასაოცარი ცეკვით გასწია. მივიდა ხიზის ვაჟთან და მან უთხრა:

— სტუმარი ხარ და აჰა, სირჩა მომირთმევიას!

არახძავმა სირჩა ბოლომდე გამოსცალა, ხარის ბარკალიც მგელივით გამოხრა, ხიზის ვაჟს მადლობა გადაუხადა და თავის ადგილზე დაბრუნდა. ხიზის ვაჟს ეგონა, ამ ყანწს დალევს და კიდევაც გადავარდებაო, მაგრამ არახძავს აინუნშიც არ ჩაუგდია.

იწყინა ხიზის ვაჟმა, გაბრაზდა და გადმოსძახა:

— ძაღლის ლეკვო, თევზის სუნად აყროლებული რისთვის ამოხვედი აქ!

— მართლა ძაღლის ლეკვი ვიყო, თუ დღეისწორ პარასკევს ეს ქუჩები ცხენის ჩონჩორიკად არ გადავაქციო, — თქვა გაბრაზებულმა არახძავმა. გაიბუტა და წამოვიდა.

როცა თავისი ცხენი იმ დღეში იხილა, მაშინ ხომ მთლად გაცეცხლდა. მის ცხენს ურუზმაგის ყულონი დაუჯაბნია, მაგრამ თვითონაც ძლიერ იყო ყულონის მიერ დაკბენილი.

არახძავი რომ გაბუტული წამოვიდა, ხიზის ვაჟს სასიამოვნოდ აღარ დაურჩა, დარდი შეეპარა: „ეს რა ღვთის წყრომა დავიტეხე, კაი კაცის ვალი ვერ დავიდე! ნეტა ვინმე დააბრუნებდეს და კარგ საჩუქარს არ დავიშურებდი“.

— მე დავაბრუნებდი, მაგრამ უპირო კაცი ხარ და ვერ გენდობი, — უთხრა მას სოსლანმა.

— ღმერთი იყოს მოწმე, — უთხრა ხიზის ვაჟმა, — რასაც ითხოვ, გულს არ დაგაკლებ.

ხიზის ვაჟს გასაოცრად ლამაზი ქალიშვილი ჰყავდა — სახელად ბედუხა.

— აბა, მაშ შენი ბედუხა-მშვენიერი ცოლად მომეცი და არახძავს უკან მე დავაბრუნებ, — უთხრა სოსლანმა.

ოღონდ არახძავთან შემარიგე და იყოს შენი ჩემი ქალი, — უთხრა ხიზის ვაჟმა.

სოსლანმა თავისი ფოლადჩლიქება ცხენი გამოიყვანა, შეჯდა და არახძავს დაედევნა. როცა მიუახლოვდა, გულში თქვა: „წინ რომ გავუსწრო, ჩასაფრებულად ჩამთვლის, უკან მივსდიო, მდევრად ჩამთვლის! მოდი და რაც იქნება — იყოს, გვერდით გავყვები“.

წამოეწია არახძავს და გვერდით გაჰყვა.

— ბეძენაგის ბიჭო პატარა არახძავ, გთხოვ, ნუ წახვალ ჩვენგან ეგრე განაწყენებული; შენი გაბუტვის გამო ნართები ძლიერ სწუხან.

— ღმერთმა ინებოს, ერთმანეთიც ამოგიწყვეტიათ! — უპასუხა არახძავმა.

„მოდი, ყმაწვილია, საჩუქარს შევთავაზებ, იქნებ სულმა წასძლიოს!“ — გაიფიქრა სოსლანმა და უთხრა:

— არახძავ, უკან რომ დაბრუნდებოდე, კარგ საჩუქარს მოგცემდი.

— მაინც რას გაიმეტებდი?

— ჩემს ცხენს.

— მერე და ეგ შენი ცხენი რა ისეთი ხვითოა?

— ღმერთია მოწმე, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე გზას ერთ თვალის დახამხამებაში გარბის.

— ვაი-ვაი, სოსლან, რა გაგკვირვებია! — ჩვენში ერთმანეთთან ბურახის დასალევად ეგეთი ცხენებით დავდივართ.

— აბა, ერთი საჩუქარიც მაქვს — დანა.

— მაინც ისეთი რა ღირსება აქვს?

— ღვთის მადლმა, რასაც გინდა დასცხო — ქვას თუ ხეს — დაჩლუნგების ნაცვლად პირი უფრო აეწყობა.

— ვაი-ვაი, სოსლან, ჩვენში დედაკაცები ყველს ეგეთი დანებით თლიან.

— კიდევ ერთი საჩუქარი აქვს.

— ეგ რაღაა?

— დანის თავსამკაული — ბურთულა.

— მაგას რაღა ღირსება აქვს?

— ცა და დედამიწა დამემოწმება, უდაბურ ველზე რომ შემომაღამდება ხოლმე, უკუნ სიბნელეშიც მის შუქზე შინ მშვიდობით მივდივარ.

— ვაი-ვაი, სოსლან, შენ რა ნართელი კაცი ხარ, თუ ეგეთები გიჭვირს! ჩვენში ცხვრები იალაღებიდან როცა შინ გვიან ბრუნდებიან, ჩვენი რძლები სიბნელეში ცხვრის წველისას საწველელ კასრებზე ეგეთებს ამაგრებენ.

— აბა, თუ მართალი გინდა, შენს დაბრუნებაში ხიზის ვაჟი ჩელეხსართაგი თავის ქალიშვილის — ბედუხა-მშვენიერის მოცემას დამპირდა.

— აქამდეც ეგრე გეთქვა, შე ქაი ქაცო, — უთხრა არახძავმა და გამობრუნდა.

— სოსლან, გთხოვ, ძვირფას .განძეულს რომ გიწუნებდი, ამაზე ნუ გამინაწყენდები, — უთხრა არახძავმა და ნართებისკენ გაჰყვა.

გზად ვაზის ვაჟი ძეხიც შემოხვდათ; ურთმანეთს თავიანთი ამბები უამბეს.

— მამის სულს ვფიცავ, აბა, მეც თქვენთან ერთად მოვდივარ, — თქვა ვაზის ვაჟმა ძეხმა და ისიც მათ შეუერთდა.

ხიზის ვაჟმა ჩელეხსართაგმა რომ გაიგო, უკან მობრუნდნენო, ფიცი გატეხა, დასტაცა ხელი ბედუხას, აინაგის კოშკს შეეფარა და იქ ჩაიკეტა.

—

სავაი

ბორათების გვარეულობამ შვიდი წლის მანძილზე აგროვა ქონება, რათა თავისი ძვწლი მიცვალებულებისათვის სულის მოსახსენებელი საპატიო აღაპი გაეშართა.

აღაპისათვის დათქმულ დღეს ჯერ კიდევ სამი წელიწადი უკლდა, ნაროებმა მაცნეს რომ უხმეს და დაავალეს, ხალხისათვის შეეტყობინებინა:

— ბორათები სამი წლის შემდეგ თავიანთ ძველ მიცვალებულებს სულის მოსახსენებლად აღაპს უხდიან და თავის დოღის ცხენს ყველამ მოუარონ. დოღი გაიმართება შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შუა მდებარე კუნძულიდან ნართების ყაზანფაზამდე. ყაზანფაზზე დროშას დაარჭობენ. ვინც ამ დროშასთან პირველი მოაღწევს, მას პირველი ჯილდო — ტყვე ვაჟი გადაეცემა, ხოლო ვინც მეორე მოვა — იმას ტყვე ქალიშვილი. დოღის დანარჩენი მონაწილეებიც საჩუქარს ყველა მიიღებს — იარაღი, პირუტყვი და სხვა განძეული იმდენია, ყველას გახვდება-თქო.

როცა მაცნემ ნართებს ეს ამბავი შეატყობინა, ყველამ თავისი დოღის ცხენის გაწვრთნას მიჰყო ხელი.

ნიხასში ბჯდომ კანძს მაცნეს ძახილი რომ შეესმა, წამოდგა და შინ

წამოვიდა. მივიდა და სპილოს ძვლის სავარძელში გაბოროტებით ჩაეხეთქა. სკამი წვრილად დაიმსხვრა. გაოცებულმა ცოლმა ჰკითხა:

— რა დაგემართა, ბერიკაცო, დღეს რაღაზე ხარ გაბოროტებული?

კანძმა უპასუხა:

— მაცნემ დაიძახა: ბორათები თავის ძველ მიცვალებულებს სულის მოსახსენებელ საპატიო ალაპს უხდიან და ყველამ თავის დოღის ცხენს მიხედოს. დოღის მონაწილე ცხენებიდან ვინც პირველობას დაინარჩუნებს, მის მხედარს პირველი ჯილდო — ტყვე ვაჟი გადაეცემა, მეორეს — ტყვე ქალიშვილი; დანარჩენი მონაწილეებიც საჩუქარს ყველა მიიღებს. ჩემს ცხენს რომ მხედარი ჰყავდეს, პირველ ჯილდოს აიღებდა. აი, რა მატირებს! სკამზეც იმიტომ ვიყარე ჯავრი!

ქალმა სამი თაფლიანი კვერი გამოაცხო, დოქი რონგით გაავსო, ეს ყველაფერი შვიდსართულიანი სახლის სხვენზე აარბენინა და ღმერთს შეევედრა: „ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე, უშთამომავლოდ ნუ გადაგვაშენებ!"

შესაწირავისთვის პირიც არ დაუკარებია, შინ წამოიღო ეგრევე. რონგის დოქი თავის მოხუცს გამოაცლევინა. ის სამი თაფლის კვერიც შეაჭამა, მერე გვერდით მიეხუტა. ისმინა უფალმა მისი ვედრება და ქალი დაფეხმძიმდა. მოაწია დრომ და განთიადისას კანძის ცოლმა ვაჟი შობა. ვაჟს სახელად სავაი დაარქვეს. სავაის დედა ძუძუს აწოვებდა და ბიჭმა კბილებით ძუძუები დააგლიჯა. სხვა მეძუძური ქალი მოიყვანეს, იმასაც წაგლიჯა ძუძუ. ეს ამბავი რომ კანძმა შეიტყო, თავის მსახურებს უთხრა, წაეყვანათ ბიჭი და მყინვარის ნაპრალში ჩაეგდოთ. წაიყვანეს სავაი და მყინვარის ნაპრალში ჩააგდეს. აქ მას ძუძუს მგლები აწოვებდნენ. იგი უცბად გაიზარდა და ნადირობა დაიწყო.

დოღის დაწყებას სამი დღე-ღა უკლდა. მოვიდა კვლავ ნიხასიდან შინ კანძი და სპილოს ძვლის სავარძელში ჩაეხეთქა. ეს სავარძელიც წვრილად დაიმსხვრა.

— ის ბიჭიც ღმერთმა მხოლოდ სადარდებლად მომცა! — თქვა მან თავისთვის.

სწორედ ამ დროს კანძის მწყემსი მოვიდა და უამბო, ერთი ბიჭი მთებზე დადის და ნადირის ჯილაგს აჩანაგებსო. კანძს გულში ეჭვმა გაჰკრა და მსახურებს უთხრა:

— წადით და ის ბიჭი აქ მომგვარეთ!

წავიდნენ და მოჰგვარეს ბიჭი.

— რაზე დაღონებულხარ, მამაჩემო? — ჰკითხა ბიჭმა კანძს.

კანძმა საქმის ვითარება უამბო.

— მერე სად გყავს ცხენი?

— ჩემი ცხენი გოშურში აბია და უპატრონობით რკინის ბუნიკებსა ხრავს. მიდი და თუ ახლოს მიგიკარა, ნამდვილად კანძის ბიჭი იქნები და ჩემს ცხენს მხედრად გამოადგები, თუ არა და რას ვიზამ!

სავაი გომურში ჩავიდა. ცხენმა უკანა ფეხებით წიხლები ჰყარა, მაგრამ ორივე ფეხში სტაცა ხელი, მიწას დაახეთქა და უთხრა:

— შე პატრონმკვდარო, აღარ გეყო ნეხვში ლპობა?

ცხენმა ბიჭს კბილები ჩაავლო და მიწაზე ათრია.

ბიჭმა ყურებში ჩაავლო ხელი, კვლავ მიწაზე დაანარცხა და უთხრა:

— ნუთუ შენს აქედან გასვლას საშველი არ უნდა დაადგეს, ან იქნებ არ იცი, მე კანძის ბიჭი სავაი რომ ვარ?

ცხენი ახლა კი გამოელაპარაკა:

— კანძის ბიჭი რომ არ იყო, დღემდე ძუაზეც ვერავინ დამაკარა ხელი, შენ კი მიწაზე მახეთქე; დღეის შემდეგ მხედრად გამომადგები.

— შენ კი დღეის შემდეგ ცხენად გამომადგები.

მერე სავაი მამასთან მივიდა და უთხრა:

—იარაღი გაქვს თუ არა?

—ქარქაშში ჩაგებული ჩემი დანა უქმად დევს და ლურჯი ალმური ასდის, ჩემი მშვილდ-ისარი კი რკინის ჯაჭვით რკინის ბოძზეა მიბმული და ბრძოლის ჟინით წითელი ალმური ასდის. ახლა, შვილო, აჰა, შვიდივე გასაღები. მეშვიდე კარს რომ გააღებ, იქაა ჩემი იარაღი; თუ მათ აღებას შესძლებ, იარაღი შენ დაგრჩება, თუ ვერ შესძლებ — სიკვდილი გელის და მე ნუ დამადანაშაულებ.

გადაიარა სავაიმ ექვსი კარი, მეშვიდე კარი რომ შეაღო, დანამ აიშვა, რკინის ბოძს მოხვდა და დიყივით გადაბალთა. სავაიმ დანას ვადაში ჩაავლო ხელი და უთხრა:

— ცეცხლებს ნუღარ აკვესებ, შენი ადგილი ჩემს წელზეა!

მშვილდ-ისარს შეეხო ბიჭი, მშვილდმა სამჯერ ისროლა ზეცას ისარი, რკინის ბოძიდან ახსნას ლამობდა.

იმარჯვა სავაიმ, მხარზე გადაიგდო და იარაღასხმული მამასთან გამოვიდა. კანძის ცხენი წლობით წყალს არ დალევდა, თუ განთიადისას ნართების ძიხიდონზე* არ დაარწყულებდნენ. ყოველ განთიადისას კი სათანა შვიდსართულიანი შენობის სხვენზე სალოცავად მიდიოდა. ცაზე და დედამიწაზე ბედისა და უბედობის შესაცნობად იქიდან იმზირებოდა.

ერთხელ მან შეამჩნია, ვიღაცამ კანძის ცხენი ნართების ძიხი-დონზე დასარწყულებლად მოიყვანა. სათანამ ცხენი სწორედ წყლის სმის დროს დაინახა და იმიტომ იცნო, კანძისა რომ იყო — ცხენს შუბლზე ცისკრის ვარსკვლავი ჰქონდა. შინ მოვიდა და ურუზმაგს უთხრა:

— სიხარული გაგვიცრუვდა, დოღში ტყვე ბიჭი ჩვენ აღარ შეგვხ-

ვდება. ძიხი-დონზე კანძის ცხენი დავინახე, წყალს სვამდა, ვინ გამოიყვანა, ის კი ვერ გავარჩიე.

ურუზმაგი სათანას გაუწყრა — კანძისა გვარიც აღარ არის, მის ცხენს წყალზე ვინ გამოიყვანდაო.

სათანა მეორე დღის განთიადისასაც წავიდა და მზერა მხოლოდ ძიხი-დონს მიაპყრო, სხვა აღარსაით აღარ გაუხედავს. სავაიმ ცხენი დასარწყულებლად კვლავ იმავ დროს გამოიყვანა. სათანა დააშტერდა — ცხენი კიდევ უფრო გარკვევით იცნო, მაგრამ ვინ გამოიყვანა, ვერ გაირჩია, რადგან სავაის ის ვარსკვლავი ფარავდა, ცხენს რომ შუბლზე ჰქონდა.

სათანა მივიდა შინ და თავის ქმარს — ურუზმაგს კვლავ უთხრა:

— სულ ტყუილად გვიხაროდა — ტყვე ბიჭი ჩვენ აღარ გვერგება. დღეს კანძის ცხენი უკვე მეორედ დავინახე, ძიხი-დონზე წყალს სვამდა. ვინ გამოიყვანა, იგი დღესაც ვერ გავარკვიე.

ურუზმაგი უარესად გაბრაზდა და სათანა დატუქსა, ტყუილებს ნუ მეუბნებიო.

მესამედაც ზუსტად იმ დროს გავიდა სათანა შვიდსართულიანი სახლის სხვენზე და კვლავ ძიხი-დონს მიაპყრო მზერა.

ცხენი რომ კანძისა იყო, ეს კიდევ ერთხელ ნამდვილად დაადასტურა, მაგრამ ვის გამოჰყავდა — კვლავ ვერა და ვერ გაარჩია — სადავეს ხედავდა, ხოლო ვის ეჭირა, არ ჩანდა. სათანამ თავის ქმარს ურუზმაგს გაუმეორა, ცხენი კანძისა რომ იყო და მხედრის ვინაობა ვერ გაარკვია. ურუზმაგმა კიდევ უფრო მკაცრად დატუქსა ცოლი, შე ასეთ-ისეთად საქცევო, რა ნახე ტყუილს რატომ მეუბნებიო!

სათანამ ახლა ნანახი სიზმარი უამბო:

— სიზმრად ვნახე, ვითომ შენ ყაზანფაზზე პირველობისათვის ცხაროობდი, პირველ ჯილდოს არავის ანებებდი, ვითომ ვაზ-კვიფის სიმაღლეზე შავი ყორანი შემომჯდარიყო. გამოექანა იგი, დაგეჯახა და ცხრა ნეკნი შეგიმტვრია. მე ჩემი აბრეშუმის თავსაფარი შემოგახვიე, ზურგით შინ მოგიყვანე და სპილოს ძვლის საწოლზე დაგაწვინე. შენ, ვითომ, მძიმე ავადმყოფი იყავი და მე თავს გადეჭი. ვეღარც აღაპის ჭამა შეიძელი და დოღში მეორე ჯილდო — ტყვე ქალიშვილიც კი არ გვერგო. ახლა, კაცო, ეს ჩემი ნათქვამი კარგად დაიხსომე, არ დაგავიწყდეს ხოლმე!

დოღის ცხენები კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შუა შთელი წლის მანძილზე ისვენებდნენ.

სავაიმ თავისი ცხენი შეკაზმა, მამისეული იარაღი აისხა და კანძს ჰკითხა:

— სალაშქროდ შინიდან როგორ გადიოდი?

კანძმა უპასუხა:

— მე სალაშქროდ აი, ამ ჩვენი მთავარი სარკმლიდან გავდიოდი.

ბიჭმა ცხენს მათრახი გადაუჭირა და იგი მთავარი სარკმლიდან ბუზივით გაფრინდა. გაეშურა შავ ზღვასა და კასპიის ზღვას შუა მდებარე კუნძულისაკენ, — დოღის მონაწილეები ხომ აქ იყვნენ. ტყეებსა და ველებზე მიმავალი სავაი გზადაგზა შვლებსა და ირმებს ხოცავდა, მათი ტყავებისაგან თასმებს ჭრიდა.

დოღის დაწყების წინაღამეს სავაიმ დოღის მონაწილეებს მძინარეებს მიუსწრო. ადგა და ყველას სადაველები და უნაგირის მოსართავები დაუკერა; მერე მოშორებით გავიდა, თოქალთო ქვეშ დაიგო, უნაგირი სასთუმლად დაიდო, თავისი ანდიური ნაბადი ზედ წაიფარა და დაიძინა. ცხენი ნებაზე გაუშვა და მან ზღვაში იბანავა.

დოღის მონაწილეები გამოემგზავრნენ. ის იყო, ნართების ყაზანფაზს მოუახლოვდნენ და მძინარე სავაისთან თავისი ცხენი მივიდა.

— ადე და წავიდეთ! — უთხრა ცხენმა სავაის, — დღეს დოღის მონაწილეები ადგილზე მივლენ და დროა, ჩვენც გზას გავუდგეთ.

სუფთა, ახლადნაბანავებ ცხენს ბეწვი კვერცხით დაბანილივით უბზინავდა. სავაიმ ცხენს უნაგირი დაადგა, მოახტა და ნართების ყაზანფაზისაკენ გამოეშურა.

ნართების ახალგაზრდობა დოღს შვიდსართულიანი კოშკის სხვენიდან ადევნებდა თვალს, აბა, ვისი ცხენი დაწინაურდებაო. დაინახეს, რომ ურუზმაგისა და ხამიცის ცხენები დაუღლელი ხარებივით გვერდი-გვერდ მოისწრაფოდნენ, მათ უკან სოსლანის ცხენი მოჰყვებოდა. ყველაზე უკან სირდონის ცხენი ჩამორჩა, ახალგაზრდებმა სირდონი მასხარად აიგდეს: „არიქა, სირდონ, შენს ცხენს ტვირთი მოაქვს!“

ამ დროს შენიშნეს, რომ კანძის ქვიშისფერმა ცხენმა ყველას გაუსწრო. ცხენი გარკვევით ჩანდა, მაგრამ მხედარი ვერ გაარჩიეს — უნაგირს არ აცილებოდა.

სირდონმა მათ უთხრა:

— ჩემი ცხენი ტვირთის ცხენივით უკან ჩამორჩა, მაგრამ უფრო მეტ საოცრებას გეტყვით: ერთი ქვიშისფერი ცხენი თქვენს ცხენებს მარჯვენა ყურებს აგლეჯავს და მარცხნივ ჰყრის. ჩემი ცხენი ყველაზე უკანაა და ყველაზე პირველად ყური მას წააგლიჯა; ახლა, მხიარულო ყმაწვილებო, როგორც მე ვერ ვიხილავ პირველობის ჯილდოს, ისე — თქვენ.

სოსლანმა ვეღარ მოითმინა, კოშკის სხვენზე აიჭრა, ხელი მოიჩრდილა და დოღს გახედა: რა წამს თავის ცხენს თვალი მოჰკრა, სავაის ცხენმა სწორედ იმ წამს წააგლიჯა მას ყური. მერე ისიც დაინახა, ურუზმაგის ცხენის შემდეგ ხამიცის ცხენსაც როგორ წააგლიჯა ყურები.

დოღის მონაწილეებმა მოაღწიეს დანიშნულ ადგილს.

სავაი დროშას შევარდენივით დააცხრა, აიტაცა და ბურაფარნიგს მიმართა.

— გამომიყვა ახლა ჩემი პირველობის ჯილდო!

გაჯავრებულმა ურუზმაგმა ბურაფარნიგს შეუყვირა:

— არ მისცე ამ ვირის ჩოჩორს პირველობის ჯილდო, ჯერ პირზე ხსენი არ შეშრობია!

სავაიმ ურუზმაგს უთხრა:

— უფროსობის ხათრით მიპატიებია, მაგრამ პირველობის ჯილდოს სალაპარაკოდ ნუ გამიხდი!

ურუზმაგმა ჯოხი მოუქნია. ახლა კი აღარ დაუთმო სავაიმ, მოახტა თავის ცხენს, ყორანივით გაფრინდა, ვაზ-კვიფის ბორცვზე ავარდა და იქიდან ურუზმაგისკენ შევარდენივით გამოექანა, ამოსცხო და ცხრა ნეკნი შეუულეწა. მიირბინა სათანამ ურუზმაგთან, ფერდები აბრეშუმის თავსაფრით შეუხვია, შინ მიიყვანა, სპილოს ძვლის საწოლზე დააწვინა და უვლიდა.

ხალხი აღაპის საჭმელად დასხდა. სავაი ბურაფარნიგთან მივიდა და უთხრა:

— მომგვარე აქ ჩემი კუთვნილი ტყვე ვაჟი და ურუზმაგისთვის მისაცემი ტყვე ქალიშვილი.

ბურაფარნიგმა უარის თქმა ვეღარ გაბედა და სავაიმ რაც უთხრა, შეუსრულა — ტყვე ვაჟი და ტყვე ქალიშვილი მიჰგვარა. სავაიმ ორივე უნაგირს უკან შემოისხა, მამამისს მიჰგვარა და უთხრა:

— აჰა, მოგიყვანე ჩემი პირველობის ჯილდო — ტყვე ბიჭი. ესეც ძალით წართმეული მეორე ჯილდო — ტყვე ქალიშვილი.

კანძმა თავის ვაჟს სავაის უთხრა:

— ივარგებ, შვილო და დღეიდან ხალხი კანძის ვაჟ სავაიდ მოგნათლავს.

ამ ამბიდან კარგა ხანმა გაიარა. ერთ დღეს სავაიმ მამას უთხრა:

— სათარეშოდ მივდივარ.

— წადი, შვილო, მაგრამ ჯობდა წასვლა ცოტა დაგეხანებინა და საკუთარი თავისთვის მიგეგხედა. თუ არა, ურუზმაგისები რაკი გაიგებენ, კანძის შთამომავალი რომ ხარ, არ მოგასვენებენ — შენც ისევე მოგიღებენ ბოლოს, როგორც შენს ათ ძმას და მე კვლავ უპატრონოდ დავრჩები.

— ნუ გეფიქრება, მამა, ჩემს ნაცვლად ქალ-ვაჟს გიტოვებ და ჯერ-ჯერობით ისინი გაგართობენ. მე კი ურუზმაგისები ვერც ჭკუით, ვერც ძალ-ღონით, ვერც ეშმაკობით ვერაფერს დამაკლებენ — ამის იმედი გქონდეს!

შეჯდა სავაი ცხენზე და სათარეშოდ გასწია. მამამ გზა მშვიდობისა უსურვა. ავიდა სავაი ნართების ყაზანფაზზე და ურუზმაგს დაუძახა:

— ურუზმაგ, წამო სათარეშოდ!

მისი დაყვირების ხმაზე ურუზმაგის სახლში ჭერს ჭვარტლი დასცვივდა. მეორედაც დაუყვირა და ახლა კოჭებზე გაწყობილი ლატნები ჩამოცვივდა; ურუზმაგმა მაინც არ გამოხედა. მესამედ დაუყვირა და ამ დაყვირებით სახლის კოჭები ჩამოიმტვრა.

სათანამ ურუზმაგს უთხრა:

— შენ იჯექ, მე გავხედავ.

სათანა გამოვიდა და ყაზანფაზზე მდგარ ბიჭს გასძახა:

— დილამდე დაუცადე — გავამზადებ.

სავაიმ ყაზანფაზზე ქვეშ თოქალთო გაიფინა, სასთუმლად უნაგირი დაიდო, ანდიური ნაბადი ზედ წაიფარა, დაწვა და დაიძინა.

სათანა შინ შებრუნდა და ურუზმაგს უთხრა:

— ის წყეული ბიჭი გადაგეკიდა და წაუსვლელობა არ გარგებს, მაგრამ ფრთხილად იყავ, მხლებლები თან იყოლიე.

ურუზმაგმა სათანას დაუჯერა, გაემზადა და გაემართა. მათრახი განგებ შინ დაივიწყა. სოსლანი და ხამიციც თან გაიყოლა. მოვიდა ყაზანფაზზე და ხედავს, სავაი წევს და ხვრინავს. დაუძახა:

— ადექ ზეზე, ბიჭო და ვიაროთ!

სავაიმ ცხენს უნაგირი დაადგა, მოახტა და გზას გაუდგნენ. კარგა მანძილი რომ გაიარეს, ურუზმაგმა უთხრა:

— მათრახი შინ დამრჩენია, გავბრუნდები და წამოვიღებ. თქვენ იარეთ, მეც მალე დაგეწევით.

სავაიმ ურუზმაგი არ გაუშვა, რაკი უფროსი იყო, არ აკადრა.

— მე დავბრუნდები, წამოგიღებ და სწრაფად წამოგეწევით, — უთხრა სავაიმ.

თავისი მათრახი ურუზმაგს მისცა და თვითონ ურუზმაგის სახლისკენ გამოაჭენა. მოაღწია, ცხენი ურუზმაგის ცხენის საბმურზე გამობა, სასადილო ოთახში შევიდა და ჩამოჯდა. სათანამ სტუმართან თავის ქალიშვილს ხელების დასაბანად წყალი და ტაშტი გამოატანა. ქალიშვილმა სავაის ხელებზე წყალი დაუსხა. ბიჭი ხელ-პირის ბანას რომ მორჩა, ქალიშვილს უთხრა:

— აფსუს, რა კარგი გოგო ხარ, რომ არ კოჭლობდე!

ქალიშვილი ატირებული მივიდა დედასთან და უთხრა:

— აქამდე ჩემთვის არავის დაუცინია და ახლა ამ სტუმარმა კოჭლი რატომ დამიძახა?

სათანამ ქალიშვილი დააწყნარა, ბაშმაკი გახადა, შიგ ფეტვის მარცვალი უპოვნა და გაუწყრა:

— თვითონ ვერ მიხვდა, ბაშმაკში ფეტვის მარცვალი რომ გქონდა, სტუმარმა კი გამოიცნო; წადი სუფრა გაუშალე, ახლა კოჭლობით აღარ დაგიწუნებს. ქალიშვილმა სუფრა რომ დაუდგა წინ, სავაიმ უთხრა:

— კარგი გოგო ხარ, მარჯვენა გვერდი შესივებული რომ არ გქონდეს.

ქალიშვილი კვლაც დედასთან — სათანასთან მივიდა და უთხრა:

— მარჯვენა გვერდი შესივებული გაქვსო, სტუმარმა ახლა ამით დაგიწუნა.

სათანამ ქალიშვილს ღილები შეუხსნა და კერვის დროს კაბის ნაკერში ჩარჩენილი ძაფის ნაწყვეტი გამოაძრო. ქალიშვილი დატუქსა, თავის მოვლა არ იცით.

— წადი, სუფრა აალაგე და თუ კიდევ რამე დაგიწუნა, ისიც მითხარი, — უთხრა შვილს სათანამ.

ქალიშვილი სავაისთან სუფრის ასალაგებლად რომ შევიდა, ბიჭმა კვლავ უთხრა:

— ეჰ, რა ლამაზი ხარ, ქალიშვილო, რა მოხდენილი, მაგრამ მარჯვენა თვალი გიტყუის. შენი დაბრმავება ნამდვილად ცოდვაა.

ქალიშვილმა სუფრა გაიტანა და დედას სტუმრის ნათქვამი კვლავ ტირილით უამბო.

— ბრმად როგორ არ ჩაგთვლიდა?! — ქალიშვილს თვალში ჩავარდნილი წამწამი ამოაცალა სათანამ და უსაყვედურა, როგორც საჭიროა, ისე არ იცი თავის მოვლაო.

სათანამ ქალიშვილს ურუზმაგის მათრახი გამოატანა. მან მათრახი სავაის გადასცა.

სავაიმ ქალიშვილს მადლობა გადაუხადა.

— კარგად ეყოლე შენს პატრონს. ბოლოს ვისიც იქნები, ისიც გაახარე. შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, ისეთი კარგი, უკეთესი რომ არ შეიძლება.

ეს უთხრა, შეჯდა ცხენზე და ამხანაგებს წამოეწია. მათრახი ურუზმაგს გადასცა თავისი გამოართვა და ამხანაგებს უთხრა:

— თქვენ ნელა იარეთ, მე წინ წავალ და თქვენს მოსვლამდე ბინას შევიგულებ.

წავიდა, შვლები და ირმები დახოცა, მათი ტყავებისაგან კარავი დადგა, ცეცხლი დაანთო და მწვადები რომ გაამზადა, მისმა ამხანაგებმაც მოაღწიეს. მწვადებით კარგად დანაყრდნენ და წამოწვნენ, დავისვენებთო. სავაი, როგორც უმცროსი, ღამით ცხენებს დარაჯად დაუდგა. დილით რომ წამოდგნენ, მან ურუზმაგს უთხრა:

— ახლა ისეთ ქვეყანაში წაგვიყვანე, რომელიც არ მოგითარეშებია.

— ჩემს ბიჭობაში ორ ზღვას შუა ვიყავი, ჩემი ჭრელი ცხენი ჯერ კვიცი იყო, იქიდან რომ წამოვიყვანე; სხვა ისეთი ქვეყანა, სადაც არ მეთარეშოს, არ დამრჩენია.

— აბა, თქვენ ჩემს დაბრუნებამდე აქ ნადირის ხორცს კარგად შეექეცით ხოლმე, მე იმ ქვეყანას დავათვალიერებ, — უთხრა ამხანაგებს სავაიმ.

— იქ წასვლა ძნელია, ზღვებზე ვერ გადახვალ და დაიღუპები, — დაუშალა ურუზმაგმა.

სავაიმ ურუზმაგს არ დაუჯერა; შეკაზმა ცხენი და გზას გაუდგა.

ზღვაზეც ისე გავიდა, როგორც ხმელეთზე დადიოდა; მივიდა იმ ქვეყანაში. დაინახა, ჭრელი ცხენების რემა ბალახობდა. მივიდა, რემაში სამი წლის ჭრელი კვიცი გამოარჩია, დაიჭირა და წამოიყვანა. ისევ უკან გაბრუნდა, მთელი რემა წამოასხა, მდევარი დახოცა და თვითონ ცხენის რემიანად ამხანაგებთან დაბრუნდა.

ნართებმა დაისვენეს, მერე რემის გაყოფა მოისურვეს. ურუზმაგს, როგორც უფროსს, სთხოვეს ნადავლი მას გაენაწილებინა. ურუზმაგი არ დათანხმდა. ბევრი მიეთ-მოეთის შემდეგ ნადავლის გაყოფა თვით სავაის მიანდო, საცა რემის გადმორეკვა შესძელი, იქ მისი განაწილებაც არ გაგიჭირდებაო.

სავაი რემის გაყოფაზე დაეთანხმა.

მან ის ჭრელი კვიცი გამოარჩია და ცალკე დააბა, რემა კი ხუთ ნაწილად გაჰყო. ურუზმაგი ბიჭს ჩანაფიქრს ვერ მიუხვდა და ძლიერ განაწყენდა. სოსლანსა და ხამიცს უთხრა:

— ეს ბიჭი უნდა მოვკლათ, ნამდვილად ქავდასარდის* წილის მოცემას გვიპირებს.

ხამიცმა და სოსლანმა იგი დაამშვიდეს:

— ნუ ვიჩქარებთ, ვნახოთ, როგორ უპირებს გაყოფას.

სავაიმ იმ ხუთი ნაწილიდან ურუზმაგს ერთზე მიუთითა:

— ეს ერთი წილი შენ, — საუფროსო.

დარჩენილი ოთხი წილიდანაც კიდევ ერთი გამოუყო:

— ესეც საამხანაგო წილი.

ამის შემდეგ სოსლანს და ხამიცს დართო ნება, აეღოთ თავიანთი წილი. მათაც თითო წილი აიღეს. ბოლოს თავისი წილი ორ თანაბარ ნაწილად გაჰყო, ერთი სოსლანს მისცა, მეორე — ხამიცს. ჭრელი კვიცი თვითონ დაიტოვა და სოსლანს ჩუმად გააგებინა, რომ ეს ჭრელი კვიცი სათანასათვის სურდა დედის ცხენად* მიერთმია.

სოსლანისათვის რა ძნელი მისახვედრი იყო, სავაი ურუზმაგის სიძეობას რომ აპირებდა.

დაბრუნდნენ მოთარეშეები და ურუზმაგის ბინაზე მოვიდნენ. მთელი სოფელი აქ შეგროვილიყო. ხამიცი და სოსლანი მათ სავაის ვაჟკაცობის ამბებს მოუყვნენ და ყველა ძლიერ გაოცდა. სოსლანმა სათანას ყურში უჩურჩულა:

— ჩვენს დას ცოლად ვასთირჯი და ღვთაებები თხოულობდნენ, მაგრამ გოგო არავის გაჰყვა. ახლა ეს ბიჭი თხოულობს და აუცილებლად უნდა გავატანოთ.

სათანამ და მისმა ქალიშვილმა თქვეს, თუ ეგეთი კარგი ვაჟკაცია, ჩვენ თანახმა ვართო.

ურუზმაგმა თავისი სტუმრის სავაის პატივსაცემად წვეულება გამართა. წვეულებაზე ძლიერ ბევრი ხალხი დაპატიჟა. ხალხი წვეულების მიზეზს უმალ მიხვდა; სავაის ვაცამონგათი სირჩა მიართვეს; მან იგი გამოცალა. ნართები სამი დღე ისხდნენ და ღრეობდნენ. როცა წვეულება დამთავრდა, სავაიმ შინ წასვლა ისურვა.

მასპინძლებს მადლობა გადაუხადა და უთხრა:

— დღეიდან ერთი წლის გასრულებამდე ერთხელ გამოგეცხადებით. ეს თქვა სავაიმ და შინისკენ გაუდგა გზას.

ურუზმაგი სავაისთან დამოყვრებით როგორ არ გაიხარებდა! მაგრამ მისი მოსვლის დღე ზუსტად რომ არ იცოდა, ეს ანაღვლებდა. მის მოლოდინში ვაცებს დაზრდიდა, დაკლავდა და ხალხი ჰამდა.

ერთ დღეს ნართმა ბურაფარნიგმა სამდღიანი წვეულება გამართა და ნართები — ბებერი თუ ყმაწვილი — ყველა დაპატიჟა.

სავაი ერთ წელიწადში როგორ არ გაიზრდებოდა! წვერი ამოუვიდა. წელიწადის დამთავრებას სამი დღე უკლდა, მან მამას რომ სათარეშოდ წასვლის ნება სთხოვა:

— სათარეშოდ მივდივარო.

სავაის მშობლებმა ჯერ არ იცოდნენ, მათი ვაჟი ურუზმაგს რომ დაუმოყვრდა.

სავაი ურუზმაგის სახლისკენ გაეშურა. ცხენი ურუზმაგის ცხენის საბმურზე დააბა, თვითონ სასტუმრო ოთახში შევიდა და დაჯდა. შინ სათანასა და მისი ქალიშვილის გარდა არავინ იყო — მამაკაცები ბურაფარნიგის წვეულებაზე წასულიყვნენ. სავაიმ კედლიდან სოსლანის თორმეტსიმიანი ფანდირი ჩამოიღო, დაუკრა და დაამღერა: „რამ გადაგაშენათ, ნართებო, სტუმრის მიმხედავი რომ აღარავინ გყავთ!“ სათანამ თქვა: „შედით სასტუმროში, ვინაა ეგ სტუმარი, გამიგეთ!“ მივიდნენ, შეიხედეს სასტუმროში და სათანას უთხრეს:

— ერთი თმაგაწეწილი და ულვაშგაფარჩხული კაცი ზის და ფანდირს უკრავს.

სათანამ ოქროს ფინგით ცივი, უბრალო კერძები შეუგზავნა. საუაიმ ცივი საჭმელი რომ დაინახა, ძლიერ იწყინა, მეტყეველ ხომ არა ვარო, ამოჰკრა ფეხი, ფინგმა ქუჩაში მოადინა ტყაპანი და ოთხად გადაიმტვრა. ფინგის ნატეხები აკრიფეს. სათანას მიუტანეს და მომხდარი ამბავიც მოახსენეს.

სათანა ძლიერ განაწყენდა, ტყვე გვიმირს* უხმო და უთხრა:

— მიდი და ის სტუმარი ერთი კარგად მიბეგვე, — როგორ გაბედა, ჯერ ჩვენთვის ეგეთი საქმე არავის უკადრებია!

გვიმირი წავიდა. ეცნენ ერთმანეთს. სავაიმ იგი კედელს მიანარცხა და გვიმირი დაილეწა. სათანამ ეს რომ გაიგო, ბურაფარნიგის წვეულებაზე მყოფთ მაცნე გაუგზავნა, ასეთი ავი ამბავი შეგვემთხვა და ჩქარა აქ გაჩნდითო. წვეულებაზე მსხდომნი წამოიშალნენ, მაგრამ ურუზმაგმა არ გამოუშვა: „ჯერ გავიგოთ, ვინ არის — ჩვენ ხომ სტუმარს ველოდებით, ვინ იცის, იქნებ ისაა“.

რჩეული ნართი ყმაწვილები სოსლანის მეთაურობით წამოვიდნენ და სავაის სასტუმრო ოთახში მოუსწრეს. იჯდა იგი და თორმეტსიმიან ფანდირზე მოთქმასავით ამღერებდა:

— ჰეი, გაჭრით, ურუზმაგის სახლეულნო, თქვენს სტუმარს რომ ვერ იცნობთ და მეტყევის საკადრის სუფრას უშლით.

სავაიმ როგორც კი სოსლანი დაინახა, წამოხტა, ფანდირი კედელზე დაკიდა და სიძის წესისამებრ კარს უკან დადგა. სოსლანმა მაშინვე იცნო და მიესალმა: „გამარჯობა, სიძევ!“ ეს ამბავი სათანას ყურს რომ მისწვდა, ის და მისი ქალიშვილიც კაი ღელში არ ჩაცვივდნენ — ეს რა სირცხვილი დაგვემართაო. სოსლანმა დედა-შვილი დაამშვიდა. წვეულებამ ურუზმაგის ოჯახში გადმოინაცვლა, მთელი ხალხი ახლა აქეთ გადმოვიდა და ურვათზე მოითათბირეს: ასი ცხენი თავისი აღკაზმულობით — ნაბდით, ყაბალახითა თუ იარაღით და ყველა სახის ნადირი — თითო ას-ასი სული.

სავაის უთხრეს:

— წადი ახლა და თუ ურვათის გადახდას შესძლებ, შენს საქმეს ეწიე და საცოლე წაიყვანე.

სავაი ურვათზე დათანხმდა.

გამოემშვიდობა იგი ნართებს და წამოვიდა. ურვათისთვის რაც საჭირო იყო, ყველაფერი მაშინვე ურუზმაგის ეზოს მოაყუნა და უთხრა:

— მალე მაყრიონით გესტუმრებით და თუ კიდევ ეგრე შემხვდებით, აღარ გაპატიებთ.

სავაი შინ დაბრუნდა და თავის მამას — კანძს შეუთვალა:

— მე შენს დაუკითხავად ჩვენს მოსისხლეებს დავუმოყვრდი და ურვათზეც მოვურიგდი. ახლა სხვა გზა არ არის და მაყრიონი უნდა გავგზავნოთ.

მამამ მაყრიონისთვის თავისი ტოლფარდი ხალხი შეურჩია — აღმოსავლეთის და დასავლეთის ღვთაებები, უფროს მაყრად კი ავსათი დაუსახელა. სავაიმ ყველას ჩამოუარა და შეატყობინა: ამა და ამ დღეს სავმარაანთ კანძი ვაჟს აქორწილებს და მაყრად გეპატიჟებათო. სავაის თავისი ვინაობა არ გაუმხელია, მაგრამ ყველამ იცნო, რადგან კანძის ცხენზე იჯდა, ხოლო კანძის ცხენზე მისი ვაჟის გარდა კაციშვილი სხვა ვერავინ შეჯდებოდა. საღამოთი სავაი ავსათის ეახლა. ავსათიმ კანძის ცხენზე მჯდარი რომ დაინახა, გაუკვირდა — ჩემი ძმობილის ცხენზე ნეტა ვინ შემჯდარაო. მხედარი რომ კანძის ვაჟი გამოდგა, ძლიერ გაიხარა ბიჭის ნახვით. სავაიმ ავსათის გადასცა — კანძი ქორწილში გეპატიჟებათ და ნუ დაიზარებთო. ავსათი თავისი ძმადნაფიცის ვაჟის ქორწილში მაყრად როგორ არ წავიდოდა! წამოვიდნენ. ავსათიმ თავისი ქალიშვილიც თან წამოიყვანა. მოვიდნენ ურუზმაგის ოჯახში. დანარჩენ მაყრიონსაც უკვე აქ მოეყარა თავი.

ურუზმაგმა და სხვა ნართებმაც ავსათი რომ დაინახეს, მაშინ მიხვდნენ, რომ მათი სიძე კანძის ვაჟი ყოფილა, რადგან იცოდნენ, კანძი და ავსათი ძველი ძმადნაფიცები იყვნენ.

ურუზმაგი და კანძი ერთმანეთის მოსისხლეები იყვნენ და ამიტომ სავაიმ ითხოვა:

— ამ სუფრაზე მოსისხლენი შერიგდით. დღეის შემდეგ მეგობრულად უნდა ვიცხოვროთ!

და მოხდა შერიგება, სხვაგვარად არ იქნებოდა.

ავსათიმ თავის სალამურს ჩაბერა და ურუზმაგის ეზო ათასგვარი ნადირით აივსო. ეს ამდენი ჯოგები ავსათიმ თავისი ძმობილის კანძის პატივისცემის ნიშნად ურუზმაგს საჩუქრად მიართვა.

რამდენიმე დღე მშვენივრად იქეიფეს, მერე პატარძალი — სათანას აზიზი ქალიშვილი კანძის ოჯახში წამოიყვანეს.

სათანას ქალიშვილმა სავაის მოხუცი მშობლები გამაახალგაზრდავებელ წყაროში აბანავა და გაახალგაზრდავდნენ. ქორწილი გადაიხადეს, მშვენიერი წვეულებები გამართეს; ხალხმა მათი ბედნიერებით ძლიერ გაიხარა. სავაი და სათანას ქალიშვილი ბედნიერი ცოლ-ქმარი გამოდგა, მთელი სიცოცხლე სიბერემდე ტკბილად გაატარეს.

ვასთირჯის ორი ცოლი ჰყავდა.

ერთხელ ვასთირჯიმ შორს გამგზავრება მოიწადინა და თავის ცოლებს უთხრა:

— სატარებლად მსუბუქი და საჭმელად გემრიელი საგზალი გამიმზადეთ. სასწრაფოდ ტანსაცმელიც შემიკერეთ.

დაფაცურდნენ ქალები, ქმარს საგზალს უმზადებენ და უფროსმა ცოლმა უმცროს ცოლს უთხრა:

— არიქა, სწრაფად, სწრაფად კერე. ხომ იცი, ჩვენს კაცს ეჩქარება.

უმცროსმა ცოლმა უპასუხა:

— ნეტა რა ძალიან გეშინია ი ჩვენი კაცისა, რა ნართი მარღუძი ეგა გვყავს!

უფროს ცოლს ეწყინა და უსაყვედურა:

— შე კაი ქალო, მეგობარი მეგობარს ჩვენი ქმრის სახელს ეფიცება, სადაც კი წარჩინებული ხალხია, ყველა ვასთირჯის მზეს ფიცულობს და ე მარღუძი ვინღაა, მაგისი სახელიც რომ არავის გაუგონია?

უფროსმა ცოლმა უმცროსს მთელი დღე ხმა აღარ გასცა. საღამოს ვასთირჯი რომ დაბრუნდა, განაწყენებული ქალი არც მას დალაპარაკებია:

— რა დაგემართა, რატომ არ მელაპარაკები? — ჰკითხა ვასთირჯიმ.

— რა გელაპარაკო — დღეს შენმა საყვარელმა რა მითხრა, იცი?! სწრაფად კერე, ჩვენს კაცს ეჩქარება-მეთქი და ნეტა რა ძალიან გეშინია ჩვენი კაცისა, რა ნართი მარღუძი ეგა გვყავსო!

არაფერი უთქვამს ვასთირჯის. დაწვნენ და დაიძინეს. დილით ვასთირჯი შეჯდა თავის ცხენზე და გაემართა. ქუჩაში თავისი უმცროსი ცოლი შემოხვდა და ვასთირჯიმ უსაყვედურა:

— შე უსინდისო, გუშინ ჩემზე რა ილაპარაკე?.

მან უპასუხა:

— დიახაც, ვილაპარაკე. მოიცა და პირშიც გეტყვი.

არ მოუცადა ვასთირჯიმ, თავისი გზით გასწია. ერთ უცნობ ქვეყანას მიაღწია და ცხენის რემას წააწყდა — სულ ერთნაირად ლურჯა ცხენები იყვნენ, არც ფეხი, არც ყური, არც ერთს სხვა ფერისა არ ჰქონდა. ვასთირჯის ძლიერ გაუკვირდა: „ნუთუ ეს რემა ერთი კაცისაა, ამდენი ერთ კაცს როგორ ეყოლება?“

მეჯოგეებს ჰკითხა:

— ვისია ეს ცხენები, ასე ერთი დედის ნაშობებივით ერთნაირები?

— ნართ მარღუძის ცხენებია, — უპასუხეს მეჯოგეებმა.

ვასთირჯი უფრო მეტად გაოცდა: „ვინ არის, ეგ კეთილამოსაწყვეტი, ღვთაებებთანაც რომ არასოდეს მომიკრავს თვალი!“

იქიდან წამოვიდა და ახლა ხარების ნახირს წააწყდა — სულ ერთნაირად თეთრდრუნჩა მოზვრების ნახირი იყო. მეჯოგეებს ჰკითხა:

— ვისია ეს ნახირი?

— ნართ მარღუძისაა, — უპასუხეს მათ.

„ნეტა ისეთი რა კაცია — ან ღვთაებებთან რატომ არ მინახავს, ან დედამიწაზე რატომ არასოდეს შემხვედრია?“ — უკვირდა ვასთირჯის.

წამოვიდა იქიდან გაოცებული და ახლა იმდენ ცხვრის ფარებს წაადგა, დედამიწაზე ვეღარ ეტეოდნენ. ცხვრებიც სულ ერთნაირები იყვნენ, ყველას შავი თავები და შავი ფეხები ჰქონდა.

ჰკითხა მწყემსებს:

— ვისია ეს ცხვრის ფარები?

მწყემსებმა უპასუხეს:

— ნართ მარღუძისა გახლავთ.

„ეს რა საოცარი კაცი ყოფილა, ამდენი შეძლება საიდან აქვს? ამდენი პირუტყვი არც ერთ ღვთაებასაც კი არ ჰყავს!“

იქიდანაც წამოვიდა. ერთი დღის სავალი გაიარა და ახლა ძროხების ჯოგი დაინახა — ერთნაირცხვირიანი ძროხების დიდი ჯოგი. კვლავ გაოცდა ვასთირჯი.

მეჯოგეებს ჰკითხა:

— ვისი ძროხებია?

— ნართ მარღუძისა გახლავთ, — უპასუხეს მათ.

კვლავ გაოცებულმა დატოვა იქაურობა და ერთი დღის სავალი რომ გაიარა, ერთ სოფელს მიუახლოვდა. დაინახა, სოფლის თავში ორი ბერიკაცი იჯდა და ერთმანეთს ესაუბრებოდა. ერთი მეხბორე იყო, მეორე — მებატკნე.

— საღამო მშვიდობისათ, — მიესალმა მათ ვასთირჯი.

— ღვთის წყალობა გქონდეს, სტუმარო და მშვიდობით გევლოს!

— მაპატიეთ, ნართ მარღუძის სახლს ვერ მიმასწავლით?

ბერიკაცებს გაუკვირდათ:

— რა კაცი იქნება ისეთი, ვინც ნართ მარღუძის სახლი არ იცის?

ვასთირჯიმ უთხრა:

— ნუ დამცინებთ, შორიდან მოსული კაცი ვარ.

ბერიკაცებმა ერთმანეთს შეხედეს და თქვეს:

— ალბათ, ისეთი ქვეყანაც არსებობს, სადაც ჯერ მარღუძს არ მიუღწევია.

და მარღუძის ბინა მიასწავლეს.

— მშვენიერი გარეგნობა გაქვს, ჩაცმულობაც — მშვენიერი, ცხენიც კარგად გყავს შეკაზმული. სოფლის შუაგულ დიდ ქუჩაზე აიარე; ერთგან შვიდი სასტუმრო შეგხვდება; ყველაზე ზემოთ ღვთაებების სადგომია, მის შემდეგ — ალდარებისა, მერე — უცხოებისა, შემდეგ ქავდასარდებისა და სხვებისა. ღვთაებათა სადგომში ცხენის საბმური ოქროსია. ცხენის საბმურიდან სასტუმრომდე გზად მინის იატაკია დაგებული. ალდარების სადგომში კი ცხენის საბმური ვერცხლისაა, ცხენის საბმურიდან სასტუმრომდე გზად სადაფია დაგებული. უცხო ხალხის სადგომში ცხენის საბმური სპილენძისაა, აქედან სასტუმრომდე გზად ნაძვის ფიცრის იატაკია დაგებული. ქავდასარდებისა და სხვათა სადგომებთან ცხენის საბმური ხისა იქნება. იქიდან სასტუმრომდე გზად ნამჯა იქნება დაფენილი. კარგი ბიჭი ჩანხარ და ღვთაებების სადგომში ადი.

წავიდა ვასთირჯი. მინიშნებულ ადგილს რომ მიაღწია და შენობებს შეხედა, გულში გაიფიქრა: „მოდი, თავს ნუ გამოვიდებ, ქავდასარდების სადგომში დავდგები“. ქავდასარდების სადგომთან ჩამოხტა. ცხენი საბმურზე დააბა, თვითონ ქავდასარდების სასტუმროში შევიდა და დაჯდა. მარღუძის მსახურები გამოცვივდნენ და ცხენი დაათვალიერეს. ცხენი ოქროს ნალებით იყო დაჭედილი და ათასგვარი ძვირფასი ქვებით მოჭედილი უნაგირი ედგა. მსახურებმა ასეთი საოცარი ცხენი რომ იხილეს, სტუმარს ვეღარ შებედეს და პირდაპირ მარღუძთან ავიდნენ. მოახსენეს:

— გვაპატიე, ქავდასარდების სასტუმროში ერთი სტუმარი დადგა. ცხენი დავუთვალიერეთ და ასე ძვირფასად შეკაზმული ცხენით ჯერ არც ერთი ღვთაებაც კი არ გვსტუმრებია.

მარღუძმა მსახურებს უთხრა:

— წადით და ჰკითხეთ, ვინ არის და სადაურია!

წამოვიდნენ მსახურები. ფანჯრიდან შეხედეს და შიგ შესვლა მაინც ვერ გაბედეს. სასტუმროში კვარი ენთო და მის სინათლეზე სტუმრის ტანსაცმელს სულ ბზინვა გაუდიოდა. მსახურები კვლავ მარღუძთან დაბრუნდნენ და უთხრეს:

— სტუმართან შესვლა ვერ გავბედეთ. ფანჯრიდან შევიხედეთ, მოწყენილი ზის, მაგრამ საოცარი გარეგნობის კაცია.

მარღუძს თვითონაც გაუკვირდა: „ჩემი მსახურებიდან ზოგიერთს ღვთაებების მომსახურებაც უხდება. ახლა ეს ვინაა ისეთი, რომ შესვლა ვერ შებედეს? ვასთირჯიო, ახსენებენ ხოლმე, თუ ის არის... მე თვითონ არასოდეს მინახავს. ამბობენ, მდევარში ვასთირჯი პირველი გამოდისო. მოდი, მდევარს დავიძახებ, თუ გამოვა, მივხვდები.“

ადგა მარღუძი და ისეთი მელა გამოუშვა, თითოეული ბეწვი სულ მზესავით უბრწყინავდა და ცისკრის ვარსკვლავივით უციმციმებდა. ყმა-

წვილკაცებმა მელა მინდორში გაიგდეს, მაგრამ იგი სოფლის ნაპირისაკენ გამოექცათ. მეორედ გამოაგდეს და ახლა შუა სოფელში შეუვარდათ.

ქალები აყვირდნენ:

— არიქა, მდევარი! ჩვენს სულელ ყმაწვილებს მინდორში ნეტა რა დაარბენინებთ, ნადირი ხომ აგერაა!

აბა, ქალის ხმა სად არ გასწვდება და ქავდასარდების სასტუმრომდეც მიაღწია. „ნეტა რის მდევარიაო?“ თქვა ვასთირჯიმ, იმ წამს გარეთ გამოვარდა და ცხენს მოევლო. ამ დროს ერთმა ქალმა შეჰკადრა:

— ვაი, შენ რა გითხრა, ბიჭო, ხალხი მდევარში წავიდა, ნადირი კი აგერ გარბის. შენ რა უკან ჩამორჩენილხარ. თუ გეშინია, ჩემს თავსაფარს მოგახვევ!

— მაცალე, ჩემო კარგო, როგორც შევძლებ, ისე გავირჯები.

დასძრა ცხენი ვასთირჯიმ, წამოეწია მელას, წამოაგო შუბზე და მოაქვს. გაოცებული ხალხი უკან გამოედევნა. მისი მოხერხებულობა მარლუძსაც ძლიერ გაუკვირდა და ცხენზე ამხედრებული წინ შეეგება.

— გამარჯობა, სტუმარო! — მიესალმა იგი სტუმარს.

შარლუძმა და სტუმარმა საუბრით მოაღწიეს მარლუძის შენობებამდე. მარლუძმა სტუმარი ლაპარაკით გაართო და იგი ქავდასარდების სადგომის ნაცვლად ღვთაებათა სადგომში აღმოჩნდა. მიხვდა, აქ ხომ არ დავბინავებულვარო და ცხენი მოაბრუნა, ქავდასარდების ბინისკენ უნდა წამოეყვანა, მაგრამ მსახურებმა აღარ გამოუშვეს და ღვთაებათა სასტუმროში დაბინავდა.

გაუშალეს სუფრა. მან მსახურებს უთხრა:

— თუმცა ყმაწვილი კაცი ვარ, მაგრამ მაპატიეთ და სანამ თვით მარლუძი არ გამობრძანდება სუფრაზე, მე პირს არაფერს დავაკარებ.

გააგებინეს მარლუძს, სტუმარი უშენოდ პურს არ მიირთმევსო. მარლუძმა ფეხთ თავისი სპილოს ძვლის ბაშმაკები ჩაიცვა, მხრებზე თინთის ქურქი მოისხა და სასტუმროში წამოვიდა.

სტუმარს საღამო მშვიდობისა უსურვა. ერთმანეთს წესიხამებრ პატივი მიაგეს და დასხდნენ. ჭამენ და სვამენ. ვასთირჯის გულში უკვირს: „ღმერთო, ისეთი არავინაა, ვისაც შენს ბედს არ მისცემ — აი, ვისთან დაგიბერტყავს კალთა! ტანად ეს არ უქნია, გარეგნობა ამას არ უვარგა, სახეზე ცხვირიც კი არ აქვს და რამხელა იღბლის პატრონიაო?!“

კარგად მიირთვეს სასმელი, საჭმელი და მარლუძმა სტუმარს სთხოვა:

— სათარეშოდ წავიდეთ, რას იტყვი?

სტუმარი დაეთანხმა.

შარლუძმა მსახური გააფრთხილა:

— განთიადისას რემიდან ორი ცხენი მომგვარე.

განთიადზე მსახურებმა რემიდან ორი ცხენი მოიყვანეს. მარღუძმა ვასთირჯის შესთავაზა:

— შენი ცხენი დაღლილი იქნება და სათარეშოდ ჩემი ერთ-ერთი ცხენით წამოდი.

სტუმარმა პასუხად უთხრა, სათარეშოდ ჩემი ცხენის გარდა სხვისი ცხენით ვერაფერს მოვახერხებო.

— სტუმარო, დამიჯერე, შენი ცხენი დაღლილი იქნება და ჩემი ცხენით წამოდი. დაე, შენმა ცხენმა ჩვენს დაბრუნებამდე დაისვენოს.

ვასთირჯიმ ცხენის საბმურს გახედა და დაინახა ერთი დაუნაგრებული, ქეციანი, კუდგაქუცული ცხენი. გულში იფიქრა: „იმხელა რემიდან საკუთარი თავისთვის ამაზე უკეთესი თუ არ ემეტება, მე უკეთესს როგორ მომცემს?“

მიუბრუნდა მარღუძს და ჰკითხა:

— აიმ ცხენით მოდიხარ?

მარღუძმა უპასუხა:

— კი, მაგ ცხენით მოვდივარ.

— ჰაუ, — გაიოცა ვასთირჯიმ, — ის მშვენიერი რემა დედაშენს ხომ არ უშობია, რისთვის უფრთხილდები, ერთ რიგიან ცხენზე რატომ არ შეჯდები და ისე არ წამოხვალ?

მარღუძმა უთხრა:

— რა სულელი ყოფილხარ, სტუმარო; არ იცი, გარეგნობა ღონეს რომ არაფერში არგია?!

— ვაი, ეს რა საოცარი კაციაა! იმ ცხენზე მჯდარს ჩემს გვერდით ვინც დაგინახავს, რას იტყვის?

— რა სულელი ყოფილხარ, სტუმარო, არ იცი, გარეგნობა ღონეს არ არგია-მეთქი.

— ნუთუ შენს ჯოგში უკეთესი ცხენი არ გამოირჩევა, ისეთი, მაგ ცხენის დედის ნაშობი რომ იყოს? — უთხრა კვლავ ვასთირჯიმ.

მარღუძს არ მოეწონა სტუმრის ნათქვამი და უთხრა:

— ივლისია, კარგი ცხენები უნდა დაზოგო.

ვასთირჯის აღარაფერი უთქვამს.

შესხდნენ ცხენებზე და გზას გაუდგნენ. სამი დღე შეუსვენებლივ ეარეს. ერთ დილით მარღუძმა თქვა:

— ახლა თუ საღამომდე ადგილზე ვერ ჩავაღწევთ, ჩვენი მგზავრობის მიზანი ჩაშლილია.

განაგრძეს გზა. მიდიან, მიდიან და ვასთირჯის ცხენს ქანცი მიუწყდა. ვასთირჯი გადაჰკრავს მათრახს, ცხენი ცოტას გაითოხარიკებს და ისევ

უკან ჩამორჩება. მარლუძის ცხენს — იმ ქეციანსა და გაქუცულ ცხენს კი — თვალს ვერ შეასწრებ, ისე მიჰქრის.

მარლუძმა ვასთირჯის დაუძახა:

— საღამომდე ადგილზე მისვლა უნდა მოვასწროთ. გადაჰკარ მათრახი ცხენს, რად გეცოდება, დედაშენის ნაშობი ხომ არაა.

ვასთირჯი მოზიდავს ცხენს, იგი ცოტას გაჩაქჩაქდება და ისევ ჩამორჩება.

— ეჰ, თქვენ რას გეტყვით, ახლანდელო ყმაწვილებო, ცხენის მოფრთხილებაში გასაოცრები ხართ! ეს ოქროსნალებიანი ცხენები ხომ მთლად ბაყაყურად დადიან, — თქვა მარლუძმა.

ამ სიტყვების გაგონებაზე ვასთირჯიმ თავი გადააქნია და თქვა:

— კაციან-ცხენიანად ეს რა რჯულისანი არიანო, ამათი მსგავსი ზეციერებთანაც არ შემხვედრია!

მიდიან და ერთ მდინარეს მიაღწიეს. ვასთირჯიმ წყალი რომ დაინახა, დარდი შეეპარა: „თუ წყალგალმა გასვლამ მოგვიწია, ამ დაღლილი ცხენიანად წყალი წამიღებს". მარლუძმა წყალში შეტოპა და მის ცხენს ჩლიქიც არ დასველებია. ვასთირჯიმაც მიბაძა, გადაახტუნა ცხენი, მაგრამ მხედარი ცხენიანად წაიღო წყალმა. შემოუბრუნდა მარლუძი, დასწვდა ვასთირჯის, უნაგირზე შემოისვა და მისი ცხენიც მორივით წყალგალმა გამოიტანა.

— აი, აი, ახლანდელებო, თქვე გამჩენგასაწყვეტებო, წყალში კატებივით ფრუტუნებთ, — თქვა მარლუძმა.

საღამოთი ერთ ქვეყანას მიაღწიეს.

მარლუძმა ვასთირჯის უთხრა:

— შენ აქ დამელოდე, მე გავიხედ-გამოვიხედავ.

მარლუძი წავიდა და ერთ მაღალ ბორცვზე ავიდა, იქიდან გადაიხედა და უკან თვალცრემლიანი დაბრუნდა.

ვასთირჯიმ ჰკითხა:

— რა გატირებს, ჩემო მასპინძელო?

— როგორ არ ვიტირო; აბა, ადი აგერ იმ კლდის შვერილზე და გადაიხედე, ოღონდ კლდიდან დასანახად ძლიერ ნუ გადაიხრები.

ვასთირჯი მაღალი კლდის შვერილზე ავიდა, მოიხადა ქუდი და გაიხედა. „ღმერთო, ეს რა საოცრებაა? — — მზეს ცაზე ვხედავ, მაგრამ დედამიწაზე იგი ამის მეტად ჯერ არ მინახავს!" გამობრუნდა უკან და მოხუც მარლუძს უთხრა:

— მზეს ცაზე კი ვხედავ ხოლმე, მაგრამ დედამიწაზე იგი ამის შეტად არასოდეს არ მინახავს.

— ეგ მზე როდია, ჩემო სტუმარო, არამედ, ლუდის სახარში ვეება

ქვაბია, ისეთი ქვაბი, ერთ ავსებას რომ ზოადუღებ, შვიდ წელიწადს კმარა: ყოველდღე ძღომისად სვამენ, ქვაბი კი ივსება და ივსება. იმ ლუდს კიდევ ისეთი თვისებაც აქვს — ახალშობილ ბავშვს თუ აკვანში ამ სითხეს შუბლზე წაუსვამენ, წლამდე ძუძუს აღარ ჭირდება. ეგ ჩვენი წინაპრების განძი იყო და დონბედთირებმა ძალით წაგვართვეს.

— როგორც შეგვეძლება, ისე გავირჯებით, — თქვა ვასთირჯიმ.

დილით, ირიჟრაჟა თუ არა, ვასთირჯი ისეთ საოცარ შავ მელად იქცა, რომლის თითოეული ბეწვი ზარისა და ზანზალაკის ხმით წკრიალებდა. მელამ სოფლის ნაპირებს ჩაურბინა და მთელი ახალგაზრდობა მინდვრისაკენ გაიტყუა. მეორედ ჩამოირბინა და ბავშვები და ბერიკაცებიც გაიტყუა. ამ დროს მარღუძი ისეთ არწივად გადაიქცა, რომ თითო ფრთა თითო ნაბდის გაშლის ტოლი ჰქონდა, კანჭები — არყის ხის სიმსხო, თავი კი — ნართული სამჭედლოს გრდემლის ოდენა. ხალხი რომ მელას გამოუდგა, მოხუცი მარღუძიც ქვაბისკენ ტრიალ-ტრიალით დაეშვა. ბრჭყალები ორივე ყურში ჩაავლო და წამოიღო. ამასობაში ენაგადმოგდებული მელაც ქოშინ-ქოშინით მოვარდა. ვასთირჯი და მარღუძი ისევ კაცებად გადაიქცნენ, შესხდნენ თავიანთ ცხენებზე და შინისაკენ გამოსწიეს.

მდინარის პირს რომ მოადგნენ, ვასთირჯის ცხენს უკვე ქანცი გაუწყდა. მარღუძი გადასწვდა, ვასთირჯი უნაგირზე შემოისვა და მდინარის მეორე ნაპირზე გაიყვანა. მის ცხენს სადავეში ჩაავლო ხელი, ფერდებში მათრახი მოუნაცვლა და იგიც მიჰყვა. როცა მარღუძმა ცხენმხედარი მდინარის გაღმა გაიყვანა, თქვა: „ო, ღმერთო, როგორც მე ჩემს სტუმარზე შემტკივა გული, ყველას, ვისაც ხალხი კაცად რაცხს, თავის სტუმარზე ყოველთვის ეგრევე შესტკიოდეს გული.

ვასთირჯიმ თავი მდინარის მეორე ნაპირზე რომ დაიგულა, რის შიშიღა ექნებოდა და თავის ცხენზე შეჯდა.

ერთგან ერთ ბორცვს მიაღწიეს; ჩამოქვეითდნენ და ცხენები საბალახოდ გაუშვეს. ვასთირჯი ცხენებისკენ წამოვიდა, მარღუძი კი ბორცვზე ავიდა და ლოცვა აღავლინა. ლოცვისას მარღუძს თვალთაგან ცრემლი დასცვივდა და ბორცვი დაასველა. შემდეგ შესხდნენ ცხენებზე და წამოვიდნენ. მარღუძმა თავის სახლისკენ გაუხვია, ვასთირჯიმაც — თავის სახლისკენ; განშორებისას ერთმანეთს დაემშვიდობნენ.

სტუმარს პატივისცემა უნდაო და მარღუძმა ის საოცარი ლუდის სახარში ქვაბი ვასთირჯის აჩუქა.

გზად მიმავალი ვასთირჯი გულში ფიქრობდა: ეს რა შეძლებულ კაცს შევხვდი! ღვთაებათაგანაც ასეთი მდიდარი არავინ შემხვედრია. ნეტა იმ ძლიერ კაცს ცხვირზე რა დაემართა? ვაი, რად არ მოვკვდები, რატომ არ ვკითხე?" — შემოაბრუნა ცხენი და მარღუძს წამოეწია:

— ჩემო მასპინძელო, — უთხრა ვასთირჯიმ, — ერთი ეს მინდა გკითხო: გარეგნობა არ გაკლია და ცხვირი რატომ არ გაქვს? ისიც მაინტერესებს, უკვე მოხუცი რომ ხარ, აქამდე ცოლი რატომ არ შეგირთავს? იმის გაგებაც მაინტერესებს, როცა ამ ბორცვთან მოვალთ ხოლმე, რად ჩერდები და რისთვის ტირი?

— ე, ჩემო სტუმარო, უკეთესი იქნებოდა, ეგ ამბები არ გეკითხა. მაგრამ რაკი მკითხე, გიამბობ. ახალგაზრდობაში ისეთი ყნოსვა მქონდა, შორიდან მიწაზე გავლილი ნადირის კვალს სუნით მივაგნებდი. ამ ქვეყნად ჩემი სიკეთე არსებობდა და აქედან ერთი ჩემი ხვედრი იყო, მეორე ვაცილას ერგო, მესამე კი — ვასთირჯის. მე სულ აქეთ-იქით ვეხეტებოდი, სათარეშოდ ხშირად დავდიოდი. ერთხელაც სათარეშოდ შორს წავედი და ჩემი საწოლიდან ისეთი სუნი მომივიდა, თითქოს შიგ უცხო მამაკაცი წოლილიყოს. სუნი რომ მეცა, — ეს ცხენი ეშმაკის ჯიშისაა — მოვახტი ზურგზე და შინ გავჩნდი. შევედი სახლში და ვხედავ: ქალი და კაცი გვერდი-გვერდ წვანან. ვიძრე დანა და ორივე იქვე ავკუწე. მერე გამოვედი და სასტუმროში დავიძინე. დილით ჩემს ეზოში ნართები ტიროდნენ. მე, ვითომც არა მცოდნოდეს რა, ვკითხე: „რა გატირებთ, ნართებო?“ მათ შემომტირეს: „რაზე ვტირით და წუხელ საკუთარი ვაჟი და ცოლი რომ დახოცე!“... დაასაფლავეს ჩემი ცოლ-შვილი... დავბრუნდი სასაფლაოდან და სამართებლით ცხვირი მოვითალე. ასე, ჩემო სტუმარო. სწორედ იმ ბორცვზეა მათი საფლავი, სადაც ვტირი ხოლმე. აი ჩემი პასუხი შენს კითხვებზე.

ვასთირჯიმ უთხრა:

— წამო, იმ ბორცვზე ავიდეთ, სადაც მათი საფლავებია და შენდობა ვუთხრათ.

ავიდნენ ბორცვზე და საფლავზე მიწა გადათხარეს. ვასთირჯიმ თავისი ნაბადი გაშალა და მარღუძს უთხრა:

— მიდი, ჩემო მასპინძელო, მიცვალებულები მოიტანე და ამ ნაბადზე დაალაგე.

ვასთირჯიმ მიცვალებულ ქალსა და ვაჟს ნაბდის მათრახი გადაჰკრა და გააცოცხლა. მარღუძსაც ცხვირზე მათრახი დაუსვა და ცხვირი თავის ადგილზე გაჩნდა.

მერე ჰკითხა ვასთირჯიმ:

— ვერ მიცანი, მარღუძ?

— ვერა, — უპასუხა მარღუძმა.

— მე ზეციერი ვასთირჯი ვარ.

ვასთირჯიმ ისინი იქ დატოვა და თვითონ თავის სახლში გაფრინდა. მისი ნახვით ღვთაებებმა ძლიერ გაიხარეს.

ვასთირჯიმ უფროს ცოლს უთხრა:

— ჩემი უმცროსი ცოლის ნათქვამი საწყენად ნუ დაგრჩება, — ნართი მარღუძი თუმცა მიწიერი კაცია, ჩემზე ნაკლები არ ყოფილა.


უმცროს ცოლს კი უთხრა:

— შენს გამო ბევრი ჯახირი გამოვიარე, მაგრამ ძლიერ კაცსაც შევხვდი.

უმცროსმა ცოლმა უთხრა:

— მარღუძის ცოლი ჩემი დაა და უნებლიე უბედურება დაემართათ. შენ ყველას წამლობ, ყველას ეხმარები, იქნებ იმასაც რამე უშველო და გააცოცხლო-მეთქი, ის სიტყვა იმიტომ ვთქვი.

— გული დაიმშვიდე, დაც და მისი ვაჟიც გაგიცოცხლე, — უთხრა ვასთირჯიმ.



ნარმოების
ალსანრული



ნართების ალსასრული

ძლევამოსილმა ნართებმა ცხოვრება სულ ომებში გალიეს. უამრავი მოძალადე დაუმარცხებიათ. ისეთი აღარავინ გადარჩათ, ვისზეც ღონეს გამოსცდიდნენ.

სულ იმის ფიქრში იყვნენ, ვის შებმოდნენ, ღონე ვისთან ეცადათ. მაშინ ეშმაკმა სირდონმა უთხრა მათ:

— ღმერთს რომ ლოცულობთ, ერთი ღონეც გაუსინჯეთ.

ნართებმა თქვეს:

— სად არის მერე, რომ არ ვიცით?

სირდონმა უთხრა:

— როცა გაარისხებთ, თვითონ გამოგეცხადებათ.

ნართებმა სირდონს ჰკითხეს:

— რითი გავარისხოთ?

— თქვე გასაწყვეტებო, ნუღარ ილოცებთ, დაივიწყეთ მისი სახელი. სახლებს ისეთი მაღალი კარები შეაბით, შიგ შესვლისას თავის დახრა რომ არ დაგჭირდეთ, თორემ ღმერთი იფიქრებს, თაყვანს მცემენო. ასე მოიქეცით და იგი თვითონ მოგძებნით.

ნართებმა სირდონს დაუჯერეს. სახლებს მაღალი კარები შეაბეს და ღვთის ლოცვასაც მოეშვნენ.

ნართებმა ღმერთი რომ მიივიწყეს, მან მერცხალი გამოგზავნა:

— წადი და ნართებს ჰკითხე, რისთვის შემომწყრნენ?

მერცხალი ნართების ნიხასში მოფრინდა, ხეზე შემოჯდა და მათ ხათიაგურად დაელაპარაკა:

— მე თქვენთან შუაკაცად ვარ გამოგზავნილი. ვის სახელსაც ლოცულობდით, იმან გამომგზავნა და ასე შემოგითვალათ: რა დაგემართათ, ნართებო, რატომ შემომწყერითო?

ურუზმაგი მიხვდა მერცხლის ნათქვამს და ნართებს უთხრა:

— ვისაც ვეძებდით, იმან შუაკაცი თვითონ გამოგვიგზავნა. შუაკაცს პასუხის გაცემა უნდა. მოითათბირეთ და მითხარით, პასუხად რა შევუთვალოთ.

ნართებმა უთხრეს:

— რა მოთათბირება გვინდა, ჩვენ ხომ დიდი ხანია დავთქვით. ღმერთს ბევრი პატივი ვეცით, ის კი თვალითაც არასოდეს დაგვნახვებია. გამოვიდეს ახლა და შევეჯიდოთ.

ურუზმაგმა ეს პასუხი მერცხალს გადასცა. მერცხალი გაფრინდა და ნართების პასუხი ღმერთს მოახსენა.

ღმერთმა მერცხალს უთხრა:

— ერთხელ კიდევ დაბრუნდი და ნართებს ჰკითხე: რომ დაგამარცხოთ, ძირფესვიანად ამოგწყვიტოთ, თუ ცუდი ნაშიერი მაინც დაგიტოვოთ-თქო?"

გამობრუნდა მერცხალი, მოფრინდა ნართებთან და ღმერთის დანაბარები გადასცა.

ნართებმა ერთმანეთს შეხედეს და თქვეს:

— თუ ჩვენი გადაშენება სურს, დაე, მთლიანად მოგვსპოს.

მოსულელოებმა თქვეს:

— მთლად გადაშენებას, დაე, ცუდი ნაშიერი მაინც დაგვრჩეს.

ურუზმაგმა კი ასე უთხრა მათ:

— ცუდ ნაშიერს უძიროდ გადაშენება ჯობია. რას ვაქნევთ მარად სიცოცხლეს? არ გვინდა მარადი სიცოცხლე, დაე, სამარადისო დიდება მოგვცეს.

ნართებს აღარაფერი უთქვამთ, ურუზმაგის ნათქვამს დაეთანხმნენ.

ღმერთი გაბრაზდა და ახლა ვასთირჯი გამოუგზავნა. ვასთირჯიმ ისინი დასწყევლა: „თქვენი დღიური ნაშრომი ერთ ტომარაზე მეტი არასოდეს გამოსულიყოს!"

გალეწავდნენ ნართები რამდენიმე ბულულ ქერს და მხოლოდ ერთი ტომარა მარცვალი გამოდიოდა, მაგრამ ნართები განა მოუფიქრებლები იყვნენ! დღეში მხოლოდ ერთ ხელეურს ლეწავდნენ და ყოველი ხელეური თითო ტომარა მარცვალს იძლეოდა, ბულული კი — ათ ტომარას. ამრიგად, ძველებურად ძღომისად ცხოვრობდნენ. ღმერთმა ეშმაკობა გაუგო, დასწყევლა ისინი და მათი ყანები დღისით მწვანედ ღაღანებდნენ, ღამით კი მოსამკელი ხდებოდნენ.


ნართები დღისით რომ სამკალად გავიდოდნენ — ყანები ჰწვანე ხვდებოდათ. ღამით გავიდოდნენ, ყანა კვლავ გადამწვანდებოდა-ხოლმე. იდგნენ და ყანებთან ახლოს კარვები დაიდგეს, ისრებს ორკაპა წვერები გაუკეთეს და თავთავს ესროდნენ. მოჭრილი თავთავი დილამდე ხმელ• რჩებოდა.

თავთავთან ერთად ღეროსაც ფქვავდნენ და ერთი წელიწადი ასე გა-ატარეს.

მერე თქვეს: „ღმერთს ხომ ჩვენ თვითონ შევუთვალეთ — მარადიულ სიცოცხლეს მარადიული დიდება გვირჩევნიაო“.

ამის თქმა იყო და ყველამ თავისთვის საფლავის გათხრა დაიწყო და შიგ ცვიოდნენ.

ასეთი აღსასრული ერგოთ სახელოვან ნართებს.



მთარგმნელის შენიშვნები

ა

ა რ ფ ა ნ ი — ნართ ურუზმაგის ცხენის სახელი. თქმულებების მიხედვით არფანი საოცარი ღონითა და სისწრაფით ცნობილი ცხენია. მასთანაა დაკავშირებული ირმის ნახტომის — ცის იკანკლედის ოსური სახელწოდება: არფანი ფად, ე. ი. არფანის ნაკვალევი. ოსური მითოლოგიით არფანი მიწიერი ცხენის წინაპარია, ცხენის ჯილაგი მისგან წარმოიშვა, ისე, როგორც ძაღლისა სილამისაგან.

ა მ ხ ი ც ხ ა რ ა ნ ბ ა რ ა გ ო ბ ა ვ — გამორჩეული ადგილის აღმნიშვნელი სახელი.

ა ლ ა ს ა — ცხენი, მერანი.

ა ლ დ ა რ ი — ოს. ბატონი, თავადი.

ა ზ ა-მ ც ე ნ ა რ ე — თქმულების მიხედვით სამოთხის მცენარე, რომელსაც ადამიანის ყოველგვარი სენისაგან განკურნება და მიცვალებულის გაცოცხლება შეუძლია.

ა მ ი ნ ო ნ ი — ოსური მითოლოგიით, საიქიოს მეკარე. იგი მიცვალებულს ეკითხება, რა გაუკეთებია ცოცხალთა ქვეყანაში ავი თუ კარგი და ჩადენილი ცოდვა-მადლის მიხედვით მიუჩენს ადგილს სამოთხეში ან ჯოჯოხეთში.

ა რ დ ა მ ო ნ გ ა ხ ა ძ ა რ — არდ — ფიცი, ხაძარ — სახლი. აქედან ფიცის დასადები სახლი; აღსანიშნავია, რომ ნართების თქმულებებში მრავალ ადგილას გვხვდება „ახსართაგათების დიდი სახლი“, „ნართების საკრებულო სახლი“, „ახსართაგათების ძველი სახლი“. ეს

ფაქტი შორეულ წარსულში, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ნართების გვაროვნულ ცხოვრებაზე, ერთ სახლად ცხოვრებაზე მიგვანიშნებს.

არყიზის კბილი — თქძულებების მიხედვით, ვისაც პირში ასეთი კბილი ჰქონდა, მის წადილს ვერც ერთი ქალი უარს ვერ ეტყოდა. ასეთი კბილი მხოლოდ ხამიცს ჰქონდა. ზოგ თქმულებაში მას „ხამიცის კბილადაც“ იხსენიებენ.

აგვერის ლაშქარი — აგვერი ხალხი იყო, რომელთაც ოსთა წინაპრები VI—VII საუკუნეებში ებრძოდნენ.

არჭი — მოთელილი ხბოს ტყავისაგან შინ დამზადებული მოკლეყელიანი ფეხსაცმელი.

ავსათი — ოსური მითოლოგიით გარეული რქოსანი ნადირის მფარველი ღვთაება. პროფ. ბ. ა. კალოევის ცნობით, ავსათი ოსურის გარდა მეზობელი ხალხების — ბალყარების, ყარაჩაელების, აფხაზების, სვანების მითოლოგიაშიც გვხვდება, რაც აიხსნება იმით, რომ ნადირობას ამ ხალხების სამეურნეო საქმიანობაშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ახსნარწი — ბუჩქოვანი მცენარე, ცერის სიმსხო შტაბით.

ალო-ლაი — ოს. იავ-ნანა.

არიყი — ხშირბორცვიანი ტაფობი ადგილი.

არიყის საპონი — აქ: კარგი, ქაფიანი საპონი. არიყებში, ანუ ტაფობებში მდებარე ბორცვების მკვრივ თიხას საპნის ნაცვლად იყენებდნენ, იმით უმეტესად ცხენებს ბანდნენ.

ანგუსურად მოვარაყებული უნაგირი — გაურკვეველია, რომელ ქვეყანას ან ხალხს ერქვა „ანგუსი“.

ალუთონი — ნართების სასმელი და იმავდროულად საკვებიც. ძზადდებოდა ასეთი წესით: მარცვლეულიხ ან თაფლისაგან გამოხდილ ლუდში ხარშავდნენ ცხვრის დუმას ან მთლიან ცხვარს. ამ შესქელებულ მასას ერთი წლის განმავლობაში ბნელ ადგილას ინახავდნენ. შემდეგ ხმარობდნენ. იგი მაღალი კვებითი ღირებულებისა ყოფილა.

ახარქალაქი — ალბათ, ახალქალაქი.

ახსარ — სიმამაცე, ვაჟკაცობა.

ანდიური ნაბადი — გაურკვეველია, რა ხალხი იყო „ანდი“.

ბ

ბარასთირი — ოსური მითოლოგიით, საიქიოს გამგებელი, სულეთის შეუბღუდველი მმართველი (ბარ — უფლება, სთირ — დიდი).

თქმულებათა მიხედვით ბარასთირს შეუძლია მიცვალებული განსაზღვრული დროით შინაც გაუშვას; ოღონდ იგი მზის ჩასვლამდე უნდა დაბრუნდეს, სანამ ამინონი — საიქიოს მეკარე — კარებს ჩაკეტავდეს.

ბარისჭი — ჭირისუფალი მიცვალებულის სულის პატივსაცემად გარკვეული დროის მანძილზე ხორცეულსა და რძის ნაწარმს არ ჭამდა — მარხულობდა. ამ წესს ბარისჭის ეძახდნენ.

ბაბიაგური თოქალთო — გაურკვეველია, რა ხალხია „ბაბი“.

ბალსაგის ბორბალი — ოსური მითოლოგიით, ბორბლის იერსახის მქონე უძლიერესი სულიერი არსება, რომელიც ზეცაში ბინადრობდა.

ბიდასის თაყა — ბიდასის მუზარადი. თქმულების მიხედვით სახელოვანი მეომრის ბიდასის მუზარადი ომის ხსენებაზე თვითონ მოერგებოდა თავზე მხედარს, ვერც ხმალი სჭრიდა და ვერც ისარი აკლებდა რამეს.

ბურამაძი — მითიური, ნართული წებოს სახეობა.

ბურ აინაგ — ყვითელი პიტალო, კლდე.

ბურ ფასალი — ადგილის აღმნიშვნელი სახელია.

გ

გალაგონი — ოსური მითოლოგიის მიხედვით ქართა მბრძანებელი, ქართა მეუფე.

გვიმირი — ოსური თქმულებების მიხედვით დედამიწაზე პირველად გაჩნდა ვადმერთა ტომი. ვადმერები ძვალმსხვილი, ფიზიკურად ძლიერი ხალხი ყოფილა. ხეობებში ვერ იმართებოდნენ, მათ სიმძიმეს, თურმე, მიწა ვერ უძლებდა. მათ შემდეგ ღმერთმა დედამიწას კამბადას ტომი მოუვლინა. ეს ხალხი გონებითაც და ძლიერებითაც ვადმერებს ჰგვანებია, მაგრამ ტანად ძლიერ მომცროები ყოფილან და გასამრავლებლად არ ღირებულან. ამათ მოჰყვა ჰამერები. ესენიც ნამეტანი ზონზროხები გამოდგნენ და ღმერთმა ახლა გვიმირები გააჩინა. არც ამათ ივარგეს და ღმერთმა ვაიგები — დევები შექმნა. დევებმაც ვერ გაამართლეს თავიანთი არსებობა და ბოლოს ღმერთმა ნართები მოავლინა დედამიწაზე. აი, სწორედ ნართები გამომდგარან სიცოცხლის, ამქვეყნად არსებობის ღირსნი.

დარდის დამავიწყებელი ლურჯი ქვა — ნართების თქმულების მიხედვით, ამ სახელით იწოდებოდა ნიხასში მდებარე ვეება ქვა, რომელზეც, ალბათ, მწუხარე, დარდიანი კაცი ჯდებოდა ან წვებოდა.

დალტურ — კერიის ქვა, ფართო და ბრტყელი, რომელზეც ცეცხლს ანთებდნენ.

დუაგი — წმინდანი, ღვთაება.

დონბედთირი — ოსური მითოლოგიით წყალქვეშა სამეფოს მბრძანებელი, ნახევრად კაცი, ნახევრად — თევზი. იგი მეთევზეთა ღვთაებაა. თქმულების მიხედვით დონბედთირი მამრობითი არსებაა, რადგან მეთევზეები კაცებია. დონბედთირს მხოლოდ ქალიშვილები ჰყავს — წყლის ასულები, რომელთაც ქალები სცემენ თაყვანს, რამდენადაც წყალს ქალი ეზიდება. საერთოდ, დონბედთირებს წყალქვეშ მობინადრე ხალხს უწოდებენ.

დედის ცხენი — ძველი ოსური ადათის მიხედვით სასიძოს საპატარძლოს მშობლებისათვის გამოსასყიდი უნდა მიერთმია. ამას ირად (ურვათი) ერქვა. ირადის სახით იხდიდნენ ათობით სულ პირუტყვს, სპილენძის ჭურჭელს და სხვ., მორიგებისდა მიხედვით, ირადის გარდა სასიძო თავის სასიდედროს ძღვნად საუკეთესო ცხენს მიართმევდა და ამას დედის ცხენი ერქვა.

ე

ემცექი — ძველად ოსეთში სუსტი გვარის ოჯახი აღსაზრდელად იყვანდა ძლიერი გვარის შვილს, აუცილებლად ვაჟს. ეს ორი ოჯახი ემცექებად იწოდებოდა და მათ შორის ნათესაური კავშირის მსგავსი მყარდებოდა. ძლიერი გვარი სუსტს მფარველობდა, როგორც თავის ემცექს. ზოგიერთი ცნობით, ისეც ხდებოდა, მოსისხლე გვარები რიგდებოდნენ, ამ შერიგების სიმტკიცისა და სანდოობის დასტურად ერთი მხარე მეორეს ემცექად, აღსაზრდელად, თავის ვაჟს აძლევდა ან პირიქით.

ეხსიყადი — ბუჩქოვანი მცენარე მათრახის ტარის სიმსხო შტამბით. (ეხს — მათრახი, ეხსიყად — მათრახის ტარი).

ელია — ჰეჟა-ჭუხილის ღვთაება.

ვაცამონგა — ნართების საოცარი თასი, გმირთა თასი. მას ასეთი თვისება ჰქონდა: იმ ვაჟკაცს, ვინც საგმირო საქმეს ჩაიდენდა და ამაგ- ბავს მსმენელთ სიმართლით მოუყვებოდა, პირთან გაუჩერდებოდა და მთქმელი მასში ჩასხმულ ლუდს გაბოცლიდა. ხოლო ვინც ტყუილს იტყოდა, თასი მას ახლოს არ გაეკარებოდა, ადგილიდანაც არ გაინძრეოდა.

ვარაგა — ვარაგ ოს. მუხლი. აქედან ნაწარმოები საკუთარი სახელი, სირდონის ვაჟის სახელი.

ვაისადინ — ოსეთში ძველად არსებობდა წესი — პატივისცემის, მორიდების ნიშნად ახალ პატარძალს ოჯახში უფროსებისათვის — დედამთილის, მამამთილის, მაზლებისათვის — ხმა არ უნდა გაეცა. ეს გრძელდებოდა წლობით, ზოგჯერ მთელი სიცოცხლეც. ხმის გაუცემლობის წესს ვაისადინი ერქვა, ხოლო მის შემსრულებელ რძალს ვაისადგა რძალი.

ვაცილა — ოსური მითოლოგიით ჭირნახულის, მარცვლეულის, მოსავლიანობის ღვთაება. იგი იცავდა მოსავალს სეტყვისა და უამინდობისაგან.

ვასთირჯი — მამაკაცთა და მგზავრთა მფარველი ღვთაება, ნახევრად ადამიანი. წარმართულ რელიგიურ პანთეონში ვასთირჯი ყველაზე ახლოს დგას ღმერთთან, მისი უშუალო შუამავალია ზეციერებსა და მიწიერებს შუა, ითვლება მიწიერთა ქომაგად. ოსი კაცის წარმოსახვაში ვასთირჯი თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრწვერა წმინდანია და ელვის სისწრაფით უვლის დედამიწას. მას გარდასახვის უნარი აქვს. მხვნელთან მხვნელად გადაიქცევა, მწყემსთან — მწყემსად და ა. შ. დანარჩენ წმინდანთაგან განსხვავებით მხოლოდ ვასთირჯი იმსახურებს ღმერთთან მოხსენიების პატივს. ოსი ილოცება — „ღვთისა და ვასთირჯის წყალობა არ მოგკლებოდესო“. ოსური პურობა ღვთისა და ვასთირჯის ხსენებით იწყება და ვასთირჯის სადღეგრძელოთი მთავრდება — გზის ვასთირჯის სადღეგრძელოთი.

ვასთირჯის სახელის ხსენება ქალებს ეკრძალებოდათ; ქალი იტყოდა: „მამაკაცთა ღვთაება გფარავდეთ.“

ვაზ-კვიფი — ვაზ — წმინდა, კვიფ — ბორცვი, აქედან წმინდა ბორცვი. აქ, ადგილის აღმნიშვნელი სახელი.

თ

თ ი ნ თ ი ს ქ უ რ ქ ი — ძვირფასი ბეწვის ქურქი.

თ ო რ მ ე ტ ი ხ ა რ ი თ ს ა ლ ე წ ი კ ა ლ ო — ძველად ოსები კალოს კედრით როდი ლეწავდნენ. კალოს შუაგულ ჩასობილ ბოძზე გამობმულ გრძელ თოკში გვერდიგვერდ გააბამდნენ ხარებს და ბოძის ირგვლივ წრიულად დაატარებდნენ. მათ ფეხქვეშ თავთავი ილეწებოდა. აქ: იმხელა დიამეტრის კალო, რომელშიც თორმეტი ხარი გვერდიგვერდ გაიმართებოდა.

თ ა თ ა რ თ უ ფ ი — ოსური მითოლოგიით, მინდვრის ღვთაება; იფარავს მინდვრად მომუშავეთ და მოგზაურებს. მასზეა დამოკიდებული მინდვრის ღალიანობა და ყოველწლიური მოსავლიანობა.

თ ა რ უ ი ს ი ნ ძ ი — ადგილის სახელი, სინძ — ეკალი. აქ: ეკალნარი.

თ ა რ-ქ ო მ ი — ადგილის აღმნიშვნელი სახელი, სიტყვასიტყვით: ბნელი ხეობა.

თ უ თ ი რ ი — მგლებისა და მათი მწყემსების მბრძანებელი და მფარველი ღვთაება.

კ

კ ო ნ ა — კერია.

კ უ ხ ც ა გ — ხარი, რომელიც კალოში შუაბოძთან პირველი აბია (იხ. თორმეტი ხარით სალეწი კალო).

მ

მ ა ხ უ რ — ჩემო მზეო. მოფერებითი მიმართვის ფორმა ოსურში.

მ ე შ ე ნ ი ს ტ უ მ ა რ ი — ოსური იდიომაა, ნიშნავს — დამეხმარე, დამიფარე. მომდინარეობს ძველი ოსური ადათიდან — სტუმრის ხელშეუხებლობის ტრადიციიდან. ძველად ოსეთში სტუმარს, თუნდ იგი ამ ოჯახის მოსისხლე მტერიც ყოფილიყო, სანამ მის სახლში იყო, მასპინძელი არას დაუშავებდა; არც სხვა მოსისხლეს დააჩაგვრინებდა. როცა ოჯახიდან გაისტუმრებდა, ეს ვალი მოხსნილი ჰქონდა.

მ თ ი ს ძ ი გ ლ ო — მთის ჩიტი. დევები ნართებს ასე მიმართავდნენ.

ნ

ნ ა ტ ვ რ ი ს ა ს რ უ ლ ე ბ ი ს ჟ ა მ ი — თქმულების მიხედვით ნართებს ღვთისგან ჰქონდათ ნაწყალობევი — რასაც ისურვებდნენ, აუსრულდებოდათ.

ნ ა ბ დ ი ს შ ე მ ხ ვ ე ვ ი — ძველად საპატარძლოს საჩუქრებს ძირს გაშლილ ნაბადზე ულაგებდნენ. ნაბადს მაყრებიდან ერთი მეთვალყურეობდა და იგი აბარებდა პატრონს.

ნ ი ხ ა ს ი — ოს. საუბარი. აქედან გამომდინარე, ნიხასი იმ ადგილსაც ერქვა, სადაც თავს იყრიდნენ მამაკაცები. თქმულების მიხედვით, ნიხასში წყდებოდა სოფლის, გვარის, საჭირბოროტო საკითხები. ნიხასის გადაწყვეტილება ყველასათვის სავალდებულო იყო. ამას გარდა, აქ გასართობადაც იყრიდნენ თავს მამრობითი სქესის წარმომადგენლები. უხუცესები ყვებოდნენ საგმირო ამბებს, თქმულებებს, ასრულებდნენ სიმღერებს და ახალგაზრდობა ხარბად უსმენდა. ნიხასში ქალს არ მიესვლებოდა.

ნ უ ა ზ ა ნ — სტუმრისთვის პატივისცემის ნიშნად მირთმეული ზედმეტი სასმელი, ე. წ. სირჩა.

ნ ი ქ ო ლ ა — თქმულებებში იგი ვასთირჯის და ვაცილას გვერდით იხსენიება, როგორც წმიდა ღვთაება, მაგრამ მას ამათი ტოლფასი განზოგადებული სახე არ ჰქონდა. იგიც ვაცილას მსგავსად ჭირნახულის, მოსაელიანობის მფარველ ღვთაებად ითვლებოდა, ოღონდ უფრო დიგორელ მუსულმანებში. წმიდა ნიქოლას ქრისტიანობამდელი ექვივალენტია ხორალდარი (მარცვლეულის მოსავლის ღვთაება).

ს

ს ა მ ი ვ ე გ ვ ა რ ი ს ნ ა რ თ ე ბ ი — თქმულებათა მიხედვით ნართების სამი გვარი არსებობდა. ახსართაგათა, ალეგათა და ბორათა.

ს ა დ ე ნ ჯ ი ზ ი — საგ — შავი, დენჯიზ — ზღვა, შავი ზღვა.

ს ა ვ ხ ო ხ — შავი მთა.

ს ა ფ ა — ოსური მითოლოგიით ოჯახის, კერიის, ნაშას მფარველი ღვთაება. საფა მფარველობს აგრეთვე ბავშვებს, იცავს მათ სენის, ავი სულისაგან და სხვა.

ს ი მ დ ი — ოსური ნაციონალური მასობრივი ცეკვა.

ს ი ლ ა მ ი — სირდონის ძაღლის სახელი.

უ

უ დ ა ვ ძ ი — თქმულების მიხედვით ჯადოსნური მუსიკალური საკრავი, ზეციური ქურდალაგონის მიერ წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილი.

ფ

ფ ა ნ დ ი რ ი — თორმეტსიმიანი ოსური ნაციონალური საკრავი.
ფ ა ლ ვ ა რ ა — წვრილფეხა პირუტყვის, თხა-ცხვრის მფარველი ღვთაება.
ფ ი ნ გ ი — სამფეხა დაბალი მაგიდა.
ფ უ ა გ ა — ფუ — სულის შებერვა, აქედან ფუ-აგა ნაწარმოები საკუთარი სახელი.
ფ ა ს-ნ ა რ თ-ხ უ ს ძ ა გ ა თ ი — ადგილის აღმნიშვნელი სახელი.

ქ

ქ ა რ დ ი ხ — ხორცის ნაჭერი, რომელსაც ზედმეტი პატივისცემის ნიშნად სტუმარს მიართმევენ. „მა ქარდიხ დინ" — „ჩემი წილი ხორცი მიირთვით".
ქ ა ხ ც — ჩვილ ყრმათა დღესასწაული, იხდიდნენ ივლისში.
ქ ა ვ თ ი ს ა რ-ხ ვ ი ა ნ დ ო ნ-ა ლ დ ა რ — მითოლოგიით, თევზების ღვთაება.
ქ ა ვ დ ა ს ა რ დ ი — სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ბაგაში დაბადებულს. ძველად ოს თავადს უფლება ჰქონდა კანონიერი, ჯვარდაწერილი ცოლის გარდა უკანონო ცოლიც ჰყოლოდა, უმეტესად დაბალი წრიდან. ამ ქალისაგან შეძენილი შვილები უკანონოდ ითვლებოდნენ და მამის ქონებიდან წილი არ ეძლეოდათ. ზედმეტსახელი „ქავდასარდი" მომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ძველად ქალები ბოსელში მშობიარობდნენ.
ქ ა ლ მ ო პ ა ტ ი ჟ ე — ოსეთში არსებული ადათის თანახმად მოპატიჟე ქალს უარი არავითარ შემთხვევაში არ ეთქმოდა.
ქ უ ვ ა გ ქ ა გ ი — სუფრაზე უფროსი პირველი სადღეგრძელოს თქმის შემდეგ ამ სასმისს თავისი დასაყოლებლით (ხაჭაპური, ხორცის ნაჭერი) ყველაზე უმცროსს მიაწვდის. უმცროსი მადლობას ეტყვის და მიირთმევს. ეს მისთვის დიდ პატივად ითვლება.
ქ უ რ დ ა ლ ა გ ო ნ ი — ოსური მითოლოგიის მიხედვით ზეციური მშვედელი, სამშვედლო საქმის ღვთაება. მან მიწიერებისთვის გუთანი გამოჰქედა. იგი ასრულებს როგორც ცოცხლების შეკვეთებს, (ჭედს საბრძოლო იარაღს, აწრთობს ადამიანს, აკერებს თავის ქალას) ასევე ჩადის და ემსახურება სულეთში მყოფთაც.
ქ ა რ დ ა გ ი ს ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი — ქარდაგ მთიბავს ნიშნავს; ალბათ, გამთენიისას მთიბავთათვის შუქმფინარი რომელიმე ვარსკვლავი თუ იგულისხმება.
ქ ვ ი ს ი — ყურიანი ხის მოზრდილი ჯამი, ლუდის სასმელად სახმარი.

უ

უ ა ნ ი — სუსტი გვარის ძიერ აღსაზრდელად აყვანილ ძლიერი გვარის შვილს უანი ერქვა.

უ ა ზ ა ნ ფ ა ზ — გასართობი მოედანი. აქ: ადგილის აღმნიშვნელი სახელი.

უ უ გ ო მ — ყველაზე უხვმოსავლიანი მინდორი, სამხრეთ ფერდობზე, მზიანზე მდებარე. ასეთ მინდორზე საუკეთესო ხორბალს თესავდნენ, რომ უხვი მოსავალი მიეღოთ.

უ უ ლ ო ნ ი — ჭრელი, აქ: ურუზმაგის ცხენის სახელი.

ც

ც ი რ უ ი — ორლესული.

ც ე რ ე ჩ ი ს ჯ ა ჭ ვ ი ს პ ე რ ა ნ გ ი — თქმულების მიხედვით სახელოვანი კაცის ცერეჩის ჯაჭვის პერანგი ომის ხსენებაზე პატრონს თვითონ მოერგებოდა ტანზე; შიგ ისარი ვერ ატანდა და ვერც ხმალი ჭრიდა.

ძ

ძ ი ხ ი დ ო ნ — ძიხ — პირი, დონ — წყალი; აქ: ის წყალი, წყარო, რომელსაც ნართები სასმელად ხმარობდნენ.

ძ ი ნ ძ ა-ა ლ ა ს ა — მომცრო ტანის, მაგრამ ზღაპრული ღონის ოქროსფერი ცხენის ჯიში.

წ

წ ი თ ი — მარადი მყინვარი.

ხ

ხ ა ხ ი ა გ უ რ ი ს ა დ ა ვ ე — გარკვეული არაა, რა ქვეყანა, რა ხალხია „ხახიაგი“.

ხ ო რ ა ლ დ ა რ ი — ჭირნახულის ნათესებისა და მოსავლის მფარველი ღვთაება. იგივე ფუნქციითაა ცნობილი მისი ვაჟი ბურხორალი.

ხ უ რ ი ყ ა უ — სოფლის სახელი, სიტყვასიტყვით მზის სოფელი.

ხ ა ძ ა რ ი ი — სახლი, ნართების საკრებულო სახლი.

ხ ვ ი ი ს ა რ ფ ა ნ დ ი რ ი — ძველებური სიმებიანი საკრავი

ხ ვ ი ს კ ა დ ჲ გ — ადგილის აღმნიშვნელი სახელი, სიტყვასიტყვით — დამშრალი ხევი.

ხ უ ს ძ ა გ ა თ ი — ადგილის აღმნიშვნელი სახელი.

სარჩევი

ვ. აბაევი. ოსთა ნართული ეპოსი — წინასიტყვაობა რუსულიდან თარგმნა მანანა თედიევამ

ვარხაგი და მისი ვაჟები 33

ახსარისა და ახსართაგის დაბადება 39
ნართების ვაშლი 40
ძერასა-მზეთუნახავი 42
ახსარისა და ახსართაგის სიკვდილი 47
ურუზმაგისა და ხამიცის დაბადება 51
როგორ იპოვნეს ურუზმაგმა და ხამიცმა ვარხაგი 52
სათანას დაბადება 54

ურუზმაგი და სათანა 59

როგორ გახდა სათანა ურუზმაგის ცოლი 61
სათანა და ბორათების ასული 64
როგორ ეყრებოდა ურუზმაგი სათანას 67
ურუზმაგის უსახელო ვაჟი 71
ურუზმაგი და ცალთვალა დევი 86
ურუზმაგის უკანასკნელი ნადავლი 91
როგორ გაჩნდა ლუდი 98

ხოსლანი 99

სოსლანის დაბადება და წრთობა 101
სოსლანს ღვთაებები ასაჩუქრებენ 104
სოსლანი ეძებს თავისზე ძლიერს 106
სოსლანი და გვიმელი კაცი 111
სოსლანის ჭურჭი 114
სოსლანი და თარის ვაჟები 116
რისთვის გადაემტერა სოსლანს სირდონი 128
როგორ იქორწინა სოსლანმა ბეჯუხაზე 129
როგორ დაიხსნა სოსლანმა სათანა ჯოჯოხეთის ტბიდან 136
როგორ შეირთო სოსლანმა ქოსერი 139
სოსლანი საიქიოში 143
სოსლანის სიკვდილი 165

ხირდონი 179

სირდონის დაბადება 181
ნართების ლაშქრობა 182
როგორ გაჩნდა ფანდირი 190

როგორ მოატყუა სირდონმა ნართები 196
როგორ მოატყუა სირდონმა დევები 197
როგორ გადაუხადა ქელეხი სირდონმა თავის მიცვალებულებს 199
საჩოხე ხელთა გაქვს 200
სირდონის თოხლი 201
სირდონის სიკვდილი 202

ხამიცი და ბათრაძი 205

როგორ შეირთო ხამიცმა ცოლი 205
ბათრაძის დაბადება 210
როგორ გამოიტყუეს ზღვიდან ბათრაძე 211
ბათრაძის გართობანი ბავშვობაში 212
ხამიცის ვაჟი ბათრაძი და დედენაგის ვაჟი არახძავი 216
ნართი ბათრაძი და ჯრელწვერა დევი 218
როგორ აწრთობინა თავი ბათრაძმა 219
როგორ გადაარჩინა ბათრაძმა ურუზმაგი 221
ბათრაძი და თეხის ვაჟი მუქარა 224
ბათრაძი და ცალთვალა დევის ავსარონის ვაჟი ალეფი 228
ბათრაძი და ცალთვალა დევი ავსარონი. 231
როგორ გადაარჩინა ბათრაძმა ნართების ძალგულოვანნი 232
როგორ გადაარჩინა ბათრაძმა სოსლანი 234
ბათრაძი და ალდარი 237
როგორ შელეწა ბათრაძმა ხიზის ციხე 238
ბათრაძი და ნართების ვაცამონგა 242
ნართების სიმდი ანუ როგორ შეირთო ბათრაძმა ცოლი 245
როგორ სცემა ბათრაძმა ნართების ანგელოზს 254
ნართების თავყრილობა 255
ხამიცის სიკვდილი 260
როგორ აიღო ბათრაძმა მამის სისხლი 262
ბათრაძის სიკვდილი 270

აცამაზი 278

აცამაზი და ნასრან-ალდარი 275
აცამაზი და აგუნდა-მზეთუნახავი 282

ცალკეული თქმულებები 293

ნართების შავი მელიის ტყავი 295
ახსართაგათებისა და ბორათების ბრძოლა 304
ნართები და დევის ძვალი 309
ჯისანა 311
სათანას ვაჟი 316
ჟარხთანაგის ვაჟი ნართი სიბალცი 322
თოთრაძი და სოსლანი 326
შეძენაგის ვაჟი პატარა არახძავი 334
სივაი 343
ჟასთირჯი და უცხვირო ნართი მარღუძი 355

ნართების აღსასრული 365

ნართების აღსასრული 367
მთარგმნელის შენიშვნები 372